

პრეპარატი ყველა ქვეყნისა, შექმნილია!  
ეროვნული  
ხელისუფლება



60371

№ 5-6 (13-14)

ყოველთვიური სამხატვრო სალიბრაბურო  
და სამეცნიერო ჟურნალი

906

გაიხი და იხიხი

საქართველოს  
სამხატვრო  
სამეცნიერო  
საზოგადოებრივი  
საბჭოს

ტფილისი 1925 წელი

სარედაქციო კოლეჯია: {  
ვ. ბახტაძე.  
მ. კახიანი.  
დ. რუხაძე.

გამომცემელი: {  
საქართველოს კომიტ-განათ-  
ლების მთავარ-მართველობა.



# მხატვრული ლიტერატურა

საქართველო  
რუსეთი  
დასავლეთი

## სოფლის ავღარი

რა საშინელი იყო ავღარი!..  
გარეთ გამოხვლა ყველას გვიძიძიდა.  
სერზე—ვით ძაღლი—გარბოდა ქარი  
და განუწყვეტლად მთელი დღე წვიმდა.  
აყალო მიწის მღვრიე ტბორებით  
გაივსო ზეარის სოფელი უბე  
და მებმა სეტყვის მიგარ ტორებით—  
გადაურბინა წაღლიდან დუბეს.  
დაცვინდა ბაღში მწითლე ხეხილი:  
ატამი, კომში, ქლიავი, მსხალი  
და—ვით გიენა პირგამეხილი—  
გათენებისას მოვარდა წყალი.  
უნდა გენახათ მაშინ სეირი!  
ლულე ვეფხვივით ჰყეფდა, გრგვინავდა...  
მიწა-რუბით გადასერილი—  
დანით გაფატრულ ხარის ფაშვს ჰგავდა.  
და კიდევ დიდხანს ისმოდა შორით  
ყოფიან ტალღის მძლავრი გუგუნნი  
და იოანნეს ცივი ამბორით  
კოცნიდა სოფელს ღამის უკუნნი.

## ალმოსავლეთი და დასავლეთი

(შანხაიში მომხდარ ამბების გამო).

### იამაბო.

#### 1.

მარაოსავით გადაშლილი ბუჩქი აწვდილა.  
პალმა მაგონებს ქარავენებს, უდაბნოს ქარით.  
გაპარსულ ხეთა, მზე, ქვიშების საშენი დილა...  
დილას იშვიათს—იამატოს ჩემი უსტარი!

ქალებს ატარებს მსახურები ეკიპაგებით.  
იაკობახოს უკაივით ყდა სანუკვარი.  
ქოლგა—გვიშით ოცნებობენ ეშვიან პაეზე  
თეთრ ლოტოსებზე უნაზესნი, როგორც ნუკადა...

ცისფერ ზღვებიდან მოეღიან შორეულ მგზავრებს.  
აღარ გამოჩნდა ნავთსადგურში სატრეო მოტორით.  
გაცრუებულმა იმედებმა გული გაბზარებს.  
და ქალთ ხელებმა ჩამოუშვეს ფანჯრებზე შტორი.

როცა აბლოა საცვარელი სჩანს უსახელო,—  
უბნობს დროშები, ფანჯრებიდან მიჯნურს სახელო.  
წარზიდულ წარბით სურვილები მიფრინავს მწველი,  
როგორც ქარვისფერ დასავლეთით გაშლილი წერო.

ალმურიანი ქალაქები, სახლი ირიბი.  
მარაოს ქროლვა მანდილოსნებს გრილი იამა.  
ნიამორივით საქორწინო ყელს იღირებენ.  
დამუნჯებულა გარუჯული მუღღხი-იამა!



ეროვნული მწიგნობარი

II

მოდის გემები ცეცხლის ალით ორთქლით და მურით,  
სათადარიგო ირხვეიან იალქანები,  
ჯაჭვის თოკებით და ბოლთებით გადაკიმული  
ყველა რიგრიგზე ხანტი რხევით მიექანება.

დასტოვენ სრუტე-გიბრალტარი-მადეგისკარი,  
გამოეცხადით მეზღვიურებს ახალი მუხა.  
ამოღჭრიათ ბოლსადენზე თეთრი ვარსკვლავი,  
ყველას—კაპიტანს—შუბლს უნათებს იმედის ღუზა.

განვლეს კუნძული, ალუბლები, პალმა, დრაცენი...  
პალუბებიდან ოკეანის გზა დაიკანდა.  
არა აქვთ შიში საბუდამო გზებზე დაცემის.  
კუშტი, შეკრული, კაპიტანი სდგას, როგორც ანძა.

ო, ეს ქანდაკი, ახალ გმირის ხატი მდიდრული,  
უდრეკი ნების და გონების დიდი რაინდი,  
ზღვა-სიერცივების გამრღვეველი სდგას მედიდური,  
ღრედნოუტები გამოსულა მწვანე რაიდზე...

მკლავები გულზე დაუწყევია და ამართულა,  
მოკუმულ ზაგეს დაკვიდნია მძიმე ჩიბუხი,  
დაძაბრულ სახეს მოენატრა ბრძოლები რთული:  
ზღვა, დასარბევი კუნძულები, მადანი უხვი.

მის ყრუ გულისთქმას საიდუმლოს ჩვენთვის გაალებს  
გემთა ბლავილი და საყვირნი ოკეანეზე...  
გემი—„ვეროპა“—ცოფი ზღვების ნიაპობს ტალღებს,  
როგორც ნადირი დაკოდირი ველურ ქალებზე...

ოკეანებო, კუნძულებო შორ პოლიუსებით,  
თქვენკენ სვლა-გეზით მომართულან ლონდონ, პარიზი...  
გზებო და გზებო ახალმზეთა სხვა მოდუსებით,—  
თქვენს გასარბენად ევროპიდან მოდის პარისი...

საით მისცურავ ოდისეოს ახალ ყალიბსით?  
რომ გადიარე კუნძულები ნაზი, კარგია.

არ გიმღეროდა ფერიები გემზე კალიპსოს,  
გაჯაღოებდა არაოდეს ნაეხიკაია...

თქვენზე გადატყდა საიდუმლო ბუნების ღერძი:  
ფოლადის კედლებს და ტინობის უპირატესათ  
ვერ ამოჰყვება ვნებულ გრეხით ვენახის ღერწვი;  
მისკურავთ საით, ო, ახალი დღეს პირატები?!

### Mme ბატმარქლი.

#### III

ანძა, კილვატერნი, კოლონები.  
ტორტმანოს გემები ზღვაში.  
საყვირი, სირენა მგალობელის  
რალაც საბედოა ხმაში.

უხილავ ნაპირზე გასარბენათ  
ეძახის კაპიტანს სირენა,  
საყვირი, გემები და ხარბინი.  
ვხედავ: ჰიპსიპილე, მირენას.

უბრძანებს ოქრო და ციფერბლატი  
მოქცევას ამ სოფლად კაპიტანს,  
უგულო ევროპავ შენი ხატი,—  
მედვას შურით თუ ავითან!

მეზღვაურს, რომ არის გამბედავი  
ზღვებთან და სამარის კარებთან,—  
თვის გულის ვადასკა საცეტაევი  
ასულმა პალმასთან, მთვარესთან...

პაწია თითებზე როს აკოცა  
თუჯის მეზღვაურმა ტუჩებით,—  
გული გაუცივდა, გააოცა  
სხვა ნება-სურვილმა უჩვევი.

ღალატი... ლოდინი... ფიორდი...  
და ბატერქლეს მარათ,—  
გათავდა... პუნინის აკორდით  
დღეს გული მწუხარედ ქანაობს.

ასე უცხო მიჯნურს მივლოდა  
 ქალური სურვილით არაფინ;  
 მხოლოდ თამარ-ქალი დივლოდა  
 ქორწინის ქამარით ქარაფანს.

ქულზი-იანა ბატერქლეს აკვანია!  
 ბატერქლეს გრძნობა—ფულკანია!  
 ბატერქლეი—შეილია შავკანიანთ,  
 ო, დასაკლავად არ მიიტანოს  
 ლეთიებრივ კარებთან ბავშვი!  
 უმანკო თითები კაპიტანო  
 თქვენ ამოსვარეთ ავში!

გულს მიემატა

იამატო,

და: ბატერქლეი.

მარაო ტკბილი და პატარა ქოსში ტერფები,—  
 ლექსები ტკბილი ეკადრება მის ხიტამაროს  
 ქვიშის ყვავილთა სურნელების მარტო ამარა.

ო, ხიტამაროს მწუხარება მსგავსი მინერვის,  
 (ქალი ქლეიტის რომ უყვარდა დანკერელი ნანო)  
 შემახსოვრება უცხო ენა მათი სიმღერის,  
 პერინის ჰანგი, ბატერქლეი, ბავში და ნანა!

### აჯანყებული ჩინეთი.

#### IV

ქულზი-იამას ლადარივით

გული გალადრული

ჩინეთის ხალხის,

ვგ აღწვლითების შანხაიდან ხმა, ჰანგი-გამმა,—  
 ყველაზე ადრე გაიგონე იაკოგამავ!

ვით ბატერქლეს—

ისე ჩინეთის ხედავ ქვეყანას

გულზე დაეცა შეუოცმყოფი ევროპის დანა!

ქულზი-იამას ლავის დაგვარად

ჩინეთის ხალხმა სისხლი დაჰღვარა!

შანხაის ქუჩით აორთქლებულან  
საყვირნი მარად!

ეხუტებიან მამულიწვილთ თვალები ურჩი,  
გაბრწყინვებულნი ალტაცებით, თვალნი, ვით შერია.  
ო, აღმოსაყვლეთს ბრძოლები სშიან,  
დამუქრებულსა ლონდონიდან ზარბაზნის ტუჩით.

ღონდონ მონობის, განწირულო წუთისოფლისგან,  
ძველი ქვეყანა დაინგრევა, ბრძოლა ფრთებს ისბამს.  
გამოიღვიძებს აღმოსაყვლეთი.

გაყუჩებული ცხელ ველეში ამდენი ხანი!

ო, ეს არ არის მარტო სლავეთი,  
ჩინ-მაჩინეთი, ინდოეთი ან კარახანი...—  
კარგა-ხანია წოგლოდა თავისუფლებას  
მთელი ქვეყანა

აღვირ აწვებულ უხანგებით სულს აჯანყებულს!

და ინდოეთში და მაროკოში და შანხაიში

გაფურცვდებათ აწ ანგარიში

დღეს ოქროებზე მოანგარიშეთ!..

მოდის ცნობები სანეტაროც და საშინელიც,

ო, ეს არ არის არც ზღაპარი და არცა მითი,—

რომ ტრიბუნალზე იდგა ჩინელი

და მილიონი ხალხის წინაშე

გადაიკვეთა მახვილით თითი

და ამ კალამით სწერდა ალაშხე:

— „შინხაის სისხლი, ჩინთა ახლა მზე

ყელში ჩამდგარი, ვით საყვირები“...—

როდის ვიხილავთ კალკუტასაც.. ნეტავი აღში?

პეკინის ხალხი ბორგავს, ირევა

თავისუფლების გრძნობით ნაკირი

ეცხოვრების ახლა კვარტალში

სდგას თვითმკვლევლობა და ხარაკირი!

ქ. ტფილისი.

1925 წელი

## ამგავი რომელიც გემორჩბ ქრონიკას

როცა ეფარა დღეს ქალაქის ფარგლებში  
ქურდობა არ მომხდარა. გაზ. „კომუნისტი“

დაგეშოილ ფარნებს  
გაეპარა დარაბებიდან.  
გადირბენს კედლებს  
როგორც კვამლი წელ გატეხილი,—  
ჩაუჯდა ღამეს ვულში დარდივით  
როგორც ღამურა,  
მიჰყვება ქუჩებს  
სიმშლივით თვალეზ გაშლილი.

მაგრამ ბოლომდე,  
უძილო ქალაქს  
ენას ვინ მოსჭრის?  
შემობრუნდება  
წრიალი ქუსლებზე  
და პაპიროსი გამოსწევას ღამეს;  
ვიღაც გადმოდის...  
გაეკრა კიდეს,  
ძილივით მიწვა.

თვალში ცრემლივით  
ჩამოდგა მგზავრი,  
უთუოდ აყვირდება.  
გზა გადმოჭრილი! —  
გადმოიკეცა ღობიდან ეზო  
და საყვირივით მოიხსნა ბავე! —  
ქურდი  
სდგას მარტო საფეთქელი,  
ჩაიკვა ჩრდილი,  
უყურებს უცნობს, წამოსულს დარდათ;  
უეცრად დაიხურა ცა თმა-გაშლილი.  
და მარჯვე ნახტომს ამოეფარა...



მთვარე სიცილიდან  
 ქიპზე გაირღვა,  
 იწვის სირცხვილივით  
 ღრუბლების ზამბა;  
 ჰაერს ტალღები  
 ტყდება ნაკვერცხლებათ! —  
 თუ არ გავარდი —  
 შემოგეხევა ახალობივით  
 ღაშე ბებერი.

აპრილის ღრუბლებს  
 ნუ დაენდობი —  
 გასწი, გავარდი!  
 უფროსილდი ქაოი  
 მოიპარავს ქურდულ ნაბიჯებს; —  
 იპოფარე ფეხებს სიჩუმე —  
 გასწი, გავარდი!  
 გზა-გვარედინზე  
 ჯაშუშივით აგდია ყური!...

ფეხის ცერებზე დაბჯენილი  
 ვადმოდის ისევ,  
 ეიწრო თვალებით  
 გაცრილი სივრცე  
 სცვივა წარბიდან,  
 მოშვილდა კუნთი  
 ვალურსული.  
 მუბლებს გავარდნილს  
 ქვაფენილები ზურთებივით აათამაშებს.

ელის კარები  
 ჩაკირული, —  
 ვაჟაკის მუშტი!  
 ის როგორც ვნება  
 მზის ჩოხაზე გადაწოლილი  
 მოდის კბილებით  
 ნაკბენი ცერი  
 ვალურჯდა ხელზე,  
 ლილისფერ ხორცში  
 ჩარჩა კბილები,  
 ფარული კენესა  
 ჩამოტყდა კუნთებს,

უნებურ თრთოლვით  
 გახხნა თითები—  
 გაილო კარი.—  
 გაჭრილ ჯიბეში ჩაძვრა ქარივით.

სუნთქვა დაეცა ოთახს  
 ბადესავით,  
 ოთახი მოიგუნდა  
 სუნთქვის უბეში.  
 სუნთქვა დაეცა ოთახს  
 ბადესავით,—  
 ოთახი ვახტა ფანჯარაში  
 როგორც ნაუფრთხი!

დარჩა შენობა  
 გაჭურდული,  
 პირ დაღებული  
 როგორც ბრინჯივით დაბნეული  
 ბითურის ხახა,  
 ფანჯარა ყვირის!  
 შეეზოვე წამოხტა კეტით  
 და ქუჩას მისდევს  
 ბარიტონივით  
 ხმა ნაძინარი: მი—ლი—ცაღს—ნერაღს!

სადაც კედელი  
 წამოფერდილი  
 მათხოვარივით იდგა მარტოკა  
 ეგდო ნაღველი  
 როგორც სირბილი  
 და სუნთქვა ხარბი!

ქალაქში ყვირილით  
 დაკაწრეს ღამე  
 და ეზოები ჯიბეებს სკლიდენ  
 ქურდი კი  
 ნემსის ყურში გამძვრალი,  
 ეხლა შენობას  
 უჯდა მუხლებზე.  
 ალბად ამბავი.  
 როგორც ყოველთვის,  
 დასრულდებოდა ასე ადვილათ

მე კი მსურს  
ფრთხილად მიუახლოვდე  
მოგზეო ხელი  
როგორც შეგობარს ..

შენ, ამხანაგო!—  
ხანჯლებივით რომ მესერი თვალებს,  
ვეფხივით გამბტნარს  
ვიცი ვინდოდა გავეკრა კბილი.  
რა საჭიროა  
შვილებოს სისხლით კისერი,—  
ჩამოგექ იღვე.—  
აღზათ ბუბულთმა  
გვიკარნახა ასეთი წუთი.

შენ აღარ ვინდა  
მისმინო შეტი,  
ამოეფარე ნაბიჯებს უკვე,—  
ჩამოგექ ძვო,  
ნუ მიყურებ ეგრე ირიბათ  
შენიან ბერი მაქვს კიდევ საერთო...

თებერელის დღეებში  
შენც იძაზოდი:  
რევიოლუცია!  
გაღმობიდინე გულიდან რისხვა,  
რევიოლუციამ  
თითქოს გარდამქნა! —  
დღეს კი —  
ძილის დროს გადახადე ქალაქს საბანი  
და ასე ხარბათ მოსწოვე სისხლ-!!!..

უცრად წამოხტა სუნთქვა დაგუბული  
და მელანივით გადისხა ღამე.

## მ ტ კ ვ ა რ ი.

პოემის შესავალი.

1

მტკვარის ტრიბუნო  
ამხანაგო ზაქეს!  
დაბუენილო, როგორც ჩუქურთმა:  
პოეტისაგან ეს სტრიქონები  
გქონდეს საჩუქრათ...  
მე შევეცდები სიმაგრით გვაუღე.

როგორც შევლი, ზვირთთ კამარა  
გადაირბენს ქაფის ობებს:  
ილუნება ჭამარივით,  
უცებ ტოტებს ჩამოიბელს.

აეარდება ქოლგასავით,  
გადაფანტავს ირგვლივ ქარვას:  
შემდეგ ჩუმათ, მორცხვ ქალსავით  
დაიფშენება და გაპქრება:

ასე იწყებს მტკვარი მთიდან,  
ასე ვლის შევ ხეობებს;  
მოხუტბუტებს როგორც დათვი,  
ბუტბუტს ზვირთად ამოიხვეს:

სხვა რიგ გაგმართავთ სტრიქონებო,  
მე პირადი საქმე მაქვს მტკვართან:  
რკინაზე ვწერ და არ მინდა გქონდეთ  
სურნელება ხავსიან კვართა.



უწინ შენ გავდი მტკვარო, ბანდეროლს;  
 უსაქმო დენით იყავ ჭრგები:  
 ზვირთთა ნეშოებს ვინ დაედღენოს,  
 როცა რახტებით გაგიკრეს ზურგი.

ბევრი პოეტი შენს ნაპირებზე  
 ხშირად ზქრობდა ლექსებით ღამეს;  
 ოდესღაც ქალის დანაპირებზე  
 გაიშინჯავდა უნიქო ღონეს.

მე კი დაგუფრებ თავზე ორზივით:  
 ვფიქრობ, პოეტებს რა იზიდავდა,  
 ნუ თუ მხოლოდ რომ ზვირთები მორბის,  
 და მთვარის შუქზე კენჭები ბზინავს?!

შენი წარსული?  
 გვრძნობ შენც ვერ უმზერ;  
 შენსავეთ მაშინ სცხოვრობდენ ბრმებიც:  
 დროთა ღრუბელმა ბოხობის ქუდზე  
 ჩამოგაფხატა სირცხვილი ბევრი.

რა გაქვს საქები თივთივ ჩოხოსანს,  
 ხანჯლის წვერებში ისროდი ლეკურს:  
 მტკვარო, მოგესწარ რომ გხედავ ქოსას  
 და შენ ჯერ წვერიც არა ხარ წერკემსს.

რათ შინდა იყო მხოლოდ დაირა,  
 და შენ სიძველეს ხევდეს ლურსმანი:  
 ჩემზე ჩქარი ხარ: გზებს რომ დაიარ  
 ნუ თუ მოტეხილ ზურნის ხმას უსმენ?!

გუშინ ბაგედან როგი აგართვით,  
 შენი ლოთობა რომ ჩაგვეშალა.....  
 ძველ საქართველოს მტკვარო წარბთვალა  
 არ ვარგა შენი წარსულით გაშლა.



მიხეილ ჯავახიშვილი

# ლაგალო და ყაზა

17809

მსოფლიო ომის ტალღამ ტფილისიდან ჯერ აზრუმის ზეგანზე ამიტანა, შემდეგ ტრაპიზონში გადამაგდო, მერე კი ურმიის ტბის ნაპირზე გამრიცხა.

ლმერთსაც და კაცსაც დაუწყველიათ ეს უცნაური ტბა. სქელი და მლაშე წყალი არც თევზს აცხოვრებს, არც ადამიანს იძირავს. მისი ნოყიერი ნაპირები, ხოლო ალაგ-ალაგ გაპარსულნი, ხრიოკნი და უდაბურნი, სამხრეთის ფერთა თამაშის გამო მუდამ თვალს სჭრიან ადამიანს: ზაგროსის და სახენდის მთების შეშველი სარტყელი, შუაში ასვეტილი კუნძულები შაჰ-დაგი, ყოფუნ-დაგი და უამრავი მცირე კუნძულაკები დილით დილაზედ ათჯერ იცვლიან პრელს სამოსელს: მუქი და თალხი ფერები, ლილა, ლურჯი, ლაქვარდი, ია, ფირუზი, ჩალა და ფორთოხალი, შინდი და ბროწყული, რუბი და მიხაკი, ვარდი და სპილენძი ასწიარად ეზაეებიან ერთმანერთს.


180

ოთხმეტ მდინარეს ისრუტავს მეწამული ზღვის ღვიძლი ძმა-მკვდარი ურშია. მაგრამ ვერ ინელებს. დროგამოშვებით ზღაპრულ ბაყაყივით გაიბერება ხოლმე, მოწამლულ წყალს უკანეე გადმოანთხევს, სოფლებს წაპლეკავს და და ბალ-ვენახებს მყრალ ქაობად გადაატკევეს. ზოგჯერ მისი შხამიანი დორბლი ისე შორს წამოვია, რომ,—ნაპირებიდან მოყოლებული—შეათე სოფელსაც კი შეაფურთხებს ხოლმე.

იცნობს ხალხი ამ პრელს, ლანახსა და გესლიან ვომბეშოს და იმიტომ ყრიდება იმის მეზობლობას. მისი სეზნა ქალაქი-ურშიაიც შემინდა ტბის ორგულებით და ნახევარი დღის სავალით მოსწყდა მას.

ამ მზაკვრულ ტბას პტოლომეი „მატიანუს ლავუს“-ს უწოდებდა, სტრაბონი — „სპაუტას“, სომეხები — „ძოვ კაპუატ“—ლაქვარდ ტბას, სპარსნი „შახუს“ ეძახიან, ხოლო დანარჩენნი—ურშიის ან ქებუდს.

ვერც ურშიის მიდამოებმა შეინარჩუნეს ერთი მარადიული სახელი დიკოს რამინისა და ზარატუშტრას სამშობლო ათჯერ მაინც იყო მონახილნი: ტრედიან-ასურეთი-პართია-ადარბადგანი-ადარბაგანი-ახერხადე-სპარსეთი-სა კიდევ რამდენიმე სახელი ჰქონოდა—დღეს დაკარგული და მიუჩვენებელი ოდესლაც, ოთხიოდე ათასი წლის წინათ, ამ ტბის ნაპირებზე „ბებერმა აქლემმა“ ზარატუშტრამ ბეზრამის საღმრთო ცეცხლები დაანთო. მისი წმინდა





საქართველოს  
კომუნისტური პარტია

სჯული ზენდ-ავესტა ბომბეის, იეზიდის და ქირმანის მიდამოებში გადავიდა და ერთი მუტა პარსების სულში დადნა. აქ კი, „ბებერი აქლემის“ სამშობლოში, ავესტას ერთი მორწმუნეც აღარ შერჩა.

ოლონდაც, აქაც არა არს წინასწარმეტყველი ქვეყანასა თვისსა შინა! იყო დრო, ოდეს ურმიის მიდამოებს სთელავდნენ მიდიელების განთქმული რაშები, აშურბანიპალის ლომკაცები, პერსიდელები, პართიელები და გირკანელები.

ახემენიდები რომ მოდიოდნენ, მიდიელების ისარს კვლავ ძველი, შემადრწუნებელი სახელი ჰქონდა შერჩენილი, ხოლო ავესტას ქუხილი კიდით კიდემდე ისმოდა. მაგრამ რაც არიელთა რაშებს და მშვილდ-ისარს ვერ დააკლეს ასურელებმა, პერსიდელებმა და გირკანელებმა, ადვილად შეუსრულეს ბარის განათლებამ და ფუფუნების ბანგმა. მოდუნებული მიდია შუაზე გაიხლიჩა: სახურეთით ეგბატანა დაარსდა, ხოლო ჩრდილოეთით ანტროპატენა და მისი დედა ქალაქი ფრასპი, ანუ ვერა (ნეტა საიდან მოდის ჩვენი ვერა: მიდიიდან, ესპანეთიდან თუ ვერეს ხევიდან?).

ზედი-მდევარი უკვე სთელადა მიდიელთა დღეებს. ისურულმა საღმანასარმა სასიკედლო მახელი დასცა. მომაკვდავმა ერთხელ კიდევ წამოიწია: ბაბილონს ხელი მისცა და ორივემ ჯვარზე ასწიეს მძლეთა-მძლე ასურეთი. იმ დღედან ვერც ერთი ველარ წამოდგა ფეხზე. მიდია ბრძოლაში ვატეხილ ოქროს თასივით გადადიოდა ხელით-ხელში: ალექსანდრე მაკედონელი, მისი მემკვიდრენი პარმენიონი და პიფონი, სელევკიდები, სირიელნი, ანტიოხი და მიტრიდატი—ყველამ გასთელა და გაწიწკნა წაქეული რაინდი და იმის უზარმაზარ საფლავს თითო მუტა მიწა მიაყარა. მერე იმ საფლავს სპარსნი და ოსმალნი დაისხდნენ და მისი სამარის წარწერაც წაშალეს.

კათოლიკე მისსიონერმა ნეკრომ მიაპბო: როდესაც ურიათა მეფის იესოს დაბადების ამბავმა ურმიის ტბას მოაღწია, აქედან სამი პართიელი მოგვი წავიდა იესოს თაყვანისცემისთვის. მეოთხე—მიდიელი ართაბანი უკან ჩამორჩა. ამბობენ, ის მოგვი იერუსალიმს სწორედ იმ დღეს ჩავიდა, როდესაც ქრისტე ჯვარზე ასწიესო. სხვები კი იტყვიან: ართაბანი გზაში დაიკარგაო, და ამ ლეგენდას ასე დაამთავრებენ ხოლმე: „დაკარგული მოგვი უკანასკნელი მიდიელი იყოო.“

ასე იყო ოდესღაც. ხოლო ათთოდე წლის წინათ, როცა ომის ტალღამ ურმიის ქალაქში ვამიტანა, არც ტბის მიდამოებსა და აღარც ქალაქში შორეულის ნატერაულიც აღარ სჩანდა: არც „ბებერი აქლემის“ ზენდ-ავესტა და აღარც მიდიელთა თესლი, არც გირკანელნი და აღარც პართიელნი.

ჯმუხა სამხრელთა მაგიერად მიდიელთა სასაფლაოზე ქერა გოგი და მაგოგი მოვრდნენ, ხოლო „ბებერი აქლემის“ ავესტას გვაზე მაჰმადის კურანი და „ისნას“ სახარება გადაწალეს.

საარაკო რაშებზე მიდიელთა აჩრდილნი შესხდნენ და უკუნეთს გადიკარგნენ, ხოლო იმათ ნაცკლად ურმიის ტბას გარს უვლიდნენ დონის ცხენები და



ტამბოველი ჩექმები. და იმ ჩექმებს, ნებსით და უნებლიეთ, ჩანაწლით მისდევდნენ აშურბანიპალის, ტიგრან დიდისა და თამარ მეფის მემკვიდრენი.

და გოგსა და მაგოგს, ჰაიკანელებს და ქარღუელებს, დონის ცხენებს და ტამბოურ ჩექმებს ხანტახტის კლდიდან ვაკვირვებით დასცქეროდნენ ქვის ფიციარზე გამოკრილი მაკედონელის ლეგიონერები, მათი ფრაკიელი ბუცევალები და სამი ვადარჩენილი ბერძნული ასო: „ა.....ოს“ — ალექსანდროს.

დანარჩენი ასოები ან ეპიმა შესჭამა, ან სპარსელებმა ჩამოსთაღეს.

ასიოდე წლის წინათ იმ კლდეზე ჯერ კიდევ იწვოდა თურმე შეიდიოდე სიტყვა:

„მე, ალექსანდროს... ყოველივე აქაური ემორჩილების ნებასა ჩემსა.“

ცხლა კი იმ კლდის მკერდიდან ის სამი ასო ისე მოიხმის, როგორც წყალწალღებულის უიმედო ამოძახილი:

—ააა.....ო-ო-ო-ოს...

\* \* \*

მატარებელი ტბის ნაპირს მიადგა. მე ერთი ვაგონიდან ვადმოვედი, ხოლო მეორედან დიდის ამალით და ფახით გამოვიდა ახლად დანიშნული ურმიის ვენერალ-გუბერნატორი — ეალი ითიშად დოულე, თურმე თაყრიზიდან მოდიოდა. ღამით სოფიანში ჩვენს მატარებელში ვადმოსულეთო.

ამალას უკან მოსდევდა ითიშად დოულეს პარამხანა — შავს ჩადრებში ვახვეული ათიოდე დედაკაცი და ერთი დაღრეჯილი საჭურისი.

რკინის გზა ურმიის ტბას მივბჯინა. შერიფხანე ახალი ქალაქი და ახალი ნავთსადგური იყო, რუსებისგან ორიოდე წელიწადში გაშენებული. ირგვლივ ერთმანერთს აწვებოდნენ ხის და თიხის ახალი სახლები, ტილოსი და ნაბდის კარვები, სანოვაგისა და ხე-ტყის მთები, გაუთავებელი საწყობები, უკვე წყალში ჩაშვებულიც და დაუნთავებელი ნავ-ხომალდები, კომენდატურა, წითელი ჯვარი, ქალაქთა და ერობათა კავშირები, სალდათები, მგზღვაურები და მათზე მგტა მოხელეებე.

ერთი საათის შემდეგ ზღვის საყვირმა იქაურობა შეანძრია. პატარა გემზე ავედი. ცოტა ხნის შემდეგ მატარებელმა დგრიალით გაგვიარა გვერდით. გემმაც სამჯერ დაიბღავლა. მერე გმინვით, ობერით და ტაქუნით მოსწყდა ფიცრულ ნაპირს, და მუქი ლავარდის წყალი თეთრად აიქაფა.

გადამწვარ მინდორზე გრძელი მატარებელი წითელ გველივით მიიკლაკნებოდა. ნაპირისკენ მეორე გველი მოხობავდა, — ისიც გრძელი და ჯვითელი, — ასიოდე აქლემის ქარავანი, — უდაბნოს გემი, დინჯი, ნელი და ბებერი.

მერე ვნახე და გავიგე, რომ რუსებმა გამოუცდელიობით ათი ათასობით დახოცეს უდაბნოს კეთილშობილი პირტყვი: აქლემების ქარავანს სიცხეში ატარებდნენ და სიგრილეში ასვენებდნენ, ხოლო სამხრელნი სიცხეში აქლემს თურმე დღისით ასვენებენ და ღამით ამუშავებენ.

დილის პერი დონის ნახშირისა და ბაქოს ნავთის ბოლით ნოიქარგა. ერთმანერთი არეული რუსულ-სპარსული სოფელი და სამხედრო ბანაკი შერიფხანე ნელნელა გვშორდებოდნენ. გემს თეთრი ფრინველი დაესია.





უცებ უზარმაზარ ფრინველს გაეაყოლე თვალი. დაბლა მოფრინავდა. ჰაერში ლარივით გაკეზულიყო. ორი ადლის სიგრძე იქნებოდა. მყერდი თეთრი, ხოლო ფრთები წითელი და შავი; ფეხები და ყელი ნეტად წვრილი და გრძელი. უცხო ფრინველი ისარივით წაეიდა შამ-დაგარს კუნძულისკენ.

— ფლამინგო. — მონესმა უკნიდან.

მივიხედე. ჩემს წინაშე მოლიმარე ითიმად დოჟლე იდგა.

— ბოდიში, დიდი ბოდიში, მესსიე. პარლუ ვუ ფრანსე?

— დიად, მესსიე ვალი, ფრანგული ვიცი.

— ბედნიერი ვარ, დიდად ბედნიერი. გთხოვთ გამიცნოთ. მე გახლავართ ურმიის ვალი ითიმად დოჟლე. თქვენ, მგონი, ექიმი ბრძანდებით.

— დიად, ექსელანს.

ხელი ჩამოვართვი და ჩემი გვარი მოვახსენე.

— ექიმი, ისიც ქართველი! ქეორჯინი!

ითიმად დოჟლეს სიხარულმა არ გამაკვირვა. ადრევე ვიცოდი, რომ იმდროის სპარსელები ქართველებს „ყარდაში-იოლდაშებად“ სთვლიდნენ. მაგრამ თურმე წელანდელი მისი გაბლენძილი იერი და რუსის გენერლის ეპოლეტებით გაამპარტავენებული გამოუტყველება ჩემმა ექიმის ნიშანმა ჩამორეცხა: თითი ფლამინგოს გააყოლა და მიიხრა;

— საუცხოვო ფრინველია.

— იშვიათი ფრინველია, ექსელანს.

— მხოლოდ წინა აზიაში გადაჩა. ასობით და ათასობით სცხოვრობენ. როგორც ეტობა, ეს ფრინველი ჩამორჩენილია და ეხლა... მაგრამ ჯერ ერთი რამ უნდა გთხოვოთ. ეს სავე, მესსიე დოქტორ, ძალიან ცუდად გავხდი. იქნება მიშველოთ რამე. ზღვაზე პირველად ვარ. გული მერვეა.

— კეთილი, ექსელანს. წამობრძანდით.

ჩემმა მხლებელმა უწენო სადილი გაგვიშალა: ხიზალა, დოში, ორაგული, ზურგიელი, მოხრაკული ინდოური, მობარშული ქათამი, ხილი, კახური ღვინო და სარაჯიშვილის სამი ვარსკვლავი. კუჭის გავსება ერთად-ერთი წამალი იყო ითიმად დოჟლესთვის. კონიაკი დავასხი.

— ციებ-ცხელება მკურს, ბატონო ექიმო. — თავი იმართლა ვალიმ, კონიაკი რომ დაინახა.

— წამალიც ეს არის. მიირთვიეთ.

— ესვამ როგორც წამალს, თორემ... ა ფოტრ სანტე, მესსიე ლე დოქტორ. ალლაჰმა დღევრძელობა და სულიერი მშვიდობა მოგცესთ.

ციების ვახსენებამ და კონიაკის გემომ მართლმორწმუნე მუსლიმანის სინდისი უმაღლე დაამშვიდეს და კურანიც დაავიწყეს.

ნახევარი საათის შემდეგ ითიმად დოჟლე პირნათლად ასრულებდა სპარსულ ზრდილობას: მადლობის და კმაყოფილების ნიშნად ორივე ხელს მუცელზე ისვამდა და გულმოდგინეთ ამოყინებდა.

ასე შეათავსა დღევანდელმა ირანელმა ფრანგული ზრდილობა და სპარსული ჩვეულება.



ერეკნული  
გვერდები

კაბურმა და კონიაქმა ჩემს „კამარადს“ პირი გაუხსნეს და ააღულღულეს: — ვუ სავე, მონ აში, — იცით, ნეგობარო, რა დღე დააყარეს საწყალ სპარსეთს „ურუსმა“ და „ენგლისმა“? ბუღდოგი და დათვი ჩვენს კისერზე მორიგდნენ; ჩვენ არ გვინდა ამ ომში ჩარევა, მაგრამ ვინ გვეკითხება! ომი ჩვენს ქვეყანაში გადნოიტანეს, ჯარები შემოიყვანეს და აგვიკლეს. რუკვიზიცია გამოაქბადეს. სამ-აბაზიან იონჯას სამ შაურად გვართმევენ, ორმანეთიან ქერში ორ აბაზს გვითვლიან.

— სამავიეროდ სპარსეთი ფულთ ვაივსო.

— ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი ფულისგან! ურუსის ფული წინანდელის ნახევარიც არა ღირს. ურუსებს ნავთი, ქსოვილები, შაქარი და სხვა მრავალი საქონელი მოაქვთ და სპარსულ კრანებზე ჰყიდიან. თავიანთ ფულს თვითონაც აღარ იღებენ. ხალხი გმინავს. ძნელი საქმე დამაკისრეს. ლაშქრის სარდალი ჩერნოზუბოვი ლომია, რომელსაც ალაჰმა მელის ეშმაკობაც მისცა, ურუსები შინაურ საქმეებში ერევიან, ანგარიშს აღარ გვიწევენ. ისე ნიჰყავთ საქმე, თითქო მოსკოვში არიანო, თითქო შაჰინ-შაჰ „ცარის ყარაგუზარი“ იყოს... ვიღუპებით. მძიმე ყოფილა „ურუსის“ ჩექმა. მაგრამ, — ითიმად დოღლე გაიბადრა, — ურუსებს ლამაზი ქალები ჰყავთ და საუცხოვო კონიაქი აქვთ. ხე-ბე!

ჩემი აბალი „იოლდაში“ ბორძიკით და ლულულულით დიდხანს ურგვდა ერთ-მანერთში მელა-ჩერნოზუბოვს და იონჯას, კრანებს და ქერა ქალებს. მოსკოვის ფარჩას და შაჰინ შაჰს, ოსმალებს და ნავთს, საბა-ქიშმიშს და რუსულ შაქარს. და ზოგჯერ ამ დომხალს ზედ კონიაქს და წუწუნს უმატებდა:

— ვიღუპებით... სპარსეთის ლომი დაბერდა... ურუსი და ენგლიზი საბოლოოდ გაიყოფენ ირანს...

მე მომაგონდა უძლეველი მიდია. მომაგონდა იმ საარაყო ხალხის მძლეობა და განათლება და ფუფუნება. გამახსენდა მიდიელთა საარაყო რაზები, რომლებსაც ასე უბრალოდ ძლეული რაინდები ძლივს მოახსდნენ და უკუნეთს შთაინთქნენ.

ითიმად დოღლემ უმანკო ფშვინვა ამოუშვა.

მოშორებით მისი ამაღა საუხზომბდა. მაფრაშებისა და სკიკერებისგან აღმართულ ღობის უკან ვალის ცოლები, ჩადრებში გახვეულნი, გაბუტული ინდოტრებივით ისხდნენ. უფხარმაზრად ისვეტილი შაჰდაგის კუნძული ისე დამყურებდა ჩვენს ორთქლიან კიღობანს, როგორც ცხრათავიანი სპარსული დევი წყალში ჩავარდნილს კაკლის ნაჭკუს.

მერე ითიმად დოღლემ ფშვინვის ნაცვლად როყიო ხერინვა ამოუშვა.



მზე მიწურულს იყო. დასავლეთით სპარსეთ-ოსმალეთის მოსაზღვრე მთა-გრებილი ლილისა და იის ჩადრით შვიმოსა. ტბა მკრთალი ეარძივით შეწითლდა. აღმოსავლეთით ყოჯუნ-დაგი და ორმოციოდე სხვა კურნძული და კუნძულაკი ფირუზის საარაყო მოტებს და გორაკებს ჰგავდნენ. და მათი თავები უცხო ვინმეს სისხლით მოერწყო და ცეცხლის ღვარებით დაესერნა.



გაულმანხანეს ნავთსადგური უბეში ჩაეჩარნა თიხის უზარმაზარ კონცხს, რომელიც წყალში ჩაძირულ დევის მუზარადს ჰგავდა.

სანაპირო დამხდურებით გავსებულიყო. ერთმანერთში არეულიყვნენ რუსი და სპარსელი მოხელენი: ინტენდანტები, მოიჯარადრენი, ვაქრები, სალდათები, სეიდები და მოლლები. დელეგატებს სახელმწიფო და მუსლიმანური დროშები ეკირათ. მოშორებით ასიოდე სპარსი-ყაზახი ჩამწყრივებულიყო. ეტლების კული აქლემთა ქარავანში ივარგებოდა.

სანამ ვალი და დამხდურნი ერთმანერთს სალამს აძლევდნენ, მე ჩემი ეტლი ვიპოვნე.

— გამარჯობა, ალა! — მომამახა ქართულად მეეტლემ. მერე შუაზე გადაპარსული თავი მუბოებამდე დაღუნა, მზიარულად გაიკრიჭა და კიდევ რამდენჯერმე დანიჭრა მოტვლებილი თავი.

— გაგიმარჯოს. შენი სახელი?

— მაშადი ჰასან, ალა.

— ქარაული სად ისწავლე?

— მე და მამა ქალაქში იყავი, ბორჩალოშიც იყავი. იქ ისცავლე ჰასანმა.

— რამდენი წლისა ხარ? — ჭკითხე სუფთა თათრულით.

მაშადი სიხარულისგან აიკრიჭა და აილანძა

— ოცის წლისა, ალა ექიმმაშო.

კითხვა და პასუხი სეტყვასავით დამაყარა. უკვირდა ჩემი თათრული. მას აქეთ ქართული აღარ გაუხსენებია.

მაშადი ჰასანმა ცხენებს სადავეები აუკრიფა და უცებ დასკყივლა:

— ლამბალო!

— აბა, გასწი.

და მსუბუქი ეტლი უმაღლე მტერის კორიანტელში გაჰხვია. დაოთხებულ ცხენებს შოლტს უტრიალებდა, უცნაურად უსტვენდა და გაჰკიოდა:

— ჰეი, ჰე-იი! ხაბარდა-ა ა! ლამბალო-ო!

საწყაის მავალს კოფოდან შოლტს გადაუქნევდა და მიამახებდა:

— იოლ ვერ, — გზა მომეცი, ლამბალო!

— მაშადი ჰასან, ნუ სჩქარობ. არაეინ ვასკულიტო.

მაშადი არ მეთანხმებდა. უნდა გავისწროთ ახალ გუბერნატორს, თორემ დაგვეწვიან და მტვერში დაგვახრჩობენ. მაშადის არ უნდა, რომ იმის აღას ვინმემ გაუსწროს, თუნდ ითიმად დოღუღემაც. მე ახალი კაცი ვარ ურმიამი, მე არაფერი მესმის აქაურ ჩვეულებისა. მაშადი კი აქაურია. მან კარვად იცის აქაური წესრიგი და ადათი, ამიტომ მე ისლა დამრჩენია, რომ ჩემი ნებისყოფა მაშადი ჰასანს დაეუპოროძილო.

მაგრამ მე ჩემი გავიტანე. ცხენებმა სირბილს უკლეს. სამაგიეროდ მაშადიმ უმატა კბილთა კრექას და მზიარულ ლაყობდას. გაბადრული პირისახე უფრო ჩემსკენ აქვს მობრუნებული, ვიდრე ცხენებისკენ. ნაკუწად მიამბობს თავისს ვინაობას.

მაშადი იმითომ დაარქვეს, რომ ბავშვობაში მამამ წმიდა ქალაქ მეშედში



ეროვნული

წაიყენა. თვითონ მაშადი ჰასანი მეეტლე კი არ არის, არამედ მესხეთის მკვნი მებაღე. ურმიის მახლობლად, სოფელ ასკერაბადში წითელ ჯვარს იჯარით აქვს აღებული ბაღი და ბოსტანი. მაშადი ჰასანიც იმ სოფელელია. თვითონაც იქვე აქვს სახლ-კარი და ბაღი. მაშადი ჰასანი და იმისი მამა მაშადი იზნათი ორივე მამულს უფლიან. გარდა ამისა, მაშადი იზნათს კიდევ რამდენიმე ხელობა აქვს: მირაბია; არხები გაჰყავს; ქებს სთბრის და "ილანებს" იქერს.

— ილანებს, — გველებს?

— ბაღი, ალა, გველებსაც იქერს. თუ ვინმეს ბაღში ან სახლში ბევრი მცურავი შეეჩვია, ჩემი მამა შეულოცავს და იმ ალაგიდან გველებს გადაასახლებს. თუ იშვიათი მცურავი შეხვდა, დაიქერს და გაჰყიდის.

ჰასანის მამა მაშადი იზნათი ერთ დროს შეძლებული იყო, მაგრამ მერე გაღარიბდა. ჰასანს და იზნათს ყველაფერი გამოჰდით ხელიდან. ერთ დროს ქალაქ „თიფლისშიც“ იყვნენ. „ლამბალო“ ქალაქია; ძალიან კარგი ქალაქია! მაშადი ჰასანი ტფილისში ხან მღებავი იყო, ხან ქიწმის-ლაბლაბუს ჰყიდდა, ხან „ბატი-ბუტი“ დაჰქონდა. კალატოზობაც ისწავლა; ერთი „გურჯი იოლდაში“ ჰყავდა — ნიკო თოხლიშვილი. არ ვიცნობ?! როგორ! მაშ ნიკო თოხლიშვილს არ ვიცნობ! კუკიელია, ხარაზია. ისეთი ბიჭია, რომ... ნამდვილი „ლამბალოა“, ნამდვილი! ჰაი გიდი, რა „იგიითი“, — რა გმირი ხალხია გაურჯი!

— ლამბალო ხალხია, ლამბალო!

— მაშადი ჰასან, რას ნიშნავს თქვენებურად ლამბალო?

მაშადი ჰასანის ხარხარმა ზარიერით დაიწკრილა. „ლამბალო“ ჰასანის სიტყვაა. სხვამ არაფერ იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა, თუმცა ურშიაში ბევრნი ხმარობენ. რას ნიშნავს ეს სიტყვა? ყოჩაღს, შაბიანს, ლამაზს, კობტას.

— მერე, როგორ მოიგონე ეგ სიტყვა?

ჰასანმა ბავშვივით გადიკისკისა:

— ერთხელ მამა ჩემს ბორჩალოში ბოსტანი ჰქონდა...

სიტყვა გავაწვევტინე:

— ბოსტანი სოფელ ლამბალოში, სადახლოს გაღმა, სუმბათაშვილის მამულში, არა?

— ბაღი, ალა, ბაღი. — გუხბარდა ჰასანს. — ტბილი სიტყვაა, — შაქმარ სლოზდი, შაქმარ! გულში ჩამჩა. ენაზე მომეკიდა და აღარ მომეშვა. აბა, ყური მითხოვეთ.

და მკაფიოდ, მკვეთრად წამოიძახა:

— ლამბალო!

მერე წვრილის, მძლავრისა და სუფთა ხმით ერთ კილოზე გააბა ოპერის მონოლოგივით:

— ლა-ამბა-ალო-ო-ო-ო...

ჰასანის სმენამ და იშვიათმა ხმამ გამოამაკოცხლეს.

— მაშადი ჰასან! ერთხელ კიდევ, ერთხელ კიდევ დასძახე ეგ სიტყვა.

და მაშადი ჰასანის ვერცხლის ხმამ ერთხელ კიდევ შეაყვარიალა ჰაერი:

— ლა-ამბა-ალო-ო-ო-ო...



მე ვერც კი გავიგე, როდის შესწყდა ჰასანის ზარი. ასეთი წრფელი კილო, მძლავრი ხმა და იშვიათი ჰიანო აქ, შივარდნილ უდაბნოში, ქურთისტანის სახლვარზე, მიყრუებულ აზერბაიჯანში!

— ერთხელ თიქლისში ურძენს ვყიდდი.— მომიბრუნდა ჰასანი, — ვიძახდი: „ვი-ინოგრა-ა-ად!“ ერთს რომ დავიძახებდი, მთელი ქუჩა ფანჯრებს გააღებდა ხოლმე. ყველანი ჩემგან ყიდულობდნენ. ჩემს ზბანში ველარაიენ ვაქრობდა. მალე გავმდრდობდი, მაგრამ კინტოები შურით დაიხოცნენ. ბნელ ქუჩაში მომეპარნენ და დანა დაპყეს, კინალამ მოგვკლი. თავი დავანებე და წამოვედი.

უცებ უჩნიდამ კიენა და ზეპარათქური მოისმა. მივიხედე. ჩადრები ოვლ-ში გავლებულ ცხენებს მოაქნებდნენ და კევილით ჰასანს ემუქრებოდნენ:

— იოლ ვერ, იოლ ვერ!— გზა! გზა, ქაოუა-ოლლი, თორემ...

და მათრახების ქნევით ჰასანზე მოდიოდნენ. მე ბრალი მომივიდა. უმაღ ჰაერში ნაგანი შევაპრიალე:

— ხელი! ხელი არ ახლოთ, თორემ...

გულგაბეთქილმა ჩაფრებმა ნაძალადევად გამიღიმეს და ცხენები უკანა ფეხებში მოსდრიკეს. მერე რუსული წესით მხედრული სალამი მომცეს და წინ მიმავალ თათრებს დაედევნენ. დაფეთებული თათრები ვიგრებიდან გადმოხტნენ, სახედრებს თავი მიანებეს, ქულები მოიშვლიპეს და გზიდან პინტა-პუნტიო შამბიან ჭაობში გადაცვივდნენ.

იმავე წუთს გვერდით გრივალმა გამიბრინა. მე და ითიბად დოფლემ ერთმან-ერთს ძლივს მოვკარით თვალი. გაბღენძილი და შრისხანე სპარსელი ისე გაქი-მულიყო ეტლში, თითქოს იმ ქვეყნის ბატონ-პატრონად გენერალი ჩერნოზუბო-ვი კი არ ყოფილიყოს, არამედ შაჰინ-შაჰს წარმოგზავნილი ვალი ითიბადი. ჩემს ხელში რევოლვერს მოჭკრა თვალი და ოდნავ შეკრთა. იმის გაქანებულ ეტლს დგრიალით და კიენით მოსდევდა ორმოციოდ ეტლი და ორიოდგ ასეული იასაული, ჩაფარი და სპარსელი ყაზახი. ისეთი კორიანტელი დააყენეს, რომ კარგა ხანს მაშადი ჰასანის ზურგსაც კი ძლივს ვხედავდი.

როდესაც თქარა-თქური მისწყდა და მტვერიც გაიბნა, ჰასანმა შეშინებ-ული თვალები შემომანათა, გაპარსული თავი გაიჭნია და სთქვა:

— ალა, ცუდათ არის ჩემი საქმე.

— რა ამბავია, ჰასან? რამ შეგაშინა?

— ვალი არ მაპატივებს. გზა ვერ მივეცი. ტაულიად ამოიღეთ გვ რევოლ-ვერი. ვალლამ, ისევ ის სჯობდა, რომ ჩემთვის რამდენიმე მათრახი დაეკრათ.

— ნუ შეშინდი, მაშადი ჰასან. ვალი ხელსაც ვერ გახლებს. თუ დაგიპირა რამე, შემატყობინე. ვალი ჩემი ნაცნობია.

ვიმშვიდე, მაგრამ ვერ დავამშვიდე. ველარც „ვინოგრაი“ ვაოქმევიწე და ვერც „ლამბალო.“ დილონდა და ცხენებს სადავე მოსწია. ეხლა მე ვაჩქარებდი, ჰასანი კი თითქო განგებ იგვიანებდა.

ერთ სოფელში შევედი. გზა დიდ მანძილზე სისხლით იყო მორწყული. ვალის პატივსადებად იქაური ხელისუფალნი ითიბადის ფეხთა წინაშე შუა გზა-ზე ცხვრებს ჰქლავდნენ და დახოცილ საჭონელს გზის ერთ ნაპირზე ჰყრიდნენ.



ერეკნული

ბოლო თავებს—მეორეზე. გზა და მოედანი მორჩილი გლებებზე დასრულდა კამალით იყო სავსე. ითიმად დოულე სოფლის ქეთხედებს და ხალხს მედიდურად ებაასებოდა. მაშადი ჰასანმა ცხენები შეაყუნა.

— ჰასან, მეჩქარება. გარეკე.

ჰასანმა თვალწით შებრალება მოხოვა.

— გარეკე მეთქი!

— ალა, ვალის რისხვას ვერსად წაუვალ.

— შენ გარეკე. დანარჩენი მე ვიცი.

მაშადი ჰასანი ერთხელ კიდევ შეიშმუნა, მერე სადავეები ზანტად მოსწია და ცხენები ნაბიჯით დასძრა.

— ჰასან, გარეკე მეთქი!—შეუუტეი შეშინებულ მეეტლეს.

გზა ძლივს გაიქცეოდა. ყველანი გვიბდევროდნენ. მე გულგრილად შევსცქეროდი შაჰინშაჰს მოხელეებს. ვალის ეტლს გავესწორდით. ითიმად დოულემ მაშადი ჰასანი თვალებით განგმირა, მე კი ტუჩებით განიღიმა და რუსული მხედრული სალამი მომცა. მეც ღიმილით და ასეთივე სალამით ვუპასუბე.

მაშადი ჰასანმა ისე გარეკა ცხენები, თითქო სულთამსუთავი მოსდევდაო, თან ხშირ-ხშირად უკან იხედებოდა.

ქალაქში რომ შევდიოდით, უკვე დაღამებული იყო. ითიმად დოულე ერთხელ კიდევ წამოგვეწია.

უცხო სანახავს წავაწყდით. ვალის ასიოდე მაშხალა—ეინგლალი ორ რიგად მოსდევდა. სამიოდე ათასი ქალაქელი ეინგლლებით და ფერადი ლიფლიფებით წინ მოვებოდა. ათნაირი შუშუნები კას ტაკუნით და შხილით წითელ-ყვითლად და თეთრად სერავენდნენ. გზის ორივე ნაპირზე ორი ცეცხლის ლარი იყო გაქიპული.

თვალწარმტაცი ფარშევანგები ნელნელა იშლიდნენ ცეცხლის კუდებს: ცეცხლისავე ველოსიპედისტები წინ და უკან დასრიალებნენ; ასეთივე ყოჩები რკმით კიდაობნენ. ზემოთ ორი წარწერა კამკანებზე: პირველი: „იცოცხლოს მარადის ირანის შაჰინ-შაჰმ.“ მეორე: „მშვიდობაში შენი მობრძანება, ვალი ითიმად დოულე“. მოედანზე სპარსელი სალდათები—სარბაზები ცეცხლ-მოდებულ ლანდებივით დარბიან ანთებულ რომაულ ხანთლებით. ჯერ ერთს ცოცხალ მაშხალას მოეკიდა ცეცხლი, მერე მეორეს და მესამესაც. სამივენი ისე ჩაცვიდნენ დიდ აუზში, როგორც გადასროლილი მუგუზლები.

— ვალი-ი-ი, ხოშ გელდი-ი-ი!—გრივლებდა ხალხი.

დამხდურებში თვალის მოგვარი ახოვან გენერალს, ზიზილ-პიპილოებით მორთულს და ითიმად დოულეზე უარესად გაბლენბილს. ლაშქრის სარდალი ჩერნოზუბოვი არსად სჩანდა.. ხოლო იმ გენერლის იქ ყოფნა ამბობდა: „მე, რუსეთი, —გენერალი ჩერნოზუბოვი, —ამ ქვეყნის ნამდვილი ბატონი, აქა ვარ და აქვე დავრჩები. შენ კი, ითიმად დოულე, ჩემი პატარა სტუმარი ხარ. პირველად შენ უნდა მეწვიო ჯერ-ჯერობათ მცირე პატივი და თავაზიანობა არაფერს გვაწყენს, მერე კი, როდესაც ომი გათავდება.. ზერე ვნახავთ დანარჩენს“.

ურმიელებმა ასე გაიგეს ჩერნოზუბოვის უსიტყვო სიტყვა.



არც მოტყუდნენ.

\* \* \*

მეორე დღეს გრძელმა და საამურმა შეძახილმა გამალვიდა:

— ლა-ამბალო-ო-ო.—და უმაღლე ზედ დააყოლა.—ეზ-ინოგრ-ა-ად...

ხალათი გადავიცვი და ფანჯრიდან გადავიხედე.

— საბახ ხეირ ოლსუნ.—დილა მშვიდობისა, ალა!

— ვიგიმარჯოს, მაშადი ჰასან!

— ნეჯასიზ? ქეიფინ, ჰალინ?—როგორ ბრძანდებით? ქეიფზე როგორა ხართ? როგორ გეძინათ?

— მაღლობელი, ჰასან. მაგ ყურძენს ჰყიდი?

არა არ ჰყადის. მაშადი ჰასანმა ნობათი მოართვა თავისს ახალ „ყო-ნაღს“. არ შეიძლება, უნდა მივიღო. სულ რაღაც ოციოდე გირვანქა იქნება: მშვენიერი ფერადი ყურძენი, პროწეული, ლეღვი, ვაშლი, მსხალი, თხილი და ერთი კოკობი ნაღები. მე ფული ამოვიღე. უარმა და ურთერთმა თავაზიანობამ ხუთიოდე წუთი გასტანა. ბოლოს ჰასანმა მომტება. ძღვენი მაგიღე. ეს ხილი ჰასანის ბალისაა, ხოლო დანარჩენი ოთხი კალათა სამკურნალოს ბაღიდან მოაქვს აყადმოფთა და თანამშრომელთათვის.

უცებ იასამანის ბუჩქებთან უცნაური ვინმე გამოვარდა და ჯოხის ქნვეით-დორბლით და უწვევრის ლანძღვით მაშადი ჰასანს დაეტაკა. თათარმა კალათები დაჰყარა, გაიქცა და ბუჩქებს მოეფარა. უცხო ვინმე ჰასანს დასდევდა და ჰყვიროდა:

— შენ ისევ აქა ხარ? მურდალო ღორო!.. მაჰმადის ძაღლო!.. ქაოფა ოღლი!.. დონღუზ!

ორივენი ბუჩქებს უბრუნდნენ. ჰასანი მოქნეულ ჯოხს გაუსხლტდა და ჩემსკენ გამოიქცა. უცნობიც დაედევნა.

— შესდგით! ხელი არ ახლოთ, თორემ...—რუსულად შეესძახე მე.

უცნობმა მოქნეული ჯოხი ჰაერშივე შეაყენა და მე მომაჩერდა: სტაფილოს ფერი პირისახე; ამავე ფერის წვერ-ულვაში და თმა,—ისე აბურძენილი და გაფანტული, როგორც არწივის მოშლილი ბუდე; ჩაყვითლებული და ჩამტვრეული კბილები; ხახვის მხგავსი მოლურჯო ცხვირი; ლობიოს ოდენა ბორბოტი თვალეში და ავაზაკური დაბალი შუბლი. მოსრულსა და მოგრეხილ ტანზე გახუნებული-დაგლეჯილი ანაფორა ეცვა, რომელიც ქუსლებამდე სწვდებოდა.

— ვინ ბრძანდებით? რა გნებავთ ამ ბაღში?—შევუტეე უცნობს.

სტაფილოს პირისახე ნელ-ნელა გაიბადრა. ყოველივე ასომ ტკბილად გამოიღიმა: თვალებმა, შუბლმა, ცხვირმა, ღია პირმა და წვერ-ულვაშმა. მერე ნელის ჩიფჩიფით და მურაბის ვნით მიჰასახა:

— ჯერ არ მიცნობთ? სამწუხაროა, ძალიან სამწუხაროა. მე კი გიცნობთ. თქვენ ახალი გამგე ბრძანდებით ამ სამკურნალოსი, არა?

— ჩემთვის სულ ერთია, მიცნობთ თუ არა. გკეთხებით, თქვენ ვინ ბრძანდებით მეთქი?



პასუხის ნაცვლად სტაფილო დადნა. მოწლილი ბუდე გააქნია, გამოაქნია და მისაყუედურა:

— Ай-ай-ай! Вот строгий-то доктор!

— გაათავეთ ნასხრობა!—ერთხელ კიდევ შევეუტიე სუსხიანად.—ან პასუხი მომეცით, ან მიბძანდით.

უცნობის მაგივრად მაშადი პასანმა მიპასუხა:

— ყაშა ლაზარ, ყაშა ლაზარე ვახლაეთ, ალა.

ყაშა ლაზარემ ისე შეუტია და შესძახა, რომ დაფეთებული პასანი ერთი ნახტომით სამ ადღზე გადახტა; მერე ქეას დასწვდა და შესძახა:

— ლამბალო, ქაოთა ოღლი!

— პასან, გაჩუმდი!—დაეამშვიდე გულმოსული თათარი და ყაშას მივუბრუნდი:—მეტყვით თუ არა თქვენს ვინაობას?

— გეტყვით, რატომ არ გეტყვით.—იპრანკებოდა ყაშა,—მე ყაშა ლაზარე ვახლაფართ, ესე იგი ასურელი მღვდელი ლაზარე.

— მერე? რა ვნებავთ აქ?

— მე? მე რა მნებავს?—გულწრფელად გაიკვირვა უცნაურმა მღვდელმა და პასუხის მაგივრად ისე ამაყად მიმითითა თავის მკერდზე, სადაც პაპაწინა ჯვრის ნიშანი ეკიდა, თითქო თეთრი გიორგის ჯვარს იკვებნიდაო. ის ჯვარი ანაფორის ნაოქებში წვლან ვერ შევამჩნიე. ეხლა კი ვკითხვ:

— რა საქმეს ასრულებთ სამკურნალოში?

— აგენტი ვარ, „მილენკაი“, აგენტი.

— კეთილი. ეხლა კი ამ თათარს თავი დაანებეთ და მიბძანდით.

ყაშა ლაზარემ მაშადი პასანს მძულვარებით გადახვდა, ჯოხით დაემუქრა. მერე ანაფორა აიკრიფა, ამოიხენეშა და გესლიანი მუჭარით წავიდა.

— დაპაცადე, შე უწმინდურო, შენა. განანებ, ხვალვე განანებ, შე წუნკალო, წუწკო...

— ლამბალო!—ყუმბარასავით მიახალა პასანამ ასურელ ყაშას და მხიარულად ვადიკისკისა.

გამახსენდა დარიგება წითელი ჯვრის მთავარი რწმუნებულის გოლუბგვისა, რომელმაც წამოსვლის დღეს მითხრა:

— თრმიის სამკურნალოს გამგე ვერ მოფრიგდა იქაურ ხელისუფლებას. ჩენი ეპისკოპოსის პავლეს გული ვერ მოინადირა. იმ ექიმის მაგივრად თქვენ გვზავნით და ვთხოვთ ისე წაიყვანოთ საქმე, რომ ჩენი ხელისუფალნიც და სპარსელებიც მოიმაღლიეროთ. ნურაფერს მოერიდებით. დაურიგეთ რაც გექნებათ: შესქელებულ რძე, ლვინო, კონიაკი და... ერთი სიტყვით, თქვენი იმედი მექნება. უფრო ჩვენს, მართლმადიდებელ მისიას მიეშველეთ. ათასობით ინახავენ ლტოლვილ ასურელებს. ჰო, მართლა: სამკურნალოში ვიდაც ასურელი მღვდელი მსახურებს. მათი უსამღვდელოესება პავლემ ვწერს: უუპატიოსნესი აღამიანიო, წმინდანიო: თავმდაბალი, მშრომელი და ჩენი ერთგულიო. სამკურნალოს გამგე იმ ღვთი! ნიერს თურმე ძალიან აწუხებს. ვთხოვთ იმ მღვდელს





ეროვნული

მფარველობა გაუწიოთ... ძალიან მასიამოვნებთ... თქვენს სამუშაოს შესრულებას...  
გზა მშვიდობისა... ღმერთმა ხელი მოვიმართოთ.

ღმერთმა ხელი მოვიმართა და ეს „ღვთისნიერი ყაშა“ პირველივე დღეს  
წინ დამიხვედრა. ლაზარეს ზურგს თვალი გაეაყოლე და გაეფიქრე:

— აი ვინ გადააყენა ჩემი წინამორბედი. ამ ბუცესმა ჩამომიყენა ამ სი-  
შორეზე. ამასთან მექნება საქმე. ამას უნდა გაეუწიო მფარველობა. კეთილი და  
ბატოსანი. გაეცნოთ და გავხაროთ ერთმანერთი.

ნახევარი საათის შემდეგ ჩემმა წინამორბედმა სამკურნალოს სასადილოში  
შემიყვანა. დიდი დარბაზი სავსე იყო თანამშრომლებით—საექიმო და ადმინის-  
ტრატორიული პერსონალით: სათხოვების დეპარტამენტით, ექიმებით, აგენტებით და შრა-  
ვალი სხვა მოხელეებით.

ერთმანერთი გავიცანი და ჩაიხე დაესხედით. ყაშა ლაზარე მოუსვენრად  
იჯდა: უშნოდ იკრიკებოდა, საიდუმლოდ ჩურჩულებდა და უსაქმოდ ფუსფუ-  
სებდა. უცებ ერთს დაეს მიუბრუნდა და ხმა მაღლა მიაძახა:

— დგაო სოფიო, თქვენი აუადმკოფები ჩივიან, კარგად ვერ გვივლისო.  
უკანასკნელად გაფრთხილებთ.

მერე მოხსტა და დარბაზიდან გავარდა. სიჩუმე ჩამოვარდა. გავკვირვებით  
გადავავლე თვალი ჩნს ახალ თანამშრომლებს. აქა-იქ ჩემი ფრუტუნი გაისმა.  
ჩემმა წინამორბედმა თავი ჩაღუნა. იმავე წუთს ეზოდან ყაშას გრგვიწვა მო-  
ისმა:

— ლომოვ, შე მამაძაღლო, შენა! სად მიათრეე მაგ შეშას?!.. კალიბენკო,  
შე ჰარამზადე, შენა! გაავდე ეგ ძალღი მანდედან!

და სანამ დილის საუბრის გაერთიანებდით, ყაშას რისხვა და ლანძღვა ხან  
ერთის მხრიდან ისმოდა, ხან მეორედან:

— გაეთრე აქედან!.. რას დაებეტები ამ ეზოში!.. გადადგი ეგ ფეხები,  
წელი ნუ გწყდება!.. აბა, კარგად მოუსვი ეგ ცოცხი!.. შენ, ჰეი, მუქთაბორავ,  
წყალი მომართვი!

თან ყოველს შეძახებას ისეთს უწყაშურს სიტყვას მიაცოლებდა, რომ ქა-  
ლები სირცხვილისგან იწყონდნენ.

დარბაზი დაცალიერდა. მე და ჩემი წინამორბედი მარტონი დავრჩით.  
იმ ეტონს ჩემთვის სამკურნალო უნდა ჩაებარებინა და ტფილისში დაბრუნებუ-  
ლიყო ვკითხე:

— ერთი ნიბრძანეთ, ვინ არის, რა კაცია ეს ყაშა?

ექიმმა გაიღიმა:

— ყაშა ლაზარე ამ სამკურნალოს განგვა.

— მართლა? ნამდვილი გამგვა?

— ნამდვილზე ნამდვილი. პასუხისმგებელი მე ვარ, პატრონი კი ეგ არის.  
ორ თვეში ამ სამკურნალოდან გაიქცა თხუთმეტი სათნოების დაჰ, შეიდი ეტონი  
და ოციოდე სხვა თანამშრომელი. დანარჩენებიც სიხარულით წავლენ აქედან.  
წასვლა მეც მიხარია, მაგრამ თქვენ მებრალეებით.

— გმადლობთ ძანაგრძობისთვის. დავაშავე, რომ წამოვედი. მაგრამ ნა-

გვიანვე სინანულს შეჩვეული არა ვარ, რაკი გავბრიყვედი, უნდა ბოლომდისაც გავიტანო. კიდევ მიანბეთ.

კიდევ მიამბო:

— მოკლედ მოვახსენებთ. ყაშა აქაურია. ათიოდე წლის წინათ ქურდობდა, კონტრაბანდას ეზიდებოდა და ჯაშუშობდა. მერე მამა შემოაკვდა.

— მამა?!

— დიალ, ღვიძლი მამა მოჰკლა, შინარეს მიეპარა, ყელი გამოსკრა და თავი ჩვენს მისსიონერებს შეაფარა. ჯერ შეინახეს, მერე რუსეთში გააპარეს. სტავროპოლში ლუდის დუქანი ჰქონდა, დუქნის უკან—ბნელი ოთახი, ხოლო ეზოში სამი ქალი ჰყავდა.

— საროსკიპო?

— დიალ, ნამდვილი საროსკიპო. ამავე დროს სასულიერო სემინარიაში შინაურ კაცად ითვლებოდა. ბერები, სემინარელები და ყაშა ერთმანერთის მუშტრები იყვნენ. დიდხანს ჰბანეს ერთი-მეორეს ხელები. ერთხელ ყაშას დუქანში ქალებმა მუშტარი დაახვეს. ყაშაც დააპატიმრეს. ისევე ბერებმა უშველეს: გამოიყვანეს, ანათორა ჩააცვეს და სამშობლოში დააბრუნეს. ხელი ვერავინ ახლო. რუსეთის ქვეშეურდომია! მისიონერია! მართლმადიდებელ ეკლესიის ერთ-გული მუშაკია!

— ზოგი ნაჭარბი იქნება.— ჩავურთე მე.

— არც ერთი სიტყვა. ბევრიც დავაკელი. აქაურს სამხედრო გამომძიებელს სტელი საქმე აქვს შედგენილი. წაიკითხეთ. ყაშას ჯაშუშობასაც აბრალებენ.

— მერე? როგორ ვადარჩა?

— ძალიან ადვილად. ჩვენი ეპისკოპოსი პავლე უფრო ხელს მოიკრის, ვიდრე ყაშა ლაზარეს დასთმობს. ეგზარხოსი, მეფის ნაცვალი, მიტროპოლიტი, სინოდი, ობერპროკურორი და... შეფე-დედოფალიც პავლეს უფრო ენდობიან, ვიდრე საკეთარ თავს.

— ეს ყაშა რალად სკირდება ეპისკოპოსს?

— ჩვენი მისსიონერები მართლ-მადიდებელთა სულებზე ნადირობენ. სხვებიც არიან: კათოლიკენი, ნესტორელნი, იაკობიტები, ამერიკელნი და ინგლისელები. აგრ, იმ მთების გადაღმა ნამდვილი ომია გაჩაღებული. მაგრამ აქაური ომი სიმძაფრით და კაპასობით იქაურს არ დაუეარდება.

— რით იბრძვიან?

— ყველაფრით: ფულით, ხორბლით, მკურნალობით, მფარველობით, დაშინებით, დაპირებით და... ტყუილით. ყველას ჩვენებმა გადააპარბეს. რუსი ვარ, მაგრამ არ ვმალავ: რუსობის მცხვენიან.

— ყაშა ალბად მძლავრი მებრძოლია.

— ძალიან. იბრძვის საოცარის წხამით, ათასი ხრიკით, კბილებით და ფრჩხილებით: იბრძვის თავგამოდებით, გულმოდგინედ, მძაფრად და დაუნდობლად. არასტერს არ ერიდება. პავლემ რომ უთხრას, შენი დაწინაურებისთვის სა-



გერმანული  
კულტურის

ჭირია ყველა ასურელების ამოხოცვაო, ერთსაც არ გადაარჩენს: არც ასურელთა პატრიარქს—მარშიმუნს. არც საკუთარ ცოლ-შვილს.

— ცოლიც ჰყავს?

— მონათლული ურია. ცოლის მონათვლით დაიწყო ნათლისმცემლობა და მოძმეთა სულელების ცხოვება. ცხრაჯერ გამოიცვალა სარწმუნოება. ეხლა მართლმადიდებელ ეკლესიას ჯაჭვით ჰყავს დაბმული. მაინც ცულღეტობს. ცოლი რუსეთში მუშაობს: ყაშის ფულით ჰყიდის, ყიდულობს და ჩარჩობს. ყაშას აქ ათიოდე ერთგული აგენტი ჰყავს. იმ აგენტების შუამავლობით საკუთარს მრევლს ხან კათოლიკეთა ეკლესიას მიჰყიდის ხოლმე, ხან ანგლიკანურს, ხან-კი ეპისკოპოსს ჰაველს.

— და ყველგან ფულს იგებს ალბად.

— რა თქმა უნდა. აქი მოგახსენეთ: ასურელები ისე ჰყიდიან თავიანთ სულელებს, ხოლო მისისიონერებიც ისე ჰყიდულობენ, როგორც ქათმებს, ყველს და ბრინჯს. ყაშა ლაზარეც ყოველთვის მაჰანკლობს და ფულებს აგროვებს. ტფილისში სახლიც იყიდა.

— რამდენჯერ შეიძლება სჯულის გამოცვლა?

— წელიწადში თუნდ თორმეტჯერ.

— მაშ ასურელებს მოსაგები ხელობისთვის მიუვნიათ.

— არც ვამტყუნებ. გავაბრიყვეთ, ავაჯანყეთ და ოსმალებს და ქურთებს უამრავი გაეაღელტინეთ. თუ ომი წავაგეთ, აქაური თათრებიც მრავალს მიუძღვნინან.

— ეინ მიიღო სამსახურში ყაშა?

— ტფილისიდან მოვიდა ბრძანება. ეპისკოპოსმა პავლემ მოახერხა. ეხლა ეს სამკურნალო უფრო პავლეს ეკუთვნის, ვიდრე წითელ ჯეარს. საკურნალოში ზოგჯერ დაპრილი სალდათებისათვისაც არ არის ალაგი, ავადმყავთ ასურელს კი უარს ვერ ვებტყვი.

— მერე? ჩერნოზუბოვი რას ამბობს?

— იღრინება, მაგრამ კისერს იდრეკს, რადგან ეპისკოპოსს დიდი გავლენა აქვს ზემოურბებში. ეშინიან, არ გადაამაყნონო.

კიდევ დიდხანს ვიბაასეთ. მეოე, ეზოში რომ გამოვედით, ყაშას ყვირილი და დედაკაცების წივილი მოგვესმა. ყაშა ლაზარეს ანაფორა აეკრიფნა, დაკარწახებულ დედაკაცს ჯობით დასდევდა და გაჰკიოდა:

— მომპარა! საპონი მომპარა! ლაჯებში ვუბოვნე. ჰაი, შე ქურდო, კახპავ, ჰარამზადავ!

ყაშა ლაზარეც და მრეცხავი დედაკაციც სირბილით შენობას მიეფარნენ. ორივემ გულიანად გაეციინეთ.

— ორივენი იპარავენ.—სთქვა ექიმმა.—ალბად დღეს ვერ მორიგდნენ. გაცარცვა ყაშა ლაზარნა სამკურნალო, გაცარცვა. საცვალს, ქერს, საბნებს და სანოვაგეს ურმობით ჰყიდის.

— ან რამდენიმე დღეში მოვიშორებ მაგ ავაზაკს, ან მეც ტფილისში გავყვებით,—ვეთხარი მე და ცხენს მოვაჯექი. ურმიელ დიდებულებთან და წარ-



ჩინებულებთან სადარბაზოდ მივდიოდი. ჯერ კორპუსის ექიმი ვინახულე, მეორე ორივენი გენერალ ჩერნოზუბოვს ვეწვიეთ.

ჩემი გვარი რომ გაიგო, შებლი შეიქრა და წაიბურტყუნა:

— თქვენც ქართველი ხართ?

— დიალ, გენერალო, ქართველი ვახლავართ.—მტკიცე ხმით ვუბასუხე და ბრძოლისთვის მოვემზადე. მაგრამ ბებერმა, იქვიანმა, გამოქნილმა და კკვიანმა მელამ დროზე დაიბია.

მცირე ბაასის შემდეგ ვკითხე:

— წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, რომ ყაშა ლაზარე სამკურნალოს ჩამოვაშორო?

— თუნდ კისერიც მოსტეხეთ. ჩემი საქმე არ არის.

— მეც მაგაზე მეტი არაფერა მინდა. გმადლობთ, თქვენო აღმატებულებაე. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— მშვიდობით იყავით. ეცადეთ საქმე გამოასწოროთ, თორემ ეგ სამკურნალო კი არ არის, არამედ მეძავების და ქურდების ბინაა.

ეს სიტყვები გულში მომხედა, მაგრამ თავი შევიმაგრე, რადგან გენერალი ამ საყვედურს მე არ მიმიზნებდა.

სამკურნალოში დავბრუნდი. სამნეო ნაწილის გამეც დავიბარე და ვუბრძანე, რომ ეხლავე გაეგზავნათ გენერალ ჩერნოზუბოვისთვის და ითმად დოქტორსთვისაც ლენო, კონიაკი, გალეტები, მოცვის წვენი და სხვა გემრიელი სასაზავე ასე მქონდა დაბარებული ტფილისიდან; არავის აწყენიოთ, ყველანი მოიმაღლიერეთ და არაფერს მოერიდოთო. მეც კარგად ვიცოდი გემრიელ სასმელ-საქმლის ძალა იმ ქვეყანაში და ეს თილისმა უმაღლე მოვიხმარე. მერე ისეც ცხენს მოვაჯექი და ოდევოცი წუთის შემდეგ მართლმადიდებელ მისისის თავს—უპისკობის ბავლეს საკანში შევედი.

წესი შევასრულე: მაღალსა და მეტად ლამაზ ეპისკოპოსს ფაფუკ ხელზე ვემთხვიე, კურთხევა ავიღე და მივიხედ-მოვიხედე. საკანი სასახლის ოთახს ჰგავდა. კუთხეში ყაშა ლაზარე უმანკო კრავივით მობოზულიყო.

უკვე გაფრთხილებული ვიყავი: პაულე მეტად ზრდილობიანი კაციო, მაგრამ თუ ოდნავ მაინც საკუთარი უფლება და აზრი გამოიჩინეთო, მაშინ ენატკბილი ბერი დაუნდობელია და მოურიდებელიო. მისი თხოვნა ბრძანებაო, ხოლო აზრი—უდავო ქეშმარიტებო.

— დაბრძანდით, ბატონო ექიმო. როგორ იმგზავრეთ? როგორ მოგეწონათ აქაურობა?—ალერსით გამომკითხა ეშხიანმა ვაეკაცმა და, ბოლოს, მკითხა:—თქვენ ქართველი ბრძანდებით, არა?

— დიალ, ქართველი ვახლავართ.—ვუბასუხე მე და სიტყვა „ქართველი ვახლავართ“ ხაზგასმით ვიხმარე.

მან თანაგრძნობით და ნუგეშით მიპასუხა:

— ქართველობა დიდი უბედურება არ არის. ქართველიც ადამიანია. კეთილი ადამიანი ქართველებშიც მოიპოვება.

თვალეში შევხედე, მაგრამ ამარიდა.



ერეკნული  
ხელოვნება

-- მართალს ბრძანებთ, თქვენო უსამღვდელოესობავე, — ეპისკოპოსის ლმო-  
ბიერი კილოთივე დავადასტურე მე. — კეთილი ადამიანი მართო ქართველებში  
კი არა, არამედ რუსებშიც კი მოიძებნება.

ერთმანერთი თვალებით დავხვრიტეთ. ჩემმა „რუსებშიც კი“ გაკრავებული  
მგელი გულში დასჭრა.

— ისიც უუდიდესი კეშმარიტებაა, რომ „ქართველიც ადამიანი“ — თავ-  
მდაბლად განვაგრძე მე.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. — ჩაიბუტბუტა წაბლისფერ წვერში  
მართლმადიდებელ მისიის მთავარმოძღვარმა. — მე მოგახსენებთ, რომ ქართვე-  
ლობა..

— თქვენ ბრძანეთ, — ჩამოვართვი სიტყვა, — თქვენ ბრძანეთ, ქართველობა  
დიდი უბედურება არ არისო.

— მართალია, მაგრამ...

— მაგრამ, — ხელ მეორედ ჩამოვართვი სიტყვა და ხმაში ფოლადი ჩაეის-  
ხი. — გულწრფელად მოგახსენებთ, თქვენო უსამღვდელოესობავე, რომ ქართველო-  
ბა ჩემთვის უუუდიდესი ბედნიერება გახლავთ.

— ვოოტ კა-ა-აჟ?! — წრფელის გულით გაიკვირვა ბერმა და ლამაზი წვე-  
რი მარმაროს ხელით მოიაღერსა.

— დიიად! — ცულით გამოვკვეთე ერთი სიტყვა, და მცირე დუმილის შემ-  
დგმ ერთხელ კიდევ მოვუქარი: დი-ი-ად!

მავლეს პირისახეზე არეულობა დაეტყო, იის ფერი ფარჩის ანაფორა გადი-  
ქცვა, უფსახოსი ქარვის კრიალესვანი ამოიღო და ნერვიულად აათამაშა.

მე წამოვდექი:

— ნება მიბოძეთ თქვენო უსამღვდელოესობავე... გიახლებით.

ეპისკოპოსმა ჩემს რისხვას უმაღლე აღერისის და ბოდიშის ფარი შეუშვირა:

— მოითმინეთ, ბატონო ექიმო, მოითმინეთ. დაბრძანდით. თუ გაწყენი-  
ნეთ რამე, მაპატიეთ ქართველები მეტის-მეტად ამაყები არიან.

— არა, ამაყები კი არა ვართ, არამედ თავმოყვარენი.

— შეიძლება აგრეც იყოს. არ გედავებით. დაბრძანდით, ცოტა მოვილაპა-  
რაკოთ.

ბოდიში ვიქმარე და ისევ დავჯექი. ცხადი იყო, რომ გაბერებული მგელი  
არც „კი“-ს მაპატიებდა, არც „ქართველობის ბედნიერობას“ და არც თავის  
ბოდიშს. ხილული იარაღი დავყარეთ და უხილავით აღვიქურავეთ.

ეპისკოპოსი მოთქმას და ჩივილს მოჰყვა: მართმადიდებლებს ყველანი  
სდევნიან: ნესტორიელი პატრიარქი — მარშიმუნე ბენიამინე, — კოუ, ფლიდი და  
უსახლკარო ლტოლვილი, რომელსაც რუსეთი ინახავს; ამერიკელი მისსიონერი  
— მხაკვარი დოქტორი შვედ, რომელიც დოლარებით ყიდულობს საცხონებელ  
სულებს; რუსეთის მოკავშირე ფრანგი იეზუიტი მონსინიორი დელაკრუა,  
რომელსაც გაიძევრობაში მუსლიმანებიც კი ვერ დაეწვეიან; ინგლისელი  
მისსიონერი ბრაუნე, — ოპირი და გამოქნელი ფარისეველი, რომელმაც  
სტერლინგებით გაავსო ურშია. ეს კიდევ არაფერი: სპარსელებიც, — წუნ-  
კალი, ველური „პერსატუებიც“ კი ჩუმ-ჩუმად სდევნიან მართლმადიდებელ ასუ-



რელებს და ათასი ხრიკით იბრძვიან თავიანთი „უწმინდესი“ სწავლების დასაცავად! არა, სად გაგონილა, რომ ურშიაში, „წმიდა რუსეთის გათუქრულ აზერბაიჯანში“, აქვე, თავრიზში სპარსეთის ტახტის მემკვიდრე — „ვალაგდი“ იჯდეს და ფეჭრობდეს, ვითომ თავრიზი და ურშია „წუწკს“ სპარსეთს ეკუთვნოდეს! როგორ არა! რუსებმა აქ იმითომ კი არ დაძღვარეს ესოდენი სისხლი, რომ მერე ბარგი აიკრიფონ და უკანვე დაბრუნდნენ. სანამ ცოცხალია ეპისკოპოსი პავლე, „პერსატუები“ ამას ვერ მოესწრებიან.

უფარგისი დიპლომატი გამოდგა მართლმადიდებელი მისიის მეთაური. ალბათ ეგონა: ეს ექიმო თანამებრძოლად გამომადგებაო, ამიტომ მოურიდებლად გაიღელა გული და შიგ ჩამახდა.

მინდოდა მშვიდობიანი მეზობლობა გამეწია, მაგრამ ჩენი გზები თავიდანვე გაიყარნენ. აუცილებელი შეტაკების გადასადებლად მოზაასეს სიტყვა გაავიწყვდინე:

— მამაო, — ეუთხარი, — მე, რა თქმა უნდა, დავგებმარებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ტულისიდან ვერ წამოვიღე შესაფერი დარიგება. მე ხეაღვე მოეთხოვე კამერპერ ვალუბევს დარიგებას, მაგრამ, სანამ პასუხი მომივა, გთხოვთ მიბრძანოთ, როგორ შემიძლიან ვემსახურო „საერთო საქმეს“?

— როგორ უნდა ემსახუროთ? წითელ ჯეპის მრავლად აქვს ფული, საცვალი, სისმელ-საჭმელი და ათასნაირი ჭონება.

— სახაზინო ფული და ქონება. — მოვაგონე მე.

პავლემ თითქო ვერ გაიგო ჩემი პასუხი. განა სულ ერთი ჯიბიდან არ მოდის მისიის, წითელი ჯერის და ლაშქრის ჭონება? ვინ არის დამთვლელი? ვინ არის პასუხის მომთხოვე? ბოლოს და ბოლოს, საქმე ისედაც კარგად არის დაყენებული ჩემს სამკურნალოში. ოღონდ დღევანდელს ნუ შევეცვლი და ახალს ნურაფერს დაეადგენ.

— მეტი არაფერია საქირო. ყაშა ლაზარს გამყვეით.

მეტი არაფერია საქირო! ოღონდ ეს მკირედი დარიგება უნდა შევესრულო ბერს პავლეს.

ყაშა ლაზარეს ხსენებაზე კუთხენი მიკუნქული სტაფილოს თავი შეინძრა, ყურები სცქვიტა და თვალები ააცეცა.

— ყაშა ლაზარე წმიდა კაცია. — განავრძო პავლემ.

„წმიდა კაცმა“ თავი მკერდზე ჩამოიგდო და ხელები გულზე დაიკრიფა. ბერს თვალი თვალში გაფუყარე. მიმიხვდა:

— ნუ დაიჯერებთ, თუ ავი გითხრეს.

— ქვეყანა შურიტ არის სავსე. — ჩაიკნაველა ყაშა ლაზარემ.

— ავი არაფერი გამიგია, — ვიყალბე მე, — მაგრამ ყაშა ლაზარს თავისი საქმე აბარია.

— რა თქმა უნდა, მაგრამ... — გაავრძელა პავლემ და აღარ დაამთავრა.

არც იყო საქირო. ერთმანერთისა კარგად გვესმოდა. ბერმა ბაასის საგანი განმარტა:

— აი, მაგალითად, დღევანდელი იმბავი. ვინა ჰგდია „ახლად მოთრეული ერწალი „შათობი“ № 5 (13)



ეროვნული

წუწკი პერსაჟი—ურმის გენერალ გუბერნატორი,—რომდენი წყაროა გაუგზავნეთ?

— თქვენო უსამღვდელოესებავ, ჩვენ სპარსეთში ვართ.—გაეახსენე მე.

— ტყუილია!—წაწოიძახა ეპისკოპოსმა და მაგიდას ხელი დაჰკრა.—ტყუილია მეთქი! თქვენ ალბად გენერალმა კულებიაციონმა დაგარიგათ.

— არ ვიცნობ, არ მინახავს.

— სულ ერთია, ისიც წაგას აწმობს. გენერლებიც გაგაყდნენ. რუსული საქმისა აღარაფერი ესმით. ის კულებიაციონი მეფის ამალის გენერალი რომ არ იყოს, ორ დღეში გავაგდებდი აქედან. თუმცა,—ეპისკოპოსმა ლმობიერი ზეზლით გაიღიმა,—თუცა პოეტ გენერალს ბევრი არაფერი მოეთხოვება.

ეპისკოპოსი ისევ რუსულ რაშს მოაჯდა. თუ ჩვენი საქმე ასე წავიდა, უნდა აქედან ავიყარნეთ. ყველანი გვიბრიყვიებენ და დაგვცინიან. „წუწკი თათრებიც კი“ იმარჯვებენ მართლმადიდებელ ეკლესიაზე.

„წმინდა რუსეთის საკმეებმა“ ნახევარ საათში გამაბრუნეს. ძლივს დავალწიე თავი. ხელზე რომ ვემთხვიე მართლმადიდებელ ეპისკოპოსს, თავიც და გულიც უკვე რუსული საკმეველით მქონდა გატენილი.

•••

ცხენი წელის ნაბიჯით მიმყავს დახურულ ბაზარში. უუზარმაზარი ქარვასლა დაერუბებულია ასნაირი ხმებით. ისმის ცხენების ჭიხინი, ვირების ყროყინი, აქლემების ბღაელი, მეჭურჭლეთა რაბა-რუხი, გამყიდველთა კივილი და ქრული ხალხის კივილი, ფუსფუსი და ჩოჩქალი.

ჩადრებაში გაავეული დუდაკაცები დუქნებში ჩაცუცქულან და საქონელს ირჩევენ. ზოგჯერ პირსახვევს ოდნავ გაიხსნიან და მამაკაცს უჩინარ თვალის ელვას სტყორცნიან. იქვე, ცის ქვეშ, ხრაკავენ, სწვავენ, ხარზავენ და სკამენ მწვადს, ზინჯალს, ყაურმას და ფლავს.

ცხენმა მცირე მოედანზე გამიყვანა. ერთ ალვის ხეს ხალბი ეხვევა. ხეს თათრის ვადაპარსული თავი მიჰკვრია. გვერდით გაეჟარე. ჩემი ლამბალო ვიციანი.

მაშადი ჰასანი ერთის ყურით იმ ზეზე იყო მიღურსმული. ცალი მკლავით ხეს შემოახვეოდა. მეორე ხელი მათრახივით ეკიდა. ყურიდან სისხლი თქრილით ჩამოსდიოდა. ნაცრის ფერი პირსახვევს ევარცნულს ნიუგაგდა. თვალები მილულული ჰქონდა. ვაცრეცილი ტუჩები უთრთოდა.

ტანში ბრაზის და ძრწოლის ერუანტელმა დამიარა, ცხენი შევაყენე და ლამბალოს აკანკალებული ხმით დავუძახე:

— მაშადი ჰასან!

ლამბალომ თვალები ძლივს გააბილა, უაზროდ შემომანათა და ისევ მილულა.

— მაშადი ჰასან!—დავუძახე კიდევ ერთხელ.

კვლავ თვალები გააბილა და შემოიხვედა.

— მაშადი ჰასან, მიციანი?



ერყენულნი

ლაშქალოს ტუჩებზე დაგრებილმა ღიმილმა გადაჰკრა. ზიტყვით უკმარო ოხვრით ამოიოხრა და ჩურჩულით გადმოაგდო:

— აკი მოვახსენეთ, ვალი არ მაპატივებს შეტყი.

— კეთილი, — ძლივს ამოვიხრიალე, — ეხლავე ენახავ ითიმად დოულეს.

ხალხში კმაყოფილების ჩურჩულმა გაიბზინა. უცებ სტაფილოს თავს მოეკარი თვალი. ყაშა ლაზარე ვილაცის ამოჰფარებო და მეჭისტოფელის ღიმილით იკლავებოდა. დაფუძახე:

— ყაშა ლაზარ, თქვენი ხელიც ხომ არ ურევია ამ საქმეში?

ლაშქალო მიმიხვდა. ოდნავ თვალი დამიქნიდა და ყაშა ლაზარს თვალები დაუბრიალა.

ცხენი მოვატრიალე. ჯერ გაქანებულის ჩორთით მივეშვი, მერე ნავარდზე გადავიყვანე.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ვალის დარბაზში შევიედი.

ვილაც მოხელე და ერთი მოხუცი წვერშეღებელი, დაბალი, წელმოხრილი და მოხუცებული მდაბიო თათარი ერთმანერთს ჩურჩულთ ევაკრებოდნენ. არ მომერიდნენ და ვაქრობა განაგრძეს. იღბად იფიქრეს, ამ ურუს თათრული არ ეცოდინებაო. მოხუცი სტიროდა:

— შემობრალეთ... მაპატიეთ... ათი თუმანი ვინ მომიცა!

— ათი, ნაკლები არ შემიძლიან. — მტყიცედ უპასუხა მოხელემ.

— ხუთიც ძლივს ვიშოვნე. შეილი მიპატიეთ. ჩემი სირცხვილია... ბაზარში ყურით გაკვრა...

უცებ მივხვდი. უმაღლე ზედ მივადექი და მოხუცებულს თათრულად ვკითხე:

— თქვენ მაშადი ჰასანის მამა ხომ არა ხართ?

მოხუცი იცქმუტდა და აკანკალდა:

— დიად, ალა, დიად... მაშადი იზხათ ვახლავართ.

— თავი დაანებეთ ვაქრობას. ერთი კრანიც არ მისცეთ. ეხლავე გაგი-თავებთ საქმეს.

— ალლაჰმა ხერი მოგცეს, ღვთისნიერო!

და მოულოდნელად ხელზე დამწვედა.

მოხელემ ბრაზით გადმოიმხვდა, მაგრამ ჩემს თვალებს რომ წააწყდა, მოიკაკვა და იმ ოთახიდან თავივით გაუცდა.

იმავე წუთს მეორე მოხელემ მეორე დარბაზში შემიყვანა.

ითიმად დოულე ხალიჩებში და აბრეშუმის ბალიშებში იყო ჩაფლული. ფეხზე წამომიდგა, ორივე ხელი გამომიშვირა და მზიარულად მომადახა:

— ააა, მონ ამი, მონ შერ ამი, — ჩემო ძვირფასო მეგობარო! თქვენი სა-ჩუქარი მივიღე. გმადლობთ, დიდად გმადლობთ, ჩემო „იოლდაშო“...

ჩემი პირსახის სუსხმა სიტყვა გააწყენებინა და იერი აურია.

— ვალი, მადლობა მერე იყოს, — შშრალად მოუეჭერა თავიზიანობა. — მე სხვა საქმისთვის გეახელით.

— დაბრძანდით, მესსიე დოქტორო, ჯერ დაბრძანდით.

მისი პატივი არ მივიღე და განვაგრძე:





ერკინეული

— გმადლობთ, მესსიე ვალი. გთხოვთ გამაგებინოთ, ვინაა ესე სასტიკად მაშადი ჰასანი?

— ვინ არის მაშადი ჰასანი? დღეში მე ორმოციოდე კაცს ვსჯი. ყველას სახელს ვერ დავიხსოვებ.

— მაშადი ჰასანი ჩემი მეზალე და შეეტლვა. გუშინ გაულმანბანედან მომიყვანა. თქვენც დაინახეთ ის კაცო. გაიხსენეთ.

ვალიმ თავი მოიკატუნა. მხრები შეიშმუნა, თვალები ჭერს მიაპრო და წაიბუტბუტა:

— არ ვიცი... არ მახსოვს. იმოდენა მეხსიერება არა მაქვს, რომ ერთხელ ნახული ვილაც შეეტლე დავიხსოვო.

— თქვენს მდივანს მაინც ჰკითხეთ, იმას ეცოდინება.

— მდივანი უკვე წავიდა.

გამახსენდა წელანდელი ვაჭრობა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ის იარალი შევიწინებ.

ვალი გულგრილობის და ოფიციალობის ნიღბში გაეხვია. მაგრამ ნეც ჩემი დავიფინე:

— მესსიე ვალი, ის კაცი დღეს არის დასჯილი. გაიხსენეთ ყაშა ლაზარე, ქერა.

— ააა,—მოიგონა დოულემ, — მახსოვს, მახსოვს. მე და თქვენმა მუშტეჰიდმა, ებისკოპოსმა პავლემ უკვე ვაეცანით ერთმანერთი. ჯერ პირისპირ არ შევხვედრივართ, მაგრამ დღესვე მოციქული გამოვგზავნა და პირველი მსხვერპლი მომთხოვა.

— თქვენც დაუთმეთ არა?

— კე ვულე ვე.—მაშ რა ვქნა? რუსის ჯარი აქვეა.

— რა ბრალი დასდეს მაშადი ჰასანს?

— სამკურნალოდან დღეს დილით ცული მოიპარაო.

— ვალი, სამკურნალოს განგე მე ვახლავართ. ეს ამბავი გუშინვე მოგახსენეთ. მე ცულის მოპარვა პირველად მესმის.

— ურშიაში რამდენიმე სამკურნალო ყოფილა. მე არ ვიცი რომ მაშადიმ თქვენ მოგპარათ ცული.

— მაშადის ცული არ მოუპარავს. ყაშა ლაზარე ჩემს სამკურნალოში მუშაობს, მაშასადამე ეს ამბავი შეც უნდა მცოდნოდა და საჩივლეულადაც მე უნდა მოვსულიყავი. მაშასადამე...

— მაშასადამე ურუსნა მუშტეჰიდმა მომატყუა.

— ყაშა ლაზარე მაშადი ჰასანის მტერია.

— მესმის... ეხლა კი მესმის. გამოვიძიებ და...

— მაშადი ჰასანი უბრალოა. გთხოვთ საჩქაროდ გაანთავისუფლოთ.

ითიმად დოულემ ვაკვირებით შემომხედა:

— რად სჩქარობთ, მესსიე დოქტორ: ვილაც ჰამბალისთვის ვგრე რიგად თავი არ უნდა შეიწუხო. გუშინ პირველად დაინახეთ ის უნიუბო და დღეს ვგრე ცხარედ ესარჩლებით?

მე უბრალოს ვესარჩლები, ვალი.

— თუნდ ვგრეც იყოს. ყველა უბრალოს რომ გამოუდგეთ, სიცოცხლე ჩავიშვარდებათ.

მე და ვალის—ფიცხა და სიმართლის მდევარს ქართველს, და მოშლილ ირანის შვილს—ერთმანერთისა არ გვესმოდა, ამიტომ უნალეე გეზი შევიცვალე. ვუთხარი:

— ვალი, მე ვილაც მაშადის კი არ ვესარჩლები, არამედ ჩემს უფლებას და რუსეთის სახელს ვიცაე.

ითიმიად დოულემ მაშინვე გაიგო ჩემი ნათქვამი:

— ჰოოო, ცხლა კი მესმის. ეგ სულ სხვა საქმეა. სამეურნალოს დირექტორი თქვენ ბრძანდებით. ყაშა ლაზარე თქვენი ხელქვეითია. ცული თქვენ მოგპარეს,—თუ, რა თქმა უნდა, მართლა მოგპარეს, — მაშასადამე...

— მაშასადამე, გთხოვთ დაუყოვნებლივ აღადგინოთ დარღვეული სამართალი.

— ეხლა კი მესმის. მაგომ ყაშა ლაზარეს რა ვუყოთ ჩემი მოტყუებით-სათვის?

— თქვენს მაგივრად სამაგიეროს მე მივუძღენი.

— დიდი მადლობელი, მონ შერ ამი, დიდი მადლობელი.

ვერცხლის ხარი დააწყარუნა და იმ მოხელეს, რომელიც წელან მაშადი იხზათს ევაქრებოდა, მოკლე ბრძანება მისცა.

მე და ის მოხელე ერთად განოვედით. მაშადი იხზათი კვლავ ატირდა და ისევე ხელზე დაშწედა.

— აბა, დააჩქარეთ!— ვუთხარი მოხელეს და ცხენს მოეხატი.

— ვერ მოგყვებით. მე ჩენის ნაბიჯით უნდა ვიარო.

პასუხად ხელში სამამანეთიანი ჩაეუდე. უმაღლე ვასპრა. ისეთი სირბილით დაძვდევნა, რომ კინაღამ ცხენიანს გამასწრო.

დუქნის წინ ცხენი იყო მიბმული. სპარსელმა მოხელემ ვილაცას რალაც მიიძახა, იმ ცხენს მოაჯდა და გვერდში ამომიძდა.

უკან მივიხედე. მაშადი იხზათი ჭაქანით და ჩანჩალით ფეხ-და-ფეხ მოგვდედა.

ხუთი წუთის შემდეგ იმ მოხელემ მიბნედილ მაშადი პასანს ყურიდან გახით ლურსმანი ანოლლო.

მოხუცი მამაც სწორედ ამ დროს მოლასლასდა და მოწვევითი შვილი მკერდზე წიისვენა.

ვილაცამ წყალი მოარბევინა. მეორემ მიბნედილ ლიმბალოს პირში პაპიროსი ჩასჩარა. ხალხი აჩოჩკოლდა. სამართალს უჩვევი თათრები სიხარულით ჩუროჩულებდნენ:

— გაურჯი აქინბაში, გაურჯი,—ქართველი ექიმია, ქართველი!

— აღლაჰში მწიფიდობა მისცეს... აღლაჰ იყოს მაგის შემწე... აღლაჰ ონა ზეირ ვერსინ.

ზოგნი ხელს მართმევდნენ:



ეროვნული  
ხელნაწილები

— ჩოხ სალოლ, ალა, ჩოხ,—მადლობელი, ბატონო, დიდი მადლობელი! მაშადი ჰასანს ჩემის ხელსაბოკით შეეუბზეე ყური და ვუთხარი:

— ლამბალო, წამომეყე. მე უნდა მოგაჩინო.

ლამბალომ ძლივს გაიღიმა.

აქა-იქ სიცილი ასტეხეს:

— ლამბალო... ლამბალო... ეს კარგი სახელია მაშადი ჰასანისთვის!.. ზედ გამოჭრილია!.. ლამბალო, როგორა ხარ?.. ლამბალო, გაჰყე გაურჯი ექიმს.

მაშადი იზნათმა ვილაყ თათარი ჩამოსეა ვირიდან, ზედ ლამბალო შესეა.. სადავე ხელში დაიჭირა და გზას გაუდგა. მივდიოდით და უქნიდან წამდაუწუმ გვესმოდა:

— გაურჯიდი, გაურჯი!—ქართველია, ქართველი!

დიდი სახელი ჰქონდა მაშინ გაურჯის სპარსეთში.

— ლამბალო, ყოჩაღად!.. ლამბალო, მადლობა არ დაგავიწყდეს!.. ლამბალო, ალლაჰს ნადლობა შესწირე!—არიგებდნენ უქნიდან მაშადი ჰასანს მისი მოძმენი.

იმ დღიდან ყველამ იმ თათრის ნამდვილი სახელი დაივიწყა და ზედმეტო „ლამბალო“ დაიხსომა.

\* \* \*

მეორე დღიდან სამკურნალოს ჩაბარებას და მოწყობილებას შევეუდგე. ჯერ აღარებული ქონება აეწერეთ. მერე ყველას თავისი საქმე მივუჩინე.

რამდენიმე დღის შემდეგ ყველანი თავიანთ სკანებზე ისხდნენ. ყველგან სასტიკი სამართლიანობა დამყარდა. მოშლილი საათი გაიწმინდა და ხრიალის მაგივრად რიგიანად აკაკუნდა.

ჩემმა წინამორბედმა ნიასხრა:

— ერთი დიდი სათხოვარი მაქვს.

— ბრძანეთ.

— დიდი ხანია დაეწმუნდი, რომ მე საქმის გამგედ არ ვარგვივარ. აღმინისტრატორის ნიჭი მაკლია. პატივი არ მიყვარს და პასუხის ვებასაც ვაფურბი. მე მომწონს მშვიდობიანი მუშაობა და თავისუფლება, ამიტომ გთხოვთ უნცროს ეტიმად დამტოვოთ ამავე სამკურნალოში.

— დიდის საამოვნებით.

იმევე დღეს ტფილისში დებეშა გამოეგზავნე და სამი დღის შემდეგ თანხმობა მივიღე.

ყაშა ლაზარეს ჩაბარებული ჰქონდა საჯინბე, საცელები და სანოვაგეს საწყობი. აწერიხ დროს ნაღდი დაეთრებს შევადარეთ. დიდძალი ქერი, თევასაცვალი და საკეები აკლდა. ოქმი შევაცენე და ყაშას განგებ ისევ წინანდელი საქმეები ჩავაბარე, თან თვალყურის დევნას ვუმატე.

ერთ კვირაში ცხენები მოსუქდნენ, საცვალიც უკეთესად ირეცხებოდა და საკვებიც გაუმჯობესდა.

ყაშა ლაზარე მოიკუნტა და მოიბუზა. იშვიათად სჩანდა. შერიდებოდა. აღარც მისი ჭკვირილი და ქუხილი ისმოდა.

ასიოდე ცხენს დიდძალი საცეები სჭირდებოდა. ინტენდანტი საკმაოს ვერ მიძღვედა, ამიტომ ყაშა ლაზარე ბაზარზედაც ყიდულობდა.

ერთხელ მაშადი ჰასანმა მითხრა:

— ალა, შენი ჭირიმე, მე იაფად მოგიტან ქერს, იონჯას და თივას.

ფასი ვკითხე. ლამბალომ ბევრად უფრო იაფად შემომიძლია, ვიდრე ყაშა ყიდულობდა. მოვურიგდი.

იმ დღიდან ყაშა ლაზარე თვითონაც იხერხებოდა და არც მე მისვენებდა. წამდაუწყებ მორბოდა და წუწუნებდა:

— წამობრძანდით და ნახეთ, როგორი ქერი მოიტანა იმ წუნკალმა „პერსაჟმა“. ქერი კი არ არის, ნაგავია, ნაგავი.

მეც მივდიოდი და ვსინჯავდი. „ნაგავი“ მშვენიერი ქერი იყო, ხოლო „დამპალს, ჭაობის თივას“ ცხენები მადიანად ახრამუნებდნენ.

საქმე რომ გაჭირდა, ყაშა ლაზარე საჯინიბოს ჩამოვაშორე და სამავიეროდ ნავთი და შეზა ჩავებარე. იმ დღიდანვე სამკურნალოს მენობლები ჩვენს ნავთს სწვავდნენ. ხოლო ყაშა ლაზარე იმათგან შეშას ერთი-ორად ყიდულობდა. ჯერჯერობით ვსდუმდი და ვიცდიდი.

სამკურნალოს წყალი აკლდა. ხოლო უწყლო სამკურნალო სამყევა ცხენს ემზავებდა.

ლამბალო ყოველ დღე მოდიოდა ყურის შესახვევად. თან უამრავი ბოსტნეულობა და ხილი მოჰქონდა.

— ლამბალო, — ვუთხარი ერთხელ, — ქის მთხრელი მიშოვნე.

— მამა ჩემმა ეგ ხელობაც იცის! — მიპასუხა.

— მაშადი იზხათმა! დამიძახე.

ორი საათის შემდეგ მოვიდა. მოვრიგდი. მაშადი იზხათმა ჯერ სამკურნალოს ეზოები მოიარა და ყოველი ნაბიჯი დასუნა. მერე ერთ ალაგს დაჰკრა ფეხი და სთქვა:

— ბურდა, — აქ უნდა გაითხაროს.

— დაიწყე.

იმ ალაგზე დაჯდა და „ნამახი“ შეასრულა. მერე ჭრელი ხელსახოცი გაშალა და ისაუბრა. ორი საათის შემდეგ იზხათი წელამდი მიწაში იჯდა. სალამოზე აღარც მისი თავი მოსჩანდა. იგი უუზარმაზარ თხუნელას ჰგავდა, რომელიც დროგამოშვებით თავისს სოროდან მიწას ჰყრიდა.

მეორე დღეს ნამაშვილი მოვიდნენ — მაშადი იზხათი და ლამბალო. მამა ისევ ორმოში ჩაძვრა სათხრელად. შეილს კი საბელზე მიბმულ რკინის ბადით მიწა ამოჰქონდა.

ყაშა ლაზარე ჭას შორი-ახლოს უვლიდა უღვაშებს იკენეტავდა და რაღაც ფიქრობდა. მეც იქვე ბაღში ვიჯექი. ყაშა ლამბალოს მიუახლოვდა. ლამბალო გახვედა. ჯერ ცახცახით შესესქვროდა ყაშას, მერე ჭვას დააელო ხელი და შეუტია:

— ლამბალო, ქაოფა ოლილი დამეკარგე აქედან, თორემ...



ერეკნული  
გვერდები

— ყაშა ლაზარ!—დაეუძახე მე!—მოშორდი მაგ ქას. თქვენი მაგ ხალხთან საქმე არა გაქვთ.

თავწალუნულმა ყაშამ გვერდით გაშიარა და წვერებში ჩაიხურტყუნა:

— უწმინდური „პერსაჟის“ წყალი ჭრისტიანს არ დაეღვივა. ცოდვია, დიდი ცოდვა.

მე გულში გამეცინა.

ლამბალომ მითხრა:

— ალა, ეს ყაშა სახეიროს არათურს ფიქრობს. რალაცას გვიპირებს.

— რას უნდა გიპირებდის, ლამბალო?

— არ ვიცი. მაგრამ... მაგის ხელიდან და თავიდან უწმინდურის მეტი არათური გამოდის, აი, ნახავთ: ბილწს რასმეს დავემართავს.

მესამე დღეს ქის თავზე ხარიხა გასდეს და ორი ბადია მიაბეს. საღამოზე მაშადი ჰასანმა მომძახა:

— ლამბალო! სუ ვეთუი—წყალი წამოვიდა.

მაშადი იზხაონა დაუმატა:

— დილაში ქა გაივსება. ხვალ მოვალთ და მიწას ავალაგებთ. ისე მოხდება, როგორც თავიდან მოგახსენეთ: გაზაფხულამდე წყალი ცოტა გექნებათ. აპრილში გეახლებით, ამ წყალს დავაშრობ და ერთ ადღზე კიდევ გაეთხრი. მაშინ ბევრი წყალი წამოვა. ქას ზამთარში სთხრიან, მაგრამ დიდი წყალი მხოლოდ გაზაფხულიდან მოდის.

— ლამბალო, შენი ქირი მე! მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

— გამარჯვებით, ლამბალო!

შუალამე რომ მოვიდა, სამკურნალო აყროლდა. იმ დღეს ფეხისალაგი არ გაუწმენდიათ, ანიტომ იმ სიმყრალემ გამაკვირვა.

დილით ყოველივე გამოირკვა.

— ლამბალო!—ყუმბარასავით იფეთქა დილით ჩემი ფანჯრის ძირში მაშადი ჰასანმა.—ლამბალო, ქაოდა ოლლი! ით! დონღუნი!—ძაღლო! ღორო!

— რა ამბავია, ლამბალო?—გადავიძახე ფანჯრიდან.

იმავე წამს თვალი მოვკარი ყაშა ლაზარეს ანაფორას, რომელმაც ბუჩქებში გაიფრიალა.

— აბრძანდით, ალა! აბრძანდით და ნახეთ ამ „დონღუნის“ ნაქნარი.

აუდექი და ვნახე: ქიდან განაეალის ძლიერი სუნი ამოდინდა.

— აი, უყურეთ, ალა, უყურეთ.—მიმითითა ლამბალომ ნაკვალევზე.

ქიდან ეზოს კუთხისკენ ნაკვალევი მიდიოდა. ქის ერთი ნაპირი მიწისგან იყო გაწმენდილი. რმალევი მიეხვდი: ფეხის ალაგის ორპოდან თვლებზე დადგმული დიდი ყუთი გამოეგორებინათ, უწმინდურება ქაში ჩაესხათ და ჯუთი უკანვე შეეგორებინათ. ასეთი ბინძური საქმე მხოლოდ ყაშა ლაზარეს ბინძური ხელიდან გამოვიდოდა.

— ლამობხეთ ყაშა ლაზარეს!—უბრძანე სანიტარს.

სამი წუთის შემდეგ სანიტარი დაბრუნდა:

— ყაშა ლაზარემ კარები ჩაიკეტა. ავად ვარო, ვერ მოვალო.

მე თვითონ წავედი მხეცის ბუნაგისაკენ. ლამბალოც გამომეკვა.

— ყაშა ლაზარ, კარები გააღეთ.

— არ შემინდობან, თავი მტკივა.—დაიკნაველა ყაშამ.

— ექიმიც მე ვარ, მოგარჩენთ.

— ექიმისა მე არაფერი მრწამს. მე ვლოცულობ. ხელს ნუ მიშლით.

ყელში ბოღმა ნიტრიალებდა, მაგრამ მოვერიდე. მხოლოდ ვუთხარი:

— თუ დღეს არ ამირებთ ლოცვის გათავებას, გასაღები მაინც მომეცით. გაფრთხილებთ, რომ დღესვე უნდა რევიზია მოეუხდინო თქვენს საწყობებს.

მცირე დღეობის შემდეგ კარები ოდნავ გამოაღო, გასაღები გადმომიგდო და ისევ ჩაიკეტა.

— ღონღუსს.. ით!.. ანასინი!..—ცხარობდა ლამბალო.

— მაშადი იზხათ, — ვუთხარი დაღერემილ მოხუცს, — ეგ ჭა გაავსე და ახალი ამოსთხარე. ნუ შეშინდები, შენ შემსას მიიღებ.

მაშადი იზხათი ეზოს მეორე კუთხეში ჩაჯდა, წრე შემოივლო, ალღაპს ლოცვა შესწორა, ისაუბრა, ყალიონი გააბოლა და მერე ნელ-ნელა აჩიქნა მიწა.

ყაშას საწყობს მაშინვე დარაჯი მიუქინენ და კომენდანტის წარმომადგენელი დავიბარე. მეორე კაცი სამხედრო გამომძიებელთან გავგზავნე, რომელიც სამიოდე დღის წინათ ვნახე. გამომძიებელი დამპირდა, თუ საჭირო იქნება, ყაშა ლაზარეს საქმეს გათხოვებთ ასლის გადასახლებათო. მე უარგუზართან წავედი და ვუთხარი:

— მე დანაშაულებით ვიცი, რომ ამა და ამ სახლში წითელი ჯვრის ნაპარევი ქონება ინახებოდა. გთხოვთ გაჩხრეკის ნება მომეცეთ და თქვენი წარმომადგენელიც გამოგზავნათ.

— უარგუზარი—საკარეო საქმეთა მოხელე შეჩვეული იყო პირუტყლმას: თუ დასჭირდებოდა ანგეარი საქმე, — ქრისტიანის გაჩხრეკა ან დაპატიმრება, — თვითონვე უნდა აეღო ჩერნოზუბოვისგან ან რუსეთის კონსულისგან ნებაართვა. ესლა კი მასვე სთხოვდნენ ნებაართვასა და დასწრებასაც.

ერთი საათის შემდეგ იზხათი წელამდე მიწაში იჯდა. ლამბალო მუტარით და ლანძღვით წავიდა, ყაშა ლაზარემ დაინახა, რომ იმისმა ხრიკმა ვერ გასჭრა, ამიტომ ბუნაგიდან გამოსვლა იკადრა. სტაფილოს ფერი თავი საბნის ოდენა ქრელი ძონძით ჰქონდა შეხვეული.

— აი, ლოცვა გავათავე და ვეახელით. რა გნებაეთ?

მე ხმა არ გავეცი.

კომენდანტის მოხელემ ჰკითხა:

— ამ ჭაში თქვენ ჩაახხით უწმინდურება?

— მე? მე ჩავახხი?—გაიოცა ყაშამ და უკბილო პირი დააღო. — მე? რა ბრძანებაა, რა საკადრისია! ღმერთმა შევინდოთ და მოგიტევოთ შეცოდებანი თქვენნი.

მაგრამ მელის ფაცმა ვერ გასჭრა. ათიოდე სანიტარი პირში დააღვა. ყველანი ერთსა და იმავეს იმეორებდნენ.



ეროვნული

ბიბლიოთეკა

— მთვარიანი ღამე იყო. ყაზარმიდან დავინახეთ ოთხი სხუთსეული ჩქვნიდან ყუთი გამოათრიეს და ჭისკენ გააკორეს. ყაშა ლაზარეც მისდევდა.

— მე? მე მივდევდი? ღმერთო დიდებულო! მოინანე ევ ცოდვა, მართლმადიდებულო, თორემ ძე ლეთისა იესო ქრისტე პასუხს მოგთხოვს. მოახლოებულ არს ეამი განკითხვისა!

ბოლოს, მაინც გამოტყდა:

— ჩეჩმა გავაწმენდინე. ყუთი უნებლიეთ გადაუბრუნდათ და...

— ჯერ ერთი, ვინ დაგაფალათ ჩეჩმის გაწმენდა? — ვკითხე მე. — მაგ საქმეს ყოველთვის თათრები აკეთებენ. მეორე: ძალიან კარგად იცით, რომ ყუთი იმ კარებში გააქვთ, თქვენ კი ჭისკენ წამოაღებინეთ. მესამე: ჭის გარსშემო ერთადღზე ეყარა ნიწა. ეხლა ის მიწა აკრუფილია, მაშასადამე... გამოტყდით.

გამოტყდა. ერთი საქმე გავათავებთ. მზხრეკავნი დაბრუნდნენ და ორი ურემი საქონელი მოიტანეს: საცვალი, საბნები, კარგები, სანოვაგე, იარაღი და ათასი მსხვილმანი და წვრილმანი. გაზხრეკილი სახლის პატრონიც მოიყვანეს, რომელმაც ყაშა ლაზარეს დაადო ხელი. სთქვა:

— მე ყაშას მივატირავე ის ოთახი, სადაც ეს საქონელი ეწყო. მაგან გააესო ის ოთახი. მე არაფერი ვიცი.

— მოინანე, შე უბედურო, მოინანე! მოახლოებულ არს ეამი განკითხვისა! — წრფელის კილოთი გაჰკიოდა ყაშა, თან მკერდს იზაგუნებდა და მეორედ მოსვლით იმუჭრებოდა, მაგრამ ამ საქმეშიც მალე გატყდა და ოქმს ხელი მოაწერა. საწყობის აწერა საქირო აღარ იყო.

ყოველივე რომ გავათავებთ, მე და ყაშა ლაზარე მარტონი დავრჩით. ვუთხარი:

— ყაშა ლაზარ! ორში ერთი აირჩიეთ: ან ეხლავე მიბრძანდით სამხედრო სამართალში, ან თქვენის ნებით გადით სამსახურიდან.

ყაშამ, რა თქმა უნდა, მეორე აირჩია.

— მაგრამ, — დაუშმატე, — შე მაინც ხელს ვერ დაგაფარებთ. ამ ოქმებს ტფილისში გავგზავნი. თქვენ კი ეპისკოპოსს პავლეს სთხოვეთ, რომ გადაგარჩინოთ. ხელმარჯვე და გავლენიანი კაცია, ადვილად მოახერხებს.

— ეგრე ვიხამ, — ამოიკნაყლა მობუზულმა ყაშამ.

მაინც მშვიერ მხეცივით იბღვირებოდა, რომელსაც ჰირიდან ხორცის ნაკერი გამოსტაცეს.

— გაფრთხილებთ; მეორე ჭის თქვენი ჯამაგირით ვათხრევენებ.

— როგორც ვნებათ.

ანგარიში გავუსწორე და ვუთხარი:

— ყაშა ლაზარ, მშვიდობით იყავით. იმედაა, მე და თქვენ აღარსად შევხედებით ერთმანერთს.

იმედი არ გამიმართლდა. ბედმა ყაშა ლაზარე კიდევ რამდენჯერმე შემახედრდა.

\* \* \*

ომის ჩარბი უნდალად ტრიილებდა. დასაეღეთით და სამბრეთით — გაავარის ზევიანზე და სოუჯბუღალის ლეღეებში ოსმალეების და რუსის ჯარები ერთმანერთს მოსწყუნენ. თოვი იზვიათად გაეარდებოდა, ზარბაზანი აღარა ქუხდა და სისხლის მდინარეც თითქოს დაწყრთა.

სამავიეროდ მისიონერები იბრძოდნენ. ეპისკოპოსი პავლე კვლავ ჰქუხდა და ხუთივე მხარეს ებრძოდა: ნესტორიელთა პატრიარქს — მარწინუნ ბენიამინეს, „წუნკალ პერსაუცებს“, დოლარებით გატენილ დოქტორ შვედს, ინგლისელ ბრაუნს და იეზუიტ კათოლიკებს, რომელნიც ასურელთა საცბონებელ სულეებს პავლეს ხშირად ჰპარავდნენ და მრევლს იმრავლებდნენ.

მებრძოლი პაილე არც თავიანთებს ინდობდა:

— ღმერთი დაივიწყეს, — ლაღადებდა კვირა-უქმე დღეობით ცალიერ ეკლესიაში, — ქრისტე ფუფუნებაზე და საქსახურზე ვასცვალებს. სირცხვილი და დამარცხება მოგვეღოს. მოინანეთ, მართმადიდებელნი!

ინტენდანტები სამაზაზიან იონჯას ჩამორთმევის წესით სამშაურად ყიდულობდნენ, ხოლო ორმანეთიან ქერში ორ აბაზს აძლევდნენ. თათრები და სპარსელები ჩემად ჰკმინაყდნენ, მაგრამ გარეთ ურუსის ჯარის შიშით მაინც ილიმებოდნენ.

რუსეთის კონსტლის ნერატოვის ბინა ნოტარიუსის კანტორად გადიქცა. დილით საღამომდე საცხე იყო ბუღალიან მინასიან-ჯამგარიანებით, თავრიდელ მუტიკებით და აფიკრებით. თათრებისგან და ქურთებისგან სამიოდე მანეთად ათი ათას დღიურობით ყიდულობდნენ სარწყავ მინდვრებს და მოუთმენლად მოყლოდნენ თავრიზის გუბერნიის დაარსებას.

ითიმად დოულე კვლავ თავისას წუწუნებდა:

— ეუ სავე, მონ ანი, ურშიაში მე უძღური ვარ. ნამდვილი ვალი და სერდარი გენერალი ჩერნოზუბოვია, ხოლო თავრიზში ვალიავდის — სპარსეთის შემკვიდრის მავიერობას ურუსის კონსული ბელაევი ასრულებს. ურუსებმა დაფოლებული ქალიღდის ფულით ვაავსეს სპარსეთი. საბრალო სპოსელნი, საწყალი სპარსეთი! ვიღუპებით... ირანის ლომი დაბერდა... ირანის ლომი სულს ჰლაფაეს.

გულვაშავებულ და გარინდულ ვალის ვამზნევებდი, ნამდვილად კი ისევე უყუნეთს წასკლნი მიდიელნი მახსენდებოდნენ. ოდესღაც ამ ტბის გარსშენო მათი რაშები დაჰქროდნენ, ეხლა კი იმავე გზებს დობის მერნები სთელავენ. მარადიულობისთვის და მსოფლიოს ტრიილისთვის განა სულ ერთი არ იყო?!

ხშირად უყვდავი რუსთაველიც მაგონებოდა:

„ერთი წაეა და სხვა მოეა ტურთასა საბაღნაროსა.“

\* \* \*

ფეხმარდი ქურთული ცხენი მყავდა. აღიონზე აედგებოდი ხოლმე, ცხენს მოვაჯდებოდი და ორიოდ საათით ხან დიღმანისკენ წავიდოდი, ხან ვაულმანხანესკენ გავისეირნებდი, ხან კიდევ სოუჯბუღალის ვხას დაეიდგებოდი.





ერთხელ დიდ გზას გადავუხვიე და მოლლა თიჯასარის მთის კალთებზე გავედი.

ფერდობზე ვირი და ორი კაცი დავინახე. დავაკვირდი. მაშადი იზხათი და ლამბალო ვიციანი.

— ხომ-ხომ!—წყნარად იძახდა იზხათი.

ვირი ნელის ნაბიჯით მიდიოდა ფერდობის გარდიგარდნო. ზედ ხურჯინი ეკიდა. ლამბალო იმ ხურჯინიდან დროგანოშეგებით თეთრ ქვებს ილაგებდა კალთაში და ვირის ნაკვალევზე ჰყრიდა. ხის ძირიდან ვუსურუნდა.

— საბახ ხეირ ოლსუნ, მაშადი იზხათ!—დავუძახე შორიდან.

ვირი გააზურეს, მიცნეს და თავთავქვე დაეწვნენ.

— ლამბალო!—დაიძახა მაშადი ჰასანმა.—ჩენი „გარღაშია“, ჩემი ძმა აქინბაში!

— საბახ ხეირ, ალა, —დილა მშვიდობისა, ბატონო. საიდან? აქ რამ მოგიყვანათ? როგორ ბრძანდებით?

ერთმანერთი მოვიკითხეთ. ისე დამიხედნენ, როგორც დიდი ხნის უნახავ ძმას. მერე ვკითხე:

— თქვენ რაღას აკეთებთ აქ?

— რუ გაგვყავს.

— წყალი? მერე, ეგ ვირი და კენჭები რაღად გინდათ?

— აი, მობრძანდით და ნახეთ.

ავედი და ვნახე. ცხენით მივდევედი.

— ეს ქვები არხის კვალია.—მეტუნებოდა მაშადი იზხათი.

— სადაური კვალია?—გავიკვირვე მე.—ვირი თავის ნებით მიდის. ან ალა აუხვევს, ან დაღმა ჩამოვა.

მაშადი იზხათმა გაიღიმა:

— არა, ალა. ვირი ლარივით სწორედ მიდის. მხოლოდ ქვების ტვირთს იგი ოდნავ თავდაღმა მიჰყავს. მეც ეს მინდა.

არ დავუჯერე:

— შეუძლებელია, რომ ვირი არ შესცდეს. მანძილს წაავებ, სუ ვირი ძლიერ დაქანდა; წყალი ვერ ავა, თუ ამ პირუტყვმა ერთი ნაბიჯი მაინც გადასდგა თავდაღმა.

მაშადი იზხათი ისევ ტკბილად ილიმებოდა:

— არა, ალა, ვირი არ შესცდება. ასე მუშაობდნენ სპარსელები მაჰმადის და შაჰ აბასის დროსაც, ასე მუშაობდა მამა ჩემიც, ასე ვმუშაობ მეც. არასოდეს ერთი გოჯითაც არ შევმცდარვართ. ათიოდე გრძელი არხი შაქსს გაუყვანილი. ყველგან ისე მიდის წყალი, რომ ერთი აღლი მოურწყავი შიწა არ დაკარგულა.

მინდორზე გავედით. ვირი შესდგა. ლამბალო ორმოციოდე ნაბიჯით წინ გაიქცა და ერთ ალაგზე სარი ჩაარქო. მაშადი იზხათმა ფეხთ გაიხადა, ვირი გვერდით მიაყენა და იმის ნაფხარზე გულაღმა დაწვა. ფეხები და პირი ლამბალოსკენ გაიშვირა.

ცხენზე ვიჯექი და უცნაურ ჰიდრავლიკებს შევსცქეროდი. იზხათმა ფე-



ხის ცერა თითები ერთმანერთს მიაბჯინა და დარჩენილ ტუტურუტანაში გაიხედა. ეს ტუტურუტანა პირველი წერტილი იყო, ლამბალოს საოო-მეორე.

მე ვაკვირდებო:

— ვაკოტრდა ევროპიული გეოდებია და პიდროტენიკა.

იხზათი ლამბალოს ხელით ანიშნებდა. ლამბალოც ხან წინ წამოვიდოდა, ხან მარცხნივ მიუხევედა, ხან მარჯვნივ მიდგებოდა. პოლოსა, როგორც იყო, იხზაბა საძებნელი წერტილი იპოვნა. წამოდგა და იმ სარისკენ წავიდა.

— ხოშ-ხოშ!—უთხრა ვირს და თან ვაიყოლა.

მეც ავედეგნე.

გავონილი წქონდა, რომ უბრალო სპარსელები ევროპელებს იორიგაციის საქმეში პროფესორებად დაუდგებინათ. ურშიაში ნინაბი მქონდა სპარსელი მირაბის საკვირველი საქმიანობა. უსაათოდ ნუწაობდა, მაგრამ ისე ანაწილებდა წყალს, რომ არავის ერთის წუთითაც არ დაუგვიანებდა და არც ერთ წვეთს არც დააკლებდა, არც მოუწატებდა. მათი საათი მზე იყო. წყლის კანონდებულება და განაწილების სისტემა ბაბილონის მეფის ვაპურაბისგან შეითვისეს. მაგრამ არ მეგონა, რომ უსწავლელი თათარი ასეთი მარტივი გეოდებოური იარაღით—ფეხის თითებით და ვირის ნაბიჯით—ნიველირის მაგვირობას გასწევდა და ურს წყალს ასე ადვილად დაიბურებდა.

მაშადი იხზათი უკვე დაწვა სარის ალაგზე. მაშადი პასანი გზას დააცქერდა და უცებ წამოიძახა:

— ლამბალო! ყაშა ლაზარ!

ვეწოდ, უგზო-უკვლოდ, ცხენზე შემჯდარი წითელი მაიმუნი მოჰქროდა. გახუნებული ანათორის კალთები ფრთებით მქონდა გაშლილი. მხედარი ისე მოკუნტულიყო, თითქო ორივე ხელით ცხენს ფაფარს ჩაემლუჯაო.

ლამბალომ სარი მოიმარჯვა და სიარულით თავთავს დაეწვა. ფეხმარდი თათარი ნიჭროდა და გაჰკიოდა:

— ლამბალო, ქათა ოღლი!.. ით!.. დონღუშ! იაეაშ! ტუტურ!—დაიცა, მოიცა!

ყაშა ლაზარემ ლამბალოს თვალი მოჰქრა და ცხენს გევი შეუცვალა. ლამბალომ დაიტყო, რომ გზას ვერ მოუჭრიდა, და მქროლავ მაიმუნს ვერ სარი ესროლა, მერე ქვემი მიაკოლა. ერთი ქვა ყაშა ლაზარეს ზურგში მოხვდა.

— ლამბალო-ო-ო! ურა-ა-ა!—ძღვეამოსილი კივინით დაიძახა თათარმა და ნაღიანად გადინარბარა.

ცხენიანი მაიმუნი ბალს მიეთარა. ლამბალო სიცილით დაბრუნდა.

— ზურგი ხომ ავეუქვე წითელ ღორს! მე მეტიც არ მინდა. არა, დაინახეთ, როგორ მოიფხანა?! ხო ხო-ხო! ხი-ხი-ხი!

მეც მეცივნობდა. მაშადი იხზათი უკბილო პირით წითელ წვერში ხითხითებდა. მერე ჩაფიქრდა და სთქვა:

— მაინც... აქ რაღაც იმბავია. მიკვირს, რად მოაქვნიებს წითელი ყაშა ცხენს უგზო-უკვლოდ? აქ რაღაც იმბავია...



„რალაც ამბავი“ ერთი საათის შემდეგ გამოიქცა.  
სამკურნალოში ტელეფონოგრამა დამხვდა: „გიბრძანებთ დაუყოვნებლივ გამოჰყოთ წითელი ჯვრის მოწინავე რაზმი ოცი საკაციით.“

ერთი საათის შემდეგ მზად ვიყავით: სამოცამდე ცხენი, ამდენივე სანიტარი, ოცი საკაცე, ბარგი, სანოვავე და დოსტაქრის მასალები. რაზმის თავობა მე თვითონ ვიკისრე. წინ წითელი ჯვრის უუხარმახარი ბაირალით გოლიათი ხევსური ბეჭაური მიმიძღოდა.

ქვეითი და ცხენოსანი ჯარი წინ წავიდა. ჩვენც ნაბიჯით მივყევით.

ძველი ნაცნობი ასისტაივი გიორგი მინდიაშვილი ცხენით დამეწია.

— გიორგი, ერთი მითხარი, შენი ჭირი მე, სად მივდივართ?

— სოფელ მავანაში.

— სად არის ეგ სოფელი?

გიორგიმ დასავლეთის მთებისკენ ვაიწვირა ხელი.

— მალე ჩავალთ?

— შუადღეს იქ ვიქნებით.

— რა ამბავია, რა მოხდა?

— იქაური ქურთები აჯანყებულან, ამობენ, ქრისტიანებს თავთ დაესხნენ და მრავალი გაგლიტესო. მშვიდობით, ჩემს ასეულს უნდა დავეწიო.

— მშვიდობით იყავი.

ცხენს მათრაბი გადაჰკრა და მიიწალა.

იმავე დროს გვერდით ერთმა ჯგუფმა ჩამომიარა: ოთხ ცხენოსან ყაზახს ხელშეკრული ლამბალო მოჰყავდათ. თავჩალუნული მაშადი იზხათი უკანიდან ჩანჩალით მოსდევდა.

ლამბალომ გამიღიმა და თავი ისე ჩაიქნია, თითქოს ამბობდა: „ეჰ, არ მასვენებენ. ისევე შარი მომდესო“.

ცხენი შევაყენე:

— მაშადი იზხათ, რა ამბავია?

მოხუცებულმა თათარმა ორივე ხელი ჩემს უხანგს ჩასჭიდა და მუხლი ცრემლით დამისველა, თან ძლივს ამოიხრა:

— ბილმერამ, ვალლაჰ ბილმერამ,— არ ვიცი, ღმერთმანი. არ ვიცი.

მაშინვე წითელი მიიმღნი გამახსენდა:

— ყაშა ლაზარეს ოინი იქნება.

— ილბად... მეც ვგრე მგონიან.

— წადი, ნუ ჩამორჩი. ეხლა ვერაფერს გიშველი. საღამოზე ან ხვალ დავბრუნდები. ნუ გეშინიან, ყაშას ქორი იქნება. ვერ გასჭრის. მშვიდობით იყავი.

— სალამათ ოლ, ალა,სალამათ!

აცრემლებული თვალები ერთხელ კიდევ შემომანათა და ჩანჩალით ლამბალოს გამოუღდა.

ქედი გადავლახეთ და ნაზლუ-ჩაის ხეობაში ჩავედით.

ქურთების სოფლები ბარეკენი, არზინი და ოთხიოდე სხვანი ბოლსა და



ერყენულნი

ცეცხლში იყვნენ გახვეული. აქეთ-იქიდან თოფის ხმა ისმოდა. მუხუჭისასკისკონი ფუსფუსებდნენ: აწიოკებულ ქურთების სოფლებიდან ნადავლი მოჰქონდათ: ვარცლები, ქვაბები, კასრები, ქოთნები და ასნაირი წვერილმანი. ზოგი მოტაცებულ ოახვეს ერეკებოდა, რომელიც იმ ხეობას ბლავილით აესებდა.

მე სოფელ მავანში დავბანაკდი. ნახევარ საათში ჩემი ბარგი გავშალე და დაჭრილთა მისაღებად დავენზადე. შივე-შიშალის და ზოიტის მთებზე—სპარსეთ-ოსმალეთის საზღვარზე—პრძოლა გახურდა! ათასი თოფი კაკინებდა, რამდენიმე ზარბაზანი ჰქუხდა. მალე დაჭრილებიც მოიყვანეს. ჩვენ ჩვენს საქმეს შევედევით: დაჭრილებს კრილობებს ებანდით, ვუხვევდით და ვუვლიდით.

სანამ ჯარი იბრძოდა, ასურელებმა ქურთების უპატრონო სოფლები მოპარსეს.

ნამდვილი ამბავიც მალე გავიგე. მავანელ ასურელებს და მეზობელ ქურთებს თურმე უბრალო ჩხები მოსვლიდათ მიწის, საძოვრებისა და წყლის გამო, ერთმანერთს მეთათსჯერ თითო-ოროლა ცხვარი მოსტაცეს და შეახრამუნეს. ყაზა ლაზარმა არც აცევა, არც აცხელა რუსული თოფი ათიოდჯერ დასცალა, ირგვლივ ალიაქოთი ასტეხა და ბრძოლის ცეცხლი დაანთო. მერე ცხენს მოაჯდა და ურმიისკენ მოჰქურცლა.

სანამ ჯარი მოვიდოდა, ასურელები და ქურთები თავიანთ სოფლებში იხდნენ და ერთმანერთის დასაშინებლად ცას და კლდეებს სცხბილაყდნენ. მერე, როცა რუსები გამოჩნდნენ, ქურთები დედა-ბუდიანად აიყარნენ, წინ საქონელი გაიორგეს და მიუვალ კლდეებს შეეხიზნენ. რუსის რაზმს თავმა იარაღის აყრა მოინდომა. თავმოყვარე და კეთა-ნასწავლი ქურთები არ დანებდნენ და ძალას ძალა დაუხვედრეს. ასე დაიწყო უსახელო ომი.

სანიტარებმა კიდევ ერთი საკაცე მომიდგეს. ხაფხულის წამოსასხამი აეხადე და შექმრწუნდი: საკაცეზე გაფითრებული და გონდაქარგული გიორგი მინდიაშვილი იწვა.

მკერდი სისხლით ჰქონდა მოსვრილი. უმაღვე ყურით საგულეს დაეაკვდი. ძლივსლა ვიგრძენი გულის ფეთქება. მიმქრალ სიცოცხლეს კბილებით ჩავებღუჯე. ძლივს მოვასულიერე.

— გიორგი, მიცანი?

ოდნავ გაიღიმა და წაიჩურჩულა:

— მივედივარ... ყაზა ლაზარეს ბრალია... უბეში წერილი მაქვს... გავზავნე. გატრეცილი ტუჩები კიდევ კარგა ხანს აცმაყუნა, მაგრამ სათქმელი ვეღარა სთქვა. მერე თვალები მიბღიტა, პირისახე გაიყინა და თეთონაც გახვედა. ისევ საგულეს და მაჯას დაეაკვდი. დიდხანს ვეძებე სიცოცხლის ნიშანი, მაგრამ ვეღარ ვიპოვნე.

მეტე მუშაობა აღარ შემეძლო. გიორგის გვამი კლთხეში გადავიტანე და ზეწრით შევსუდრე. ჩემი იარაღი უნცროს ექიმს დავეუთე და გარეთ გამოვედი.

უცებ ეზოში ჩოჩქოლი და ყვირილი ასტყდა. გადავიხედე და... ისევ ყაზა ლაზარეს წაეაწყვდი. წითელი მაიმუნი და ბაიკალელი ყაზახი ერთ გრძელ ხალიჩას ჩასკიდებდნენ და თავ-თავიანთკენ ეწეოდნენ..



ერეკნული

— Пушпавый, рыжий дьявол, а тооо... — ბურტყუნებდა იხუჩოთქიქა

— Пускай, акаинный! Кавер мая.. я кушила.— გაჰკიოდა ყაშა.

სანიტარები და დაქრილები იცინოდნენ და ორივეს აქეზებდნენ.

ყაზახმა იკლდღღუტა: ხალიჩა ჯერ მძლავრად დასკიმა, მერე ანაზღვეულად ხელი გაეშვა. ყაშა ყირამბლა გადატრიალდა. სანამ წამოდგებოდა, ყაზახმა ნოხს ხელი დასტაცა და კიშკარს ეცა. ყაშა ლაზარე ანაფორაში გაიხლართა. მაინც დროზე წამოხტა და კარებს სწორედ იმ დროს მისწვდა, როცა ყაზახმა იგი მძლავრად მიიჯახუნა. სანიტარების ხარხარი ყაშას ბლავილმა შთანთქა.

წითელმა მღვდელმა ოთხი თითი მოიწეწკა. სისხლი თქრილით გადმოსდიოდა. ბლავოდა, წკმტუნებდა და რეტიანივით უგზოდ დაბორიალებდა. ბოლოს, ტრიალ-ბორიალით მე მომაწყდა. შესდგა, მონაჩურდა და გაოცდა. აღბად ნანეტანი რისხვა და ელვა ეწერა ჩემს პირსახესა და თვალებში: მხიარული ხარ-ხარი თითქო მახვილით მოსხიპესო: ყველანი ჩვენ მოგვაჩერდნენ. იმ ეზოში მეხის სუნი დატრიალდა.

— თქვენ... ჩემ სახლში?— გაოცდა ყაშა.

მეც გამიკვირდა. ძლივს ამოვიბრიალე:

— არ ვიცოდი, თორემ... სანამ თქვენ მაროდობობდით და ქურთვების სახლებს სტარცვაფდით, მე თქვენს მსხვერპლებს იარებს ვუბევედი. აგერ, იქა სხედან და წვიანან. ზოგმა უფალს უკე სულიც მიაბარა... წინდიაშვილიც მოჰკლეს.

— მე არ ვიცი, ვინ არის მინდიაშვილი.— გესლით გაჰკრა ყაშამ, თუმცა კარგად იცნობდა ურწიელთა საყვარელ გიორგის.

ძალიან კარგად იცით. დღევანდელი სისხლი თქვენის ხელით დაიდგარა. წამობრძინდით, ასისთავს მინდიაშვილს გაჩვენებთ.

ვთქვი, მაგრამ ნათქვამისა მე თვითონვე შემეწინდა. ოთახში რომ შემოსულიყო, იმ ყაშას აღბად გიორგის კვამზე მივახიობდი ან ზედ დაეკლავედი.

— მე თქვენი დაქრილებისთვის და მკვდრებისთვის არა მცალიან. ეხლავე გაეთრიეთ ყველანი ჩემი სახლიდან, თორემ...

ყაშამ სიტყვა ველარ დაამთავრა. მე ორივე მუშტი აღენართე. მაგრამ მოქნევა აღარ დამცალდა: ხეცსურმა ბექაურმა გაგიგებულ ბუღასავით გაიელვა ჩემს წინ და გესლიანი მაიმუნი ბურთივით ააგდო ჰაერში.

დაქრილებმა წამოიწიეს. ზოგი ფეხზე წამოვარდა. გულიდან ყინიანი სიხარული აღმოჰხდათ:

— ბეი ევოა!.. ლუ პიიი! დაჰკარ!.. მიდი!.. ეგრე!.. კიდევ, ერთი კიდევ!

ხუთიოდე წუთს იმ ეზოში მხოლოდ ბავუნი კენესა, ჩახუნია, ოხერა და ხრიალი-ღა ისმოდა. ბექაური გაგიგდა და გამხეცდა. პირველივე დაკრით ყაშა გააბრუა და დაარტყანა. მერე სულსაც აღარ ათქმევინებდა: წაქცეული მღვდელი ძლივს წამოიწევედა ხოლმე, მაგრამ მუშტი და ქუსლი სეტყვასავით მიდიოდა.

— ბე-ე-ეი! ბე-ე-ეი!— ისტერიულად გაჰკიოდა ერთი დაქრილი რუსი და თვითონაც ყაშასკენ იწევედა.

## ერეკნული

ბოლოს, დარეტიანებული ყაშას გაანჩხლებული ხევესურის ჩაღმტყნის შექმნა და ისე მძალერად მოსწურა რკინის მარწუხებით, რომ ნეკნებმა ლაწა-ლუწი დაიწყეს. ყაშა ახრიალდა, თვალეები შუბლზე ვადმოჰყარა და კბილები ააღელვა. უცებ ავი მაიშუნის მკერდმა კნაწუნი მოიღო. ყაშას ტუჩებზე სისხლმა ვად-  
მოხეთქა. დაჭრილებს სისხლის დანახვაზე და კნაწუნის ვაგონებაზე უცნაური საერთო ოხვრა აღმოჰხდათ გულიდან. ის ოხვრა შიშსაც ჰგავდა და სიხარულსაც.  
— ბეჭაურო, გეყო! — მეც წამოვიძახე იმავე წუთს.

ბეჭაურმა ორივე ხელი გაღწევა. ყაშა ლაზარე მოჭრილი მორიგით გაიშალა.  
— რაღაც ჩასწყდა შიგნეულობაში. — მითხრა ოციოდე წუთის შემდეგ უნკროსმა ექიმმა, რომელმაც გულწასული ყაშა ჩაიბარა.

მომიდ დაჭრილები ოცი საკაცეთი ურპიაში ვაგვ ზავენე.

ქურთები ბარადოსტის მთებში გაიხიზნენ.

ჯარი მალლობიდან დაბლობში ჩამოვიდა. საღდათები ბურტყუნებდნენ: აკი ოსმალეები მოდიანო. ასკერის მავიერ უიარალო ქურთებზე შიგვისიესო.

ასიოდე ცეცხლი დაანთეს და აკლებულთა საქონელი დაჰკლეს. ასურელებმა არაყით ივაქრეს. ვახშამი ლხინად ვადიქცა. საღდათური სიმღერები ვააბეს, ვარმონი ააჰყეიტინეს და რუსული ჩაბუქნეს.

მატარა ცკლესიაში პაწაწა ზარი ჩამოჰკრეს და ძლევის პარაკლისი ვადაიხადეს. მერე ძილის საყვირი დაჰკრეს, ცეცხლები ჩააქრეს და ბანაკი წყვილიდესა და სიჩუმეში ჩააწვინეს.

შეღამემ მოატანა. მთების კალთებზე ჯერ კიდევ ენთო რამდენიმე ქიაკოკონა. ქურთების სოფლებს მოდებული ცეცხლი თანდათან ნელდებოდა. მერე ვადამწეარ სოფლების ხსენებაც ვაჰქრა.

უპატრონოდ დარჩენილი ძალები ხევეუვებში ჩავიდნენ. ჯერ ერთმა დაიწყებულა. მეორემ და მესამემ უბასუხეს. მერე მთელი ხეობა ისეთი სასოწარ-კვეთილი და უიმედო კნესით აღმუედა, თითქოს ათასი ჩაცუტული ძაღლი თავიანთ უბედობას და დაობლებას ზეცას შესტიროდა. დღევანდელ დღიდან ის ძალები ასურელთა სოფლებს მიეტანებთან და ლუკმა პურისთვის ახალ პატრონებს დაუწყებენ ძებნას. მაგრამ ახალი ხალხი ქურთების ძალებს არ შეიკვლევს. საცაი ნადირობასაც დაიწყებენ იმ ძალებზე.

აგერ, დაიწყეს კიდევაც: ჯერ ერთი თოფი ვავარდა, მერე მეორე და მესამე. ორი-სამი დაჭრილი ძაღლის გმინვა და წკმუტუნი ზეცას მისწედა.

მაგრამ ზეცაში ურღვევი მყუდროებაა. სრული მთვარე კიდევაც ილიმება. ჩამუქებულ ცის გუმბათზე ვაფანტული უთვალავი ვერცხლის მანეთიანები ისევე ისე ვამკამებენ და სთრთიან, როგორც „ბებური აქლემის“, პართიელებისა და მიდიელების მოსვლისა და წასვლის დროს.

ღმერთიც ისე სდუმს, როგორც მაშინ სდუმდა.

(დასასრული შემდეგ №-ში).

## თუ თიყუში.

იმ ქვეყნებში, საიდანაც თუთიყუშები მოჰყავთ, მზე მუდამ ცხელია, მცენარენი იყრიან გემრიელი კაკლების ტაროებს და ტყეები უდაბურია.

თუთიყუშები ღამით ფულურობებში ბუდობენ, დღე სთვლემენ ხეების წვერობებზე და წყალის დასაღვებით ჯოგებათ დადიან მახლობელ რუსაკენ.

ისინი ადვილად იგერიებენ მტერს, რადგან იციან რომელი ხმით დააფრთხონ ფოცხვერი, მელა, გარეული კატა, — თუთიყუში წამხედურაა და შეუძლია დასძახოს ვეფხივით ან დაჰყვილოს როგორც არწივმა.

თუთიყუშებს ჰქვიავენ მხოლოდ გველები და იჭერენ კაცები, როცა შვისწრებენ თავიანთ ბალებში — ისინი ვერ ფრენენ მარდათ და წვეტიანი ბრქვალები მალე ილალება მსუქანი ტანის სიმძიმისაგან.

თუთიყუში უყვართ ბავშვებს, ხოლო დიდები ეძახიან მისასნ.

ქერივი ცხოვრობდა ორ ოთახში.

მასთან იყო მოხუცი ქალი, ოდესღაც მოახლე, ეხლა მეგობარი წარსულის მოგონებაში, მსუქანი როგორც ნაქალბატონები.

წარსულში იყო წლები, როცა მორიდებით შედიოდა მასთან, ეხლა კი რკინის ფენთან თბებოდენ ერთად, სადილზე ერთი-მეორეს სთავაზობდენ და ეძინათ ერთ ოთახში. ეწინიდათ ერთმანეთის დაკარგვის, თითქო მათი სიცოცხლე გადაბმული რგოლი ყოფილიყო — გატყდება ერთი, დაეარდება მეორე.

— ფეხები ყინულივით გაქვს... მოხუცის სისხლმა ასე იცის.. უნდა მითხრა, ჩემი ხომ არ გერიდება?

ეს მეორედობდა ზამთრის ყოველ ღამეში ძილის წინ და ხორციან ფეხებს შალით უთბობდა ნაქალბატონებს, დააყრიდა საბნებს, წელთან და ზურგთან ქვედა სათბურს შეუსწორებდა.

და იყო კიდევ მესამე, ლეიბა მენახემ ბენ ცუკერმანდელ, რომლისგან დარჩა მხოლოდ სურათი კედელზე.

სურათის ჩარჩო კვირაში ერთხელ მაინც იწმინდებოდა მტვერისგან, რადგან ლეიბა ბენ ცუკერმანდელმა დაიმსახურა, რომ მის ხსოვნას პატივი სცენ და ხშირად გაიხსენონ ის დღეები, როცა პატივსაცემი რაბბი სოლომონ ბენ იეგუდა დადიოდა მასთან და შუალამედ ბაასობდენ თაღმუდიდან ამოკითხულ ამბების შესახებ, ან იგონებდენ მასსორეტების ღვაწლს, რომელთაც უცვლელად აღადგინეს ძველი აღთქმა.



ღებდა ცუკერმანდელს ჰქონდა საათის სახელოსნო. მთელს ქვეყანაში აქ ცალ თვალზე გამაღიღებელ შუშით და აწყობდა საათების პატარა ნაწილებს.

ეხლა კი მისგან დარჩა მხოლოდ მოგონება და ოთახებში ძველი ავეჯი, კედლის საათი და ყველაფერი რაც ეყარა კუთხეებში.

ოთახებში დიდი ხნიდან დარჩა თიხაში ჩარგული ყვავილები, ერბო-ყურკის სუნი, თაროებზე პირმომტყრეული ლარნაკები და ახლოებულ ნაეთისგან გამწვრული ჩინური ფაიფური.

მეორე იყო თუთიყუშის ოთახი.

თუთიყუშებს უყვართ დერები, მკენარე, ყვავილები. ეს დიდიხანია იცოდა ქვრივმა და პირველ დღიდანვე კედლებზე დაჰკიდა აჭრელებული სურათები ტყეებით, ჩანჩქერებით, მწვანე მინდვრებით. ოდესღაც ისინი ართობდენ თუთიყუშს, მაგრამ თვალი შეუჩვია მათ და ეხლა ამჯობინებდა ემზირა ფუნჯრებისათვის, ან დაჰკიდებოდა ჯოხზე თავისი ღონიერი ნისკარტით. ფანჯრებზე აქაც ჩამწკრივებული იყო ყვავილები წითელ თიხაში—ზოგი უკვე გამხმარი სიპერისგან ან სიცივისგან.

ოთახში იდგა მარმარილოს პატარა აუზი, რომლის წმინდა წყალში თუთიყუში ხედავდა თავის სახეს და დიდი მკენარე, რომელიც შესაძლოა კიდევ ახსოვდა იმ ქვეყნიებიდან, სადაც ტყეებმა არ იციან თოვლი და შემოდგომა.

მზან დღეებში თუთიყუში გამოყავდათ დერეთანში.

თუთიყუში გადმოჯდებოდა ფანჯარაზე და არ გაუშვებდა ეზოში კაცს, ქათამს და ოთფებს, რომ არ გადაეძახა მათთვის.

ასეთ დროს ეზოში გროვდებოდენ ბავშვები. ახლებდენ, აყვირებდენ, გინებას ასწავლიდენ. ყველა ბავში ოცნებობდა მოეალერსა მისთვის და ფთებზე ხელი გადაესვა. მაგრამ გაიგონებდა თუ არა ქვრივი ბავშვების ჭრიამულს, თუთიყუშს საჩქაროდ ოთახში შემოიყვანდა.

ხანდახან თუთიყუშს შემოიყვანდენ ქალები თავიანთ ოთახში. მაგრამ სტუმრობა არ გრძელდებოდა დიდხანს. სხვა ოთახში თუთიყუში სრულიად იცუვლებოდა, ხდებოდა გასაკვირალი და პირვეული—მას აბრაზებდა ქვრივის ტანის ოფლი და სუნი, რომლითაც გაუღენთილი იყო ოთახში ყველა ნივთი და ქსოვილი.

ასე მისდევდენ დღეები კვირებს და კვირები წლებს, სანამ ზამთრის ერთ ღამეში უფორად ყველაფერი არ შეიცვალა.

დღე, როცა ხმაურობდა ქალაქი, იშვიათად ისმოდა ის საშინელი გრგვინვა, რომელიც ღამე ასე მკაფიოდ იჭედებოდა ყურში.

ტახახმელას მთებიდან ქაი აყრიდა თბილისს ყუმბარების ცეცხლს და ისინი, ვისიც ყველაზე უფრო ეშინოდა ქვრივს, ახლოვდებოდენ სოღანლულიდან.

მეზობელ სახლებიდან მოდიოდენ ნაცნობი და უცნობი ქალები, ქვრივის ოთახში შემოდოდენ როგორც კირისუფლები და ყვებოდენ ამბებს, რომელიც





ერეკნული  
გაზეთი

ქმრებისაგან ჰქონდათ გაგონილი: მტერი უახლოვდება თბილისის შემოსავალს, მაგრამ საქართველოს ჯარი განზრახ იხევს, რომ შემოიტყუოს და მოიმწყუდოს, ქალაქში აღარ დარჩენილა მამაკაცი, რომ თოფი ხელში არ ეჭიროს, მოჰყავთ ტყეები შიშველნი და მშვირნი, მაგრამ პურის მაგიერ ისინი ითხოვენ შეუშვან ეკლესიაში, რომ ხატებს ემთხვიონ და შილონ ზიარება.

ფურნეების წინ, სადაც ღამიდანვე რიგში დგებოდნენ, მოქალაქენი ერთ-მანეთს მოუთხოვრებდნენ ყარაშანიანის ამბებზე უფრო საკვირველს, აგინებდნენ მეფურნეებს წულიანი ზურისათვის და გარბოდნენ სახლებისკენ, როცა ეღირსებოდნენ შეფიცებულ ცომის მიღებას.

ჯარისკაცი, რომელიც შესაძლოა არც ყოველიყო სანგრებში, ყვებოდა საშინელ ამბებს.

— ბევრი ომი მინახავს, რომელ ქვეყანაში არ მიბრძოლია, მაგრამ ასეთი რამ არ მახსოვს, ასეთი თვალს არ უნახავს. შინდვრებზე გორაკებათ დახვავდა დახოცილთა გვამები. კაცსა და ცხენს გაელა უჭირს, ფეხებში ეგნისებათ ადამიანის რბილი ხორცი. მტრის ყოველ ჯარისკაცს ზურგზე ჰქიდა ცალიერი ტომრები—ეს უნდათ იმისთვის, რომ ნიძარცვი ჩაყარონ და თან წაიღონ...

კიდევ მეტი საკვირველი სიტყვა ჯარისკაცმა და მოქალაქე, რომელიც ისმენდა ამბავს, შემდეგ სხვებს უყვებოდა და ეხლა მის გარშემო გროვდებოდა ხალხი.

სადგურისაკენ ჩაატარეს მრავალი ტუსალი. ამბობდნენ, რომ ესენი უთანაგრძობენ მათ, ვინც თბილისზე მოდიოდა. ბევრი მათგანში ნაცნობი გამოდგა, აქამდე მათი უპატიოსნობა არაეისვან თქმულა, ერთი ორი ჩვენი ქუჩიდანაც იყო, სალაში მოგვყეს, გაიღიმეს კიდევ.

ქუჩებში თავაშვებულად დაჭკროდნენ ავტომობილები, გამუდმებით მიდიოდნენ ნამცხვარი ქადით დატვირთული ფურგუნები და ხანდახან მოედნებზე გამოჩნდებოდა მანიფესტაცია, რომელსაც წინ უძღოდა დროშა შეიდფეროვანი.

და მხოლოდ საღამოობით, როცა ქალაქი ვერ ხედავდა ბნელში მოსიარულეთ, სამიკიტნობის უკანა კარებიდან ფრთხილად გამოდიოდა ერთი-ორი მოქალაქე და მიძინებულ ვიწრო შესახვევში ჩახლჩილი ხმით გასძახოდნენ ბაიათის ჰანგზე.

„ტაბახმელას ქორწილი აქვს,

• ლხინი, დაუსრულებელი“...

ყველაფერს ამას უყვებოდნენ ქვრივს მეზობელი ქალები.

ბევრი გასაკვირალი გაიგონა კიდევ ქვრივმა, თითონ კი არ ენახა ის ხალხი, რომელნიც ასეთი ამბების მოწმე იყვენ, რადგან კარგა ხანია დასნეულებულ ფეხებს კიბეზედაც გაჭირვებით ჩაჰქონდა ხორციანი და შიშვე ტანი.

მეშვიდე დღეს ყველაფერი დაწყნარდა.

მეზობელი ქალები ისევ შემოდდიოდნენ და ამბობდნენ გაგონილს, რომ თბილისმა მოიგერია იერიში, და ზარბაზნების ხმა არ ისმის, რადგან დამარცხებულნი შორს გადაარყვეს. ქალები ამბობენ, რომ თითონ წაიკითხეს დარაბებზე გა-



კრული მთავისარდალის ბრძანება—ყველა დამწვეიდეს და თურსეველა დააცხონ პური ჯარისთვის გასავზავნაო.

დღემ გაიარა მშვიდათ და ასეთივე საღამო მოჰყვა მას, მაგრამ მშვიდი არ იყო გული და ქალაქის სიჩუმეში იზრდებოდა გაურკვეველი შიში.

საღამოს, როცა წავიდნენ მეზობელი ქალები, ქვრივმა დახვრიპა ჩაი დიდი ფინჯანიდან, რომელიც წინაღ მხოლოდ ქმარის იყო და დასაძინებლად დაგორდა ლოგინში.

რამდენიმეჯერ დარეკა საათმა. ის ისე წმინდათ აღარ რეკდა, როგორც მაშინ, როცა პირველად დაჰკიდეს, მაგრამ მას აქეთ ბევრმა დრომ განვლო და თუ აქამდე მაინც მოატანა, ეს იმიტომ, რომ ლეიბა ცუკერმანდელს ყველა იცნობდა კარგ მესაათეთ, ყველა მისი მადლიერი იყო და ცხადია, ლეიბა ცუკერმანდელი არც თავის ოთახში დაჰკიდებდა უფარვისს საათს.

ქვრივს არც ეძინა და არც ფიზნობდა. ურს მკათეთით ესმოდა როგორ დადიოდა ისარი და იმავე დროს როგორც სიზმარში გაიარეს მის თვალწინ წარსულმა დღეებმა,—როგორ უყვარდა ქმართან დუქანში მისვლა, როგორ გაუხარდა, როცა მეზობელ სახლიდან შორეულ ქვეყანაში გაემგზავრენ ნაცნობები და დაუტოვეს თუთიყუში და ყველაფერი ის, რაც თუთიყუშის ოთახში იყო! ისინი სტიროდენ, როცა ეთხოვებოდენ საყვარელ ფრინველს, სთხოვეს მოველო მისთვის და ქვრივიც ისე შეეჩვიო, რომ ბოლოს თუთიყუში ყველაფერი იყო მისთვის. ქვრივის ყურს ეხლაც გარკვევით ესმოდა ნაბიჯები კიბეზე—წინაღ ისინი ისმოდა ყოველთვის ერთსადიმავე დროს, რადგან ქმარი დუქნიდან მხოლოდ შინ მოდიოდა.

ეს და ბევრი კიდევ სხვა უეცრად გაცოცხლდა ხსოვნაში. გაახსენდა ბევრი ისეთი წვრიმალის, რომელიც დაეწყებული ეგონა. ისინი ხროებათ დადიოდნენ ქვრივის წინ და უფროსობდნენ ძილს.

უეცრად კიბეზე აჩქარებული ფეხის ხმა გაისმა.

ასე გვიან, ასე უდროთ ჯერ აზვიან შემოსულა ამ ოთახში. ქვრივმა იგრძნო, რომ ეს ცუდის მომისწავებელია.

და როცა შენოვიდნენ აქლოშინებელი მეზობელი ქალები, გაიგო ის, რისიც ყველაზე უფრო ეშინოდა.

ქალებმა სთქვეს, რომ დაინახეს გუნდები და ათასეულები, რომლებიც გარბოდნენ ქალაქიდან, რომ სახლებიდან ვაჰქონდათ ბარჯი და ოჯახობით წავიდნენ სადგურისაკენ, რომ ყველა, ვისაც ქალაქში დარჩენა არ უნდა, გარბის დასავლეთისაკენ.

როცა მეზობლები წავიდნენ, ქვრივი და სარა დაფაცურდნენ. ყველაფერის წილება მოინდომეს. ოთახში არაფერს სტოვებდნენ. გამოალეს ყველა ყუთები, გადმოალაგეს თაროებიდან. იატაკზე გადმოყარეს ჩერები, რკინეული, ქალაღლები, მურალი ნოტიოს სუნი, აღწოლდა ოთახში. მოიფათურეს ყველა კუთხეებში, განზე გადააწვეეს წასაღები საბნები, ლებები, ბალიშები, პრიმუსი, კედლის საათი. ჩამოხსნეს სურათი და ყველაფერი გზეივს ფარდაგებში.



ქართველთა  
წიგნების კავშირი

რამოდენიმეჯერ დაიარა ქვრივმა ყველა კუთხეები, თველი მოსვლო რაც რჩებოდა, თვალზეა გადაიზინეს დაცარიელებულ კედლებზე და აივსენ ცრემლებით.

იელოვა მალალო და სამართლიანო! რა საჭირო იყო მათი მოსვლა, ვის ენატრება ისინი! როგორ შესძლოს მოხუცმა აშლი შეჩვეულ საბუღარიდან, სად გადაიხიხნოს, ან როგორ წაიღოს ყველაფერი ის, რაც დაუტოვა ლეიბა ცუქერ-მანდელმა! როცა ისინი მოვლენ ქვრივის ოთახში, ხელს მოაკიდებენ და შეიძლება თავისი ღონიერი ხელებით კისერიც წასწვეტონ თუთიყუშს, თენცა ამას რა ღონე უნდა — თუთიყუშის კისერი ისე ფაქიხი და სუსტია, რომ ბავშსაც არ გაუჭირდება!

მაგრამ უღონო ხელებმა ვერ ზიდეს ყველაფერი ის, რაც გახეული იყო და როცა სანათშიც დაიღია ნავთი, სარამ ისევ დახსნა ფარდაკები, დააწვინა ქვრივი და დააყოფა საბნები.

ღამით გარედან უჩვეულო ხმაური შემოდიოდა. გუგუნებდნენ აჩქარებული ავტომობილები, ქუჩაში აჩქარებით დადიოდნენ კაცები და მათი ხმადაბალი ლაპარაკი დამახილზე უფრო ძლიერად წვდებოდა სმენას. ხმაური ხანდახან შეწყდებოდა და უცრად ისევ შემოიჭრებოდა გრიგალივით.

ყველაზე უფრო აშინებდა აჩქარებული ნაბიჯები, რომელნიც შოლტივით ურტყამდნენ ტროტუარებზე. ფიქრით მოსახვევამდე გააცილებდა მათ და უცრად მოიტაცებდა იმნაირივე ახალი, რომლებიც თითქო განვილილს მისდევდნენ.

მერე გაიგონა როგორ გაიარეს ერთად ბევრმა, ბევრმა ნაბიჯებმა. მიდიოდნენ აჩქარებით, მიდიოდნენ შოლოდ ნაბიჯები და არა ადამიანები, რადგან მათი ხმა არ ისმოდა. შემდეგ ახმაურდნენ ფურგუნები, ფურგუნების დაუღვეელი ბორბლები. ისინი ხმაურობდნენ დიდხანს და შეიძლებოდა გაეგება, რომ ბორბლები მძიმედ ბრუნავდნენ ქვებზე, რომ გვებს აწვებოდა ტვირთი და ტორები ცხენების, რომლებიც ქშინავდნენ და ჭიმიავდნენ კუნთებს.

მერე ისევ გაიარეს ბევრმა ნაბიჯებმა და ისევ ახრილდნენ ფურგუნები. უცრად ოთახებში გაისმა თუთიყუშის ხმა.

თუთიყუში არ ისვენებდა, ველებოდა გალიას, ჩამოეკიდებოდა პრკყალე-ბით და ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა.

თუთიყუში ჭირვეულობდა მთელ ღამეს. რამოდენიმეჯერ დაიარა ოთახებში და როცა არაეინ დახვდა, ისევ გალიას დაუბრუნდა.

სარამ სცადა მისი დაწინარება, დაუყარა საკენცი, მაგრამ მზრუნველობაზე ბრაზით უპასუხა, წვეტიანი ნისკარტით დაუებირა ხელი და უფრო უმატა ყვილს. თუთიყუშს ეშინოდა ბნელის, ვერ ისვენებდა გალიაში, გამოდიოდა ოთახებში და ყიოდა თავისი ცივი ხმით. ისმოდა როგორ ფხოკნიდა წვეტიანი ბრკყალეებით ფარდაგს, როგორი გაბრაზებით კორტნიდა კედელს და ურტყამდა ფრთებს, როცა შეეფეთებოდა რამეს.

დიდხანის სიჩუმის შემდეგ ტროტუარებზე ისევ გაისმა ფეხის ხმა, უფრო აჩქარებული და ნერვიული. გრიგალივით გადაიზინა დაგვიანებულმა ავტომობილმა. მალე ისევ დამშვიდდა ყველაფერი; სიჩუმე მოადგა ფანჯრებს, ისმოდა



როგორ ხვეტავდა ქარი ქუჩებს და სახლის გაცივებულ კედლებზე როგორ იფხანდენ მუნთან გვერდებს ქუჩის უბინო ძაღლები.

მერე სამუდამოთ ჩამოდგა სიმშვიდე ყველა ოთახებში, აღარ ჰყოდა თუთიყუში, აღარ იყო ვარეთ ქუჩა, აღარც რბილი ბალიშები, არც შიში და არც მოლოდინი უცნაურის.

ვათენდა ბურუსიანი დღე. სახურავებზე, პატარა აივნებზე, შემოძარცვულ ხეებზე თებერვლის ღამეს თოვლი დაეყარა. ტროტუარებზე არ სჩანდა ნაკვალევი. ფანჯრების წინ დახტოდენ ფრთებ ჩამოყრილი ბელურები.

დილის სიჩუმეს თან მოჰყვა ახალი ხმაური; ახალი ნაბიჯები, აუჩქარებელი და დინჯი, ძლიერი და შეურყეველი.

შუადღეს კარების ვაღება მოითხოვეს და ოთახებში შემოვიდნენ რუბი შინელებით.

ჯარისკაცები თუთიყუშის ოთახში დაბინავდნენ.

კარგამოკეტილ მერე ოთახიდან ისმოდა სარას შეუჩერებელი [ტირილი-თუ რა ატირებდა დედაბერს, არავის უკითხავს და საყვედურიც არავის უთქვამს, რადგან დასვენებას მონატრულთ ძილს ვერაფერი უფრთხობდა.

დილით ჯარისკაცის ნაწილი ოთახიდან მიდიოდა. ვინც რჩებოდა, ეწეოდა დიასახლისობას—მაყალაზე ხარშავდნენ სადილს, დახეულს აკერებდნენ და რეცხავდნენ თუთიყუშის პატარა აუზში.

მათთან ერთად მოვიდა პატარა შავი ძაღლი და თუმცა ჯარისკაცები შეჩვეული იყვნენ და უყვარდათ კიდევ, მაგრამ შინც გააგდეს, რადგან თუთიყუში ვერაფრით ვერ დაუშვებობდა ძაღლს, რომელიც გამუდმებით უყვითა და პირის წავლებას უპირებდა.

სალამოს, როცა ყველა ბრუნდებოდა, ერთობოდნენ თუთიყუშით.

შეუჩვეველი ხალხი, რომელიც ხმამაღლა იცინოდა და მყრალი თამბაქოთი ბურავდა ოთახს, აშინებდა ფრინველს და გალიიდან გამოსვლას ვერ ბედავდა.

ჯარისკაცებს უხაროდათ თუთიყუშის გაბრაზება, ახლებდნენ თუთუნის ბოლით და თავმეტყავებლათ ხარხარებდნენ, როცა რომელიმე ამხანავს თუთიყუში დაკორტნიდა თავისი ღონიერი ნისკარტით და ააყვირებდა.

— რა ვაბლაელებს, დედაკაცი ხომ არა ხარ! ჩიტმა როგორ შეგაშინა! იცინოდნენ ჯარისკაცები.

— აბა ერთი შენ სცადე!—სიცილით და კვნესით უპახუებდა დაკორტნილი—ამას ხედავ? და დასისხლიანებულ ხელს აჩვენებდა გამზიარულებულ ამხანაგებს.

ყველაზე უფრო უხაროდათ ჯარისკაცებს, როცა უფერად თუთიყუში რომელიმე სიტყვას წამოიძახებდა; ცდილობდნენ ყოველნაირი საშვალებით კიდევ გაეგონათ ფრინველის ლაპარაკი, აწოდებდნენ შავ ჰურს ან შაქარის ნატებს, მაგრამ მედიდური თუთიყუში არც დახედავდა და პირშეკრული ყუნდა გალიაში.

თუთიყუშის სანახავად სხვა სახლებიდანაც მოდიოდნენ ნაცნობი ჯარისკაცები. ზოგს პირველად ენახა ასეთი საკვირველი ჩიტი, მოსწონდათ მისი ქრე-



საქართველოს

ლი ფრთები და ქოჩორა თავი. ვინც პირველად მოდიოდა დასაქმებულთა გაგონილი როგორი გაბრაზება იცოდა ჩიტმა, ამხანაგები მას განზრახ ნებას აღწევდნენ თუთიყუში გალიიდან გამოეყვანათ; ყველა სიამოვნებით სტუცავდა ხელს გალიაში, მაგრამ უეცრად ყვირილით უკან გარბოდა და ჰაერში დიდხანს აქნევდა დაკორტნილ ხელს. ეს იწვევდა შეუჩერებელ ხარხარს და განუსაზღვრელ კმაყოფილებას.

ერთ დღეს ჯარისკაცებთან მოვიდნენ ბავშვები მეზობელ სახლებიდან.

ვინ იცის-რამდენჯერ უნატრია მათ ახლოს ენახათ საკვირველი ჩიტი, ხელში აიყვანათ, ზურგზე ხელი გადაესვათ! აქამდე ნატურა მიუწვდომელ ოცნებათ რჩებოდა, რადგან ქერიფი არაეის აკარებდა თუთიყუშს და ყველაზე უფრო ბავშვებისგან იფარავდა.

გახარებული ბავშვები ჯერ შორი ახლოს უფლიდენ გალიას და როცა დაინახეს, რომ ჯარისკაცები დედაბერზე უფრო კეთილი იყვნენ, ახლოს მივიდნენ თუთიყუშთან და გახელება დაუწყეს.

ბოლოს ბავშვებმა ითხოვეს პატარა ხნით მიეკათ მათთვის თუთიყუში და რადგან ჯარისკაცები სადილობას აპირებდნენ და ისიც უნდოდათ დაენახათ, თუ როგორ გაამწარებდა მათ ფრინველის ნისკარტი, გაატანეს.

ყრიაშულით ხტუნვით ჩაიტანეს ეზოში გალია თუთიყუშით. ბავშვები ცდილობდნენ ერთმანეთისაივის გამოეგლიჯათ გალია ჩიტით, რომელსაც აქამდე მხოლოდ სიხმრებში ვალერსებოდნენ.

— ჩამოდგით, შუაში დადგით გალია! ყველამ ენახოთ! ყვიროდნენ ბავშვები.

შეშინებული და გაათორებული თუთიყუში კორტნიდა გალიის სინებს მარჯვნივ და მარცხნივ, რადგან ბავშვები ყოველი მხრიდან ახელებდნენ ჯოხით და თითით.

ბოლოს ერთმა, ყველაზე გაბედულმა, შერგო ხელი, მოასწრო და მუკში დაიჭირა თუთიყუშის ნისკარტი და გამოათრია გალიიდან. მაგრამ თუთიყუშმა იძალა, გაინთავისუფლა ნისკარტი და გაბრაზებით მკლავეზე დააფრინდა. ბავშვმა ასტება ყვირილი, ჩამოეგლიჯა, მაგრამ გაათორებული თუთიყუში ეხლა მეორეს მივიარდა საკორტნათ.

შეშინებული ბავშვები მივიარდნენ მეგობარს საშველად. თუთიყუშს თანდათან ელეოდა ღონე, აჩქარებით სუნთქავდა, მაგრამ ბრაზი ემატებოდა და ბრძოლას უმართავდა მათ, ვინც გალიის ეზოში გამოტანა გაბედა.

ერთმა ბავშვმა, რომელსაც თუთიყუში მწივზე სწვდა, გაჰკრა ფეხი და მიავლო სხვებისკენ. ბავშვები შეშინდნენ და, ვინც გატყვევა ვერ მოასწრო, დაღშინეს ჯოხები, ქაშრები და მეორე მხრით გადაისროლეს.

კარგა ხანს აბურთავეს ასე თუთიყუში და ბოლოს, როცა თუთიყუში გულაღმა დაეგდო გალიასთან, ბავშვები დაწყნარდნენ და მიხედნენ, რომ ის ამიერიდან ვერასოდეს ველარ დაკორტნიდა მათ.

მხოლოდ ახლა გაბედეს თუთიყუშის ხელში ყვანა და პირველად მოუაღერეს ლამაზი ფერებით აქრელებულ ფრთებს.

## ლისაგონის ტუსაღები

პიესა სამ მოქმედებათ \*)

### მოქმედება მეორე

(მოედანი სასახლის წინ. სიღრმეში დანგრეულ ქუჩებზე გამოჩნდება ცეცხლი. იქიდან გოდებით მორბის ხალხი. სასახლის ფანჯრები იხურება. შორს გაისმის ყვირილი, ძახილი და სასოწარკვეთილი ხალხი მიდის იქით. ცეცხლის ალი იზრდება. შემორბიან გოდებით ქალები).

#### ქალები

დედამიწამ გაალო ხახა და წითელი ცეცხლის ენა ამოსწია. შეგვშალა ღმერთმა და ბავშვები მიეატოვეთ!

(პირჯვარს იწერენ. დუმლია; იცქირებიან ცეცხლისკენ. გვერდით ჯგუფათ მიდიან აფუსფუსებული ქალები).

#### ქალები

(ნერვიულ ყვირილით)

გვიშველით! გვიშველით!

#### ქაცები

(არც მოახედავენ, ისე წამოიხვიან)

ზღვამ უკან დაიხია, თითქმის არც მოსწიანს, ისე შორს წაეიდა ზღვა!

(შეუჩერებლად მიდიან. იმავე გზით გამოვა სამი მოხუცებული ქაცი, მათ მოჰყვება აუარებელი ხალხი).

#### მოხუცები

იქ სერზე მოზვერია, იგი ძრავს ქვეყანას. თაყვანი ეციო. ჩვენ ანგელოზი მიგვიძღვება მოზვერთან.

\*) პიესა იბეჭდება ზელნაწერის უფლებით.

**ქალები**

(შეერევიან ხალხში).

დაიწვა ბავშვები! დაიწვა ბავშვები!!

(მარცხნიდან მორბიან ქალები და ბავშვები, მარჯვნიდან კაცები).

**ქალები**

სამხეცედან მხეცები გამოჰრილან!

(აპირობენ გატყვევას)

**კაცები**

სად მიხვალთ, იქ დაძრწიან შეშლილები!

**I კაცი**

ისინი შეიშალენ, როდესაც ზღვამ დაიხია!

**II კაცი**

არც ერთი მათგანი ადამიანს არა ჰგავს, ისინი თითქოს ბნელი სტიქიის ნაწილია.

(მიდიან მესამე მიმართულებით).

**ქალების ხმა**

ეს ბავშვები დამუნჯდნენ, ხომ ჰხედავთ!

**ხმა**

მონებო!

(შემოდის გუგავა. სახე იქით აქვს მიპყრობილი)

**გუგავა**

ავრე! ჩვენ მშვიდობიანად გავიყავით პური.

(შემოდინ სხვა და სხვა ეროვნების და რასის მონები. იმათ ცალ ხელში ცივი იარაღები აქვთ, მეორე ხელში კი პურის მოზრდილი ნაჭრები, რომელსაც ილუქმებიან.

**გუგავა**

გემი, რომლითაც მოგვიყვანეს, დაიწვა, ბატონი, რომელიც ამ ქალაქში გვეიდიდა, ნანგრევებში დაილუპა.

**მონები**

ბორკილები შემოვიხსენით!

**გუგავა**

ჩვენ გვეღირსა თავისუფლება.

**მონები**

ჩვენ გვინდა ტანისამოსი!

**გუგავა**

გავხდით მკვდრებს და შევიმოსებით.

**მონები**

ჩვენ გვინდა ფულები!

**გუგავა**  
 ავკრებთ მიტოვებულ განძს!  
 (მონები გაათავებენ ჭამას და ძლიერი მოთხოვნით განოსწყევენ იარაღიან ხელებს).

**მონები**  
 ჩვენ გვინდა დაეიბრუნოთ დები, რომლებიც აქ გადმოსხეს და გაჰყიდეს;

**გუგავა**  
 შეიძლება ჩვენ დაღესილი იარაღიც დავგვირდეს!  
 (მონები ერთმანეთის იარაღზე ლესავენ იარაღს)

**პრეფექტი**  
 (შემორბის დარაჯებით)  
 აა, თქვენც აპირობთ კეთილშობილების დარბევას? დარაჯების გასაწყვეტად ლესავთ იარაღს?

**მონები**  
 ჩამოგვეცალე!

**პრეფექტი**  
 (დარაჯებს)  
 დაჰზოკეთ ესენი!

(მონები გაათორებით იგერიებენ თავს. დარაჯების უმრავლესობა გარბის. მოისმის სირბილი და ყიყინა)

**პრეფექტი**  
 დეზერტირებო!

**დარაჯები**  
 (უკან იხევენ)

ბატონო პრეფექტო!  
 (შემორბიან აუარებელი შეშინებული დარაჯები. იარაღის ჩხარუნია და ყიყინა).

**პრეფექტი**  
 (უთითებს მონებზე).  
 გასწყვეტეთ ესენი!

**დარაჯები**  
 საშინელი ცნობებია...

**პრეფექტი**  
 დანგრეული უნდა აღვადგინოთ!

**დარაჯები**  
 ლისაბონის ციხე დაინგრა. გამოდიან უამრავი ტუსაღები. მძაფრად გვიტყვენ!





ერყენული  
ნიჯლირთიქა

**პრეფექტი**

(ხელეზი ჩამოუყარდებია).

ლისაბონის ტუსაღები!

(შემოდინ აურზაურით ლისაბონის ციხის პატიმრები; წინ მოუძღვება პედრო).

**პრეფექტი**

(დარაჯებს).

გიბრძანებთ, დაირაზმეთ!

(პრეფექტის ხმას დაჟვარავს საერთო ყიეინა. მონები ზურგიდან ეყვითებიან დარაჯებს. გუგავა ჰკლავს პრეფექტს. დარაჯები გარბიან. გამარჯვებულნი ალტაცებით ყვირიან: „ჩვენ გვაშრავლებს ბრძოლა!“).

**პედრო**

(გუგავას).

შენ ვინა ხარ!

**გუგავა**

შავ ზღვაზე გაყიდული ქართველი.

**პედრო**

(დაადგამს ფეხს პრეფექტის გეჟს).

ჩვენ ასეთი გზით ვიარეთ! ჩვენ მძიმეთ დავადგამთ ფეხს ძველ ქვეყანას. დაიწყება დიდი ამბები!

**ჟველანი**

ამბოხება! ამბოხება!

**პედრო**

ჩვენ ვიზრდებით! ჩვენ გავიზრდებით!

ჩვენ გადავიტყვევით მთელ ქვეყნად!

(ისმის თოფის სროლა და უწყსრიგო სირბილი).

**ჟველანი**

იქ, იქ, იქ!

(მედიან ყიეინით ორი მზრიდან შემოდის მოედანზე აუარებელი ხალხი. ისინი გროვდებიან სასახლის წინ.)

**ხალხი**

მეფე! მეფე!

(სასახლის ფანჯრები გაიღება. ხალხი გუგუნებს. ფანჯარაში გადმოდგება კამერგერი.)

**ხალხი**

არა.—ჩვენ გვინდა მეფე!

მეფეს სძინავს!

**კამერგერი**

(ხალხი უკმაყოფილოდ გუგუნებს.)

ყველიფერი დაეკარგეთ!

**მრავალნი**

**სხვანი**

უფსკრულში ჩაინგრა ჩვენი ოჯახები.

(თანჯრიდან გადმოდგება შიქვლო მახვილით ხელში, მუქარით.)

**ხალხი**

(ქქებს უკმაყოფილოთ.)

შენგან არ არის შებრალება!

(ხალხის უკმაყოფილება იზრდება. თანჯრიდან გადმოდგება ეფისკოპოსი; სახავს ხალხს ჯვარს.)

**ეფისკოპოსი**

ილოცეთ!

**ხალხი**

ვიარეთ ტაძრებში. ტ ძრებში ღმერთი არ გამოგვეცხადა!

(ხალხი გუგუნებს. თანჯრები იხრება. იარაღის ჩხარუნით და ყიღინით შემოდინ მემბობონენი, რომელთაც კადვე შეჰმატებია ქალები და კაცები.)

**ხალხი**

წებედეთ ვინ მოდის,—ქვეყანა გვენგრევა თავზე!

**I საკანის მეთაური**

არა! ეს სიმაართლეა, რომელიც უროთ დაეცა ჩვენს ბორკილებს!

**II საკანის მეთაური**

დაეხმარეთ მიწის ძვრას!

**III საკანის მეთაური**

დაიანგრიეთ!

(პედროს წინამძღოლობით ტრიამულით შეიკრებიან ხალხში).

**ხალხი**

ვინ არიან ესენი? ავაზაკები! ქურდები! გაქცეული ტუსალები! როსკოპები!

**პედრო**

დიახ—და ჩვენ თქვენი გრძნობა ვართ!

**ხალხი**

(უკან დახევის ნიშნად მიუშვებს ხელებს მებაზობებს).



გეორგიანული  
წიგლისწამბის  
კავშირის კავშირი

ჩვენ წლობით ვაშენებდით: თქვენ შრომა არ მიგძლვით! გაბარებთ  
ნგრევა!

**პედრო**

თქვენ ნახულობდით სასახლეებს, მხოლოდ მაშინ, როდესაც აშენებდით!  
**როსკიპი**

თქვენი თავისთვის მხოლოდ საფლავებს თხრიდით!

(ნანგრევებში ახალი ცეცხლი ალი ამოდის და  
ისმის ყვირილი)

**პედრო**

თქვენივე სიმართლის დასათურგნაველ და აღწყოთების ჩასახშობათ  
ყოველ წელიწადს ლისაბონის ციხის კედლებს ამალვებდით.

**მეამბოხენი**

და დღეს დაინგრა!

**პედრო**

აშენება თქვენთვის მხოლოდ წამება იყო. მაგრამ მოვიდა სიხარულის პირ-  
ველი დღე.

(მიუთითებს სასახლეზე).

წერის ძიების!

**ხალხი**

შეშლილი! დამნაშავე! დამნაშავე!

**პედრო**

(აღწყოთებული).

ხმა გაკმინდეთ! დაეხმარეთ სამართალს, რომელიც დღეს დაბადა დედა-  
მიწამ!

**მეამბოხენი**

დაეანგრევთ!

(სასახლის ფანჯრები გაიღება. შიგ მღელვარებაა, ეტყობა თავდაცვას ამზადებენ. შესას-  
ვლელებს დაიკავენენ მეფის გეარდიელები.  
გადმოიხედავენ ეფისკოპოსი და კამერგერი).

**კამერგერი**

საზარელი მზადება!

**ეფისკოპოსი**

კრავნო უფლისა! შესუსტდა ქვეყანაზე მორჩილება წინაშე ეკლესიისა და  
მეფისა და განრისხდა ღმერთი.

**ხალხი**

გემორჩილებით!

**ნიკოლო**

არა! არასოდეს! ამბოხება! ამბოხება!

**მეამბოხენი**

ამბოხება!



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**პედრო**  
(გაიწვევს სასახლისკენ).

გამომყევით — დაანგრით!

(საერთო ყოყმანია. ზოგან აღშფოთება).

ვისაც სიმართლის გრძნობა არ გაგაჩნიათ მოუწოდებ თქვენს სიხარბეს! ვაიტაცეთ ოქრო და ვერცხლი. სულ ერთია, დღეს თქვენში ყველაფერი უღიდეს საქმისთვისაა!

**ხალხი**  
(ხარბად)

რაოდენი ოქრო, ვერცხლი იქნება იქ!

**პედრო**

აიღეთ! დაანთეთ ცეცხლი. თქვენი ცეცხლი ენთება წარსულზე, როგორც დიდი სანთელი დიდ მიცვალებულზე. (კიდევ გაიწვევს) ვინ მომყვებით!

(სასახლის ფანჯარას მოადგება მინისტრი)

**ხმები**

მინისტრი!

(მეამბოხენი იარაღს აჩხარუნებენ. ხალხიდან მრავალნი გადმოდიან ამბოხის მხარეზე)

**ყველანი**  
(შეინძრევიან)

ამბოხი!

(ამავე წამში სასახლის ფანჯრიდან მინისტრი პეშეებით ისვრის ხალხში ფულებს. ხალხი დი მეამბოხენა შეინძრევიან: კრეფენ, ჰაერში იჭერენ, ებრძვიან ერთმანეთს და გუგუნებენ: „ფულები, ფულები.“)

**პედრო**

თავი ანებეთ ლითონის საცოდავ მისხლებს! თქვენს წინაშე აგდია ძალა-უფლება.

აიღეთ ძალა-უფლება!

(ამ დროს მეფე მოადგება ფანჯარას, ეფისკოპოსი პედროზე მიუთითებს, მეფე შეკოთება-იმალება.)

**ნიკოლო და ეუანი**

იქ სასახლეში ურიცხვია, იქ, იქ!

**მეამბოხენი**

იქ, იქ!

(კიდევ მეტი ლითონი ჩამოცვივა ფანჯრიდან. მეამბოხენი თითქოს ინსტინქტიურად დაიხრებიან ასაკრეფათ. ამ დროს მეფე, მიქელო, ეფის-



საქართველოს  
წამყვანი

კომპოზი, მინისტრი და კამერტონის  
სასახლიდან;

**პედრო**  
(მიიწევს მეფისკენ)

მომყევით!

**ნიკოლო და კუანი**

ბრმებო, თვალები გაახილეთ!

**მეფე**  
(უკან იხევს თავის ამალით)

გვარდიელებო! გამაგრდით! მალე მოგეშველებით ჯარებით!

**მიქელო**

გამაგრდით!—ამ ხალხს მალე მოეთურგნით, ფერფლად ვაქცევთ ამბობებულებს!

**მეამბოხენი**

დაპლიჯეთ ლისაბონის სატრუსალოს უფროსი მიქელო! ზედ დააკალით მეფეც! ყველანი!

(მეფე გარბის ამალით და ხალხის ნაწილით.  
ამბობებულნი მისდევენ ყივინით)

**ეფისკოპოსის ხმა**

დიდ ტაძარში!

**ხმები**

ჩავიკეტოთ ტაძარში! ტაძარში!

(სასახლის ფანჯარას მოადგებიან გაფითრებული ფარეშები)

**I ფარეში**

შეხედეთ!

**ფარეშები**

ოოჰ, როსკიბი ქალები ღლეტენ ხალხს.

**II ფარეში**

თითქო ჩვენ დედამიწაზე არ ვიყოთ, ისე გამოიცვალა ქვეყანა!

(ფანჯარას მოადგება დედოფალი)

**დედოფალი**

ის ვინაა, ჯარს რომ ანაწილებს?

**I ფარეში**

ის ხომ ჯარი არ არის, თქვენო უდიდებულესობავ! ავაზაკები იკავებენ ქუჩებს!

**II ფარეში**

ის უთუოდ ავაზაკების მეთაურია.

**დედოფალი**

საინტერესოა, როდესაც ნაცარში მთვარის შუქს დაეძებ....

თქვენო უდიდებულესობავ?  
**ფარეში**

ქექაე ნაცარს.... და შიგ ძველ მთვარეს გამოქექაე.  
**დედოფალი**

**ფარეშები**  
 (ფარეშები კვირობენ დედოფალზე. იცქირებ-  
 ბიან იქით, უზიარებენ ერთმანეთს შიშს. კან-  
 კალით)

მოდინა!  
 (ფანჯარას მოადგება გვარდიელი)

დამშვიდდით. სასახლე საიმედოთ არის გამაგრებული. მეფემაც ბრძანა,  
 რომ მალე მოგვეშველება.  
**გვარდიელი**

მიწის ძერა?  
**ფარეშები**

სჩანს—საბოლოოდ შეწყდა.  
**გვარდიელი**

ოჰ!  
**დედოფალი**  
 (სასოწარკვეთილი)

რა საშინლად იხედება ის!  
**ფარეშები**

საშინელი გამოხედვა აქვს!  
**გვარდიელი**  
 (ფანჯარას მოადგება მემკვიდრე)

ჩვენ უნდა გავიქცეთ სასახლიდან!  
**დედოფალი**  
 (შვილს)

სასახლე გამაგრებულია!  
**გვარდიელი**

ის რამდენიმე ასეულით მთელ ქვეყანას შეებრძოლება.  
**დედოფალი**  
 (შვილს)

უნდა გავიქცეთ! რაა ეს სასახლე!

**გვარდიელი**  
 ყველა ქუჩები ავაზაკების ხელშია, თქვენო უდიდებულესობავ, სადმე დაგ-  
 მალავთ!

**დედოფალი**  
 (გააწყვეტინებს. მოხევევა შვილს).

არა!



რა სიმძაფრით მოჰქრიან!

### მემკვიდრე

(დედოფალი და მემკვიდრე უცბათ შორდებიან ფანჯარას).

უთვალავი!

### ფარეშები

(იხურება ფანჯარა. სასახლის გამოსავალს მოადგება მათხოვარი ჭალი მათხოვარი ბავშვით).

აქ საიდან მოხვდით.

### გვარდიელი დარაჯები

#### დედოფალი

(მათხოვრის სამოსელში აძლევს გასაწევებს)

#### გვარდიელი დარაჯები

(გაკვირებულნი)

დედოფლის ბეჭედი! მიბრძანდით!

(დედოფალი მემკვიდრით იხედებიან ყველა ქუჩებისკენ. ყველგან საწიწარო ხმები მოისმის. ისევ მოედინის სიღრმეში გაჩერდებიან. შემოდის პედრო, ეუან, ნიკოლო და მათთან მრავალი მემამოხენი, რომელთა ბოლო არა სჩანს, მხოლოდ კრიაშული ისმის)

ჩვენ ვმრავლდებით!

### ხმები

ვიზრდებით!

### მრავალნი

(მოიწევენ წინ)

### საკანის მეთაურები

რა ოქრო ვერცხლია იქ!

### როსკიპები

იქ თვალ მარვალიტების ზღაპარია!

### პედრო

დაირაზმეთ!

(ირაზმებიან)

### დედოფალი

(შეილს)

როგორ გაფითრდი!

(სწულს)

წავიდეთ!

(შემობრძიან გამოქცეული მემამოხენი)



**მეამბოხეები**

მეტეს მრავალი ჯარი ნოეშელა!

(კიდევ შემორბიან გამოქცეული მეამბოხენი)

გაიქეციო!

**გამოქცეული მეამბოხეები**

სად გარბიხართ!

**პედრო**

დამარცხდეთ!

**გამოქცეულები**

**პედრო**

განა შეგეძლოთ აქ მობრუნება როდესაც თქვენ ბრძოლა გაძლედათ  
ინებას მომკვდარიყავათ!

**საკანის მეთაურები**

მართალია!

**პედრო**

მოლაღატენი!

(მიუშევრს ხმალს)

**საკანის მეთაურები**

(შეუტივენ. დაურევიან ხმლებით გამოქცეულებს, სცეპენ)

მოლაღატენი!

**I საკანის მეთაური**

ჩემი საკნის ბიჭებო, თქვენგან ხომ არავინ გაქცეულია ბრძოლიდან! თუ  
არის ასეთი გუფიცებით მას მბრებზე თავი არ შეჩება!

**II საკანის მეთაური**

სირცხვილო! გამოქცეულთა შორის ერთი ჩემი საკანის წევრი არის! მოჰ-  
კალით!

(გრგვინავენ და იძახიან: „მოჰკალით“)

**გამოქცეულები**

არ გაურბიყართ!

**პედრო**

მოჰკალით!

(სცეპენ გამოქცეულებს)

**გამოქცეულები**

ვიონებო! სიცოცხლეს დაედებო!

(ნოისნის იარაღის ჩხარუნი, სირბილი, და ხმე-  
ბი: „მეფე!“ „მეფე!“ შემორბის ტუანი)

**ჟუანი**

(პედროსკენ)





იქ ბრძოლა ხურდება.

შეურყეველად, წინ!

გეცხებენ!

**პედრო**

(ასწევენ იარაღებს და მიჰყვებიან; ნოისმის ბრძოლის ხმა. შემორბიან დაქრილები).

**დაქრილები**

(შემოდინან კიდევ დაქრილები)

**I დაქრილი**

რა საჭირო იყო სისახლეზე გამოლაშქრება, დავიკავებდით რომელიმე კუთხეს და შეფეც ერთ-ორ დღეს ხმას არ გავცემდა.

**ხხვა დაქრილები**

ხელს მოვითბობდით!

**II დაქრილი**

წუთისოფელიც ორი დღეა!

(შემოდინან მძიმეთ დაქრილები)

**მძიმეთ დაქრილები**

მსუბუქათ დაქრილებო! გადით იომეთ!

**მსუბუქად დაქრილები**

კრილობა შეუხვეველი გვაქვს!

**მძიმეთ დაქრილები**

გოწვივენ!

(წაიქცევიან)

(მსუბუქად დაქრილები მიდიან)

**I მძიმე დაქრილი**

ზოგჯერ კეჟაეც წააგებს.—ცოტა რამ ძვირფასი ნივთები მოვაგროვე, მაგრამ ამაოა-გავაშვერ ფეხს!

**II მძ. დაქრილი**

ჩვენ, ლისაბონის ციხის ტუსალებმა მაინც ვიძიეთ შური.

(ახლოვდება ბრძოლა)

**III მძ. დაქრილი**

ჩვენები უკან იხევენ!

**პედროს ხმა**

მძიმეთ დაქრილებო გამოდით!

(მძიმეთ დაქრილები წამოდგებიან)

**პედროს ხმა**

წამოდით—თქვენ მკვდრები გეძახიან!

(მძიმეთ დაქრილები მიდიან)



ერყნუნული  
ხიზლირთიქა

**პედროს ხმა**

აჰ, იჰმეთ! გამაგრდით: ნუ ეცემით!  
(გამოჩნდება მეომარი პედრო და სხვა მემბოზენისის ზურგი)

**პედრო**

მეფევე, ჯერ ნუ იცინი! ნუ გამხნიეებს მიქელო! ჩვენ მიქელოს თავს გაეუპყეუთ და შენც გაწამებთ: დაარტყით! აჰ, კიდევ ერთი! ისე ნუ კვდები! თქვენც ისწავლეთ არწივებო სიკვდილი! ის გამარჯვების შაქარია, მაგრამ არ გშენით, მეომრებს ამდენი სიტყვო! აჰა, ერთი კიდევ!  
(ის მძაფრად იბრძვის)

უქანასკნელი ამოსუნთქვა:

(გრილია. ფეხების მძაფრი ხმა და ახალი კიკინა)

**პედრო**

(სიხარულით)

გაღმარჯოს ანტონიოს! აჰაჰ გამარჯვება?  
(მორბის წინ)

გამარჯვება!

**მეამბოხეთა ხმები**

მოგვეშველა ანტონიო! მოგვეშველა!  
(ისმის როსკიპების სიცილი)

**I ხმა**

გზა გადაუჭერთ!

**II ხმა**

გარბიან!

(ისმის მტრის უწყეს-იგო დაბევა. ყოიხა, ხმები თანდათან შორდება, იკარგება. თანჯარას მოადგებიან ფარეშები).

**I ფარეში**

მეფე უქან იხვის!

**II ფარეში**

ორი მხრიდან უტყვენ.

(ირყევა სისახლე)

**ფარეშები**

ისეე მიწის ძვრა!

(მოელ ქალაქში გაიშის ღრიანცელი. ფარეშები იწერენ პირჯვარს. თანჯარას მოადგება გვარდიელი.)

**I ფარეში**

ქალაქს ახალი ცეცხლი ეღება.



ეროვნული  
მიჯლიყმისა

**გვარდიელი**  
რა ხაოსია! ქალაქში შეყავშირებულია მხოლოდ ლისაბონის ტუსალები.  
(ყველანი შორდებიან ფანჯარას. სცენა ერთ-  
ხანს ცალიერია. შემოდის გუგაეა აჯანყებუ-  
ლებით).

**გუგაეა**  
მოანებო, ტუსალებო და დებო! ქალაქი ჩვენია!

**უველანი**  
ჩვენია!

**გუგაეა**  
ჩვენ დღეს გვარს ვიწერთ თავისუფლებაზე, სიმდიდრეზე! ქორწილი სა-  
სახლეში!

**უველანი**  
სასახლეში, სასახლეში!

(ირაზმებიან,  
სამი მონა ზანგი იხდის ტანისამოსს)

**როსკიპები**  
(ზანგებს)  
რას შერებით?

**ზანგები**  
თავისუფლებაზე ვიწერთ გვარს.

**როსკიპები**  
(იციინიან)  
მერე? თავისუფლება რა გგონიათ!

**ზანგები**  
(ერთმანეთს ასწრობენ ახსნას)

ეს მონათ გამყიდველებმა ძალათ ჩაგვაცვეს; ჩვენ აფრიკის ტყეებში გავი-  
ზარდეთ, არ გეცმია ტანისამოსი; არ გვინდა! არ გვინდა!

**გუგაეა**  
მომყევით!

(ყველანი ყივინით მიაწყდებიან სასახლეს;  
გასტეხენ გვარდიელების წინააღმდეგობას და  
შედიან სასახლეში. სასახლიდან მოისმის კი-  
ვილი, ნგრევა... ბოლოს მძაფრი ხარხარი და  
ზეიმი. ფანჯარას მოადგება გუგაეა და გამო-  
ჰკიდებს ბაირალს წარწერით. შემოდის მრავალი  
ხალხი ბრძოლით, წუხილით. გაკვირვე-  
ბით შეჭბედავენ სასახლეს).

**ხმები**  
სასახლე ღიაა. საღაროები ღიაა. ამბობება?



ერეკნული  
(მთელი ხალხი ყივინით შედგეს: საქსესელში.  
გაისმის ნგრევა და ზეიმი შემოდინან პედრო  
და ანტონიო თავის ჯარებით.

**ანტონიო**

პედრო, ეს ყველაფერი საუკუნეების საქმეა!

**პედრო**

საუკუნეები!—ისინი მხოლოდ ძველ ბორკილებს აფოლადებენ. არა! საჭი-  
როა ერთი დღე ათას საუკუნეების მეხებით გატენილი, რომ ერთიანად დაან-  
გრიოს ყველაფერი! ყველაფერა, ანტონიო!

**ანტონიო**

როგორ სრულიად გამოცვლილხარ ციხეში!

**პედრო**

რასაკვირველია—ეხლა მე მუზეუმის გამგე არა ვარ... და ვბრაზდები, რომ  
ჩემი მესხიერება შეირყვნა იქ, იმდენი ჭკუყით, სამაგიეროდ ო, რა ტყუილათ  
ვიგონებდი მე ციხეში იმ ნაშთებს, რომლისაც ჩვენი დროის კაცობრიობას  
მხოლოდ იმიტომ არ რცხვესია, რომ თითონ უფრო საშინელს სტოვებს!.. მაგ-  
რამ, ერთხელაც, უნდა გაითხაროს უბსკრული წარსულის და მომავლის შორის!

(მოისმის თოფის სროლა)

**ანტონიო**

პედრო, შენ ძლიერ შორს იქნევე ხელებს. გონს მოდი!

**პედრო**

ჩვენ ავმაღლდით გონებაზე ხვეით. ჩვენ აღეშფოდიით და მართალია,  
გაათურებით ვიქნევთ ხელს... და დაეაქნევთ ხელებს ცის კიდემდე!

**პედროს რაზმი**

ცის კიდემდე!

(გაისმის თოფის სროლა და ხმები: „ჯარები  
ჯარები!“ პედრო ამ ხმაზე მიდის თავის ჯა-  
რებით.)

**ანტონიო**

რაზმელებო! თორმეტ წელიწადს ჩვენი ლოგინი იყო მიწა და კედელი ტყე-  
ჩვენ ვიტანდით მრავალ წამებას და ომს, იმიტომ რომ ვერ ვვლობდით სწორ  
გზიდან გადახვეულ სამღვდელოებას და უსამართლო მეფეს!

**რაზმი**

მართალია!

**ანტონიო**

არა მარტო იარაღით ვიცავდით თავს... ჩვენ გონიერ ქადაგებას ვეწეო-  
დით, როგორც გლეხობაში, ისე აზნაურებისა და სამღვდელოების ნაწილში. მრავალნი  
თანაგვიგრძნობდნენ და გვამხნევებდა ეს თანაგრძნობა!

**ჯარი**

მართალია!



გეორგიანული  
წიგლისწამყვანი

ანტონიო

თორმეტი წლის განმავლობაში ჩვენ გულის ძვრით ვუახლოვდებოდით ამ ქალაქს.

ბოლოს ისმინა ღმერთმა ჩვენი სიპართლე და გაგვიხსნა გზა.... მაგრამ ის გამოიტანს ჩვენზე მსჯავრს ჩვენი საქმეთა მიხედვით.

ამისათვის აქ ჩვენი პირველი საქმე იქნება შენება და არა დანგრევა, შრომა და არა ძარცვა, სიყვარულის დამყარება და არა შურის დათესვა!

რაზმი

მართალია!

ანტონიო

ჩვენ ციხეში გვეგულებოდა მეგობარი, ვისი განთავისუფლებაც გვწამდა და ვისზედაც, თორმეტი წელიწადი გვტკიოდა გული.

რაზმი

ეს იყო პედრო!

ანტონიო

ჩვენმა რაზმმა გასულ ღამეს ძვირფასი სისხლი გაიღო მისთვის... და ნუ თუ ეს მსხვერპლი არ ავაღებს მას ჩვენდამი ყურადღებას!...

რაზმი

მართალია!

ანტონიო

ამ რაზმმა ოცდა ხუთი ვაჟაკის სისხლი შესწირა მის განთავისუფლების კლას და თუ ციხიდან გიყი მივიღეთ, მაშინ იგივე მსხვერპლი გვავალებს ჩვენ, სამუდამოდ გავიმოჯნოთ შეშლილისაგან!

რაზმი

გაუმარჯოს ანტონიოს! გაუმარჯოს ანტონიოს!

ანტონიო

დაგვიდგა ჟამი და შევდივართ სასახლეში... მაგრამ, გონიერო რაზმელებო ჩვენ შევალთ, როგორც პატრონები, ერის სიმღერის დარაჯები და არა როგორც ავაზაკები.

რაზმი

სწორია!

(ასწვევენ იარაღებს. ეშურებიან სასახლეში. სასახლიდან მოისმის ზმაურობა. რაზმელები შეჩერდებიან).

I რაზმი

სასახლე ბრბოს უკავია!

(ბრბო მოაწვევა ფანჯრებს ყიყინით)

ანტონიო

შეხედეთ! ისინი დასცინიან თავისივე უფლებას!

(სასახლიდან გამოდიან დატვირთულები),

დაჰყარეთ! ეს ჭონება თქვენი არ არის!

თუ შეგვარჩენ ჩვენია!

**დატვირთულები**

**რაზმელები**

(ჩამოხსნიან ტვირთს)

თავს უშველეთ!

(ემუქრებიან იარაღით. ხალხი დატვირთული გამოდის სასახლიდან. რაზმელები მუქარით შემოერთყვიან მათ. ნაწილი გადააგდებს ტვირთს და გაჩხის დანარჩენები და აჯღებინ თაყიანთ ტვირთს და ყვირიან: „მოკვედებით და არ დაგანებებთ!“ როსკიპები გამოდგებიან ფანჯარაში და ემუქრებიან ანტონიოს. შემოდის პედრო თავის რაზმით)

**პედრო**

მტერი ტაძრებში იარაღდება. შეამპიდროვეთ რიგები და წამოდით საბრძოლველად. მეფე მაგრდება და იკონებს თქვენთვის ახალ წამებას. მონებო, ტუსაღებო და რაზმელებო! მოიპოვეთ გამარჯვება არ ნახული, არ გაგონილი!

**ანტონიო**

ხალხო! თქვენი გამარჯვება მართალია ბრძოლის ველზე დაიწყება, მაგრამ მას თქვენი სინდისი დაამთავრებს. თქვენ ღირსი უნდა გახდეთ გამარჯვების და გაიმარჯვებთ.

**პედრო**

მართალია!

**ანტონიო**

ამისათვის ახლავე უნდა დატვირთოთ თქვენ შორის უღირსი და გაასწოროთ უსინდისო!

**ანტონიოს რაზმი**

გაეასწორობთ!

(დაერუვიან და აგდებინებენ ტვირთს სასახლიდან გამოსულებს და მიმავლებს, მონების საწინააღმდეგეთ ირაზმებიან. როსკიპები ყვირიან და იმუქრებიან)

**პედრო**

(რაზმელებს)

შეჩერდით!

**ანტონიო**

(რაზმელებს)

განავტეთ!

**პედრო**

(გაათრებულ მიიწევს იარაღით და მას თან მიჰყვებიან მისი რაზმელები)



ვაქვავლით!

(ანტონიოს რაზმელები დაიხვეწენ)

**პედრო.**

ჩვენ აქ სემინარიას არა ვხსნიან; (ხალხს) თქვენ საკმაო წამებისა და ტანჯვის ქურაში გაიარეთ! თქვენ იხრობოდით თქვენს მოთმინებაში და არა მას შეუძლია ვაკიცხოთ, ვისაც ყოველთვის ჰქონდა საშუალება გადმოენთხია გულის წრომა და ქარივით ჰქოდა ტყეებში! თქვენ იხრობოდით... და დაგიდგათ დღე აღწვოთების და არა წესრიგის!.. და ვინ ვაპბედავს ეხლა გამოი-სროლოს თქვენსკენ ქვა! ეს ქვა დაეცემა მაშინ თქვენი ნაღველის შავ ქაში და კიდევ უფრო აამღვრევს მას!..

(ხალხი ალტაცებით გუგუნებს რაზმები იძახიან „ვაუმარჯოს პედროს“ — ზოგი დატვირთულნი, ალტაცების ნიშნად ტვირთს ყრიან მის ფეხთა ქვეშ).

**ანტონიო**

არც მე, არც ერთი ჩემი რაზმელი, არ უტყბადებს ომს ნივთებს, რომლებიც შექმნილია ჯარის სისხლით, მუშების ოფლით და ერის სიმდიდრეს წარმოადგენს.

**პედრო (ხალხს)**

განა ეს ნივთები კერპებს არ წარმოადგენენ? განა თქვენს გონებას, სულს ნივთებიც არ ახშობდნენ, ისევე, როგორც მათი პატრონები? განა ყოველი ძვირფასი ქვა, ოქროს ქსოვილი არ დაგცინოდათ? ფეხზე დაიხვიეთ ზემით!

გვირგვინები თქვენს ცხენებს გაუკეთეთ მოსართავეზად და ზედ დაჯექით, რომ თქვენმა ოფლმა გამოახროს კერპი ლითონში!..

**მრავალნი**

ჩვენია, ყველაფერი, ჩვენია!

(შიორბენინებენ ტვირთს. სასახლიდან გამოდის ხალხი და გამოაქვთ ნადავლი. შემოდის აალხი და შეცვივდება სასახლში. სასახლიდან გამოდიან როსკიპები ჩაკულნი ოქროს ქსოვილებში. ისინი აქნევენ ძვირფას ნივთებს და ერთმანეთს აჯავრებენ).

**ანტონიო**

(იშიშელებს ხმალს)

პატიოსანო რაზმელებო!

**პედრო**

(ასწევს ხმალს)

ლისაბონის ტუსალებმა პატიოსნება ჯალათებს დაეუტოვეთ, ავიღეთ ცეცხლი და მახვილი. ქვეყანაზე ჯერ არაფერი არ ყოფილა ჩვენს მახვილზე უპატიოსნესი, ჩვენს ცეცხლზე უწმინდესი.

(აქნევს ხმალს)

ვინა ხართ ჩვენთან!

(ანტონიოს რაზმს გამოეყოფა უმრავლესობა).  
**უმრავლესობა**

ჩვენ, ლისაბონის ტუსაღუბთან ვართ!

**ანტონიო**  
(დაიხვევს)

ოო, სიგიჟე როგორ გადამდებია! ჩვენ ვიმიჯნებით! ვიმიჯნებით თქვენგან!

**ნიკოლო**

თქვენ ბრძოლის ველიდან იმიჯნებით!

**ანტონიო**

(უკან დაიხვევს ერთვულ რაზმელებით. სიღრმეში).

ჩვენ ვიმიჯნებით!

(მიდიან).

**პედრო**

როსკიპებო, თქვენ ვშვებით დედოფლის სამოსები მაგრამ...

**როსკიპები**

(იციინიან)

**პედრო**

ეს სამოსლები შესვრილია, ეს ემოსა ბნელებს, რომლებმაც იცოდნენ მანკვა და ჭამა. თქვენ კი— შეიძლება ღმერთსაც არ უნახავს, რაც თქვენ გინახავთ, განგიცდიათ... თქვენი თვალები ცხოვრების ღრმა კებია და დგეხართ ღმერთებივით

ყოფითაა შესვრილი, რაც ეხლა გაცივით, ცოდვითაა შესვრილი, მაგრამ, თქვენ წამოხვალთ ჩვენთან და იქ ბრძოლაში გაიწმინდება ეს სამოსელი!

**როსკიპები**

ვიბრძოლებთ! ვიომებთ! საშინლად! საშინლად! გაეავლებთ სისხლში! (იხევენ ტანისამოსებს) გაეავლებთ სისხლში!

**გუგავა**

მონებო! ის იყო მტერი და ჩვენ მთურგენელნი გაეჩნდით—ჩვენი სიპართლე მხოლოდ ტკივილი იყო!

**მონები**

(გუგუნით)

ტკივილი!

**გუგავა**

ის ჰხედავდა ჩვენს ცრემლებს, მაგრამ ეხლა უნდა მნახოს მტერმა ჩვენი ცეცხლი! ის სკედავდა ჩვენს ხელებზე ბოროკილებს, ჰხედავდა ჩვენს ჯათას, მაგრამ ეხლა ჩვენ უნდა დავაჯდეთ და დავაძღეთ!

**მონები**

დავაჯდეთ, დავაძღეთ!



**პედრო**

ლისაბონის ტუსალებო, ბრძოლაში!

**ტუსალები**

(იარაღის ჩხარუნით)

ბრძოლაში!

(ირაზნებთან და პედროს წინამძღოლობით მიდიან რიგ-რივად).

**როსკიპები**

აბა თამაში! თამაში!

(როსკიპები ცეცხვენ და მიდიან)

**ხმები**

აიღეთ!  
 მოასწარიტ!  
 ბევრია!  
 გაგვიშვიტ!  
 ჩვენც!  
 ჩვენც!

(შემოდის ხალხი. ისინი აღრიაღდებიან, როდესაც შეჭედავენ სასახლეს. მიადგებიან შესასვლელებს და შედიან სასახლეში. მოედანზე შემორბის დედოფალი მემკვიდრით ერთად. სცენის იქით გადაირბენს კივილი).

**დედოფალი**

ა, სიკვდილი თქვენ, სიკვდილი! (მოიხედავს) ძლივს გავექცევი!

**მემკვიდრე**

(უპერს ხელს ხელზე)

დავიღალე...

**დედოფალი**

სწულხარ, ო, შენ ოფლი გასქდება სახეზე. (უსინჯავს შებლს) ოჰ როგორი იყავი—შენი თვალები ქვებსაც კი ზრდიდა. რათ სკვნები!

**მემკვიდრე**

დედა... დედა... დედა...

**დედოფალი**

(ზრუნვით)

ა...

**მემკვიდრე**

(ნერვიულად)

არა მიშავს.

(სასახლის ფახჯარაზე მოადგებიან მრბეველები, შლიან ძვირუფას ქსოვილებს)

**ერთი მრბეველთაგანი**

სად არის დედოფალი? ის ვანა სასახლეში არ დარჩა!

**მეორე**

აქ ვერ ენახეთ. უთუოდ სადმე ქუჩაში იმალება.

**პირველი**

ვერ იქნება ეხლა ისეთ ფერ-ხორცზე!...

(დედოფალი შეკრთება. წამოდგება. იხედება ერთ შესახვევში. იმედით გაილიმებს. მიდის შემკვიდრით ერთად)

**ხმა**

ქალი გამოუპატიურა—შეიბყარით!

(ისმის ხარხარი)

**პირველი ხმა**

სად არის გქიმი!

**მეორე ხმა**

არ გაუშვით! არ გაუშვით მკელელი!

(მოისმის მთვრალი ქალის სიმღერა)

**ხმა**

ომია, ომი! ბრძოლა, სისხლი სწვიმს!

(შემოდინ მთვრალი კაცები შემოაქვთ ღვინო თუნგებით, ქუდებით. ერთს გაუძვრია ფეხზე ცალი ჩექმა, შიგ ღვინო ჩაუსხამს. ისინი არეულ პანჯზე მღერიან).

**I მთვრალი**

დედამიწამ გაიმარჯვა! ყოჩაღ!

**II მთვრალი**

ჩვენ ვერაფერი ვერ დაგვინგრია.

**III მთვრალი**

იმიტომ რომ ჩვენ არაფარი არ გვქონდა

(იციინიან)

**III მთვრალი**

არ გავაჩნდა სახლ-კარი წუნკლებს და დედა მიწამ მოგვცა ნანგრევები.

**I მთვრალი**

ღვინოზე დაგვაპატივა!

**II მთვრალი**

ბევრი დაელიეთ, ბევრი მიგვაქვს!

(მიდიან)

**ხმები**

არ იქნება უკან დახვეა!

(ისმის ბრძოლა. შემოდის იოან ჩეილი ბავშვით მკლავეზე.)

იოანე

გასაოცარი ამბავია! (იხედება ირგვლივ. მოუფერება! ბავშვა) სს... სსს... აღმათ ძალიან გაჭირვებულ დედ-მამის შვილი ხარ. არა? მაშ სულ სატირლათ რათ გეპრანჭება სახე: იმოდენა სახლის ნანგრევებში მარტო შენ ვადარჩენილ-ხარ და ბედს ემდური? კარგი, რომ მე წაგაწყდი თორემ... (იხედება ირგვლივ) აღმართს და დაღმართს სთელავენ... დაეძებენ ოქროს, საჭურჭლეს, ტერითებს. ჩვენი ბიჭები იცინიან, ყვირიან: „თავისუფლება, თავისუფლება!“ ასკდებიან კედ-ლებს, ქალებს და, როგორც მე ისე სუყველანი და ყველაფერი მოწყვეტილია თავის ადგილს. წინათ კარგი იყო. ნამდვილი დრო იყო. ყველაფერი თავის ად-ვილზე იდგა. მე სულ ვიწექი თაროზე და არც ერთი კედელი არ ირყეოდა. ადამიანები იყენენ დაფიქობულნი. შემოიყვანდენ საკანში რომელიმე ბრძენს და შემდეგ, ვათენებისას, საბრძოლელაზე წაიყვანდენ... და ყველა ადამიანი, ვინც საბრძოლელაზე მიჰყავდათ იყო ბრძენი, ისეთ რამეებზე ფიქრობდა. ყველაფერი ადგილზე იდგა და ყველას ადგილზე აწესებდენ. ეს უნდა დაფიქმბსოვროთ .. ახ-ლა... მე დავიღალე ღრიანცელში... ეს კია, ამ ბავშვა რაღაც სიხარული მაპოფ-ნინა... თათქო ამ ბავშვა მომინაბა ადგილი. კიდევ კარგი, თორემ მე სულ და-კარგული ვიყავი!.. (მოისმის ხმები: „არ შეიძლება უკან დახევა!“) უკან დახევა— იქ, საკანში? მართალია, საკანში არ შეიძლებოდა ასეთი რამ... (ეფერება ბავშს. დაფიქრდება) იქ ორმოცდაათ წელიწადს პატარა თავისი ბახარხლებს ვეძებდით საალერსოთ... და ის ინახავდა გულის სითბოს, ადამიანს... (ეფერება ბავშს) მარ-ფალია იქ ეს არ შეიძლება. აღუ! ლურჯი თვალები აქვს... როგორც ორი პა-ტარა ცა... რომ იტყვიან ყვაელია... (მაგრად მიიკრავს გულზე ბავშს. მოისმის პედროს ხმა: „არ შეიძლება უკან დახევა!“) ო, ეს პედროს ხმაა. მართალია.— (ყვირის) არ შეიძლება უკან დახევა! (შიდის).

(შემოდიან ვაჭრები, მღვდლები და მსხვილი ნოხელები. დადიან დამფრთხალნი, ჯგუფათ და ლაპარაკობენ ხმადაბლა).

**მღვდელი**

ეხლა ნუ თუ არ ვიკითხოთ, რათ განრისხდა ღმერთი.

**მსხვილი ნოხელი**

(კანკალით)

დედოფალმა ვერ დაგვიყენა კვეიანი მინისტრი.

**მღვდელი**

(ჩურჩულით)

ეკლესიებს დააკლეს შემოსავალი და, აი, დაირღვა ყველაფერი.

**ვაჭარი**

(გრაფს)

სად არის მეფე!..

**გრაფი**

თუ ხალე ვერ აღადგინეს წესრიგი დავილუბები, მსახურები გაველურ-დებიან.

**მეორე ვაკარი**

(ტუზზე მიიდობს ხელს)

დაედუმდეთ, ლისაბონის ტუსაღუბი მოდიან!

**ყველანი**

(შემკრთაღნი)

დაემაღლოთ!

**მღვდელი**

ილოცეთ, — ღმერთს ნუ დავკარგავთ—

(ყველანი კანკალით ეფარებიან ერთმანეთს და მიდიან)

**მთვრალის ხმა**

რამდენი ღვინო ყოფილა ლისაბონში, იაჟუ!.. და რამდენი ვაგაკი ყოფილა!  
(მოისმის ჩქარი ნაბიჯები. შემოდინ პედრო, ვუგავა და ფლორენსა)

**გუგავა**

ამბობება ქალაქის განაპირა სოფლებსაც მოედო. მე მგონია ჩვენ პორტუგალიას ენახათ ამბობების ცეცხლში.

**პედრო**

(ანთებულ ღიმილით)

სულ — ცის კიდემდე.

**ფლორენსა.**

ვინმე მათხოვარი ქალი — ბეშით, წეროლებს არიგებს და ჩვენს მტრებს შორის სამხედრო კავშირს აბამს.

**გუგავა**

მის შესახებ მეც გავიგონე. თქვენ ნახეთ ის ქალი?

**ფლორენსა**

მე დავინახე, შორიდან.

**გუგავა**

(უკმაყოფილოთ)

დაინახე შორიდან!

**ფლორენსა**

ჩვენ გვინდოდა გავვესრისა, მაგრამ მიიმაღა.

(შემოდის ტუანი და რამდენიმე მეამბოხე).

**პედრო**

შენ რათ მობრუნდი!

(მწყრალათ)

შენ გქონდა მინდობილი ერთად ერთი გზა.

**ტუან**

აქეთ მხარეზე ჩვენ გავშორდით ქალაქს. მოედევით სოფლებში ამბობება, მაგრამ წინ გადაგველობა ანტონიო თავის რაზმით.



**მეამბოხენი**

ანტონიო ჩვენს საწინააღმდეგოთ აგროვებს ძალებს.

**გუგავა**

(პედროს)

მე მაფიქრებს მათხოვრის ამბავიც. ვინ არის ის? ასეთ ღროს, შიგნით, ქალაქში მტერს ვინ აკავშირებს!.. ისევ მონებათ და ტყვეებათ არ გადავიქცეთ. (შეშოდის ნიკოლო)

**ჟუან**

(ნიკოლოს)

შენ რომელი მიმართულებები დაზვერე?

**ნიკოლო**

მრავალი.

**ჟუან**

რა შეიტყვე, რა ამბებია!

**ნიკოლო**

ერთ ადგილას მეფის ჯარია დარაზმული. ის უკვე დაიძრა.

**გუგავა**

მეფის ჯარი დაიძრა?

**ნიკოლო**

ჰო.

**გუგავა**

საით?

**ნიკოლო**

მოდის ქალაქის ასაღებათ.

(ნიკოლოს სიტყვაზე ყველანი შეინძრებიან, მხოლოდ პედრო სდგას)

**ჟუან**

მერე, შენ რას ფიქრობ!

**ნიკოლო**

ეკითხოთ პედროს!

**პედრო**

ჩვენ, რუკან არ დაეიხვეთ!

**ერთი მეამბოხე**

(ნახევრად შიშველი. ხელში ოქროს ქსოვილით)

ჩვენ არაფერი არ ვიუავეით; ჩვენი ადამიანობა ბრძოლაა!

**ყველანი**

(მეამბოხესკენ)

სწორია! ყოჩაღ, სწორია!

ნიკოლო

ჩვენ უნდა დაედვათ ფეცი, რომ, რა ძლიერაც არ უნდა იყოს მტერი უკან არ დაეხიზოთ!

ყველანი

დავიხოცოთ! დავიხოცოთ!

პედრო

ჩვენ კარგად უნდა შევიარაღდეთ. აქ, მახლობლად აღმოჩნდა მეფის გვარდიელების ტანისამოსის და იარაღის საწყობი წამოდით, გაიყავით და შერე იმარძოლეთ — პატროსნათ. ყველაფერი თქვენია, მთელი ქვეყანა თქვენია. მაგრამ, რაც არ უნდა აღიშართოს თქვენს წინაშე ცეცხლი იქნება ის, სიკვარული, თუ ზღვა, სულერთია, — ყველაფერზე უნდა დაიორტყათ ფეხი! აი, ასე! — და იაროთ წინ, სწოვად!... უნდა იაროთ როგორც სიმართლე! (შმაგათ) ვისი თვალები მიცქეროდნენ ეხლა ზიზღით! (ეძებს) სად არძს! (უცქერის ფლორენსას)

ფლორენსა

ასეთი არავინ არის!

პედრო

ვინ არის თქვენ შორის, რომ არ სჯერა თქვენი სიმართლე! (ნერვიულად გაიღიზებს) ოო, მე ასეთს ვერ ვხედავ! თქვენ წახვალთ წინ — იმარძოლებთ და მოგესმებათ ბატონების ტირილი.

ყველანი

წინ!

(ყველანი მიდიან)

პირველი ხმა

ამბოხება ლოცულობს გრგვინებს!

მეორე ხმა

დაივიწყეს იესო ქრისტე!

მესამე ხმა

დედამიწა ამხადებს გრივალს

მეოთხე ხმა

— სხვა ამბავია!

(მოისმის ცხენების ფლოქვების ხმა. რამდენიმე შეამბოხე ულვის სისწრაფით გადაიბრუნეს).  
**ხმები სასახლიდან**

შეჰხედეთ იქ! ო, იქ შეჰხედეთ!

(სასახლიდან გამოიბრუნა ადამიანები ტვირთით და გარბიან. სასახლის ფანჯრებს შოადგებიან)

მრბეველები

(სასახლის ფანჯრიდან)

შხედავთ! მეფის გვარდია!

(იზოილებენ) გვარდია მოსულა სასახლესთან!

(შორდებიან ფანჯრებს. მრბეველები ეწესრიგოთ გამოიბრუნა სასახლიდან, ზოგიერთი უტვირთო მეორეს სტაქებს ტვირთს. ყვირილია: „გამშარცვეს!“ გარბიან. წავიდნენ ყველანი. შემოდის როსკიპი. იცინის.)

როსკიპი

მეამბოხეები გამოეწყვენ გვარდიელების მიტოვებულ სამოსელში, და ატყაფრა-ხაფრი. (იცინის) საწყალი მრბეველები! (ბარბარებს)

(შემოდის ფლორენსა)



ერყენული  
ხელოვნება

რათ ხარხარებ!

ფლორენსა

ჩვენებს შეფის გვარდიათ მოეჩვენათ! (იკინის)

როსკიპი

ფლორენსა (მწუხარეთ)

სად არის პედრო!

როსკიპი

ის ცხენზედ ჯდებოდა. ეხლა უკვე ბრძოლაში იქნება.

ფლორენსა

სად? ეხლა ბრძოლა ათას ადგილას არის. მე მინდოდა, იქ, მის გვერდით  
ვეყოფილიყავი... ჩვენ ჩამოვგრჩით.

როსკიპი

მე—შენ გეძებდი.

ფლორენსა

თქვენ მშათა ხართ?

როსკიპი

კი.

ფლორენსა (მოუთმენულად)

წამოდით ჩემთან!

(მიღიან. შემოდის დედოფალი შვილით. ჯდება  
შოკენის კუთხეში. იხუტებს შვილს)

დედოფალი

კარგათ ვიმუშავეთ. ამბობება მალე იქნება ჩაქრობილი. მის თვალებში  
ჩვენ ვერ ამოვიკითხავდით შებრალებას!

(ძღუღვარეთ. ჩურჩულით)

რომ იკოდე ვინ არის იგი!...

მემკვიდრე.

ვინ არის?

დედოფალი

ჩვენ კარგათ ვიმუშავეთ... ნუ გეზიხია... მალე... სულ მალე... ჩვენი ჯა  
რები შემოვა...

მემკვიდრე (შეწუხებული)

დედა ..

დედოფალი

გიღუჯდება სახე! შვილო, შეა სულ სხეანაირი იყავი!

მემკვიდრე

დედა... გახსოვს შავი ყუთი... მოჭედილი...

დედოფალი

რომელი? ა., ვერცხლის გველებით მოჭედილი?

მემკვიდრე

ჰო... შიგ იღვა ბოთლი ოქროს ლამბაქით.

დედოფალი (ტკეპრის შვილს)

კი.

მემკვიდრე

როდესაც მამა ციხიდან დაბრუნდა იმ ბოთლიდან დამისხა ოქროს ლამ-  
ბაქზე... დამალკეინა... და მას შემდეგ...

(მწუხარეთ მიიღებს გულზე ხელს)

დედოფალი (შმაგათ)

საწამლაეი!



რა... რა სთქვი?

**მემკვიდრე** (კანკალით)

**დედოფალი** (დამამწვიდებლათ მოხევეს ხელს)  
ჩვენი კარის ეჭიმმა იცის იმ საწამლაფის საწინააღმდეგო წაბლებიც...  
(დაფიქრებული წარმოდგება) სად ვიპოვი მას...

დედა...

**მემკვიდრე**

**დედოფალი**

(სასოწარკვეთილი იხედება ყოველ მხარეს)

უკვე აშკარაა!.. მეფე გაიმარჯვებს, თუ ამბობება, სულერთია—ჩვენი ბედი განწირულია! საშველი აღარ არის, თუ საკუთარად ვერ ვიპოვე შეიარაღებული ძალები!

(ვილაცას დაინახავს. უკან დაიხვეს. ფთხილი ნაბიჯით შემოდის ბარონი)

ბარონ!..

**დედოფალი** (უცბათ)

(გადიწვეს მათხოვრის ფარაჯას)

**ბარონი** (შემკრთალი)

**დედოფალი!** (დაიდობს ტუჩზე ხელს და უახლოვდება ჩურჩულით) როგორ გიმელოთ, თქვენო უდიდებულესობავ, ესლა მე თვითოხაც ისე უმწეო ვარ ამ ჯოგობეთად გცეულ ქუზბში...

შენ უნდა დამეხმარო!

**დედოფალი**

(ამოიღებს უბიდან კარტონს) უნდა დამეხმაროთ (სწერს წერილს და დრო გამოშვებით მღელვარეთ წამოისერის ბარონისკენ)

ჩემი მდგომარეობა იყო უნუკვემო!... თვით ღმერთმა მოგვზავნა ჩემთან!... ამ წერილს გადასცემ მინისტრს!.. ეს იყოფე საიდუმლოა!.. (დაასრულა წერა) ღმერთმა გააჩინა ჩემს გვერდით ჩემი ერთგული ბარონი!

**ბარონი**

მე თავს დაედებ ჩემი დედოფლისათვის... მაგრამ...

**დედოფალი**

(აწვდის წერილს)

წადი გაბედულათ,—გიწინამძღვრებს ის მაღალი ძალა, რომელმაც აქ მოგიყვანა.

**ბარონი**

ამ მოედნის გარშემო თითქმის გაუვლელი რკალი გაკეთდა, მაგრამ ჩემი დედოფლის ნება მომკემს ძალას ადვილათ შევიასრულო ეს მიმე დაეალება.

(გამოართმევს წერილს. თავიანს სცემს და მიდის)

**მემკვიდრე**

დედა... გული ცუდათა მიქვს...

**დედოფალი** (გააფთრებით)

შენი დედა, თუ საჭირო იქნება, გახრავს მიწას თავის კბილებით!

(ვაისის გუგუნრი და ზღვის ხმა)

**ხმები**

დაიშალეთ! გაიქეცით! ქველანა იქცევა! იღუპება!

(მთელ ქალაქს მოედება ყვირილი და ზღვის წქუხარება)





ერყენული  
ზნაღიწიქა

**ძლიერი ხმები**

ზღვა! ზღვა!

**დედოფალი** (იქუტრება)

ზღვა შემოდინდა ელაქში!

(შორს ნანგრევებზე და სახლების სახურავე-  
ბზე ამოდის ხალხი)

**ხმები**

ზღვა! ზღვა!

**დედოფალი** (ნოვხვევა შვილს)

არა! ნუ შეშინდები! აქამდე არ ამოვა ვილოცოთ.

**ვაჟი** (იხედება ძირს)

წყალი!

(იკვლიან კუთხეს. დედოფალი პირუცყარს  
იწყებს)

**დედოფალი**

ნუ ი-უ ჩვენ უნდა დავიღუპოთ!

(შემოდის გუგავა რაზმებით)

**გუგავა**

ნუ გეშინიათ, ზღვა ჩადგება თავის კალაპოტში!

**ხმები** (გაოუდან).

ხალხი იღუპება!

**გუგავა**

იმით ნუ უსმინთ! თქვენ შეხედეთ, როგორ დაიშალა ნეფის ჯარი! თქვენს  
წინაშე უკვე არ არსებობს არავითარი ძალა, ყველაფერი თქვენია!

**რაზმი** (მხიარულათ)

მართალია, ჩვენ ვხედავთ! (შემოდის ნიკოლო რაზმით)

**ნიკოლო**

როდესაც ვიბრძოდით გადმოდგა ზღვა ნაპირიდან და გადმოგვცა გა-  
მარჯვება. ზღვა ჩადგება—ჩვენ დაგვრჩება მტრის მიტოვებული ხარბაზნები  
და ათასი დაელა!

**რაზმები.**

მოვიხპართ!

**ნიკოლო**

აი მოდის პედრო, იკითხავს ხომ არ შეშინდებით? ხომ არ დაფრთხით!

**რაზმები.** (მხიარულად)

არა!

(შემოდის პედრო რაზმებით)

**ყველანი** (გრგვინვით)

გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

**პედრო**

ესი კიდევმდე ქვეყანა დიდია, ქვეყანა დაბოროკლია... მხოლოდ ჩვენ გვაქვს  
ხელება—გახსნილი!

**რაზმები.**

მართალია! გვეჯერა! ვხედავთ!

**პედრო**

ჩვენ ნება არა გვაქვს დავიხიოთ, ან მოგვედეთ,—ჩვენ უნდა გავიმარ-  
ჯოთ!

**ყველანი**

გაუმარჯოს!

(შემოდის ჟუანი და საკანის მეთაურები)



თაქსუფლება ტბილია!

საკანის მეთაურები (ცალკე დღეებში)

ჩვენი რაზმები მიდიან ხალხის მისაშველებლად. რაზმებო წადით, თქვენც მიეშველეთ!

ყუანი

პედრო

როგორ!

ზოგიერთები

მართალია! მრავალნი მოპუნენ ტამბრებში და სახლებში, მრავალნიც ზღვის ტილებს ებრძვიან!

პედრო (მრისხანეთ)

არა! ჩვენ ამოსათვის არ გვეკლიან! ჩვენ უხლავ მივდივართ შეტევაზე და რაზმები აქ მოიყვანეთ!

ხმები (კანტი-კუნტად)

რა სიტუა! ნიშველება არ იყოს? არა!

პედრო

მეფე გონს მოვა, ანტონიო ძალას მივიკრებს ქვეყანა დაიღალა ამდენი წამებით! მთელი საუკუნოები ელიან იმ საათებს, რომელიც ჩვენ გეზარია. ჩვენ ვერ დავჯარგავთ ერთ წუთსაც!

პველანი

მართალია!

პედრო

ყუანი, ნიკოლო, გუგავა! წადით აქ მოაგროვეთ ყველა ლატაკები და ტუსალები!

(გუგავა, ყუანი და ნიკოლო მიდიან. სხვები შეჯგუფდებიან ცალ-ცალკე და მასლაათობენ)  
ფლორენსა (პედროსთან)

მე თქვენს მახლობლად ეიყავი და ორჯერ მომეჩვენა თითქო თქვენ მოგკლეს.

პედრო

იქ, ბრძოლაში?

ფლორენსა

დიახ.

პედრო

მე დავინახე შენი ნიში... კარგად ნახსოვს—მეწყინა.

ფლორენსა

თქვენ ქალაქს გარეთ გაილაშვრებთ? შორს?

პედრო

ძლიერ შორს—შეიძლება.

ფლორენსა

ასე საჩქაროთ?

პედრო

ჰო... მეჩქარება გავაქროს ყველაფერი, რაც ახლოა ჩემს გულთან და გველობება. ო, სიყვარული გადაიქცა მანკიერებად.

ფლორენსა

როგორ!

პედრო

მე ამოვიღებ მას, როგორც ბალღამს, ჩემა ნახვილით და დავმწვიდდები წმიდანით.

(მოისმის როსკიპების ხმა)



ქართული  
წიგლისწამბის  
კავშირისთვის

ჩემი მეომრები!

**ფლორენსა**

(მირბის)

**დედოფალი**

(შვილს, რომელსაც ეხუტება, კანკალით)

ისეთი ცრვი სახე აქვს... მაკვამ იმდენი ძლიერება აქვს ტანში და ხმაში!... და ისე ცხელი აქვს თვალები... ის ყველაფერს დასწევას და ვერაფერს ვერ იცნობს.

(პედრო დაფიქრებულია. მოისმის როსკიპების სიმღერა. დედოფალთან ვაჩი კნკალეს, ვმინავს. პედრო შეჩერდება მათხოვრის წინ. დღმელია).

**პედრო** (დაფიქრებული)

მათხოვარი ბავშვით...

(დასცქერის.—დედოფალი ჰბრის თავს. მემკვრლე კანკალეს. პედრო შეკრთება).

**პედრო** (შეზლილივით)

დედოფალი! დედოფალი! ჰჰჰ... დედოფალი!

(დედოფალი აიწურება. მერე უცბათ გადაავლებს მათხოვრის ფარავას პირგამხეცელი იუზრება და მკერდი უღელავს ოქროს ქსოვილებში. რახმები და შემომავალი როსკიპები შეინძრევიან).

(ფარდა)

## მოკვამლება მესამე

შორს სიღრმეში ცისკენ აშვერილია ნამტერევი ანგელოზის ქანდაკება საყვიროთ. ახლო, ნანგრევების სვეტებზე, დგანან ორატორები: მათგან ორს უპყრია ვადაშლილი წიგნები, აესამე დგას ცალკე მოშორებით, გაუშლია გოძელი პერგამენტი და ზედ გაკირვებით სწერს. მეოთხე ჩათქრებულია, მეხუთე სიტყვას ამთავრებს. მდამით ხალხი სცენის ვადალბა.

I **ორატორი** (სიტყვას ამთავრებს)

მაშ ასე, თქვენ არ დაგაფიქრდებათ რაც მე ვითხარით!

**ხალხის ხმა**

კარგია!

II **ორატორი** (ვადაშლილ წიგნით)

მაგრამ ეს წიგნი, რომელიც მე წაგიკითხეთ უკითხისა. განა კუნძულ უტოპიაზე არ არის ცხოვრება მშვენივრად მოწყობილი?

**ხალხის ხმა**

დიდებულია, სანოთხია!

III **ორატორი**

სენა!

(ჩამოვარდება სიჩუმე)

მე წაგიკითხავთ ეხლა თქვენ...

**ხალხის ხმა**

დავილაღეთ! გე'ვიან!

ეს ადვილია. სმენა!

III ორატორი (გადაშლილ წინებით)

**მძლავრი ხმა**

ისეთ დროს მაცხოვარმა ხუთი პურით გაიძლო ხუთი ათასი!

III ორატორი

(თავის წინგზე)

აქ აწერილია მზე-ქალაქი. ცხოვრების უკეთესად მოწყობა წარმოუდგენელია! მზე-ქალაქი დასწერა კამპანელამ—იგი მიწის მხსნელია, იგი მიწის მაცხოვარია!

(გადაფურცლავს)

სმენა!

(ნანგრევებზე ერთ კაცს მიაქვს დიდი პური)  
**ხალხის ხმა**

პური!

(ისმის როგორ გამოვნითებიან)

III ორატორი

რად არ მათქმევინეთ სიტყვა!

(შემოდის მოამბე)

**მოამბე**

ცული მოამბე ვარ... მეფემ აჯანყებულების წინააღმდეგ სარდლათ დანიშნა ყოფილი ციხის უფროსი მიტკლო.

**ხალხის ხმა**

ვაი მღაბიო ხალხო!

**მოამბე**

კიდევ ერთი ამბავი: მშიერმა ლისაბონმა სამხეცედან სპილო მოიტაცა და ისე შთანთქა, როგორც წიწილი!

(ყველანი მიდიან. შემოდის კალათით და ნელა მიაბიჯებს ებრაელი ვაჭარი)

**ვაჭარი.**

სად არის ჩემი საქონელი, დგამი, ჭურჭელი! რა შალები, რა ნემსები, რა კოლოფები! სად არის ჩემი სახლი, კარი, თახჯარა, ჰერი! იატაკი! წაიღო მიწის ძვრამ; ვამეყიდა მაინც!

(ვაჭარი მიდის. შემოდის პედრო. მის მიმართ მოისმის ყვირილი)

**პედრო**

არა! დედოფალს აო გაგატანთ! ო, თქვენც ასე გინდათ მისი ნახვა? ავიყვანთ ეშაფოტზე!

**თვითეული ხმები**

გზა გადაჭრილია. არ არის გზა უკან დასახვეი!

**პედრო**

უკან დასახვე გზებზე ჩვენ დევანთებთ კიდევ უფრო დიდ ცეცხლს, რომ უკან მოხედვამ ამოსწვას თვალი!

(მეოხე მხრიდან ნელა მოიკლაკნება ფლორენსა. ჩაუვლის პედროს. იხედება, საიდანაც ხმა ისმოდა. მოტრიალდება პედროსკენ და ხელები ჩამოუფარდება.)

**ფლორენსა**

წავიდნენ...

**პედრო**

ისინი შეეცადნენ გაენთავისუფლებიათ დედოფალი? შენ ჰქროდი ბრძო-



ქართველთა  
წერა-ბეჭატაობის  
კავშირის  
კავშირის  
კავშირის

ლანი, როგორც რკინის ნერცხალი... მაგრამ გაფითრებული სურსაწმენდი ჰქვენ  
სულ იღლებით!

**ფლორენსა** (ნერვიულად)

მე ვილაპარაკე დედოუალთან...

**პედრო**

რათა!

**ფლორენსა**

მე გაუიგე...

**პედრო**

გაიგე? სად იმალება მტერი!

**ფლორენსა**

მე გიფიგე ძველი ამბავი... შენი და დედოულის... თქვენ შორის...

**პედრო** (ზიზღით)

დრო გქონდათ ამის შესახებ გებაასნათ?

**ფლორენსა**

ჩვენ ცოტა ვილაპარაკეთ... მაგრამ მე დაქინაზე იმ შინაგანი თვალთ, რომე-  
ლიც მე მაქვს

**პედრო**

შენ ჰგავდი პატიოსან ნებრძოლს—მხოლოდ.

**ფლორენსა**

შენ წეგვიძლია არ ისმინო ჩემი... მაგრამ მე ყოველთვის სმენად ვიყავი... და  
პირველად შენგან გავიგონე იმ ლამეს... როდესაც მეფის ძე გასრისეს, პედრო...

**პედრო** (ნერვიულად)

გითხარი? მე არასოდეს არ გავიგონია!

**ფლორენსა**

არაფერი... შენ გეძინა სხვანაირად... როდესაც შემოედი თვალები მძინა-  
რის ძლიერ ფართეთ დაგელო გეძინა და ლაპარაკობდი ისე, ღმერთით... შენ  
ღმერთი შენ მიერ დაგლეჯილ ბავშვს... და კიდევ...

(ფლორენსას ხმა მოუწყდება. მოადგება ექვსი  
შეიარაღებული როსკიპი. იმათ გამოყვითა  
დედოუალი და მოდის პედროსკენ. როსკიპები  
უკან დაიხევენ და გავლენ. დედოუალი ჩანოხს-  
ნის სახიდან ქსოვილს. ფლორენსა ნელა, თავ-  
დახრილი მიდის)

**დედოუალი**

პედრო...

**პედრო**

რად მომმართეო.

**დედოუალი**

ეს მე ვარ... მიკანიო?..

**პედრო**

ეხედავ.

**დედოუალი**

იმ შეილს დედა.

**პედრო**

ის უკვე არ არსებობს. ეს იციო.

**დედოუალი**

და მაინც—შეიძლება—მე კიდევ უფრო ვარ დედა!

**პედრო**

თქვენ გინდოდათ მხოლოდ ეს ვეთქვათ?



**დედოფალი**  
არა პიროქით, პიროქით...

**პედრო**  
რა...

**დედოფალი**  
მე მძულდა იგი! საშინლად მძულდა!.. ის იყო შენი აბაღვაზრდა სული — იგი შენ გგავდა.

**პედრო**  
არა!

**დედოფალი**  
ეს სიმართლეა და ეს გონებაში უნდა ჩაიკედო ლურსნნად... და თუ დანაშაული არ დავიგნებებს ატარო მამის წაღველი, სამაგიეროთ შხამი უნდა ატარო!

**პედრო**  
მე ჭვეყნის მწუხარებას გავფლუ გული... და განა მთლად შხამი არა ვარ!..

**დედოფალი**  
მართალია, შენ შხამი ხარ!.. მაგრამ, მაშინ, ცეცხლის აღსა უნდა ჩაითქვა გულში, რასაც მე გეტყვი!

**პედრო**  
მთელი ჭვეყნის შორიელთა კუდები ჩამერგო... და, მე შევედი ცეცხლში.— განა შეუ აღი არა ვარ!

**დედოფალი (მღელვარეთ)**  
პედრო!

**პედრო (ცივათ)**  
ჩვენ აქ ისე ბევრს ვერ ვილაპარაკებთ.

**დედოფალი**  
ბევრიც რომ ვილაპარაკოთ ჩვენ შორის ხომ ტრიცები კედელია და, იმდენათ ყოფ კედლებია, ვერაფერს გავიგონებთ ერთმანეთისას... მაგრამ დედის ცეცხლმა მაინც არ მომასვენა და დარაჯებისთვის მათხოვია შენთან შეხვედრა... სხვა იარაღი არა მაქვს და მინდა დანაშაულის გრძობით მაინც გავსჭვავლო, რომ მოწხამულ ისარივით ვესობოდეს სინდისის ქენჯნა.

**პედრო**  
მე მეხები მოვიწვიე თქვენზე და მწეიდი გულით დაუტყუნე იმავე მეხს ჩემი სისხლ-ხორციც, როდესაც იგი სასახლის ხავსით გამჯდარი ვნახე!

**დედოფალი (ბოროტი ღინილით)**  
არა! ო, შენ მოტყვილდი!

**პედრო**  
ვნახე.

**დედოფალი**  
იმ დილას ის ჩუმათ მოეწამლა მეფეს. ის ავით იყო და თვითონ არ ჭგავდა თავის თავს.

**პედრო (შეკრთება)**  
**დედოფალი**

ეს მე გავიგონე მხოლოდ მოედანზე, სადაც ყოველი მზრიდან გარს შემორტყმული ვიყავი და ჩვენთვის გასასული არ მომიპოვებოდა. შემდეგ შენ გამოგლიჯე ხელიდან... შეძახე — მენ არაფერი არ გესმოდა, არ ვესმოდა!.. მე ეს წინადვე ვეგრძებინ... და ამიტომ იყო მათხოვარის ფარაჯით რომ დავრბოდი ყველა შესახვევში, მერე წერილებით ვეძებდი საშველს, მოუწოდებდი დარაჯებს და, ბოლოს, როდესაც უფრო საშინელი კვანძი დავინახე უთვლიდი მინისტრს... ო,



ერყენული  
გზულიყმთქა

როგორ მიყვარდა ის!.. მისი შემოხედვა წოლტივით მირტყამდა, მალეობდა...  
მაცოცხლებდა.

**პედრო**

(უცქარის გაკვირებული)

უცნაურად ლაპარაკობ... ახრი დაგებნა...

**დედოფალი**

ო, გაშმაგებს ეს—არ გინდა ვაიგონო სიმართლე!

**პედრო**

თუ ოდესმე გითქვამს!

**დედოფალი** (ცოტა დღმლის შემდეგ)

მეფე იქვმა შეიპყრო იმ დღიდან, ოა დღესაც ბაეწი ნახა. შემდეგ... იქვმა  
მეფე წუნარ შესლილობამდე მიიყვანა.

**პედრო**

ეს ვიცი, ვიცი, რომ შენ იყავი ფაქტიური მპყრობელი და მე—ტუსალი!

**დედოფალი**

მე სახელმწიფოს განმგებლად დაენიშნე ისეთი კაცი, როგორც შენ იყავი წინათ... მაგრამ მეფემ შენზე მაინც შეიჩინა უფლება. მან შეიჩინა უფლება თავის იქვების საგნებზე, სააჟსალოზე და წენზე. შენზე განსაკუთრებით. გაიგონე?... ცხლა მე მოგიუობი ჩენი შევილის ამბავს, რა წამებით ვხრდიდი მას და როგორი იყო...

**პედრო** (გააწყვეტინებს)

შენმა მინისტრმა მცირე მოწყალებით დააშომინა ხალხი. ერის უცხოველესი მარღები კი ჯალათების დახის წვეტებზე ნიატოვეთ... ეს იყო გველის ქეა. ვინ იყო ეს გველი! შენ? ის?

**დედოფალი**

არა!

**პედრო**

დედოფალი იყო ასეთი გველი!

**დედოფალი**

შენ ეს არ გეთქმის!

**პედრო**

მე იქ ვიკვებბოდი თქვენი შიამით და არ მეთქმის!

**დედოფალი**

მოიგონე შეთემულემა, ჩენი ფიერები ხალხზე, საქმეები...

**პედრო**

იყო... მაგრამ გულის სიღრმეში მხოლოდ სიცალიერე აღმოგაჩნდა

**დედოფალი**

არა!

**პედრო**

ეს სიმართლე არის.

**დედოფალი**

შენ არ იცი!

**პედრო**

როდესაც საჭირო შეიენა მსხვერპლი და ის ამბავი—როგორც გასართობი—გათავდა, შენ გაბრუნდი და კანკალით მოიკუნტე ოქროს ბალიშებზე.

**დედოფალი**

მსხვერპლი—იყო.

**პედრო**

არა შენგან.

**დედოფალი**  
ჰო, ჩემგან, და როგორი, უდიდესი თავგანწირულება ქალის!  
**პედრო**

ერთი წუთი რომ ყოფილიყო!

**დედოფალი**  
მოიგონე, ჩემი მეზღლე, მაშინ ჯერ მემკვიდრე, კუნძულებზე წავიდა სა-  
ლაშქროთ.

**პედრო (ნერვიულად)**  
ჰო, ჰო, ის წავიდა და ჩვენ დაურჩით!

**დედოფალი**  
შენ გეგონა მოხუცი გვირგვინოსანი აყადმყოფობდა და მე სამეფო უცა-  
ბელათ შემოჩა...

**პედრო**  
განა ეს სიმართლე არ არის?

**დედოფალი**  
არა.

**პედრო**  
მაშ...

**დედოფალი**  
მე ეიყიდე მისი აყადმყოფობა.

**პედრო**  
რითი!..

**დედოფალი**  
ჩემი განთქმული სილაშაზით. (ძლელვარეთ) ო, ეს იყო მოხუცებულ გვირ-  
გვინოსნის უზნეობა... არა, პედრო ეს არ იყო ჩემი გარყვნილება!

**პედრო**  
(გაკვირვებით უცქერის)

**დედოფალი**  
ეს შენტვის ჩავიდინე.

(ღუმლილია)

**დედოფალი**  
პედრო, შეშხედე, შენ გახსოვს ჩვენი გატაცებული ფიქრები, ჩვენი საქმეები

**პედრო (დაფიქრებული)**  
ნუ თუ ეს...

**დედოფალი**  
მოიგონე... აი, კარგად მოიგონე... მაშინ აიხსნება შენტვის კიდევ ბევრი-  
რამ, კიდევ სხვა...

**პედრო**  
(შეკრთება)

**დედოფალი**  
ჰო...

**პედრო (უცქერის)**  
იქ ბურუსი გადავიდა... იქ ყველაფერი ამჩატდა ცასავით.

**დედოფალი**  
არ შეშეძლო ეს გამეშლანებია შენტვის. ხომ ვახავებია, რომ შევი-  
ნახე, როგოც საშინელი კრილობა...

**პედრო (რბილათ)**  
მომიყვი.

**დედოფალი**  
აქი გაიგე...





პედრო

პო.

დედოფალი

შენ ისე კარგათ გაგეხსნა შუბლი.

პედრო

იქ ბუურუსი გადავიდა.

დედოფალი

მე ხომ მზედავ.

პედრო

შენ მითხარი ისეთი...

დედოფალი

რა?

პედრო

შენ თითქო ამაღე თავი ერთ უძველეს საფლავს და დამანახე შიგ ცოცხალი.

დედოფალი

ეს მე ვარ...

პედრო

(უცქერის)

დედოფალი

შენი თვალებიდან ისეც შენობებდა ყველაფერზე უფრო ნაცნობმა.

პედრო

ის სახეა? (უცქერის ხარბათ ხელებზე) ის თითები...

დედოფალი (ჩაჭკიდებს ხელებს)

სად მოვიხედავო ჩვენ, რომ არ დავინახოთ ერთმანეთი!

პედრო (მთვრალივით)

შენ სულ ყველგან გხედავ... როდესაც ნგრევაში შევდივარ მე ვგრძნობ რომ მომყვება უკან შენი სახის მზგავსი ცხოვრება... და ცეცხლი იცინის შენი თმათ...

დედოფალი

მე ვგრძნობ შენს ხელებს... მაგამ შეილის აჩრდილი შოლტივით მირტყამს, მალვითებს...

პედრო

(ტყვივლით გაღუშვებს ხელს. დუნილია)

რათ გინდა... აჩენ ახალ იარებამ. ნაცნობ ხმით, სახით, შენ აღვიძებ მას, რაც არ უნდა ყფოს.

დედოფალი

მე შენს წინაშე მართალი ვარ.

პედრო

მე არაფერი არ მინდა!

დედოფალი (ენერგიულად)

მართალი ვარ და ეს ნიშნავს: მჭრიანი ბოზო ჩემს თმებს ვერ ჩაითვლის პინძურ ხელებში!

პედრო

კმარა! ნუ აძაგებ! ნუ აძაგებ იწათ!

დედოფალი

ვერ გააგე...

პედრო

გაეგე. ის ძველი ამბავია. მას შემდეგ შენ დიდხანს იმღერე, დიდხანს ინადიმე გამჭურულ ხალხის ხარჯით!..

**დედოფალი**

შენ ისევ სიბოროტით აენთე!

**პედრო**

კმარა!

**დედოფალი** (წენარათ)

მე მოვიწვიე ნაცნობი ხმაც, მოგონებაც, და შეილის სისხლიც, და, მაინც შენი სახიდან ვერ ჩამვრეცხე ეს კედელი.

**პედრო**

იქ ხალხი მიცდის, იმათ უნდათ პური და იარაღი. ამათში სიყვარულის და შეილებს მოგონება ტოილებს ცეცხლის გრიგალივით!..

**დედოფალი** (ტრეოლით)

მაინც, მე მინდა ვაფიგო რას ნიპიოებთ... თუმცა მე ამას უკვე ვკითხულობ შენს საბეჭე... უკვე ვგრძნობ...

**პედრო**

შენ გინდა სიცოცხლე? ო, როგორ ძალიან გეშინია!..

**დედოფალი**

არა. მხოლოდ, ვთხოვთ, დამმარხეთ ჩემს პატარა წინინდანთან, მე დედა ვარ ჩემთან ერთად იძახის მისი პატარა საფლავიც!

**პედრო** (ტკივილით)

ნუ ლაპარაკობ მაგ ხმით, მაგ ხელებით... არიან ათასი დედები, იმათ ხელებს თქვენ ვერ ხედავთ!

**დედოფალი**

გული გეტკინა? თუ გრძნობ, იმ საშინელ შეცდომებს, თუ კიდევ დარჩა შენში აღამიანი წადი, გაიპარე ეხლავე. სადმე, უდაბურ მონასტერში. მე თუ ვიქნები დედოფალი ვერაფერს მოგნახავს. წადი, ილოცე იქ მხურვალეთ და, ვინ იცის, ეგებ ღმერთმა მიიღოს შენი ლოცვა!.. მაშინ მღვდლარე ცრემლებით ილოცებ... ილოცებ სიბერემდე და დაუბრუნებ სულს თავის პირველ უმანკიანს.

**პედრო** (მღელვარეთ)

ფლორენსა!

**დედოფალი**

შეშლილი!

(შოადგება ფლორენსა შეიარაღებულ როსკიპებით)

**პედრო** (დედოფალზე)

გაიყვანეთ!

**ფლორენსა** (შეიარაღებულებს)

გაიყვანეთ!

**პედრო**

და უდარაჯეთ მომარჯვებულ იარაღებით!

**როსკიპები**

გვესმის!

**დედოფალი** (პედროს)

გწყველი! გწყველი!

(მედიდურა ნაბიჯით მიჰყვება როსკიპებს)

**ფლორენსა**

მომისმინე, მძიმე მდგომარეობაა.

**პედრო**

შენ რა გინდა!

**ფლორენსა** (მწუხარეთ)

ქალაქში გაჩნდა შავი ეპი.



ეს კორი არ არის?

**პედრო (ნერვიულად)**

**ფლორენსა**

ძლიერ სწრაფად ვრცელდება. ქალაქი ხვრელებში ჩაძვრა. შენ ეხლა ჯარს როგორ შეაგროვებ?... ქუჩებში მხოლოდ ავადმყოფები და შეშლილები გამოდინან და შეშლილები საოცრათ გამძაფრდნენ...

შენ შეშინებული ხარ. შიში

**პედრო (უცქერის)**

გალაპარაკებს?

მე — შეშინებული ვარ.

**ფლორენსა**

(შემოჰყოფს თავს სამი მაწანწალა ბავში, შავი ეამით ავადმყოფები)

**პედრო**

(სახეს შიაპყრობს. შეცრთება)

**ავადმყოფები (მწუხარეთ)**

შავი ეამი!

**ფლორენსა**

(გმინვით დაიხვეს უკან)

**პედრო (უახლოვდება ავადმყოფებს)**

თქვენ ავთა ხართ?

(ფლორენსა შეკვივლებს. ავადმყოფები ვაბრუნდებიან)

**ფლორენსა**

(დეწვეა პედროს და ხელნი წაფლებს ხელებს)

პედრო...

(მიდიან)

**ხმები ჩურჩულით**

არა სჩანან!.. ჩუმით!.. გამოჩნდით!

(სიფრთხილთ შემოდიან შეთქმულნი. მათ შორის მინისტრი, ლეიტენანტები, ბარონი, ორი გამომძიებელი და სხვა)

**I ლეიტენანტი**

დაეხვერე.

**მინისტრი**

როგორ სდარაჯობენ?

**ლეიტენანტი**

ძლიერ ფხიზლათ სდარაჯობენ დეჟოფალს... მაგრამ ოციოდე კაცი რომ მყოლოდა გამოეახსნიდი.

**II ლეიტენანტი**

მე მყავს თერთმეტი.

**III ლეიტენანტი**

მე ოცი მყავს.

**I შეთქმული (ფრთხილად იცქირება)**

ჩუმით! გამოჩნდენ!

(ჯველანი მოიხედავენ)

**II შეთქმული (მწვიდით)**

იქით წავიდნენ!

(ჯველანი მშვიდდებიან)

ერყენული  
ხელმოწერა

**IV ლეიტენანტი**

(გადაშლის ქალაღდს. იცქირება შიგ და  
თავისთავის კითხულობს)

ნანგრევი ესა... ეს... მესამე... სახლი ზეცქეს... მეთერთმეტე...

(ტოტებ მოკუმული ჩასცქერის ქალაღდს)

**II ლეიტენანტი (მინისტრი)**

უნდა მივეწველოთ დედოფალს!...

**IV ლეიტენანტი**

ჩვენ წეგვიძლია შევაგროვოთ ორასი ვაეკაცი.

**I ლეიტენანტი**

ეს კარგია!

**II ლეიტენანტი**

დროზედ უნდა ვისარგებლოთ!

**მინისტრი**

დედოფლის განთავისუფლება ჩვენ არ გაგვიქირდება, მაგრამ რთული საქმეა მისი გადამალვა.

**ლეიტენანტები**

ჩვენ ამასაც წევიძლებთ!

**მინისტრი**

ამ მტერს ჩვენ ადვილათ დავემალებით მაგრამ...

(ფთხილად გადახედავს შეთქმულებს)

მოიარეთ. გაიხედეთ ვინმემ არ წეგვამჩნიოს. მე დამიტოვეთ ლეიტენანტები.

(შეთქმულნი მიდიან.—რჩებიან მინისტრთან მხოლოდ ლეიტენანტები).

**მინისტრი**

ნუ დაგაფიწყდებათ, სადაც არის, ქალაქში შემოვა მიქელო. ამბობების-თვის იგი მოსრავს მთელ ქალაქს. ის გადმოაბრუნებს ქვებს, კედლებს და თავის ჯალოთა ფეხებით გადათელავს ყველაფერს. ჩვენი დედოფლის ხერულსაც ძიაგნებს მიქელო!

**ლეიტენანტები**

მაშინ დედოფალი მეფეს შეხვდება.

**მინისტრი (მწიარეთ)**

ო, დედოფლის ბედი, თუ ისეთ პირობებში შეხვდა მეფეს,—განწირულია.

**ლეიტენანტები (ვაკვირვებულნი)**

როგორ!

**მინისტრი**

გვირგვინოსანთა შორის აქვს ადგილი ვაუგებრობას.

**1 ლეიტენანტი**

დაუჯერებელია!

**მინისტრი**

სამწუხაროთ ამ ამბავს არ სკირდება შემოწმება.—მე მაქვს წერილი თვით დედოფლიდან.

**2 ლეიტენანტი**

ჩვენ დავგრჩენია ერთი იმედი—რომ თქვენი დიდი გავლენით გაიფანტება გვირგვინოსანთა შორის ეს ბურუსი.

**მინისტრი**

ლეიტანტებო, მე კარგად ვიცნობ მეფეს და ძლიერ მიყვარს... მის უდიდებულესობის ბრძანებაში ყოველთვის გაისმოდა ჩემი საკუთარი ნება, ჩემი სურვილი.



ეს ერმაყ იცის...

### ლეიტენანტები

#### მინისტრი

მე მაქვს უტყუარი ცნობები იმის შესახებ, რომ ამ ჯამად მეფის შეიარაღებულ ძალებს ხელშეუხებლობს ყოფილი სატრუსალოს უფროსი მიქელო, რწმენით იეზუიტი, — ადაშიანი მეტად ტლახქი, უდრეკელ ნების და ჩემი მოსისხლე მტერი. ამავე დროს არც ერთ თქვენთავანისათვის საიდუმლოს არ წარმოადგენს რომ შეფე მოკლებულია საკუთარ ნებისყოფას. — აქედანვე შეგვიძლია ეიცოდეთ, რომ მეფის ბრძანებაში ვავიგონებთ მიქელოს...

#### ლეიტენანტები

(მეწუხდებიან)

#### 1 ლეიტენანტი

ბ-ნო მინისტრო, თუ ეს ასე მოხდება — ჩვენი სიცოცხლე დაკავშირებულია შენს ბედთან.

#### მინისტრი

ეს მრწამს. მე ვიცი, რომ თქვენ ატარებთ ჩვენი საუკუნის უკეთილშობილეს იდეალებს. ეს გაკავშირებს თქვენ ჩემთან, მე — დედოფალთან... მაგრამ ეს არ კმარა — დრო მოითხოვს ჩვენგან ფოლადის სიმტკიცეს — და საჭიროა თქვენი ხრმალი ეპორჩილებოდეს ჩემს ნებას.

#### ლეიტენანტები

ეს შეგვიძლ-ა! დავიფიცოთ! დავიფიცებთ!

(ვაუდენ მოისმის ჩურჩული)

#### მინისტრი

ლეიტენანტებო! ნდაბიო ხალხი ყოველთვის უფლებო, და წამებული იყო. დღეს მათი აღშოთება გასაგები არის... მაგრამ კაცობრიობას დასაბამიდან დაძვეა თან ეს უსამართლობა და ამაში ჩვენ არ ვართ პასუხის მგებელი! და, ამიტომ, ეს, ჯეროთ ქვეყანაზე არ ნახულის სიმძაფრით ამოვარდნილი ამბოხება, ჩვენ უნდა ჩავახშოთ, ჯერ ქვეყანაზე არ ნახულის სიმკაცრით და სისასტიკით!... მაგრამ მეორე წვეტი ჩვენი მახვილი ჩაეხობა მეფის უფლების შეწყვეტ-ფეოდალებს, იეზუიტებს და ყოველს უპირველეს მათს წარომადგენელს მიქელოს. ლეიტენანტებო, ჩვენი თოფის ღულა არც მაშინ გადაიწყვეა, თუ მეფე თუითონვე გამოვა თავისივე უზენაეს უფლებების მოღალატეთ და დადგება ჩვენი ტყვის დასაშენ მიზანში.

#### ლეიტენანტები

მართალია! ჩვენ ამას ვიზიარებთ! ჩვენ ვეაქვს შენი მოჩილი გული და ხრმალი!

(ახლოს მოისმის მრავალის ჩურჩული)

#### მინისტრი

ყველა ეს საკითხები, პირველ პირობათ მოითხოვენ ჩვენგან დედოფლის ტყვეობიდან დახსნას... შემდეგ ჩვენ დავირაზმებით... ჩვენ მოვიხმობთ მრავალ მოკავშირეებს და მათ შორის ყაჩაღთ ვაქრილ ანტონიოს, რომელმაც ამ ამბოხების დროს დაგვიმტკიცა თავისი სიღინჯე და გონიერება. ჩვენ შემოვკრებთ ახალ რაზმებს დედოფლის გარშემო!

#### ლეიტენანტები

ვაუშარჯოს! ვაუშარჯოს დედოფალს! ჩვენ ველით ბრძანებას!

(ჩურჩულით შეპობიან ყველა შეთქმულნი გარდა ბარონისა).

#### 1 შეთქმული

სწორეთ აქეთ მოდიან!



**IV ლეიტენანტი**

მაშ, აღაქმულ ბინებზე გავიფანტოთ.

**I გამომძიებელი (შემკრთალი)**

ყენი ვინ არიან რწყვილათ რომ მოდიან! (მეორე გამომძიებელს) ა, ვანო მძიებულო!

**II გამომძიებელი**

არ ვიცი, გამომძიებულო, შე ცუგმლებმა ლამის დამაბრმავოს!

**მინისტრი (ლეიტენანტებს, ძლიერათ)**

ებლა თქვენ იცით სად უნდა წახვიდეთ!

**ლეიტენანტები**

(უპასუხებენ სამხედრო სალაშქროთ. მიდიან)

**ფრთხილი ხმა**

გაეცალეთ მაქედან!

(უველანი დაიშლებიან და მიდიან)

**მედვარი ხმები**

შეჩერდით! ო, რად გარბიხართ!

(შემოდის უაფილი ქალბატონი, რომელსაც მდიდრულათ აცვია წელ-ქვევით, ხოლო წელზევით გაძარცულია.— შემოსდევს უაფილი შინა ყმა).

**ქალბატონი**

რათ დამსდევ, რა გინდა! მე ისედაც გაძარცული ვარ!

**შინაყმა**

შენ ძვირფასი ნივთები გადაგრჩა, ვიცი.— ვადმოალაგე!

(მეორე მხრიდან შემოდის მეძავე ქალი, რომელსაც მხრებზე ძვირფასი ქსოვილები მოუსხამს, მაგრამ წელ-ქვევით ცოდათ აცვია და ფეხშიშველია. მას გვერდით ახლავს ბარონი).

**შინაყმა**

ბევრს ნუ მალაპარაკებ! თორემ...

**ქალბატონი**

შენ განა ჩემი საკუთარი შინაყმა არ იყავი!

**შინაყმა**

მერე რა გინდა! განა ცუდი ვაყვავი ვარ!

**ქალბატონი**

როგორ მიყვარდი!.. მე ჩემს საკუთარ ქმარს ვლალატობდი და შენთან ვატარებდი ჩემათ ზოგიერთ ღამე...

**შინაყმა**

შენ ბებერი ქმარი გყავდა.— რასაკვირველია, კარგი სალოკი ბიჭი გახლდი!

**ქალბატონი**

მერე...

**შინაყმა**

ვხედავ... იქ უბენი გაქვს...

**ქალბატონი (მუდარით)**

ნახევარი მიინც...

**შინაყმა**

ჰო, ეს შეიძლება— გაეცოთ.

(ღიარყვამს მხარზე ხელს. დაჯდებიან. ქალბატონი ამოალაგებს უბიდან ნივთებს).



ეროვნული  
წიგლმწიქმისა

მეძაფე ქალი

(რომელიც ამ წიგნის განმავლობაში დრო და დრო ამღერებთ ჩასტკეროდა თავჩაქინდრულ ბარონს)

ჰო, რა გზას დაადექი!

ბარონი

მიუყარხარ!

მეძაფე ქალი (გადიხარხარებს)

მიუყარხარ კი არა...

ბარონი

სინდისს გეფიცები!

მეძაფე ქალი

მაშ. (მძიმეთ დაადგამს ფეხს მიწაზე და ასწევს) აჟოც ფეხის ნაკვალევს!

ბარონი

ეს მასხრათ აგდებაა წმინდა გრძნობის.

მეძაფე ქალი (ნძაფურად)

ძალო! ის კი არ იყო მასხარად აგდება, როდესაც მთელი ღამეები მაწვალებდი და დღისით საღამს არ მაძლევდი... შენსკენ გამოხედვას მიკრძალავდი!

ბარონი

მაპატიე, მე უცოდველი არა ვარ!

მეძაფე ქალი

(ამღვს ხელს. ბარონი სწრაფად კოცნის)

ფინია!

ბარონი (უცმაყოფილოთ)

მე აღამიანი ვარ!

მეძაფე ქალი

განა მე კამეჩის კანი მქონდა, ბარონო, როდესაც შენ ამოსკრიდი ჩემს ტანზედ ბინძურ სურათებს, ფანტაზიისათვის... და იცინოდი, და იცინოდი როდესაც მე ავიკვლდებოდი... მე ვიყავი აბალგაზრდა და მშობი... ერთი მეგობარი მყავდა და ის ციხიდან არ გამოუშვეს. შიოდა ჩემს პატარა დას, სულით ავადმყოფს... საცოდავს... ბავშვს...

ბარონი

დავივიწყოთ... ვიცხოვროთ მეკობრულათ! ტკბილათ!

მეძაფე ქალი (გააბრტყამს სილას)

უსინდისო!

ბარონი

თქვენ დასცინით ჩემს ციურ გრძნობას... რომელსაც თქვენდამი განვიცდილი..

მეძაფე ქალი

თქვენ ყველა ციურები ხართ და სულ განიცდით!

ბარონი

ნუ იტყვიტ ასეთს!

მეძაფე ქალი

ვხედავ რად წუწკუნებ. შენ იცი სად იმალება მინისტრი და დიდკაცობა. გეშინია ჩემი, ხომ! გინდა ჩემგან გაიპარო და შეძერე სადმე ხერხელში.

ქალბატონი

ეს დამითმე. ეს ჩემთვის ძვირფასია, — როგორც მოვინება!



ერეკნული

ბიბლიოთეკა

თბილისი

**შინაუმა**

მატყუებ! (წაარამეც. იტენის ჯიბეებს და ადგება) მეც გმადლობა რაღაცა.  
(მოდის)

**ქალბატონი**

რა მიყავი! რა, რა დამიტოვე! (მოსდევს შინაუმას)

**ბარონი**

მე არ ვიცი სად იმალება მინისტროი!... მეშინია! ერთი რომ დაიყვიროს მოვლენ ტუსალები და ტყვილა ჩამოვხარჩობენ აი, იმ ბოძზე.

**მეძავი ქალი**

კარგს იზამენ, თუ ჩამოვხარჩობენ ქატა ხარ.

**ბარონი**

მლუპავთ! თქვენ ისე ცივი ხართ ვით ქვა!

**მეძავი ქალი**

შენ დამწოვე. სხვებმაცა... თქვენ წაიღეთ ჩემი სიციცხლე, წვენი და შემდეგ გამცხეთ წიხლები აი ასე! (სკეეს ტლინკებს ბარონს) გადაშავდეთ. დაეცი ხველ ქვასაფით... (ფიცხათ) მე ვიციხოდით და თქვენ მაფურთხებდით, მე ვტიროდი და თქვენ დამცინოდით. და ეხლა მე არ დავხოვავ თქვენ! დამჩნა ყელში ხმა და ვიყვირებ!...

**ბარონი (შეშინებული)**

ეე... მოდის... ღვთის გულისათვის!

**მეძავი ქალი (ყვირის)**

ტუსალებო! ტუსალებო.. ტუსალებო!

(ბარონი ამირებს გაქცევის მეძავი ქალისაგან. ამ ხმაზე შემობრბის ნიკოლო, მსბუქით დაწროლია. რა შეშხებდავს ქალს სტაცებს ხელს. ამით ისარკებლებს ბარონი და შიობის)

**ნიკოლო (ჩასტკერის მეძავ ქალს)**

შენი სახელი?

**მეძავი ქალი (უცქერის. შეკრთება)**

ნიკოლო!

**ნიკოლო**

შენა ხარ?

**მეძავი ქალი**

ვანა ცოცხალი ხარ? მეგონა ჩაკვდი ციხეში.

**ნიკოლო**

შენ ისე დაღუღულხარ...

**მეძავი ქალი (მწარე ღუმულის შემდეგ)**

ჩემში არა ყრია რა!

**ნიკოლო**

ებედაე... ეპ, სულ დამტყენარხარ!

**მეძავი ქალი (ქვითინით)**

არც ის სიშლეგრები მახსოვს... მე არაფერი არა მაქვს, რაზედაც ღირდეს დალაპარაკება... (ქვითინებს)

**ნიკოლო**

სხვა იყავი მაშინ, თბუთნეტი წლის წინად, როდესაც დავედიოდით მე და შენ ლისაბონის ეზოებში, საკრავებით ხელში, და ვმღეროდით... შენს პატარა დას ჩამოვატარებინებდით ჩენს ქედს და მსმენელები ჩაუყრიდნენ შივ წვერილ ფულებს. რა უშავდა... ვცხოვროვდით... შენი მეგობრობა იყო ძალიან უბრალო და ერთადაც ვწვებოდით.





ეროვნული  
შენიშვნები

მეძავი ქალი

მერე მე არ ვამიხარია. მერე ქუჩა შეიქნა უღმობელი... ჩემი მწვალბელი ქუჩა!..

ნიკოლო

სამაგიეროთ ნატუსალარმა სხვაგვარად ჩამოვიარე იმ კვირაში: მე ვამტვრედი, ვაფენდი ქისკრებს, შევდიოდი ძველადგან ნაცნობ ეზოებში და ვყვიროდი: „ამბობება!“ „ამბობება!“ ჩემს ხმაზე კანკალობდნენ ზემო სართულები, ზოლო სარდაფებიდან ამოდიოდნენ ვამურულნი და ენთებოდათ თვალები, და მორბოდნენ, ურიცხვი მომყვებოდა. მოჰყვებოდნენ აგრეთვე სხვებსაც, სხვა უბნებიდან; დაუსრულებელ ზვირთებივით ვგროვდებოდიო ჩვენ პედროს გარშენო და პედროს გვანაწილებდა, ისე როგორც ღმერთი ანაწილებს ქაბებს გვეყანაზე... შენ სად იყავი? ველარ დანიხაზე!

მეძავი ქალი

სად ვიყავი სულელო, სულელო მეთქი, შენ რომ ჩემთვის დაგვეკრებია ვანა სატუსალოში ამოჰყოფთი თავს.

ნიკოლო (დაიხედავს კრილობაზე)

მეძავი ქალი

დაკრილობარ შე საცოდავო.

ნიკოლო

ე, ვანა მე ეს მიღონებს! მტერმა ჩვენ უკან დაგვწია!..

მეძავი ქალი

იბრძოდი?

ნიკოლო

სიმართლისათვის. შენთვის, შენ რომ დაჩაგრული ხარ, ჩემთვის და ხველასათვის... ჩვენ ეებრძოდით და უკან დავიხიეთ. და აი მე წამოვედი პედროს მოსახებათ. ის! ის არასოდეს არ დაუშვებს უკან დახვევას! წამოვედი მისი მოსახებად და, აი ქუჩაში შეშლილების მეტი არავინ ჰაჭანობს. ვერავის ვერ ვხედავ... რაღაცა ცუდი ამბავია...

მეძავი ქალი

მაშ შენ იმათთანა ხარ, დედოჯალს რომ უპირებენ დასჯას?...

ნიკოლო

ჰო.

მეძავი ქალი (უცხბათ)

შეიარალებულ შეთქმულებს და მინისტრებს, რომ ეძებენ!

ნიკოლო

მაშ!..

მეძავი ქალი

(დაიდებს ტურზე თითს)

მაშ, რათ გაუშვით ხელიდან ის ბარონი!

ნიკოლო

აა, ბარონ? როდის!

მეძავი ქალი

აი, აქედან რომ გაიქცია მან იცის სად არის მინისტრი — თვითონ დავინახე მისთან.

ნიკოლო (მღელვარეთ)

შევძლია ის მონახო? იცი ის სად წავიდა?

მეძავი ქალი

ვინ იცის... ვნახოთ!

ნიკოლო

მოვნახოთ!

ერყენული

(ჩქარა მიდიან. შემოდის პედრო, გუგავა და ჟანი)

**პედრო** (გუგავის)

ქალებზე ყველგან კირი დაჰყარეთ. სადაც კი დაინახოთ შავი ქაშით ავად-მყოფი მოჰკალით და კირში გახვიეთ. ყოფილი მონები ხომ გემორჩილებიან?

**გუგავა**

კი.

**პედრო**

რომელიც არ დაგემორჩილება ან ბრძანებას გადაუხვევს იქვე მოჰკალით. ქალაქში წესრიგის დაცვა შენ გვევალება.

**გუგავა**

უკვე დავდგი სახრჩობელა ურჩებისათვის.

(შოისმის ქვების სროლის შხული. რამდენიმე ქვა სკენაზე დაეცემა. შემოდის ნიკოლო.)

**ნიკოლო** (მღელვარეთ)

ოო, ძლივს, ძლივს მელირსა თქვენი ნახვა!

**პედრო**

შენ მოდიხარ ბრძოლის ველიდან?

**ნიკოლო**

ჰო! (შეჩერდება) და მე აქ შევხვდი იმ ქალს სატუსალონო რომ მაგონდებოდა. ის ისე დამკნარო ენაზე... ჰო, ეს არაფერია. მას უნდა ერყენებია... გაცეცი ქალს, მაგრამ შეშლილები მკლებივით აგვედევნენ გზაზე. მე შევეტეე და მომიკლეს ქალი. დაახრჩვეს ქალი. მე ძლივს გადავრჩი... აქა იქ დავინახე ქაშით ავადმყოფებიც...

**გუგავა**

შეშლილებთან მეც მქონდა ბრძოლა. ზოგან გაეწვიტე, მაგრამ მუხუმში შეცვიინდენ. იქ ისე გაბაგრდენ რომ ვერაუფრო მოუხერხებ.

**პედრო**

მეზეუმს ცეცხლი წაუციდე!

**გუგავა** (გაოცებული)

ის სიმდიდრე?

**პედრო**

სიმდიდრე გამარჯვებაა!

**ნიკოლო**

ჩემი ბრძოლის მიმართულებითაც კული მდგომარეობაა მე დაპრილი ვარ. შემხედეთ. — მე მსუბუქათა ვარ დაპრილი... მაგრამ მძიმეთ დაიჭრა სხვა აზრანაგები.

**გუგავა**

ბევრი?

**ნიკოლო**

უმეტესობა ამხანაგებისა დაიხოცა.

**პედრო**

თქვენ უკან იხვეთ?

**ნიკოლო**

უკან ვიხვეთ.

**პედრო**

სად არიან საენის მეთაურები!

**ნიკოლო**

რაკი იგრძნეს დამარცხება — მოვლიან სიკედილს, ან-და, ნაძარცვს იკიდებენ და გზებს ეძებენ.



**პედრო**  
განა ვინწეს სწყურია სიცოცხლე გამარჯვების გარეშე?

**ნიკოლო**  
ულელ ტეხილებში მე ძლივს მოვასწარა ბარკადების ჩაყრა. აქა იქ წყლები გიფეუბე და წამოვედი შეითან, ვიცი რაიმე საშუალებას ვამოხაზავ... თუ ვერა— და — ვესძლებ ისევ დაებრუნდე წაგებულ ბრძოლის ხაზზე და მივიღო ძველ-რბილში იმდენი ჭრილობა, რამდენიც საჭიროა იქნება სიცოცხლის გამოსაცლელად.

**პედრო** (მშვიდად გუგავას)  
დასძებნეთ ყველგან ეამით ავ დამოუყვები და სადაცკი დაინახოთ მოჭკალით და კიოში გაპეიეთ, რომ დილას ავც ერთი ავადმყოფის სინსილა არ იყოს ქალაქში!

მესმის.

**პედრო**  
ამ წუთში შეუტეე შეშლილებს. მეზეუმში, წაუყიდე ცეცხლი, რაკი იქ გამაგრდნენ.— ისინი გამოსწყვი; უფრო მჭიდვარე შეშლილები შეიპყარი და გადაეცი ნიკოლოს (ნიკოლოს) ნიკოლო, აკრიბე ვადარჩებილი შეშლილები, ჩაჭყარე ულელტეხილებში და დააბი ბარკადებზე. გამოსასვლელეები გაჭვებე. (ქუანისცენ) შენ რათ კანკალებ!

**ქუან**  
კვანკალებ... დაიბოცა ჩემი ფეომრები... მათი ხელები შეაშეშდა იარაღს, თვალეები—ნტერს... მტერი წინ მოიწყვეს... (ქეითინებს)

**პედრო** (შეჭხარედ)  
ქუან!

**ქუან**  
არ ვტირო! ნუ განიწყრები წინაპდლოლო... მე მწყურია მეომარი მეგობრები.

(მოისმის დიდი ხმაურობა)

**პედრო**  
გავაჩენთ!  
(ყველანი მოიხედავენ ხმაურობისაკენ)

**ქუან**  
ჩაეიდენთ სასწაულებს!  
(მიდიან. ცალკე სცენაზე შემორბიან დედოფლის მცველი როსკიპები)

**როსკიპები**  
(მოუღერებენ ერთმანეთს იარაღებს)  
როგორ მოგვტაცეს დედოფალი!  
(იხედებიან სხვა და სხვა მიმართულებით)

**ქუან**  
საით გაიტაცეს დედოფალი!  
(მიდიან ცალ-ცალკე)  
**ხმა**  
მდევრებო, ვგრე ბრმეპეიეთ ნუ დარბიხართ!  
(შემოდის ოთხი რაზმელი)

**I რაზმელი**  
დედოფალი გაპარა... ქალაქში სხვანაირი დღეილია.  
**II რაზმელი**

მიქელო ალკას აძლიერებს.



**III რაზმელი**

პედრომ იარალის მისაღებათ დაიბარა მდამიო ხალხი... ხალხი ხელეშდა-  
შვებულა.

**IV რაზმელი**

ო, მიქელოს ჯარი ცხენის ფლოქვებით გათილავს ჩვენს ბავშვებს!

**I რაზმელი**

ისეე ვალატაკება!

**II რაზმელი**

მონობა!

**III რაზმელი**

და კიდევ მეტიც!

**IV რაზმელი**

ჩვენ ჩავიბარეთ იარალი, ჩვენ არ დავიკრფეთ ხელებს!

**I რაზმელი**

წამოდიეთ!

**II რაზმელი**

ეძიეთ და მონახეთ დედოფალი!

**III რაზმელი**

ამოათრიეთ მდიდარი სოვდაგარი ხერელიდან!

**I რაზმელი**

ვახადეთ!

**IV რაზმელი**

სანამ დროა დაჰკალით ძველი ბატონები!

**I რაზმელი**

თქვენ დაარღვიეთ ეს სხვანაირი დუმილი!

**IV რაზმელი**

სანამ დროა—დაჰკალით ძველი ბატონები!

(მიდიან)

**ხმები**

არ ნახული მასკარადია!

(მეორე მხრიდან შემოდის შეიარაღებული  
კაცები. ხელებს იჩრდილებენ დამავალ შვის  
სხივებისაგან და გასცქერიან გზას)

**I კაცი**

მძვინვარე შეშლილებს მოდენიან!

**IV კაცი**

საიდან!

**III კაცი**

მე ვნახე ესენი მეზეუმში. ძველ შეფეთა და დიდებულთა სამოსლები ჩე-  
ცვათ.

**II კაცი**

რა სანახავია, იესო ქრისტე მაცხოვარო!..

**III კაცი**

ჩაეცვათ უცნაური სამოსლები და ცეკვაოდენ ძველ პერგამენტებზე.

(კაცები მიდიან)

**ხმები**

გზა!

(შემოდის შეშლილები. დამავალი შვის  
სხივი თამაშობს ყველას სახეზე. შეშლილე-  
ბი შემოსილნი არიან სხვა და სხვა ქვეუ-



ერყენული  
ხმულირეთება

ნის სამოსლებში—ნეფეებით, ზოგნი დიდებულებათ, დედოფლებათ, სხვა და სხვა ცხოველებათ, ფრინველებათ. მათ შორის წარმოდგენილია მეფე ლირის, დონ-კიხოტის, ნერონის, კალიგულას, პაპა ბორჯიას და სხვა სამოსლები. ყველანი ლაპარაკობენ ერთ და იმავე დროს—დამოუკიდებლათ, ცეცხავენ დამოუკიდებლათ, ზოგი მძაფრად, ზოგი ლირიულ რიტმით. მათ მოდენიან რაზმელები გრძელი სახრეებით. უკან ოდნავ მოსჩანან კაცები, ქალები და ბავშვები ქვებით, კეტებით).

**ხმები შესულიებიდან**

- ნიწა ინძრა და მაჩუქა ზღვა თეთრი სირინოსებით!
- გგონიათ შეცდით? არა! ქვეყანა მიწოდა პაპა!
- მე ვგალობდი, როდესაც ქვეყანა იძვროდა, ასეთია სამოთხის ფრინველი!
- ამ ტანისამოსმა მომიტანა მეფე ლირის სული და მე მეფე ლირი ვარ!
- მე ვგალობდი და არ გესმოდათ, მოგკადი და ვერ ვაიგეთ.
- მე ვიქეცი მხეცათ. მივირთმევე აღმოსავლეთის ქალწულს!
- ჩემი თვალები ანათებს და ათბობს ქვეყანას. ჩემი სიმღერა ცას დააღწობს!
- მე ვიცეკვებ ასე!..
- დაეხოცეთ!
- მე ვარ ჯგარი, ეიზიდავდი ქრისტეს წაწებას, მე ავწიე მისი სიკვდილი და დავიღალე!
- შევიძოსე, სად არის ჩემი ჯგარი, ღმერთო, შენ, რომელმაც მე მაკურთხე მეფეთ!

**რაზმელები**

(მარჯვით მიდენიან შესულიებს)

გზა! გზა!

მუზეუმი!

**ხმები**

**I რაზმელი**

გადარჩენილ შესულიებს ეაბამთ ბარიკადებზე!

**II რაზმელი**

ესენი ნტრის ტყვიას მაინც გააკივებენ!

**ბიჭი (შორიდან უთითებს)**

შეხედეთ, რამოდენა კანკები და თათები აქვთ!

(შესულიები უკვე გავიდნენ)

**III რაზმელი**

ანბოხება ყველაფერს განოიყენებს!

**IV რაზმელი**

აჟარდეს ცეცხლი!

(გავიდნენ რაზმელები)

**ხმები ხალხიდან**

შესულიებიდან განთავისუფლდა ლისაბონის ქუჩები!

**ხმა**

აღვავით შავი ჭამიკ და გამოვალთ!

ამბობს სტფთა და უღმობელია, როგორც ცეცხლი!

**ხმა**

შედით სახლებში!

(მოისმის ჩურჩული. შემოდის თავისი ამალით დედოფალი. ესენი ერთხილათ აბიჯებენ, უხმოთ და ნერვიულათ იხედებიან სხვა მხარეს).

**ლეიტენანტები (ჩურჩულით)**

მეუფის ჯარი უკვე შემოვიდა ქალაქის ერთ ნაწილში.

**I ლეიტენანტი (ჩურჩულით)**

ჯარს მოუძღვება ყოფილი სატუსალოს უფროსი მიკელო.

**მინისტრი (ჩურჩულით)**

ამიტომ ჩვენთვის სანუკეშოა ჯერ არაფერია.

(მოისმის გამოურკვეველი ხმაურობა. დედოფლის ამალა იშვიშვლებს ხმლებს. ნერვიულობა და დღმილია).

**ფარეში (ჩურჩულით)**

იღუპება იდეალური ცხოვრება... ჩენი დედოფლის ლხინები... მუხების სადღეგრძელოები.

(ერთხილათ, წელა და ნერვიულათ მიდიან)

**ხმა**

ქალაქში ვინ იძახის!.. არავენ! არავენ!

(ფლორენსას წინამძღოლობით შემოდის შეიაოალებული, დარაზმული როსკიპები)

**ფლორენსა (ძლიერ ხმამალა)**

სანგრებისაკენ.

**I როსკიპი**

ჩვენ მხოლოდ ერთხელ გაეციანეთ და ამისთვის თავს დაგვადვა სიკვდილი,

**ფლორენსა**

სანგრები დაცალიერდა.

**II როსკიპი**

დაეცა მრავალი მეომარი, პაერი ვაგლენთილია მათი სულებით...

**ფლორენსა**

ბრძოლის ყელზე ცალიერი ადვილები ჰტირიან და ელიან მეომრებს—ჩვენ მივალთ!

(გადმოიწევა დამავალი მზის სხივები. მიდიან სამხედრო ნაბიჯით. ვილაეა ქაცო თეთრ მანტიამი გახვეული შეტრება ნანგრევში. იმაე ნანგრევიდან გამოდისა ჯალათები. დააყუებენ. ვაილიმებენ პიუს უსინჯავენ საწამებელ იარაღებს და მიდიან. შემოდის იოან დაღვრეშილი და მოტებილი).

**იოან**

მომიკედა ბაეში!.. სიმშილით იტანჯებოდა პატარა... მე გაეცხენი ძარღვი და ვაწოვებუი ჩემს სიხსლს რძის ნაკიერ მაგრამ. არ შეივგო... ვაუდიდდა ლურჯი თვალეი—არაფერი არ იყო ქვეყანაზე ისე მშვენიერი... და დაიხუტა... მერე მე მისი ცხედარი ყვეილებში ვაგებეი. და ეხლა ჩემი დამზოალი გული,



ქართველთა  
წიგნიერების  
კავშირი

მოწყვეტილი ყვავილები და მისი გაცივებული ტანი—ერთია და ერთად  
სტკნებიან...

(შემოდის გუგავა და სხვა მონება ნაომარ, დაფ-  
ლეთილ, ზოგიერთ შენთხვევაში მდიდარ  
ტანისამოსებში. იმათ მოაქვთ მბრებით სკიფ-  
რები, ძირფასი ნივთები, უცნაური კურკლე-  
ბი მათ შორის ორს მზობებზე გაუფიქრებლად  
ხალგაზრდა ქალის კარგად შემოსილი მაინტე-  
ნები. ჭარი ჰქრის. ღოუბელთ ჩრდილები  
გადაიბრუნეს)

**გუგავა**

თქვენი—სწორია. ცაზედ ღრუბლების ნაკეთები ჩნდება, ჭარია, ამინდი  
იკვდება—ზღვა ღელავს.

**მონები**

(შეჩერდებიან)

საით წავიდეთ!

**გუგავა**

სხვა გზა არ არის!

**მონები**

არა! ზღვაზე არ შეიძლება! ის ძლიერ ღელავს!

**გუგავა**

გამარჯვებული მტერი, განა ზღვის ზვირთებზე უფრო დაუნდობლად არ  
მოგდევს თქვენ?

**ზოგიერთები**

წავიდეთ!

**სხვა მონები**

არა!

**გუგავა**

თქვენ მიწის ძვრამ მოგკათა თავისუფლება და ხრმალი, მაგრამ დღეს  
ყველაფერი იკარგება, უკვე ისმის მიტელოს გამარჯვებული კივინა და ისევ  
მოდის სიკვდილი, მონობა.

**I მონა**

საშინელია სიკვდილი!

**II მონა**

საშინელია მონობა!

**გუგავა**

ეე, ვ-ეკაცებო, ზღვის წიაღში ქანაობენ სავაქრო გემები, ხომალდები!...  
და გზებია ყველგან, და გზებია თვალ მიუტანელი!... ჩვენ შეგვიძლია დავიბა-  
დოთ ზღვის ზვირთებზე, აუშვათ იალქანი და ნებები ვატაროთ!

**მონები**

ეს გონიერი აზრია! ძალიან მოსაწონია! ჩვენ მზადა ვართ!

**III მონა**

ნუ ვავიწყდებათ რა ზღვის ღრიალია!

**გუგავა**

იყოს ღელვა, სჯობს ღელვა—მტერი ვერ დავედევნება!

**ყველანი**

სხვა საშველი არ არის! ზღვა! ზღვა! მივიდივართ!

**იოან (შეიძვრიან)**



ერყენული  
ხეზლირთეხა

თქვენ დაგიბარათ აქ პედრომ; თქვენ სტოვებთ მტერთან თქვენს დიდ ფარს.

(ყველანი მიუხედავენ იოანს)

I მონა

ჩვენ არ გვინდა სიყვდობი!

მობუცო, ბრძოლაში ეძებენ **გუგავა** თაოს ტანისთვის და არა სულისთვის!

გიეი!

II მონა (იოანს)

გემებზე! გემებზე!

მონები

(შეიძვრიან: შეათამაშებენ ხურგზე ტვირთებს და მიდიან გუგავას წინამძღოლობით. შემოდის ფლორენსა. იქტირება სცენის გადაღმა. **ფლორენსა** (ენერგიულად).

წადით! წადით!

ხმა

ისინი გასწვდითეს!

ფლორენსა

ვიცი! ვიცი!

(დუმბილია)

რა უყოთ დაქრილებს!

ხმები

თავს უშველეთ!—თქვენს თავს უშველეთ!

(დუმბილია)

კოტა-ლა დაერჩით! ყველა გაიპარა! ზოგი მიობის გემებზე!

ხმები

ვისაც შეუძლია—წავიდეს!

ფლორენსა

(დუმბილია)

ჩვენ აქ დაგვიბარა პედრომ! ფლორენსა, ჩვენ მოვედით!... მხოლოდ კოტა რაინე: საიბედო!

ხმები

ფლორენსა (ენერგიულად)

თავს უშველეთ! ოო, წადით! ასე...

იოან

ფლორენსა!

ფლორენსა (მოიხედავს)

იოან! (ტყმაყოფილოთ) ატა ხარ?

იოან

აქ ვარ... მაგრამ არას გმტყვი... რა ვითბრა, დედაკაკო...

ფლორენსა

არა! გამოეძიე ბრძოლის ველოდან—მე მოვისწრაფოდი, რომ აქ პედროს მოსვლამდე დამეშალა ჩვენი რაზმების ნაშთები—მაკრამ, განა მოლაღატე ვარ!

იოან

ნაშ ვინ!





**ფლორენსა**  
მე გავზომე ნტერი,—მე ვიცანი მსხვერპლის უმიზნობა!

**იოან**  
შენ გინდა გადაარჩინო პედრო?

**ფლორენსა**  
რა სთქვი?

**იოან**  
შენ უდარაჯებ მის სიკოცხლეს...

**ფლორენსა**  
ვის.

**იოან (უცქერის)**  
დედაკაცო!

**ფლორენსა**  
შენ თითქო სულში იხედები!

**იოან**  
ის დაქანებულია თავის გზაზე და იქ უნდა მივიდეს, სადაც მიდის... მისი გზის შეცვლა სიკვდილზე მძინვია... მაგრამ შენ ძერასავით უდარაჯებ... ეს სიყვარული ბოროტია.

**ფლორენსა**  
როშაე! შენ არც გიცხოვრია, განა რამეს გაიგებ!

**იოან**  
მე ქვის კედელში გაფლეთებულვარო, ეს იყო გვის გალვიძება! დაბოლოს მე ამიყვანია ხელში ბავშვი, ისეთი თვალენით, რომ ჩენთანაც მოუტანია ვაზაფხულის ამბები!.. და იმ წუთისავე, რაც ის თვალები დაიხუჭა, — პედროს-უყურობ და ნაგონდება... (უცქერის ფლორენსას)

**ფლორენსა**  
ძალიან იწყვე ენას—რა გაგონდება!..

**იოან**  
სახრობელაზე, მიმავალთა ნათქვამი—რომ გმირები სიკვდილის შემდეგ უძღვევიან ბრძოლებს... საფლავში ჩადიან, რათა გვეყნისათვის დაიბადონ... გესმის? (ფლორენსა აწრიალდება) ეხლა, როდესაც შენ ვადევნებ თვალს, ვედავ, როგორ უხურავ გმირს მის შობის კარებს.

**ფლორენსა**  
შენ გინდა რომის მოკვლეა?... იოან, ნუ ამბიძებ, ისედაც... (უცბათ სკენის გადაღმისაკენ) ესენი ვინ აოიან—ახხ! (გაჩეარებული ნიღის).

(შემოდინ ბარბაკით, ხელ გადახვეულნი, დაქრილ-მომაკვდავი როსკიპები. ვერ იღებენ ხმას.-ნხოლოდ ორი მათგანი ძლივს ამოიძახებს: „ფლორენსა!“ ფლორენსა აოა ჩნდება. როსკიპები მიდიან. დღნილია)

**იოან**  
დავილაღე... აი, ისმის პედროს ნაბიჯების ხმა-ის არ იღლება რადგან მას მიგნით აქვს ცეცხლი, საიდანაც იღებს ძალას... მაგრამ ბედს ის ცეცხლი, როგორც ვედავ, სასჯელად მოუკია ოჩეულებისათვის. —ადამიანის შანაგანი მხურვალება უძღურია გარდაქმნას ქვეყანა... ცხოვრება უფრო ადვილად ემორჩილება საფლავს. და, შეიძლება, შემდეგ მივიდეს ათასები, რომ ცივი ძელებიდან მიი-

ლონ სითბო.—ვინ იცის, ეგებ იმისთვის, რომ ძვალი არ სწყავსი ვეცხვირსავე შეტყეული ამღებ ფიქრს, გომნობას და ძალიან დავილაღე... (შეჩერდება) და სად წავიღე, მე აწი ვერც ციხის კედლები მომასვენებს!.. არც არის ჩემთვის აწი ახლოს რაიმე, გარდა საფლავისა (შეჩერდება)... მე ბევრ ხანს მიცხოვრობია... მაგრამ ვხედავ კიდევ ნაკლდა დიდი ნაღველი, წამება... ეხლა ყველაფერი მივიღე, ყველაფრით დავილაღე და შემიძლია... (თავს იქნევს) მე საფლავში არც ჩემს ცრემლს წავიღებ და არც სხვისას—მხოლოდ მოვისვენებ... (მიდის)

(წემოდის ფლორენსა იცქირება სცენის გადაღმა)

**ფლორენსა**

გათავდა. მტერი მხოლოდ ეამით ავადმყოფებს ურიდება—ჩანტად ამიტომ ედება ქუჩებს. ჭალაქი ისევ მათი არის.—(ძრწოლით ნიშოხედავს) სად არიან?

**ხმა**

მშვიდობით! მშვიდობით!

**ხმა**

ყველა წავიდა ნადარცვით!

(ღუმილია)

**ხმა**

აქეთ არავენ მოდის!

(ღუმილია)

**პავშვის ხმა**

ის მოდის—მარტო!

**ფლორენსა**

(მღელვარეთ)

პედრო!

(წემოდის პედრო)

**ფლორენსა**

პედრო!..

**პედრო**

შენ...

(რა ევრაეის დაინახავს ისევ მოუხედავს ფლორენსას)

**პედრო**

სხვა—შენი რაზმიდან?

**ფლორენსა**

გაწყუნენ...

**პედრო (მწარეთ)**

რაზმის თავი! მოვიდა მარტო რაზმის თავი!

**ფლორენსა**

მეც უნდა დავცემულიყავი... შევინახე ამ ტანში სითბო,—რომ აქ მომეტანა...

**პედრო**

ჰო, ჰო, კარგი, აქაც—გაიშლება ასპარეზი პატიოსან მებრძოლისათვის.

**ფლორენსა**

მეომრის პატიოსნება მე სამუდამოთ დამრჩა ამხანაგების ცხედრებთან.



ა?!..

**პედრო****ფლორენსა**

მოვედი იმისთვის... იმოდენა სიმაღლიდან წამოსულს და დაცემულს, რომ შეგაგებო გული... თბილი გული...

**პედრო**

კარა! (მოუსვენრად იხედება ირველივ და ხანდახან ნერვიულად ჩაიკინებებს) მაგრამ სად არიან ისინი, აქ რომ უნდა შეყრილიყვნენ... აქ! მათ ლოდინში ჩემი ძარღვები იგრინებოიან, როგორც რკინის თოკები!

**ფლორენსა (ხალციხიდან)**

ოო, წენ როგორი გამოცვლილი ხმა გაქვს, როგორი აეადმყოფი... ოო, აქეთ მოდიან ჯალათები—სხვა არაინ... ჯალათები... ბრძოლაც არ იქნება, დაფიქრდი.

(ღუმელია)

რა საშინელი ღუმელია!

**პედრო**

პედრო!..

**ფლორენსა (უახლოვდება)**

რასა, რას...

**პედრო****ფლორენსა (ენერგიულად)**

შორს!—აქედან შორს წავიდეთ!— ზღვის იქეთ. საღმე. კუნძულზე.—აქ ყველაფერი გათავდა!

(მოისმის კოტა ხმაურობა)

**პედრო (ხმაურობისაკენ)**

აა, რაზმები! ნუ ჩხაეი, ის ისევ გაიზრდება (ყვირილით) ხანძარი!

**ფლორენსა (იხედება)**

არა ხმა სხვაა—ესენი არიან ეამით სნეულები. იმათ ამ უბანში დენიან მტრები—რომელნიც შავი ეამიანების მორიდებით—ანელებენ ნაბიჯებს. (უახლოვდება) ვისარგებლოთ ამ ბინდით!

**პედრო**

მე—აქ დავიბარე.

**ფლორენსა**

ააბ—ისინი უკვე წავიდნენ აქედან! მე ეღუმედი... ისინი ჩემს თვალწინ დაიშალნენ!

**პედრო**

წენ!—მაშ ეს მართლია! ასე დაუჯერებელი რომ მომესმა წენს შესახებ!.. (აღშფოთებით ასწევს მოკრუნზულ ხელებს) ფლორენსა... წენ...

(გამოიანათებს მთვარის სინათლე).

**ფლორენსა**

(უცქერის აკანკალებულ პედროს მთვარის სინათლეზე)



ისინი... არ მოვლენ. ნუ თუ კიდევ ვერ... (შეკრთება) <sup>პარკინგული</sup> <sup>შეფუთვით</sup> <sup>ქსასო-</sup>  
წარკვეთილებით) პედრო!

**პედრო**

რა!.. კმმ...

**ფლორენსა** (უვილით)

სახე გინავედება ნახშირით! აეადა ხარ შავი ეამით!.. აეად! ოო! ოო!  
(უცქერის კანკალით)

**პედრო** (ჩაქიდებულ ხელებით)

დაღუმდი!

(ფლორენსა ისევ ამოიღეს სასოწარკვეთილ ხმას, რომლის პასუხად პედრო ამოუშვებს მქუხარე ხმას. შეებრძოლება და ახორბობს ფლორენსას. დუმლია)

**პედრო**

ამ პატარა ყელიდან აღმოდიოდა ხმები ციხის საშინელ კედლებივით!  
(დახრბობილ ფლორენსას დააგდებს და დასცქერის)

არა! ეს იყო სიცრუე! (შედგება ფეხებით ცხედარზე) გე შავიძარგვებ! (წაბარბაცდება) სადა ხართ! დედამიწაე! (დააარტყამს ფეხებს) შეანძრავ ძარღვები! შორეე რაზმები! თორემ, აა, საცოცბლე სირცხვილია!

(დაანათებს შმატერული მთვარის სინათლე პედრო დაიხედავა ხელებზედა ძრწის, შმედგე სცენის ერთ კუთხეში ათამაშდება უცნაური ფერები და იისფერ სინათლეში გამოდის ტომას მიუნცერის ლანდი).

**პედრო** (ლიმილით)

გამარჯობა ტომას მიუნცერ!

(მიუნცერის აჩრდილი ჰქრება. დიდი, შავი ღრუბელი ეფარება მთვარეს. სიბნელეში შემოდის და სულ ისმის მქუხარება შავი ეამით აუადმყოფების)

**პედროს ხმა**

თქვენ მის ნათელ სახეს აბნელებთ ტირილით!

(სამი მირიდან შემოახანათებს ცეცხლები და სცენაზე მოსჩანან შავი ეამით აუადმყოფები. შემობრბიან ეჟანი, ნიკოლო და რამდენიმე ყოფილი ტუსალი—გააფთრებულნი მოიხედავენ. მათ შეუკავებელ ზვირთებივით შემოსდევს მეფის გვარდია, სარდლები და მიქელო)

**ნიკოლო და ეჟანი**

პედრო აქ არის, შეგჭრდეთ.

**პედრო**

ოო, თქვენი წინამძღოლის თვალი ახლა ისევ ნედლია!

**მიქელო** (თავის ჯარს)

ფრთხილად—აუადმყოფებთან გრძელი შუბები!



ერყენული  
ხეზლიქოთქა

(ნიკოლო და ელანი თავის შცირე რაზმით  
შეჭრდებიან და იბრძვიან, პედროც შეიქრა  
ბრძოლაში. ბრძოლის დროს მტრის წინა რა-  
ზმებში აირია დამუროხალი ავადმყოფები და  
მტრის წინა რიგები იშლებიან ყვირილით: „შა-  
ვი ჟამი!“ აუქულობაში პედრო მიადწევს მი-  
ქელოსთან და ჰქლავს მიქელოს. მერე დაბ-  
რუალდება ნანგრევის ლოდს გადააწეება და  
კედება. ნიკოლო და ელანი დაეცემიან მტრის  
მიერ განგმირულნი)

**სარდლები**

(გააფთორებულნი)

მიქელო მოქლეს! ო, ო! იქეთ!

(ცეცხლები უკან დაიხვეს. ბნელდება)

**მინისტრის ხმა**

ლეიტენანტებო! მეფე უმწეოთ დასტირის მიქელოს სიკედილს... მაგრამ  
ჩვენ მას სრულიად დაეამშვიდებთ. აი, დედოფალი მობძრანდება—ის დაიღალა  
ამდენი სისხლით—გაიტანეთ აქედან მკვდრები, მხოლოდ პედროს გვანი წამოა-  
გეთ შუბზე. დედოფალს უნდა დაინახოს მხოლოდ პედროს ცხედარი, მაღალ  
შუბზე გაკრული.

**ლეიტენანტები**

გვესმის ბ-ნო მინისტრო!

**მინისტრი**

გათენებანი ყველა მოსახვეწი დადგით თითო საბრძოლელა—ამბ-ხებამ  
უნდა ინანოს!

(ღრუბელი ნელა შორდება მთვარეს. შორს  
გაისმის საყვირების ხმები. მოდის დედოფა-  
ლი. დაანათებს მხატვრული სინათლე. მაღლა  
შავი ლანდებივით მიაქვს შუბის წვერებს  
ცხედრები. ნანგრევებიდან და მიწის ხვრელე-  
ბიდან ყოველ მხრიდან, ამოდინ უარე-  
შები, ქალბატონები, ბარონები. ისინი გზა და  
გზა ტანისამოსებს ისწორებენ, იცვლიან, პა-  
ტარა ოთხკუთხ სარკეებში იბუდრებიან და  
რვევრანსებით ახლოვდებიან დედოფალთან  
შორს გაისმის საყვირების ხმა და ტირილი)

ფ ა რ დ ა

## ღმერთებს სწუხრიათ.

დახასრული \*)

### XII

ერთ საღამოს ბებერმა ბროტტომ კარტონის ჯამბაზები მიუტანა მოქალაქე კაიუსს, კანონის ქუჩაზე. სათამაშოების ეაქარი ჩვეულებრივ თავაზიანი ადამიანი იყო: ახლა კი ცოტა არ იყოს უკმეზად შეხედა.

— ფრთხილად იყავით, მოქალაქე ბროტტო, ფრთხილად იყავით! ყოველთვის როდი ვარგა ხუმრობა: გუშინ ჩემ საეაქროში საზოგადოებრივი მხრუნველობის კომიტეტის წევრი შემოვიდა, და აღმოაჩინა, რომ თქვენი ქალაქის ჯამბაზები კონტრრევოლუციური ხასიათისაა.

— ის აღზად ხუმრობდა! სთქვა ბროტტომ.

— სრულიადაც არა, მოქალაქე, სრულიადაც არა. იმ კაცს ხუმრობა როდი უყვარს. მან სთქვა, რომ პაწია ჯამბაზები ერის წარმომადგენლების ვერაგი კარიკატურებია, რომ განსაკუთრებით კუტონის, სენგიუსტის და რომეს-პიერის დამახინჯებულ სახეებს იცნობს ადამიანი. აღკრძალა მათი გაყიდვა. ეს წმინდა წიგნება ჩემთვის: გარდა ამისა პირადათ საფრთხე მომელის.

— რას ამბობთ! ეს არლეკინები, ეს სკარამუშები, კოლინები და კოლეტები, რომელნიც ისე დაეხატე, როგორც ბუშე ხატავდა ორმოცდაათი წლის წინათ, დამახინჯებული კუტონები და სენ-გიუსტები არიან? არც ერთი გონიერი ადამიანი ამას არ დაიჯერებს.

— შეიძლება რომ თქვენ არავითარი ეშმაკური განზრახვა არ გქონიათ, უპასუხა მოქალაქე კაიუმ, თუმცა თქვენისთანა გონება მახვილი კაცი ყოველთვის საფრთხილოა. მაგრამ ეს თამაშობა სახიფათოა. გნებავთ მაგალითი მოგიტანოთ? ნატუალი, რომელსაც პატარა თეატრი აქვს ელისეის მიწოდორზე, გუშინწინ დაატუსაღეს პატრიოტიზმის უქონლობისთვის, მიტომ რომ პოლიშინელი კონვენტს სასაცილოდ იგდებდა.

— ეს კიდევ ერთი მარცხია, სთქვა ბროტტომ და ტილო ასწია, რომელიც მის პაწია კარტონის კაცებს ჰფარავდა: შეხედეთ ამ ნიღაბებსა და სახე-

\*) იხ. „მნათობი“ № 4 (12)



ქართველთა  
მწიგნობართა  
კავშირი

ებს, განა ეს კომედიების და პასტორალების მომქმედი პირველი პირველი როგორ ათქმევინეთ ვინმეს, მოქალაქე კაიუ, რომ მე ეროვნულ კონვენტს ვამასხარავებ?

ბროტო გაოცებული იყო. თუცა ადაშიანის უკუუბოა იყო, მაგრამ ვერ წარმოედგინა, რომ მისი სკარამუშები და კოლინები საეკონი გახდებოდნენ. ამტკიცებდა, რომ თვითონაც და ისინიც უშანკონი იყვნენ. მაგრამ მოქალაქე კაიუს არაფრის გაგონება არ უნდოდა.

— მოქალაქე ბროტო, უკან წაიღეთ თქვენი ქალაქის ჯამბაზები. მე თქვენ ვაფასებთ, პატრის გეგმით, მაგრამ არ მინდა, რომ თქვენი გულისთვის შემეწუხონ და გამლანძღონ. მიჩვენებია უზადო მოქალაქეთ დავრჩე. ღამე მშვიდობისა, მოქალაქე ბროტო, უკან წაიღეთ თქვენი ქალაქის ჯამბაზები.

ბებერმა ბროტომ მხარზე გაიდო ჯოხზე ჩამოკიდული დამნაშავე ჯამბაზები და გზას გაუდგა შინისკენ, ბავშვები დასცილოდნენ: ეგონათ რომ ის ვიროთების საწამლავის გამყიდავი იყო. ძალიან მოწყენილი იყო, რასაკვირველია თავს მართო ტიკინების გაყიდვით არ ირჩენდა: ოც გროშათ სურათებსაც მხატავდა ქიშკრებთან და ბაზრის კლთხეში. მრავალი ახალგაზრდა, რომელიც ჯარში მიდიოდა, სურათს უკვებდა საყვარლისთვის დასატოვებლად. მაგრამ ეს პაწია სამუშაო მას უძნელდებოდა და დიდი მუყაითობა იყო საჭირო, რომ მისი სურათი ისევე კარგი გამოსულიყო, როგორც მისა ქალაქის ტიკინა იყო. ხანდახან მდივნის როლს ასრულებდა რომელიმე ბაზრის ვაჭარ-ქალთან: მაგრამ ეს მონარქიულ შეთქმულებაში გაბმას ნიშნავდა და სახიფათო საქმე იყო. გაახსენდა, რომ ნეც დე პტი შანის ქუჩაზე, ყოფილ ვანდომის მოედნის მახლობლად, კიდევ ერთი სათამაშოების გამყიდველი იყო, სახელად ყოლი და გადასწყვიტა ხეაღვე მისთვის მიეწოდებინა სულმოკლე კაიუს მიერ უკან დაბრუნებული ტიკინები.

წვიმა წამოვიდა. ბროტოს შეეშინდა, რომ მისი ქალაქის ჯამბაზები შეწუხდებოდნენ და ნაბიჯს დაუჩქარა. როცა ახალ ხიდზე გადიოდა, რომელიც ჩაბნელებული და ცალიერო იყო, ტიონვილის მოედნის კლთხეში თანრის სინათლეზე დაინახა კენძზე ჩამომჯდარი მოხუცო კაცი, რომელიც როგორც ეტყობოდა ღონემიხილი იყო შიმშილისა და დაღლილობისგან, მაგრამ მაინც პატივსაცემ შეხედულებას ინარჩუნებდა. მას დაფლეთილი წამოსასხამი ეცვა, ქუდი არ ჰქონდა და სამოც წელს გადაცილებული უნდა ყოფილიყო. ბროტო ამ უბედურს მიუახლოვდა და მამა ღონგმარი იცნო, რომელიც მან თანრის ბოძზე ჩამოკიდებას გადაარჩინა ექვსი თვის წინათ, როცა ორივენი პურის საცხოვრებლად რიგში იდგნენ იერუსალემის ქუჩაზე. ბროტო მიუახლოვდა ბერს, გაახსენა რომ ის მეზვერი იყო, რომელიც დიდი შიმშილობის დროს მის გვერდით იდგა ბრბოში და ჰკითხა ხომ არაფერში გამოადგებოდა.

— თქვენ, როგორც სჩანს, დაღლილი ხართ, მამაო. გადაყლაპეთ ერთი წვეთი წამალი ღონის მოსაყვანად.

და ბროტომ თავის ყავისფერი რედინგოტის ჯიბიდან არაყის პატარა



ბოთლი ამოიღო, რომელიც თან დაჰქონდა ყოველთვის ღმერთის წინადადებას ერთად.

— დალიეთ და მე დაგებმარებით და ბინაზე მივიყვანო.

მამა ღონგემარმა ხელი ჰკრა ბოთლს და ფეხზე წამოდგომა სცადა. მაგრამ ხელახლა კუნძზე დაეცა.

— ბატონო, სთქვა მან სუსტი, მაგრამ მტკიცე ხმით, სამი თვეა რაც პიკეტუსში ვცხოვრობდი. მაგრამ შემატყობინეს, რომ ვუწინ ნაშუადღევის ხუთ საათზე ჩემ დასაქურად მოვიდნენ და ამიტომ შინ აღარ დაებრუნებულეარ; ბინა აღარ მაქვს; ქუჩებში დაეხეტიალობ და ცოტათი დიდლილი ვარ.

— ჰო და ძალიან კარგი, უთხრა ბროტომ, პატივი მეცით და ჩემს ჰერში მობრძანდით.

— ბატონო, უპასუხა ბარნაბელმა ბერმა, გაიგეთ რომ მე საეკვო კაცი ვარ.

— მეც საეკვო ვარ, სთქვა ბროტომ, ჩემი ქალღმრთის ტიკინებიც საეკვონი არიან და სწორედ ეს არის ყველაზე უფრო სამწუხარო, თქვენ ხედავთ, როგორ სველდებთან ისინი თხელი ტილოს ქვეშ. მოგახსენებთ, მამაო, რომ მას შემდეგ რაც შეხვერობას თავი დამანებებინეს, ჯამბაზების კეთება დაიწყო და თავს ამით ვირჩენ.

მამა ღონგემარი ყოფილი ფინანსისტის გაწვდილ ხელს ჩაეჭიდა და სტუმართ-მოყვარე მასპინძელს თან გაჰყვა. ბროტომ ჰერში შესვლისთანავე პური, ყველი და ღვინო შესთავაზა; ეს სანოვაგე მას საწყიპარ ღარში ჰქონდა ჩადებული გასაკივებლად, როგორც სიბარიტს შეეფერება.

როცა შიმშილი მოიკლა, მამა ღონგემარმა ლაპარაკი დაიწყო:

— ბატონო, უნდა გვიამბოთ, როგორ გავიქეცი და როგორ მოგვბდი იმ ჯირკზე, სადაც თქვენ მნახეთ. მონასტრიდან გაძევების შემდეგ, იმ მცირედი პენსიით ვცხოვრობდი, რომელიც ეროვნულმა კრებამ დამინიშნა; მსურველებს ლათინური ენის და მათემატიკის გაკვეთილებს ვაძლევდი და ბროშურებს ვსწერდი ეკლესიის შევიწროებაზე საფრანგეთში. ერთი მოზრდილი შრომაც შევადგინე იმის დასამტკიცებლად, რომ ფიცის დადება კონსტიტუციის წინაშე ეწინააღმდეგება ეკლესიის დისციპლინას; რევოლუციის პროგრესმა მოწაფეები წამართვა, ხოლო პენსიის მიღება აღარ შემეძლო კანონის მიერ დაწესებული სამოქალაქო მოწმობის უქონლობის გამო. სწორედ ამ მოწმობის მისაღებად წავედი ქალაქის საბჭოში, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ სამართლიანად მერგებოდა. მოციქულ პავლეს, რომელმაც ჩვენი ორდენი დააწესა, თავი მოჰქონდა რომელიც მოქალაქის სახელით. მეც მას ვებაძედი, და როგორც ჰქმნარიტ ფრანგ მოქალაქეს შეეფერება, მოკრძალებით ვეპყრობოდი ყველა ადამიანურ კანონებს, რომელნიც ლეთის ცნებას არ ეწინააღმდეგებოდა. ჩემი თხოვნა ბატონ კოლენს წარუდგინე, მეძებნესა და მუნციპალურ მოხელეს, რომელსაც ასეთი მოწმობების გაცემა აქვს დავალებული. გამომკითხა, რა წოდებისა ვარ. ვუპასუხე, რომ სასულიერო პირი ვიყავი. შემდეგ კიდევ მკითხა, კოლიანი ვარ თუ არა და როცა ვუპასუხე, რომ უკოლო ვარ, მითხრა, რომ ეს ძალიან ცუდია თქვენთვისო. ბოლოს, მკითხა დავამტკიცე თუ არა ჩემი მოქალაქეობრი-





ქართული  
წიგნების  
კავშირი

ვი გრძნობა 10 აგვისტოს, 2 სექტემბერს და 31 მაისს. მოწმობებს მხოლოდ ისეთ პირებს ვაძლევთ, რომელთაც თავიანთი პატრიოტიზმი დაამტკიცეს ამ სამ შემთხვევაშიო. მე არ შემიძლო ისეთი პასუხი მიმეცა, რომელიც მას დაეკმაყოფილებდა. ყოველი შემთხვევისთვის მან ჩემი სახელი და ადრესი ჩაიწერა და აღმითქვა რომ საჩქაროდ ცნობებს შეჭკრეფდა ჩემს შესახებ. მოცემული სიტყვა შეასრულა და მისი გამოკვლევის შედეგი ის იყო, რომ ჩემი შინ არ ყოფნის დროს საყოველთაო მზრუნველობის კომიტეტიდან ორი კომისიარი და რაედენიმე ჯარისკაცი მესტუმრა ციხეში წასაყვანად. არ ვიცი რა ბრალს მდებენ. მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ბატონი კოლინი სწორედ რომ შებრალებს ლირსია: მისი გონება იმდენად დაბნელებულია, რომ სასულიერო პირს უსაყვედურებს რატომ მოქალაქეობრივი გრძნობა არ გამოიჩინე 1 აგვისტოს, 2 სექტემბერს და 31 მაისსო. სწორედ რომ საბრალოა ადამიანი, რომელსაც თავში ასეთი აზრი მოჟევა.

— არც მე მაქვს მოწმობა, სთქვა ბროტომ. ჩვენ ორივე საეჭვო ვართ. მაგრამ თქვენ დაქანცული ხართ. მოისვენეთ, მამაო; ხვალ ვიზრუნოთ თქვენ დაეცვაზე.

სტუმარს მატრაცი დაუთმო, თავისთვის კი თავის ლეიბის დატოვება უნდოდა, მაგრამ თავდაბალმა ბერმა საწოლების შეცვლა მოითხოვა ისეთი დაინებით, რომ ბროტო იძულებული გახდა ის დაეკმაყოფილებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში მამა ლონგემარი იატაკზე აპირებდა დაწოლას.

როცა ეს სამზადისი დამთავრდა, ბროტომ სანთელი ჩააქრო, ეკონომი-ისა და კეთილგონიერების დასაცავად.

— ბატონო, უთხრა სასულიერო პირმა, დიდით მადლობელი ვარ იმისთვის, რასაც თქვენ ჩემი გულისთვის აკეთებთ; მაგრამ სამწუხაროდ ჩემს მადლობას თქვენთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. დაე, ღმერთმა გიზღოთ სამაგიერო. ამას თქვენთვის უსაზღვრო მნიშვნელობა ექნება. მაგრამ ღმერთი მხოლოდ იმას უწყევს ანგარიშს, რაც მისი სახელის სადიდებლად კეთდება და რაც ბუნებრივი სათნოების შედეგს წარმოადგენს. ამიტომ გემუდარებით, მისი გულისთვის გააკეთეთ, რაც ჩემთვის გინდოდით გაგკეთებინათ.

— მამაო, უპასუხა ბროტომ, თავს ნუ იწუხებთ და მადლობას ნუ მიხდით. მე თქვენი სიყვარული როდი მამოქმედებს; თუმცა თქვენ სასიამოვნო ადამიანი ხართ, მაგრამ მაინც იმდენად ნაკლებ გიცნობთ, რომ არ შემიძლია თქვენი სიყვარული დავიჩემო. მით უმეტეს ჩემი მოქმედება კაცობრიობის სიყვარულით არ არის გამოწვეული: მე ისეთი გულუბრყვილო ვარ, როგორც დონ უფანი, რომელსაც სწამდა, რომ კაცობრიობას რაღაც უფლებები აქვს; დიდით მაწუხებს, რომ ასეთ თავისუფალ მოაზროვნე ადამიანს ასეთი ცრუმორწმუნოება ჰქონდა. მე ეგოისტური გრძნობა მამოძრავებს: ეს გრძნობა უკარნახებს ადამიანს სულგრძელობასა და თავგანწირვას, მიტომ თავის თავს ბეჩავ ადამიანში დაინახებინებს ხოლმე, როგორც სარკეში; იგივე გრძნობა აიძულებს მის თავისი თავი გამოიტეროს სხვისი უბედურების გამოტერების დროს და მოყვასს, რომელიც მას ბუნებითა და ბედით ჰგავს, დახმარება გაუწიოს ისე,



რომ სხვისი დახმარება საკუთარი თავის დახმარებას ჰგავდეს. ამას ვიღაც კველ-  
მოქმედებას უსაქმობის გამო ჩავდივარ: ცხოვრება იმდენად უხანსი და მოსაწყ-  
ყენია, რომ რაც უნდა დაჯდეს თავის გართობაა საჭირო, ქველმოქმედება კი  
თუმცა საკმაოდ უკემური ვასართობია, მაგრამ ძალაუფლებურად უნდა დავსჯერ-  
დეთ უფრო სასიამოვნო ვასართობის უქონლობის გამო; ქველმოქმედებას ჩავდი-  
ვარ აგრეთვე გულზვიადობის წყალობით, რადგან მინდა რომ თქვენს წინაშე  
უპირატესობა ვიქონიო; ბოლოს ამას სისტემის გულისთვის ვშვებდი, რათა თქვენ  
დაგანახოთ რა შეუძლია ათვისტა.

— თავის თავს ცილს ნუ სწავნებთ, ბატონო, უპასუხა მამა ლონგემარმა. მე  
დღემდე ღმერთმა მეტი წყალობა მაღარსა, ვიდრე თქვენ; მაგრამ უფრო უღირ-  
სი ვარ, ვიდრე თქვენ; ჩვენი შედარებაც არ შეიძლება ბუნებრივი დამახურების  
მხრით. მაგრამ ნება მომეცით თქვენს წინაშე ერთი უპირატესობა ვიქონიო.  
რადგან ვერ მიცნობთ, ჩემი შეჯერებაც არ შეგიძლიათ. მე კი, ბატონო, თუმცა  
ვერ გიცნობთ, მაინც თავისთავზე მეტად მიყვარხართ: ასეთია ღვთის ცნებაც.

ამ სიტყვების შემდეგ მამა ლონგემარმა დაიჩოქა, ლოცვა წაიკითხა, თავის  
ღეობზე დაწვა და მშვიდად დაიძინა.

### XIII

ვეარისტ გამლენი მეორეჯერ იღებდა მონაწილეობას ტრიბუნალის სხდო-  
მაში. სხდომის გახსნამდე თავის კოლეგებს ესაუბრა დილით მოსულ ახალ ამ-  
ბების შესახებ. ზოგიერთი ცნობა ბუნდოვანი იყო, ზოგიერთი კიდეც ყალბი;  
მაგრამ რაც უეჭველად სწორი იყო, შიშის ხარს იწვევდა. კალიციის ჯარე-  
ბი ყველა გეზებს დაეპატრონენ და ერთად მოდიოდნენ, ვანდუა გამარჯვებული  
იყო, ლიონი აჯანყებული, ტულონი ინგლისელებს დანებდა, მათ იქ თითხმეტი  
ათასი კაცი გადმოსხეს.

ამ მაგისტრატებისთვის ეს პირადი უბედურებაც იყო და არა მარტომსოფ-  
ლიო ხასიათის მოვლენები. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თუ სამშობლო  
დაიღუპებოდა, თვითონაც დაიღუპებოდნენ და ამიტომ საზოგადოებრივ კეთილ-  
დღეობას თავის პირად საქმეც სთვლიდნენ. ერის ინტერესი მათ კერძო ინ-  
ტერესთან იყო შედუღებული, უშუალოდ მათ გრძობებს, ვნებათა ღელვას, ყო-  
ფაქცევას ეხებოდა.

გამლენმა სხდომის დროს თავდაცვის კომიტეტის მდივნის ტრიბუნრის  
წერილი მიიღო; ეს იყო ცნობა, რომ ის თოფის წამლის და გვარჯილის კომისი-  
რად ინიშნებოდა.

„შენ გამხრაც სექციის ყველა სარდაფებს და დაავრცებ ნივთიერებას,  
რომელიც თოფის წამლის მოსამზადებლად არის აუცილებელი. შეიძლება მტე-  
რი ხეალ პარიზის კედლებთან გამოჩნდეს; დაე, სამშობლოს მიწამ მეტი მოგვეცეს,  
რომელსაც მტრებს დავსცემთ თავზე. ამასთანავე გიგზავნი კონვენტის ინ-  
სტრუქციას, რომელიც გვარჯილის გამოყენების წესს შეეხება. სალამი და  
ძმობა.“

ამ დროს ბრალდებული შემოიყვანეს. ეს იყო ერთი უკანასკნელი და ნა-



ერეკნული

კლებ ცნობილი იმ დამარცხებულ გენერლებიდან, რომელთაც კომუნისტური-ბუნაღს უგზავნიდა. მის დანახვაზე გამლენს ტანში ურუნტელმა დაუარა: მას მოეჩვენა, რომ ეს იგივე სამხედრო პირია, რომელიც სამი კვირის წინად მის თვალწინ გაასამართლეს და გილიოტინაზე გაავზავნეს. ეს იგივე ადამიანი იყო ჯიუტი, გონებაშეზღუდული: თითქო პროცესი მეორდებოდა. ბრალდებული ცბიერ და ტლანქ პასუხებს იძლეოდა, რაიც მის წინააღმდეგ ამხედრებდა მისამართლებს. მისი თაღლითობა, თვალთმაქცობა, ბრალდებები საკუთარი ხელქვეითების წინააღმდეგ მაკურებელს ავიწყებინებდა, რომ ის ამ წუთში საპატიო საქმეს ასრულებდა, სახელდობრ თავის პატივსა და სიცოცხლეს იცავდა. ამ საქმეში ყოველივე გამოურყვეველი, საკამათო იყო, ჯარების პოზიცია, მომქმედი ნაწილების რიცხვი, გაცემული ბრძანება, ჯარის მოძრაობა: არაფერ არაფერი იცოდა. არაფის არაფერი ესმოდა ამ ბუნდოვან, უაზრო, უნიზნო ოპერაციებში, რომელიც განადგურებითა დაშთავრდა, არც დამცველს, არც ბრალდებულს, არც ბრალმძებელს, არც მსაჯულებსა და ნაფიცებს; და განსაკუთრებით საყურადღებო ის იყო, რომ არაფის არ უნდოდა თავის თავს ან სხვა ვისმეს გამოსტეხოდა, რომ არაფერი გაეგებოდა. მსაჯულები თავს იქცევდნენ პლანების შედგენით, ტაქტიკისა და სტრატეგიის შესახებ გამბული მსჯელობით; ბრალდებული ბუნებრივ მიდრეკილებას იჩენდა თაღლითობისაკენ.

გამართა დაუსრულებელი კამათი. და გამლენი ამ კამათის დროს ჩრდილოეთის ოღრო-ჩოღრო გზებზე ტალახში ჩაფლულ ყუთებსა და არხებში ჩაეარდნილ ხარბახუნებს ჰხედავდა; თითქო დამარცხებული რაზმები უწყსრიგოდ ყველა გზებით იხედნენ და მიტოვებულ უღელტეხილებში ყოველი მხრიდან მტრის ცენოსანი ჯარი იქრებოდა. და მის თითქო ამ ვერაგულიდ მიტოვებული ჯარის გოდება ესმოდა, რომელიც ამ გენერლის ბრალდებას შეიცავდა. კამათის დამთავრებისას ზალაში უკვე ბინდდებოდა და მარატის გაურყვეველი სახე პრეზიდენტს მოეჩვენებასავით ადგა თავზე. ნაფიცი მსაჯულები ორ ნაწილად გაიყვნენ. გამლენმა ყრუ ხმით, რომელიც თითქო ყელში ეჩხირებოდა, მაგრამ მტყიცე ტონით ბრალდებული დამნაშავედ გამოაცხადა, როგორც რესპუბლიკის მოღალატე და ბრბომ ჩურჩულით თითქო მოიწონა მისი გადაწყვეტილება და მოუალერესა მის ახალგაზრდა სათნოებას. განაჩენი ლამპრების სინათლენზე წაიკითხეს, მოლურჯო შუქი თრთოდა დასასჯელის ჩაცვინულ საფეთქლებზე, სადაც ოფლის წვეთები სწნდა. გამოსავალში, სადაც საფეხურებზე კოკარდიანი კეკელა დედაკაცები ირეოდნენ, გამლენმა თავისი სახელი გაიგონა: როგორც ეტყობოდა მას ტრიბუნალის ხშირი სტუმრები უკვე იცნობდნენ. შემდეგ წინდის მქსოველები შენოებვივნენ, რომელნიც აესტრეიელი ქალის თავს ითხოვდნენ.

მეორე დღეს ევარისტს ერთი ბეჩავი დედაკაცის, პურის გამყიდველის, მეირიონის ქვრივის ბედი უნდა გადაეწყვიტა. ის პატარა ხელის ურემს ატარებდა ქუჩებში, წელზე თეთრი ხის ფიცარი ჰქონდა ჩამოკიდებული, რომელზედაც ჯიბის დანით გაკიდული პურის რაოდენობას ნიშნავდა. მისი მოგება რვა სუ იყო დღეში. საზოგადოებრივი ბრამდებლის თანაშემწემ გასაოცარი სისას-

ტივე გამოიჩინა ამ უბედურის წინააღმდეგ; მას, როგორც უნდა, რავედნეჯერმე დაეძახა: „გაუმარჯოს მეფესო!“, კონტრრევოლუციური სიტყვები ეთქვა იმ სახლებში, სადაც ყოველდღე ჰური ნიჰქონდა და იმ შეთქმულებაში გამბოლიყო, რომელსაც მიზნად ლუი კაპეტის მეუღლის გაპარება ჰქონდა. დაკითხვის დროს, მან დაადასტურა, რასაც აბრალებდნენ; შემდეგ გულუბრველობისა თუ ფანატიზმის გამო გადაჭარბებული როიალისტური გრძნობები აღიარა და თავის თავი დაიღუპა.

რევოლუციური ტრიბუნალი თანასწორობის გულსთვის ისევე შეუბრალებლად ეპყრობოდა შვე მუშებსა და მოახლეებს, როგორც არისტოკრატებსა და ფინანსისტებს. გამლენს სხვანიირი ყოფაქცევა ვერც წარმოედგინა სახალხო რევიმის დროს. ხალხისთვის შეურაცხყოფა, დამცილება იქნებოდა თუ სიკედლით დასჯის პრივილეგიას მხოლოდ არჩეულ პირებისთვის შეინარჩუნებდნენ. ეს იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ ხალხი, ასე ვსთქვათ, ღირსი არ არის დასჯისა. თუ გილიოტინას მარტო არისტოკრატებისთვის მოიზარდნენ, ის თითქო ერთნაირ უსამართლო უპირატესობად გადაიქცეოდა. გამლენის აზროვნებაში დასჯის იდეა ნელნელა რელიგიურ და მისტიურ ელფერს ღებულობდა. ეს იდეა რაღაც საკუთარ განყენებულ სათნოებასა და დამსახურებას იძენდა; ის ფიქრობდა, რომ დამნაშავეს სასჯელი უნდა მიეზღოს და სხვანიირად მოქცევა უმართებულობა იქნებოდა. მან განაცხადა, რომ მეირიონის ქვრივი დამნაშავეა და ღირსია უზენაესი სასჯელისა; შემდეგ გულსტიკიელი გამოსთქვა იმის გამო, რომ სასამართლოს დარბაზში ვერ ხედავდა იმ ფანატიკოსებს, რომელთაც ეს დედაკაცი დაღუპეს, რომ მათაც მისი ბედი გაენაწილებიათ.

ევარისტი ყოველ დღე დადიოდა იაკობინელებთან, რომელნიც დომინიკელების ანუ, ხალხური გამოთქმით, იაკობინელების ძველს ეკლესიაში იკრიბებოდნენ, ჰონორეს ქუჩაზე. ეზოში თავისუფლების ხე იდვა, ვერხვი, რომლის მართოლვარე ფოთლები მუდამ შრიალებდნენ. თვით ეკლესია ღარიბი და პირქუში სტილის შენობა იყო და მძიმე კრამიტის სახურავი ჰქონდა. კედლებში გამოკრილი იყო საარკმელი და თალიანი კარი, რომელსაც ზემოდ ეროვნული დროშა და თავისუფლების ჩაჩი ჰქონდა მიმაგრებული. იაკობინელებმაც, კორდელიერებისა და ფელიანების მზგავსად, გარეკილი ბერების სახელწოდება მიიღეს. განლენი, რომელიც წინათ გულმოდგინეთ კორდელიერების სხდომებს ესწრებოდა, იაკობინელებთან ვერც ორთუხებასა და კარმანიოლებს ხედავდა და ვერც დანტონისტების ფრიამულს ისმენდა. რომესპიერის კლუბში ადმინისტრაციული გონიერება და ბურჯუაზიული სიმძიმე მეფობდა. „ხალხის მეგობრის“ სიკედლის შემდეგ ევარისტი მაქსიმილიანის გაცვეთილებს მისდევდა: რომესპიერის აზროვნება ბატონობდა იაკობინელების კლუბში და იქიდან ათასი პროვინციული საზოგადოების შემწეობით მთელს საფრანგეთში ვრცელდებოდა. ოქმის კითხვის დროს ის ტიტველ და სეედიან კედლებს შესცქეროდა, რომელნიც ერთ დროს მწვალებელთა დიდი ინკვიზიტორის სულიერ შეილებს ჰფარავდნენ, ახლა კი სამშობლოს ერთგულ ინკვიზიტორების კრებებს დაჰყურებდნენ.



საქართველოს  
მწიგნობართა კავშირი

იქ უბრალოდ იკრიბებოდა და სიტყვის შემწეობით მოქმედობდა სახელმწიფოს უძლიერესი ხელისუფლება. ეს ხელისუფლება განაგებდა ქალაქს, სამხელმწიფოს, თავის დეკრეტებს უკარნახებდა კონვენტს. ეს ახალი წესწყობილების კალატოზები იმდენად მოკრძალებით ეპყრობოდნენ კანონს, რომ მონარქისტებად დაიჩინნენ 1791 წლის და თვით მეფის გაქცევის და უკან დაბრუნების შემდეგაც, მიტომ რომ კონსტიტუციის თავგამოდებული მომხრეები იყვნენ. ისინი დაწესებული რეჟიმის მეგობრები იყვნენ თვით მარსის ველზე მომხდარი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, არასოდეს რევოლუციონერობას არ იჩენდნენ რევოლუციის წინააღმდეგ, დაშორებულნი იყვნენ სახალხო მოძრაობას, მაგრამ თავიანთ ძლიერი და ბნელი სულის სიღრმეში ასაზრდოებდნენ სამშობლოს სიყვარულს, რომელმაც თითხმეტი არმია წარმოშვა და გილიოტინა აღმართა. ევარისტი თავყანს სცემდა მათ სიფხიზეს, იჭვიან სულს, დოგმატიურ აზროვნებას, წესრიგის სიყვარულს, ბრძანებლობის ხელოვნებას, სახელმწიფოებრივ სიბრძნეს.

ზალაში შეკრებილი საზოგადოება დროგამოშვებით ერთსულოვნად ატოვდა, როგორც ეზოში დარჯული თავისუფლების ხის ფოთლები.

ამ დღეს, ვანდემიერს, ტრიბუნაზე აუჩქარებლად ავიდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც უკან გადახრილი შუბლი, გამგმირავი თვალები, წვეტიანი ცხვირი, მახვილი ნიკაბი ნაყვავილენი სახე და ცივი გამომეტყველება ჰქონდა. ის ოდნავ შებუდრული იყო და წელზე მოკერილი, ლურჯი ტანსაცმელი ეცვა; ისეთი თავდაქეოილი, გაზომილი მიხერა-მოხერა ჰქონდა, რომ ზოვიერთი დაცინვით ცეკვის მასწავლებელს ადარებდა, ზოვიერთი კი „საფრანგეთის ორფეოსს“ უწოდებდა. რომესპიერმა მკაფიო ხმით მკერძეტყველი სიტყვა წარმოსთქვა რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ. ბრისსო და მისი თანამოაზრეები საშინელი მეტაფიზიკური საბუთებით გაანადგურა. დიდხანს ილაპარაკა ენაწყლიანად და ჰარმონიულად. ფილოსოფიის ზეციურ სივრცეებში ნავარდობდა და იქიდან შეხს სცემდა შეთქმულ მტრებს, რომელნიც დედაშიწაზე მიცოცავდნენ.

ევარისტმა, ეს ყოველივე მოისმინა და გაიგო. აქამდე ის ბრალს სდებდა ეირონდელებს, რომ ისინი მონარქიის რესტავრაციას ან ორლეანების პარტიის ტრიუმფს ამზადებდნენ და განზრახული ჰქონდათ ეს გამირული ქალაქი გაენადგურებიათ, რომელმაც საფრანგეთი გაანთავისუფლა და ერთს დღეს მსოფლიოსაც გაანთავისუფლებდა. ახლა ბრძენის ლაპარაკი მოისმინა და უურო ამალღებული და უფრო წმინდა ჰემარიტება აღმოაჩინა; შეიგნო რევოლუციური მეტაფიზიკა, რომელიც მის სულს ტლანქ შემთხვევებზე მალა აყენებდა, გარეგანობის შეცდომისაგან იცავდა და აბსოლუტური ჰემარიტების სფეროში გადაჰყავდა. საგნები თავის თავად არეულნი და ბუნდოვანნი არიან; ფაქტების სირთულე ისეთია, რომ ადამიანი დაიბნევა. რომესპიერი მას სინამდვილეს უმარტივებდა და სიკეთესა და ბოროტებას უბრალო და ნათელ ფორმულებში ურდვენდა. აქ ფედერალიზმია, იქ განუყოფელობა; ხსნა ერთობასა და განუყოფელობაში იყო, ფედერალიზმში კი შეჩვენება. გამლენი იმ მორწმუნე





ქართველთა

ვის გულიდან განგების აზრის ამოგლეჯა და ადამიანის დაქვემდებარებაში კნეჭბათა-  
ლევონისადმი, რომელიც მას აქვეითებდა და უღირს მონად ხდიდა; ბოლოს გა-  
მოაშკარავა, რომ მაგალითად ჰელვეციუსის მონარქიულ ეპიკურეიზმს უზნება,  
სისასტიკე და ყოველი დანაშაული მოსდევდა. და მას შემდეგ, რაც ის დიდი  
მოქალაქის გაკვეთილებმა გაანათლა, ათეისტებს თავს არიდებდა. განსაკუთრე-  
ბით როცა ისინი ისეთი გულლიანი და მზიარული იყვნენ, როგორც ბებერი  
ბროტო.

შემდგომი დღეების განმავლობაში ევარისტს ერთი მეორის მიყოლებით  
რავდენივე საქმე უნდა გაერჩია: ერთი ყოფილი კეთილშობილისა, რომელსაც  
ხორბლის განადგურება ბრალდებოდა, სამი ემიგრანტისა, რომელნიც უკან დაბ-  
რუნდნენ სამოქალაქო ომის გასაღვივებლად, ორი როსკიბი ქალისა პალე-რო-  
იალიდან, თოთხმეტი შეთქმული ბრეტონელისა, რომელთ შორის ქალებიც იყვნენ,  
მომხუცებრც, ახალგაზრდებიც, ბატონებიც და მოსამსახურეებიც; დანაშაული დამ-  
ტკიცებული იყო. კანონი გამორკვეული. დამნაშაევების შორის ერთი ოცი წლის  
ქალიც იყო: მის აყვავებულ ახალგაზრდობას მოახლოვებული სიკვდილის ჩრდი-  
ლი ადგა და კიდევ უფრო მომხიბლავს ხდიდა, ქერა თმის ნაწნავი ლურჯი ბან-  
ტით ჰქონდა შეკრული, ბატისტის თავსაკრავი სანახევროდ ამხელდა თეთრსა და  
მოქნილ კისერს.

ევარისტი თავგამოდებით სიკვდილით დასჯას მოითხოვდა და ყველა დამ-  
ნაშაენი, ერთი ბებერი მებალის გამოკლებით, ეშფოტზე გააგზავნეს.

შემდეგ კვირაში ევარისტმა და მისმა სექციამ ორმოცდახუთი მამაკაცი და  
ოცდარვა დედაკაცი მოსცელეს.

რევოლუციური ტრიბუნალის მსაჯულები არ არჩევდნენ მამაკაცებს და  
დედაკაცებს; ამ საკითხში ძველი პრინციპით ხელმძღვანელობდნენ, რომელიც  
სამართლის დასაბამიდან მოდიოდა. პრეზიდენტმა ადგილი დაჰკარგა მიტომ, რომ  
შარლოტა კორდეს სილამაზითა და გამბედაობით მოიხიბლა და მისი ვადარ-  
ჩენა სცადა სამართლის წარმოების შეცვლით. დაკითხვის დროს ქალებს უმე-  
ტეს შემთხვევაში არავითარ უპირატესობას არ აძლევდნენ: ნაფიც მსაჯულებს  
ეწინოდათ მათი თვალთმაქცობისა, ცბიერებისა, მომხიბველობისა. მამაკაცებს  
გამბედაობაში არ ჩამოუვარდებოდნენ და ტრიბუნალს თითქო აიძულებდნენ, რომ  
ისინიც მამაკაცებივით გაესამართლებიათ. მსაჯულების უმრავლესობა ისეთი  
ადამიანებისგან შესდგებოდა, რომელნიც ნაკლებ მგრძობიარენი ან მხოლოდ  
განსაზღვრულ საათებში იყვნენ მგრძობიარენი და ამიტომ არ ღელავდნენ. ისინი  
ამ ქალებს ამართლებდნენ ან ამტკუნებდნენ საკუთარი სინდისისა, გულმოდგი-  
ნეობისა, რესპუბლიკის ნელთბილი და ცხოველი სიყვარულის მიხედვით. ქალები  
სასამართლოში თითქმის ყოველთვის კოხტად თმა და ვარცხნილი მოდიოდნენ  
და ტანისამოსიც იმდენათ მოხდენილად ეცვათ, რავდენადაც შესაძლებელი იყო  
მათს უბედურ მდგომარეობაში. მაგრამ მათ შორის ცოტა იყო ახალგაზრდა, კი-  
დეც ნაკლები იყო ლამაზი. ისინი დამკვიდრნი იყვნენ სატუსაღოსა და ზრუნვის  
წყალობით. ზალის სასტიკი სინათლე ააშკარავებდა მათს დაღლილობას, შიშს,  
დგრძობიარეობას, უსისხლო მოკუმულ ტუჩებს. მაგრამ საბედისწერო სა-



ერეკნული

ვარძელში არა ერთხელ ჩანჯდარა ახალგაზრდა, ფერმკრთალი მშვენიერი ქალი, რომლის თვალებს სიკვდილის ჩრდილი ადგებოდა და თითქო ვნების ნისლით ჰფარავდა. ვინ იცის რაედენი ნათიცი მსაჯულის გული აწუხებულა და გაღიზიანებული ასეთი ქალის დანახვაზე? ვინ იცის რაედენ მათგანს თავის უკუღმართი სულის სიღრმეში ამ მშვენიერი არსების ფარული საიდუმლოებანი წარმოუდგენია, მისი ცოცხალი და მკვდარი სხეული გაუტიტვლებია, ვნებიანი და სისხლიანი სახეები შეუქმნია და სასტიკი სიამოვნება უბოვნია იმაში, რომ ჯალათს ასეთი სანდომიანი სხეული გადაეცემოდა. შეიძლება აქ დადუმება სჯობდეს: მაგრამ ამის უარყოფა არავის შეუძლია, ვინც ადამიანს იცნობს. ევარისტ გამლენი, ეს ციფი და მკოდნე მხატვარი, მხოლოდ ანტიურ მშვენიერებას სცნობდა, მშვენიერება კი მასში უფრო მოწიწებას იწვევდა ვიდრე მღელვარებას. მისი კლასიკური გემოვნება იმდენად შეურთგებელი იყო, რომ ქალი იშვიათად მოსწონდა: მას ეკვლუცი სახე ისევე ნაკლებ ხიბლავდა, როგორც ფრაგონარის ფერები და ბუშეს ფორმები. სქესობრივ ეინს მხოლოდ ღრმა სიყვარულში გრძნობდა.

როგორც მისი ამხანაგების უმრავლესობა ტრიბუნალში, ის ქალებს უფრო საშიშრად სთვლიდა, ვიდრე მამაკაცებს. მას სძავდა ყოფილი პრინცესები, რომელნიც თავის ფანტაზიაში ისე წარმოედგინა, თითქო ისინი ელისაბედსა და ავსტრიელის ქალთან ერთად ტყვიებს ასხამდნენ პატრიოტების გასაგლეჯად; მას თვით ფილოსოფოსების, ფინანსისტების და ლიტერატორების მშვენიერი მეგობრებიც ეზიზღებოდა, რომელნიც იმაში იყვნენ დამნაშავენი, რომ ზორციელ და სულიერ სიამოვნებას განიცდიდნენ რევოლუციის წინა დროში, როცა ასე ტკბილი იყო ცხოვრება. მას ისინი სძავდა უანგარიშოდ და როცა ვინმე მათგანი უნდა გაესამართლებინა, შურისძიების გრძნობით ზელმძღვანელობდა და ეგონა რომ სამართლიანად სჯიდა საზოგადო კეთილდღეობის სახელით. და მისი პატიოსნება, ვაეკაცური უბიწოება, ციფი კეთილგონიერება, სახელმწიფოს ერთგულება და სათნოება მუ მზიბლავ ქალების თავებს გილიოტინის ცულს უწვდიდა.

მაგრამ ეს რა მოხდა? რას ნიშნავდა ეს უცნაური სასწაული? სულ ცოტა ხნის წინათ დამნაშავეებს ძებნა სჭირდებოდა, ძალიან ძნელიც იყო მათი აღმოჩენა, მათი გამოტყება. ახლა საჭირო აღარ იყო მეძებრებით ნადირობა, დამფრთხალი ნადირის დევნა: მსხვერპლი თვით მოდის ყოველი მხრიდან. კეთილშობილები, ტალწულები, ჯარისკაცები, როსკიბი ქალები ტრიბუნალში იჭრებიან ყოველი მხრიდან, მოსამართლეებს აჩქარებენ, სიკვდილს მოითხოვენ, როგორც უფლებას, რომელიც თითქო რაც შეიძლება ჩქარა უნდათ გამოიყენონ. თითქო საკმაო არ არის ის უამრავი რიცხვი ზრალდებულებისა, რომელთაც სატუსალოში გულწოდგინე დამმეზღებლები ჰყრიან. ხოლო საზოგადოებრივი პროკურორი და მისი თანაშემწეები ტრიბუნალის წინაშე ატარებენ: საჭიროა იმათი სიკვდილით დასჯის შესახებ ზრუნვა, ვინც აღარ იცდის. და რაედენია კიდევ სხვები, კიდევ უფრო აჩქარებულნი და კიდევ უფრო ამყანი, რომელნიც თავს იკლავენ, თითქო შურდით, რომ მკვლელობის საქმეს მსაჯულები და ჯალათები ასრულებენ! მკვლელობის გამძაფრებულ წყურვილს პასუხს აძლევს სიკვდილის გამძაფრე-





ერეკნული

ბული წყურვილი. აი კონსიერების ახალგაზრდა, ღამაში, მალეობით სვესე სამხედრო პირი იყო: სატუსალოში სათაყვესნებელი საყვარელი ქალი დასტოვა, რომელმაც მას უთხრა: „იცოცხლე ჩემი გულისთვის“; მას ცხოვრება არ უნდა არც მისთვის, არც სიყვარულისთვის, არც დიდებისთვის, თავის ჩიბუხს ცეცხლი საბრალმდებლო ოქმით შოუკიდა. თუმცა რესპუბლიკელი იყო და თავისუფლებას მთელი სხეულით ისუნთქავდა, მაგრამ როიალისტი გახდა, რათა მომკვდარიყო. ტრიბუნალი სცდილობს მის გამართლებას; ბრალდებული უფრო ძლიერი აღმოჩნდა; მოსამართლეები და ნაფიცები იძულებულნი არიან დასთმონ.

ევარისტი ბუნებით მაძიებელი და კეთილ-სინდისიერი იყო და მისი სული იაკობინელების გაკვეთილებმა და ცხოვრების მოვლენებმა გვეით ააესეს და შეაშფოთეს. საღამოობით, როცა ცუდათ განათებულ ქუჩით ელოდისთან მიდიოდა, ყოველ სარდაფში თითქოს ყალბი ქალაღის ფულის დახვებს ჰხედავდა; მეპურის ან მეხილის ცალიერ დუქნის სიღრმეში თითქო გადაშალულ სანოვავის საწყობებს აჩნევდა; რესტორნების ბრჭყვიალა სარკეებიდან იმ სპექტულიანტების ღაპარაკი ესმოდა, რომელნიც ბონის და შაბლის ლენის ბოთლებს სცილიდნენ და ქვეყნის დამხობას ამზადებდნენ: ჭუჭყიან ვიწრო ქუჩებში როსკიბ ქალებს უცქეროდა, რომელნიც ეროვნულ კოყარდას ფეხით სთელავდნენ და მდიდრულად გამოწყობილ ემაწვილებს ტაშს იწვევდნენ. ყოველგან შეთქმულები და მოლაღატეები ეჩვენებოდა. და ის უიქრობდა: „რესპუბლიკაჲ! აძლენი ფარული და ამჟარა მტრის წინააღმდეგ მხოლოდ ერთი რამ გიშველის: წმინდაო ვილიოტინავ, იხსენი სამშობლო!..“

ელოდი მას უცდიდა თავის პატარა ცისფერ ოთახში, „მხატვარი ამურის“ ზემოთ. ქალი ფანჯრის რაფაზე მიზაკის ქოთანის გვერდით პატარა მწვენი სარწყველს სდგამდა, როცა უნდოდა ენიშნებია, რომ შესვლა შეიძლებოდა. ახლა ქალს ის აძრწუნებდა, საშინელებად ეჩვენებოდა: მას მისი ეშინოდა და ღმერთად მიიჩნდა. მთელი ღამის განმავლობაში სისხლმოწყურებული ვაჟი და ვნებიანი ქალი თავდავიწყებულნი ერთმანეთს ეხუტებოდნენ და უსიტყვოდ გაშმაგებულად ჰკოცნიდნენ.

#### XIV

მამა ლონგეშარი გათენებამდე ადგა, ოთახი დაგავა და წირვის მოსასმენად წავიდა „ჯოჯოხეთის ქუჩაზე“ პატარა სამლოცველოში, სადაც ერთი წუთიცაი სასულიერო პირი ასრულებდა მღვდელმსახურებას. პარიზში ათისობით იყო ასეთი დაფარული ადგილები, სადაც სამღვდელოება ფარულად მორწმუნეების პატარა ჯგუფებს უყრიდა თავს. სექციების პოლიცია თუმცა ფიზიკური და იკვიანი იყო, თვალდახუჭული უცქეროდა ასეთ ფარულ საეანეებს, რადგან ერთი მხრით სამწყსოს გაღიზიანება არ უნდოდა, ხოლო მეორე მხრით ნიკრძალებს ნაშთი ნებას არ აძლევდა სარწმუნოებრივ საგნებს უდიერად მოპყრობოდა. ბარნაბელი ბერი გამოეთხოვა თავის მასპინძელს, რომელმაც ძლიეს დააჯგრა, რომ სადილათ უკან დაბრუნებულიყო: შეჰპირდა, რომ კერძი არც მეტისმეტად უხვი იქნებოდა, არც მეტისმეტად არჩული.

ერეკნული  
გეგლიქმეცქა

როცა ბროტომ მართო დარჩა, პატარა ქურა აანთო; შემდეგ შეუდგა სასულიერო პირისა და ეპიკურეელის სადილის მზადებას; თან ლუკრეციის წიგნს ჰკითხულობდა და ადამიანთა არსებობის პირობაზე ფიქრობდა.

ამ ბრძენს სრულიადაც არ აკვირვებდა, რომ ბეჩავი არსებანი, ბუნების ძალების საბრალო ტიკინები ხშირად უაზრო და შეკირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ; მაგრამ ის სისუსტეს იჩენდა იმ მხრივ, რომ ვგონა თითქო რევილიუციონერები უფრო ბოროტნი და უგნურნი იყვნენ, ვიდრე სხვა ადამიანები, რაიცა რასაკვირველია იდეოლოგიის გავლენით აიხსნებოდა, საერთოდ კი პესიმისტი არ იყო და არ ფიქრობდა, რომ ცხოვრება ყოველმხრივ ცუდია. ალტაყებაში მოჰყავდა ბუნების მრავალ გამოხატულებას, განსაკუთრებით ზეციურ მემქნიებასა და ფიზიკურ სიყვარულს და ყოველდღიურ ცხოვრებას ურიგდებოდა იმ დღის მოლოდინში, როცა ზეშა და სურვილებს საბოლოოდ გამოეთხოვებოდა.

რავდენიმე ქალაღის ტიკინა შეაფერადა დიდის კურადლებით და შერლინა გააკეთა, რომელიც ტევენენის ქალს ჰგავდა. ეს ქალი ძალიან მოსწონდა: როგორც ეპიკურიელი ქებას უძღვნიდა მისი შემადგენელი ატომების შეკავშირებას.

ამ საქმეებში იყო ჯართული ბარნაბელი ბერის დაბრუნებამდე.

— მამაო, უთხრა ბროტომ კარის გაღებისთანავე, მე ვითხარით, რომ ჩვენი კერძი მეტად ღარიბული იქნება. მართლაც არაფერი გვაქვს გარდა წაბლისა. კიდევ კარგი თუ ხეირიანად არის შემზადებული.

— წაბლი! წამოიძახა მამა ლონგემარმა ღიმილით, ამაზე უფრო რჩეული კერძი რაღა იქნება. მამა ჩემი, ბატონო, ღიმილით ახანური იყო, მთელი ძისი ქონება დანგრეული სამტრედესა, გაველურებული ბაღისა და წაბლის ხის პატარა ქალისაგან შესდგებოდა. ცოლსა და თორმეტ ბავშვს უმი წაბლით ჰკვებავდა, მაგრამ ყველანი ჯანსაღნი და ღონიერნი ვიყავით. მე ყველაზე პატარა და ყველაზე მოუსვენარი ვიყავი: მამა ხშირად ზუმრობით ამბობდა, რომ კარგი იქნებოდა ჩემი ამერიკაში გავხაენა სამეკობროდ... ეჰ, ბატონო, რა სურნელოვანია ეს წაბლის წვენი! მაგონდება სუფრა შემორტყნული ბავშვების თაიგულით, რომელსაც დედა ჩემი უღიმის.

სადილის გათავების შემდეგ ბროტომ ეოლისთან წაედა, სათამაშოების ვაპართან ნეც დე პტი შანის ქუჩაზე, რომელმაც კაიუს ნიერ უარყოფილი ქალაღის ჯამბაზეები მიიღო და თორმეტი ათეული კი არ დაუკვეთა ამ უკანასკნელივით, არამედ ოცდაათი ათეული.

როცა ბროტომ ყოფილ სამეფო ქუჩის მიაღწია, რევოლუციის მოედანზე ბრკევიალა ფოლაღის სამკუთხედი დაინახა ორ ხის ბოძს შუა. ეს ვილიოტინა იყო. უზარმაზარი, მზიარული ბრბო ეშაფოტს ერტყა გარშემო და სავსე საბარგო ეტლის მოსელას ელოდა. დედაკაცებს ტაბაკები ეციდათ და ნანტერის ნამცხვარს ჰყიდიდნენ. სასმელების გამყიდველები ზარებს აწკრილებდნენ; თავისუფლების ძეგლის მახლობლად ვიღაც ბებერი კაცი მსურველებს პანორამებს აჩვენებდა პაწია თეატრში, რომელსაც ზემოთ საქანელა ჰქონდა, სადაც მაიმუნნი



ეროვნული

ბიბლიოთეკა

ქანაობდა. ეშაფოტის ქვეშ ძაღლები გუშინდელ სისხლს ლოკავდნენ. ბროტკომ ჰონორეს ქუჩისკენ შეუხვია.

ქერში ასვლისთანავე ბროტკომ გულმოღვინეთ გასწვინდა სუფრა და ზედ ფერადების ყუთი, ხელსაწყო და მასალები დააღაგა. ბარნაბელი კუროხეცანს კითხულობდა.

— მაშაო, სოქვა მან, თუ ეს საქმე თქვენი წმინდა თანამღებობისთვის შეუფერებლად არ მივაჩნიათ, დამეხმარეთ ტიკინების გაკეთებაში. უფალმა ეოლიმ ამ დილით საკმაოდ დიდი რაოდენობა დამიკვეთა. დიდ სამსახურს გამოიწვეთ, თუ იმდროს, როცა მე გამოპირილ ფიგურებს ვაფერადებ, თქვენ თავებსა, ხელებსა, ფეხებსა და ტანებს გამომიპირით ამ თარგებზე. ამითზე უკეთეს ვერსად იპოვით: ვატროსა და ბუშეს მიხედვით არის გაკეთებული.

— მართლაც, ჩემის აზრით, სოქვა ღონგემარმა, ვატრო და ბუშე, როგორც ოსტატები, მხოლოდ ასეთ აბდაუბდას თუ შექმნიდნენ: მათი სახელისთვის უკეთესიც იქნებოდა, ამ უმანკო ტიკინებს რომ არ გასცილებოდნენ. ჩემთვის ბედნიერება იქნება, თუ რაიმე დახმარებას გაგიწევთ, მაგრამ ვშიშობ, რომ მოხერხება მაკლია ამისათვის.

მაშა ღონგემარი მართალი იყო, რომ ასე უნდობლად ეპყრობოდა თავის თავს: რავდენიმე უბედური ცდის შემდეგ გამოირკვა, რომ მის გენიას არ შეეფერებოდა ჯიბის დანით მომზიბლავი კონტურების გამოჭრა თხელ კარტონში. მაგრამ როცა ბროტკომ მახათი და ძაფი მისცა, მან შესძლო მოპრაობის გადაცემა ამ პაწია არსებებისათვის და მათი აცეკვება. შემდეგ იმდენი თავაზიანობა გამოიჩინა, რომ თვითეულ მათგანს გაფორტის რავდენიმე პაც შეასრულებინა და როცა მეცადინეობა წარმატებულად მიდიოდა, დიმილი გამოკრთოდა მის მკაცრ ტუჩებზე და აი როცა ძაფით სკარამუშს ეწყოდა, მან სოქვა:

— ბატონო, ეს პატარა ნილაბი ერთ უცნაურ ამბავს მაგონებს. ეს იყო 1746 წელს: მე მორჩილობას ვათავებდი მაშა მაგიტოს ხელმძღვანელობით; ის ხნიერი კაცი იყო, ღრმად მცოდნე და უმწიკვლოდ პატიოსანი. შეიძლება თქვენ გახსოვდეს, რომ იმ დროს ქალაღის ჯამბაზები, რომელთა დანიშნულება ბავშვების გართობაა, ქალებსა და თვით ახალგაზრდა თუ ხნიერ მამაკაცებზე არაჩვეულებრივ ვაეღენას ახდენდა: პარიზი პირდაპირ გიყვებოდა. მოღის მალაზიები საუნე იყო ასეთი ტიკინებით; მათ შეხედებოდილთ მიღალი საზოგადოების ოჯახებში და ხშირათ ქუჩაში სერიოზულ პიროვნებას დაინახავდი, რომელიც ქალაღის ჯამბაზს აცეკვებდა. ჰასაკმა, ხასიათმა და პროუესიამ მაშა მაგიტო ვერ დაიცივს ამ გადაძღები სენისაგან. ის ხედავდა, რომ ყველანი ასეთ კარტონის პაწია აღამიანებს ახტუნებდნენ და მისი თითები ისეთმა მოუსვენრობამ მოიცივა, რომ მღგომარეობა პირდაპირ აუტანელი გახდა. ერთ დღეს რაღაც მნიშვნელოვანი საქმის გამო ის სადარბაზოდ იყო პარლამენტის აღვოკატთან, ბატონ შოველთან: ბუხარზე ჩამოკიდებული ქალაღის ჯამბაზი დაენახა და საშინელ გასანცდელში ჩაეარდნილიყო: ძაფის მოწვევა მოენდომებინა. დიდის გაჭირვებით შეეკავებინა თავი. მაგრამ ეს ბავშური სურვილი აღარ ასვენებდა: ის მას სღვენიდა მეცადინეობისა,

დადიქრებისა, ლოცვის დროს, ეკლესიაში, საკურთხეველში, კითხვისას. კიდე-  
ნიმე დღის შფოთვისა და ტანჯვის შემდეგ, მან ეს არაჩვეულებრივი შემთხვევა ორ-  
დენის გენერალს უამბო, რომელიც იმ დღეებში პარიზში იმყოფებოდა. ის გამო-  
ჩენილი მეცნიერი და მილანის ეკლესიის ერთი თავადთავანი იყო. მან მამა  
მაგიტოს უჩია დაემაყოფილებინა თავისი არსებითად უშანკო სურვილი, რომ  
მელსაც წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი არვე-დარების შეტანა შეეძლო მის  
სულში. ორდენის გენერლის რჩევის ან უკეთ ვსთქვათ განკარგულების თანახმად  
მამა მაგიტო ხელშეობრედ ესტუმრა ბატონ შოკელს, რომელმაც ის იმავე კაბი-  
ნეტში მიიღო. დაინახა, რომ ქალაღლის ჯამბაზი იმავე ბუხარზე ეკიდა, ჩუარი  
ნაბიჯით შიუახლოვდა და მასპინძელს სთხოვა ნება დაერთო, რომ ძაფი დაე-  
წია, ადვოკატმა სიამოვნებით დართო ნება და ამასთანავე კიდეც გაუმზილა,  
რომ ხანდახან თვითონ აცეკვებდა ამ სკარამუშს (ეს სახელი ერქვა ქალაღლის  
ჯამბაზს), როცა თავის სიტყვებს ამხადებდა და გუშინაც ასე მოამხადა სიტ-  
ყვა ერთი ქალის დასაცავად, რომელსაც უსაფუძვლოდ ბრალს სდებდნენ, თით-  
ქო თავისი ქმარი მოეწამლოს. მამა მაგიტო ცახცახით მივიარდა ძაფს და სკა-  
რამუშში ამოძრავდა, როგორც ეშმაკეული, რომელსაც არაწმინდა სულისაგან  
ჰკურნავენ. ამ რიგათ თავისი ქინი დაიკმაყოფილა და კიდეც განთავისუფლდა  
ჯაღოსავან.

— თქვენი მოთხრობა სრულიადაც არ მაკვირებს, მამაო, სიტქვა ბროტ-  
ტომ. ასეთი მოჯადოება ხშირია. მაგრამ ამას ყოველთვის კარტონის ფიგურები  
როლი იწვევს.

თუმცა მამა ლონგემარი სასულიერო პირი იყო, რელიგიის შესახებ არა-  
სოდეს არ ლაპარაკობდა; ბროტტო პირიქით მუდამ ამაზე ლაპარაკობდა. და რად-  
გან ბარნაბელი ბერის მიმართ სიმპატიას გრძნობდა, უყვარდა მისი შემუფთოება  
და გაღიზიანება ქრისტიანული მოძღვრების ამა თუ იმ მუხლის მხილების შემ-  
წეობით.

ერთხელ როცა ერთად ზერლინებსა და სკარამუშებს აკეთებდნენ, ბროტ-  
ტომ სიტქვა:

— როცა იმ მოკლენებს ვიხილავ, რომელთაც ამ მდგომარეობაში ჩავეკე-  
დეს, ძალიან მიძნელდება გადავსწყვიტო, თუ რომელი პარტია იყო ყველაზე  
უფრო გიყი საყოველთაო სიგიჟეში და ბოლოს თითქმის იმ აზრს ვადგები, რომ  
ეს სასახლის პარტია იყო.

— ბატონო, უბასუხა სასულიერო პირმა, ყოველი იდამიანი უკუნური ხდება  
ნაბუქოდონოსორივით, როცა მას ღმერთი დასტოვებს; მაგრამ ჩვენს დროში არა-  
ვინ არ ჩადირულა ისე ღრმად უმეცრებისა და ცდომილების მორევეში, როგორც  
ბატონი აბბატი ფოშე, არავის არ შეუსრულებია ისეთი საბედისწერო როლი  
სამეფოში, როგორც ამ კაცს. აღბად ღმერთი დიდათ გამწყალი იყო საფრან-  
გეთზე, რომ მას აბბატი ფოშე მოუფლინა!

— მე მგონია, რომ უფრო დიდი ბოროტ-მომქმედნიც გვინახავს, ვიდრე  
ეს საბრალო ფოშე.

— ბატონმა აბბატმა გრეგუარმაც ბევრი ბოროტება ჩაიდინა.



— რაღას იტყვი, მამაო, ბრისოსა, დანტონისა, მარტინისა და სხვების შესახებ?

— ბატონო, ესენი ერის კაცებია: იმათ ისეთი პასუხისმგებლობა არ აწევთ, როგორც სასულიერო პირებს. ისინი ბოროტებას ისეთ მალად აღდილას არ სჩადიან, მათ დანაშაულს მსოფლიო ხასიათი არა აქვს.

— რაღას იტყვი თქვენი ღმერთის ყოფაქცევის შესახებ ამ რევოლუციისაში?

— თქვენი კითხვა არ მესმის, ბატონო.

— ეპიკურმა სთქვა: ან ღმერთს ბოროტების შეჩერება სურს და არ ძალუძს, ან ძალუძს და არ სურს, ან არც სურს და არც ძალუძს, ან ბოლოს კიდევ სურს და კიდევ ძალუძს. თუ სურს, მაგრამ არ ძალუძს, ის უძლური ყოფილია; თუ ძალუძს, მაგრამ არ სურს, გარყენილი ყოფილია; თუ არც ძალუძს და არც სურს, უძლურიც ყოფილია და გარყენილიც; ხოლო თუ კიდევ სურს და კიდევ ძალუძს, რატომ არაფერს შერბება, მამაო?

ბროტომ მოსაუბრეს კმაყოფილი თვალთ შეხედა.

— ბატონო, უპასუხა ბერმა, არაფერია იმ დაბრკოლებაზე უფრო ბეჩაევი და ადვილი გადასალახაევი, რომელსაც თქვენ მიყენებთ. როცა ურწმუნოების საბუთებს ვიხილავ, მგონია, რომ ჯინქველებს ვუცქერი, რომელნიც ბალახის შემწვობით წითლად მოვარდნილ ნიაღვარს უპირებენ შეჩერებას, ნება მიბოძეთ, რომ არ განოჯეკამათოთ: თუმცა ბევრი საბუთი მაქვს, მაგრამ გონებასაბეზილობას მოკლებული ვარ. გარდა ამისა თქვენი ცდომილების განკიცხვას აბბატ გენეს და მრავალ სხვა ავტორების ნაწერებში იპოვი. მოგახსენებთ მხოლოდ, რომ ეპიკურიდან მიტანილი ციტატა სისულელეა: მიტომ რომ იქ ღმერთი ისეა დასახული, თითქო აღამიანი იყოს და ზნეობა ჰქონდეს. მოგვხსენებთ, ბატონო, რომ ურწმუნო აღამიანები ცელსიდან დაწვებული ბეილსა და ეოლტერამდე სულელებს ატულებდნენ ამგვარი პარადოქსებით.

— ხომ ზედავთ, მამაო, უპასუხა ბროტომ, სად მივიყვანა თქვენმა სარწმუნოებამ. კმაყოფილი ხართ იმით, რომ მთელს ქეშმარიტებას თეოლოგიაში ზედავთ, თქვენ არაფერი გინდათ დაინახოთ იმ მალალი გენიოსების ნაწერებში, რომელნიც სხვანაირად აზროვნობდნენ, ვიდრე თქვენ.

— დიდს შეცდომას სჩადიხართ, ბატონო, მიუგო ლონგემარმა. მე პირიქით ვფიქრობ, რომ აღამიანის აზროვნებაში არაფერია სრულიად შემცდარი. შემეცნების კიბეზე ათეისტებს უმდაბლესი საფეხური უკირავთ; მაგრამ თვით ამ საფეხურზეც კი მოიპოვება გონებისა და ქეშმარიტების გამონაკართომი და თვით მაშინაც კი როცა აღამიანი წყვედიადით არის მოკული, მისი შუბლი, რომელშიც ღმერთმა გონება ჩასდო, ზევით არის ამართული: ასეთია ლუციფერის ბედი.

— ძალიან კარგი, ბატონო, სთქვა ბროტომ, მაგრამ მე თქვენსავით სულგატელი არ ვარ და უნდა გამოვიტყდეთ, რომ თეოლოგების ნაწერებში ვერც ერთ ატომ საღ გონიერებას ვერ ვხედავ.

მაგრამ ბროტო ამტკიცებდა, რომ არ უნდოდა რელიგიის შერყევა, რადგან ხალხისთვის აუცილებლად მიაჩნდა: მას მხოლოდ უნდოდა, რომ რელიგიის მსახურები ფილოსოფოსები ყოფილიყვნენ და არა კაზისტები. სწუხდა,



ერეკნული

რომ იაკობინელები უფრო ახალგაზრდა და მავნებელ რეჟისორებს მსმენებლებს, თავისუფლების, თანასწორობის, რესპუბლიკის, სამშობლოს რელიგიას, შენჩნეული ჰქონდა, რომ რელიგიები ახალგაზრდობის ჰასაკში არიან შმაგნი და უღმობელნი, შემდეგ კი თვინიერნი ხდებიან, როცა ბერდებიან. ამიტომ ერეკია, რომ ხალხს კათოლიციზმი შენარჩუნებია: ამ სარწმუნოებამ ბევრი მსხვერპლი შეიწირა ჯანსაღი ახალგაზრდობის ჰასაკში, ახლა კი მოდრეკილი იყო წლების სიმძიმით, დიდი მადა ილარ ჰქონდა და ოთხ თუ ხუთ შემწეარ მწეალებელს სჯერდებოდა ყოველი ასი წლის განმავლობაში.

— ასეა თუ ისე, სთქვა ბროტომ, მე ყოველთვის კარგად ვეგუებოდი თეოთაგებსა და ქრისტეს მსახურებს. დეზილექტში ერთი მოძღვარი მყავდა: ყოველ კვირა დღეს სწირავდა; ჩემი სტუმრები ყველანი ესწრებოდნენ ამ წირვას; ფილოსოფოსები ჩაფიქრებულები იყვნენ, ოპერის მსახიობი ქალები გულმოდგინენი. მაშინ ბედნიერი ვიყავი და ბევრი მეგობარი მყავდა.

— მეგობრები გყავდათ! წამოიძახა მამა ლონგემარმა, მეგობრები!.. ეჰ, ბატონო, განა თქვენ გჯერათ რომ მართლაც უყვარდით ამ ფილოსოფოსებსა და უხნეო ქალებს, რომელთაც თქვენი სული იმდენად დაამდაბლეს, რომ თვით ღმერთსაც გაუჭირდება თავის სასახელოდ ამართული ტაძრის ცნობა?

მამა ლონგემარმა მთელი კვირა გაატარა მეზვერესთან ისე, რომ ის არავის შეუწუხებია. რამდენათაც შეეძლო სამონასტრო ძმობის წესებს ძისდევდა და გამოლევითებისთანავე ლოცვებს კითხულობდა მუხლმოდრეკილი. თუმცა საკმელი ისედაც ცოტა ჰქონდათ, მაინც მარხულობდა და ზომიერებას იცავდა. ფილოსოფოსმა ბროტომ, რომელიც მას გულისტკივილით და ღამილით ადევნებდა თვალყურს, ერთხელ ჰკითხა:

— ნუ თუ თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ ღმერთს ესიამოვნება, როცა გხედავთ, როგორ იტანთ სიცივესა და შიმშილს?

— თვით ღმერთმა მოგვცა ტანჯვის მაგალითი, უპასუხა ბერმა.

მეცხრე დღეს ბროტო დღე და ღამის გაყრისას სათამაშოების განყიდველთან გაემგზავრა თავისი ტიკინებიტურთ. ყველა გაყიდა და უკან კმაყოფილ ბრუნდებოდა: ყოფილ კარუსელის მოედანზე უკებ ატლასის წამოსასხამიანი და ყარყუმის საყელოიანი ქალიშვილი გადაეხვია. ის კოკლობდა, სახეზე მუდარა ეხატებოდა.

ქალი თრთოდა; მისი გულის ძვერა ნათლად ისმოდა. ბროტო, როგორც თეატრის მოკვარული აღტაცებული იყო მიხი პათეტიური ქცევით ვულგარულ პირობებში და იფიქრა, რომ ბევრ მსახიობ ქალს გამოადგებოდა მისი დანახვა.

ქალი ხმაწასული იყო, ცდილობდა დაბალი ტონით ელაპარაკა; ეშინოდა გამეღეღებს არ ვაეგონა.

— წამიყვანეთ სადმე, მოქალაქე, გადამშალეთ, ღვთის გულისთვის!... ისინი ჩემს ოთახში არიან, ფრომანტოს ქუჩაზე. სანამ ჩემთან ამოვიდოდნენ, მეზობელთან დავიპალე, ფლორასთან, შემდეგ თანჯრიდან გადმოვხტი და ფეხი ვიღრძე... ისინი მოდიან; ჩემი დატუსაღება და მოკვლა უნდათ... უკანასკნელ კვირაში ვირკინია მოჰკლეს.



ერეკლე

ბროტტო მიხვდა, რომ ქალი ან სექციის რევოლუციუზმის გამოტყვევების მიზნით ნებულზე ლაპარაკობდა ან საყოველთაო მზრუნველობის კომიტეტის კომისრებზე. კომუნის ამ დროს ერთი სათნოებით აღსავსე ბრალმდებელი ჰყავდა, მოქალაქე შომეტტი, რომელიც როსკომ ქალებს სდევნიდა, როგორც რესპუბლიკის უსაშინელეს მტრებს. მას ზნეობის აღორძინება უნდოდა. მართლაც პალე ვგალიტეს ქალები მაინცა და მაინც პატრიოტები არ იყვნენ. გულში ძველი წესწყობილების მოსაზრების ნაწილდნენ და ხშირად ამას აშკარადაც ამბობდნენ. მრავალი მათგანი გილიოტინამ იმსხვერპლა, როგორც შეთქმულები, მათი ტრაგიკული ბედი წაბაძვის სურვილს აღვივებდა დანარჩენებში.

მოქალაქე ბროტტომ ქალს ჰკითხა, რამ გამოიწვია მისი დატუსაღების ბრძანება. ქალმა დაიფიცა, რომ არაფერი იცოდა, რომ საეჭვო არაფერი ჩაუდენია.

— ძალიან კარგი, უპასუხა ბროტტომ, ამ შენთხვევაში არც უნდა გეწინოდეს. რალას მაწუხებ, წადი და წინ დაიძინე.

მაშინ ქალი გამოტყდა:

— მე კოკარდა მოვიგლიჯე და დავიყვირე: „გაუმარჯოს მეფეს!“

ბროტტო ქალთან ერთად დაცალიერებული სანაპირო ქუჩით გზას გაუდგა შინისკენ. ქალი ეტმასნებოდა და ეუბნებოდა:

— ეს იმიტომ კი არ ჩავიძინე, რომ მეფე მიყვარს; წარმოიდგინეთ არასოდეს არ მინახავს, შეიძლება ისიც ისეთივე ადამიანი იყო, როგორც სხვები. მაგრამ ესენი ბოროტები არიან. სასტიკად ეპყრობიან საბრალო ქალებს. მაწუხებენ, მდევნიან, მლანძღავენ; მიშლიან, რომ ჩემს ხელობას მიყვანიო, მე კი სხვა ხელობა არ მაქვს. დარწმუნებული იყავით, სხვა რამე რომ მცოდნოდა, ამ საქმეს არ მოვეციდებოდი... არ ვიცი რა უნდათ? გამოროტებით ებრძვიან პატარებს, სუსტებს, მერძეებს, მენახშირებს, წყლის მზიდველს, მრეცხავს. არ მოისვენებენ, სანამ მთელ საწყალ ხალხს არ აიშხედრებენ.

ბროტტომ ქალს გადახედა: ბავშვის გამომეტყველება ჰქონდა. ეტყობოდა. აღარ ეწინოდა. თითქმის იცინოდა კიდევ, მსუბუქად მიამბიჯებდა კოკლობით. შემდეგ სახელი ჰკითხა. ქალმა უპასუხა, რომ ათენაისი ერტვა და თქვესმეტი წლისა იყო.

ბროტტომ წინადადება მისცა, რომ წაიყვანდა, სადაც უნდოდა. ქალი არაფერს იცნობდა. პარიზში; მაგრამ ერთი ძალუა ჰყავდა, მოსამსახურე ქალი პალეზოში, რომელიც მას დააბინაებდა. ბროტტო ჩაფიქრდა და უთხრა:

— ჩემთან წამოდი, შვილო. და ქერში აიყვანა ხელგაყრილი.

მაშა ლონგემარი კურთხევანს კითხულობდა.

ბროტტომ ათენაისი წარუდგინა და უთხრა:

— მაშაო, აი ქალიშვილი ფრომანტოს ქუჩიდან, რომელმაც დაიძახა: „გაუმარჯოს მეფეს!“ რევოლუციური პოლიცია შეგ და შეგ მოსდევს. ბინა არა აქვს. ნებას მომცემთ, რომ აქ ღამე გავათევინო?

მაშა ლონგემარმა დაკეცა თავისი კურთხევანი:

— თუ თქვენი ნათქვამი სწორათ გავიგე, ბატონო, სთქვა მან, თქვენ მკით-





ხავთ შეუძლია თუ არა ამ ქალიშვილს, რომელსაც ჩემსავე წესდების მანდატი ემუქრება თავისი ამ ქვეყნიური არსებობის შესანარჩუნებლად ლამე გაათიოს ამავე ოთახში, სადაც მე ვარ?

— დიახ, მამაო.

— რა უფლება მაქვს ამისი წინააღმდეგი ვიყო? განა მასზე უკეთესი ვარ, რომ მისმა სიახლოვემ შეურაცმყოს?

ბერი ძველ დანჯღრეულ სავარძელში მოთავსდა; ამტკიცებდა, რომ ასე უკეთესად დამეძინებო. ათენაისი მატრაცხე დაწვა. ბროტტომ თივის ლეიბი გაიშალა და სანთელი ჩააქრო.

ყოველი საათისა და ნახევარი საათის შემდეგ ეკლესიის ზარები რეკდნენ; ბროტტოს არ ეძინა და ბერისა და ქალის სუნთქვას უგდებდა ყურს. ამოვიდა მთვარე, მისი მრავალი წარსული სიყვარულის მოწმე და ხატება, მანსარდაში ვერცხლის ფერი შტეი შენოგზავნა და ათენაისის ქერა თმა, ოქროსფერი წარბები, თხელი ცხვირი და მრგვალი, ვარდისფერი პირი გაანათა. ქალს ხელები მოკუმული ჰქონდა.

„აი, რესპუბლიკის საშინელი მტერი!“ გაიფიქრა მან.

როცა ათენაისმა გაიღვიძა, უკვე კარგა ხნის გაათენებული იყო. ბერი წასულიყო. ბროტტო სარკმელთან იჯდა, ლუკრეციის ჰკითხულობდა და ლათინური მუზის გაკვეთილებს ითვისებდა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა თვინიერ შიშისა და სურვილისა; ამის და მიუხედავად მას სინანულისა და მოუსვენრობის გრძნობა ღრუნდა.

ათენაისი გაოცდა, როცა თვალების გახელისთანავე ქერის თავებები დაინახა. შემდეგ ყოველივე გაახსენდა, თავის მხსნელს გაუღიმა და მოსაალერსებლად პაწია ლამაზი ქუჩკიანი ხელები გაუწოდა.

ლოგინში წამოჯდა და დაფლეთილ სავარძელს მიუთითა.

— ის წავიდა?... მითხარით, ჩემს დასასმენად ხომ არ წასულან?

— არა, ჩემო კარგო. ძნელია უფრო პატიოსანი კაცის პოვნა, ვიდრე ეს გიყი მოხუცებულია.

ათენაისმა იკითხა, რაში მდგომარეობდა ამ კაცის სიგიჟე; როცა ბროტტომ აუხსნა, რომ ეს სიგიჟე, სარწმუნოება იყო, ქალმა თავი გაიქნია და დიდთ უსაკედედრა: განაცხადა, რომ ურწმუნო ადამიანები მხეცებზე უარესი არიან, რომ თვითონ ის ხშირად ლოცულობდა და იმედიც ჰქონდა, რომ ღმერთი ცოდვებს აბატებდა და მის სულს თავის წმინდა სავანეში მიიღებდა.

შემდეგ ქალმა შეამჩნია, რომ ბროტტოს ხელში წიგნი ეკიო; ეგონა, რომ ლოცვანი იყო და უთბრა:

— ხედავთ. თქვენც კი ლოცულობთ! ღმერთი სამაგიეროს გიზღავსთ ჩემი ხსნისთვის.

ბროტტომ აუხსნა, რომ ეს წიგნი ლოცვანი არ იყო, რომ ის დაწერილ იყო ბევრად ადრე ვიდრე, ქრისტიანული ლოცვის იდეა გავრცელდებოდა და დამიწაზე. მაშინ ქალმა წარმოიდგინა, რომ ეს ალბად „სიზმრის ახსნა“ იყო და სთხოვა შიგ იმ არაჩვეულებრივი სიზმრის ახსნა ეპოვა, რომელიც ლამით





ერეკნული

ენახა. მან წერა-კითხვა არ იცოდა, გაგონებით კი მხოლოდ მშობრულად წიგნის არსებობა იცოდა.

ბროტტომ აუხსნა, რომ ეს წიგნი მხოლოდ ცხოვრების სიზმარს ხსნიდა, ლამაზი ქალიშვილისთვის ეს პასუხი ძნელი გასაგები იყო, აღარც ცდილა მის გაგებას; მან არჩია პირი დაებანა თიხის წაფაში, რომელსაც ბროტტოს წინანდელი ვერცხლის ტამბების ადგილი დაეჭირა. შემდეგ მასპინძლის პატარა სარკესთან თმა დაიფარცხნა სერიოზულად და გულმოდგინეთ. თეთრი ტიტყელი მკლავები რკალს აკეთებდნენ თავის გარშემო, ქალი დროვამოშვებით ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა.

— თქვენ წინათ მდიდარი იყავით?

— რატომ გგონიათ?

— არ ვიცი. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ არისტოკრატი ხართ.

ქალმა ჯიბიდან ლეთისმშობლის პატარა ვერცხლის ხატი ამოიღო, რომელიც სპილოს ძვლის ჩარჩოში იყო ჩასმული, შემდეგ შაქრის ნატეხი, ძაფი, მაკრატელი, ტალკვესი, ორი თუ სამი პარკი ამოაღავა, ამოიჩხია რაც სჭირდებოდა და შეუღბა ქვედატანის დაკრებას, რომელიც რაედენიმე ადგილას გახეულიყო.

— თქვენი უზრუნველობისთვის ძალიან კარგია თუ ამ სამფეროვან კოკარდას თავსახურაზე მიიმარებთ, უთხრა ბროტტომ და კოკარდა გაუწოდა.

— ამას დიდ-სიამოვნებით ვიზამ, ბატონო, უპასუხა ქალმა: მაგრამ თქვენი სიყვარულისა და არა ნაციის სიყვარულისთვის.

ქალმა ჩაიცვა, გამოეწყო როგორც შექმლო, ქვედატანი ორი ხელით აიწია, რვეერანსი გააკეთა, როგორც სოფელში ჰქონდა ნაწიელი და ბროტტოს მიმართა:

— ბატონო, მე თქვენი უმორჩილესი მონა ვახლავართ.

ის ხზად იყო ყოველივე სურვილი შეესრულებინა თავისი კეთილისმყოფელისთვის, მაგრამ უფრო რიგიანად მიანდა, იუ კაცი არათერს მოსთხოვდა და ის არათერს შესთავაზებდა; მას ეგონა, რომ უფრო მართებული იქნებოდა, თუ ერთმანეთს თავაზიანად დაშორდებოდნენ.

ბროტტომ ხელში რაედენიმე ასიგნაცია ჩაუღო ეტლის დასაჭირებლად პალეზომდე. ეს მისი ქონების ნახევარი იყო; თუმცა ქალების წინაშე ყოველთვის ხელგაშლილი იყო, თავისი სიმდიდრე ორ ნაწილად არასოდეს არ გაუყვია.

ქალმა სახელი ჰკითხა.

— მე შორისი მქვია.

ქერის კარა რომ გაუღო, სინანული იგრძნო:

— მშვიდობით, ათენაის.

ქალმა აკოცა.

— ბატონო შორის, როცა მომიგონოთ, მართა მიწოდეთ: ეს არის ჩემი ნათლობის სახელი, რომელსაც სოფელში მეძახიან... მშვიდობით, გმადლობთ... თქვენ მონა-მოსამსახურეთ მიგულეთ, ბატონო შორის.

XV.

საჭირო იყო გაჭედვითი სატესტოების დაცლა; ტესტების გასამართლებად შეუჭერებლივ სწარმოებდა. წნელის კონებიტა და წითელი ჩაჩით შემკული კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულ მოსამართლეებს ისევე მძიმედ და შეუშფოთებლად ეპირათ თავი, როგორც მათ წინაპრებს, მეფის მოსამართლეებს, რომელნიც შრომანის ყვაეილებიან სავარძლებში ისხდნენ. საზოგადოებრივი ბრალმდებელი და მისი თანამეწეები დაქანცულნი იყვნენ, არაქათ გამოლულნი უძილობითა და არაყით, დალილობას თავს ძლივს ართმევდნენ; შერყეული ჯანმრთელობა მათ სახეებს ტრაგიკულ ელფერს აძლევდა. ნაფიცი მსაჯულები ერთმანეთში განსხვავდებოდნენ წარმოშობითა და ხასიათით. ზოგიერთი განათლებული იყო, ზოგიერთი უმეტარი, ზოგიერთი სულმდაბალი, ზოგიერთი სულგრძელი, ზოგიერთი გულკეთილი, ზოგიერთი სასტიკი, ზოგიერთი ორპირი, ზოგიერთი გულწრფელი. მაგრამ ყველანი ხედავდნენ, რომ სამშობლო და რესპუბლიკა განსაცდელში იყო და ერთი და იმავე გულის თქმით იყვნენ გამსჭვალულნი. ერთი და იმავე გულის თქმით იყვნენ გამსჭვალულნი, ერთი და იმავე ცეცხლით იწოდნენ, ერთსა და იმავე სისასტიკეს იზენდნენ სათნოებისა და შიშის გამო, და თითქო ერთ მისტიურ ცხოველს წარმოადგენდნენ, ერთგაბოროტებულ სულს, რომელიც თავის ვარშემო ბუნებრივად საკვილის ჰქმნიდა. ისინი ხან კეთილგანწყობილნი იყვნენ და ხან სასტიკნი, მოულოდნელად თანაგრძობას იზენდნენ ბრალდებულისადმი და ცრემლებს აფრქვევდნენ ადამიანის გამართლების გამო, რომელიც ერთი საათის წინათ შეიძლება დაცინვით გაემტყუნებიათ. რავდენადაც წინ მიდიოდნენ თავიანთ მუშაობაში, მით უფრო თავშეუკავებლად მისდევდნენ თავიანთი გულის მოძრაობას.

ეს მოსამართლეები თითქო ციებ-ციხელებით იყვნენ შეპყრობილნი და სთვლემდნენ, გარედან სანკიულოტების და კაცელა ქალების შექარა ესმოდათ; ისინი ადამიანებს ასამართლებდნენ იძულებული ჩვენებისა, გიჟური საბრალმდებლო ოქმების მიხედვით, მოწამლულ ატმოსფერაში, რომელიც ტვინს ამძიმებდა, ყურებში ეღრიალს იწვევდა და თვალებს სისხლისფერ ნისლს აფარებდა. საზოგადოებაში გაურკვეველად დაპარაკობდნენ მოსყიდულ ნაფიც მსაჯულების შესახებ. ამ ცილისწამებას მთელი სასამართლო აღშფოთებული პროტესტითა და შეუბრალებელი სასჯელის დადგენით უპასუხებდა. ეს ადამიანები არც სხვებზე უარესი იყვნენ, არც სხვებზე უკეთესი. უმწიკვლობა ადამიანისთვის ხშირად ბედნიერი შემთხვევაა და არა ღირსება: ვინც უნდა ყოფილიყო მათ ადგილას, ასევე იმოქმედებდა და ამავე საწინელ საქმეს შეასრულებდა.

ბოლოს გამოჩნდა შავ ტანისამოსში გამოწყობილი მარია ანტუანეტა, რომელსაც ამდენ ხანს ელოდნენ და საბედისწერო სავარძელში ჩაჯდა; ყოფილ დედოფალს დამსწრე საზოგადოება სიძულელით და აღშფოთებით შეხვდა; თუ ეს ხალხი თავს იკავებდა, მხოლოდ მიტომ რომ კარგად იცოდა, რომ ბრალდებულის ბედი წინდაწინვე იყო გადაწყვეტილი. როცა ბრალდებული საბედისწერო კიბზებს უპასუხებდა, მას ხან თავდაცვის ინსტიქტი ამოძ-



რავებდა, ხან თანდაყოლილი გულზეიადობა; ერთხელ, როცა ბრალმდებელმა უშვერი კითხვა მისცა, მან შეურაცხოვრილი დედის დიდებულება გამოიჩინა. მოწმეებს მხოლოდ ლანძღვა გინებისა და ცილისწამების უფლება ჰქონდათ მინიჭებული; დამცველები შიშის ძრწოლამ აიტანა. ტრიბუნალი თავის თავს ძალას ატანდა, რომ პროცესის წესი დაეცვა და ევროპისათვის ავსტრიელი ქალის თავი ესროლა.

გავიდა სამი დღე ნარია ანტუნეტის დასჯის შემდეგ და განმეხსნა მოქალაქე ფორტიუნე ტრიუბერთან დაუძახეს, რომელიც შესაქვე საწოლზე იწვა და კვდებოდა, განდევნილი ბარნაბელი ბერის სენაკში სამხედრო ბიუროს მახლობლად, სადაც მან თავისი ცხოვრება ამოწურა. მისი ვალურჯებული თავი ღრმად იყო ბალიშში ჩაფლული. თვალები, რომელნიც ევლარაფერს ხედავდნენ, ევარისტს ჩააშტერდნენ; გაძვალტყავებული ხელი მოულოდნელი ძალღონით ჩაეჭიდა მეგობრის ხელს. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში სისხლი სამჯერ ამოედო. ავადმყოფი სცილილობდა რაღაც ეთქვა; მისი ხმა თავდაპირველად ყრუ და სუსტი იყო, შემდეგ თანდათან გაძლიერდა.

— ვატინი! ვატინი!.. ფურდანმა მტრის ბანაკი შეანგრიო... ნობეს ალყა ახადა... ჩვენ მაშინი ავიღეთ, „საქმე წავა... კარგად წავა...“

ავადმყოფმა გაიღიმა.

ეს ბოდეა როდი იყო; ეს სინამდვილის ნათელი ხილვა იყო, ეს ხილვა ანათებდა ამ ტვინს, რომელსაც ნელნელა საუკუნო წყვილიდი ფარავდა. ამიერიდან მტრის შემოსვლა შეჩერებული იყო; დაშინებულმა გენერლებმა შეიგნეს, რომ შათთვის საუკეთესო გამოსავალი გამარჯვება იყო. რაც საფრანგეთს მოხალისეების ჩაწერამ ვერ მისცა, სახელდობრ მრავალრიცხოვანი და დისციპლინით გამსჭვალული ჯარი, ის სავალდებულო გაწვევამ მისცა. კიდევ ცოტაოდენი თავგანოღება იყო საჭირო და რესპუბლიკა გადარჩებოდა.

ნახევარ საათის უფროდ ყოფნის შემდეგ ფორტიუნე ტრიუბერის სახე, სიკვდილის ნიშნით აღბეჭდილი, ხელახლა გამოცოცხლდა, ხელები ზევით აღმართნენ.

მან ერთადერთ ავეჯს მიუთითა, რომელიც მის ოთახში იდგა, პატარა ვაკლის ხის მაგიდას და მეტის მეტად მთრთოლვარე და სუსტი ხმით სთქვა:

— მეგობარო, ედამიდასის მზავესად მხოლოდ ვალებს გიანდერძებ: სამას ოც ლივრს, რომლის ანგარიშს წითელ რვეულში იპოვნე... მშვიდობით გამეღენ. ნუ დაიძინებ. დარაჯად უდევქი რესპუბლიკას.

სენაკში ლამის ბინდი ეშვებოდა. მომაკედავი მძიმედ სუნთქავდა, მისი ხელები საბანს ფხაქნიდნენ.

შუალამისას რამდენიმე შეუკავშირებელი სიტყვა წარმოსთქვა:

— კიდევ გვარჯილა... ჩამოართვით თოფები... ჩემი ჯანმრთელობა? საუცხოვოა... ძირს ჩამოუშვით ეს ზარები...

დილის ხუთს საათზე სული განუტყვა.

სექციის განკარგულების თანახმად მისი ცხედარი ბარნაბელების ეკლ-

ერეკლესიის

სიაში დაასვენეს, სამშობლოს საეკლესიოებელთან, სამხედრო სარეზერვუარსა და სამფეროვანი დროსა დააფარეს, შუბლზე მუზის გვირგვინი დაადგეს.

სარეკელს გარშემო ერთკა თორმეტი მოხუცი, რომელთაც რომაული ტოგები ეცვათ და ხელში ბზის ტოტები ჰქონდათ და თორმეტი ახალგაზრდა ქალი, რომელთაც გრძელი პირბადეები ეხურათ და ყვავილები ეკირათ. მიცვალებულის ფერხითი ორ ბავშს დაყირაუებული ლამპრები ეკირათ. ევარისტმა ერთი მათგანი იცნო, ის იყო მისი მეგობრის ქალიშვილი, პაწია გოზეფინა, რომელიც ბავშური სიღინჯით და მომხიბლავი სიღამაზით სიკვდილის და სიყვარულის გენიებს ჰგავდა, რომაელები რომ აქანდაკებდნენ თავიანთ სარკოფაგებზე.

პროკესია სენტ ანდრე დეზარსის სასაფლაოსკენ წავიდა მარსელიეზის და Ga ira-ს გალობით.

ევარისტმა ფორტიუნე ტრიტბერს გამოსათხოვარი ამბოიი უძღვნა შუბლზე და ტირილი დაიწყო. ის თავისთავს დისტროდა, მას შურდა, რომ მისმა მეგობარმა თავისი ვალი შეასრულა და მოისვენა.

სახლში მას ცნობა დახედა, რომ კომუნის გენერალური საბჭოს წევრად იყო დანიშნული. კანდიდატათ ითვლებოდა ოთხი თვის განმავლობაში და ახლა ოცდაათი ხმით აერჩათ უკონკურენტოთ. ხმის მიმცემი თითქმის ალარაინი იყო: სექტორები დაცალიერდნენ; მდიდრებიც და ღარიბებიც საზოგადოებრივ თანამდებობას გაუბრძოდნენ. თვით უდიდესი მოვლენები ალარ იწვევდნენ არც ენტუზიაზმსა და არც ცნობის მოყვარებას; ვახუთებს მკითხველები ალარ ჰყავდათ; ევარისტი ფიქრობდა, რომ სატახტო ქალაქში შეიდას ათასს მტოვრებზე მხოლოდ სამ ან ოთხ ათასს თუ ექნებოდა ნამდვილი რესპუბლიკლის სული.

იმ დღეს სასამართლოს ოცდა ერთი გირონდელი წარუდგა.

ეს ადამიანები ერთსა და იმავე დროს უდანაშაულონიც იყვნენ და დამნაშავენიც, პატივმოყვარენი, გაუფრთხილებელნი, გულზევიანი და თავპარიანნი, ზომიერნი და შეუბრალებლები, სუსტნი, როგორც ტერორში ისე შეწყალებაში, აჩქარებულნი ომის გამოცხადებაში და ნელნი ომის გაძლოლაში; ახლა ისინი ტრიბუნალში მიიყვანეს იმ გზით, რომელიც თვითონ გაიყვანეს სხვებისთვის: ამისღამიუხედავად ეს აყვავებული ახალგაზრდობა რევოლუციის სამკაულსა და დიდებას წარმოადგენდა. ეს მსაჯული ახლა პედანტურ მიკერძობას გამოიჩინს; ეს ფერმკრთალი ბრალდებული შეეცდება მათ შერცხვენას და სასიკვდილო განაჩენის გამოტანას; ნაფიცები დამცველების შეფერხებას მოისურვებენ; მაცურებლები მათ ლანძღვა-გინებით და სტვენით გააცილებენ. ერთს დროს ეს ხალხი ეს მსაჯულები, ეს ნაფიცები ტანს უკრავდნენ მათ მკერმეტყველობას და ადიდებდნენ მათ ნიქს, მათ სათნობას. მაგრამ ყოველივე დავიწყებას მიეცა.

ევარისტი ერთს დროს ღმერთად ლოცულობდა ვერნიოს, ეს ეხლა ალარ ახსოვდა, ახლა მხოლოდ ფიქრობდა, რომ ამ საშინელმა ადამიანებმა საუკეთესო მოქალაქეები შეაცდინეს.

როცა ხსდომის შემდეგ გამლენი შინ ბრუნდებოდა, კიბეზე გულის გამგმირავი ყვირილი გაიგონა დედა პატარა გოზეფინას სწყეპლავდა, იმიტომ



ქართველთა  
წიგნების კავშირი

რომ მას მოედანზე ქუჩის ბავშვებთან ეთამაშა და ის ლამაზი თეთრი კაბა გაეთხუშნა, რომელიც მოქალაქე ტრიუბერის დასაფლავებაზე დასასწრებლად ჩააცვს.

## XVI

ევარისტე სამი თვის განმავლობაში ყოველ დღე სახელოვან ან უცნობ მსხვერპლს სწირავდა სამშობლოს საკუთხეველს: ბილოს ერთი ბრალდებული თვის საკუთარ ბრალდებულად გაიხადა.

პირველ დღიდანვე ბრალდებულთა რაზმებში ის ხარბად ეძებდა ელოდის წემკდენელს; თვის ფანტაზიაში ერთგვარი იდეაც კი ჩამოაყალიბა მის შესახებ. წარმოდგენილი ჰქონდა ახალგაზრდა, ლამაზი, თავხედი ნამაკაცი, რომელიც უძველესად ინგლისში უნდა ყოფილიყო ვადასახლებული. მას ეგონა, რომ ეს კაცი აღმოაჩინა, როცა სასამართლოს ერთი ახალგაზრდა ემიგრანტი წარუდგა, გვარად მობელი, რომელიც საფრანგეთში დაბრუნდა და პასისის სასტუმროში დაიჭირეს სასტუმროს პატრონის ჩვენებით. მის საქმეს ათას სხვა საქმესთან ერთად ფუჟეტეველი იკვლევდა. მას წერილები აღმოაჩნდა, რომელთაც ბრალდება იმის დამამტკიცებელ საბუთათ სთვლიდა, რომ მობელსა და პიტტის აგენტებს შეთქმულება ჰქონდათ გაბმული; ნამდვილად ეს წერილები ლონდონის ბანკირების მიერ იყო დაწერილი, რომელთადაც ემიგრანტის ფული ინახებოდა. მობელი, როგორც ახალგაზრდა და ლამაზი ყმაწვილი, როგორც სჩანს, ყველაზე მეტად სიყვარულის საქმეებში იყო გართული. მის უბიჭ წიგნაკში აღმოჩნდა, რომ მას ჭრთიერთობა ჰქონდა ესპანიასთან, რომელიც იმ დროს საფრანგეთს ეომებოდა; ნამდვილად ეს ინტიმური ხასიათის მიწერმოწერა იყო და თუ პროკურატურამ საქმე არ შესწავლიდა, ეს იმ პრინციპის წყალობით მოხდა, რომლის მიხედვით სასამართლო არაოდეს არ უნდა აჩქარებდეს ტუსილის განთავისუფლებას.

გამლენმა მიიღო მოხსენება მობელის პირველი დაკითხვის შესახებ და სახტათ დარჩა: მან უცნაური მზავსება აღმოაჩინა ამ ყოფილ აზნაურსა და იმ ადამიანს ზორის, რომელმაც მისი წარმოდგენით ელოდი შოატყუო. ამის შემდეგ ის ჩაიკეტა სასამართლოს მწერლის კაბინეტში და გულმოდგინედ შეუდგა საქმის შესწავლას. მისი ეჭვი გაიზარდა, როცა ემიგრანტის ძველ უბის წიგნში „მხატვარი ამურის“ ადრესი წაიკითხა; თუმცა ისიც მართალია, რომ ამ ადრესის გვერდით შრავალი სხვა გრაფიორებას და სურათების მალაზიების ადრესებიც ეწერა. მავალითად „მწვანე მ.იმუნისა“, „დოფინის პორტრეტისა“ და სხ. ხოლო როცა ევარისტმა იმავე წიგნაკში რადენიშე მიხაკის ფურცელი აღმოაჩინა, აბრეშუმის ქალაღლ დაფარებული, მას გაახსენდა, რომ წითელი მიხაკი ელოდის საყვარელი ყვავილი იყო, რომ ის მიხაკს ფანჯრის რაფაზე ზრდიდა, იმაში იკეთებდა და სიყვარულის ნიშნად სთვლიდა. ამის შემდეგ მისი ეჭვი მტკიცე რწმენად გადაიქცა.

გადასწყვიტა ელოდისთვის განოკეთება, მაგრამ ისე კი რომ დაეფარა გარემოება, რომელშიც დამნაშავე აღმოაჩინეს.



ქართული  
ენებისათვის

როცა შინ ბრუნდებოდა, უკვე კიბის ქვედა საფეხურებზე ხილის გამა-  
ბრტყელები სურნელება იგრძნო: მართლაც ატელიეში ელოდი და მოქალაქე გამ-  
ლენის ქვრივი კომშის მურაბას აკეთებდნენ. მაშინ როცა ბებერი დიასახლისი  
ღუმელს აღვივებდა და ისაზრებდა როგორ გაეწია ნახშირისა და ფხვიერი შაქ-  
რის ეკონომია, ისე რომ მურაბას არაფერი დაკლებოდა, მოქალაქე ბლენის  
ასული სელის სკამზე იჯდა, კალთიდან კომშს იღებდა, ფუტკვნიდა, ოთხად  
სჭრიდა და სპილენძის ტაშტში ჰყრიდა. მისი თავსახურაეის წვერები უკან იყო  
გადაწეული, მისი შავი კულულები შუბლს ფარავდნენ სანახევროდ; ქალი გაბ-  
ვეული იყო ოჯახური მომხიზველობისა და სიღაზათის ატმოსფეროში, რაიცა  
ნახ აზრებსა და წყნარ ვნების იწვევდა.

ქალი არ განმარტულა, მხოლოდ თავის საყვარელს მშვენიერი, გამდნარი  
ოქროს ფერი თვალები მიაპყრო და უთხრა:

— ხომ ხედავთ, ევარისტ, თქვენთვის ვმუშაობთ. ზამთარში კომშის ელე  
გექნებათ, რომელიც სტომამს გაგინაგრებთ და გულს გაგინაზარულებთ.

მაგრამ გამლენი მიუახლოვდა და ყურში ჩასჩურჩულა:

— ეს მობელი...

ამ წუთში მეწალე კომბალომ ნახევრად გაღებულ კარში გაწითლებული  
ცხვირი შემოჰყო. ქუსლდაკრებული ფეხსაცმელები და წინანდელი ანგარიში  
მოიტანა.

მეწალეს ეშინოდა ცუდი მოქალაქის სახელი არ გაეარდნოდა და ანიტომ  
ახალ კალენდარს მისდევდა. მოქალაქე გამლენის ქვრივს კი გარკვეული ანგა-  
რიში უყვარდა, ეს ფრუქტიდორები და ვანდემიერები კი სრულიად აბნევდა.

ღედაკაცმა ამოიოხრა:

— ოჰ, ქრისტე ღმერთო! ამ ხალხს ყველაფრის გამოცვლა უნდა, დღეების,  
თვეების, სეზონების, მზისა და მთვარის! მითხარით ღვთის გულისთვის, ბატონო  
კომბალო, რას ნიშნავს წყვილი კალოში ვანდემიერის გვერდით?

— მოქალაქის ასული, ჩაიხედეთ თქვენს კალენდარში და ყოველივეს  
გაიგებთ.

ღედაკაცმა კალენდარი ჩამოიღო, შიგ ჩაიხედა და მაშინვე პირი იბრუნა:

— ამას აღარ აქვს ქრისტიანული შეხედულება! სიტყვა შეძრწუნებულმა.

— ეს კიდევ რა არის, სიტყვა მეწალემ, ჩვენ მხოლოდ სამი კვირა გვაქვს  
ოთხის მაგივრად. გარდა ამისა ჩებრა ანგარიშის წესს შეგვაცვლევინებენ. აღარ  
გვექნება არც ლიერები, არც გროშები. ყოველივე წყლის წონის მიხედვით  
იქმნა გაზომილი.

ამ სიტყვების საპასუხოდ მოქალაქე გამლენის ქვრივმა, რომელსაც ტურები  
უთრთოლავდა, ტერისკენ თვალები აღაპყრო და ამოიოხრა:

— არა, ეს მეტის მეტია.

მაგრამ სანამ ღედაკაცი იმ წმინდანების მზგავსად მოსთქვამდა, რომელ-  
თაც სოფლის ვოლგოთებზე აქანდაკებენ, ნაკვერჩხალზე დადებულ მუფუხალს  
ცეცხლი მოსდებოდა და კომშის სურნელებასთან ერთად ატელიეში ჰაერს  
სწამლავდა, ისე რომ სუნთქვა შეუძლებელი იყო.



ერყენული  
გმზაქქუნქა

ელოდი ჩიოდა, რომ ყელი ეწოდა და ფანჯრის გაღებას ითხოვდა. მაგრამ როგორც კი მოქალაქე შეწაღე წავიდა და მოქალაქე გამლენის ჭერივი თავის ღუმელს მიუბრუნდა, ვეარისტი ხელახლა ქალს მიუახლოვდა და ყურში ჩასჩერჩულა:

— ეაკ მობელ.

ქალმა მას ცოტა არ იყო გაკვირვებით შეხედა, მაგრამ შეუშფოთებლად, ისე, რომ კომშის ფცქენა არ შეუზერებია:

— მერე რა იყო?... ვინ ეაკ მობელი?..

— ეს ის არის?

— ვინ?

— შენ მას წითელი მიხაკი მიეცი. ქალმა განაცხადა, რომ არაფერი ეს მოლა და სთხოვა აეხსნა, რაში იყო საკმე.

— აი ის არისტოკრატი, ის ემიგრანტი, ის თავხედი!...

ქალმა მხრები აიჩქა და სრულიად უბრალოდ უარყო, რომ ოდესმე ეაკ მობელი ცნობებოდა.

და მართლაც ვერ იცნობდა.

მან უარჰყო, რომ ვისმესთვის ოდესმე წითელი მიხაკი მიეცეს, გარდა ვეარისტისა: მაგრამ შეიძლება რომ ამ მხრივ მახსოვრობა ღალატობდა.

ვაგი ცულათ იცნობდა ქალებს და ჯერ კიდევ საკმაოდ ღრმად გამოჩქეული არ ჰქონდა ელოდის ხასიათი; მაგრამ ფიქრობდა, რომ ამ ქალს ჰქონდა თვალთმაქცობის ნიჭი და მასზე უფრო გამოცდილი მამაკაცის მოტყუება შეეძლო.

— რად უარყოფ? ჰკითხა მან. მე ყოველივე ვიცი.

ქალმა ხელახლა დაადასტურა, რომ არაფერად მობელს არ იცნობდა. კომშის ფცქენა გაათავა და წყალი მოითხოვა ხელების დასაბანად.

გამლენმა ტაშტი მოუტანა.

ქალი ხელს იბანდა და განაგრძობდა უარყოფას.

ვაგმა ხელახლა გაიმეორა, რომ ყოველივე იცოდა. ახლა კი ქალი დადუნდა.

ქალს არ ესმოდა, საით იყო მიმართული მისი საყვარლის კითხვები; ძალიან დაშორებული იყო იმ აზრს, რომ ეს მისთვის უცნობი მობელი რევოლიუციური ტრიბუნალის წინაშე უნდა წამდგარიყო; მას არაფერი გაეგებოდა ამ ეჭვიანობისა, იცოდა მხოლოდ რომ ის ყოველად უსაფუძვლო იყო. ამიტომ რადგან იმედი დაჰკარგა რომ მას გაჰყვანტაედა, ხალისსაც აღარ იჩენდა უარყოფაში. მან თავი დაანება იმის მტკიცებას; რომ მობელს არ იცნობდა და არჩია ეჭვიანი საყვარელი ყალბ გზაზე დაეყენებია, მით უმეტეს რომ უბრალო შემთხვევას შეეძლო ნამდვილი კვალის ჩვენება. მისი პატარა კლერკი ახლა პატრიოტი დრაგონი იყო: მას ჩხუბი მოუვიდა თავის არისტოკრატ საყვარელ ქალთან. როცა ელოდის ჭუჭიაში ხედებოდა, ისეაი თვალთუქქროდა თითქო უნდოდა ეთქვა: „ჩემო მალხაზო, შე ვგრძნობ რომ ჩქარა გაბატებ ჩენს ღალატს, თითქმის მზად ვარ ჩემი ყურადღება დაგიბრუნო“. ამიტომ ელოდიმ თავი აღარ გამოიღო და არ შეეცადა თავისი ახირებული მეგობარი გადაეჯერებინა, და გამლენი დარწმუნებული დარჩა, რომ ეაკ მობელი ელოდის შემცდენელი იყო.



ტრიბუნალი თავგამოდებით ცდილობდა შეედრალიზმის განადგურებას, რადგან მას მრავალთავიან გველწაპად სთვლიდა, რომელიც თავისუფლების ჩაყლაპვას ემუქრებოდა, სასამართლოს ძალიან მძიმე დრო დაუდგა; არაქათ გამოლეული ნაფიცი მსაჯულები შეეცადნენ რაც შეიძლება ჩქარა გაესტუმრებიათ როლანის მეუღლე, ბრისოს პარტიის წინამდგომელი თუ თანამოაზრე.

ამ დროს გამლენი ყოველ დღე დილას პროკურორის განყოფილებაში ატარებდა და ცდილობდა მობელის საქმე დაეჭარბებინა. მნიშვნელოვანი საბუთები ბორდოში დარჩა: მან იშუამდგომლა, რომ იქ კომისარი გაეგზავნათ ამ საბუთების მოსატანად. ეს შეამდგომლობა დაკმაყოფილებული იქმნა.

ბრალმდებლის მოადგილემ მოტანილი საბუთები გადაათვალიერა, შუბლი შეიჭმუნა და ევარისტს უთარა:

— ამ საბუთებში არაფერია საყურადღებო! სრული აბდა უბდაა!.. კარგი იქნებოდა, იმაში მაინც რომ ვიყოთ დარწმუნებულნი, რომ ყოფილი გრაფი მობელი ემიგრანტია!..

ბოლოს გამლენია თავისი ვაიტანა. ახალგაზრდა მობელმა ბრალდების ოქმი მიიღო და 19 ბრიუმერს რევოლიუციური ტრიბუნალის წინაშე წარსდგა.

სხდომის გახსნიდანეე თავმჯდომარეს პირაქვში და პრისხანე გამომეტყველება ჰქონდა, რაიცა იმის მიჭვენებული იყო, რომ საქმე ცუდათ იყო გამოძიებული. ბრალმდებლის მოადგილე თავის ნიკვას კალმის ფრითთ ეალერსებოდა და სცდილობდა სახეზე უმწიკვლოდ სინდისიერი ადამიანის სიმშვიდე გამოეხატა. მდივანმა ბრალდების ოქმი წაიკითხა: აქამდე არავის მოჟსმენია ასეთი დაუსაბუთებელი ოქმი.

თავმჯდომარემ ბრალდებულს ჰკითხა, იცნობდა თუ არა ის ემიგრანტების წინააღმდეგ გამოცემულ კანონებს.

— კიდევ ვიცნობდი და კიდევ ვასრულებდი, უპასუხა მობელმა: როცა საფრანგეთი დავსტოვე, ჯიბეში კანონიერი პასპორტი მქონდა.

მან დამაკმაყოფილებლად ახსნა ინგლისში გამგზავრებისა და საფრანგეთში დაბრუნების მიზეზები. მას სასიამოვნო სახე და გულწრფელი, ამაყი გამომეტყველება ჰქონდა, რაიცა თანაგრძობას იწვევდა. დამსწრე ქალები კეთილგანწყობილად უცქეროდნენ. ბრალმდებელი ამტკიცებდა, რომ ის ესპანიაში აყო, როცა ეს სახელმწიფო საფრანგეთს ეომებოდა: ის დაბეჯითებით ამბობდა, რომ ბაიონას არ ვასცილებია ამ ხანში. მხოლოდ ერთი გამოუტკეველი მუბლი რჩებოდა. იმ ქალაქებიდან, რომელიც მან დატუსაღების დროს ბუხარში შეჰყარა, ორიოდ ნაფლეთილა გადაარჩინეს, სადაც ესპანური სიტყვები და სახელი „ნიევესი“ გაარჩიეს.

ეაქ მობელმა უარი სთქვა ამ საგნის განმარტებაზე. ხოლო როცა თავმჯდომარემ აუხსნა, რომ მისი ინტერესი ახსნა განმარტების მიცემის მოითხოვდა, მან უპასუხა, რომ ყოველთვის როდი ვარვა საკუთარი ინტერესის მიხედვით მოქცევა.

გამლენი სცდილობდა მობელი მხოლოდ ერთ რამეში გამოეტება; სამჯერ





სთხოვა თავმჯდომარეს ბრალდებულისათვის ახსნა— განმარტება— ქალაქ-დებში აღმოჩენილა დამკნარი მიზაკის ფოთლების შესახებ.

მობელმა უპასუხა, რომ თავის თავს ვალდებულად არ სთვლიდა ისეთ კითხვაზე ეპასუხა, რომელიც სასამართლოს არ აინტერესებდა, მიტომ რომ ამ ყვავილში არაერთი საიდუმლოება არ იმალებოდა.

ნათიცი მსაჯულები სითათბირო ოთახში გავიდნენ. კეთილგანწყობილი იყვნენ ახალგაზრდა კაცისადმი, რომელსაც როგორც სჩანდა არაერთი დანაშაული არ მიუძღოდა, გარდა საიდუმლო სიკვარულისა. ახლა თვით ნაღდი, წმინდა პატრიოტი მსაჯულები მის გამართლებას ემხრობოდნენ, ერთმა მათგანმა ყოველმა კეთილშობილმა, რომელმაც რევოლიუციის ერთგულება დაამტკიცა, სთქვა:

— ამ კაცს წარმოშობას ხომ არ ვუთვლით ბრალდებაში? მეც ხომ არის-ტოკრატად დავიბადე სამწუხაროდ.

— ჰო, მაგრამ შენ არისტოკრატიის ბანაკი დასტოვე, ხოლო ის იქ დარჩა, უპასუხა გამლენმა.

და შემდეგ ისეთი გაშმაგებით დაესხა თავს ამ შეთქმულს, ამ პიტრის ემისარს, ამ კობურგის თანამოაზრეს, რომელმაც მთები და ზღვები გადმოლახა, რათა თავისუფლების მტრები აეჯანყებინა, ისეთი გააფთრებით მოითხოვა მისი დასჯა, რომ პატრიოტ მსაჯულების მოუსვენარი სული შეაშფოთა და მათი ძველი სისასტიკე გააღვიძა.

ერთმა მათგანმა ცინიკურად უთხრა:

— ზოგიერთ სამსახურზე ამხანაგს უარს ვერ ეტყვი.

სიკვდილის განაჩენი ერთი ხმის უმეტესობით იქნა გამოტანილი.

ბრალდებულმა განაჩენი წყნარი ღიმილით მოისმინა. ზალას თვალი მიმოავლო შეუშფოთებლად და როცა გამლენს შეხედა, სახეზე გამოუთქმელი ზისლი გამოეხატა.

განაჩენის მოსმენის დროს ტაში არავის დაუკრავს.

კონსიერერიში მიყვანისთანავე ეაკ მობელმა წერილის წერა დაიწყო; დრო ცოტა ლა იყო, რადგან დასჯა იმ ღამესვე უნდა მომხდარიყო ლამპრების სინათლეში.

„ჩემო ძვირფასო დაო, ტრიბუნალი ეშაუტზე მაგ ზაენის: ეს ერთად ერთი სიხარულია, რომელიც ჩემი საღმერთებელი ნიევესის სიკვდილის შემდეგ განვიცადე, მათ წამართვეს ერთად ერთი საუნჯე, რომელიც მისგან დამარჩა, ბროწეულის ყვავილი, რასაც ისინი რატომღაც მიზაკს უწოდებენ.

მე მიყვარდა ხელოვნება: ბედნიერ დროს პარიზში სურათები და გრავიურები შევავროვე; სახდო ადგილას არის შენახული და ვადმოგცემენ, როგორც კი შესაძლებელი იქნება. გთხოვ ძვირფასო დაო, ეს სურათი ჩემს სამახსოვროდ შეინახო.

შემდეგ ცოტაოდენი თმა მოიკვეცა, წერილში ჩასდო, დაბეჭდა და ადრესი დააწერა:

მოქალაქე კლემანს მობელის ასულს დეზეიმერისას, ლარეოლში.



ერეკნული  
მისწერეს

რაც ფული ჰქონდა, დარაგს მისცა და სთხოვა წერილი სამეზობლოში გაეგზავნა. შემდეგ ერთი ბოთლი ლეინო მოითხოვა და ნელ-ნელა დალია საბარგო ეტლის მოლოდინში...

ნაეახმევეს გამლენი „მატეარ-ამურში“ გაიქცა და ცისფერ ოთახში შევარდა, სადაც ელოდი ყოველ ღამე უცდიდა.

— შენთვის შური ვიძიე, სთქვა მან, ესე ნობელი აღარ არის. ღამბრე-ბით შემორტყმულმა საბარგო ეტლმა ის შენს ფანჯარასთან გაატარა.

ქალი უცებ მიხვდა;

— უბადრუკო! შენ ის მოგიკლავს, ის არ უფილა ჩემი საყვარელი. არც ვიცნობდი, არასოდეს არ მინახავს... როგორი იყო ეს კაცი? შეიძლება ახალგაზრდა იყო, გულკეთილი... უცოდველი. შენ მოკალი, უბადრუკო! უბადრუკო!

ქალი ძირს დევსა გულწისული. მაგრამ ამ მსუბუქი საკედლის ჩრდილში ის თითქო შიშის ძრწოლისა და ვნებათა ლეღვის ტალღებს გრძნობდა. ნახევრად გამოცოცხლდა: მისი დამძიმებული თვალის ქუთუთოები ნახევრად გაიხსნენ, შერდი ათრთოლდა. აკანკალებულმა ხელებმა საყვარელი მოსძებნეს. ქალმა ვატი გულში ჩაიკრა, თითქო დახრჩობას უპირებო, სხეულში ფრჩხილები ჩაარჭო, აღუნებული ტუჩებით დაეწაფა და ყველაზე უფრო მღუმარე, ყრუ, ხანგრძლივი, მწევე და საიწური კოცნა უძღვნა.

მას ის უყვარდა მთელი თავისი სხეულით და რაც უფრო საშინლად, შეუბრალებლად, მრისხანედ ეჩვენებოდა, რაც მეტი მსხვერპლის სისხლს ხედავდა მისზე, მით უფრო შიოდა და სწყუროდა მისი საყვარული.

XVII

24 ფრიმერს დილის ათ საათზე, წითელ მზიან დღეს, რომელიც ღამის ყინვას აღნობდა, საყოველთაო თავდაცვის კომიტეტის რწმუნებულები, მოქალაქე გენო და დელურზელი ბარნაბელთა მონასტერში მივიდნენ და სექციის ზედამხედველობის კომიტეტში შევიდნენ, სადაც მოქალაქე ბოვიზაფი შენას უკეთებდა ბუხარში. მაგრამ მისი მოკლე ჯმუხი ფიგურა მაშინვე ვერ შეამჩნიეს.

კუზიანი კაცის გაბზარული ხმით მოქალაქე ბოვიზაფმა რწმუნებულებს სთხოვა დამსხდარიყვნენ და შემდეგ განაცხადა, რომ მზად არის სამსახურისთვის.

გენომ იკითხა, იცნობს თუ არა ის ახალი ხიდის მახლობლად მცხოვრებ მოქალაქეს ყოფილ დეზილეტს.

— მე დავალებული მაქვს ამ პიროვნების დაპატიმრება, დაუმატა მან.

საყოველთაო თავდაცვის კომიტეტის ორდერი ამოიღო და უჭვნა.

ბოვიზაფი ცოტა ხანს ჩაფიქრდა და უპასუხა, რომ ის დეზილეტს ვერ იცნობდა, რომ ეს საექვო პიროვნება შეიძლება არც სცხოვრობდა ამ სექციაში, ნიტომ რომ მუზუუმის, მარა და მარსელის, ერთობის ზოგიერთი უბანიც ახალი ხიდის მახლობლად იყო; ისიც შეიძლებოდა, რომ დეზილეტტი სხვა სახელით სცხოვრობდა სექციაში; ყოველს შემთხვევაში მისი აღმოჩენა ადვილი იყო.

— დროს ნუ დავკარგავთ! სთქვა გენომ. ჩვენ მან დაგვიანტერესა ერთი



ერყენული

მისი თანამოაზრე ქალის წერილის შემდეგ, რომელიც ამ ობზერვაციასთან დაიჭირეს და კომიტეტს გადასცეს, მაგრამ მხოლოდ გუშინ გააცნეს მოქალაქე ლაქრუას. ჩვენ უკვამდე საქმეში ვართ; უცვლი მზრიდან დაბეზლება მოგვდის, ისე რომ არ ვიცით, ვის მოვესმინათ.

— დამბეზლებლები სექციის მზრუნველობის კომიტეტშიც ბლომად ნოდთან, იმეად უპასუხა ბოვიზაემი. ზოგიერთს განცხადება მოქალაქეობრივი მოსაზრებით მოატეს; ზოგიერთს კიდევ ასი სოლის ასიგნაციის გულისთვის. ბავშვები ხშირად მშობლებს აბეზლებენ, მიტომ რომ მემკვიდრეობის მიღება სურთ.

— ეს ბარათი, სთქვა გენომ, დაწერილია როზმორის მიერ; ეს მაღალი საზოგადოების ქალია, რომლის სახლში წინათ ბირიბის თამაშობდნენ; აღრესზე მოქალაქე როლინის სახელი დაუწერია; მაგრამ ნაინდილად ბარათი ერთ ემიგრანტს ეგზავნება, რომელიც პიტტის სამსახურშია. თან წამოვიღე, მინდოდა წამეკითხა, რაც დეზილეტტის პიროვნებას შეეხება.

წერილი ჯიბიდან ამოიღო.

— თავში ჩამოთვლილია კანკენტის წევრები, რომელთა მოსყიდვა, ამ ქალის სიტყვით, ადვილად შეიძლება ფულით, მაღალი თანამდებობის მიწოდებით ახალ, უფრო მტკიცე მთაერობაში.

შემდეგ ერთი ადგილი წაიკითხა:

„აი ეს არის დეზილეტტს გამოვეთხოვე, რომელიც სადღაც ქერნისცხოვრობს, ისე რომ ადამიანი კატა ან ეშმაკი უნდა იყოს, რომ იქ აღნოაჩინოს; სხვა საქმე არაფერი აქვს გარდა ქალაქის ტიკინების კეთებისა. ის კუკიანი ადამიანია: ამიტომ, ბატონო ჩემო, ჩვენი საუბრის დედააზრს გადმოგცემთ. მას არ სწამს, რომ დღევანდელი ვითარება დიდხანს გაგრძელდება. მაგრამ არც იმას ფიქრობს, რომ კოალიცია გაიმარჯვებს; და მართლაც მოვლენები როგორც სჩანს, ადასტურებენ მის მოსაზრებას; თქვენ მოგეტყვებთ, ბატონო, რომ ამ ბოლო დროს იმის ასპარეზიდან კუდი ამბები მოდის. უფრო მოსალოდნელად მიაჩნია მდებრი ხალხის, განსაკუთრებით ქალების აჯანყება, მიტომ რომ მათი თანაგრძობა სარწმუნოების მხარეზეა. ის ფიქრობს, რომ რევოლუციური ტრიბუნალის მიერ გამოწვეული საყოველთაო შიში მთელს საფრანგეთს გააერთიანებს იაკობინელების წინააღმდეგ. ეს ტრიბუნალი, სთქვა მან ბუმბობით, საფრანგეთის დედოფალსა და პურის მცხოველ დედაკაცს ასამართლებს ერთსა და იმავე დროს, და ინგლისელების სათაყვანებელ უილიამ შექსპირს წააგავსო და სხ... მას შეუძლებლად არ მიაჩნია რომ რობესპიერი ქერიც დედოფალს შეერთავს და თავის თავს სამეფოს პროტექტორად გამოაცხადებს.

დიდათ დავალებული ვიქნები, ბატონო, თუ ჩვეულებრივი გზით იმ ფულს გამომიგზავნიდ, რაც მგზავბა, ე. ი. ათას გირანქა სტერლინგს; მხოლოდ ბატ. მორპარდტის სახელზე არაფერი მოიწეროთ: ის დაიჭირეს, სატუსალოშია და სხ. და სხ.!

— უფალი დეზილეტტი ქალაქის გამბაზებს ამზადებს, აი უტყუარი ნიშანი, სთქვა, ბოვიზაემი: მაგრამ ესეცაა, რომ სექციაში ბევრია ამ გვარი პატარა სახელოხნო.



ერეკნულნი

— ძალიან კარგი რომ გამახსენდა, სთქვა დელურმელმა: ჩემი უმჯობესი ქალი, ნატალია, ქუნთორუშით არის აუად; ტიკინის მიტანას შეგვირდი. ტანზე გუშინ გამოაყარა. ეს აუადმყოფობა საშიში არ არის; მაგრამ კარგი მოვლაა საჭირო. ნატალია ძალიან განვითარებული და კევიანია თავის ჰასაკისათვის, მაგრამ სუსტი ჯანისაა.

— მე მხოლოდ ერთი ბიჭი მყავს, სთქვა გენომ. ის კასრის სალტებს აგორებს და ქალაღლის პარკებიდან აეროსტატებს აკეთებს.

— ძალიან ხშირად ბავშვს ისეთი საგანი ართობს, რომელსაც სათამაშოსთან არაფერი აქვს საერთო, განაცხადა ბოვიზაემა. ჩემი ამისწული, ემილი, შვიდი წლის ბიჭუნაა, ძალიან კევიანი: მთელი დღე თავს ირთობს ხის კუბიკებით და რაღაც შენობებს აგებს....თამბაქოს ზომ არ ეწევიო?..

ბოვიზაემა გახსნილი სათუთუნე მიაწოდა რწმუნებულებს.

— ახლგ წავიდეთ და იმ არანხადს ვუტკმიტოთ, სთქვა გრძელღლევაში-ანმა დელურმელმა თვალების ბოილით, ამ დიღას ისეთ მადანზე ვარ, რომ სიამოვნებით გიახლებოდით არისტოკრატის შემწვარ გულღვიძლს და ერთ ჰიქა თეთრ ღვინოსაც დაეყოლებდი.

ბოვიზაემა რწმუნებულებს ურჩია დოფინის მოედანზე მისი ამანაგი, უფროსი დიუპონი, ენახათ: მას უეჭველად ეკოღინებოდა ვინ იყო ეს დეზიღტტი. ისინი გზას გაუღდგნ და თან სეკციიდან ოთბი გრუნადერი გაიყოღეს.

— გინახავთ თუ არა სეკნაზე „მეფეების საშინელი სამსჯავრო?“ ჰკითხა დელურმელმა ამანაგებს: ძალიან საყურადღებო პიღესაა. აეტორი ვეროპის მეფეებს გვიხატავს, უღაზნო კუნძულზე ეეცხლის მფრტვეველ მთასთან, რომელიც ამოხეთქავს და მით ჩანთქავს. ეს პატრიოტული ნაწარმოებია.

დელურმელმა ჰარღეს ქურის კუთხეში პატარა ხელის ურემი დაინახა, რომელსაც ტიღოს ქუღიანი დეღაბერი მიაგორებდა.

— რას ჰკიღის ეს დეღაბერი? იკითხა მან.

დეღაკაცმა თვიითონ უჰასუხა:

— ნახეთ და თვიითონ აირჩიეთ, ბატონებო. ვყიდი კრიიღოსნებს, ჯერებს, წმინდა ანტონის ხატებს, გარდაამოხსნებს, წმინდა ვერონიკეს ცხვირსახოკებს, ქრისტეს ტარიგს, წმინდა ჰუმბერტის საყვირებსა და ბეჭდებს და ყოველგვარ რელიღიურ ნივთებს.

— ეს ფანატრზმის არსენალია! წამოიძახა დელურმელმა.

და მან დიღყო დეღაკაცის რაკითხვა. ეს უჰანასკნელი ყველა კითხვაზე ერთსა და იმავე პასუხს აძღევდა:

— შვიღო, ორმოცი წელიწადია რაც რელიღიურ ნივთებს ვყიდი.

საყოვეღლითო თავღაცის კომიტეტის ერთმა რწმუნებულმა ლურჯ მუნღირიანი გვარღიელი დაინახა და მას დაავღლა გაოცებული დეღაბერი კონსიერერიში მიღეღანა.

მოქღლაქე ბოვიზაემა დელურმელს შენიშნა, რომ ამ დეღაკაცის დაქერა და სეკციიში წაყეღანა უფრო ხეღამხეღვეღობის კომიტეტის საქმე იყო: მაგრამ ესეც იყო, რომ მან არ იყოღდა, როგორ მოჰყრობოღდა ძველ რელიღიურ კულტს, რო-



ერეკენული

გორ გაეხორციელებია მთავრობის განზრახვები, ყოველივე მსგავსადეგნად გამოეცხადებინა.

როცა, სადურგლოს მიუახლოვდნენ, რწმუნებულმა და კომისარმა გულმოსული კაცის ყვირილი გაიგონეს, რასაც ხერხის და შალაშინის ხმა ემატებოდა. ჩხუბი მომხდარიყო უფროს დიუპონსა და მის მეზობელ მეკარე რემაკლს შორის, რემაკლის მიუღღის გამო, რომელსაც უძლიველი ძალა მუდამ სადურგლოში იზიდავდა, საიდანაც ის შინ ნახერხითა და ბურბუშულათი დაფარული ბრუნდებოდა. შეურაცხყოფილმა მეკარემ წიხლი ჰკრა დურგლის ძალს, ბუტონს, სწორედ იმ წუთში, როცა იმის საკუთარი ქალი პაწია ეოზეფინა ცხოველს ნაზად ეაღერებოდა და ეხვეოდა. გაბრაზებულმა ეოზეფინამ გაიკიცხა დაუწყო მამას, აღშფოთებულმა დურგალმა კი დაიძახა:

— უზადრუკო! შე გიკრძალავ ჩემი ძაღლის გალახვას.

— შე კი, უპასუხა ცოცხით აღჭურვილმა მეკარემ, გიკრძალავ....

მას აღარ დაუთავებია; დურგლის შალაშინი თავში მოხვდა.

როგორც კი მოქალაქე ბოვიზაეი და რწმუნებულები დაინახა, მათკენ გაიქცა და დაიძახა:

— მოქალაქე კომისარო, მოწმეთ იყავი, რომ ამ არამზადამ მოკლა.

მოქალაქე ბოვიზაემა, რომელსაც თანამდებობით მითვისებული წითელი ქუდი ეხურა, გრძელი ხელები გაიწვირა დასამშვიდებლად და მეკარესა და დურგალს მიმართა:

— ასი სოლის ჯილდო ერგება იმას, ვინც გვიჩვენებს, სად იმყოფება საეკვო პირი, ქალაღის ჯამბაზების ხელსანი, ყოფილი აზნაური დეზილეტორი რომელსაც საყოველთაო თავდაცვის კომიტეტი ეჭებს.

მეკარემ და დურგალმა ერთად ბროტოს ბინა უჩვენეს და ახლა მხოლოდ აღთქმული ასი სოლის ასიგნაციის გამო დაიწყეს კამათი.

დელურმელმა, გენო და ბოვიზაემა, რომელთაც ოთხი გრენადერი, მეკარე რემაკლი და დურგალი დიუპონი მისდევდნენ, კიბე აიარეს და ჭერში ავიდნენ.

ბროტო ტიკინებს სჭრიდა, მის პირდაპირ მამა ლონგემარი იჯდა და გაბნეულ ასოებს ძაფით აბამდა. ის იღიმებოდა, როცა ხედავდა, როგორ იბადებოდა თითებს შუა რითში და ჰარმონია.

კონდახების ხმაზე ბერმა ცახცახი დაიწყო იმიტომ კი არა რომ ის უფრო მზადი ყოფილიყო, ვიდრე ბროტო, რომელსაც წარბი არ შეუბრია, არამედ იმიტომ რომ შესწავლილი არ ჰქონდა თავის დაჭერა. ბროტომ მოქალაქე დელურმელის კითხვებზე გაიგო საიდან მომდინარეობდა თავდასხმა და ცოტა არ იყოს გვიან მიხვდა, რომ დიდი შეცდომაა ქალისთვის გულის გახსნა. როცა მოქალაქე კომისარმა წინადადება მისცა თანგასაყოლად მომზადებულიყო, ბროტომ თავისი ლუკრეცი და სამი პერანგი შეახვია.

— ეს მოქალაქე, სთქვა მან და მამა ლონგემარზე უჩვენა, ჩემი თანაშემწეა: ტიკინების გაკეთებაში მებმარებოდა აქვე სცხოვრობს.

მაგრამ ბერს მოქალაქეობის მოწმობა არ აღმოაჩნდა და ისიც ბროტოსთან ერთად დაატუსაღეს.

ერეკლე

როცა პროცესიამ მექარის სადგომთან გაიარა, მოქალაქე პრინციპს მძულ-  
ლემ, რომელიც ცოცხე იყო დაყრდნობილი, თავის მდგმურს იმ აღშფოთე-  
ბული სათნოების თვლით შეხედა, რომელიც დამნაშავეს კანონის ბრკყალეებში  
ხედავს. პაწია ლამაზი ეოზეფინაც გულზვიადათ იტყირებოდა და ბუტონს საყე-  
ლურით აკაეებდა, მიტომ რომ, როგორც სჩანდა, ძალღს უნდოდა თავის ძველს  
მეგობარს შიალერსებოდა, რომელსაც მისთვის ხშირად ტკბილეული მიეცა. ტი-  
ონვილის მოედანზე ცნობის მოკეარე ბრბო ფუსფუსებდა.

სახლის შესაეალში ბროტტოს ახალგაზრდა გლეხის ქალი შეეჩეხა, რომე-  
ლიც კიბეზე ასულას აპირებდა. მას ილლიაში კეერცხეებით საეეე კალათი, ხოლო  
ხელში ტილოში გახეეული ნამცხეარი ეჭირა, ეს ათენაისი იყო, პალეზოდან მო-  
სულიყო და თავის მხსნელისთვის ძლეენი მოჭქონდა მადლობის ნიშნად. როცა  
დაინახა, რომ მაგისტრატებსა და ოთხ გრენადერს „ბატონი მორისი“ დაქერი-  
ლი მიჰყაედათ, სახტათ დარჩა, იკითხა მართალი იყო თუ არა ეს, კომისარს  
მიუახლოედა და ნაზად უთხრა:

— არა, თქვენ მას არ წაიყვანთ! ეს შეუძლებელია... უმეველია ვერ იც-  
ნობთ: ის ღმერთივით კეთილია.

მოქალაქე დელურმელმა ქალს გულზე ხელი ჰკრა და გრენადარებს ანიშ-  
ნა, რომ გზას გასდგომოდნენ. მაშინ ათენაისმა ისეთი უწმანური გინება დაიწ-  
ყო, რომ მაგისტრატებსა და გრენადერებს ეგონათ, რომ თავზე პალეროალის  
და ფრომანტოს ქუჩის ყველა კუჭყიანი ტაშტები გადააქციეს. შემდეგ ქალი ტი-  
ონვილის მოედნისკენ მობრუნდა და ისეთი ხმით დაიყვირა, რომ მთელი ცნო-  
ბის მოყვარე ბრბო შეაშფოთა:

— გაუმარჯოს მეთეს! გაუმარჯოს მეფეს!

## XVIII

მოქალაქე გამლენის ქერივს ბებერი ბროტტო უყვარდა; ყველაზე თავაზია-  
ნად და ღირსეულ კაცად სთვლიდა თავის ნაცნობებში. მაგრამ არ გამომშვიდო-  
ბებია როცა დაიჭირეს, მიტომ რომ ეშინოდა მთავრობის უპატეეეემლობად არ  
მიემნნიათ და ამას გაუდა ფიქრობდა, რომ ბეჩაეი ხალხისთვის სიმხდალე ერთ  
გვარი ეალდებულეება. მაგრამ ამ ამბავმა ისე შეაწუხა რომ დიდს ხანს გონება-  
ზე ეელარ მოვიდა.

დედაკაცმა მადა დაჰკარგა და სჩიოდა, რომ ქამა აღარ შეეძლო სწორედ იმ  
დროს, როცა საქმელი ბლომად ჰქონდა, წინანდებურად თაყვანს სკემდა თავის  
შვილს, მაგრამ ფიქრსაც ვერ ბედაედა იმ საშინელ თანამდებობაზე, რომელსაც  
ის ასრულეებდა; უხაროდა, რომ უმეეარი დედაკაცი იყო და შვილის განსჯა არ  
შეეძლო.

ამ ბეჩავმა დედაკაცმა სკიერში ძეელი კრიალოსანი ნახა, რომელსაც კა-  
თოლიეები ლოკვის დროს ხმარობენ; მან კარგად არ იცოდა მისი მობნარა, მაგ-  
რამ მაინც ეჭირა მართოლეეარე ხელებით. სიბერემდე ისე იცხოვრა, რომ რე-  
ლიგია არ გახსენებია, ახლა კი უტეებ მორწმუნე გახდა; მთელი დღე კერას უჯ-  
და და ღმერთს შვილისა და კეთილი ბატონის ბროტტოს ხსნას შესთხოედა.



ქართული

ხშირად ელოდი ესტუმრებოდა: მათ ეშინოდათ თვალის თქმისა და უნნიშენელი საგნებზე ლაპარაკობდნენ.

პლუვიოზის ერთს დღეს, როცა თოვლი ბარდნიდა, ცა დაბნელებული იყო, ხოლო ქალაქის ქუჩები დაყრუებული, მოქალაქე გამლენის ქვრივს კარზე კაკუნი მოესმა. ბინაში მარტოდ მარტო იყო და ცოტა არ იყოს შეერთა: უკანასკნელ დროს მცირედი ხმაურობა იყო საკმაო, რომ ტანში ტრუანტელი ეგრძნო. კარი გააღო. ოთახში შემოვიდა თვრამეტი თუ ოცი წლის ყმაწვილი; ჭუდი არ მოუხდია, მწვანე ტანისამოსი ეცვა, სამწავი საყელო მკერდსა და ზურგს უფარავდა. ფეხზეც ინგლისური გადაკეცილი ჩექმები ეცვა. წაბლის-ფერი თმის კულულები ყურებზე სცენდა. ატელიენი შუა ადგილას გაჩერდა, თითქო მთელი იმ მკრთალი სინათლის შესრუტვა უნდოდა, რომელიც პერის სარკნელში შემოდიოდა და რავდენიმე წუთს უსიტყვოდ და უმოძრაოდ იდგა.

შემდეგ, როცა შეამჩნია, რომ მოქალაქე გამლენის ქვრივი გაშტერებული უკჭეროდა, მან სთქვა:

— შენს ქალს ვერ სცნობ?...

დედაბერმა გაოცების ნიშნად ხელი ხელს შემოჰკრა:

— იულია!.. ეს შენა ხარ?.. ღმერთო ჩემო, ნუ თუ შესაძლებელია?

— ჰო, მე ვარ! მოდი, გადამკოცნე, დედა.

მოქალაქე გამლენის ქვრივმა გულში ჩაიკრა ქალი და მის საყდლოზე ცრემლები დააფრქვია, შემდეგ შეშფოთებული სახით წამოიძახა:

— შენ, პარიზში ხარ!

— ეჰ, დედა ჩემო, მარტო მე ხომ არ დაებრუნებულვარ?... მე ვერ მიცნობენ ამ ტანსაცმელში.

მართლაც მამაკაცური ტანისამოსი ფარავდა მის ფორმებს და ეს ქალი იმ ყმაწვილ კაცებს ჰგავდა, რომელნიც გრძელ თმას შუაზე იყოფდნენ. მას ნატიფი და სანდომიანი სახე ჰქონდა, მაგრამ მზე მოკიდებოდა, ლოყები ჩავარდნოდა და დაღლილობა ეტკობოდა; გამომეტყველება კი თამამი და ვაგაკური ჰქონდა. წერწეტი იყო, გრძელი და პირდაპირი ფეხები და ძალდაუტანებელი ხელების მოძრაობა ჰქონდა; მხოლოდ წკრიალა ხმას შეეძლო ეს ქალი გაეცა.

დედამ ჰკითხა, ხომ არ შიოდა. მან უპასუხა, რომ სიამოვნებით ხტამდა და როცა სუფრაზე პური, ლენიო და ლორი დაუწყვეს, იდაყვით სუფრას დაეყრდნო და ხარბად დაიწყო კვამი, მაგრამ ამასთანვე ლაზახად, როგორც ღმერთქალმა ცერერამ ბებერი ბობოს ქოხში.

შემდეგ, პირზე ჰქვა არ მოეშორებია, ისე იკითხა:

— დედა ჩემო, იცით თუ არა, როდის დაბრუნდება ჩემი ძმა? მასთან მოსალაპარაკებლად ვარ მოსული.

დედამ ქალს ნალვლიანად შეხედა, მაგრამ არაფერი უპასუხა.

— აუცილებლად უნდა ვნახო. ამ დილას ჩემი ქმარი დაიჭირეს და ლუქსემბურგში მიიყვანეს.

ის „ქმარს“ უწოდებდა ფორტიუნე დე ბასსანს, ყოფილ კეთილშობილსა და ოფიცერს ბუიეს რეგიმენტიდან. მან ქალი შეიყვარა, როცა ეს უკანასკნელი





ერეკნული

შოდების მალაზიის მოსამსახურე იყო ლომბარდიელების ქუჩაში მარტო და თან გაიყოლა ინგლისში, სადაც გადასახლდა ათი აგვისტოს შემდეგ. ქალ-ვაგი არ დაქორწინებულან; მაგრამ იუღია რიგიანობის გულისთვის თავის საყვარელს ქმარს უწოდებდა დედის წინაშე და თავის გულში ამბობდა, რომ ვაჭირვებამ ისინი კარგად შეაუღლა, რომ უბედურება იგივე წმინდა საიდუმლოება იყო.

მათ არა ერთი ან ორი დამე გაუტარებიათ სკამზე ლონდონის პარკში. ხშირად პურის ნაფუკქვენები უგროვებიათ პიკადილის რესტორანებში.

დედა წინანდებურად არაფერს ეუბნებოდა და ნაღვლიანად შესტკეოდა.

— დედა ჩემო, ჩემი ლაპარაკი არ გესმის? დრო მიდის, საჭიროება მოითხოვს, რომ ახლავე ევარისტი ვინახულო; მარტო მას შეუძლია ფორტიუნეს ვადარჩენა.

— იუღია, უბასუხა ბოლოს დედამ, სჯობია, რომ ძმას არაფერი უთხრა.

— როგორ? რას ამბობ, დედა ჩემო?

— გეუბნები, რომ სჯობია თუ ბატონ დე ბასსანის შესახებ ძმას არაფერს ეტყვი.

— დედა, კი მაგრამ ეს რომ აუცილებლად საჭიროა!

— შეილო, ევარისტი ბატონ დე ბასსანს არ აპატიებს ზენს მოტაცებას.

შენ იცი, როგორ გულმოსული იყო მასზე, რა სახელებს არ უწოდებდა.

— ჰო, გამრყენელს უწოდებდა, სთქვა იულიამ მწარე სიცილით და მხრები აიჩჩა.

— შეილო, ის მომაკვდინებელ შეურაცხყოფას გრძნობდა. ევარისტმა გადასწყვეტა აღარასოდეს არ ელაპარაკა ბატონ დე ბასსანზე. და იმ ორი წელიწადია, რაც მას ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია არც შენზე, არც მასზე. მისი გრძნობები არ გამოცვლილა; შენ მას კარგად იცნობ: ის თქვენ არ გამაპტიებს.

— ჰო, მაგრამ, დედა ჩემო, რა კი ფორტიუნემ შემიერთო... ლონდონში... საბრალო დედაბერმა თვალები და ხელები აღაპრო:

— საკმაოა, რომ ფორტიუნე არისტოკრატია, ემიგრანტი, ევარისტი მას ისე მოეპყრობა, როგორც მტერს.

— დედა, მიპასუხე: ბოლოს რაშია საქმე. განა თუ ევარისტს ვსთხოვ, რომ ბრალდებლისა და საყოველთაო თავდაცვის კომიტეტის წინაშე ფორტიუნესთვის იშუამდგომლოს, ის უარს მტყვეს?... მაგრამ ის ხომ მახინჯი ადამიანი ყოფილა, თუ ასე მოიქცა!

— შეილო, შენი ძმა პატიოსანი კაცი და გულკეთილი შეილია. მაგრამ ნუ სთხოვ, რომ ბატონ დე ბასსანის საქმეში ჩაერიოს... დამიჯერე იუღია; თავის აზრებს არ მიზიარებს, შეიძლება ვერაფერიც გამეგოს მისი... მაგრამ ის მსაჯულია. თავისი პრინციპები აქვს: სინიდისის მიხედვით მოქმედობს. იუღია, გირჩევ ნურაფერს სთხოვ:

— ახლა კი ვხედავ, რომ შენ მას კარგად სცნობ. ალბად იცი, რომ ის გულცივი, შეუბრალებელი, ბოროტი ადამიანია, არავითარი გრძნობა არ აქვს გარდა პატიმრობებისა და გულზევიადობისა. ამისდამიუხებდავად ყოველთვის ჩემს თავს გერჩია. როცა ერთად ვსტხოვრობდით, მას ნიმუშად მიყენებდით. მი-





ერეკნული

სი გაზომილი სიარული და მძიმე ლაპარაკი შენზე შთაბეჭდილებას უსწრებდა: მასში ყველა სათნოებას ხედავდი. მე კი ყოველთვის მკიცხავდი. მხოლოდ მანკს ამჩნევდი, მიტომ რომ გულწრფელი ვიყავი, ეცელქობდი და ხეებზე ავდიოდი. მე ყოველთვის გძვლდი. იმის მეტი არაფერ გიყვარდა, იცოდე, რომ შენი ევარისტის მეზობლები: ის ფარისეველია.

— დაჩემდი იულია: მე ყოველთვის კეთილი დედა ვიყავი როგორც შენთვის, ისე იმისთვის. შენ ხელობა შეგასწავლე. ჩემი ბრალი არ არის თუ შენ პატიოსან ქალად არ დარჩი და ჯვარს არ იწერ. გულით მიყვარდი და ახლაც მიყვარხარ. ვაპატიე ყოველივე და და მიყვარხარ. მაგრამ ცუდს ნურაფერს იტყვი ევარისტზე. ის გულკეთილი შეილია. ყოველთვის ზრუნავს ჩემზე. შეილო როცა მიმატოვე, როცა ხელობასა და პალაზის თავი დაანებე, რათა ბატონ დე ბასსანთან გეცხოვრა, რა უნდა მომსვლოდა უიმისოდ? თუ ის არა ყოფილიყო, სიღარიბეში მოკვდებოდი მშვიერ-მწყურვალად.

— ასე ნუ ლაპარაკობ, დედა ჩემო: კარგად იცი, რომ ფორტუნე და მე მზრუნველობას არ მოგაკლებდით, თუ ჩვენთვის პირი არ შეგეჭვია ევარისტის წყალობით. თავი დამანებე! იმას არ ძალუძს კეთილი საქმის გაკეთება; თუ თავი მოგაჩვენა, რომ თითქო შენზე ზრუნავდა, მხოლოდ იმისთვის, რომ შენთვის ჩემი თავი შეეძლებინა. იმას უყვარხარ?... ვანა მას შეუძლია ვისმეს სიყვარული იმას არც გული აქვს და არც სული. არავითარი ნიჭიც არ აქვს, სრულიად არავითარი. მხატვრისთვის უფრო ნაზი ბუნებაა საჭირო, ვიდრე მას აქვს.

იულიამ თვალი გადააფლო ატელიეში გამოუფენილს სურათებს და შეამჩნია რომ მის წასვლის შემდეგ არაფერი შეცვლილიყო.

— აი მისი სული! მან ეს მტყუნვარე და ცივი ხელი ტილოზე გადაიტანა. ეს ორესტი, რომელსაც მახინჯი პირი და სულელური გამომეტყველება აქვს და თითქო სარხეა ჩამოცმული, თვით მას ჰგავს თავიდან ფეხებამდე... დედაჩემო, შენ არაფერი გესმის, მე ხომ არ შემიძლია ფორტიუნე სატუსალოში დავსტოვო შენ მათ იცნობ, იაკობინელებს, პატრიოტებს, ევარისტის მთელს ჯოდოს. ისინი მას მოჰქლავენ. დედა, ჩემო კარგო, ჩემო დედიკო. მე არ მინდა, რომ ის მომიკლან. მე ის მიყვარს, ძალიან მიყვარს! ისე გულკეთილად მეტყეოდა, ჩვენ ისეთი უბედურები ვიყავით ერთად! შეხედე, ეს ტანსაცმელი მისია. პერანგიც აღარ მქონდა. ფორტიუნეს შეგობარმა ეილეთი მათხოვა და ლიმონადის გაუიღვა დაეიწვე ღვერში, ხოლო თვით ფორტიუნე ამ დროს დალაქთან მუშაობდა. ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ საფრანგეთში დაბრუნება დიდ ხიფათს წარმოადგენდა ჩვენთვის; მაგრამ ჩვენ გვკითხეს, შეგვეძლო თუ არა პარიზში წამოვსულიყავით მნიშვნელოვანი დაეალების შესასრულებლად... ჩვენ დავთანხმდით: ეშმაკთანაც კი წავიდოდით ამ დაეალების შესასრულებლად. გზის ხარჯები გავვისტუმრეს და ჩემი მოგვეცეს ერთი პარიზელი ბანკირის სახელზე, მისი ბიუროები დაკეთილი დაგვხვდა: თვით ბანკირი დაჭერილია და ჩქარა თავს მოაკვეთენ გილოტინაზე. ჯიბეში არც ერთი ლუიდორი არ დავრჩინია. ყველა ის პირები, რომელთანაც კავშირი გექონდა, გაქცეულნი არიან ან დატუსალებულნი არც ერთი კარი არ დარჩენილა, სადაც შეგვიძლია დაეაკაუნოთ. თვლაში ვი-

ძინებდით „უთაჲო ქალის ჭუჩახე“. ერთმა გულშემატკივარმა ჩექმების მწმენ-  
დავმა, რომელიც იქ ჩალაზე იძინებდა ჩვენთან ერთად, ჩემს საყვარელს ერ-  
თი ჩოთქი და ერთიც სანახევრად ცალიერი ვაქსის კოლოფი მისცა. ფორტი-  
უნე ორი კვირის განმავლობაში ჩექმებს სწმენდდა „გრევის მოედანზე“ და ამრი-  
გად თავს ვირჩენდით. მაგრამ ორშაბათს კომუნის ერთმა წევრმა ფეხი დასდგა  
უთაზე და ჩექმები ვააწმენდია. ის ყოფილი ყასაბი აღმოჩნდა, რომელსაც ერთს  
დროს ფორტიუნემ-პანჩური ჰკრა მუშტრების წონაში მოტყუებისათვის. როცა  
ფორტიუნემ თავი აიღო, რომ თავისი ორა სუ მოეთხოვა, ამ არამზადამ იცნო,  
არისტოკრატი უწოდა და დაემუქრა, რომ დაიჭერდა. ბრბომ თავი მოიყარა.  
შევრი რიგიანი აღამიანი იყო, მაგრამ რავდენიმე გარეწარიც ერია; მათ დაი-  
ძახეს: „სიკვდილი ემიგრანტსო! და ეიანდარმებს დაუძახეს. ამ დროს წვენი მიმ-  
ქონდა ფორტიუნესთვის. დაეინახე როგორ წაიყვანეს სექციაში და როგორ დაამ-  
წყვდიეს წმინდა იოანეს ეკლესიაში. მინდოდა გადავხვეოდი გამოთხოვებისას  
გულზე ხელი მკრეს. მთელი ღამე ეკლესიის საფეხურზე გავატარე ძალიერით...  
დღეს დილით წაიყვანეს....

იულიამ ველარ დაამთავრა; ქვითინი აღჩობდა.

ქული იატაკზე დაავდო და დედის წინ დაიოქა:

— ამ დილით ლუქსემბურგის ციხეში წაიყვანეს. დედა, დედა, მიშველე  
შვიბრალე შენი ქალი!

ცრემლები ღაბაღუბით ჩამოსდიოდა; ეილექტი გაიხსნა, თითქოს უნდოდა,  
რომ დედას უკეთ ეცნო ქალი და საყვარელი: მკერდი გაიღვლა; დედის ხელები  
მთრთოლვარე ძუძუებზე მიიღო.

— ჩემო ძვირფასო, ჩემო იულია, ჩემო იულია! ამოიხრა დედაკაცმა.

და ცრემლებით დასველებული სახე ახალგაზრდა ქალს ლოყაზე მიადო.

რავდენიმე წუთის განმავლობაში უსიტყვოდ ისხდნენ. საბრალო დედა ფიქ-  
რობდა, როგორ ეშველა ქალისთვის, ხოლო იულია მას ცრემლებით დანამულ  
თვალებში ჩასცქეროდა.

„შეიძლება, ფიქრობდა დედაკაცი, თუ ევარისტს მოველაპარაკე, როგორ-  
მე მოვალბო. ის გულკეთილი და ნაზია. ის რომ პოლიტიკას არ გაექვევებინა და  
იაკობინელების გაილენას არ დაქვემდებარებოდა, ამ სისასტიკეს არ გამოიჩენდა,  
რომელიც მე მადრთობს. მიტომ რომ არაფერი გამეგება მისი“.

მან ხელში აიღო იულიას თავი:

— ყური დამიგდე, შეილო. ევარისტს მოველაპარაკები. მოვამზადებ შენს  
შესახვედრად, მოსასმენად. შენ დანახვას შეუძლია გაალიზიანოს, მეშინია პირ-  
ველი მოძრაობისა... გარდა ამისა, ვიცი, რომ ეს ტანსაცმელი მას გააბრაზებს;  
ის მკაცრია ზნეცულებისა და წესიერების საკითხში. თვით მე ცოტა არ იყოს  
გამაკვირვა, როცა ჩემი იულია ბიჰის ტანსაცმელში დაეინახე.

— ეჰ, დედაჩემო, ემიგრაციამ და საშინელმა არეულობამ სახელმწიფოში  
ასეთი გადაცმა ჩვეულებრივ მოვლენად გაჰხადა, იდამიანს გადაცმა გიხდება,  
რომ ხელობა აწარმოვო, რომ დაიშალო, რომ სხვის პასპორტს ან მოწმობას  
შეეგუო.



ეროვნული  
ხელნაწილისა

— შე საბრალო, თავის გამართლება არ გკირია ჩემს თვალში. მე შენი დედა ვარ: ჩემთვის შენ მუდამ უმანკო ხარ. ევარისტს მოველაპარაკები, ვეტყვი რომ...

უცებ შეჩერდა. გრძნობდა რა იყო მისი შვილი: გრძნობდა, მაგრამ არ უნდოდა გამოტყუებულიყო.

— ის გულკეთილია, ის ჩემთვის... შენთვის ყოველივეს გააკეთებს, რასაც ვსთხოვთ. ორივენი უსახლგროდ დადილიანი იყვნენ და დადუმდნენ. იფლიამ დედას კალთაში თავი ჩაუდო და ჩაიძინა ბავშვივით. დედას კი ხელში კრილო-სანი ეკირა და სტიროდა: გრძნობდა, როგორ ყვებაკრეფით მოიპარებოდა უბედურება ამ თოვლიან წყნარ დღეს, როცა ყოველივე დადუმებული იყო, ფეხის ნაბიჯიც, ქუჩაც და ცაც.

უცებ გამახვილებული ყურით იგრძნო, რომ კაბეზე ვაგი ამოდიოდა.

— ევარისტია!... დაიმაღლე.

და ქალი თავის ოთახში შეაგდო.

— დღეს როგორ ხარ, დედა ჩემო?

ევარისტმა ქედი ლურსმანზე ჩამოჰკიდა, ლურჯი ტანისამოსი გაიხადა, სამუშაო ტანისამოსი ჩაიცვა და მოლბერტს მიუჯდა. ბოლო დროს ერთი სურათის ესკიზს აკეთებდა: გამოხატული იყო გამარჯვება, რომელიც სამშობლოსთვის განგვირულ ჯარისკაცს თავზე გვირგვინს ადგამდა. ამ სიუჟეტს დიდის აღურთოვანებით დაამუშავებდა, მაგრამ ტრიბუნალი მთელ დროსა და სულიერ ძალას ართმევდა და მისი ხელები დამძიმებული და გაზარმაცებული იყო უქმობისაგან.

ის ღლინობდა: „საქმე წაევა, კარგად წაევა“...

— შენ მღერი, შვილო, უთხრა დედაკაცმა; სჩანს გული მზიარული გაქვს.

— მზიარულად უნდა ვიყოთ, დედა ჩემო: კარგი ამბები მოგვდის. ვანდეა მოდრეკილია, ავსტრიელები დამარცხდნენ; რეინის არმიამ ლაუტერნის და ვილსენბურგის ხაზი გადალახა. ახლოვდება დღე, როცა გამარჯვებული რესპუბლიკა გულშტაქინელობას გამოიჩინს. მაგრამ რატომ ხდება, რომ შეთქმულთა სითამამე მატულობს რესპუბლიკის გაძლიერებასთან ერთად და მოლაღატებები ახერხებენ სამშობლოსთვის ფარულად მახვილის ჩაცემას, მაშინ როცა თვით ის თავის მტრებს აშკარად მუსრავს?

მოკალაქტე გაიღინის ქვრივი წინდას ქსოვდა და დროგამოშვებით შეიღს სათვალეს ზემოდან გასცქეროდა.

— შენი წინანდელი მოდელი ბერზელიუსი იყო და ათი ლივრი ითხოვა. შენ რომ გემართა: მივეცი კიდევ. პატარა ეოზეფინას მუცელი სტკივა: ბევრი მურაბა უჭამია დურგლისას. ბალახის ნახარში მოეუმხადე... დემამ იყო, შენი ნახეა უნდოდა; ძალიან ინანა, რომ შინ ვერ ვნახა. მას უნდა გრავიურა გააკეთოს შენი კომპოზიციის ერთი სიუჟეტიდან. დიდათ ნიკიერ ადამიანთა გოგლის შენი ესკიზები დაათვალიერა და ძალიან მოეწონა.

— როცა მშვიდობიანობა დამყარდება და შეთქმულობა ჩაქრება, სტკე-



ერეკნული

მხატვარმა, ჩემს ორესტს დაეუბრუნდები. თავის ქება არ შეიკავს; მსგავს ეს თავი ღირსია დავიღისა.

მან ფართო ხაზის მოსმით თავისი გამარჯვების ხელი აღნიშნა ტილოზე.

— მას ხელში ბზა უჭირავს. მაგრამ უშჯობესი იქნებოდა, რომ თვით ხელები ბზის ტოტები ყოფილიყვნენ.

— ევარისტ!

— რა იყო დედა?

— ცნობა მივიღე... გამოიციან ვისგან...

— არ ვიცი...

— იულისასგან... შენი დისგან... ის ბედნიერი არ არის.

— სკანდალი იქნებოდა, რომ ბედნიერი ყოფილიყო.

— ასე ნუ ლაპარაკობ, შეილო: ის შენი დაი არის. იულია ცუდი გულის არ არის; უბედურებამ მასში კარგი გრძნობები აღზარდა. შენ უყვარხარ. გარწმუნებ, ევარისტ, რომ სკდილობს შრომასა და წესიერ ცხოვრებას დაუბრუნდეს და თავისიანებს დაუახლოვდეს, თქვენს შეხვედრას ხელს არაფერი უშლის. მას ფორტიუნე ბასსანი შეურთავს.

— წერილი მოგწერა?

— არა

— მაშ სიდან იცი მისი ამბები?

— წერილით კი არ შემიტყვია; ისინი... ვაჟი წამოვარდა და საზარელი ხმით წამოიძახა:

— დაჩემდი, დედა ჩემო! არ მითხრა, რომ ისინი საფრანგეთში დაბრუნდნენ... თუ ისინი უნდა დაიღუპნენ, დაე, ეს ჩემი ხელით მაინც ნუ მოხდება. თქვენი გულისთვის, მათი გულისთვის, ბოლოს ჩემი გულისთვისაც ისე მოიქეცი რომ მე არ ვიყოდე, თითქო ისინი პარიზში არიან... ნუ მაიძულებთ ეს ვიყოდე; წინააღმდეგ შემთხვევაში...

— რა გინდა სიტყვა, შეილო? განა შენ მოინდომებდი, გაბედავდი?...

— დედა ჩემო, ყური დამიგდე: რომ ვიყოდე, რომ ჩემი და იულია იმ ოთახშია... (დაკეტელ კარს მიუთითა), ახლავე წავიდოდი და ჩვენი სექციის ზედამხედველობის კომიტეტთან დავასწენდი.

საბრალო დედაკაცს ფერი წაუვიდა, ხელიდან საქსოვი გააგდო და მისუსტებული ხმით წაიჩურჩულა:

„არ მინდოდა დამეჯერებინა, მაგრამ ახლა კარგად ვხედავ: ეს მართლაც მახინჯი ადამიანია...“

ევარისტო კი დედასავით გაფითრებული და პირზე ღორბლმორეული გარედ გაეარდა და ელოდისთან გაიქცა, რათა ქალის გვერდით თავდავიწყება და ძილი ეგემნა ეს ტკბილი წინათგრძნობა არ ყოფნისა.

X X

სანამ მამა ღონგებარსა და ათენაისს სექციაში დაჰკითხავდნენ, ბროტო ორ ეანდარძს ჩააბარეს და ლუქსემბურგისკენ გაისტუმრეს. მაგრამ ციხის მცველმა



ტუსალი არ მიიღო: მოიმიზეზა, რომ ადგილი არ მაქვსო. ამიტომ ის კონსიერენციით წაიყვანეს და პატარა კანცელარიაში შეიყვანეს, რომელიც შუშაბანდიანი კედლით ორად იყო გაყოფილი. სანამ მოხელე მის სახელსა და გვარს ტუსალების სიაში შეიტანდა, ბროტტომ შუშაბანდში მეორე ოთახს დაუწყო თვალიერება: ქუჩიან მატრაცებზე ორი ადამიანი დაინახა, რომელნიც უმოდრად იწვნენ მიცვალებულივით და თითქო ვერაფერს ხედავდნენ. მათ გარშემო იატაკზე თევშები, ბოთლები, პურის ნამტვრევები და ხორცის ნაჭრები ეყარა. ეს სიკვდილით დასასჯელები იყვნენ და საბარგო ეტლს უცდიდნენ.

ყოფილი აზნაური დეზილერტი ჯურღმულში ჩაადგეს, სადაც ფარნას სინათლეზე ორი დაწოლილი ფიგურა დაინახა, ერთი პირქუში, უშნო, დამახინჯებული, მეორე ლაზათიანი და ნახი. მათ ახალმოსულს დაობებული და ტილებიანი ჩალა შესთავაზეს, რათა ის განავალით გაქუჩიანებულ მიწაზე არ დაწოლილიყო. ბროტტო უღონოთ დაეშვა სკამზე, თავი კედელს მიაყრდნო და გაშენდა. ისე ძლიერ იტანჯებოდა, რომ კედელზე თავს მიანთებებდა, ძალა რომ ჰქონოდა. სული ეგუბებოდა.

თვლები ებლანდებოდა. მისი უური მოიკცა ხანგრძლივმა ხმაურობამ, რომელიც წყნარი იყო, როგორც დუმილი, მთელი მისი არსება თითქო ნეტარ არყოფნაში ჩაიფლო. ერთი განუმეორებელი წუთის განმავლობაში ყოველივე მისთვის პარშონიათ, ნათელ სიხარულათ, სურნელებათ, სიტკბოებათ გადაიქცა. შემდეგ თითქო სიცოცხლე შეჩერდა.

როცა გონს მოვიდა, დაენანა, რომ ეს ნეტარი მდგომარეობა ვათავდა. ის ფილოსოფოსად რჩებოდა უკიდურეს სასოწარკვეთილებაში და ფიქრობდა რომ ორმოში უნდა ჩაშვებულიყო გილიოტინის ლოდინში, რათა სიკვდილი ისეთ სიამოვნებათ მოსჩვენებოდა, რომლის მზგავსი არასოდეს უგემნია. შეეცადა ხელახლა დაბნედილიყო, მაგრამ ვერ მოახერხა. პირიქით, გრძობდა, რომ ჯურღმულის მოწამლულ ჰაერს სიცოცხლის სითბოსთან ერთად აუტანელი უბედურების შეგნება მოჰქონდა.

მისმა ორმა ამხანაგმა მისი დუმილი სასტიკ შეურაცხყოფად მიიღეს, ბროტტო, როგორც ვულგაშლილი ადამიანი, შეეცადა მათი ცნობის მოყვარეობა. დაექამყოფილებინა; მაგრამ როცა მათ გაიგეს, რომ ის ეგრედ წოდებული „პოლიტიკოსი“ იყო, ე. ი. ერთი იმათგანი, ვინც სიტყვის ან აზრის დანაშაულს სჩადიოდა, პატივისცემა და თანაგრძნობა დაჰკარგეს. ამ ორი ტუსალის დანაშაული ბევრად უფრო მძიმე იყო: უფროსი მათგანი კაცის მკვლელი იყო, მეორეს ყალბი ფულის ბეჭედა ეღებოდა ბრალად. ორივენი უკვე შეჩვეულნი იყვნენ თავიანთ მდგომარეობას და ერთნაირ კმაყოფილებასაც კი გრძნობდნენ. ბროტტოს უცებ მოაგონდა, რომ ზემოთ ყოველივე მოძრაობდა, ხმაურობდა. სინათლისა და სიცოცხლის ატმოსფეროში იყო გახვეული, რომ „პალეს“ ლამაზი გამყიდველი ქალები დახლიდან უღიმოდნენ ბედნიერ და თავისუფალ გამველუ-გამომველულებს და ამ იდეაჰ კიდევ უფრო გააძლიერა მისი სასოწარკვეთილება.

მოვიდა ლამე, შეუმჩნეველი ჯურღმულის სიბნელესა და დუმილში, მაგ-



ეროვნული

რამ მძიმე და სვედიანი. ბროტტომ ერთი ფეხი სკამზე გაშალა და სხვა ფეხს დადგო. მისი მზერა და ჩასთვლიმა. დაეისიზმრა თითქო ჩრდილოვანი წიფლის ხის ქვეშ იჯდა და ფრინველების ჭიკჭიკს ისმენდა; ჩამავალი მზე მდინარეს აღის-ფრად ღებავდა, ხოლო ღრუბლების ნაფლეთები მუქად შეწითლებულიყვნენ. ღამე გათავდა. ბროტტოს საშინლად გააცვივა, წყალს პირდაპირ დოჭიდან სვამდა ხარბად, მაგრამ ეს კიდევ უფრო ალღიეებდა მის ავადმყოფობას.

მეორე დღეს ციხის მცველმა ბროტტოს წვენი მოუტანა და ალუთქვა, რომ ცალკე საკანში გადაიყვანდა, როგორც კი ადგილი განთავისუფლდებოდა. ამისთვის მხოლოდ ცოტათი ფულს გამოღება იყო საჭირო. მართლაც მესამე დღეს ყოფილი ხარკის მოიჯარადრეს წინადადება მისცა ჯურღმულიდან ამოსულიყო. როცა ბროტტო კიბეზე ადიოდა, გრძნობდა, რომ თან და თან ძალა და სიცოცხლე ემატებოდა და როცა წითელი იატაკიან ოთახში შეიყვანეს, სადაც დასაკეცი საწოლი იდგა და ძველი შალის საბანი ეშალა, ტირილი დაიწყო სიხარულისაგან. მას ეგონა, რომ ეს ლოგინი მეტ სიამოვნებას აღუთქვამდა, ვიდრე მოვარაყული მტრედებით შემკული საწოლი, რომელიც ერთ დროს ოპერის უმშვენიერესი ქალისთვის გააკეთებინა.

ეს დასაკეცი საწოლი დიდს, საკმაოდ სუფთა ხალაში იდგა, სადაც კიდევ ჩეიდმეტი საწოლი იყო ჩამწყობებული; ამ საწოლებს ერთი მეორისგან მაღალი ფიკრული ჰყოფდა. ხალაში მოთავსებული საზოგადოება ყოფილ კეთილშობილებისა, ვაჭრებისა, ბანკირებისა და ხელოსნებისგან შესდგებოდა; ის მოეწონა ბებერ მეზვერეს, რომელიც ადვილად ეგუებოდა ყოველგვარ ადამიანებს. მან შეამჩნია, რომ თუმცა ეს ადამიანები მოკლებულნი იყვნენ ყოველივე სიამოვნებას და სიკეთეს ჯალათის ხელიდან ელოდნენ, მაინც მხიარულად იყვნენ და კიდევ ხუმრობდნენ. რადგან ბროტტო ადამიანზე აგრე დიდი აზრის არ იყო, თავის თანაბინადრების მხიარულობას მათი თავკარიანობით ხსნიდა, რომელიც მათ ხელს უშლიდა თავიანთი მდგომარეობა ყოველმხრივ გაეთავლისწინებიათ. ამ აზრს ადასტურებდა ის გარემოება, რომ უფრო გონიერნი მათ შორის ღრმად დამწუხრებულნი იყვნენ. აგრეთვე ჩქარა შეამჩნია, რომ უმრავლესობა ღვინოსა და არაყში ეძებდა მხიარულების წყაროს და ამიტომ მათ თავის შექცევას მძაფრი და ცოტა არ იყოს გიჟური ხასიათი ეძლეოდა. ყველანი არ იყვნენ გამბედავნი; მაგრამ ყველა გამბედაობას იჩენდა. ბროტტო არ გაუგებრებია ამ გარემოებას; მან იცოდა, რომ ადამიანები ადვილად აჩენენ სისასტიკესა, ბრანია-ნობასა, თვით სიძინწეს, მაგრამ სიმბდალეს მალავენ, მიტომ რომ მხდალ ადამიანს მონაკვდინებელი საფრთხე მოელის არა მარტო ველურების შორის, არამედ განათლებულ საზოგადოებაშიც. ამიტომ არისო, ფიქრობდა ის, რომ ყოველი ხალხი გმირების ხალხია და ყოველი ჯარი ვაჟკაცებისაგან შესდგება.

ღვინოსა და არაყზე მეტად ტუსალებს იარაღის და კლიტეების ჩხარუნნი, დარაჯების ძაბილი, გარედან მოსულ მოქალაქეების ფეხის ბაკუნნი ათრობდა. მელანქოლიასა, სიგიჟესა და გაათფრებას იწვევდა. ზოგიერთი სამართებლით ეკლს იჭრიდა ან ფანჯარაში ვარდებოდა.

სამი დღის შემდეგ, რაც ბროტტო ამაღ საკანში დასახლდა, მან დარა-



ერეკლესი

ჯის შემწეობით ვაიგო, რომ მამა ლონგემარი დამხალ, მატლემან ჩალმზე ტან-  
ჯება ქურდებსა და კაცის მკვლელებთან ერთად. მან ის ზემოდ ამოაყვანიხა  
და თავის გვერდით მოათავსა განათავისუფლებულ საწოლზე. ბროტტომ თავს  
იღვა ბერის ხარჯების ვასტუმრება, მაგრამ რადგან ჯიბეში ბევრი არაფერი  
ჰქონდა, გადაწყვიტა პორტრეტები ესატა თითო ეკიუთ. ამისგარდა დარა-  
ჯის შემწეობით პატარა შავი ჩარჩოები შეიძინა, რომელშიც თმიდან დაწნულ  
სურათებს ათავსებდა. ყოველივე ეს დიდით ფასდებოდა ამ ადამიანების მიერ,  
რომელთაც რაიმე სამახსოვრო ნივთის დატოვება უნდოდათ.

მამა ლონგემარი სულით არ ეცემოდა. რევოლუციურ ტრიუმფალის ლო-  
დინში თავის დასაცავად ემზადებოდა. თავის საქმეს არ აცალკევებდა ეკლე-  
სიის საქმისაგან და გადაწყვეტილი ჰქონდა მსაჯულებისთვის აეხსნა რა არე-  
დარევა და სკანდალი მიაყენა იესო ქრისტეს სარძლოს, კათოლიკე ეკლესიას,  
სამღვდელოების სამოქალაქო კონსტიტუციამ; მას ციტატები მოჰქონდა გრი-  
გოლ დიდისა და წმინდა ირინეის ნაწერებიდან, საეკლესიო უფლებებიდან და  
პაპების დეკრეტებიდან.

მთელი დღე ის საწოლთან იჯდა, მუბლზე ქალაღი ედო და რალაცს  
სწერდა: კალამს ხან მელანში აწებდა, ხან გახსნილ მჭვარტლში, ხან სქელ ყა-  
ვაში, გაურკვეველი ნაჯღაბნით შესახვევ ქალაღს, გაზეთებს, წიგნების ყდებს,  
სათამაშო ქალაღებს ფარავდა და ფიქრობდა ამ მიზნით თავისი პერანგიც  
გამოეყენებია, მხოლოდ წინასწარ გაეკრახმალებინა. ფურცელს ფურცელზე  
აწყობდა და ამბობდა:

— როცა ჩემი მსაჯულების წინაშე წარვსდგები, მათ სინათლით დავა-  
ბრმავებ.

ერთ დღეს მან კმაყოფილი თვალით შეხედა თავის ქალაღის გროვას,  
თავისი მოსამართლეები წარმოიდგინა და წამოიძახა:

— მე არ ვისურვებდი მათ ადგილას ყოფნას! ტუსალები, რომელთაც ამ  
ჯურღმულში ბედმა მოუყარა თავი ან როიალისტები იყვნენ ან ფედერალისტე-  
ბი: მათ შორის ერთი იაკობინელიც კი იყო; მათ სხვა და სხვა ნაირი შეხედუ-  
ლება ჰქონდათ სახელმწიფო საქმეების ხელმძღვანელობის შესახებ, მაგრამ არც  
ერთს აღარ ეტყობოდა ქრისტიანული რწმენის კვალი. ფელიანებიც, კონსტიტუ-  
ციონალისტებიც და ეროვნდლებიც, ბროტტოს მზგავსად ფიქრობდნენ, რომ  
ღმერთი უსარგებლო გამოგონებაა მათთვის, ხოლო საუცხოვო ხალხისთვის.  
იაკობინელები იეკოვის ადგილას იაკობინურ ღმერთს აყენებდნენ, რათა იაკო-  
ბინური იდეა რაც შეიძლება მაღალი სფეროებიდან ჩამოშვებულიყო დედამი-  
წაზე. მაგრამ არც პირველთ და არც უკანასკნელთ არ სწამდათ, რომ ადამიანი  
შეიძლება იმდენად უგუნური იყოს, რომ გამოცხადებული რელიგია იწამოს; ამას-  
თანავე ხედავდნენ, რომ მამა ლონგემარს კტუა არ აკლდა: ამიტომ მას ოინბა-  
ხად სთვლიდნენ. თუ ის ყოველ გზა ჯვარედინზე თავის რელიგიას აღიარებდა,  
ეს მათი აზრით ალბათ იმისთვის ხდებოდა, რომ წმინდანის როლისთვის  
მომზადებულიყო, და რადენადაც მეტს გულწრფელობას იჩენდა, მით უფრო  
ჰგავდა მატყუარას.





საქართველო

ბროტო ამაოდ სცდილობდა ამ ბერის კეთილსინდისიანებას და სწავლებას. თვით ბროტოს ნათქვამს არ სთვლიდნენ სრული რწმენის ღირსად. მისი იდეები იმდენათ თავისებურნი იყვნენ, რომ ფარისევლობის შთაბეჭდილებას იწვევდნენ და არავის აკმაყოფილებდნენ სავსებით. ის ჟან-ეკს მდაბალ და ცუდლელად აღაზიანათ სთვლიდა; პირიქით, ვოლტერი ლეაფებრიე ადამიანების ხარისხში აკყავდა, თუმცა საყვარელ ჰელვეციუსს, დიდოს, ბარონ პოლბახს კიდევ უფრო მაღლა აყენებდა. მისი აზრით უდიდესი გენიოსი საუკუნეში ბულანე იყო. დიდათ აფასებდა აგრეთვე ასტრონომ ლალანდს და დიუპუისს. „ვარსკვლავთა ხომლების წარმოშობის“ ავტორს, ხუმარა მეზობლები საბრალო ბარნაბელ ბერს ათასნაირად იმასხარავებდნენ, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევდა: მისი შემოტობა ყოველ მახეს შლიდა.

ტუსალები სცდილობდნენ როგორმე თავი დაეღწიათ გულისმღრღნელი კავშირისა და უსაქმობით გამოწვეული ტანჯვისთვის და დამას, ქალაქს და კამითელს თამაშობდნენ. მუსიკალური ინსტრუმენტის ქონა აკრძალული იყო. ვახშმის შემდეგ მღეროდნენ ან ლექსებს ამბობდნენ. ვოლტერის „ქალწული“ ცოტათი ამხიარულებდა ამ უბედურებს, მათ არ სწყინდებოდათ არჩეული ადგილების მოსმენა. მაგრამ რადგან მათთვის ძნელი იყო იმ საშინელი აზრის თავიდან მოშორება, რომელიც თითქო გულში ჰქონდათ ჩასობილი, სცდილობდნენ ის გაემსახარებიათ და ამიტომ ხან და ხან დაძინებამდე რეკოლუციურ ტრიბუნალს თამაშობდნენ. როლები გემოვნებისა და ნიჭის მიხედვით იყო განაწილებული. ზოგიერთი ბრალდებულსა და მსაჯულებს წარმოადგენდა, ზოგიერთი ბრალდებულსა და მოწვევებს, სხვები კიდევ ჯალითსა და მის მსახურებს. პროცესი ალკილებლად დასჯით თავდებოდა, დასასჯელს ლოკინზე აწვევდნენ და კისერს ფიცრის ქვეშ აყოფინებდნენ. შემდეგ სცენა ჯოჯობეთში გადატანდით. ვინც უფრო მარჯვე მსახიობი იყო, ზეწარში ეხვეოდა და მოჩვენებას არდგენდა. ერთი ახალგაზრდა ადვოკატი ბორდოდან, გვარად დიუმო, დაბალი, წავი, ელამი, კუზიანი, კოკლი, განსაზიერებული კოკლი ეშმაკი, რქებს იკეთებდა, მამა ლონგემარს ფეხებზე ეწყოდა და აუწყებდა, რომ საუკუნო ცეცხლი აქვს მისჯილი, იმიტომ რომ სამყაროს შემომქმედი შურიან, უმკურო, ბოროტ არსებად, სიხარულისა და სიყვარულის მტრად გადააქცია.

ახ! ახ! ახ! გაიძახოდა საზარელი ხმით ეს ეშმაკი, შენ ასწავლავდი, ბებერო, რომ ღმერთს მოსწონს, როცა მისი ქმნილება ცოდვებს იწინიებს და თავს იკავებს ამ ქვეყნიერ სიტკბოების მიღებისაგან. მატყუარავ, ფარისევლო, მუზმუხეღავ, ლურსმნების საჯდომზე დაჯექ და მუდამ კვერცხის ნაჭუჭებით იკვებე! მამა ლონგემარი უპასუხებდა, რომ ამ სიტყვაში ეშმაკის უკან ფილოსოფოსი სწნდა და რომ ყველაზე უმნიშვნელო ჭინკა ჯოჯობეთში ნაკლებ სისულელეს იტყოდა, მიტომ რომ ცოტა მაინც ცაკეთილი იყო თეოლოგიაში. და ყოველ შემთხვევაში ენციკლოპედისტებზე მეტი იყო.

მაგრამ როცა თირონდელი ადვოკატი მას ვაჟუკინელს ეძახდა, ის წითლდებოდა კარხალივით და ამბობდა, რომ ადამიანი, რომელიც ბარნაბელს ფრანკისკელისაგან ვერ არჩევს, ბუზსაც ვერ დაინახავს რძის ქოთანში.





რევოლუციური ტრიბუნალი აცალიერებდა სატუსალოებს, კომიტეტები ხელახლა აყენებდნენ: სამი თვის განმავლობაში თერამეტი ოთახი სანახევროდ განახლდა. მამა ლონგემარმა დაჰქარვა თავისი ეშმაკი. რევოლუციურმა ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა ადვოკატ დიუპოს, როგორც ფედერალისტს და ნილიანი რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულს. მან სხვა დასასჯელების მზგავსად საკნებს ჩამოუარა და ჩვეულებრივი მზიარული ტონით გამოემშვიდობა ამხანაგებს.

— მაპატიეთ, ბატონო, უთხრა მამა ლონგემარს, რომ ფებებზე გეწყოდით, როცა ლოგინში იწექით, ამიერიდან აღარ შეგაწუხებთ.

შემდეგ ბებერ ბროტოს მიუბრუნდა:

— მშვიდობით, წინ გაგისწართ არყოფნისკენ. სიამოვნებით ვუბრუნებ ბუნებას ჩემ შემადგენელ ელემენტებს და ეუსურვებ, რომ მომავალში უკეთ გამოიყენებინოს, მიტომ რომ უნდა ვალიარო, რომ შე ვერაფერი შვილი გამოიყვდი.

და ადვოკატი კანცელარიაში წაიკიდა. ბროტო დიდით შეწუხებული დარჩა, მამა ლონგემარი კი თრთოდა და მწვანე იყო ფოთოლივით; უფრო მკედარს ჰგავდა, ვიდრე ცოცხალს. განსაკუთრებით ამ უფსკრულის პირას მდგომარე ადამიანის უსჯულო ღიმილი ამწუნებდა.

როცა ერმინალის ნათელი დღეები დადგა, ვნებიანი ბროტო დღეში რადენჯერმე ჩადიოდა ეზოში, რომელიც ქალების განყოფილებასთან იყო შეერთებული; იქ შადრევანთან ტუსალი ქალები დილით, სარეცხს რეცხდნენ. ორ განყოფილებას რკინის მოაჯირი ჰყოფდა; მაგრამ მავთულები ინდენად დაწორებულნი იყვნენ, რომ ხელების გადაქდობა ან ტუჩების შეერთება ადვილად შეიძლებოდა. მოწყალე ღამის სიბნელეში იქ ქალ-ვაენი ერთმანეთს ეკვროდნენ. ამ დროს ბროტო მოკრძალებით კიბის ქვეშ იჯდა, ყავისფერი რედინგოტის ჯიბიდან პაწია ლუკრეცის წიგნს იღებდა ან ფარნის სინათლეზე სანუგეშო დარიგებებს კითხულობდა: „როცა ცოცხალი აღარ ვიქნებით, აღარაფერი აგ-ვაღელვებს, არც ცა, არც დედამიწა, არც ზღვა, რომელიც მის მიერ შემუსვრილ საგნებს ერთმანეთში აურევს“. მაგრამ თუმცა ბროტო სტკებოდა ამ მაღალი სიბრძნით, მაინც შურდა ბარნაბელი ბერის სიგივე, რომელიც მას სამყაროს უფარავდა.

ტერორი დღითი დღე ძლიერდებოდა. ყოველ ღამე მთერალი დარაჯები, რომელთაც უზარმაზარი ძაღლები ახლდათ, საკანიდან საკანაში გადადიოდნენ, საბრაღმდებლო ოქმებს ატარებდნენ, დამახინჯებულ სახელებს იმახოვნენ, ტუსალებს აღვიძებდნენ და ოკი მსხვერპლის გულისთვის ორასს აფრთხოზდნენ. ამ სისხლიანი აჩრდილებით სავსე კორიდორებში ყოველდღე ჩუმით, უცრემლოდ ოკი, ოკდაათი, ორმოცდაათი დასასჯელი გადიოდა, მოხუცი, დედაკაცი, ჰაბუკი, სხვადასხვა მდგომარეობის, ხასიათის, გრძნობის ადამიანები, ისე რომ ძალა-უნებურად კითხვა იზადებოდა, წილს ხომ არ იყრიდნენ ისინი.

სატუსალოში გრძელდებოდა ქაღალდის თამაში, ბურგუნდიული ღვინის სმა, პროექტების შედგენა, ღამის პაემანები რკინის მოაჯირთან. ციხის საზო-



ერეკნულნი

გადოება, რომელიც თითქმის საესებით განახლებული იყო, „ტვიღურესებისაგან“ და „შმაგებისაგან“ შესდგებოდა. ამისდამიუხედავად თვრამეტის საწოლის ოთახი წინანდებურად ღაზთიანობისა და კარგი ტონის სამყოფი იყო. გარდა ორი ტუსალისა, მოქალაქე ნავეტრისა და ბელიესი, რომელნიც ცოტა ხნის წინათ ლუქსემბურგიდან კონსიერჯერიში გადმოიყვანეს და „ბატენებს“ ე. ი. ჯაშუშებს ჰკავდნენ, დანარჩენნი ყველანი პატიოსანი ადამიანები იყვნენ და ერთმანეთს ენდობოდნენ. იქ თასით ხელში ხშირად რესპუბლიკის განარჯვებას დღესასწაულობდნენ. სხვათა შორის რადენიმე პოეტიც ერია, რომელნიც ყველგან ხშირად ხედებიან უსაქმო ადამიანების საზოგადოებაში. მათ შორის ვინც უფრო მარჯვე იყო, ოდებს სთხზავდა რეინის არმიის ტრიუმფის გამო და დიდის პათოსით კითხულობდა. მსმენელები აეტორს მქუბარე ტაშის ცემით აჯილოდებდნენ. მხოლოდ ერთად ერთი ბროტტო უკულოთ აქებდა განარჯვებულებს და მათ მგოსნებს.

— ჰომიროსის შემდეგ პოეტებს უცნაური ავადყოფობა დასჩემდათ, სახელდობრ მხედრების შესხმა, სთქვა მან ერთხელ; ომი ხელოვნება არ არის და ბრძოლის ბედს მხოლოდ შემთხვევა სწყვეტს. ორი მოწინააღმდეგე უკულო გენერლიდან ატვილებლად ერთმა ხომ უნდა გაიმარჯვოს. თქვენ მოესწრებით, — რომ ერთს მშვენიერ დღეს ეს მახვილით აღჭურვილი ადამიანი, რომელსაც ახლა აღმერთებთ, გადაგულაპავთ, როგორც იგავში წერო ბაყაყებს ყლაპავს, მაშინ ის მართლაც ღმერთი იქნება! მიტომ რომ ღმერთებს მათის მიხედვით სცნობენ.

სამხედრო დიდება არასოდეს არ მოქმედობდა ბროტტოზე. მას ოდნავაც არ ახარებდა რესპუბლიკის ტრიუმფი, რომელიც წინდაწინ ჰქონდა გათვალისწინებული. მას არ უყვარდა ახალი რეჟიმი, რომელსაც გამარჯვება იმაგრებდა. ის უკმაყოფილო იყო. ნაკლები მიზეზიც საკმაოა უკმაყოფილებისთვის.

ერთ დღეს გამოაცხადეს, რომ საყოველთაო თავდაცვის კომისრები ტუსალებს ვასჩხრეკენ და ქალაღის ფულს, ოქრო-ვერცხლს, დანებს და მკრატლებს წაიღებენ, რომ ასეთი ჩრეკა ლუქსემბურგშიც მოახდინეს და ტუსალებს წერილები, ქალაღები, წიგნები წაართვის.

ყველა შეეცადა დაემალა, რაც უფრო ძვირფასი ჰქონდა. მამა ლონგემარნი თავისი დასაცავი სიტყვა საწვიმარ მიღში შესტენა. ბროტტომ ლუკრეცი ბუზრის ნაცარში ჩაბულა.

რადენიმე დღის ლოდინის შემდეგ მოვიდნენ კომისრები სამფეოვანი ლენტებით ყელზე, საკნები გაჩხრიკეს, მაგრამ ისეთი ვერაფერი იპოვეს, რაც ნებადართული არ იყო. მათი წასვლის შემდეგ მამა ლონგემარი მიღს ეცა და თავის ნაწერების ნაშთი ამოიღო, რომელიც ქარს და წყალს გადაარჩნოდა. ბროტტომ გამჭყარტლული ლუკრეცი გამოიღო ბუზრიდან.

„დაესტკბეთ დღევანდელი დღით, გაიფიქრა მან, მიტომ რომ ზოგიერთი ნიშნის მიხედვით ვატყობ, რომ ვიწროდ მოზომილად დრო ლა დაგვრჩენია“.

ერთ თბილ პრერიღლის დამეს, როცა ახალი მთეარე სატუსაღოს ეზოს ვერცხლისფრად ანათებდა, ბროტტო ქეის კიბეზე იჯდა და ლუკრეცის კითხულობდა. უკებ ქალის ხმა მოესმა, ტკბილი ხმა, მაგრამ კი ვერ იცნო. ეზოში



ქართველთა  
მწიგნობართა  
კავშირი

ჩაიდა და რკინის მოაჯირთან უცნობი ქალი დაინახა, რომელსაც სახესი გამოურკვეველი და მომზიბლავი კონტურებით ყველა მისი საყვარელი ქალები მოაგონა. ცა მას ლაქვარდასა და ვერცხლში ჰბანდა. ბროტო მიუახლოვდა და უცებ ლამაზი მსახიობი ქალი იცნო, ფეიდოს ქუჩიდან, როზა ტვეენენი.

— თქვენ აქ რა გინდათ, მშენიერო ბავშვო? მტანჯველია ჩემთვის თქვენი ნახვით გამოწვეული სიაშოვნება. რადენი ხანია რაც აქ ხართ?

— გუშინს აქეთ.

და ქალმა ხმა-დაბლა დაუმატა:

— დასმენილი ვარ როგორც მეფის მომხრე, ბრალს მდებენ, თითქო დედოფლის გასანთავისუფლებლად მოწყობილ შეთქმულებაში მიმეღოს მონაწილეობა. რადგან ვიცოდი, რომ აქ იყავით, მაშინვე მოგძებნეთ. ყური დამიგდეთ მეგობარო... წინააღმდეგი ხომ არაფერი გაქვთ, რომ ამ სახელს ვიწოდებთ? მე ვიცნობ თანამდებობის პირებს; ვიცი რომ თანაგრძნობით შეპყრობიან თვით საყოველთაო თავდაცვის კომიტეტში. მეგობრებს ავამოძრავებ: ისინი მე გამანთავისუფლებენ, ხოლო მე შემდეგ თქვენ გაგანთავისუფლებთ.

მაგრამ ბროტომ მტკიცე ხმით უთხრა:

— გაფიცებთ ყოველივეს, რაც თქვენთვის ძვირფასია, არაფერი ჰქვნათ, ნურავის მისწერთ, ნურაფერს ითხოვთ; გაფიცებთ, ისე მოიტყეით, რომ დაგივიწყონ.

რადგან ქალმა, როგორც სჩანდა, ვერ შეიგნო კარგად მისი თხოვნა, ის მუდარის ტონზე გადავიდა:

— დადუმდით როზა, შეეცადეთ, რომ სრულიად დაგივიწყონ: მხოლოდ ამაშია ხსნა. თქვენი მეგობრების შუამდგომლობა მხოლოდ დააჩქარებს თქვენს დაღუპვას. დრო მოიგეთ. იმედი მაქვს რომ ცოტაა საძირო, ძლიერ ცოტა, რომ გადაარჩეთ... უწინარეს ყოვლისა ნუ ეცდებით, რომ მსაჯულების, ნაფიცების, გამლენის გრძნობაზე იმოქმედოთ. ისინი აღამაინებთ არ არიან. ისინი ნიეთები არიან: ნიეთებს ახსნა-განმარტებას არაფერს აძლევს. შეეცადეთ, რომ დაგივიწყონ. ჩემო მეგობარო, თუ ჩემ რჩევას დაიჯერებთ, ბედნიერად მოვეკედები, მიტომ რომ თქვენ მაინც გადაგარჩენთ.

ქალმა უპასუხა:

— კარგი, დაგიჯერებთ... ნუ ლაპარაკობთ სიკვდილზე.

ბროტომ მხრები აიჩეჩა:

— ჩემი ცხოვრება გათავებულია, ჩემო კარგო. იცოცხლეთ და ბედნიერი იყავით.

ქალმა ხელები გამოართვა და მკერდზე მიიღო:

— ყური დამიგდეთ, ჩემო მეგობარო... მე თქვენ მხოლოდ ერთხელ გნახეთ, მაგრამ მაინც გულგრილად არ გიკტვრით. და თუ იმას, რასაც გეტყვით, შეუძლია ხელახლა ცხოვრებას დაგაკავშიროთ, მერწმუნეთ, რომ თქვენთვის... ყველაფერს ვიზამ, რაც თქვენ გსურთ.

და მათი ტუჩები ერთმანეთს შეეწყებენ მოაჯირის ხლართებს შუა,

XX

ერთი ხანგაძლიერი სხდომის დროს ევარისტ გამლენი სკანზე თვალდახუ-  
კული იჯდა და ფიქრობდა:

„ბოროტმა ადამიანებმა, რომელთაც მარატი აიძულეს ჯურღმულებში და-  
მალულიყო, ის შინეგრის მელამურ ფრინველად გადააქციეს: ამიტომ მისი თვა-  
ლები ფარულ მოლაღატეებს წყვილიადში ზედავდა. ახლა მის მაგიერ ლურჯი,  
ცივი, წყნარი თვალი სჭერეტს სახელმწიფოს მტრებს და ისეთი გამჭრიახობით  
ააშკარავებს მათ, როგორც არ ჰქონდა თვით „სახლის მგობარს“, რომელმაც  
სამუდამოდ დაიძინა კორდელიერების ბაღში. ახალი მაცხოვარი ისევე გულმოდ-  
გინეა როგორც პირველი და კიდევ მეტად შორსმჭვრეტელია: ისეთ რასმეს ზედავს  
რაც არავის დაუნახავს, მისი ამართული თითი შიშის ხარს აფრცვლებს გარშემო.  
ის ზედავს უწერილმანეს ნაკეთებს, რომელიც ბოროტებას და სიკეთეს, მანკი-  
ერებასა და სათნოებას ჰყოფს; უმისოთ ყოველივე აირვეოდა სამშობლოსა და  
თავისუფლების საზიანოდ. ის პირდაპირ აყოლებს წერილ, შეურყეველ ხაზს,  
რომლის მარცხნივ და მარჯვნივ არაფერი რჩება გარდა შეცდომისა, დანაშაუ-  
ლისა და ბოროტმოქმედებისა. მოუსყიდავი რომესპიერი გვასწავლის, როგორ  
ვემსახურებოთ უცხოეთს გადაჭარბებითა და სისუსტით. უცხოეთის საქმეს აყე-  
თებდნენ არა მარტო ისინი, ვინც ლეგელტიე და მარატი სამსხვერპლოზე დაჰქ-  
ლეს, არამედ ისინიც, ვინც მათ თავყანს სტემენ ღმერთით და მათ ხსოვნას  
საბელს უტეზენ. უცხოეთის აგენტია, ვინც წყნარობის, სიბრძნის, ნართებულობის  
იდებს უცუადგებს, უცხოეთის აგენტია, ვინც ხნეწვეულებას სთელავს, სათნოე-  
ბას შეურაცხუავს და ღმერთს უარჰყოფს. ფანატიკოსი მღვდლები სიკვდილის  
ღირსნი არიან; მაგრამ არსებობს კონტრარევილიუციური მანერა ფანატიზმის  
წინააღმდეგ ბრძოლისა; არსებობს დამნაშავეთა ღვთის გმობა. ზომიერი ადამიან-  
ი ღუპავს რესპუბლიკას; მას ღუპავს აგრეთვე მძაფრი ადამიანი

„ოხ! რა მძიმეა მსაჯულის ვალდებულება, ნაკარნახევი უბრძნევი ადამიან-  
ის მიერ! საქორთა არა მარტო არისტოკრატების, ფედერალისტების, ორლე-  
ანის ფრაქციის არამზადების დათრგუნეა. შეთქმული ადამიანი, უცხოეთის აგენ-  
ტი ნამდვილი ქამელუონია და ყოველნაირ ელფერს ღებულობს, ის გვეჩვენება  
პატრიოტის, რევოლიუციონერის, მეფეების მტრის სახით; ის მგრძნობიარე გულს  
გვიჩვენებს, რომელიც თითქო მხოლოდ თავისუფლებისათვის სძვერს; ხმას იმალ-  
ლებს და შიშის ქრუანტელს იწვევს რესპუბლიკის მტრებში; ასეთია დანტონი.  
მისი სიცხარე ცუდათ ფარავს მის საზიზღარ ზომიერებას და ბოლოს ნათლად  
ჩნდება მისი გარყვნილება. შეთქმული ადამიანი და უცხოეთის აგენტი ის მჭერ-  
მეტყველი ბლუ, რომელმაც თავის ქედს პირველად მიაკრა რევოლიუციონერი კო-  
კარდა, ის პანფლეტისტი, რომელიც ირონიული და სასტიკი პატრიოტიზმით  
გატაცებული თავის თავს „ფანარის პროკურორს“ უწოდებდა. ეს არის კამილ  
დემულენი: მან თავის თავი უნებურად გასცა, როცა მოლაღატე გენერლებს იცა-  
და და უდროოთ ღმობიერებას ითხოვდა სისხლის სამართლის ზომებში. ასეთია  
ფილიპოსი, ჰეროცი, უბადრუცი ლაკრუაი. შეთქმულია და უცხოეთის აგენტი



საქართველოს მწერთა კავშირი

„მამა დიუბენი“, რომელმაც თავისუფლება შეებოლა მდებარე დემოკრატით და თვით მარია ანტუანეტა უხამსი ცილისწამებით საინტერესო პიროვნებათ გადააქცია. ასეთია აგრეთვე შომეტტი, რომელიც გულკეთილი, პოპულიარული, ზომიერი იყო კომუნის ადმინისტრაციაში, მაგრამ ის ათვისტია! შეთქმულები და უცხოეთის აგენტები არიან ყველა ეს წითელ ჩაჩიან და კარმანიოლიანი სანკიულოტტები, რომელთაც გიუფრი პატრიოტიზმი გამოიჩინეს და იაკობინელებს გადააქარბეს. შეთქმულია და უცხოეთის აგენტი ანახარზის კლოოტი. „ადამიანური ტომის ორატორი“ რომელსაც მთელი ქვეყნის მონარქიებმა სიკვდილი მიუსაჯეს; მაგრამ მისგან ყოველივე იყო მოსალოდნელი: ის პრუსიელი იყო.

„ახლა ყველა უს ზომიერები და უკიდურესები, ყველა ეს მოლაღატეები, დანტონი, დემულენი, ჰებერტი, შომეტტი დაილუნენ გილიოტინის ნაჯახის ქვეშ. რესპუბლიკა ვადარჩენილია; ყველა კომიტეტები და ყველა სახალხო კრებები ქება-დიდებას უგალობენ რობერპირებსა და მთას, ნაღდი მოქალაქეები გაიძახიან: „თავისუფალი ხალხის ღირსეულო წარმომადგენლებო, ტიტანების შვილებმა ამაოდ ასწიეს ზემოდ ზეიადი თავები: ქველო, მფარველო სინას მთავ, შენი მდულარე წიალიდან მხსნელი მეზი გამოვიდა...“

„ამ ქებადიდების კონცერტში ტრიბუნალს თავისი წილი აქვს. რატებილია სათნოება და რავდენად ძვირფასია პატიოსანი მსაჯულისთვის საზოგადოების მადლობა!

„მაგრამ ამასთანავე რავდენი რამ გასაკვირველი და შესაშფოთებელია პატრიოტული გულსთვის! განა ხალხის ინტერესის გასაცემად საკმაო არ იყო მირაბოს, ლაფაიეტის, ბაიის, პესიონის, პრისსოს ლალატი? საჭირო იყო კიდევ მათი დამატება, ვინც ეს მოლაღატეები გამოაშვარავა? განა ამ ადამიანებმა რევოლუტია იმისთვის გააკეთეს, რომ შემდეგ დაეღუნათ? ყველა ეს დიდი დღეების დიდი აეტორები პიტტთან და კობერვთან ერთად ორლენების და ლუი XVII გამეფებას ამზადებდენ. რაო, დანტონი მოლაღატე იყო? რაო, შომეტტი და ჰებერტისტები უფრო ვერაგები აღმოჩნდნენ, ვიდრე ფედერალისტები, რომელნიც თვით მათ გილიოტინაზე გაგზავნეს? მაგრამ განა არ შეიძლებოდა მათ შორის, ვინც დღეს უფსკრულში უბიძგებს ვერაგ დანტონებსა და ვერაგ შომეტტებს, ხვალ რომესპიერის ლურჯმა თვალიმა კიდევ უფრო ვერაგი ადამიანები აღმოაჩინოს? სად შეწყდება წყეული ჯაჭვი მოლაღატეებისა, რომელნიც ერთმანეთს სკემენ და სად შესდგება მოუსყიდვარი რომესპიერის შორსმჭვრეტელობა.

## XXI

იულია გამლენი თავის მწვანე მამაკაცურ ტანისამოსში გამოწყობილი ყოველ დღე დადიოდა ლუქსემბურგის ბაღში, იქ ხეივნის ბოლოში სკამზე ჯდებოდა და უცდიდა, როდის გამოჩნდებოდა მისი საყვარელი სასახლის საკმელთან. ისინი ერთმანეთს ნიშანს აძლევდნენ და მუნჯური ენით ლაპარაკობდნენ. ჭალმა ამ გზით გაიგო, რომ მის საყვარელს საკმაოდ კარგი ოთახი ჰქონდა, სა-



სამოცნო საზოგადოებრაში იყო, საბანი და პაწია ქვაბი სქირბობაში იქნა მისი  
იულია ძალიან უყვარდა.

მარტო იულია როდი უთვალთვალებდა, რომ ამ სატუსალოდ გადაქცეულ  
სასახლეში საყვარელი სახე დაენახა. მის გვერდით ხშირად ჯდებოდა ახალგაზრ-  
და დედა, რომელიც დაკეტილ თანჯარას შიშტერებოდა და როგორც კი ის  
გაიღებოდა, პაწია ბავშს მალლა ასწევდა. მახლობლად მთელი საათების განმავ-  
ლობაში დასაკეც სკამზე უმოდრაოდ იჯდა ხნიერი დედაცაკი არწივბიანი პირ-  
ბადით და ამოდ ელოდა ერთი წუთით თავის შვილის დანახვას; მის ვაჟს კი  
ეწინოდა გული არ აჩუყებოდა და სატუსალოს ეზოში საღამომდე დისკოს აგო-  
რებდა, სანამ ბალი არ დაიკეტებოდა.

ამ ხანგრძლივი ლოდინის დროს მეზობელ სკამზე ხშირად იჯდა ხნიერი,  
საკმაოდ მალაღ, მეტის მეტად სუფთა მამაკაცი, სათუთუნესა და საათის ძეწვეს  
ათამაშებდა და გაზეთს შლიდა, თუმცა არასოდეს არ კითხულობდა. ძვე-  
ლი ბურჯეზიული მოდის მიხედვით, მას სამეკუთბიანი მოვარაყული ქული ეხუ-  
რა, ლურჯი მოვერცხლული ეილეტი და სოსანი ტანსაცმელი ეცვა. მას პატი-  
ოსანი შეხედულება ჰქონდა; მემუსიკე უნდა ყოფილიყო, ჯიბეში ფლეიტის თა-  
ვი უწნდა. არც ერთი წუთით ის თვალს არ აშორებდა გადაცმულ ქალს, მუდმივ  
უღიმოდა და როცა ხედავდა რომ ის დგებოდა, თვითონაც დგებოდა და შო-  
რი ახლოს მისდევდა. საბრალო იულიას გულს უწუყებდა ამ კეთილი ადამიანის  
თანაგრძნობა.

ერთ დღეს, როცა ქალი ბალიდან გამოდიოდა, წვიმა წამოვიდა: ეს უც-  
ნობი გულკეთილი მამაკაცი მიუახლოვდა, თავისი ფართო წითელი ქოლგა გა-  
შალა და შესთავაზა. ქალმა ნაზი და წყრილა ხმით თანხმობა განაცხადა. მაგ-  
რამ ამ ხმის გაგონებაზე და შეიძლება აგრეთვე ქალის მიუწოდომელი სურნელებ-  
ბით შეწოთებული, მამაკაცი უცებ მობრუნდა და ჩქარის ნაბიჯით განშორდა;  
ქალდ მარტოდ მარტო დარჩა ქარიშხალში და თუმცა გულდამწუხრებული იყო,  
მინც ყოველივე იგრძნო და გაიღიმა.

იულია მანარდში სცხოვრობდა ბერბიდის ქუჩაზე და თავის თავს უად-  
გილოდ დარჩენილ შეფართლე-ნოქრად ასაღებდა: მოქალაქე გამლენის ქვრი-  
ვი დარწმუნდა, რომ მის ქალს ყველაზე დიდი საფრთხე შინ ელოდა და ამი-  
ტომ ტიონვილის მოედანსა და „ახალი ხიდის“ სექციას მოაშორა; მაგრამ შეძლე-  
ბისამებრ მინც შეელოდა საყვებისა და თეთრეულის მიწოდებით, იულია საჭ-  
მელს ანზადებდა, ლუქსეშბურჯში მიდიოდა თავის საყვარლის სანახავად და შემ-  
დეგ თავის მანარდში ბრუნდებოდა; ამ ცხოვრების ერთფეროვნება ანელებდა  
მის მწუხარებას და რადგან ის ახალგაზრდა და ლონიერი იყო, მთელი ღამე  
შეუშვოთებლად ემინა. ბუნებით გაბედული იყო, მდიდარი თავგადასავალიც  
ჰქონდა და მამაკაციური ტანსაცმელიც ათამაშებდა; ხშირად ღამეს „წითელ ჯვარ-  
ში“ ატარებდა, ტკბილი წყლების სავაქროში დიუფურის ქუჩაზე, სადაც ყო-  
ველი წრის მამაკაციები და მზიარული ქალები იყრიდნენ თავს. იქ გაზეთებს  
კითხულობდა ან კამათელს თამაშობდა ნოქართან ამ ჯარისკაცთან, რომელიც ჩი-  
ბუნს ცხვირში უბოლებდა. იქ სტუმრები სუამდნენ. თამაშობდნენ, ერთმანეთს



ერყენულნი

ესივეარულებოდნენ და ხშირად ჩხუბობდნენ კიდევ. ერთს სხვად მიუხედავად სტუმარმა ცხენების თქარათქურზე ფარდა გასწია, ნაციონალური გეარდის უფროსი იცნო, მოქალაქე ჰანრიო, რომელიც ცხენს მიანავარდებდა თავის შტამბთან ერთად და ჩაილულლულა:

— აი რომესპიერის სახეღარი.

ამ სიტყვების გაგონებაზე იულიას ხმაილა სიცილი წასკდა.

მაგრამ ამ დროს ულვაშებიანი პატრიოტი შეაკრად ჩაერია ლაპარაკში:

— ვინც ასე ლაპარაკობს, არისტოკრატია, რომელსაც არ აწყენს გილიოტინის ნაჯახი, წამოიძახა მან. გენერალი ჰანრიო ნაღდი პატრიოტია, რომელიც, თუ საჭიროებამ მოითხოვია, პარიზს და კონვენტს დიციავს. და სწორედ ამის ვერ აპატიებენ მას როიალისტები.

შემდეგ ულვაშებიანმა პატრიოტმა იულიას გადახედა, რომელიც კიდევ იცინოდა:

— შენ, თეთრისკარტავ, ფრთხილად იყავი, თორემ ისეთ პანჩურს ამოგკრავ, რომ გასწავლი პატრიოტების პატივისცემას.

ლაპარაკში სხვებიც ჩაერივნენ:

— ჰანრიო ლოთი და უტვინოა!

— ჰანრიო ნაღდი იაკობინელია! გაუმარჯოს ჰანრიოს!

ორი პარტია შესდგა. დაიწყო ჩხუბი, მუშტის ტრიალი, სუფრები წაიჭია, კიკები დაიმტვრა, ლამპები ჩაქრა, ქალებმა წივილკვილი შექმნეს. იულიაზე რადენიმე პატრიოტმა მიიტანა იერიში, ის სკამით შეიარაღდა, მაგრამ წააჭიკიეს და იძულებული გახადეს კბილებით და ფრჩხილებით ებრძოლა. ვალელილ კილეტსა და დაფრეწილ საყელს ქვეშ მორთოლვარე მკერდი გამოუჩნდა. ხმაურობაზე დარაჯებმა მოირბინეს, მაგრამ ახალგაზრდა არისტოკრატი ქალი ფანდარმებს ფეხებში ვაუძვრა.

ყოველდღე საბარგო ეტლები საცხე იყო დასასჯელი ადამიანებით.

— მე ხომ არ შემიძლია ჩემი საყვარელი მოვაკვლევიანო! ეუბნებოდა იულია დედას.

მან გადასწყვიტა ეშუამდგომლა, ნაბიჯები გადაედგა, მისულიყო კომიტეტებში, ბიუროებში, წარმომადგენლებთან, მაგისტრატებთან, ერთი სიტყვით ყოველგან სადაც კი საჭირო იყო. ყაბა არ ჰქონდა. დედამისმა მოქალაქე ბლუზის ასულს ზოლებიანი ყაბა და არშიებთან თავსაკრავი გამოართვა და იულია პატრიოტ ქალივით გამოწყობილი მსაჯულ რენოდენთან მივიდა, ნესტიან და ბნელ სახლში მახარინის ქუჩაზე.

ქალი კანკალებდა, როცა ხის კიბეზე აღიოდა. მსაჯულმა ის თავის ლარიბულ კამინეტში მიიღო, სადაც არაფერი ავეჯი არ იდგა გარდა ფიჭვის მაგიდისა და ორი სელის სკამისა. კედლებზე გაკრული ქალღმერთი ნაფლეთებოთ ეკიდა. რენოდენს შავი და ზეთიანი თმა ჰქონდა, პირქუში გამომეტყველება, სქელი ტუჩები და გამოიწეული ნიკაბი. ქალს ანიშნა, რომ ლაპარაკი დაეწყო, თვითონ სმუნად გადაიქცა.

ქალმა უთხრა, რომ მოქალაქე ბასსანის და იყო, რომ მისი ძმა ლუქსემ-





ეროვნული

ბურგში იყო დამწყვედელი, აუხსნა რა გარემოებაში დაიჭირეს ქვეყნის მთელი და უბედურ ადამიანად დასახა და დაეინებულად სთხოვა დახმარება გაეწია.

მსაჯული გულგრილი და უგრძობელი იყო.

ქალი მუხლებზე მოეხვია და ატირდა.

როგორც კი მამაკაცმა ცრემლები დაინახა, მაშინვე სახეზე შეიცვალა, მისი მოწითალო შავისფერი თვალები აენთენ, უხარმაზარი ლურჯი ყბები ამოძრავდნენ თითქო ყელი გაუშრა და ნერწყვის გადაყლაპვა უნდაო.

— მოქალაქის ასულო, გაეაკეთებთ ყოველივეს, რაც აუცილებელია, ე. ი. კანონი შესრულებული იქნება; არც მეტი, არც ნაკლები. ნუ სწუხარ, რატომ სწუხარ? რევოლუციური ტრიბუნალი ყოველთვის საპართლიანია.

ქალს უნდოდა ცხვირპირში სცემოდა, ეკბინა, თვალები ამოეუხაჭნა, მაგრამ გრძობდა, რომ ასე სრულიად დაღუპავდა ფორტიუნე ზასანს; გარედ გაევარდა, თავის მანსარში აირბინა და ელოდის ვაკუუკიანებული კაბა გაიხადა და შემდეგ მთელი დამე იღრიალა სიბრაზისა და ტკივილის გამო.

მეორე დღეს ლუქსემბურგის ბაღში განდარბები დაინახა, რომელნიც ქალებსა და ბავშვებს ერეკებოდნენ. ხეივნებში ჩამწყრივებული დარაჯები განვლევდნენ უშლიდნენ ტუსალებისთვის რაიმე ენიშნებით. ახალგაზრდა დედამ, რომელიც ბაღში ყოველდღე ბავშვით მოდიოდა, იფლიას უთხრა, რომ ხმა გაევარდა, თითქო სატუსალოში შეთქმულება აღმოაჩინეს, ხოლო ქალებს აბრალებდნენ თითქო ისინი ბაღში იკრიბებიან ხალხის ასაჯანყებლად, არისტოკრატებისა და მოლაღატეების სასარგებლოდო.

## XXII

ტიულიერის ბაღში უცებ გორაკი აღიმართა. ცა მოწმენდილია. მაქსიმინილიანი წინ მიუძღვის თავის ამბანაკებს: ლურჯი ტანსაცმელი და ყვითელი შარვალი აცვია, ხელში დაეთაყვის, ზარნაშოს და ყაყაოების თაიგული უჭირავს. გორაკზე აღის და გულაჩუყებულ რესპუბლიკას ეან-ეაკის ღმერთს აუწყებს. ოპ სიწმინდევ, სარწმუნობავ! ოპ კლასიკურო უბრალოებავ! ოპ შებრალების ცრემლებო, ცვარო ნაცოფიერო! ოპ სათნობავ, ადამიანთა მშობავ!

ათეიზმი ამაოდ აჩენს თავის უხამსს სახეს: მაქსიმინილიანმა ლამპარი აიღო, ცეცხლის აღმა ურწმუნობების საშინელი გამოხატულება შთანთქა და გამოჩნდა სიბრძნე, რომელსაც ერთი ზელი ზეცისკენ აქვს აშვერილი, ხოლო მეორეში ვარსკვლავების გვირგვინი უჭირავს.

ტიულიერის პირდაპირ ამართულ ესტრადაზე ევარისტი აღევლებულ ხალხში სდგას, სიბარულის ცრემლებს აფრქვევს და ღმერთს მადლობას სწირავს, ის ზედაეს ბედნიერების ხანის დასაწყისს.

ის ფიქრობს:

— ბოლოს ჩვენ მიინც ბედნიერებო, წმინდა, უმწიკვლონი ვიწნებით, თუ ბოროტმა ადამიანებმა ხელი არ შეგვიშალეს.

საეალალოდ ბოროტი ადამიანები არ სცხრებიან. კიდევ დასჯა, კიდევ უწმინდური სისხლის დაღვრაა საჭირო. არ გასულა სამი დღე ზეცისა და დედამიწის შეკავშირებისა და შერიკების დღესასწაულის შემდეგ და კონვენტმა პრერიალის კანონი მიიღო, რომელმაც მოსპო ყველა ტრადიციული ფორმები, რაიცა რომაელების შემდეგ ბრალდებულის დასაცავად საეალდებულოდ იყო მიწმენული.





ეროვნული

ალარ არის საჭირო არც გამოძიება, არც დაკითხვა, არც მიწვევა და ამცველები: სამშობლოს სიყვარული ყოველივეს აინაზღაურებს. ბრალდებული, რომელიც თავის ბუნებაში დანაშაულს და ზმწიკვლოებას ანბორციელებს, უსიტყვოდ ვაივლის პატრიოტ მსაჯულის წინაშე. და სწორედ ამ დროს უნდა გაირკვეს მისი საქმე, რომელიც ხშირად ბნელი და დახლართულია. როგორ უნდა მოხდეს ახლა გასამართლება? როგორ უნდა ვიცნოთ ერთ წუთში პატიოსანი კაცი და ვარეწარი, პატრიოტი და სამშობლოს მტერი?...

კოტაოდენი ყოყმანის შემდეგ გამლენმა შეიგნო თავისი ახალი ვალდებულება და შეეგუა თავის ახალ ფუნქციებს. ის მიხვდა, რომ ეს შემოკლებული პროცედურა შეიცავს გამაჯანსაღებელ და დამაშინებელ სამართალს, რომლის ამღსრულებლები არქივის ვირთხები კი არ არიან, რომ გოტიურ სასწორებზე გასამტყუნებელი და გასამართლებელი საბუთები სწონონ, არამედ სანკიულოტები, რომელნიც პატრიოტული შთაგონებით სჯიან და ყოველივეს ელვისებური სისწრაფით ხედავენ. მაშინ როცა გირანტიებსა და სიფრთხილეს შეეძლო ყოველივე დაეღუპა, ნაღდი გულის მოძრაობა ყოველივეს იხსნის. საჭირო იყო ბუნების, ამ კეთილი დედის, კარნახის მიხედვით მოქმედობა, მიტომ რომ ამ შემთხვევაში ადამიანი არ სტყუებდა. საჭირო იყო გულის მიხედვით განსჯა: გამლენი ეან-ჯაკის აჩრდილს მოუწოდებდა:

— სათხო ადამიანო, კაცობრიობის სიყვარულთან ერთად შთამავანე მისი აღორძინების წყურვილი!

მისი ამხანაგები, უმეტეს შემთხვევაში, მისავით გრძნობდნენ. რეკოლიუციური ტრიბუნალის ნაფიცი მსაჯულები ღმერთს ხედავდნენ. მაქსიმილიანის მიერ აღიარებული უზენაესი არსება მათ ცეცხლის ტალღებში ჰბანდა. მათ უყვარდათ და სწამდათ.

ბრალდებულის სავარძელი ფართო ესტრადამ შესცვალა, რომელიც ორმოცდაათ ადამიანს დაიტევდა: გამლენმა თვალი გადაიწყო ბრალდებულთა სკამს და ფორტიუნე დე ბასსანი იცნო. იულიას საყვარელი გამხდარი იყო ხანგრძლივი ტყვეობის გამო, ფერი წასვლოდა, სახე-გაკაყებოდა! მაგრამ მაინც ერთგვარი სილაზათე და სიამაყე შერჩებოდა. მისი თვალები შეხვდა გამლენის თვალებს. ორივეს სახეზე ზიზი გამოეხატა.

გამლენი წამოვდა შეუწყობილებელი მძვინვარებით გამსპვალული, სიტყვა მოითხოვა და თვალები ნიაპყრო უფროსი ბრუტოსის ბიუსტს, რომელიც ტრიბუნალს დასცქეროდა:

— მოქალაქე პრეზიდენტო, სთქვა მან, თუმცა ერთს ბრალდებულსა და ჩემს შორის შეიძლება ისეთი კავშირი არსებობდეს, რომელიც გამოცხადებულ იქნას იყოს მოყვრობად ჩათვლებოდა, მე მაინც ჩემი განყენების წინააღმდეგი ვარ ამ საქმეში. ბრუტოსები ხომ განზე არ განსდგენ, როცა რესპუბლიკისა და თავისუფლების სახსნელად შეილის დასჯა, მამინაცვლის მოკვლა აღმოჩნდა საჭირო.

ის დაჯდა.

— აი საუცხოვო არამზადა, ჩაილაპარაკა ბასსანმა თავისთვის.



ერევნული  
მეზლიქთაჲსა

საზოგადოება ამ განცხადებას გულგრილად შეხვდა, შეიძლება მითომ რომ უკვე მოსწყინდა ამაღლებული ხასიათები, ან შეიძლება მითომ, რომ გამლენმა მეტად ადვილად გაიმარჯვა ბუნებრივ გრძობებზე

— მოქალაქე გამლენ, სთქვა პრეზიდენტმა, კანონის მიხედვით ყოველი განყენება წერილობით უნდა გამოითქვას ოცდა ოთხი საათით ადრე კამათის დაწყებამდე. ამას გარდა შენ არ გჭირია განყენება: პატრიოტი ნაფიცი ვნებათა ღელვაზე მალა სდგას.

თვითებული ბრალდებული დაკითხულ იქნა სამი ან ოთხი წუთის განმავლობაში. ბრალდება ყველასათვის სიკვდილით დასჯას ითხოვდა. ნაფიცებმა ეს მოთხოვნა ერთხმად დაადასტურეს, ერთი თავის დაქნევით. როცა გამლენის ჯერი მოვიდა, მან სთქვა:

— ყველა ბრალდებულები გამტყუნებული არიან, კანონი კი ნათელია.

როცა ის სასახლის კიბეზე ჩამოდიოდა, უკებ წინ გადაეღობა მწვანე ინგლისურ ტანსაცმელში გამოწყობილი ყმაწვილი, დაახლოებით ჩვიდმეტი თუ თერამეტი წლისა. კეფაზე რგვალი ქუდი ეხურა, ფართო ფრთები მის ლამაზ ფერმკრთალ სახეს შავ შარავანდედს უქმნიდნენ. ის აღიმართა ნაფიცის წინაშე, და საშინელი, სასოწარკვეთილი ხმით მიამბა:

— გვრწარო! არაშხადაე! კაცის მკვლელო! მომკალი მხდალო! მე ქალი ვარ! დანიჭირე, გილიოტინაზე გამგზავნე, კიანო! მე შენი და ვარ.

და იფლიამ პირში მიაფურთხა.

წინდის მქსოველ ქალებსა და სანკიულოტებში შესუსტებული იყო რევოლუციური სიფიზლე; მოქალაქეობრივი ვნებათა ღელვა განელებული იყო: გამლენის და მისი თავდამსხმელის გარშემო გამოურყვეველი და გაუბედავი მოძრაობა დაიწყო. იფლიამ ბრბო გააპო და გაჰქა ბინდბუნდში.

### XXIII

ევარისტ გამლენი დაღლილი იყო, მაგრამ ევრ ისვენებდა; ღამეში ოცჯერ მაინც გაიღვიძებდა, თითქო მუჯღუგუნე ჰკრესო, ძილი მოუსვენარი ჰქონდა. მხოლოდ ცისფერ ოთახში ელოდის მკერდზე ეძინა რაედენიზე საათი. მაგრამ აქაც ლაპარაკობდა და ყვიროდა ძილში და ელოდის აღვიძებდა; მაგრამ ქალს არ ესმოდა მისი სიტყვები.

ერთხელ სიზმარში ეგმენიდები ნახა და დილით დამტკრეული და ბავშვივით სუსტი იყო, როცა გამოეღვიძა. ფარდებში განთიადის მკრთალი სინათლე შემოდიოდა. ევარისტს თმა გასწყურდა და თვალებს უფარავდა შავ პირბადესავით; ელოდი სასთუმალთან იჯდა და ნახად ულაგებდა აწილ კულულებს. იმ წუთში ქალი ვაცს დის სიყვარულით დასცქეროდა და ცხვირსახოკით შეზღზე ცივ ოულს უწმენდდა. ევარისტს ევრიპიდის „ორესტის“ მშვენიერი სცენა გაახსენდა, რომლის ესკიზი მან გააკეთა: ეს ესკიზი მისი შედევრი იქნებოდა რომ დაემთავრებინა. და მას თითქო ზოგმა ელოდის ნაზი ხმით წარმოთქმული სიტყვები: „მომისმინე, ძმაო, სანამ ფურიებს შენთვის ჯერ კიდევ გონება არ წაურთმევიათ...“



• **ქართველნი**  
**ხელისუფლებას**

და ვაეი ფიქრობდა:

„მაგრამ რაც უნდა იყოს მე მამისმკვლეელი არ ვარ. პირიქით, სამშობლოს მტრების უწმინდური სისხლი მამის სიყვარულმა დაძაღვრევინა.“

## XXIV

სატუსალოების შეთქმულება არ თავდებოდა. საფეხურებზე ორმოცდა ცხრა ბრალდებული იჯდა. შორის ბროტკოს საპატიო ადგილი ეკირა, უმაღლესი საფეხური მარჯვნივ. ყვეისფერი რედინგოტი ეცვა, რომელიც წინა დღით გულ-მოდგინეთ ვაეწმინდა და დაეკვრებია იმ ადგილას, სადაც ლუკრეციის პატარა ტომმა ჯიბე ვახეხა. მის გვერდით მადამ როშმორისა იჯდა, შეცბებული, შეფერადებული, ვაბრკვევიანებული, საშინელი. მამა ლონგემარი ამ ქალსა და ათენაისს შორის მოეთავსებიათ, ამ უკანასკნელს მადელონეტის ციხეში ქალწულებრივი იერი დაებრუნებია.

ჯანდარმებს საფეხურებზე თავი მოეყარათ ისეთი ადამიანებისთვის, რომელნიც ამ ზემოთ ჩამოთვლილებისთვის უცნობნი იყვნენ და შეიძლება ვერც ერთმანეთს იცნობდნენ: მაგრამ ყველანი თანამოაზრენი იყვნენ, პარლამენტარიები, ჟურნალისტები, ყოფილი კეთილშობილები, ბურჟუები და ბურჟუა-ქალები. მოქალაქე როშმორისამ გამლენი შეამჩნია ნაფიცების სკამზე. თუმცა ამ კაცმა პასუხი არ გასცა მის დაეინებულ წერილებს, განმეორებულ თხოვნებს, მაინც მისი იმედი ჰქონდა, მუდარის თვალთ შესცქეროდა და სცდილობდა მისი გულისთვის ლამაზი და შესაბრალისი გამომეტყველება მიეღო. მაგრამ ახალგაზრდა მაგისტრატის ცივმა შეხედვამ ყოველი იმედი წაართვა.

მდივანმა წაიკითხა საბრალსდებლო ოქმი, რომელიც მოკლედ ეხებოდა თვითვე ბრალდებულს, მაგრამ გრძელი იყო მათი სიმრავლის გამო. ფართო ხაზებით გადმოცემული იყო სატუსალოებში განზრახული შეთქმულება, რომლის მიზანი იყო რესპუბლიკის ჩაღრმობა ეროვნულ წარმომადგენლების და პარიზის ხალხის სისხლში. შემდეგ ოქმი თვითვე ბრალდებულს ცალკე ეხებოდა:

— ყველაზე უფრო მკენებული ავტორი ამ საზიზღარი შეთქმულებისა არის ბროტკო, ყოფილი დეპუტეტი, ხარკის მოიჯარადრე ტირანიის დროს. ეს პიროვნება თვით ტირანიის დროს საზოგადოებაში იჩრეოდა უწესო ყოფაქცევით და იმ აზრის ურყევ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს, რომ გარყვნილება და ცუდი ზნევეულება ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერების უდიდესი მტრებია. მართლაც საზოგადო ფინანსების გაფლანგვისა და სახალხო ქონების დიდი ნაწილის ამოწურვის შემდეგ, ეს პიროვნება შეუკავშირდა თავის ძველ ხალხს, ლეიზა როშმორისას, რათა მიწერ-მოწერა გაეხა ემიგრანტებთან და ვერაგულად ცნობები მიეწოდებია ფეხოეთისთვის ჩვენი ფინანსებისა, ჯარების მოძრაობისა, აზროვნების ცვალებადობის შესახებ.

ბროტკომ, რომელსაც თავისი საზიზღარი არსებობის ამ პერიოდში ხასად ჰყავდა როსკიბი ქალი, ფრომანტოს ქუჩის ტალახიდან ამოყვანილი, სახელად ათენაისი, ადვილად გადაიბირა ის და კონტრარევილიუციის გასაღვიძებლად გამოიყენა ურცხვი ყვირილითა და უწესო ძახილის შემწეობით.



ერეკნული

„ამ უკუღმართი კაცის ზოგიერთი სიტყვა ნათლად გინწყნებდა მისი სიტყვამს იდგებდა და დამლუბველ მიზნებს, მაგალითად კონსიერეერის სატუსილოში ის გლოვობდა ჩვენი შიშაყი ჯარების გამარჯვებას, როგორც უდიდეს უბედურებას და სცილობდა ექვი აღეძრა პატრიოტ გენერლების წინააღმდეგ, რადგან მათ ტირანიულ განზრახვებს აწერდა. „დაიცადეთო, ამბობდა ის უბაში ენით, რომელიც კალამს ვერ გადმოჟვია, დაიცადეთ და ერთს დღეს მოესწრებით, რომ ერთი რომელიმე მახვილით აღჭურვილი მხედარი, რომელმაც დღეს გიხსნათ, ხვალ გადაგყლაპავთ, როგორც არაკვი წერომ ბაყაყები გადაყლაპაო.“

შემდეგ ბრალდების აქტში ეწერა: „ყოფილი აზნაურის როშორის ცოლი, ბროტოს ხასა, არა ნაკლებ არის დამნაშავე, ვიდრე ეს უკანასკნელი, ის არა მარტო მიწერ-მოწერას აწარმოებდა უცხოეთთან და ფულს ღებულობდა თვით პიტრისაგან, არამედ შეკავშირებული იყო ისეთ გარყვნილ კაცებთან, როგორც მაგალითად თიულაანი (ტულუზიდან), შაბო და ყოფილი ბარონი დე ბაცი იყო და ამ გარწყარებთან ერთად ყოველგვარ მაქინაციებს იგონებდა ინდოეთის კომპანიის აქციათა დასაცემათ, შემდეგ ყიდულობდა დაბალ ფასებში და ხელ-ახლა აძვირებდა საწინააღმდეგო მაქინაციების შეწყობით: ამ რიგად ანიავებდა კერძო და საზოგადოებრივ საკუთრებას, ბურბისა და მადგლონეტრის სატუსილოში ყოფნის დროს ის შეთქმულებას აწყობდა, ავტიაციას ეწეოდა და სცილობდა მსაჯულები და ნათიციები მოესყიდა.“

„ლუი ლონგემარს, ყოფილ აზნაურსა და ყოფილ კაპუტინს, თავისი ნიჭი ბევრჯერ უჯდია სიბილწესა და დანაშაულობაში, სანამ იმ მოლაღატეობის აქტებს ჩაიდენდა, რისთვისაც აქ პასუხი უნდა აგოს. ის თვით ბროტოს ქერს-ქვეშ სამარცხვინო აღრევაში ცხოვრობდა გორკიუს ქალთან, ვგრედ წოდებულ ათენაისთან და ამ ქალისა და ამ ყოფილი აზნაურის თანამოაზრეა. კონსიერეერიში ყოფნის დროს მას ერთი დღითაც არ შეუწყვეტია პასკვილების წერა თავისუფლებისა და საზოგადოებრივი მშვიდობიანობის წინააღმდეგ.“

„მარტა გორკიუსის, ვგრედ წოდებულ ათენაისის შესახებ სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ როსკიბი ქალები უდიდეს შეჩვენებას წარმოადგენენ საზოგადოების ზნეობისათვის, რომელსაც ისინი შეურაცხყოფენ. მაგრამ რა საჭიროა ვრცლად ლაპარაკი საზოგადოებრივ დანაშაულზე, რომელსაც ბრალდებული ურცხვად აღიარებს?...“

ბრალმდებელი სიკვდილის სასჯელს ითხოვდა ყველა ბრალდებულისათვის. ბროტოს პირველად დაჰკითხეს.

— შეთქმულება მოაწყვე თუ არა?

— არა, შეთქმულება არ მოაწყვია. ეს საბრალმდებლო ოქმი ყალბია თავიდან ბოლომდე.

— ხომ ხედავ: შენ ახლაც კი ბოროტმოქმედებას სჩადიხარ ტრიბუნალის წინააღმდეგ.

თავმჯდომიარე მოქალაქე როშორისაზე გადავიდა, რომელიც სასოწარკვეთილი ბროტესტით, ცრემლებით და თვალთმაქციობით უპასუხებდა.



მამა ლონგემარი საესებით ლეთის ნებას მიენდო. თავისი დაწერილი დასაცავი სიტყვაც კი არ მოუტანია.

ყველა დასმულ კითხვებზეც ისე უპასუხებდა, თითქო მას არ ეხებოდა. მხოლოდ როცა პრეზიდენტმა კაპუცინი უწოდა, მასში ძველმა ადამიანმა გაიღვიძა:

— მე კაპუცინი არა ვარ, სთქვა მან, მე ბარნაბელთა ორდენის მღვდელი და ბერი ვარ.

— ეს ერთი და იგივეა, უპასუხა პრეზიდენტმა ლიმილით.

მამა ლონგემარს თვალებში აღშოთება გამოეხატა:

— შეუძლებელია უფრო ახირებული შეცდომის ჩადენა, სთქვა მან, ვიდრე კაპუცინების არევა ბარნაბელთა ორდენში, რომელიც თვით მოციქულმა პავლემ დააფუძნა.

მაყურებლებში სიცილი და სტვენა გაისმა.

მამა ლონგემარმა ეს დაცინევა ეგვის ნიშნად მიიღო და განაცხადა, რომ ის წმინდა ბარნაბის ორდენის ტანისამოსს კიდევ ატარებდა თავის გულში.

— აღიარებ თუ არა, ჰკითხა თავმჯდომარემ, რომ შეთქმული იყავი გორკიუს ქალთან ერთად, ეგრედ წოდებულ ათენაისთან, რომელიც შენ თავის საზიზიარ ალერსს გიძღვნიდა?

ამ კითხვაზე მამა ლონგემარმა სევდიანი თვალები ალაპრო ზეცისკენ და დუმილით უპასუხა, რაიცა უმწიკვლო სულის გაკვირვებასა და ბჭრის სერიოზულობას ჰხატავდა. მას არ უნდოდა ამო სიტყვები წარმოეთქვა.

— გორკიუსის ქალო, ჰკითხა თავმჯდომარემ ახალგაზრდა ათენაისს, სცნობ თუ არა, რომ ბროტტოსთან ერთად შეთქმულება შეადგინე?

ქალმა ნახად უპასუხა:

— რავდენადაც ვიცი, ბატონ ბროტტოს არაფერი გაუყეთებია, გარდა სიკეთისა. ღმერთმა ჰქმნას, რომ ასეთი ადამიანები ბევრი ყოფილიყოს: უკეთესის ჰოვნა ძნელია. სცდება ვინც წინააღმდეგს ამბობს. ამის მეტი არაფერი მაქვს სათქმელი.

თავმჯდომარემ ჰკითხა: აღიარებს თუ არა, რომ ხასათ ჰყავდა ბროტტოს. ქალმა პირველად კარგად ვერ გაიგო ეს კითხვა; როცა აუხსნეს რაში იყო საქმე, მან უპასუხა, რომ თვითონ წინააღმდეგი არაფერი ჰქონდა, მხოლოდ ბროტტოს არ მოუთხოვინია.

ტრიბუნაზე სიცილი ატყდა, თავმჯდომარემ გორკიუსის ქალს დაემუქრა, რომ კამათიდან გამორიცხავდა, თუ მხოორეჯერ ასეთ ცინიკურ პასუხს გასცემდა.

მაშინ ქალმა მას მუხმუხელი, სამარხვო ღინგი, რქოსანი დაუძახა და მასთან ერთად მოსამართლეებსა და ნაფიცებს თავზე მთელ, ქუპკიანი ლანძღვა გინებით საესე ვობი გადაანთხია: ეანდარზემბა სკამიდან ჩამოათრიეს და ზალიდან გაიყვანეს.

პრეზიდენტმა შემდეგ მოკლედ დაჰკითხა სხვა ბრალდებულთ იმ რიგზე, რომლითაც ისინი საფეხურებზე ისხდნენ. ერთმა, გვარად ნავეტტმა უპასუხა, რომ არ შეეძლო სატუსალოს შეთქმულობაში მონაწილეობის მიღება, ნიტომ რომ იქ მხოლოდ ოთხი დღე გაატარა. თავმჯდომარემ შენიშნა, რომ ეს საყურადღებო

ერეკნულნი

განცხადება იყო და მოქალაქე ნაფიცებს სთხოვა მისთვის ანგარიში გაეწიათ. ვინმე ბელიემ იგივე განაცხადა და თავმჯდომარემ ეიურის იმავე თხოვნით მიმართა. თავმჯდომარის ასეთი მოწყობება მაყურებლებმა მიიღეს როგორც საქები სამართლიანობის რეზულტატი ან როგორც ჯილდო დაბეზღებისთვის.

საზოგადოებრივი ბრალმდებლის თანაშემწემ სიტყვა მოითხოვა. მან მხოლოდ გაახვიდა საბრალმდებლო ოქმი და შემდეგი კითხვები დასვა:

— დამტკიცებულია თუ არა, რომ მორის ბროტტომ, ლუიზა როშმორისან, ლუი ლონგემარმა, მარტა გორკიუმ, წოდებულმა ათენაისათ, ევსებ როშერმა, პიერ გიტონტაბიულემ, მარსელინ დეკურტიმ და სხვ. და სხ. შეთქმულება მოაწყვეს, საშუალებათ გამოიყენეს წეკლელობა, დამშვევა, ყალბი ასიგნაციები და ყალბი ფული, მორალისა და საზოგადოებრივი სულის შერყვნა, სატუსალოების აჯანყება, ხოლო მიზნად დაისახეს სამოქალაქო ომი, ეროვნული წარმომადგენლობის დაშლა, მეფის ხელისუფლების აღდგენა?

ნაფიცები სათათბირო ოთახში გავიდნენ. ერთხმად გაამტყუნეს ყველა ბრალდებულები, ნავეტისა და ბელიეს გამოკლებით, რომელნიც თავმჯდომარემ და მის შემდეგ საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა, ასე ესთქვათ, საქმიდან გამოსთიშეს. გაზღნმა თავისი განაჩენი შემდეგი სიტყვებით დაასაბუთა:

— ბრალდებულთა დანაშაული თვალსაჩინოა ყველასათვის: მათი დასჯა საჭიროა ერის უზრუნველსაყოფად და თვით მათ უნდა ისეუონ სიკვდილი, როგორც ერთად ერთი საშუალება შეკოდების მოსანანიებლად.

მდივანი ძირს ჩავიდა და განაჩენი წაიკითხა: ისეთი სიწყნარე ჩამოვარდა, თითქო ეს ადამიანები მოსაპრელი ხეები ყოფილიყვნენ.

მოქალაქე როშმორისამ განაცხადა, რომ ორსულად იყო. გამოსაკვლევად დოსტაჭარი ვაუჯანენს, რომელიც ნაფიცებს შორის აღმოჩნდა. გულწასული ქალი სატუსალოში წააღეს.

— აჰ, ამოიობრა მამა ლონგემარმა, ეს მოსამართლეები შებრალების ღირსნი არიან: მათი სულის მდგომარეობა მართლაც რომ სატირალია. ისინი ყოველივეს ერთმანეთში ურევენ და ბარნაბელს ფრანკისკელისგან ვერ არჩევენ.

დასჯა იმ დღესვე უნდა მოხდარიყო „დამზობილი ტახტის მოაჯირთან“.

ჯალათისა და მისი მსახურების მოსელისთანავე ბროტტომ, რომელიც შეუწფოთებლად თავის ლუკრეციის კითხულობდა, დაწყებული გვერდი დანიშნა, წიგნი დაკეტა, თავის რედინგოტის ჯიბეში ჩაიდო და ბარნაბელს უთხრა:

— ღირსო მამაო, ყველაზედ მეტად ის მამრახებს, რომ თქვენ ველარ დავაჯერებთ. ჩვენ ორივენი უკანასკნელი ძილით ვიძინებთ, მე აღარ შემეძლება იტყვნის სახელის მოწევა და თქვენი გაღვიძება, რომ გითხრათ: „ხომ ხედავთ: არც გრძნობა გაჭეთ და არც შეგნება: თქვენ უსულო ხართ. რაც ცხოვრებას მოსდევს იმას ჰვავს, რაც ცხოვრებას წინ უსწობდა.“

მას უნდოდა გაეღიშნა; მაგრამ საშინელმა ტკივილმა გულღვიძლი გადაუტრიალა და ცოტა დააკლდა კინალამ გული წაუვიდა.

მაგრამ მაინც თავი შეიკავა:



ეროვნული

— მამაო, თქვენ ხედავთ ჩემს სისუსტეს. მე სიცოცხლე მსჯობს და მენაწება ამ ქვეყნის დატოვება.

— ბატონო, უბასუბა წყნარად ბერმა, ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ თუმცა ჩემზე ჯერო ძლიერი ვაკაკი ხართ, მაინც სიკვდილი უფრო გაშფოთებთ, ვიდრე მე. რას ნიშნავს ეს, თუ არ იმას, რომ მე სინათლეს ვხედავ, თქვენ კი არა?

— შეიძლება იმითაც აიხსნებოდეს, სთქვა ბროტტომ, რომ მე სიცოცხლე მენანება შიტომ რომ ბევრი ვინაიამოვნე, თქვენ კი ის, რავედენადაც შესაძლებელი იყო, სიკვდილს დაამზავსეთ.

— ბატონო, სთქვა ფერწასულმა მამა ლონგემარმა, ეს საათი გეტად მზიმეა. ლმერთო, მიხსენი! უეჭველია რომ დავიბოცებით დაულოცავნი. ალბათ მე ოდესმე საიდუმლო ზიარება გულგრილად და უმადურად მივიღე, რომ დღეს ზეცამ სწორედ ის მომაკლო, რაც ასე ძლიერ მჭირია.

გარეთ საბარგო ეტლები იცდიდა.

ხალხს თითქო ერუანტელმა დაუარა, როცა ათენისი გამოჩნდა. მის ბავშვის შეხედულება ჰქონდა. მან თავი დახარა ბერის წინაშე:

— ბატონო კიურე, სთქვა მან, მომიტყევეთ ჩემი შეკოდებანი.

მამა ლონგემარმა სერიოზულად ჩაიბუტბუტა ლოცვის სიტყვები და სთქვა:

— შეილო თქვენ დიდ უწესობაში სცხოვრობდით; მაგრამ რად არ შემიძლია ღმერთს ასეთი უბრალო გული მივუძღვნა, როგორც თქვენ გაქვთ?

ქალი მსუბუქათ ავიდა ეტლში. იქ აიშართა, ბავშვური თავი ამაყად ასწია და წამოიძახა:

— ვაუმარჯოს მეფეს!

შემდეგ ბროტტოს ანიშნა, რომ მის გვერდით ადგილი იყო. ბროტტომ ბარნაბელს ეტლში ასვლა უშველა და ვითონ ბერსა და უმანკო როსკიბს შუა მოთავსდა.

— ბატონო, უთბრა მამა ლონგემარმა ეპიკურიელ ფილოსოფოსს, ერთ მოწყალეებას ვთხოვთ: ილოცეთ ზემთვის იმ ღმერთის წინაშე, რომელიც თქვენ არ გწამთ; შეიძლება თქვენ მასთან ჯერო ახლო იდგეთ, ვიდრე მე; ერთ წუთს შეუძლია ამის გადაწყვეტა. ერთი წამია საკმაო, რომ თქვენ ღმერთის რჩეული შეილი გახდეთ. ბატონო, ილოცეთ ზემთვის.

სანამ ბორბლები ჰრიალით გრძელ განაპირა უბანს გაივლიდნენ, ბერი გულითა და ტუჩებით სულთმოზრძავთა ლოცვას იმეორებდა.

ბროტტო ბუნების პოეტის ლექსებს იმეორებდა: „როცა ჩვენ აქ აღარ ვიქნებით“. თუმცა ხელზე შეკრული იყო და ეს საშარცხენო ეტლიც ანჯღრევდა, მაგრამ შეუწოთებელი გამოიმეტყველება ჰქონდა და თითქო იმისთვისაც ზრუნავდა, რომ მოხერხებულად დამჯდარიყო. ათენისი ამაყობდა იმით, რომ ისევე კედებოდა, როგორც საფრანგეთის დედოფალი და ბრბოს ზეადათ დასცქეროდა. და ბებერი მებარკე მკოდნე კაცის თვალებით უყურებდა ახალგაზრდა ქალის თეთრ ყელს და დღის სინათლეს სინანულით ეთხოვებოდა.



იმ დროს, როცა ჯანდარმებით გარსშემორტყმული საბარგო ეტლი სასიკვდილოდ ვამზადებულ ბროტკოსა და მის თანამოაზრეებს „დამზობილი ტახტისკენ“ მიაქანებდა, ევარისტი დაფიქრებული იჯდა სკამზე ტიულიერის ბალში. ელოდის უცდიდა. ჩამავალი მზის ცხოველი სხივები წაბლის ხეების წვეროებს ეთხოვებოდა. ბალის ერთ კუთხეში ფრთოსან რაშზე შემჯდარი დიდება თავის საუკუნო საყვირს უბერავდა. ვახუთების გამყიდველები ყვირილით ფლერუსის დიდ გამარჯვებას იუწყებოდნენ.

„ჰო, ფიქრობდა გამლენი, გამარჯვება ჩვენია. ის დიდი საფასურით მოვიპოვეთ“.

და ის გონების თვალთ ხედავდა უვარგის გენერლებს, რომელნიც რევოლიუციის მოედნის სისხლიან მტვერში თითქო თავიანთი შეჩვენებული აზრდოლების კვალს სტოვებდნენ. და მან ამაყად გაიღიმა, როცა წარმოიდგინა, რომ თუ ის სისასტიკე არ გამოეჩინათ, რომელშიც წილი მასაც მიუძღოდა, ავსტრიელების ცხენები დღეს ამ ხეების კანს მოლრნიდნენ.

ის თავის გულში იძახოდა:

„მხსნელო ტერორო, წმინდაო ტერორო! შარშან ამ დროს დამცველებათ მხოლოდ ძონძებში ვახვეული, დამარცხებული გმირები ვვყავდა; სამშობლოს ტერიტორიაზე მტერი იყო შემოჭრილი, დეპარტამენტების ორი მესამედი აჯანყებული იყო. ახლა ჩვენი კარგად გამოწყობილი, კარგად ვაწვრთნილი ჯარი ნიჭიერი გენერლების მეთაურობით შეტევაზე გადავიდა და მზად არის მთელს ქვეყანას თავისუფლება მიუტანოს. რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე მშვიდობიანობა შეფოს... მხსნელო ტერორო, წმინდაო ტერორო! საყვარელო გილიოტინაჲ! შარშან ამ დროს რესპუბლიკა ვათიშული იყო პარტიების წყალობით; ფედერალიზმის გველვეშაპი მას გადაყლაპავს უქადიდა. ახლა იაკობინური მთლიანობა ძლიერებითა და სიბრძნით მართავს მთელ სახელმწიფოს“...

ის მაინც მკმუნებარე იყო. შუბლი ღრმა ნაოქს დაედარა, პირისსახეზე გულის ტკივილი ეხატებოდა. ის ფიქრობდა: „ჩვენ ვამზობდით ან გამარჯვება ან სიკვდილი. ჩვენ ვსცდებოდათ; უნდა ვვეთქვა: გამარჯვება და სიკვდილი“.

მან ავალი მოაველო გარშემო. ბავშვები სილაში თამაშობდნენ. ხის ძირში სკამებზე მოქალაქეები ისხდნენ და ჰქარგავდნენ და ქსოვდნენ. ლაზათიანად გამოწყობილი გამვლელები, როგორც ეტყობოდათ, მხოლოდ თავიანთ სიამოვნებასა და საქმეებზე ჰფიქრობდნენ და შინ მიიჩქაროდნენ. გამლენი თავის თავს განმარტოებულად გრძობდა მათ შორის: ის თითქო არც მათი თანამემამულე იყო, არც მათი თანამედროვე. რა მოხდა? როგორ მოხდა, რომ მშვენიერი წლების აღფრთოვანებას გულგრილობა, დაღლილობა და შეიძლება თვით სიძულვილი მოჰყვა? როგორც სჩანდა ამ ადამიანებს აღარ უნდოდათ რევოლიუციური ტრიბუნალის სახელის გაგონება და ზურგს აქცევდნენ გილიოტინას. ეს უკანასკნელი შეუფერებელი გახდა რევოლიუციის მოედნისთვის და ანტუანის უბნის ბოლოში გადაიტანეს. დასასჯელთა გატარების დროს ალაგ-





ერეკნული

აღაგ ყრუ ჩივილი გაისმოდა. ზოგიერთმა, როგორც ამბობდნენ, „კმაჩა“ დაიძახა: „კმაჩა“.

როგორ თუ კმაჩა, როცა ჯერ კიდევ ბევრი იყო მოლაღატე და შეთქმული? როგორ თუ კმაჩა, როცა კომიტეტების განახლება, კონვენტის გაწმენდა იყო საჭირო? როგორ თუ კმაჩა, როცა გარეწარი ადამიანები ბლაღადნენ ეროვნულ წარმომადგენლობას, როცა თვით რევოლუციურ ტრიბუნალში მოიპოვებოდნენ ადამიანები, რომელნიც რომესპიერის დაღუპვას ფიქრობდნენ. ის აზრი საშინელი იყო, მაგრამ ეჭვის შეტანა აღარ შეიძლებოდა. თვით ფუკიე შეთქმულებას ამზადებდა, მაქსიმილიანის დაღუპვა უნდოდა. რა დასაძრახისმა ლმობიერებამ მოიკცა საფრანგეთი? საჭირო იყო მისი ხსნა მისივე სურვილის წინააღმდეგ, ყურების დაცომა და მაგრად შემოკვრა, როცა ის შებრალებას ითხოვდა. ეს ბედისწერამ ასე გადასწყვიტა: სამშობლო თავის მხსნელებს სწყევლიდა. დაე დაგვეწველოს, მხოლოდ თვითონ გადარჩეს!

„არ კმაჩა უცნობი მსხვერპლების, არისტოკრატების, ფინანსისტების, პუბლიცისტების, პოეტების, ლაჟუაზიების, რუმბეს, ანდრე ბენიეს შეწირვა. საჭიროა იმ ყოვლისშემძლე არამზადების განადგურება, რომელთაც სისხლიანი ხელები ოქროთი აქეთ სავსე და მთის პარკის დამშობას ამზადებენ, საჭიროა ფუშეების, ტალიენების, როვერების, კარრიერების, ბურდონების მოსპობა. საჭიროა სახელმწიფოს განთავისუფლება ყველა მისი მტრებისაგან. თუ ჰებერს გაემარჯვნა, კონვენტი დაემშობოდა, რესპუბლიკა უფსკრულში ჩავარდებოდა; თუ დემულენი და დანტონი გაიმარჯვებდნენ, სათნოებას მოკლებული კონფენტი რესპუბლიკას არისტოკრატებსა, სპეკულიანტებსა და გენერლებს გადასცემდა. თუ ტალიენები და ფუშეები გაიმარჯვებენ, ეს სისხლისა და ძარცვა-გლეჯის ოსტატები, საფრანგეთი დაიღრჩობა დანაშაულისა და შეზენების მორევში... შენ გძინავს, რომესპიერ, მაშინ როცა სობრაზითა და შიშის ძრწოლით დამთვრალი დანაშაულები შენ სიკვდილისა და თავისუფლების დასამარებას ამზადებენ. კუტონე, სენ ეიუსტ, რად აგვიანებთ შეთქმულების გამომვლავნებას?“

„არა! ძველი სახელმწიფო, მხეცური სამეფო ხელისუფლება ძალას ინარჩუნებდა იმით, რომ ყოველწლიურად ოთხას ათასს ადამიანს ატუსაღებდა, თხუთმეტ ათასს აღრჩობდა, სამი ათასს ურმის თვალზე აკრავდა, ხოლო რესპუბლიკამ რადენივე ასეული თავი ვერ უნდა შესწიროს თავის ძლიერებას და მშვიდობიანობას! შევსტურდეთ სისხლის მორევში და სამშობლო ვიხსნათ...“

ფიქრი შეაწყვეტინა ელოდიმ, რომელმაც წასთან მოირბინა, ფერმკრთალმა და ხალვათათ ჩაცმულმა:

— ევარისტ, რა გაქვს ჩემთვის სათქმელი? რად არ მოხველი „მბატეარ ამურში“, ცისფერ ოთახში? რად მომიყვანე აქ?

— იმისთვის, რომ საშუღამით გამოგეთხოვოთ.

ქალმა წაიბუტბუტა, რომ ეს სიგიჟე იყო, რომ მას არაფერი ესმოდა...

კაცმა ის შეაჩერა ხელის სუსტი მოძრაობით:

— ელოდი, მე აღარ შემიძლია შენი სიყვარულის მიღება.

— გაჩერდი, ევარისტ, გაჩერდი!



ქალმა სთხოვა ცოტათი უფრო შორს წასულიყვნენ: აქ მათი თვალყურს აღევჩნებდნენ.

ვეარისტმა ოციოდე ნაბიჯი გადასდვა და ლაპარაკი განაგრძო სრულიად დამწეიდებულად:

— სამშობლოს ჩემი სიკოცხლე და პატიოსანი საბელი შევსწირე. მე ნაძრახი მოვკვდები და ვერაფერს გიანდრძებ უბედურო, გარდა შეჩვენებული მოგონებისა... ჩვენი სიყვარული? განა ვისმეს კიდევ შეუძლია ჩემი სიყვარული?... განა მე კი შემიძლია სიყვარული?

ქალმა უპასუხა, რომ ის აღბად გაგიჟდა; რომ შას ის უყვარდა, მუდამ ეყვარებოდა. ის ამ წუთში გულწრფელი, მგზნებარე იყო; მაგრამ ქალი ვაქივით კარგად, შეიძლება კიდევ უკეთ გრძნობდა, რომ ის მართალი იყო, როგორც სჩანდა ქალი შინაგან რწმენას ებრძოდა.

ვაქმა ხელახლა დაიწყო:

— თავის თავს ვერაფერს დავაყვედრი: მომავალშიც ისე ვიმოქმედებ, როგორც წარსულში ვმოქმედობდი. მე აწუთემა შევიქენი სამშობლოს გულისთვის. მე შეჩვენებული ვარ. მე კაცობრიობიდან გავედენე ჩემი თავი: ველარასოდეს ველარ დავებრუნდები. არა! დიდი საქმე არ არის შესრულებული. ახ! სიბრალული, პატიება!... განა მოლაღატეები გვაპატიებენ? შეთქმულები მოწყალენი არიან? გარუწარი მამისმკვლელები თან და თან ჩატულობენ: ისინი მიწაში იზრდებიან, ყველა საზღვრებიდან მორბიან: მათ შორის არიან ახალგაზრდები, რომელნიც ჩვენს ჯარში უკეთ გამოდგებოდნენ, ბებრები, ბავშვები, ქალები, უმანკოების, სიწმინდის და სიღაზათის ნიღაბით აღკურვილნი. და როცა ისინი სამსხვერპლოზე იწირებიან, ახალი და ახალი რაზმები ჩნდებიან... შენ ხედავ, რომ მე უარი უნდა ვსთქვა სიყვარულსა, ყოველივე სიხარულსა, ცხოვრების სიტკობასა, თვით ცხოვრებაზეც კი.

ის დადუმდა. ელოდი წყნარი სიამოვნებისათვის იყო შეკმნილი; დიდი ხანია შიშობდა, რომ ტრაგიკული საყვარელის კოცნის დროს ენებიან შთაბეჭდილებებთან სისხლიანი სურათები არ შეერთებინა: მან არაფერი არ უპასუხა. ვეარისტმა, როგორც მწარე ფილა, ისე შესვა ახალგაზრდა ქალის ღუმლი.

— ხომ ხედავ ელოდი: ჩვენ დამზობილნი ვართ; ჩვენი საქმე ჩვენვე ჩავგულაპავს. ჩვენი დღეები, ჩვენი საათები თითქო წელიწადებია. მე უკვე ერთი საუკუნე ვიკოცხლე. შეხედე ამ შუბლს! განა ეს შეყვარებულის შუბლია? სიყვარული!...

— ვეარისტ, შენ ჩემი ხარ, არ გაგიშვებ; თავისუფლებას ვერ დაგიბრუნებ.

ქალის სიტყვებში, მსხვერპლის ხმა ისმოდა, ვაქმა ეს იგრძნო, თვითონ ქალმაც კი იგრძნო.

— ელოდი, შეგიძლია თუ არა ერთ დღეს დაამოწმო, რომ მე ერთგულად ვასრულებდი ვალდებულებას, რომ პატიოსანი გული და წმინდა სული მქონდა. რომ სხვა გულისთქმა არ მქონია, გარდა საზოგადოებრივი კეთილდღეობისა, რომ ბუნებით მგრძნობიარე და ნაზი ვიყავი? იტყვი თუ არა შენ: „მან შეასრუ“



ეროვნული

ლა თავისი ვალდებულობა? მაგრამ არა! შენ ამას არ იტყვი. დამეცე კუთხოვ ამის თქმას. გააქრეს ჩემი ხსოვნა! ჩემი დიდება ჩემსავე გულშია; სირცხვილი გარს მარტყია. თუ გიყვარვარ, ჩემი სახელი საუკუნო ღუმელში შეინახე.

რვა თუ ცხრა წლის ბავშვი სალტეს აგორებდა და ფეხებში ეცა გამლენს. მან ის უცხად ხელში აიყვანა:

— ბავშვო, შენ თავისუფალი, ბედნიერი იქნები, როცა გაიზრდები და ამას შეჩვენებულ გამლენს უნდა უმადლოდე. შე სასტიკი ვარ, რათა შენ ბედნიერი იქმნე. მე ბოროტი ვარ, რათა შენ კეთილი იქმნე: მე შეუბრალებელი ვარ, რათა ხეალ ყველა ფრანგებმა ერთმანეთი გადაჰკოცნონ და სიხარულის ცრემლები დააფრქვიონ.

ბავშვი გულზე მიიხუტა:

— პაწია ბავშვო, როცა მამაკაცი გახდები, ჩემი წყალობით იქნები უღანაშაულო და ბედნიერი; მაგრამ თუ ოდესმე ჩემი სახელი გაიგონე, შეჩვენებას გამომიგზავნი.

როგორც კი ბავშვმა თავი დაახწია, მამინევე შეშინებული დედისკენ გაიქცა, რომელმაც მის განსათავისუფლებლად მოიხრბინა.

ეს ახალგაზრდა, თეთრ ბატისტში გამოწყობილი ქალი ლამაზი და არისტოკრატიულად ლაზათიანი იყო: მან ბავშვი ამაყად გაატარა.

გამლენი მოიღრუმა და ელოდის მიუბრუნდა:

— ეს ბავშვი გადავკოცნე: შეიძლება დედა მისი გილიოტინაზე გამეგზავნა. და უცებ წამოდგა და ჩქარის ნაბიჯით გაიარა ხეივანი.

ელოდი ერთს წუთს უმოძრაოდ იჯდა. თავდახრილი და გაშტერებული. შემდეგ წამოვარდა და საყვარელს გამოუდგა: ტყის ლინდალივით მძვინვარე და თმაგაწეწილი იყო; ისე ეცა თითქო გაგლეჯა უნდაო და ისე დაიყვირა თითქო სისხლი და ცრემლები აღრჩობენო:

— ჩემო საყვარელო, მეც გამაგზავნე გილიოტინაზე: უბრძანე რომ მეც თავი მომპრან!

და თითქო კისერზე დანა იგრძნო, მთელი მისი სხეული დადნა შიშის ძრწოლისა და ვნებისაგან.

## XXVI

ერთ საღამოს, როცა ტერმინდორის მზე სისხლისვერ მოწყულში ეხვეოდა, პირქუში და დაღონებული ევარისტო დახეტიალობდა მარშეთის ბაღში, რომელიც, ეროვნულ საკუთრებად იყო გამოცხადებული და უკვე პარიზელების სასეირნო ადგილად გადაიქცა. მოსეირნები იქ ლიმონათსა და ტკბილ ყინულს შეექცეოდნენ; იქ იყო ხის ცხენები და ტირი ახალგაზრდა პატრიოტებისთვის. ხის ქვეშ ძონძებიანი და შავქუდიანი საყოელი ბიჭი იდგა, სტივოს უკრავდა და ციყვს აცეკვებდა. მათ მიუახლოვდა ახალგაზრდა, მოქნილი კაცი, რომელსაც ლურჯი ტანისამოსი ეცვა, შეპუდრული თმა ჰქონდა და დიდი ძალი ახლდა; ის უფროს უგდებდა ამ სოფლურ მგსიკას, ევარისტმა რობესპიერი იცნო. შეამჩნია, რომ ის ფერმკრთალი და გამზდარი იყო, რომ სახეზე ნაოკები გასჩენოდა



ერყენულნი

და გაიფიქრა: „რავდენმა შრომამ და რავდენმა ტანჯვამ დასწროს მის შუბლზე? რა სამძიმოა კაცობრიობის ბედნიერებისთვის მუშაობა! რას ფიქრობს ამ წუთში? ავიწყებინებს თუ არა ყოველდღიურ საზრუნავ საქმეს ამ მთიელის სტერიის ზმა? ფიქრობს თუ არა, რომ სიკედილთან ხელშეკრულობა აქვს დადებული და მოახლოვებულია უკანასკნელი ეამი? გადაწყვეტილი აქვს თუ არა საყოველთაო თაყვანის კომიტეტში დაბრუნდეს, საიდანაც გამოვიდა, მიტომ რომ ველარ გაუძლო აჯანყებულ უმრავლესობას, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა მას, კუტონსა და სენ ჯიუსტს? ამ - განუკვერტელი ნილაბის უკან რა იმედები და რა შიში იმალება?“

მაქსიმილიანმა ბიჭს გაუღიმა, წყნარი ალერსიანი ხმით რავდენიმე კითხვა მისცა სამშობლო ხეობას, ქოხსა და დედამამზე, რომელნიც საწყალ ბავშვს შინ დაეტოვებინა, შემდეგ ვერცხლის ფული მისცა და წავიდა. რავდენიმე ნაბიჯი გადასდგა, უკან მოხედდა და ძალღს დაუძახა, რომელიც აბურძგენილ ცოყვს უღრენდა.

— ბრუნ! ბრუნ!

შემდეგ მიიმაღა ბნელ ხეივანში.

მოკრძალებიან გამო ვამლენი არ მიუახლოვდა ამ განმარტოებულ ადამიანს, მაგრამ როცა მისი გამხდარი სხეულის ფორმები ლამის სიბნელეში დაიკარგნენ, შემდეგი მონებრივი ლოცვით მიმართა:

„მე შენი სევეა დაეინახე, მაქსიმილიან; შენი აზრი გავიგე. შენი მელანქოლია, შენი დაღლილობა. შენი შეძრწუნებული სახე, მთელი შენი არსება იძახის: „დაე ტერორი შესწყდეს და ძმობა დამყარდეს! ფრანგებო, შეერთდით, იყავით სათნონი და გულკეთილნი. გიყვარდეთ ერთმანეთი!... ჰო და ძალიან კარგი! მე ვემსახურები შენს განზრახვებს; დაგეხმარები, რომ შენ შესძლო მთელი სიბრძნისა და გულკეთილობის გამოჩენა, სამოქალაქო ქიშობის დაცხრობა, ძმის მკვლეელი ბრძოლის ჩაქრობა, ჯალათის გადაქცევა მებაღეთ, რათა, მან შხოლოდ კომბოსტოს და სალათის თავები სჭრას; ჩემ ამხანაგებთან ერთად შეთქმულებსა და მოლაღატეებს მოვსპობ და ამით ნიადაგს მოვამზადებ მოწყალებისთვის. ჩვენ გაეაორკეცებთ სიფხიზლესა და სისასტიკეს. ვერც ერთი დამნაშავე ვერ გაგვიქცევა. და როცა დანის ქვეშ უკანასკნელი მტრის თავი დაეცემა, შენ, სამშობლოს მამაო, შეგეძლება სულგრძობა გამოიჩინო და საფრანგეთში უმანკოება და სათნოება გაამეფო.“

„მოუსყიდავი ადამიანი“ უკვე შორს იყო. ვამლენს ორი რგვალ ქუდიანი და ნანკინის შარვლიანი მამა-კაცი მიუახლოვდა. ერთი მათგანი ველური შეხედულებებისა იყო, მალალი, გამხდარი და ტალიენს ჰგავდა. განზე გადმოიხედეს, თითქო ვერ იცნეს და ჩაიარეს. როცა ცოტათი მოშორდნენ, ერთმა დაბალი ხმით ჩაიბუტბუტა:

— აი, მეფე, პაპა, ღმერთი. ჰო, ის ღმერთია. და ეკატერინა ტეო მისი წინასწარმეტყველია.

— დიქტატორო, მოლაღატე, ტირანო! ბრუტოსები კიდევ მოიპოვებინა.

— თრთოდე, არამზადავ! ტარპის კლდე ახლოა კაპიტოლთან.



მათ რობესპიერის ძალი, ბრუნი მიუახლოვდა. ისინი დაიჭინებოდნენ და ნაბიჯს მოუჭქარეს.

## XXVII

შენ გძინავს, რობესპიერი! ეამმა დაჰკრა, ძვირფასი დრო მიდის...

ბოლოს, მ ტერმიდორს კონვენტში „მოუსყიდავი ადამიანი“ ადგა და ლაპარაკობს. 31 მაისის მზეო, ამოხვალ თუ არა მეორეჯერ? გამიღენი ელის, იმედოვნებს. რობესპიერი შეგინებულ სკანებს გაანთავისუფლებს ამ კანონმდებლებიდან, რომელნიც უფრო დამნაშავენი არიან, ვიდრე ფედერალისტები, უფრო საშიშნი ვიდრე დანტონი... არა, ჯერ კიდევ ადრეა. „მე არ შემიძლია, აშპობს ის, საესებით ფარდა ავხადო ამ უკანონობის ღრმა საიდუმლოებას“. და დაკლავნილი ელვა არც ერთს შეთქმულს არ მოხვედრია, ყველანი კი დააფრთხო. ანგარიშობდნენ, რომ დაახლოვებით სამოცი კაცი ვერ ბედავდა საკუთარ ლოგინში დაძინებას. მარატი მოლაღატეებს ასახელებდა, ან თითოთ უჭვენებდა. „მოუსყიდველი“ ყოყმანობს და ამ წუთიდან თვითონ იტყევა ბრალდებულად...

სალამოს იაკობინელების კლუბში ზალა, კულუარები, ეზო სავსეა ხალხით. რობესპიერი იმ სიტყვას კითხულობს, რომელიც კონვენტმა საშინელი დღემილით მოისმინა, ხოლო აქ მქუხარე ტაშს იწვევს.

— ეს ჩემი ანდერძია, სიტყვა ამ ადამიანმა, თქვენ დაინახათ, რომ შეუშლოთებლად შევსვამ სამსალას.

— მეც შენთან შევსვამ, უპასუხა დავიდმა.

— ყველანი, ყველანი შევსვამთ: წამოიძახეს იაკობინელებმა და დაიშალნენ ისე, რომ არაფერი გადაუწყვეტიათ.

იმ დროს, როცა „სამართლიანი ადამიანის“ მკვლელობა მზადდებოდა, ევარისტს ეძინა. როგორც მოციქულებს ზეთისხილთა მთაზე. მეორე დღეს ტრიბუნალში წავიდა, სადაც ორს სექციას სხდომა ჰქონდა. მისი სექცია ლაზარის შეთქმულების ოცდაერთ მონაწილეს ასამართლებდა, ამ დროს ახალი ამბავი მოვიდა: „კონვენტმა ექვსი საათის მსჯელობის შემდეგ დეკრეტით სამართალში მისცა მაქსიმილიან რობესპიერი, კეტონი, სენ ეიუსტი და მათთან ერთად ოგიუსტენ რობესპიერი და ლება, რომელთაც განაცხადეს, რომ ბრალდებულთა ბედს იწაწილებდნენ. ხუთივე ბრალდებული დაქერილია“.

მეზობელ ზალაში მეორე სექციის თავმჯდომარეს, მოქალაქე დიუმას სხდომის დროს ატუსაღებენ, მაგრამ სხდომა გრძელდება. ისმის ნობათის ხმა.

ევარისტს კომუნიდან ბრძანებას ლებულობს, ქალაქის თვითმართველობაში მივიდეს მთავარ საბჭოში მონაწილეობის მისაღებად. ზარებისა და დაფდაფების ხმაურობაში ის ამხანაგებს თავის განაჩენს უტოვებს და შინ მირბის, რომ დედას გამოეთხოვოს ან თავისი შარფი მოიხეოს. ტიონვილის მოედანი ცალიერია. სექცია ვერ ბედავს ვერც კონვენტის მხარეზე, ვერც მის წინააღმდეგ გამოსვლას. ადამიანები კედლებს ეყრიან, ხეივანებში იწალებიან, სახლებში შედიან. საყვირებისა და დაფდაფის ხმის საპასუხოდ მოხურული დარაბებისა და ჩაკეტილი ურდულების ხმა გაისმის. მოქალაქე უფროსი დიუპონი თავის დუქანში მიიმაღა:

მეკარე რემალმა ბარიკადა გააკეთა თავის კიბის ქვეშ. მასწავლებელს უბედურების ბუტონი ჩაუბუტებია. მოქალაქე გამლენის ქვრივი ცხოვრების გაძვირებას უჩივის და ყოველივე ბოროტების მიზეზად სთვლის. კიბის ასავალთან ევარისტი გულამოვარდნილ ელოდის ხედება, რომელსაც შავი კულულები გასწეწია.

— ტრიბუნალში გექმებ. ორი წუთით გამოიშვარი. სად მიდიხარ?

— ქალაქის თვითმართველობაში.

— იქ არ წახვიდე! თავს დაილუპავ: მანრიო დაჭერილია... სექციები არ გამოვლენ. რობესპიერის სექცია, „შუბების სექცია“ დაწინარებულია. მე ეს უციკი: მამაჩემი მისი წვერია. თუ თვითმართველობაში წახველი, თავს დაილუპავ უსარგებლოდ.

— შენ ვინდა, რომ მე სიმბდალე გამოვიჩინო?

— პირიქით, ედაცაება იქნება, თუ კონვენტის ერთგულებას გამოიჩენ და კანონს დაემორჩილება.

— კანონი მკვდარია, როცა ბოროტმომქმენდი დღესასწაულობენ.

— ევარისტი, ყური დაუგდე შენს ელოდის; ყური დაუგდე შენს დას; გვერდზე მოუჯექი, ის დაამშვიდებს შენს აფორიაქებულს სულს.

ვაქმა ქალს შეხედა: არასოდეს არ სჩვენებია ასე სანდომიანად; არასოდეს ეს ხმა ასე ვნებიანი და დამაჯერებელი არ ყოფილა.

— ორი ნაბიჯი, მხოლოდ ორი ნაბიჯი, ჩემო მეგობარო!

ქალმა ვაგი ძალით წაათრია მოედნისკენ, სადაც ჩამოღებული ძეგლის საფეხური იყო დარჩენილი. გარშემო სკამები იდგა, ზედ მოსერიანები ისხდნენ. მეწვრილმანე დედაკაცი არშიებს ყიდდა; სასმელების გამყიდველი ზარს აწკარუნებდა; პაწია გოგოები სილაზე თამაშობდნენ. მდინარის ნაპირას, ფერდობზე, მეთევზეები უმოძრაოდ იდგნენ, ანკესებით ხელში. ქარიშხალი ახლოვდებოდა, ცა დაბურული იყო. გამლენი ჯებირზე იყო გადახრილი, თვალები გემის ცხვირით წაშვერილ კუნძულისთვის მიგპრო და ქარის მიერ აცენსებულ ხეების წვეროებს უგდებდა ყურს. მისი სული გამსჭვალული იყო სიმშვიდისა და განმარტობის დაუსრულებელი სურვილით.

და მას ყურში ჩაესმა ელოდის ხმა, რომელიც თითქო მისი აზრის გამოძახილი იყო.

— გახსოვს თუ არა, ყანები რომ დაინახე და სურვილი დაგებადამომრიგებელ მოსამართლედ გამხდარიყავი რომელიმე პატარა სოფელში? ეს ბედნიერება იქნებოდა.

მაგრამ ხეების შრიალსა და ქალის ლაპარაკში მას შორეული ნალარის, დაფდაფის, ცხენების თქარათქურისა და ზარბაზნების ხრილის ხმა მოესმა.

მის მახლობლად ახალგაზრდა კაცი მოხდენილად ჩაცმულ ქალს ეუბნებოდა:

— გაიკეთ ახალი ამბავი? ოპერა კანონის ქუჩაზე გადაუტანიათ.

მაგრამ ხალხმა უკვე ყოველივე იცოდა: ცახცახობდა და ზურჩულით იმეო-



ეროვნული  
მწიგნობრივი

რებდნენ რობესპიერის სახელს, მიტომ რომ კიდევ ეშინოდათ. დაქალები, რომელთაც ესმოდათ, რომ ის დაემხო, ღიმილს მალავდნენ.

ვერისტ გამლენმა ხელი ჩასჭიდა ელოდის ხელს, მაგრამ უცებ უკუაგდო:

— მშვიდობით! მე შენ ჩემი საშინელი ბედისწერის თანაზიარი ვაგხადე, შენი ცხოვრება სამუდამოთ დაედაღე. მშვიდობით. შეეცადე დამივიწყო!

— ყველაზე მეტად ვთხოვ, უთხრა ქალმა, შინ ნუ დაბრუნდები ამაღამ: „მხატვარ ამურში“ მოდი. ზარს ნუ დარეკ; კენჭი ესროლე ჩემს დარაბებს. თვითონ ჩამოვალ კარის ვასალებად და ჭერში დაგმილავ.

— შენ ან გამარჯვებულს მნახავ, ან ვერასოდეს ვეღარ მნახავ. მშვიდობით.

როცა ქალაქის რატუნას მიუახლოვდა, რევოლუციის დიდი დღეების მძიმე ხმაურობა გაიგონა. გრევის მოედანზე შეიარაღებული ადამიანების ფუსფუსი, შარფების და სამხედრო ტანსაცმელის ელვარება, ჰანრიოს ზარბაზნების ბატარეა დაინახა. საპატიო კიბე აიარა, საბჭოს ზალაში შევიდა და დასწრეთა სიას ხელი მოაწერა. კომუნის მთავარი საბჭოს სეფე დამსწრე წევრმა ერთსულვნად კონვენტიდან განდევნილთა სასარგებლოდ მისცა ხმა.

ქალაქის მერმა ადამიანის უფლებათა ფიცარი მოატანინა და ის მუხლი წაიციტა, სადაც ნათქვამია: „როცა მთავრობა ხალხის უფლებებს ლახავს, აჯანყება უწმინდესი და აუცილებელი ვალდებულებაა.“ და პარიზის პირველი მაგისტრატი აცხადებს, რომ კონვენტის მიერ მოხდენილი სახელმწიფო ვადატრიანებას კომუნა სახალხო აჯანყებას უპირდაპირებს.

მთავარი საბჭოს წევრები ფიცს სდებენ, რომ პოსტებზე დაიხიციებიან. ორ მონიციპალურ ოფიცერს გრევის მოედანზე აგზავნიან, რომ ხალხს მოუწოდონ მაგისტრატებს შეუერთდნენ სამშობლოსა და თავისუფლების სახსნელად.

მაგისტრატები ერთმანეთის ეძებენ, ახალ ამბებს კითხულობენ, რჩევას იძლევიან. მათ შორის ცოტაა ხელოსანი. აქ შეკრებილი კომუნა გაწმენდილი იყო იაკობინელების მიერ: აქ იყვნენ რევოლუციური ტრიბუნალის მსაჯულები და ნაფიცები, მხატვრები, როგორც მაგალითად ბოვალე და გამლენი, რანტიეები და მასწავლებლები, შეძლებული ბურჟუები, დიდ ვაჭრები, შეპუდრული თმითა და ძეწკვიანი ღიპით; იშვიათია ხის ოჩაფეხები, კარმანიოლები და წითელი ჩაჩები. ბურჟუები ბევრია, ისინი თავგამოდებული ხალხია. მაგრამ კაცი რომ დაუფიქრდეს, მათ გარდა პარიზში ცოტაა ნაღდი რესპუბლიკელი. ისინი რატუნაზე სდგანან, როგორც საღ კლდეზე. გარშემო გულგრილობის ოკეანეა.

თავდაპირველად კარგი ცნობები მოდის. ყველა სატუსალოებმა, სადაც კონვენტის განდევნილები იყვნენ დამწყვდეულნი, კარები გააღეს და თავიანთი მსხვერპლები გამოუშვეს. ოგიუსტენ რობესპიერი თვითმართველობაში პირველი მოვიდა ფორსის სატუსალოდან: მას ტაშის ცემით შეხედნენ. რვა საათზე ცნობა მოდის, რომ მაქსიმილიანი, დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ, კომუნაში მოდის. მას ელიან; აი ჩქარა მოვა, მოვიდა კიდევ: საშინელი ტაშის ქუხილი ამანძარებს ძველი მონიციპალური სასახლის თალებს. ის ათიოდე კაცს შემოჰყავს



ხელზე აყვანილი. ეს გამხდარი, სუფთა, ლურჯ ტანისანოსიანი და ყვითელ შარვ-  
ლიანი კაცი სწორედ რომესპიერი არის. ჯდება და ლაპარაკს იწყებს.

მის მოსვლისთანავე საბჭო განკარგულებას სცემს, რომ კომუნის სასახ-  
ლის ფასადი გაირადინებულ იქმნას. აქ თვით რესპუბლიკის იდეა არის სხდო-  
მაზე. ის ლაპარაკობს, ლაპარაკობს წერილი ხმით, მოხდენილად. ლაპარაკობს  
სუფთად, ენაწყლიანად. დამსწრეები, რომელთაც სიცოცხლე ხიფათში ჩააგდეს  
მისი გულისთვის, შეძრწუნებულნი ხედავენ, რომ ეს სიტყვების, კომი-  
ტეტების, ტრიბუნის კაცია, მოკლებული ჩქარი გადაწყვეტილებისა და რევი-  
ლიუციური მოქმედების ნიქს.

სათათბირო ოთახში შეტყავთ. ასლა ყველანი ერთად არიან; ეს სახელო-  
ვანი განდევნილი: ლება, სენ ეისტო, კუტონი, რომესპიერი ლაპარაკობს.  
უკვე შუალამეს გადაცილებულია: ის კიდევ ლაპარაკობს. ამ დროს გამლენი სა-  
თათბირო ოთახში სდგას, შუბლი ფანჯრის მინაზე აქვს მიჭდობილი და შემ-  
ფოთებული თვალით დამის სიბნელეში იცქირება. ქრატები ბოლავენ, სასახლის  
წინ ჰანრიოს ზარბაზნების ბატარეებია ჩამწყრივებული. ბნელ შოედანზე გაურ-  
კვეცილი, მოსხვენარი ბრბო მოძრაობს. ნაშუალამეის პირველის ნახევარზე ვა-  
ნერის ქუჩიდან ლამპრიანი ადამიანები ჩნდებიან, რომელნიც გარს ერტყვიან  
კონვენტის დელეგატს: მას ხარისხის მაჩვენებელი ნიშნები აქვს გაკეთებული;  
ქალაქის შლის და მოწითალო სინათლეზე კონვენტის დეკრეტს ჰკითხულობს,  
რომლითაც კანონს ვარეშე ცხადდებიან აჯანყებული კომუნის წევრები, მთა-  
ვარი საბჭოს წევრები, რომელნიც მათ ემხრობიან და მოქალაქეები, რომელნიც  
მათს მოწოდებას ვაძკევიან.

კანონის ვარეშე გამოცხადება, სიკვდილი განუსჯელად! ეს იდეა თავ-  
გამოდებულბესაც ვი აკრთობს. გამლენი გრძნობს, რომ შუბლი ეყინება. ის ხე-  
დავს, რომ ბრბო აჩქარებული ნაბიჯით სტოვებს გრევის მოედანს.

და როცა უკან იხედება, ამჩნევს, რომ, ზალა, სადაც ამ ორიოდ წუთის  
წინათ წევრები უპაერობით ილრჩობოდნენ, თითქმის დაცალიერებულია.

მაგრამ ამოდ ვაიქენენ: მათ ხომ ხელი აქვთ მოწყრილი. ორი საათია.  
„მოუსყიდავი ადამიანი“ მეზობელ ზალაში თათბირობს კომუნისა და განდევნილ  
წარმომადგენლებთან ერთად.

გამლენი სასოწარკვეთილად იცქირება ჩაბნელებულ მოედნისკენ. ფანრე-  
ბის სინათლეზე ხედავს, რომ ხის ბიჯგები რომელნიც მეწერილმანის დექის  
ფარდულს აკავებენ, ერთმანეთს ეჯახებიან; ქუჩის სინათურები ქანაობენ და  
ციმციმებენ: დიდი ქარი ამოვარდა. ერთი წუთის შემდეგ ქარიშხალი იწყება:  
მოედანი სრულიად ცალიერდება: ვინც საშინელმა დეკრეტმა არ განდევნა, რავ-  
დენიზე წყლის წვეთი ჰფანტავს. ჰანრიოს ზარბაზნები მიტოვებულია. და როცა  
ელვის სინათლაზე ანტუნის ქუჩიდან და სენის ნაპირებიდან მოშავალი, კონ-  
ვენტის მომხრე ვარი ჩნდება, კომუნის სასახლის მიდამოები სრულიად დაცა-  
ლიერებულია.

ბოლოს მაქსიმილიანმა გადასწყვიტა „შუბების, სექციას“ მიმართოს კონ-  
ვენტის დეკრეტის გამო.





მთავარი საბჭო ბრძანებას სცემს, რომ ხმლები, დამბაჩები და თოფები მოიტანონ. მაგრამ შენობაში იარაღის, ნაბიჯების და დამტერეული შუშების ხმაურობა ისმის. კონვენტის ჯარი ნიაღვარივით წალეკავს სათათბირო ზღაპს და საბჭოს ოთახში შეიკრება. გაისმის თოფის ხმა: გამლენი ხედავს, რომ რობესპიერი წაიქცა ყბა მომტერეული. თვითონ მან დანა ამოიღო, ეჭვს სუთ ღირებული დანა, რომელითაც შიმშილობის დროს პურს სჭრიდა საწყალი დედისთვის და რომელიც ერთ მშვენიერ საღამოს ელოდის მუხლზე ედო, როცა საწინდარს თამაშობდნენ ორანეის ფერმაში; დანას ხსნის და უნდა გულში ჩაიკვს: პირი მკერდის ძვალს ხედება, იკვებება და ორ თითს სჭრის. გასისხლიანებული გამლენი ძირს ეცემა. ის უმოძრაოდ წევს, მაგრამ იტანჯება, აუტანელი სიცივის გამო და საწინელი ბრძოლის არეგდარევაში ფეხებით ითელებდა. უცებ გარკვეულად ახალგაზრდა დრაგონის პანრის ყვირილი ესმის:

— ტირანი აღარ არის; მისი დამქაშები განადგურებულნი არიან. რევოლიუცია განაგრძობს თავის დიდებულ და შემადრწუნებელ მსკლევლობას.

გამლენს გული წაუვიდა

დილის შვიდს საათზე კონვენტის მიერ გამოგზავნილმა დოსტაქარმა მკერდი და ხელი შეუხვია. კონვენტი დიდი კურადლებით ექცეოდა რობესპიერის თანამოაზრეებს: არ უნდოდა, რომ რომელიმე მთავარი გილიოტინას წასვლოდა. მხატვარი, ყოფილი ნაფიცი მსაჯული, კომმუნის მთავარი საბჭოს ყოფილი წევრი საკაცეთი გადაიტანეს კონსტიტუციის სატუსალოში.

## XXVIII

ათ ტერმიდორს, როცა ევარისტს ციხეცხელებიანი ძილის შემდეგ თითქო მუჯლუგუნი ჰკრეს და სატუსალოს ტახტზე გამოეღვიძა, ის აუწყრელმა კეწანმა, მოიკვა. პირიზი, თითქო რაღაც უხარმაზარი, ტურფა არსება ყოფილიყოს მზეს უცინოდა; რობესპიერის დაცემის გამო ტუსალებში იმედი იღვიძებდა; ვაჭრები მზიარულად აღებდნენ დუქნებს, ბურჯები თავიანთ თავს უფრო მდიდრათ გრძობდნენ, ახალგაზრდა კაცები უფრო ბედნიერათ, ქალები უფრო მშვენიერათ. მხოლოდ ერთი მუტა იაკობინელები, რადენინე შეფიციული მღვდელი და რადენინე ხნიერი დედაკაცი კანკალებდა, როცა ხედავდა, რომ ხელისუფლება ბოროტი და გარყვნილი ადამიანის ხელში გადადიოდა. რევოლიუციური ტრიბუნალის დელეგაცია, რომელიც საზ ვადიობრივი ბრალმდებელისა და ორი მსაჯულისაგან შესდგებოდა, კონვენტში წავიდა, რათა შეიკმულთა დატუსალება მიელოცა. კონვენტმა ვადასწყვიტა, რომ ეშაფოტი ხელახლა რევოლუციის მოედანზე ამართულიყო. უნდოდათ, რომ მდიდარ, მორთულ ადამიანებს, ღამაზ ქალებს თავის შეუწყუბლად დაენახათ რობესპიერის დასჯა, რომელიც ამავე დღეს უნდა მომხდარიყო. დიქტატორი და მისი თანამოაზრეები კანონ გარეშე იყენენ გამოცხადებულნი: საკმაო იყო, რომ მათ იგივეობას ორი მუნციკიპალური ოფიცერი დაადასტურებდნენ და ისინი უშუალოდ ჯალათს გადაეცემოდნენ. მაგრამ ერთი დაბრკოლება იხადებოდა: პიროვნების ცნობა არ შეიძლებოდა ამ ფორმით მომხდარიყო, მიტომ რომ მთელი კომუნა კანონ გარეშე იყო გამოცხა-

დებული. კონვენტმა გადასწყვიტა იგივეობის დადატურება ორი ჩვეულებრივი მოწმის შემწეობით მომხდარიყო.

როცა ტრიუმფირები და მათი თანამაზრებები დასასჯელად მიჰყავდათ, აღტაცებული და გააფთრებული ბრბო ყვიროდა, ილანძღობდა, იცინოდა, ცეკვავდა.

შეორე დღეს, როცა ევარისტო ცოტათი მოლონიერდა და ფეხზე დადგომა შესძლო, ჯორღმულიდან გადმოიყვანეს, ტრიბუნალში მიიყვანეს და ესტრადაზე დასვეს, სადაც მის თვალწინ ამდენმა სახელოვანმა და უცნობმა მსხვერპლმა გაიარა. იქ ახლა მასთან ერთად სამოცდაათი ბრალდებული იყო, უმეტეს ნაწილად კომუნის წევრები, და რავედნიმე ნაფიცი მსაჯული, კანონ გარეშე გამოცხადებული გამლენიეით. მან შეხედა თავის სკამს, ქალაღდების გროვას, რომელსაც ის ჩვეულებრივ იდაყვს აყრდნობდა, იმ ადგილს, საიდანაც ამდენ უბედურ ადამიანში შიშის ძრწოლა გამოიწვია; დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც იქ იჯდა და იძულებული იყო ეკ მობელის, ფორტიუნე ბასხანის, მორის ბროტტოს შეხედვა აეტანა ან კიდევ თვალი თვალში გაეყარა მოქალაქე ლუიზა როშმორისთვის, რომელმაც ის ნაფიცი მსაჯულად დაანიშნია, მან კი სამაგიეროდ სიკვდილის განაჩენი მიუძღვნა, იმ ესტრადის ზემოდ, სადაც ხავერდთან წითელი ხის საეარძლებში მსაჯულები ისხდნენ, მან ხელახლა დაინახა შალიეს და მარატის ბიუსტები და აგრეთვე ბრუტოსის ბიუსტიც, რომელიც მან ერთხელ თავის სიტყვაში დაიმოწმა. არაფერი არ გამოცვლილა, არც კედლის ქალღდზე გამოხატული ცუღდები, წნელის კონები და წითელი ჩაჩები, არც წინდის მქსოველი ქველა ქაღდები, რომელნიც ლანძღვა-გიზებით აციღდდნენ სასიკვდილოდ მიმავალთ, არც უჯიათი, შრომის მოყვარე ფუკიე—ტენვილი, რომელიც ვულმოდგინედ ალაგებდა კაცისმკვლელ ქალღდებს. და როგორც სანიმუშო მსაჯულს შეეფერება, თავის მაშინდელ მგობრებს ეშთოტზე აგ ზახენდა.

მოქალაქე რემაკლა, თერძმა—მეკარემ, და უფროსმა დიუბონმა, ღურგალმა ტიონვილის მოედნიდან და ახალი ხიდის\* სექციის ზედამხედველობის კომიტეტის წევრმა დაამოწმეს მხატვრის, ყოფილი ნაფიცი მსაჯულის, კომუნის შთავარი საბჭოს ყოფილი წევრის, გამლენის (ევარისტის) პიროვნება. გასამკვლოდ სექციიდან ასი სოღდის ასიგნაცია მიიღეს; მაგრამ რადგან ბრალდებულთან შეზობლობისა და მგობრობის ურთიერთობა ჰქონდათ, სტკვენოდათ მისი შეხედვა. ამას გარდა ცხელოდა კიდევ: მათ მოსწყურდათ და საქაროდ წაეღდნენ თითო ჰიქა ლეინის დასაღევად.

გამლენი ძლივს ავიდა საბარგო ეტლში: ბევრი სისხლი დაჰკარგა და ჰრილობა სასტიკად სტანჯავდა. შეეტლემ ჯავღავ ცხენს მათრახი შემოჰკრა და ეტლმა გაარღვია ბრბო, რომელიც სტვენდა და ლაზღანდარობდა.

ღედა-კაცები, რომელნიც გამლენს სტნობდენ, გაიძახოდნენ:

— წადი, სისხლის მსმელო! კაცის მკვლელო თერამეტი ფრანკის გულისთვის დღეში.

...ის აღარ იცინის: ხედავთ როგორი ფერწასულია ეს მხდალი!

ეს იგივე ღედაკაცები იყვნენ, წინათ რომ შეთქმულებსა და არისტოკრა-



ერყენული

ტებს ლანძღავდნენ და კიდევ ზომიერებსა და უკიდურესებსაც უწოდებდნენ და ვამ-  
ლენი დი მისი ამხანაგები გილიოტინაზე აგზავნიდნენ.

ეტლმა მორფონდიუს სანაპირო ტუჩისაკენ შეუხვია, ნელა გაიარა ახალი  
ხიდი და მონეს ტუჩა: რევოლიუციის მოედნისკენ მიდიოდა, რობესპიერის ეზო-  
ფოტისკენ. ცხენი კოკლობდა; მეეტლე ყოველ წუთში მათრახს უჭნევდა. მზიარუ-  
ლი, მოძრავი მაყურებლების ბრბო აფერხებდა ეტლის მსვლელობას. სხოგადო-  
ება ულოცავდა ეანდარმებს, რომელნიც ცხენებს ძლივს აკავებდნენ. ჰონორეს  
ტუჩის კუთხეში ლანძღვა-გინება გაორკვედა. ყმაწვილები, რომელნიც მოდის  
რესტორანებში იხსდნენ, ფანჯრებთან მიციენდნენ ხელსახოცებით შეიარაღე-  
ბულნი და დაძახეს:

— კაცის მკამელებო, სისხლის მსმელებო! ერთ ადგილას ეტლი ნაგავში  
ჩაიფლა, რომელიც ამ შუთთან დღეებში ვერ აეღოთ და აწან ოქროს ეარაყინი  
ახალგაზრდობა მზიარულ გუნებაზე დააყენა:

— ეტლი ჩაიფლა!... ნაკელში გადაყარეთ იაკობინელები!

განლენი ჩაფიქრდა და წარმოიდგინა, ზომ ყოველივე ნათლად გაიგო:  
„სამართლიანად ვკედები, გაიფიქრა მან. სამართლიანია, რომ რესპუბლი-  
კის ლანძღვა-გინებას ვისმენ, რაიცა მისთვის უნდა აგვეცილებია. ჩვენ სუსტნი  
ვიყავით: ჩვენ დამნაშავენი ვართ, რომ სიბრაღული გამოვიჩინეთ. ჩვენ ვავეი-  
დეთ რესპუბლიკა. ეს ბედი სამართლიანად დაეიმსახურეთ. თვით ძვირუფსა,  
წმინდა რობესპიერმა შესცოდა გულკეთილობისა, სულგრძელობის გამო და  
თავისი შეცოდება თავისი ტანჯვით გამოიხსიდა. მასავით მეც ვულალატე რეს-  
პუბლიკას: ის იღუპება: სამართალი მოითხოვს, რომ მეც მასთან ერთად მოვკვდე  
მე სისხლი დაეზოგვ: დაე, ჩემი სისხლი დაიღვაროს! დაე მე დავიღუპო! ეს და-  
ვიმსახურე...“

ამ აზრებში იყო წასული, როცა უკებ „მატყარი ამფრის“ წარწერა და-  
ინახა. მის სულში სიმწარისა და სიტყბობის ნიაღვარი შეიქრა. მალაზია დაკე-  
ტილი იყო, პირველი სართლის დარბაზები მიხურული, როცა ეტლმა მარცხენა  
ფანჯარას, ცისფერი ოთახის ფანჯარას ჩაუარა, ქალის ხელმა, რომელსაც უსახელო  
თითზე ვერცხლის ბეჭედი ჰქონდა, დარბაზი გამოაღო და გამლენისკენ წითელი  
მიხაკი ისროლა; შეკრული ხელებით არ შეეძლო ამ ყვავილის დმჭერა, მაგრამ მის  
თაყვანი სცა, როგორც იმ წითელი და სურნელოვანი ტუჩების სიმბოლოს, რომ  
მელითაც მისი პირი არა ერთხელ დანამულა, მისი თვალები ცრემლებით აივ-  
სენ და მთლად ამ გამოთხოვებით იყო მოხიზლული, როცა რევოლიუციის მოე-  
დანზე ამართული სისხლიანი ნაჯახი დაინახა.

## XXIX

სენას ნივთის ყინული მიჰქონდა. ტიულიერის ბაღში აუზები, რუები,  
შადრევენები გაყინული იყო. ჩრდილოეთის ქარი ტუჩაში რთვილის ბუქს აყე-  
ნებდა. ცხენები ნესტოებიდან თეთრ ორთქლს უშვებდნენ; მოქალაქეები ოპტიკო-  
სების კარებზე ტერმომეტრებს უქქებოდნენ. ნოქარი ფანჯრის ნინებს სწმენდა  
„მატყარი-ამფრის“ მალაზიაში, ხოლო ცნობის მოყვარუები მოდის გრაფიერებს



ერეკნული

ათვალყურებდნენ: ერთ გრაფიურაზე რომესპიერი კაცის გულს სჭურავდა თასში, თითქო ლიმონი ყოფილიყოს, სხვებზე დიდი ალგვარიული სიუჟეტები იყო გამოხატული მაგალითად, „რომესპიერის ტიუროკრატია“, სადაც ტირანი გველვშაპებსა, გველებსა, საშინელ ქმნილებებს უსედა საურანგეთს. გარდა ამისა გამოფენილი იყო „რომესპიერის საშინელი შეთქმულება“, „რომესპიერის დატუსაღება“, „რომესპიერის სიკვდილი“.

ამავე დღეს, ნასადილევს, „მატეარ-ამურში“ ფილიპ დემაი შევიდა, კარტონით ხელში და მოქალაქე ვან ბლეს ახლად დახატული გრაფიურა შეუტანა: „რომესპიერის თვით მკვლელობა“. გრაფიურის ბოროტ საკვეთს რომესპიერი, რადენადაც შესაძლებელი იყო, მახინჯად გამოეყენა. ფრანგის ხალხი ჯერ კიდევ კბილმოკვეთილი არ იყო ყველა ამ ჭეგლებით, რომელთაც რომესპიერის საშინელება და საზიზღრობა უნდა გამოეხატათ. ამისდამიუხედავად გრაფიურების გამყიდველმა, რომელიც საზოგადოებას კარგად იცნობდა, დემაი გააფრთხილა, რომ შერვისისთვის სამხედრო სიუჟეტებს მისცემდა.

— ჩქარა გამარჯვებისა და დაპყრობისა, ხმლებისა, ჯიღებისა, გენერლების დახატვა დაგვირდება. დიდება გვწყურია. ამას ნათლად ვგრძნობ; ჩემი გული აჩქარებულად სცემს, როცა ჩვენი მამაცი ჯარების ამბებს ვისმენ. და როცა რაიმე გრძნობას ვანვიცი, იშვიათია, რომ იგივე გრძნობა მთელმა ქვეყანამ არ განიცადოს. ჩვენ ახლა მხედრები და ქალები გვპირია, მარსი და ვენერა.

— მოქალაქე ბლეს, შინ გამლენის ორი თუ სამი ნახაზი ნაქვს, თქვენ რომ მონეცი თ ამოსაჭრელათო სიჩქარო ხომ არ არის?

— სრულიადაც არა.

— მართლა, გამლენი გამახსენდა: გუშინ ტამპლის ბულვარზე გავლის დროს ერთ ანტიკვარის დუქანში, რომელიც ბონარშეს სახლის პირდაპირ არის მოთავსებული, იმ უბედურის ყველა ტილოები დავინახე. სხვათა შორის ქვეც მისი „ორესტი და ელექტრა“. ორესტის თავი გამლენს წაავაგს და, გარწმუნებ, რომ მართლაც მშვენიერია... თავი და ხელები საუცხოვოა... ანტიკვარმა მითხრა, რომ ის ამ ტილოებს სიამოვნებით მიყიდდი ისეთ მხატვრებს, რომელნიც მასალად მაინც გამოიყენებდნენ... საბრალო გამლენი! შეიძლება მას პირველხარისხოვანი ნატი გამოეჩინა, პოლიტიკას რომ არ გაეტაცნა.

— მას დამწაშავის სული ჰქონდა, უპასუხა ბლესმა. მე მას სწორედ აქ ავხადე ნიღაბი იმ დროს, როცა თავის სისხლის მსმელ ინსტინქტებს ჯერ კიდევ აკაევბდა. ეს ვერასოდეს ვეღარ მაპატიო... ახ, ის მუდრეგი ვინმე იყო.

— საბრალო ბიჭი! გულწრფელი კი იყო, ფანტიკოსებმა დალუპეს.

— თქვენ მას არ იცავთ, დემაი, იმეღია... იმის დაცვა შეუძლებელია.

— არა, მოქალაქე ბლეს, იმის დაცვა მართლაც შეუძლებელია.

და მოქალაქე ბლესმა მხრებზე ხელი დაჰკრა ლიმაზ დენაის:

— დროება შეიცვალა. ახლა შეიძლება „ბარბარო“ გიწოდოთ, რაკი კონვენტმა უკან მოიწვია განდევნილები... იცით, რას ეტიქრობ: მოდით, შარლოტ-ტა კორდეს სურათი გამომიტყობით.



მალაზიაში მიღალი, ლამაზი, შეფერვანი, ბეწვებში გახვეული ქალი შემოვიდა და მოქალაქე ბლუზს მეგობრული უსიტყუო სალაში უძღვნა. ეს იყო იულია გამონენი; მაგრამ ამ შერცხვენილ გვარს აღარ ატარებდა: თავის თავს „მოქალაქე ბასსანის ქერივს“ უწოდებდა და წამოსასხამის ქვეშ წითელი ტუნიკა ეცვა, ტერორის დროის წითელი პერანგის მოსაგონებლად.

იულია თავდაპირველად ანტიპატიას გრძნობდა ევარისტის საყვარლისადმი: მას ეზიზღებოდა ყოველივე, რაც მასს შეეხებოდა. მაგრამ ევარისტის სიკვდილის შემდეგ მოქალაქე ბლუზის ასულმა „მბატყარი ამურის“ სახლის ქერში მოათავსა უზედური დედა. იულიაც იქ შეეკედლა; შემდეგ მოდების მალაზიაში, ლომბარდების ქუჩაზე, ადგილი იშოვა. მისმა მოკლედ გააკრეპილმა თმამ არისტოკრატიულმა შეხედულებამ, სამგლოვიარო ტანისამოსმა მოვარაყული ახალგაზრდობის თანაგრძნობა მოუპოვეს. თან ბლუზმა, რომელიც როზა ტევენენმა თითქმის მიატოვა, მას თავყანისცემა მიუძღვნა, რაიცა ქალმა მიიღო. მაგრამ იულიას, ისევე როგორც ტრაგიკულ დღეებში, ახლაც უყვარდა მამაკაცის ტანისამოსის ტარება: სალუქი ვაეკაცური ტანისამოსი შეაკერინა და ხშირად დიდი ჯობით ხელში სევრის ან მედონის კაბარეში მიდიოდა ვახშმის საქმელად რომელიმე მოდისტ-ქალთან ერთად. ეს ვაეკაცი იულია ჯერ კიდევ გლოვობდა იმ ახალგაზრდა აზნაურის. დალუპვას, რომლის გვარსაც ატარებდა და თავის მწუხარების გასაქარებლად ხშირად ხალხს უსუვედა იაკობინელებს და „კა მაგათო“ გაიძახოდა. ქალს ცოტა დრო რჩებოდა დედისთვის, რომელიც მარტოდ მარტო იჯდა ოთახში, მთელი დღე ლოცვებს ბუტბუტებდა და იმდენად განადგურებული იყო ვაჟის ტრაგიკული დასასრულით, რომ მწუხარებასაც ვეღარ გრძნობდა. იულია ელოდის ერთგული მეგობარი ვახდა, ელოდიც კარგად შეეთვისა თავის დედინაცვლებს.

— სად არის ელოდი? იკითხა მოქალაქე ბასსანის ქერივმა.

თან ბლუზმა ანიშნა, რომ არ იცოდა. მან ეს არასოდეს არ იცოდა: ეს მისი ყოფაქცევის ხაზი იყო.

იულია მოვიდა რომ ელოდი ტევენენტთან წაეცვანა მონსოში, სადაც მსახიომ ქალს პატარა სახლი ეპირა ინგლისური ბაღითურთ.

კონსიერეგროში ტევენენის ქალმა ჯარის მსხვილი მოიჯარადრე გაიცნო, მოქალაქე მონფორტი. ქალი სატუსალოდან აღრე გამოვიდა თან ბლუზის შუამდგომლობის წყალობით და მოქალაქე მონფორტის განთავისუფლებაც მოახერხა. მოიჯარადრემ მაშინვე სანოვავის მიწოდება დაიწყო ჯარისთვის და სპეკულიაცია პეზინიერის უბნის მამულებზე. ხუროთ-მოძღვრები ლედუ, ოლივიე და ვალი იქ კობტა სახლებს აშენებდნენ და სამი თვის განმავლობაში მამულის ფასი ერთი სამად გაიზარდა. მონფორტი ლუქსემბურგის ციხეში ყოფნის შემდეგ ტევენენის ქალის საყვარელი იყო: მან ქალს ტივოლისა და რომბერის ქუჩის მახლობლად პატარა სახლი აჩუქა; ეს სახლი ძვირფასი იყო, მაგრამ მას არაფრად უღირდა, მიტომ რომ მეზობელ ნაჭრების გაყიდვით მისი ღირებულება რაოდენჯერმე იყო ანაზღაურებული. თან ბლუზი თავაზიანი კაცი იყო; ფიქრობდა, რომ სადაც არა



სჯობს, გაცლა სჯობს: ტვეენენის ქალი მონთორტს დაუთმო, ისე რომ შეგობ-რობა არ შეუწყვეტია თავის წინანდელ საყვარელთან.

იულიას მოსვლის შემდეგ სულ ცოტა ხანმა განვლო და მაღაზიაში ელადი ჩამოვიდა მოკაზმული. სიცივის მიუხედავად წამოსასხამის ქვეშ მას თითქმის არაფერი ეცვა გარდა თეთრი კაბისა; სახე გაფითრებული ჰქონდა, ტანზე გამ-ხდარი იყო, თვალები მიზნედოდნენ და მთელი მისი პიროვნება უნებით იყო გამსქვალული.

ქალები ტვეენენის ასულთან წავიდნენ. დემაი თან გაჰყვა: მსახიობი ქალი მატარარს რჩევას ჰკითხავდა თავის სახლის დეკორაციის შესახებ; დემიას ელო-დი უყვარდა, ხოლო ელოდის ამ წუთში სანახევროდ გადაწყვეტილი ჰქონდა ის აღარ ეწველებინა. როცა ქალებმა მონსოს ჩაღარეს, სადაც კირის ნიადაგში რევოლიუციის მოედანზე დახოცილი ადამიანები იყვნენ ჩათლული, იულიამ სთქვა:

— ზამთარში კიდევ არაა უშავს, მაგრამ გაზაფხულზე აქედან შემოსული სუნი ნახევარ ქალაქს ააყროლებს.

ტვეენენის ასულმა შეგობრები ანტიურ სალონში მიიღო, სადაც დავიდის ესკიზების მიხედვით გაკეთებული კანაპეები და საეარძლები იდგა. ბრინჯაოს სტატუებსა, ბიუსტებსა და კანდელაბრებს კედლებიდან რომაული ბარელიეფები დაჰყურებდნენ, კამეების მიხედვით შესრულებულნი. დიასახლისს ჩალის ფერი დახუჭუპებული პარიკი ჰქონდა. ამ ხანაში პარიკისთვის ხალხი გიედებოდა: სამ-ზითყო კალათში ხშირად ექვსს, თორმეტ, თვრამეტ პარიკს აწყობდნენ. „კვიპროსული კაბა“ ქალს ტანზე მკიდროთ ჰქონდა შემოკდობილი.

დიასახლისმა წამოსასხამი მოიხურა და სტუმრები ბაღში ჩაიყვანა. ეს ბაღი ლედუმ დაგეგმა, მაგრამ ჯერ მხოლოდ ტიტველი ხეებისა და მისალის ქაოსს წარმოადგენდა. მაინც ქალმა მათ ხელოვნური გამოქვაბული, გოტიური სამლოც-ველო და სამრეკლო, ტაძარი, ლეღე უჩვენა. შემდეგ ფიჭვებისკენ მიუთითა და სთქვა:

— იქ უბედურ ბროტო დეზილეტის სამახსოვროდ აკლდამა მინდა გავა-კეთებინო. ის სრულიად გულგრილად არ მიყურებდა. საყვარელი ადამიანი იყო, იმ საშინელმა მხეკებმა მოჰკლეს; მე გამოვიტირე. დემაი, თქვენ სეტეტე ლარნაკს გამომიხატავთ.

და მაშინვე დაუმატა:

— ეს საშინელება... ცეკვის საღამოს მოწყობა მინდოდა ამ კვირაში; მაგრამ ყველა ვიოლონისტები წინდაწინვე დაბეგებულნი არიან სამი კვირით. მოქალაქე ტალლიენის მეუღლისას ყოველ საღამოს ცეკვავენ.

სადილის შემდეგ ტვეენენის ეტლმა სამი შეგობარი ქალი და დემაი ფეი-დოს თეატრში წაიყვანა. მთელი შეძლებული და ლაზათიანი პარიზი იქ იყო თავ-მოყრილი. ქალებს თმა „ანტიურად“ და „მსხვერპლების მზგავსად“ ჰქონდათ გა-კეთებული და ფართოდ გულმოკრილი თეთრი და ძოწის ფერი, ოქროთ აბრწყვი-ლებული კაბები ეცვათ; მამაკაცებს მაღალი შავი საყელოები და ფართო თეთრი ყელსახვევები ჰქონდათ.

აფიშაში „ფედრი“ და „მებალის ქალი“ იყო გამოცხადებული. მთელმა



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ზალამ ფრანტებისა და მოვარაყულ ახალგაზრდობის ჰიმნი მოითხოვა „ხალხის გამოლევინება.“

ფარდა აიხადა და სცენაზე დაბალი ტანის, ჩასუქებული მამაკაცი გამოჩნდა ეს იყო ცნობილი ლაისი. მან მშვენიერი ტენორით დაიწყო:

„ფრანგის ხალხო, ძმების ხალხო!... მქუხარე ტაშმა გასანათებელი ხობლის მინები ააწკრიალა. შემდეგ სუსტი ბუზღუნე გაისმა და რგვააქუდიანმა მოქალაქემ, რომელიც პარტურში იჯდა „მარსელიეზის ჰიმნი“ დაიწყო:

„მამულის შეიღწო წინ გასწით!“.. ეს ხმა ღრიანცეღმა დაფარა; გაისმა ყვირილი:

— ძირს ტერორისტები! სიკვდილი იაკობინელებს!

და მეორეჯერ გამოწვეულმა ლაისმა ტერმიდორიელების ჰიმნი გაიმეორა:

„ფრანგის ხალხო, ძმების ხალხო!!!“

ყველა სათეატრო ზალებში მარატის ბიუსტი იდგა; ფეიდოს თეატრში ასეთი ბიუსტი „ხალხის“ მხრივ რამპის პირდაპირ იყო ამართული.

როცა ორკესტრმა „ფედრის და იპოლიტის“ უფერტიურა დაუკრა, ვიღაც ახალგაზრდა ფრანტმა ჯოხით საზოგადოებას ბიუსტი უჩვენა და დაიყვირა:

— ძირს მარატი!

მთელმა ზალამ გაიმეორა:

— ძირს მარატი! ძირს მარატი!

ჩოჩქოლში მკერამეტყველი ხმები გაისმოდა:

— ეს სამარცხვინო ამბავია, რომ ეს ბიუსტი კიდევ აქ სდგას!

— უხამსი მარატი ყოველგან ბატონობს ჩვენდა სამარცხვინოდ! ამ ბიუსტების რიცხვი იმ თავების რიცხვს უდრის, რომელნიც მას უნდოდა მოეკეთა.

— შხამიანი გომბეზო!

— ავაზი!

— შავი გველი!

უცებ ერთი მოხდენილად გამოწყობილი მაჟორებელი ლოქის კიდურზე დგება, ბიუსტს უბიძგებს და ძირს ამბობს. დამსხვრეული გიჟის თავი შემუსიკებს თავზე ეცემა, ზალაში ტანის ცემა გაისმის, საზოგადოება ფეხზე სდგება და „ხალხის გალვინებას“ მღერის:

„ფრანგის ხალხო, ძმების ხალხო!“ ყველაზე მეტად აღფრთოვანებულ მომღერლებს შორის ელოდიმ კოპშია დრაგონი იცნო, პროკტორის ყოფილი კლერი, თავისი პირველი საყვარელი, ჰანრი.

წარმოდგენის შემდეგ ლამაზმა დენაიმ ეტლს დაუძახა და მოქალაქე ბლუზის ასული „მხვატეარ ამურაში“ მიიყვანა.

ეტლში გრავიორომა ელოდის ხელი ჩასჭიდა და უთხრა:

— გწამთ თუ არა, ელოდი, რომ მიყვარხართ?

— მწამს, მიტომ რომ თქვენ ყველა ქალები გიყვართ.

— მე ისინი თქვენი სახით მიყვარს.

ქალმა ჩაიცინა:

— ეს ჩემთვის მძიმე ტვირთი იქნებოდა, თუ შავი, ქერა, წითურ პარკების





ერეკნული  
მეცნიერება

მიუხედავად, რომელიც ერთნაირ გაგიყვას იწვევენ, თქვენთვის ყველა ქალების როლს ვიკისრებდი.

— ელოდი, გეფიცებით...

— რაო! კიდევ ფიცულობთ, მოქალაქე დემაი? ან თქვენ მეტად გულუბრყვილო ხართ, ან მე შთვლით გულუბრყვილოდ.

დემაიმ ვერაფერი სთქვა საპასუხოდ და ქალი გაბარებული იყო, რომ მას გონება დაუბნია.

„ქანონის ქუჩის“ კუთხეში სიმღერა და ყვირილი მოესმათ. ანრდილები ცეცხლის გარშემო მოძრაობდნენ. ეს იყო ფრანგების ჯგუფი, რომელიც „ფრანგული თეატრიდან“ გამოსულიყო და „ხალხის მგვობრის“ მანეკენს სწვავდა.

ქონორეს ქუჩაზე მეეტლის სამკუთხედის ქუდი მარატის სასაცილო გამოხატულებას მოედო, რომელიც ფანრის ბოძზე იყო ჩამოკიდული.

მეეტლე ამ შეხვედრამ გაამხიარულა, ბურჯებს მოუბრუნდა და უამბო, რომ წინ დღით შიგნეულების ვაჭარს სისხლით შეეხებუნა მარატის თავი და ეთქვა: „აი, მას რა უყვარდა“; რომ ათი წლის ბავშვებს სანაგვე თხრილში ჩაგვდოთ მარატის ბიუსტი, ხოლო გამეღელ-გამომვლელ მოქალაქეებს დაეძახნათ: აი, მისი პანთენონიო!

ყველა რესტორანებიდან და სალიმონათეებიდან ერთი და იგივე სიმღერა ისმოდა:

„ფრანგის ხალხო, ძმების ხალხო!...“

„მხატვარ ამურთან“ მისვლისთანავე ელოდი ეტლიდან ჩამოხტა და თანამგზავრს ღამე მშვიდობისა უსურვა.

მაგრამ დემაიმ ისე ნაზად და დაეინებით დაუწყო თხოვნა, რომ ქალს გამბედაობა აღარ ეყო, რომ ის კარში დაეტოვებინა.

— უკვე გვიან არის, უთხრა მან, თქვენ მხოლოდ ერთს წუთს დარჩებით. ცისფერ ოთახში ქალმა წამოსასხამი მოიხსნა და თეთრი ანტიური კაბა გამოაჩინა, რომელიც მისი სხეულის ფორმებით იყო აღსავსე და გამთბარი.

— შეიძლება გცივათ, სთქვა მან. ახლავე ცეცხლს დაეანთებ; თითქმის სრულიად მზად არის.

ტალკეცი ჩამოჰკრა და კერაში ცეცხლი შეუქეთა.

ფილიპპმა ხელი მოხვია ისეთი სინაზით, რომელიც ძლიერებას მოწმობს, ქალმა უცნაური სიტყვობება იგრძნო და თუმცა ვაეის კოცნამ მოადუნა, მაინც თავი გაინთავისუფლა:

— გამიშეით!

ქალმა ბურის სარკის წინ ქუდი მოიხადა აუჩქარებლად: შემდეგ მარცხენა ხელის თითზე წამოცმულ ვერცხლის ბეჭედს შეხედა მელანქოლიურად: მარატის თავი გადაღესილი იყო და თითქმის აღარ ჩნდა. დიდხანს უცქირა, სანამ, კრემლეგმა თვალეები არ დაუნამეს, წყნარად წაიძრო და ცეცხლში ჩააგდო. და მაშინ ფილიპპს გადაეხვია კრემლებით და ღიმილით გაბრწყინებულნი, სინაზითი და სიყვარულით გამშვენებულნი.





ეროვნული

მამლის ყივილი მოახლოვებული იყო, როცა მოქალაქე მღვდელის მსულმა თავის საყვარელს ბინის კარი გაუღო და ხმა დაბლა უთხრა სიბნელეში:

— მშვიდობით, ჩემო საყვარელო... ამ დროს შეიძლება მამაჩემი დაბრუნდეს: თუ კიბეზე ხმაურობა გაიგონო, ჩქარა ამოდი ზეეითა სართულში და ნუ ჩახვალ, სანამ საფრთხე არ გაივლის. მეკარის ფანჯარაში სამჯერ დააკაკუნე და ჭიშკარს გაგიღებენ. მშვიდობით, სიკოცხლე, მშვიდობით სულიყო!

ბუხარში უკანასკნელი ნაკვერჩხლები იფერფლებოდა. ელოდომ ბალოშზე ბედნიერი და დაღლილი თავი მიაღო.

დასასრული.

თარგ. ფრანგულით ვ. ჯ.

## ანატოლ ფრანსის აზრი საფრანგეთის ჩემოლიუზიაზე.

ანატოლ ფრანსის რომანმა „ღმერთებს სწყურიათ“ ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია. ბევრი გააოცა იმ გარემოებამ, რომ დიდმა ფრანგმა რომანისტმა, რომელიც თავის თავს კომუნისტად და რევოლუციონერების მეგობრად სთვლიდა, საფრანგეთის რევოლუციის შესახებ ასეთი წიგნი დასწერა. ამის შესახებ სხვათა შორის ანატოლ ფრანსთან ლაპარაკი ჰქონდა ერთს მის მეგობარს, მარსელ ლე ჰოფეს, რომელმაც ავტორის აზრი საფრანგეთის რევოლუციის შესახებ გადმოსცა თავის წიგნში „ანატოლ ფრანსი 1914—1924 წლებში“. ამ მათი დიალოგის ნაწილი, რომელიც აღნიშნულ საგანს შეეხება.

**მარსელ ლე გოფე.** თქვენი წიგნით „ღმერთებს სწყურიათ“ ისტორია გაგვასწორებოდა, მიტომ რომ ეს ყველაზე რეაქციური და ყველაზე სასტიკი წიგნია, რომელიც ეოზუფ დე მესტრის შემდეგ დაწერილა.

**ფრანსი.** ამ წიგნში ის გამოეთქვი, რასაც ვფიქრობდი. განზრახვა არ მქონია პანეგირიკი ან პამფლეტი დამეწერა, ესთქვი მხოლოდ ის, რასაც კემ-მარიტებად ვსთვლიდი, რაც ჩემი კლდეა ძიების და მოთქიქების შედეგი იყო, ვინდათ იცოდეთ, რას ვფიქრობ ნამდვილად? რევოლუციონერები, ეს ზენი დიდი წინაპრები ან ბალები არიან ან უკუღმართი ადამიანები. მათი იდეები ბეჩაფია, მათი იმედები წვრილმანია, მათი საზოგადოება სატუსალოა, მათი მქერმეტყველობა მაცდურია, მათი აღთქმანი თვალთმაქცობა! ფირონდამ ომი გააღვივა რათა ტახტი დაეღეწა. მე მძღლს ყირონდისტები, ეს გაბერილი, ეგოისტი, შეუბრალებელი წვრილი ბურჯები. როგორც წვრილ ბურჯებს, მათ

სძულდათ სასახლე და არისტოკრატია. როცა მათ მიერ შერყეული ტახტი უნდა დაღწეულიყო, მათ გამხედრობა ველარ გამოიჩინეს და ფრონტის გამოცლა სკადეს: ამგვარად თავის ცუდ თვისებებს სიმდაბლე და პირფერობა დაუმატეს.

**მარხელ ლე გოფფი.** ეს რომ თქვენმა მეგობრებმა გაიგონონ, დიდათ გაუკვირდებათ.

**ფრანსი.** ეს მართალია, მათ ვერ გაიგეს ჩემი წიგნი „ღმერთებს სწყურობათ“... მაგრამ განა თქვენ არ იცით, რომ საფრანგეთის რევოლიუცია ბურჟუაზიისა და კაპიტალისტების საქმე იყო, რომ მასში არაფერი იყო სოციალისტური, არაფერი იყო ჰუმანიური? მისი მალაღმარდოვანი სიტყვების უკან პირადი ინტერესები იმალებოდა. მისი პოზების უკან—პატიყმოყვარეობა, მისი სულგრძელი დეკლარაციების უკან ომები და დაპყრობანი. მას არ შეუძლია სოციალისტი აღაფრთოვანოს. მან განამტკიცა და გააფართოვა კერძო საკუთრების იდეა და გაამრავლა ამ საკუთრებაზე დამყარებული უსამართლობანი. მან გახსნა კაპიტალიზმისა და ინდუსტრიალიზმის ხანა. მისმა მაცდურმა ინდივიდუალიზმმა პიროვნება დაუპირდაპირა სახელმწიფოს, რომელიც არაჩვეულებრივად გაიზარდა და ტირანიული, მზავრული, შეუზღუდველი გახდა. მან თავის მოთხოვნებს „პატრიოტიზმის“ ღამაში ნიღაბი ააფარა. მოქალაქისთვის ნაპოლეონის დროს ცხოვრება უფრო ძნელი იყო, ვიდრე ლეი XV დროს. რა მოგვიტანა საფრანგეთის რევოლიუციამ კარგი? თანასწორობა კანონის წინაშე მოტყუებაა, მიტომ რომ ის ანგარიშს არ უწევს სოციალურ და ბუნებრივ პირობებს და სინამდვილეში უთანასწორობად იტყვევა... მან დაამყარა გაიძვერა და ფლიდი ადამიანების ბატონობა, რომელნიც თავიანთ თავს კოლექტიური ნებისყოფის წარმომადგენლებათ სთვლიან, ნამდვილად კი ხალხს იტყუებენ. მან ფართოდ კარი გაუღო ფულის ოსტატებს. მისი დემოკრატია—პლუტოკრატების საშეფოა. დამეთანხმეთ, რომ დემოკრატული წესწყობილება არაფერს შეიცავს სასუფეოს. მეფის გულის მოღობობა კიდევ შეიძლება, მაგრამ ვინ მოაღობოს მდიდარი კაცის გულს? შეიძლება ჩემი სიყვდილის შემდეგ ისიც კი დასწერონ, რომ ანატოლ ფრანსი კონსერვატორი იყო.

პროტიკა, მხატვრობა  
≡ ლა მემუარები ≡

## რეპი ცხოვრების გზაზედ.

### VIII

1885 წელს გაუქმდა ბათუმის პორტოფრანკობა. ეს გაუქმება ისე მშვიდობიანად მოხდა, რომ არაერთარი წინააღმდეგობა სხვა სახელმწიფოებს არ გაუწევიათ. პორტოფრანკოს მოხსნით გარეშემო მცხოვრებთათვის გაადვილდა ქალაქში მისვლა-მოსვლა. პორტოფრანკობის დროს ქალაქის გარეშემო სადარაჯოები იყო; ყოველი გამუღულ-გამომუღული იჩხრიკებოდა, გატანილ ნავაქრზედ, რაც უნდა მკირე ყოფილიყო, ბაქი უნდა გადაეხადა; აქ, რასაკვირველია, დარაჯებისაგან ათასი თვითნებობა და შევიწროება; ერთი სიტყვით მცხოვრები სოფლელები, რომელნიც ქალაქს ვერ რჩებოდნენ, ძლიერ გაკვირებულნი იყვნენ. ამგვარივე გაკვირებაში იყვნენ შორიდან მოსულები გაბრუნებისას—დაჩხრეკა, დახვერვა, ვასინჯვა ბარგისა ხშირად იწვევდა დიდ უსიამოვნებას და შევიწროებას. რაკი პორტოფრანკო მოიხსნა—ეს ყოველი შევიწროებაც მოისპო და გაადვილებული შეიქმნა მისვლა-მოსვლა. მიმსულელ-მომსულელი გამრავლდა. უბაგო საქონ. ლი, კონტრაბადით შემოტანილი, მაინც მრავალი იყო ქალაქში, საქონელი იაფი და კარგი ღირსების. ვაჭრობა დღითი-დღე მატულობდა, ქალაქში მოძრაობა თანდათან იზრდებოდა. ყველას ენახებოდა ეკერა ბათუმი, — ბათუმი ყველასათვის საშოვარ ადგილათ შეიქმნა აღიარებული; ყოველ მხრიდან მორბოდნენ, რომ აქ ფეხი ჩადგათ და ჯიბე გაეკეტლებინათ. სულ მოკლე ხანში დაიყიდა ცალიერი მიწები და გაშენდა ახალი ქალაქი. ძველი, ზღვის ნაპირას მიკუნჩხული შენობები საცოდავით გამოიყურებოდნენ თავიანთ ვიწრო, უწნო ქუჩებით ახლად გაყვანილ ფართე ქუჩების ნაპირებზედ ახლად აღმართულ შენობებთან შედარებით. ქალაქი ლეზულობდა სულ სხვა სახეს და რომ მოეშორებინათ მისი დამაუშნოვებელი მინგრეულ-მონგრეული კოხები, რომელთ წინანდლულათ მაღაზიებს უწოდებდნენ,—ერთ ღამეს მისცეს ცეცხლი და ერთიანათ გადაბუჯეს მთელი ბაზარი. გაიწმინდა, გაფართოვდა ზღვის ნაპირი—დამშვენდა ქალაქი. ამ გაღამაზების, ახლად აგებულ ქალაქის გამშვენიერებისაგან მიიმართა ქალაქის მართველობის აზრი და მოქმედება; ამან დაიპყრო ქალაქის გამგე—პოლიცია. ახლად დანიშნული პოლიცმეისტრად ვინმე პოდპოლკოვნიკი ვოზნესენსკი სწორედ სასურველი გამტარებელი პიროვნება აღმოჩნდა. დიდი ენერგია დახარჯა

მან ბათუმის გალამაზებისათვის. ფოთიდან მან გადმოიყვანა ნასწავლი მებაღე გერმანელი ვინმე რესლერი, თავის ხელობის ხედაიწვევით მკოდნე მოხუცი. ვანიერი ქუჩების ნაპირები შეიმკო დარგულ პლატანებით, ზღვის ნაპირად გაიღადა მუშაობა—შეუდგნენ ბულვარის კეთებას ქვიშაიანზედ. აველას ეცინებოდა ასეთი მუშაობის გამოწყობა, ეუცხოვებოდათ თუ სიმ ქვიშაზედ რა ბულვარი უნდა გაშენებულყო, მაგრამ ვოზნესენსკიც და მისი ჰუდამ გაუჭრებელი ბებერი რესლერი არხეინათ განაგრძობდნენ გამოწყობილ საქნეს, — აყრიდნენ ქვიშას ურმებით მოზიდულ მიწას, იღებდნენ ორმოებს, რგავდნენ ნეენარეებს. არავის სჯეროდა, თუ ამ მუშაობიდან რაიმე სახეირო გამოდნებოდა, მაგრამ რამოდენიმე წლის გამუდმებულ მუშაობის შემდეგ დარწმუნდნენ რომ საკეთილო საქმე იყო დაწყებული—ზღვის ნაპირზედ გადიწალა ლამაზი ნორჩი ბულვარი, შემდეგში ბათუმის მშენებათ გამხდარი. გამარჯვებული პოლიციებისტერი მხიარულად იყო და ჩაახუმა ყველა, ვინც ამბობდა რომ ბულვარის კეთება მისგან გამოგონილი იყო მხოლოდ მისი ცალიერი ჯიბის ვასასქელებლად. მოხერხებულმა პოლიციელმა იცოდა სხვა გზა ჯიბის ვასავსები. ბულვარზედ დანახარჯი იმას ეკრას უწილადებდა იმდენს. მან სხვა საშვალბებს მიმართა: მან განიძახა, სხეებსავეთ, ლამაზი სახლის აშენება; ამისათვის მან მიმართა მსხვილ მოვაჭრებს და მოიჯარადრებს ესესხებინაფ მისთვის საშენი მასალა—ცემენტი, რკინა, ხის მასალა და ამგვარები. მასალა მოგროვდა აფარებელი, იმოდენი რომ შესაძლებელი შეიქმნა მისგან გაშენებულ ლამაზ ბულვარის პირას აღმართულიყო ვებერთელა ორ სართულიანი ლამაზი შენობა.

ამ ხანებში ნამდვილი ცხელება იყო სახლების შენებაში. ყოველ მხრიდან ეშურებოდნენ რომ ბათუმში სახლი აეშენებინათ. ქალაქს ყავდა არხიტექტორათ ვილაყ ნათრევი კარცევი, თავგაჭედილი რუსაპეტი, რომ იტყვიან, მოძულე ყოველივე ადგილობრივის—ის იწვევდა რუსეთიდან ფულიან კაცებს ბათუმში რუსობის ვასაძლიერებლად და ამას არც კი მალავდა, — უტიფრად ყვიროდა. გაძლიერებით ეტანებოდა ქალაქს ართვინის მდიდარი სომხობაც. ამათ შეიძინეს დიდძალი ადგილები ქალაქში, განსაკუთრებით სანჯაყ-ბეგ აბაშიძეებისაგან. აბაშიძეები შევიწროვებულ მდგომარეობაში იყვნენ და საცხოვრებელ საშუალების მოსაპოვებლად მუქთად ყიდდნენ თავიანთ ქონებას. მთავრობამ მხოლოდ უფროს მას შეხედა მოწყალე თვალით—ხუსეინ-ბეგს; მას ებოძა როგორც გვარის წარმომადგენელს მაიორობა, მშრალი მაიორობა ე. ი. ქონდა უფლება ეტარებინა მაიორის საბეჭურები და სხვა არაფერი. გულდაწყვეტილი იგი ერთხელ აიყარა და გადიხვეწა ოსმალეთში იმ იმედით, რომ ერთმორწმუნე ხალხში გაჭირვებისაგან თავს დაიფარავდა, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა და ისევ სამშობლოს მოაშურა.

მოკლე ხანში ქალაქი ისე გაშენდა, ისე გადიდდა რომ თვით მოავრობამ აღძრა საკითხი ქალაქში თვითმართველობის შემოღების შესახებ. ქუთაისის გუბერნატორის გენერალ გერშელმანის წარდგენით 1888 წელს წინანდელი პოლიციის მართვა ქალაქის გაუქმებულ იქმნა და შემოღებულ იქმნა ქალაქის თვითმართველობა იმ განსხვავებით, რომ პირველი ქალაქის თავი უნდა ყოფი-

ლიყო მთავრობის მიერ დანიშნული პირი და არა არჩევნებით არჩეული. ასეთ პირათ მთავრობამ დანიშნა ვინმე თბილისიდან გვარად გავრონსკი, პრიკაზის ყოფილი გამგე. ეს მოხელე თბილისელი იყო, ქართული კარგათ იცოდა და აქურობასაც კარგად იცნობდა. ურიგო კაცი არ იყო, მაგრამ თავიდან ფეხებამდინ მოხელე, ტიპიური, მოუდრეკელი მოხელე. რამოდენიმე თვის მუშაობის შემდეგ მოხდა არჩევნებიც. არჩეულ ხმოსნების შემადგენელობა მეტად ქრელი იყო. რუსი, სომეხი, ბერძენი და მცირეოდენი ქართველობა. ქალაქის გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ რუსები; შემდეგ ერთმა მათგანმა უარი განაცხადა და მის მაგიერ აირჩიეს სომეხი. დიდი გაკვირვებით და დაეიდარებით გამგეობის მდივანად გაყვანილ იქმნა ქართველი კაცი—ივანე მესხი, ძმა სერგეი მესხის. ამის გაყვანა იღბლად მოხერხდა და შემდეგისათვის მეტად დიდ მნიშვნელოვანი, სასარგებლო შეიქმნა. იგი ამის წინად ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის წევრი იყო და კარგად იცოდა საქმის გაძლოლა. მოხერხებული, ქალაქის საქმეების მკოდნე, ცოცხალი მომქმედი—იგი სული და გული შეიქმნა ახლად შემოღებულ თვითმართველობისა.

ქალაქი თანდათან წარმატებაში შედიოდა; გულდასაწყვეტი მზოლოდ ის იყო, რომ თვითმართველობაში მეტად მკრთალად იყო წარმოდგენილი ადგილობრივი მცხოვრებნი. უმრავლესობა მოსულთაგანი, ფულიანი პირები იყვნენ, შემოხიზნულნი ჯიბის უფრო გასასქელებლად, მეტად ყრუ და უთავაზო ადგილობრივ მკვიდრთა და მათ მოთხოვნილებათა მიმართ. ამათი ინტერესები სრულიად წაყრუებულ იქმნა. განსაკუთრებით ეს ხდებოდა, როცა გავრონსკი გადადგა და მის ადგილზედ დაინიშნა ვინმე კაიანდერი. ეს იყო ყოფილი მოსამართლე, დიდი ლიბერალი, განვითარებული, ენა მახელი, დაულალავი მუშა, მკოდნე პიროვნება, მაგრამ ამისთანავე მეტის-მეტე მყავე რუსი, რომელს არავითარი პატივისცემა არ ქონდა სხვა ეროვნებისადმი, განსაკუთრებით ქართველობისადმი. მას ვერ წარმოედგინა, თუ ქართველ კაცს რამეს გაკეთება შეეძლო ან მუშაობის უნარი ქონდა და ქართველს ისე უყურებდა, როგორც უნიჭო, უგონო არსებას. მე კარგათ ვიცნობდი მას და ერთხელ შეეთავაზე წერაკითვის საზოგადოების სკოლისათვის საღამოს ბილეთი.

— ხუთი მანეთია თქვენზედ, ალექსეი ივანიჩ, ვუთხარი—სკოლის სასარგებლოთ... უფასო სკოლაა, ღარიბ ბავშვებს!

— რაზედ იკლავთ თავს... ტყვილა წველდებით... არაფერი არ გამოგივით! გაიცინა მან.

— მოიტათ ხუთი მანეთი, მიეუგე.—თქვენი უიმედობა ჩვენდამი ისევ თქვეთან დარჩეს და რაც იქნება, იმას შემდეგ დაინახაუთ!

ეს აზრი რომ ქართველობა არასდერის შემძლე იყო და გონებათ სუსტი, საერთო აზრი იყო. თითქმის იმ ხანებში. ეს ყოველმხრიდან გვესმოდა და მკით ჩვენებურობაც ეთვისებოდა ამ აზრს და ერწმუნებოდა. ყოველი ფეხის გადადგმანზედ გვესმოდა ხოლმე: ჩვენ რა შეგვიძლია, ჩვენ რა ვიცით, ჩვენ რას მოვახერხებთ, რას გავაკეთებთ. ამასობაში კი ცხოვრება მოძრაობდა და დულდებოდა. საზოგადოთ ამ ხანებში შესამჩნევი გამოცოცხლება ემჩნეოდა ჩვენს ცხოვრებას,



ერეკნული

მიუხედავად 1881 წლიდან დაწყებულ რეაქციისა და სასტიკი ზეგავლენისა საინოთ იზრდებოდა პერიოდული გამოცემათა გამოსვლა და წიგნის გავრცელება. ათასამდე აღწევდა ტირაჟი გაზეთ „ივერიის“, თანდათან ვრცელდებოდა „კვალი“ და ეფინებოდა სოფლადაც კი; ბროშურები, ფურცლები, სხვა და სხვა წიგნაკები არაჩვეულებრივ რიცხვით გამოდიოდა და ვრცელდებოდა. მკითხველთა რიცხვი საოცრად იზრდებოდა და მატულობდა. ყველგან გზვდებოდა განოცოცხლებული ახალგაზრდობა, ალექსებული, მოძრაი, ათას საკითხებით დაინტერესებული; ამით დიდი სიოცხლე შექმნდათ თავიანთ სოფლებში, რომლებიდან ხალხს იწვევდნენ ქალაქებისკენ, ქარხნებისკენ უზგობესი ცხოვრების მოსაპოვებლად და ყრუდ ყოფნის თავის დასაღწევად, სინათლეზე გამოსასვლელად. ყველას ენაზედ გერა ქადაგება „ქარხნის ქვაბში უმოხარშვის საჭიროების“ შესახებ, მიწისგან გაშორება. ამ ქადაგებამ თითქმის უზაზედ გააკო ხალხი—ერთნი ხსნას მიწასთან განშორებაში ხედავდნენ, მეორენი კი ირწმუნებოდნენ რომ მიწასთან დაშორება და ზენი დაღუპვა ერთი იქნებოდა. ცხარე კამათი, დაუსრულებელი კამათი ამაზე ქონდა პრესაში ახალ მოსულს (ილია ქვეკვაძეს) და ნოე ყორდანისს. მთელი ქართველობა გატაცებული იყო ამათი პოლემიკით და ყოველ მათ სიტყვას ვაფაციცებით ყურს უგდებდა.

ცხოვრების შექანილი პირობები ხელს უწყობდა მიწასთან გაშორების ქადაგებას და სოფლებიდან აუარებელი ხალხი მოდიოდა ქალაქებისკენ უკეთეს ცხოვრების მოსაძებნათ. ყველაზედ უფრო ეს, სოფლის შემოსევა, განიცადა ბათუმში, რადგან არსად არ ქონდა ვასივალი მუშა ხელს, როგორც აქაურ ქარხნებში. ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის მაზრებიდან აუარებელი ხალხი მოდიოდა ზოგი მხოლოდ სამუშაოთ, ზოგი კი სამუდამო დასახლების განზრახვით. ამას მოსდევდა წერილი ვაქრობაც. ქალაქში კი უხედებოდათ შორეულ ქვეყნებიდან მოსულები და ნათში იმართებოდა მეტოქეობა და ქიშპობა-მთავრობა იმის ცდაში იყო, რომ რაც შეიძლებოდა მეტი ვადმოესახლებინა შიდა რუსეთიდან და დაეზინავენინა, მკვიდრნი აეყარა და სხვაგან გადაეგდო, აქაურობას მოეშორებინა. ბათუმის ოლქის უფროსმა სლავოჩინსკიმ ამ ნიზნით გამოიწერა და ჩამოიყვანა მოზრდილი პარტია ვადმოსახლებულთა და დააბინა-ვა ბათუმის მახლობლად, ჭოროხის ვალმა ვგრედ წოდებულ თხილნარში. ვადმოსახლებულებს მიეცა ფული, პური, საშენი მასალა და ვაიმართა ვვარიანი სოფელი. მოსულები შეუდგნენ ხენა-თესვას, მაგრამ ამათ სიმიდის მოყვანა არ იცოდნენ, პური კი ნესტიან ადგილას ჩალა და არ ამოვიდა; ამასთან დაერიათ ციება და მოკლე დროში თითქმის ვანახევრა ხალხი; ვადარჩენილებმა მოკურცხლეს და ვაიფანტნენ. მეორე წელიწადს თხილნარი ისევ დაცალიერდა და აუარებელმა ხარეებმა ტყვილაუბრალოდ ჩაიარა.

ამაზე უარესი ანბავი უნდა დატრიალებულიყო სოფელ ბორჩხას ვადიღმა მდებარე შურულლის ხეობაში. ეს ხეობა მეტად მდიდარი და ლონიერი ნაწილი იყო ოლქის; აქაურები კარვათ, კმაყოფილათ ცხოვრობდნენ; ქონდათ ჩინებულათ აგებულნი და მოწყობილი სახლები, ყოვლათ საქმით საქონელი, მოსდირდათ საქმით სიმიდი, ზოგ ადგილაც პურის; ხილი-ვაშლი და მსხალი,—აუარებელი; ჰავა მშვენი-




 ვარკეთილი

ერი, ერთი სიტყვით მეტად მოსაწონი კუთხე ყოველი მხრივ. არ მინდა მსგავსი მთავრობამ, შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულთა დასასახლებლად და ამის აღსრულებისათვის სულ მარტივი საშუალება უნდა ეხმარათ. მცხოვრებლები უნდა გამოეყვანათ მათი სახლებიდან, მათ უნდა დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი სახლებით, ისე როგორც იყო, უნდა გაშორებოდნენ ხეობას, გადასახლებულიყვნენ სხვაგან, სადაც ამოირჩევენ დასაბინაველ ადგილს. მცხოვრებულ სახლებში კი უნდა დაებინავენ თავიანთი გადმოსახლებულთა ოჯახები. გეგმა შემუშავებული იყო და გამოგზავნილი სისრულეში მოსაყვანათ ისინი მეტად აგვიანებდნენ განკარგულების გამოცხადებასაც. ადგილობრივი მმართველობა შიშობდა, რომ ამ განკარგულების გამოცხადებას მოჰყვებოდა არეულობა, რომ მურღულელები ასე ადვილად არ დატოვებდნენ თავიანთ სახლ-კარს, არ აიყრებოდნენ და არ გადიკარგებოდნენ ვინ იცის სად. საქმე იმ მდგომარეობამდის მივიდა, რომ უმაღლეს მთავრობის განკარგულების გამოცხადებაც კი აშინებდა ადგილობრივ მოხელეობას. დიდი ყოყმანის შემდეგ ამის გამოცხადება დააკისრეს ისევ ქართველ მოხელეს ტყის გამგეს ალექსანდრე აბაზაძეს. ამან მტკიცე უარი განაცხადა ამაზედ — ამისთანა შეუწყნარებელ განკარგულების სისრულეში მოყვანას თავს არ შეეცალავო. მურღულელებმაც ყური მოჰკრეს, რომ მათ გადასახლებას უპირებდა მთავრობა ასეთი უცნაური სახით და აღელდნენ. ხალხი მზადებას შეუდგა როგორც ერთი ანდგარიყო და სასტიკი წინააღმდეგობა გაეწია განკარგულების სისრულეში მოყვანისათვის. მეტად გამწარდნენ ყველანი და შეიარაღებას შეუდგნენ, რომ სათანადოთი შეხვედროდნენ მთავრობის ბრძანების აღსასრულებლად მოსულ პირთ. ერთი ფეხის გადადგმა გამოიწვედა ყოველ ეჭვს გარეშეთ საშინელ სისხლისღვრას, დაუსრულებელს, დაუთავებელს; იქნებოდა აფარებელი მსხვერპლი, შედეგი კი არაფერი: გადმოსახლებულები ამ მთიან ადგილებში ვერც მოეწყობოდნენ და ამოიფლიტებოდნენ გაბრაზებული მკვიდრთა ხელით. როგორც იქნა ეს უცნაური და ყოველად შეუწყნარებელი განკარგულების სისრულეში მოყვანა ჯერ გადაიდო და შემდეგ გაუქმებულიც იქნა. მაგრამ აბაზაძეს მიანიც არ ეპატია მისი წინააღმდეგობა და რამოდენიმე ხნის შემდეგ, სულ უბრალო მიზეზის გამო, სამსახურიდან დაითხოვეს.

ამდგავარ უცნაურ შემთხვევებზე განკარგულებების ქვეშ იყვნენ ქართველობა და სომხობა თვით ბათუმშიაც. მაგალითათი ბათუმის განაპირა უბანში, ეგრედ წოდებულ გოროდიკში, არა რუსს ნება არ ჰქონდა ეყიდნა ადგილი და სახლი აეშენებინა. სოფლიდან აყრილს, ქალაქს შემოხიზნულს ერთათ ერთი ადგილი ჰქონდა დასაბინაველად, ეს როტშილდის ქარხნის გადაღმა, მდინარე ბარცხანას ნაპირზედ. ამ დათმობაში გადაცდა მთავრობა, თორემ აქ არავის გააქაჰანებდა — არ ეგონა თუ აქ თავს მოიყრიდა ერთგვარი ელემენტი, რომელიც 905-ში ერთ ალიაქოთს აუტეხავდა, გამოაცხადებდა თავის ნებას უჩინარი ბარცხანის გუბერნატორის სახელით და თავის ნების და ბრძანების ქვეშ მოიტყვედა ბათუმსაც და მის მთავრობასაც.

მეტად მტრულად უხედებოდა სოფლიდან მოსულებს უკვე წინად მოსწრებული და არტელებში თავშეყრილი შორი ქვეყნებიდან მოსულები. საბაგოში





რომ გადმომტვირთავ-დამტვირთავი არტელი მუშაობდა-ამ უკვლავად შეუძლებელი იყო; ღებულობდნენ მხოლოდ შიდა რუსეთიდან მოსულეებს. ამგვარად იყო სხვაგანაც, ყოველ სამუშაოზედ. ვამწარებულებმა მოდენილმა ხალხმა ერთ დღეს გადაწყვიტა ცალკე მუშაობა არტელის დაარსება. მოიყარა რამოდენიმე ასმა კაცმა თავი, შეადგინეს ამხანაგობა, გამოიმუშავეს წესდება და წარუდგინეს მთავრობას დასამტკიცებლად. დიდი ვაჭიერების შემდეგ წესდება დამტკიცებული იქნა, ამ ამხანაგობის მეთაურათ მოწვეული იყო გიორგი წერეთელი. გიორგი ამ ხანებში მეტად ხელეწიროთ იყო და ამ ამხანაგობამ ერთრიგათ ხელი მოუმართა და თან საშეაღება მისცა განეახლებინა თავისი დაუღალავი მუშაობა. იგი ამოძრავდა მისებურათ და ამხანაგობაში თავმოყრილი ხალხი მკიდროთ შეაკავშირა და შეაერთა. პირდაპირი საქმის გარეშეთ იგი ებასებოდა ხოლმე ამხანაგობის წევრებს ათასნიარ საქმეებზედ, სხვა და სხვა საკითხებზედ-ერთი სიტყვით მან იშოვა სასურველი აუდიტორია და გახარებული მოგვიყვებოდა ხოლმე თავის ნასაუბრებზედ და ნაქადაგებზედ მუშებთან. ამით გარეთაც იგი არ კარგავდა შემთხვევას თავისი აზრების გასაფრცვლებლად და ამას ისე სწადიოდა, რომ ჩვენ შიშში ვიყავით, რომ იგი არ გაბმულიყო რაიმე დავიდარებაში. ერთ დღეს მან გაიგო, რომ ბათუმში ჩამოსულიყო, ერევანში კათალიკოსის არჩევნებზედ მიმავალი, იმ ხანებში დიდი სახელის მქონები ახალგაზრდა ეპისკოპოზი ზორენ ნარბეი. ეპისკოპოზი არავის ღებულობდა, რუსის მთავრობის რიდი ქონდა, მაგრამ გიორგიმ იმოდენი იხერხა რომ იგი ხორენმა მიიღო სასტუმრო იმპერიალში. როგორც მისგან დაბრუნებულმა გიორგიმ გვიამბო, ის ესაუბრა გავლენიან ეპისკოპოზს სონებებისა და ქართველების მდგომარეობის შესახებ რუს მეფეთა ხელში და ისეთი აზრები და წინადადებები გადაუშალა მას, რომ შეწინებული ეპისკოპოზი მეორე დღესვე გაქრა ბათუმიდან, დამფრთხალი, რომ მთავრობას არ გაეგო, თუ რა ხასიათის საუბარი ქონდა მასთან გიორგის.

— გლახაკი, მშისმარა ბერი ყოფილა! სიცლით ამბობდა გიორგი—კარი-ერისტი, სხვა არაფერი!

მეორეთ კიდევ იშოვა შემთხვევა საჯაროთ ექადაგანა ქართველობისა და სომხობის შეკავშირებაზედ, ძნურ სამოქმედოთ გამხადებაზედ ყველას წინააღმდეგ, ეინც ამ ორი ხალხის დაჩაგვრას მოინდომებდა. ეს შემთხვევა მისცა მდიდარი სომეხ ტყელმოქმედის ვინმე სანასარიანის ჩამოსვენებამ ოსმალეთიდან ბათუმში. გიორგის სიტყვამ ძალზედ ააღელვა მრავალი დამსწრე საზოგადოება და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა: გასაოცარი იყო იგი, როცა მოჰყვებოდა თუ როგორი პროპაგანდა უნდა გაეწია ქართველობას, სარწმუნოება შეეცვალა-მართმადიდებლობა კათოლიკობაზედ, რათა ანით ცოტაოდენად მაინც თავი დაეხწია რუსთა ყოველმხრივი თვითმპყრობელობისაგან. მას ეჯერა ამის შესაძლებლობა და მზათაც იყო ამ მხრივ მუშაობის გამოსაწყობად. ამავე დროს იგი სწერდა თავის ახალ ნაწარმოებს „პირველი ნაბიჯი“. ერთ საღამოს მან მოიტანა დათავებული ნაწერი, დაგვაჯინა გრიგოლ ვოლსკი და მე და დიწყო კითხვა, ეს



იყო უხეში წარბას ცხოვრების აღწერა. გიორგი მეტად ცუდად უთხრა სიკლით. ისე ცუდად, რომ მოთმინება დაგვეკარგა მოსმენის და გრიშამ უთხრა სიკლით.

— გიორგი, თუ გიყვარდე თავი დაანებე კითხვას.. შენ ისე ცუდად კითხულობ, რომ დიდებულ ნაწარმოებსაც შეაზარებ კაცს. ეტყობა კარგი რამ გაქვს დაწერილი, მაგრამ შენებურად წაკითხულს ყოველივე ღირსება ეკარგება! როცა დაიბეჭდება, უფრო მეტის სიამოვნებით წავეკითხავთ!

გიორგის ძლიერ უყვარდა ვოლსკი, არ სწყენია მისი მგგობრული სიტყვა და კითხვა შესწყვიტა.

სამწუხაროდ გიორგი დიდხანს არ დარჩენილა ბათუმში; იგი ისევ დაბრუნდა თბილისში და მისგან შეკავშირებულმა ამხანაგობამაც მალე სული დალია, რადგან საჭირო ხელმძღვანელი ვერ იშოვა გიორგის მაგივრი.

იმის გასაცნობათ, და თუ რას წარმოადგენდა იმ ხანებში ბათუმი, თუ როგორ გაიზარდა იგი, რამ შექმნა იგი მნიშვნელოვან ცენტრად, რომელსაც ეტანებოდა ბუნებრივად ჩვენებურობა და შორებულებიც, ამის გასაცნობად საკმაო მასალებს იძლევა ჩემი წერილი, რომელიც მქონდა დაბეჭდილი ვაზეთ „ცნობის ფურცელში.“ წერილი წარმოადგენს ამონაქრეფს იმ მოხსენებიდან, რომელიც წარუდგინა ცალკე წიგნით საგანგებოთ ბათუმის საკითხის შესასწავლად დანიშნულმა კომისიამ, ვგრედ წოდებულ „ხაზგინის კომისიამ“. ეს მოხსენება მე ბედნიერ შემთხვევით ჩამივიარდა ხელში და ვისარგებლე მასში მოყვანილ ძვირფასი ცნობებით.

## IX

ამ მოკლე დროში ბათუმში დაფუძნდება ეგრედ წოდებული ნავთის ქალაქი, რომელიც სრულიად შესცვლის ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს. საქონლის დღევანდელი სადგური სრულიად მოიწლება და აქ ნავთის ქალაქი გაშენდება. რკინის გზა ბარცხანიდან მიხაილოვის ქვეითა ბათალიონის ყაზარმების წინ გაივლის და კახაბერის მთის ძირისკენ გაემართება. აქ გაშენდება მგზავრობა და საქონლის სადგურები.

ყოველივე ეს შემდეგ გარემოებათ გამოიწვიეს. ბათუმის სანავთო ქარხნები დღეს თითქმის შიგ ქალაქშია მოქცეული; აქვე, ციხის სიმაგრეების წინ, წამოკიმულია ვეება რეზერვუარები და ყუთების საკეთებელ ხის მასალის დიდ-ძალი საწყობები. სამხედრო უწყებას ასეთი მეზობლობა, —ამდენი ნავთისა და ხე-ტყისა, —მუდამ საშიშრად და მოუხერხებლად მიაჩნდა და ამის შესახებ კიდევაც აღძრა ლაპარაკი უმაღლეს მთავრობის წინაშე, რათა ასეთი საშიშარი მეზობელი მოეწორებინათ სიმაგრეებისათვის და სხვაგან გადაეტანათ.

ამ უშამღგომლობას მოჰყვა 1891 წელს 11 ივლისს, უმაღლესიად დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს ახრი, რომლის ძალით მოზრდილ ახალ რეზერვუარების აგება აიკრძალა და ქარხნის პატრონებს სამი წლის ვადა ეძლეოდათ ამ ხანაში ან მოეწყოთ თავიანთი ქარხნები თანახმად ახალი კანონისა, ანა და ისინი ქალაქს გარეთ გაეტანათ.

ქარხნების პატრონსაც და ქალაქსაც მეხვიით დაეცა თავს ეს განკარგუ-



ქართული  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ლება. პირველთათვის ყოველად შეუძლებელი იყო იესრულეზმანაჲ: მამამსაჲ მოთხოვნითა ქარხნების მოწყობაში; აყრა, ქალაქის გარეთ გატანა, ახალ ადგილას ქარხნის მოწყობა-ეს საქმეზე ხელის აღებას უდრიდა,—უდრიდა სრულიად დამზობას; ქალაქი კი ქარხნების მოშორებით დიდძალ, მის მასულდგმულბულ, შემოსავალს კარგავდა: კარგავდა ყოველწლივ 150.000 მანეთამდის. ამიტომაც ქალაქის თვითმართველობამ თავი გამოიღო და ნავთის ქარხნების პატრონებთან ერთად მიმართა ჟმალღეს მთავრობას, რომ იგი შესულიყო ქალაქის და ქარხნების პატრონების მდგომარეობაშიაც და გამოეცვალა კანონი და მისი მოთხოვნითათა აღსრულება არ დაეცალებინა ბათუმის ქარხნებისათვის.

თავის თხოვნაში ქალაქი სწერდა —ყოველად შეუძლებელია ეს განკარგულება ისრულდეს ეკონომიურისა, ტოპოგრაფიულისა, იურიდიულისა და სამხედრო მიზეზთა გამო, რომელთა აცილება თავიდან ყოველდ მოუხერხებელია; ქალაქს დასკირდება გამორკვევა ისეთ ახლართულ—აბურდულ საქმეებისა, როგორც არის ადგილ-მამულების საქმე. ამიტომ არ შეიძლება იმ დასკვნამდი არ მივიდეთ, რომ ახალი კანონის ბრძანებათა ისრულეში მოყვანის დაძალეზ ბათუმის ნავთსადგურიდან ნავთის გატანის აკრძალვის თანასწორი იქნება, რაც არ უნდა ეთანხმებოდეს მთავრობის განძრახვათ, რადგან ბათუმის ნავთსადგური მისგანვე აშენებულია საგანგებოთ ნავთის საჭიროებათა მიხედვით. მაგრამ თუ გადატანა ქარხნებისა ესეთი ძნელია და მოუხერხებელი საქმეა, მათი დატოვება იმ სახით, როგორც ახლა არ შეიძლება; ამიტომ საჭიროა მოინახოს ისეთი გზა, რომ მრეწველობას არ აზარალოს, არ შეზღუდოს იგი და ქალაქიც უზრუნველ იყვეს ცეცხლის მხრივ. ამისთვის სრულიად საკმაოა დაწესდეს ცალკე უბანი, რომელსაც დაერქვას „ნავთის ქალაქი“ და ქალაქის თვითმართველობამ იმ ადგილის საზღვარიც აღნიშნა, სადაც უნდა დაარსდეს ეს „ნავთის ქალაქი“—ადგილი რომელზედაც მოთავსებული იყო ნავთის ქარხნები და რკინის გზის საქონლის სადგური.

ქალაქის თვითმართველობის თხოვნა შეწყნარებული იქნა. უნალღესად დაინიშნა კომისია ბათუმში ნავთის ქალაქის დასაარსებლად. ამ მთავარმა კომისიამ დაარსა მცირე კომისია, ზაბუღინის თავმჯდომარეობით და განოგზავნა ბათუმში ადგილობრივ საქმის გამოსარკვევათ და საჭირო მასალის შესაკრებათ. ამ მცირე კომისიას დავალებული ჰქონდა; 1) შეედგინა გეგმა ახლანდელი ნავთის ქალაქისა, 2) გასცნობოდა გაზიდვის არსებულ წესრიგს; გამოერკვია ბათუმის ნავთსადგურის მნიშვნელობა საზოგადო ვაჭრობაში, ნავთის მრეწველობის გარეთ, საჭიროებანი ამ ვაჭრობისა და რა საშუალებანი შეუწყობდნენ ხელს მას და სასურველ წარმატებას მისცემდნენ ისე, რომ ნავთის გაზიდვის არა ევნებოდა რა; 4) ამოერჩია ადგილი ნავთის რეზერვუარების გადასატანად და 5) ცნობაში მოყვანა თუ რა ხარჯს ითხოვს ამ ახალ რეზერვუარების აგება ახალ ადგილას.

მცირე კომისია ჩამოვიდა ბათუმში 1899 წელს იანვარში, ადგილობრივ გაეცნო საგანს და ყოველივე მოგროვებული მასალა თავის მოსაზრებანი დაბეჭდა ვეება წიგნათ და თავის თავმჯდომარის ხელით წარუდგინა მთავარ კომისიას.


 ქართული  
 ენციკლოპედია

მოგროვილი მასალა მეტად საინტერესოა და ქართველ კაცობრივ კულტურაზე ზედმეტად, რადგან იმათში იხატება ბათუმი, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში.

ახლა იმაზედ თუ რა მდგომარეობაში ნახა მცირე კომისიამ ნავთის ქარხნები ბათუმში, რა ადგილი მოუნახა მან ქალაქის გასაშორებლად და რა რიგით უნდა მოწყობილიყო შემდეგში ბათუმის ნავთის ქარხნები. ცნობები ქარხნების მდგომარეობისა შეეხება 1899 წელიწადს.

ბათუმის ნავთის ქარხნები მოთავსებული იყო აღმოსავლეთ მხარეზედ და თითქმის უერთდებოდა ქალაქს; სივრცე იმ ადგილების, რომელზედ აგებული იყო ქარხნები 105 დესეტინაზედ მეტი იყო; ადგილი სწორი, ოდნავად დაქანებული ზღვისაკენ, დასერილი შრავალი ვიწრო და განიერი თხრილებით და მოვენილი ქარხნებში შესავალი რკინიგზის შტოებით.

ამ სივრცეზედ მცირე კომისიის დაუხვდა ნავთის 11 ქარხანა და ნავთის გასაგზავნ თუნუქის ყუთებისა და 9 ბოჩკების საცუთებელი სახელოსნოები. ქარხნები და სახელოსნოები ეკუთვნოდნენ: ხაზინას—1, უცხოეთებს—8, სომხებს—6; დანარჩენი სხვა და სხვა პირებს, რომელთ შორის, რასაკვირველია, არც ერთი ქართველი არ ერიო, მიწების ფასი ამ რაიონში დღითი—დღე იზრდებოდა და მატულობდა: 1899 წელს ოთხკუთხი საყენი მიწა ფასობდა რვა მანეთიდან თუთხმეტ მანეთამდე; საიჯარო—ოთხკუთხი საყენი—ორ მანეთნახევრამდე აღიოდა წლიურად. შემდეგში ეს ფასები გაორკვეკებული ვახდა, რადგან საიჯარო მიწის ღირებულება მთელი შეიქნა; გასაყიდი კი სრულიად აღარ მოიძებნებოდა.

ნავთის ქარხნები მოწყობილი იყო ექსპორტის საჭიროებათა მიხედვით:—ნავთი იგზავნებოდა გემებში გადაღებით და ყუთებით; ამის გამო ქარხნებიც ორნაირი იყო: ყუთებით გზავნილი და გემით გზავნილი. ნავთის მინერალური ნარჩოშიც ამგვარადვე იგზავნებოდა. გასაზიდავად მომზადებული ნავთი ინახებოდა დროებით, გაგზავნამდის რეზერვუარებში, უხარმაზარ ქვაბებში, რომელში თავსდებოდა 25.000—30.000 ფუთამდე ნავთი. 1899 წელს ამ რეზერვუარების რიცხვი იყო 172, რომლებშიაც შეიძლებოდა 14 მილიონ ფუთი ნავთის შენახვა.

ბაქოდან ცისტერნებით მიღებული ნავთის გადასაღებათ გემებზედ მექარხნებს მოწყობილი ჰქონდა ნავთის გადაღები საქაჩავი მანქანები. ამ საქაჩავი მანქანებით მიღებული ნავთი ვადაქონდათ რეზერვუარებში და შემდეგ გემში, როცა უკანასკნელი მოვიდოდა. ეს საქაჩავი მანქანები სხვადასხვა სიდიდისა და ძალისა იყო. იყო საქაჩელი, რომელიც ექვს გოჯიან მილით ერთი საათის განმავლობაში ქვაბ-რეზერვუარში გადაქაჩავდა 9000 ფუთამდე ნავთს და ქარხნიდან გადაქაჩავდა ნავთსადგურში გემზედ ამავე ერთ საათში 6000 ფუთ ნავთს. ზოგიერთ ქარხნებს ჰქონდათ ისეთი ძლიერი საქაჩელები, რომ მათი შემწეობით რვა გოჯიან მილით 12.000 ფუთი ნავთი ჩაისხმებოდა რეზერვუარში ერთი საათის განმავლობაში და ამავე ერთი საათის განმავლობაში ამგვარივე მილით გადაიქაჩებოდა ქარხნიდან გემზედ 10.000 ფუთი. ამიერკავკასიის რკინიგზის



ქართული  
 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

საქაჩველი მანქანა ისეთ ღონისა იყო, რომ ერთი საათის განმავლობაში 38,000 ფუთი ნავთის გადატანა შეეძლო ნავთსადგურში გემზედ.

ნავთის სადენი მილები რკინისა იყო, მილი მიღზედ მოქაბრაკებულნი; მილები სხვა და სხვა ზომისა. მილები გაყვანილია ნავთსადგურში, მიწაში ჩაფლული ისე, რომ თავები გამოჩენილი ჯონდათ მხოლოდ გემების მისადგომ ნაპირებზედ; ამ თავებზედ მოქაბრაკებდნენ რეზინის ან სპილენძის მილებს, ან შლანგებს, როგორც ამას უწოდებდნენ; ამ შლანგების ბოლოებს გემში ჩაყოფდნენ და ამით ასხამდნენ ნავთს გემში.

გემები სხვა და სხვა სიღიდისა და ზომისა იყო. ყველაზედ უდიდესი გემები ეკუთვნოდა „სამუელ სამუელსონის და ანზ“. ფირმას. ამ კომპანიას ჰქონდა ისეთი გემები, რომელთა ერთბაშათ მიჰქონდათ გემში ჩასხმული 527,000 ფუთი ნავთი. ამ გემებს ბათუმიდან ნავთი გაჰქონდათ შორეულ აღმოსავლეთში. გემებს ჰქონდათ სამი სართული ბაქანი, რის გამო შიგ ჩასხმული ნავთი ამორებული იყო მზის მცხუნავ სხივებს; სანაშინო განყოფილება და გემზედ მოსამსახურეთა სადგომები განცალკევებული იყო. გემებზედ იყო ამოსაქაჩავი პომპები, რომლებით შეიძლებოდა 20,000 ფუთი ნავთის ამოსხმა გენიდან ერთი საათის განმავლობაში.

ნავთის გამტან გემთა რიცხვი 1899 წელს იყო ოთხმოცამდე და ყველაში ერთათ ჩაეტკოდა 17,000,000 ფუთამდე ნავთი.

ამას გარდა, ნავთი იგზავნებოდა ტურკლებითაც—თუნუქის ყუთებითა და ბოჭკებით; უკანასკნელით ნავთის მინერალური ზეთები. ამ ტურკლების დასამზადებლად ქარხნებთან მოწყობილი იყო ცალკე სახელოსნოები თუნუქისა და ხის ყუთების და ბოჭკების საკეთებელი. ყუთებით ნავთი მიდიოდა განსაკუთრებით შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც საურმე გზების უქონლობის გამო, წვრილ გზებზედ და მთის საცალფეხო ბილიკებით შეიძლებოდა მხოლოდ ტვირთად გადატანა საქონლისა, ისიც პატარ-პატარა პარტიებით.

თუნუქის თითო ყუთში ისხმებოდა მხოლოდ 36 გირვანქა ნავთი, ორი ასეთი ყუთი თავსდებოდა ხის ერთ ყუთში და ისე იგზავნებოდა ბათუმიდან. ამგვარი ვაზიღვა ე. ი. ყუთებით ითხოვდა ტურკლების საკეთებლად სხვა და სხვა მასალას და ამ მასალის დიდძალათ დამზადებას; აი რა მასალა იყო საჭირო ამ ყუთების საკეთებლათ:

1) ხის მასალა, ფიცრები ნაძვისა, ორი მესამედი ამ მასალისა მოდიოდა ავსტრიიდან, აგრეთვე ხერსონიდან და ნოვოროსიიდან; შემდეგ დიდძალი ფიცრები მოქონდათ აფხაზეთიდან, კოდორის მიდამოებიდან;

2) თეთრი თუნუქი—მოჰქონდათ ინგლისიდან;

3) ლურსმანი—პეტერბურგიდან და რივადან; 4) კალა ინგლისიდან და საფრანგეთიდან; 5) სინა (ყუთების ხელისათვის)—პეტერბურგიდან და რივადან; 6) ცინკი ფურცლებათ—რუსეთიდან; 7) ტყვია ისპანიიდან და საფრანგეთიდან; 8) პრობკა—რუსეთიდან; 9) წითელი სპილენძი—რუსეთიდან და საფრანგეთიდან 10) მარბლის სიმეცვე და ცინკი—რუსეთიდან.

ყოველ დღიურად კეთდებოდა 38,100 ხის და 76,200 თუნუქის ყუთი. ამას



უნდებოდა ფიცარი 477 კუბიკური მეტრი, 5.533 ფუთი თუნუქი, 1771 ფუთი კალა; 4,756 ფუთი ტყვია; 2061 გირვანქა მარილის სიმკვლე; 2,821 გირვანქა სინა, 15 240 გირ. ლურსნანი. ეს საშუალო მუშაობის დროს და როცა გაძლიერებული მუშაობა იყო, მაშინ ორჯელ მეტი მასალა იხარჯებოდა.

განუწყვეტლივ მუშაობის გამო ქარხნებში ინახებოდა დიდძალი საჭირო მასალა. მცირე კომისიის შეკრებილ ცნობებით საერთოდ ყველა ქარხნებში მუდამ ემს ინახებოდა 1.020,114 ფუთი თუნუქი; 8.888 ფუთი კალა; 13.334 ფუთი ტყვია; სიმკვლე—2,893 ფუთი; 19.444 ფუთი სინა; 55.661 ფუთი ლურსნანი და 66.675 კუბიკური მეტრი ფიცარი: ამ უკანასკნელი მასალის დამზადებულობა შემოდგომაზედ მატულობდა და ადიოდა 126.350 კუბიკ. მეტრამდე.

ამგვარი შეგროვება 200 რეზერვუარისა 20 მილიონ ფუთის ნავთით, ამოდენა ხის მასალასთან ერთად, ვიწრო ადგილზედ, ქალაქის გვერდით და ციხის სიმაგრეების წინ, რასაკვირველია ყოველთვის საშიშარი იყო და ამიტომაც იყო რომ სამხედრო უწყებამ აღძრა ლაპარაკი ამ საშიშარ მუშაობის გაშორების შესახებ. კომისია თავიდანვე გაეცნო იმას, თუ რამდენად მართალი საშიშარი იყო ქალაქისათვის და ციხის სიმაგრეებისათვის ქარხნების არსებული მდგომარეობა და მდებარეობა. კომისიის აზრით არსებითი საშიშროებას წარმოადგენდა მხოლოდ უბრალო კეროსინის შეგროვება, როგორც ადვილად ასაფეთქებელისა და ხის მასალის დიდძალი საწყობები. კომისიამ საჭიროდ სცნო ნავთის ქალაქის სულ სხვა გეარათ გაწესრიგება და მოწყობა. საკმეს გადავიღებდა ქარხნების გადატანა და ძველ ადგილას რეზერვუარების აგება და ხის მასალას საწყობების გაიმართვა, მაგრამ კომისიამ ეს შეუძლებლად დაინახა შემდეგი მოსაზრებით.

აყრა ქარხნებისა და მათი გადატანა ახალ ადგილებში მოითხოვდა მილიონებს ბაზინიდან, რადგან ბაზინის ფიქრად ქონდა ნავთის რეზერვუარები თავის განკარგულებაში ქონებოდა. ამასთან, კიდევაც რომ არ დარიდებოდნენ მილიონებიან ხარჯებს, საფიქრებელი იყო იმ ბაზრების შერჩენა, რომელიც რუსეთს ნოუპოვებია. აყრა-გადატანა მოწყობაში, რასაკვირველია, ეპრობა შეფერხდებოდა, ბაზარზედ რუსეთის ნავთის ადგილს ამერიკის ნავთი დაიკავებდა და შემდეგ ამ დაკარგული ბაზრების დაბრუნება საეჭვო იქნებოდა. ამგვარი შემთხვევა კიდევაც მოუვიდა რუსეთის ნავთს; ეს იყო 1895-1896 წ. ზამთარში, როცა ამიერ-კავკასიის რკინის გზა გაფუჭდა და რამოდენიმე თვით მიმოსვლა შესწყდა, ამ მცირე ხნის დაბრკოლებამაც ბევრი ბაზარი დააკარგინა რუსეთის ნავთს და ეს დანაკლისი არ ყოფილა დაფარული.

ქარხნების მოშორებით გადატანა უსათუოთ მოითხოვდა ნავთის ფასის აწევის და ეს მხოლოდ უპირატესობას მისცემდა ამერიკის ნავთს; ყუთებით გზავნა კი სრულიად უნდა მოსპობილიყო, რადგან ყუთების საკეთებელ სახელოსნოების ახალ ადგილას მომართვა მოითხოვდა ახალ გაუმჯობესებულ იარაღ-მანქანებს, ახალ ხელ-საწყოს და ეს კი მეტად დიდ ხარჯს მოითხოვდა. თუ ყუთებით გაზიდული ნავთი არ იყიდებოდა, ეგ იმიტომ, რომ ყუთების საკეთებელ სახე-



ერეკნული

ლოსნოების მოწყობაზედ გაწეული ხარჯები უკვე ამოღებულა და აღწერილია მათი მნიშვნელობა.

ნავთის გაზიდვას დიდი მნიშვნელობა ქონდა სახელმწიფო ვაჭრობისათვის; საჭირო იყო ამიტომ მისი ხელის შეწყობა და დათმობა მ. ს. და სასარგებლოდ ზოგიერთ ინტერესებისა. ეს აზრი გამოსთქვა მცირე კომისიამ. კომისიის აზრით რადგან ნამდვილ საშიშარ საგანს მხოლოდ ჩვეულებრივი კეროსინი წარმოადგენდა, ამიტომ საკმარისათ უნდა ცნობილიყო, საშიშროების ასაცილებლად, შიგ კარხნებში მხოლოდ სახარჯო ნავთის დაგროვება, დანარჩენი ნავთი კი ქალაქს გარეთ და ციხის სიმაგრეების მოშორებით ყოფილიყო შენახული, ამისათვის ახლად აგებულ რეზერვუარებში გადატანა დანარჩენ ნივთიულობათა, განსაკუთრებით ნავთის მინერალურ ზეთებისა, არც იმდენად საჭირო იყო და მასთან შეტად ძნელი და რთული აღსასრულებელი და გარდამეტებულ ხარჯების მომთხოვი საჭმე იქნებოდა. მაგალითად მცირე კომისიის განაოანგარიშებით, ნავთის მინერალურ ზეთების რეზერვუარები რომ ახალ ადგილას გადაეტანათ (მაგ. 20 ვერსის სიშორეზედ) და მათთვის საჭირო ახლად მიღები გაეყვანათ ნავთისადგურამდი—მარტო ეს უკანასკნელი 3.500.000 მანეთი დაჯდება.

ყოვლად შეუძლებლად იცნო კომისიამ ყუთების საკეთიბელი ხის მასალის გადატანაც იმ მოსაზრებით, რომ ნავთისადგურიდან ამ მასალის გადატანა, იქიდან საჭიროების მიხედვით ქარხნებშივე მოტანა მათი, ზედმეტ ხარჯს მოითხოვდა და ნავთის ფასებზედაც გაელენას იკონიებდა.

ყოველ ამის გამო მცირე კომისიამ შემდეგ დასკვნაზედ შესდგა: ყველა ხისა და თუნუქის ყუთების და ბოჩკების ქარხანა—სახელოსნოები, ნავთის, ზეთების და ნავთიანი ნაშთების მსხმელ—შქაჩავი სადგურები დატოვებულ იქმნას ძველ ადგილებზედ, იმ დღის ნავთის ქალაქში. ხის მასალის საწყობებიც დატოვებულ იქმნან ქარხნებთან, ისე რომ 1891 წ. კანონი მათ არ უნდა შეეხებოდა; ქარხნებისათვის საჭიროს გარდა, ნავთი უნდა გატანილ ყოფილიყო ქალაქ გარეთ, სიმაგრეების დაშორებით, რისთვისაც მოხერხებულ ადგილას უნდა აგებულიყო ყოფილიყო ახალი რეზერვუარები და მოწყობილი ყოფილიყო ამ სათადარიგო ნავთის გადაქაჩვა, საჭიროებისამებრ, ქარხნებზედ, ნავთიან ქალაქში.

რაკი ამაზედ შესდგა კომისია, იგი თანვე შეუდგა იმ მოხერხებულ ადგილების გამოძებნას, სადაც შეიძლებოდა ნავთის ახალ რეზერვუარების აგება. კომისიამ დაათვალიერა მთელი მათთვის მიდამოები. ამ ადგილების აწყერილობაში ბევრი რამ საინტერესო ცნობებია.

1. ადგილები მდ. კოროზის ნაპირებზედ და ართვინის შოსეს დაუოლენა. მდ. კოროზისა და ართვინის შოსეს მარჯვენა მხარეს მდებარე დაბალი ადგილები, რომელზედაც წყალდიდობის დროს მდ. კოროზი გადივლის ხოლმე, სრულიად უვარგისად იყო ცნობილი. შოსეს მარცხენა მდებარე ადგილებში, რეზერვუარების ასაგებად გამოდგება ადგილი სახელწოდებით ხელვაჩაური. მათუშხედ 6—7 ვერსით დაშორებული. სივრცე ამ ადგილისა 57 დესეტრინაა. იმ ხანად იგი წარმოადგენდა გაერთიანებულ საყანებს; თვითიული დესიატინა იძლეოდა 150—200 ფუთამდე სიმიდს. ამ ციებიან და ქაობიან ადგილას არა-



ერყენული

განხილვისათვის

ვინ ცხოვრობდა. აქა იქ მხოლოდ ფაცხები იყო, სადაც ქურთები ბინადრობდნენ ზამთრობით. ხელუჩაურის მიწები შეადგენდა 48 კაცის საკუთრებას; მესაკუთრეებმა განაცხადეს, რომ თუ ამ ადგილებს ჩამოართმევდნენ,—თითო დესეტინაზედ 600—1200 მანეთამდი მოვითხოვთო.

2) **ბარცხანის ხეობა.** აქაურობა მთა-გორიანი ადგილებია და გამოუსადეგრაათ იქნა ცნობილი ხსენებული მიწისათვის.

3) **ყოროლის წყლის ქალები.** ამ ქალებში ბევრ ადგილას შეიძლება ნავთის რეზერვუარების აგება, მაგრამ კომისიამ მოუხერხებლად სცნო ეს. და აირატომ: ბათუმის ზრდისთან ერთად აქ, ამ ქალებში და ხეობაში თანდათან მრავლდებოდა აგარაკები, ასე რომ მიწის ფასი დესეტინაზედ 600—800 მანეთამდი აღიზდა; მცხოვრებლებმა კი განაცხადეს, რომ თუ მიწებს ჩამოართმევდნენ დესეტინაზედ 2400—4800 მანეთამდი მოითხოვდნენ. ის ადგილი სადაც შეიძლება რეზერვუარების აგება, ერთი უმწვენიერესი ადგილთაგანი იყო თავის მდებარეობით და სანიტარული პირობებით, მოყენილი მრავალ აგარაკებით; ამ აგარაკების პატრონებს დიდ ძალი ფული ქონდათ ჩაყრილი მიწის დამუშავებაში, ათასნაირ ძვირფას ნაშენში; აქ მოყავდათ საუცხოო თვისების ხილი, ზრდიდნენ ძვირფას ტროპიკულ მცენარეებს; გაშენებული იყო პოპოვის ჩაის პლანტაციები სალიბაურში და კაპრეშუმში. ნავთის რეზერვუარების აგება ამით მახლობლად საზარლად იმოქმედებდა; ნავთის ორთქლით გაღვნილი ჰაერი მეტის-მეტად ავნებდა ამ ნაზ მცენარეების კვირტებს და ფოთლებს და ძირითადაც შესცვლიდა ცხოვრების პირობებს ამ ადგილებში, რომელიც მეცნიერმა ვიროხომმა იცნო საუკეთესო კლიმატიურ კუთხეთ შავი ზღვის მთელ ნაპირებზედ.

განსაკუთრებით დიდი ზარალი მიეცემოდა ნავთის სიხალისისაგან პაპოვის ჩაის პლანტაციებს, რომელსაც ეკავა სალიბაურში და კაპრეშუმში ორასზედ მეტი დესეტინა. პაპოვს აუარებელი ფული ქონდა ჩაყრილი აქ, ამ ადგილების დამამუშავებლად და გასაწმენდ—დასაშრობად; აგებული ქონდა მრავალი შენობები, გაჯვანილი ქონდა მშვენიერი მოკენქილი გზები მთების კალთებზედ; სალიბაურში. ქონდა ჩაის საკეთებელი ქარხანა; შენობებზედ დახარჯული ქონდა 200.000 მანეთამდი; მამულების გაწმენდა-გაუმჯობესობაში—მილიონზედ მეტი. პლანტაციებზედ მოსახსნაურეთა წლიური ხარჯი იყო—13,500 მანეთი. ყოველ დღიურად აქ მუშაობდა 200-დე ქალი და კაცი. როცა მთელ მამულში მოთავლდებოდა მუშაობა ჩაის ბუჩქების დარგვისა—ყოველ წლიურად მოიწეოდა 400.000-დე გირვანქა ჩაი, ჩი ძრიელ კარგი თვისებისა კეთდებოდა, კარგი ფერისა, გემოსი, სურნელოვანი და არაფრით ჩამოუვარდებოდა საშუალო ზარისხის ჩინეთის ჩაის. მანეთად რომ გაყუდნა გირვანქა, პოპოვის წლიური შემოსავალი ამ მამულებიდან უნდა ყოფილიყო 400.000 მანეთამდი. კომისიის ნიერ შეკრებილ ცნობების მიხედვით, ჩაის მოსაყვანად გამოსადეგი ადგილები თუ ყველა დამუშავებული იქნებოდა, მოიწეოდა 500.000 ფუთამდე ჩაი. ე. ი. მესამედი ნაწილი იმისი, რაც მთელ რუსეთში იხარჯებოდა და რის საფასური აღწევდა 10-15 მილიონ მანეთამდი.





ქართული

ენციკლოპედია

\* ყოველ ამის ვამო კომისიამ შეუძლებლიდ სცნო ყოროლის წყლის ქალებში და ხეობაში ნავთის რეზერვუარების აგება.

4) **მახინჯაური** აქაურობაც მოფენილი იყო აგარაკებით. ზოგიერთ მოაგარაკებს გაშენებული ჰქონდათ ძვირფასი მცენარეულობა, მანდარინის და ლიმონისა; აქ იყო საგანგებო ჯიშის ატამი, ვაშლი, მსხალი, ბალი, ლელვი და სხვ. მიწის ფასი ერთობ დიდი იყო. აქა ამოდენა მოაგარაკებისა და გაოხრება ამოდენი ნამუშევრებისა დიდ ცოდვად იქნა აღიარებული კომისიისაგან.

ბ) **ჩაქვის არე-მარე.** აქაც შეუძლებლად სცნო კომისიამ რეზერვუარების აგება. საუფლისწულო უწყებას ჰქონდა შეძენილი აქ 12.500 დესეტინა და ზედ გაშენებული იყო ჩინურ-იაპონური მცენარეულობა. 1899 წლამდე ადგილების დამუშავებაში დახარჯული იყო 800.000 მანეთამდე. მთავარი საქმე — აქაც ჩაის ბუჩქის გაშენება იყო. ჩაის გარდა მოყავდათ რამი (ჩინური კინქარი) ბამბუკი, მანდარინი, ფორთოხალი და სხვა ძვირფასი მცენარეულობა; იქვე მახლობლად იყო ძვირფასათ მოვლილი მამულები სტოიანოვისა, სოლოვცოვის, ვუჩინოს, ვერუს და პოპოვის.

ბ) **სადგურ ქობულეთის არე-მარე.** აქ კომისიამ ორი ადგილი მონახა ისეთი, სადაც შეიძლებოდა ნავთის რეზერვუარების აგება; ერთი-სადგურის პირდაპირ, მეორე-დიდი მერე. აქ არსად არ იყო არც აგარაკი, არც ნაშენობა რამე და ადგილებიც სწორი.

კომისიის აზრით განზრახული რეზერვუარები უსათუოთ ხაზინის ხელში უნდა ყოფილიყო, რადგან ეს მოწყობილობა ნაწილი იქნებოდა იმ ნავთის მილისა, რომელიც გამართული იყო ზაშურიდან ბათუმამდე.

უნდა აგებულიყო იმოდენი რეზერვუარები, რომ შიგ დატეულიყო 10.000 000 ფუთი ჩვეულებრივი კეროსინი, თვითველ რეზერვუარში 200.000 ფუთი; შესაძლებელი ყოფილიყო რომ ქარხნებში და ნავთსადგურში თითო საათში 50.000 ფუთი ნავთის გადაქაჩვა ამ რეზერვუარებიდან. ამასთანავე კომისიამ გამოიანგარიშა, რომ ამ რეზერვუარების შენახვას მოწყობას 50 ჭვებით ქობულეთში მოუწოდებოდა 2 მილიონი მანეთი, ყოროლის წყლის ქალებში — 1.600 000 მან. კომისიის გამოანგარიშებით ყოველ ფუთ ნათხედ ფასი 0,16 კაპიკით იიწვედა,

რეზერვუარებიდან ნავთის ქარხნებზედ მისაწვდენათ უნდა მოწყობილიყო ცალკე საერთო გამანაწილებელი სადგური, რომელიც თავის დროზედ ქარხნების მოთხოვნილებისამებრ მიაწვდენდა ქარხნებშიაც და ნავთსადგურშიც საჭირო ნავთს.

ყოველივე ზემოხსენებულ განზრახვათა აღსრულება მოითხოვდა გაფართოებას არსებულ ნავთის ქალაქისას, რისთვის საჭიროდ ხდებოდა რკინის გზის საქონლის სადგურის სხვა ადგილას გადატანა, ეს სადგური სახალხო სადგურთან ერთად უნდა გადაეტანათ კახაბრის მთების ძირში. ამ სადგურის გადატანა ჯდება 2 მილიონ მანეთამდე.

რადგან ნავთის წარმოება ამ დროს თანდათან იზრდებოდა და გასაზიდავი ნავთი ბათუმისაკენ მოდიოდა, კომისიამ საჭიროდ სცნო ამ თავითვე

შემენილ ყოფილიყო ყველა ის ადგილები, რომელზედ შემდეგში გაიშლებოდა ახალი ნავთის ქალაქი. ეს ადგილები სანჯაყებზე აბაშიძეებს ეკუთვნოდა, მაგრამ მთავრობამ სახელმწიფო კუთვნილებად გამოაცხადა. რადგან ამ ადგილებზედ ეწადდა ქალაქს გაშლა-შატება, ამიტომ, კომისიის მოსაზრებით, ზოგიერთი ნაქრები შეიძლებოდა დათმობილ ყოფილიყო მცხოვრებლებსათვის, მაგრამ ამის ნება უნდა აეღოთ მთავარ-მართებლისაგან.

ნავთის ქალაქი დაყოფილი იქნებოდა უბნებად; შიგ გაყვანილი მოკირ-წყლული ქუჩები; განათება ყველგან ელექტრონის; ქუჩებისაკენ მოტყეული შენობების კედლები აგებული ცეცხლის გამძლე მასალისაგან; შენობები ერთი და ორ-სართულიანებიც, მაგრამ უკანასკნელი არა უმაღლეს ექვსის საეწისა; სახლები ხისაც შეიძლებოდა; სახლების სახურავები კი უსათუოდ ან თუნუქისა, ან კრამიტისა. იმ შენობებს, სადაც ცეცხლი უნდა გაჩაღებულიყო, მზად უნდა ქონებოდა ცეცხლის გასაცალკეებლად რკინის ფურცლები.

ყოველ ქარხანას, ცეცხლის საქრობლად ეზოში უნდა ქონებოდა ოთხ-ოთხი წყლის ონკანი.

ყოველ სახელოსნოში უნდა ყოფილიყო დაქირავებული საიმედო მეთვალყურე, უხიზელი პიროვნება, წლოვანობით არა ნაკლებ 21 წლისა; მის მოვალეობას შეადგენდა სახელოსნოში წეს-რიგის დაცვა. ყოველ მსხველ-შეპყველ სადგურზე და ქარხანაზედ — ღამის ყარაულები არა ნაკლებ ორისა, რომელნიც მორიგეობით იდარაჯებდნენ. ყოველივე ეს გქვემდებარებოდა და ამისთვის თვალყურის გდება ევალებოდა ბათუმის ციხის კომენდანტს; ამასვე უნდა ეციხებოდესო ნავთის ქალაქში ყოველივე შენობის აგების ნებართვა; დანარჩენში მეთვალყურობა და ზედამხედველობა ევალებოდა საქარხნო ინსპექციას და პოლიციას.

კანონის ყოველსავე მოთხოვნილებების სისრულეში მოსაყვანად ნავთის ქალაქში ქარხნის პატრონებს ვადათ ეძლეოდათ სამი წელიწადი იმ დღიდან როგორც კი საბოლოოდ დამტკიცდებოდა ნავთის ქალაქის გეგმა.

## X

ასეთი იყო ბათუმი იმ ხანებში და ადვილი გასაგებია რატომ იზიდავდა იგი ყოველ მზრიდან სამუშევარის და თან ფულის მაძიებელ ხალხს. ფულიანი ხალხი განსაკუთრებული ხალისით ეტანებოდა აქაურობას; არას ზოგავდა რომ აქ ფუხი მოემარგებინა, საჭმე გაეჩაღებინა და თავისი კაპიტალი დაეტრიალებინა. ამგვარი მოსაქნარეებით სავსე იყო ბათუმი და მათი რიცხვი დღითი-დღე მატულობდა. დაბალი მუშა რასაკვირველია დიდ გასაქირში იყო, მაგრამ მშველელი და დამზარე არსაიდან იყო. ქარხნები სავსე იყო მუშებით, რომლებიც საკოდავ პირობებში იყვნენ, რომლებიც მეტის-მეტად იჩაგრებოდნენ. ნამეტურ ჩაგვრას განიცდიდნენ ქართველი მუშები, რომლებიც ახლად გამოდიოდნენ თავიანთ სოფლებიდან და ახლად ეჩვეოდნენ ახალს, უჩვეულო მუშაობას. საჭირო იყო გამოჩენილიყო ისეთი ხელი, რომელიც ასე თუ ისე, თუ არ ააშო-



რებდა ჩავკრას, შეუმსუბუქებდა მიინც ერთგვარად ცხოვრების პირობების სიმძიმეს და ტანჯვა—ბრძოლის.

და ასე იქმნა.

ბედმა ბათუმში ჩამოავდო რკინის გზაში მოსამსახურე ექიმი გრიგოლ ვოლსკი. ამას ხედა წილად აქ გაემართლებინა ქართველების დახასიათება ერთ ადერბეიჯანელი მოღვაწის მიერ, რომელმაც ქართველობას მიმართა შემდეგი სიტყვით: „*ВЫ ТОТ НАРОД, КОТОРЫМ ГОВОРИТ: ЖИВИ И ЖИТЬ ДАВАЙ ДРУГИМ.*“ და სწორედ ამ დევიზით გამოვიდა ვოლსკი ბათუმში სამოღვაწეო ასპარეზზე და სიკვდილამდინ არ უღალატნია ამ დევიზისათვის.

გრიგოლ ვოლსკიმ და მასთან ივანე მესხმა, სერგეი მესხის ძმამ, დიდი ამაგი დასდეს ბათუმს და დიდი სამსახური გაუწიეს ქართველობას და ბათუმის ყველა მცხოვრებთ.

რუსის მთავრობა ჩაგრავდა და ათასნაირად ავიწროებდა მკვიდრთ, სომხობა ფულიანი ელემენტი იყო და მთავრობას ემხრობოდა, ბერძენი განზედ იდგა—სამართლიანობის აღდგენა და წინააღმდეგობის გაწევა მჩაგვრელთა წინაშე წილად ხედებოდა ქართველობას და მან კიდევ იკისრა ეს და ბედისგან დანაკისრს ასრულებდა გულწრფელად და თავგანმოდებით.

სათავეში იდგნენ როგორც ვთქვი, გრიგოლ ვოლსკი და ივანე მესხი. ვოლსკის მამა იყო პოლონელი, დედა კი ქართველი—ქვეყრადის ქალი. მამა ადრე მოუკვდა. დედა ცოცხალი, გონება გახსნილი ადამიანი იყო თურმე. ვოლსკი განსხვავებული სიყვარულით გაიხსენებდა ხოლმე დედა მისს. სწავლა ქუთაისის გინაზიაში დაათავა და შემდეგ რუსეთში, საეტიმო ფაკულტეტზედ. ყმაწვილობიდან წერდა ქართულათ ლექსებს უწმიფარიძის ფსევდონიმით. ლექსებმა უწრადღება მიატკეინეს ახალგაზდა პოეტზედ და უწმიფარიძე საყვარელ პოეტად იყო ცნობილი. ამასთანავე მან მშვენიერად იცოდა ქართული და რუსული და ითვლებოდა საუკეთესო მთარგმნელად რუსულიდან ქართულათ, და ქართულიდან რუსულად. ღრმად ნაკიახი, ცოდნით აღჭურვილი, მშვენიერი მოლაპარაკე, ოხუნჯი—იგი სასიამოვნო მოსაუბრე იყო ყოველ შეკრებილობაში, ყოველ საზოგადოებაში. იდეალისტი, გულკეთილი, ღრმად მგრძობიერი, ხალისიანი იგი ძრიელ ადვილად იზიდავდა ყოველ შემხდურს; მებრძოლი ხასიათის მჭონი, იგი გაბედული და შეუდრკველი იყო ბრძოლაში. როცა მან სავსებით დაინახა ყოველივე უსამართლობა და უკულმართობა რაც გამეფებული იყო გარშემო, მან გადასწყვიტა ყოველი ღონე ეღონა, რომ ბათუმში ცხოვრების პირობები სხვაგვარ ნიადაგზე დაეყენებინა. ამისათვის საჭირო იყო ქალაქის თვითმართველობის ხელში ჩაგდება და საზოგადო ასპარეზზედ გამოცემა ისეთი პირებისა, რომლებიც მგლურ ხასიათს დაშორებულნი იყვნენ. მან, ივანე მესხთან ერთათ, შეადგინა მთელი გეგმა იმისი, თუ რა გზით მიშველებოდნენ იმ ხალხს, რომლსაც ისროდა სოფელი ქალაქისკენ, რა ღონით გაეადვილებინათ ახალ ადგილას, ახალი ცხოვრების გამოწყობა. ფულიანები იყვნენ გარეშენი და ყოველ ღონეს ხმარობდნენ თავისებურათ გამოეყენებინათ მიმდინარე უსაღსრო ხალხი. ამის გასანელებლად ის და მესხი იმდენს ეცადნენ რომ გახსნეს, თითქმის მხოლოდ

ეროვნული  
მემორიალი

ქართველებისაგან შემდგარი, საურთიერთო კრედიტის საზოგადოება. დიდათ აითვალწუნა ეს საზოგადოება თბილისის კომერციულ ბანკის ბათუმის განყოფილებამ, მაგრამ დაულაღავეა მაცადინობამ თავისი გაიტანა და დაარსებული საკრედიტო საზოგადოება წარმატებაში შეყავდათ ხელმძღვანელებს, ნდობას პოულობდა და თავის მიზანს ნელა-ნელა აღწევდა—აწვდიდა კრედიტს უსაშუალო ხალხს. საზოგადოების თავმჯდომარეთ არჩეულ იყო მდიდარი, განათლებული განვითარებული ებრაელი შპოლიანსკი. ამის მიზრობამ დიდი სარგებლობა მოუტანა საკრედიტო საზოგადოებას; საქმის მკადნემ, გავლენიანმა ებრაელმა, შეხალისებულმა იმ პატივისცემით, რომლით ეგებებოდნენ მას ქართველები, მკვიდრ ნიადაგზედ დააყენა ბანკი.

მეტად საჭირო იყო ჩამოსახლებულთათვის სასწავლებლის მიწვდენა მათი შვილებისათვის; სასწავლებელი უფასო, ვინაიდან ბავშვის პატრონები უსაღსრონი იყვნენ უმეტეს წილად. ბათუმში არსებობდა წერა-კითხვის საზოგადოების სკოლა, მაგრამ იგი მეტად ღარიბი იყო და მოუწყობელი, ძლივს ღაფავდა სულს. მას ინახავდა წერა-კითხვის საზოგადოება და ხანდახან ადგილობრივ იმართებოდა სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენა, მაგრამ აქედან ისე ცოტა შემოუდიოდა სასწავლებელს, რომ ერთ მასწავლებელსაც ძლე-ძლივობით ისტუმრებდა. ამის დასაძლევით და სკოლის გასაღონიერებლად ვოლსკიმ და მესხმა გადასწყვიტეს ყოველწლიურად თოთხმეტ იანვარს, ნინოობას, სასწავლებლის სასარგებლოდ განსხვავებული საღამოს მართვა. პირველი საღამო არა ჩვეულებრივი რამ იყო ბათუმისათვის. თითქმის სამი თვე მოუწინა მის მოწყობას, მაგრამ შრომას ტყვილა არ ჩაუვლია და საღამომ დიდებულათ ჩაიარა. ვეებერთელა საზოგადო საკრებულოს დარბაზი ზღაპრულათ იყო მოართული; ელექტრონის განათება, რაც იმ დროში იშვიათი იყო,—უხვად ანათებდა მთელ საკრებულოს; კონცერტიული განყოფილება, რომელიც წინ უძღოდა საღამოს, შესამჩნევით იყო შემდგარი თბილისიდან მოწვეული ძალებით; ცალკე იყო მოწყობილი აზიური დარბაზი სადაც უკრავდა თარს განთქმული მეთარე აბდულ-ბალი თავის ამხანაგებით. საღამოზედ მოწვეული იყო საყვარელი მგოსანი აკაკი წერეთელი, რომელსაც სადგურზედ დაუხვდა მთლიათ ქართველობა და რომელიც გამოჩნდა თუ არა ვაგონის კარებში, აუარებელმა ხალხმა აღტაცებით შესძახა მქუხარე ვაშა და დიდის ამბით მიაცილა ეტლამდინ. აკაკიმ საღამოზედ წაიკითხა თავის ლექსები და რაღა თქმა უნდა დიდათ აღადროფენა ხალხით გაქედილი დარბაზი. ღამაში, შნოიანი, წარმოსადგვი პოეტი, თავის ტკბილი ხმით, მომღიწარი სახით, მომხიბლავი სახით, მომხიბლავი შეხედულებით მართლა და საყვარელი იყო და ყველას თავი მოგვაწონა მისით იმ მრავალ უცხოელებთან, რომლებიც მრავლად დაესწრენ საღამოს.

საღამომ დიდი ფული შემოიტანა—სამი ათასზე მეტი,—და დიდი შთაბეჭდილებაც დასტოვა. თოთხმეტი იანვრის საღამო, ნინოობა, მაცოცხლებელ წყაროთ შეიქმნა სასწავლებლისათვის—გაქირვებიდან გამოიყვანა და ფეხი მოამაგრებინა. მაგრამ ამაზედ არ შეაჩერეს საქმე და სასწავლებლისათვის საკუთარი შენობის აგებას შეეჭიდნენ. ამისათვის თბილისიდან დაიბარეს წერა-კითხვის სა-



ქართული  
ენციკლოპედია

ზოგადობის თავმჯდომარის ამხანაგი ნიკო ცხვედაძე. ენერჯითი მშენებელი ნიკო ჩამოვიდა ბათუმში, მოუყარა სკოლის ეზოში ქართველობას თავი და მისებური, მხურვალე სიტყვით მიმართა ყრილობას, რომ შესდგომოდნენ სასწავლებლისა და მასწავლებელთათვის შენობების აგებას. კეთილი განძრახვით მიმართული სიტყვა—კეთილად დაწთავრდა. ყველამ აღუთქვა დახმარება ამ საქმეში წერა-კითხვის საზოგადოებას, ვინ ფულით, ვინ საშენ მასალით, ვინ პირადი მუშაობით. საქმე ისე გაჩაღდა რომ მეორე წელიწადს სასწავლებელს უკვე მზად ქონდა სამაგალითო დიდი შენობა, მშენიერათ მოწყობილი და ცალკე ბინები მასწავლებლებსათვის. სასწავლებელს შეეძლო დაეტია ორასამდე მოსწავლე და მალე კიდევ მიაღწია ამ რიცხვამდე მოსწავლეთ რაოდენობამ. სასწავლებელი მშენიერათ იყო დაყენებული და დიდი სიმპატიას იწვევდა ხალხში. სწავლა ისე ჩინებულად იყო დაყენებული, რომ შემდეგში მეოთხე განყოფილებიდან ყოველ წლებით ათი-თორმეტი უმაწილი გადადიოდა აქაური შემზადებით ბათუმის გიმნაზიაში. ამ სასწავლებლის ფეხზე დაყენებაში, მისი მატერიალურად მოლონიერებაში დიდი მუყაითობა და შემწეობა აღმოუჩინეს ვოლსკის და შესხს ექვთიმე ბერძენიშვილმა და ნიკო საბაევმა. ორივე უანგაროდ, გულწრფელად და სიყვარულით ეციდებოდნენ სასწავლებლის საქმეს და მათ შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია—ბათუმის წერა-კითხვის სკოლამ დიდძალი შეგნებული ახალგაზღობა მისცა ხალხს.

## XI

1895-ში უნდა ყოფილიყო ქალაქის არჩევნები ახალი საქალაქო დებულების საფუძველზე. იმ აქეთკენ იყო საჭირო მუშაობის გამოწყობა, რომ ქალაქის მართველობისათვის ჩამოეშორებინათ ჭრელი ხალხი და ჩამდგარიყვნენ ისეთები, რომელთაც გული ეწოდათ აქაურობისათვის და მისი ბედ-ილბალი აინტერესებდათ და დაჩაგრული ნაწილი გაეღვიძებინა. ასეთ დაჩაგრულ ნაწილს კი სწორეთ ქართველობა შეადგენდა, როპელსაც ყველგან გზას უღობაედნენ და უკან აყენებდნენ, მეტის მეტ უპატიეცემლობაში იყო.

კაიანდრა, ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელი, რომელიც ქართველებს დაურიდებლად ვოლოფოტიაპებს ეძახოდა, დარწმუნებული იყო რომ არჩევნები მის და მისი მომხრეების სასარგებლოდ დათავდებოდა. სომეხები კი ფიქრობდნენ თავისი კაცის გაყენებას ქალაქის თავით—და ამისათვის კიდევაც ჩამოიყვანეს ბათუმში სამსახურს გადამდგარი გენერალი ვილაც ბებუთოვი და დიდის ამბით დაასეირნებდნენ ზულვარში ხალხისათვის რომ გაეცნოთ მისი თავი. მისი კანდიდატურის სიძლიერე ისე შეთვისებული ქონდათ, რომ ბათუმში ცნობილი დელი (გიეი) მაიორი ტერ ასატუროვი დაუფარავად ხმამაღლა ამბობდა:

— ბათუმში ქალაქის თავი ან სომეხი ან ქართველი უნდა იქნეს; მაგრამ ქართველებს ამისათვის კაცი არ მოგეძებნებათ და, შეილებო, არც უნარი გაქვთ საამისო, ამიტომ ჩვენ სომეხებს გვრჩება სათავეში ჩადგომა. ამაზედ უკეთეს კაცს თქვენ ვერ იშოვიეთ!



ერეკნული

თავებელურათ გაიძახოდა ამას, რადგან ყველანი თამამად წინააღმდეგ ჩვენობას.

ამას ბოლო უნდა მოეღობოდა და ვოლსკიმ კიდევ მოელო.

იგი შეუდგა გაცხარებულ მუშაობას რომ მომავალ არჩევნებით ქალაქის თვითმართველობაში რაც შეიძლებოდა მეტი ქართველობა მოეკცია და გარე-შეთაგან საუკეთესო პირები. მუშაობა ამისათვის უნდა წარმოებულყო დაფარულად, გაუხმარებლად; საჭირო იყო საქმის დაკერა თავიდან მხოლოდ სანდო პირებთან, ჯერ ამითი შეჯგუფება, შემდეგ ნელ-ნელა გაშლა, მომზრეთა სიფთხილით მონახვა, რომ არ გახმარებულყო განაძრახი. საჭირო იყო შეჯგუფება რომ საქმე გაიტანებოდა, რომ დასახული მიზანი მიღწეული იქნებოდა. ამას დიდი მაცადინობა ეციერებოდა, რადგან ქართველობაში ის აზრი ტრიალობდა, რომ ჩვენ უღონიანი ვართ, უძლურნი და მომუშავე ძალებს მოკლებულნი.

უიმედობა, თავის თავის უნდობლობა ძალზედ განჯდარიყო ქართველობაში. ამის გადაჯერებაში, ამის გაქარწყლებაში საჭირო იყო ყოველი ღონე ეხმარათ. ყოველი ფეხის გადადგამაზედ გესმოდა წიწის ხმა, რომ უარეს მდგომარეობაში არ ჩავვარდეთ, რომ უფრო არ გადავიმტეროთ სხვებში, რაკი გაგვიგებენ თუ რა მიზნები დაგვისახავსო. ამგვარი შიში მძლავრად ისმოდა თავიდან, მაგრამ ვოლსკის და მესხის მოხერხებული მოქმედება და სიტყვა თან და თან მეტ და მეტ მომზრებს პოულობდა და თანამგრძნობთა რიცხეს ემატებოდა. აქ მთელი შეთქმულობა სწარმოებდა, ნამდვილი შეთქმულობა.

როცა თანამოაზრეთა საკმაო რიცხვი შეიქმნა, გადაწყვეტილება მიიღეს შემოერთებინათ ბერძენთა ამომრჩევლები. დიდის მოხერხებით მიღწიეს იმას, რომ მოლაპარაკება ჩამოაგდეს გავლენიან ბერძენთა ამომრჩევლთან იანკო ბენლისთან. დიდი სიფრთხილე იყო საჭირო მასთან მოლაპარაკების დროს, მახსოვს რა რიგად ღელავდნენ ვოლსკი და მესხი იმ საღამოს, როცა ბენლისის მოსვლას უცდიდნენ მელიტონ ლორთქიფანიძის ბინაზედ. ღამე იყო, როცა ბენლისი მოვიდა. მოლაპარაკება გავრძელდა რამოდენიმე საათს. ნიშნები კარგი იყო. რამოდენიმე დღის შემდეგ ბენლისი ისევ უნდა მოსულიყო და თან მოეცინა ორი სამი თავისი ამხანაგი. ასეც იქნა. დანიშნულ დღეს, ისევ საიდუმლო მოლაპარაკება, კარ ჩაკეტილში ნამალევად. ისეთი კრებები, ღამ-ღამოობით, ხშირად იმართებოდა. საქმე სასურველადაც დამთავრდა. ბერძენები არჩევნებში შეუერთდნენ ჩვენებს იმ პირობით, რომ ქართველი ამომრჩევლები გაიყვანდნენ ხუთ ბერძენ-ხმოსანს. საიდუმლოთ წარმოებული მუშაობა წარმატებით მიდიოდა. არჩევნების დღეს იმედინათ შეპყრებდნენ და ეს იმედიც ბრწყინვალეთ აღსრულდა.

ვოლსკის და მესხის მიერ გამოწყობილმა არჩევნებმა გაიმარჯვა. ამომრჩეულ ხმოსანთა შორის უმეტესობა ქართველებს ეკუთვნოდა; ბერძენისაგან დასახელებულნი ყველანი ამომრჩეულ იქნენ. კაიანდერი გულშეწყობილი დაემხო თავის ყუთს და სასოწარკვეთილებით ღუღღღუღებდა:

— ეს პატივისცემა დავიმსახურე ჩემი მუშაობით!?! ასე გადამიხადეს მაგერი ჩემი მუშაობისათვის!?!..



საარჩევნო დარბაზში, თვალსაჩინო ადგილას საეარძელზედ მოთავსებულნი იყო და არჩევნების შესვლელობას უყურებდა განგებ ამ შემთხვევისათვის ჩამოკვანილი თბილისიდან ილია ტაყაყაძე. ბრწყინვალე გამარჯვებამ დიდი ალტაცება გამოიწვია ქართველობაში.

ახლა საჭირო იყო შესაფერისი ქალაქის თავის თანამდებობისთვის კანდიდატის გამოჩახვა. სამწუხაროდ ამ საკითხმა დიდი განხეთქილება გამოიწვია ისევ ქართველ ხმოსნებში. ზოგნი იმ აზრის იყვნენ, რომ ქალაქის თავათ უსათუოთ რუსი ყოფილიყო, რომ მთავრობის გული მოეგოთ. ზოგნი კი იმ აზრს დაადგნენ, რომ რაკი ქართველობა ჩადგა თვითმართველობის სათავეში, ქალაქის თავი უსათუოდ ქართველი უნდა ყოფილიყო, ერთგული აღმსრულებელი დასახული მიხნებისა, გამოცდილი, საქმის მკოდნე; ისეთი პირი, რომელსაც შეპყირს ქართველობის მდგომარეობა და ერთგულათ ემსახურება მისგან ნაკისრ საქმეში და გაუძღვებოდა ახლად გამოსულ საზოგადო ასპარეზზედ გამოუცდელ ხმოსნებს, ამისთანა პირათ დასახელებულ იქმნა ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავი, იმ ხანად გუბერნიის სამართველოს წევრად მყოფი, ლუკა ასათიანი. შექმნილმა უთახმოებამ საინიცობოთ გახადა ამ კანდიდატის გამარჯვება, მაგრამ ამ კანდიდატურის მომხრენი არ ეშვებოდნენ მის სახელს, რადგან მასში ხედავდნენ გამოცდილ კაცს, სამაგალითო მუშას და ისეთ ხელმძღვანელობის გამწევის შემძლებს, როგორც ექირვებოდათ. მისმა მომხრეებმა თავი მოიყარეს მელიტონ ლორთქიფანიძისას, შეადგინეს მისადმი მიპართვა, რომელსაც ხელი მოაწერა ოცდაერთმა კაცმა და გაჰავზავენეს ამ მიმართვით მასთან ქუთაისში.

როცა მე გადავეცი ბათუმლების თხოვნა ასათიანს მისი პირველი შეკითხვა იყო:

— რათ უნდივართ ჩემისთანა დაღალული, მოქანცული მუშა... საჭიროა ახალგაზრდა ძალა, რომელმაც შესძლოს დაძლევა იმ დიდი საქმისა, რომლისათვისაც ხელი მოუკიდნიათ თქვენებს.

მე ვუთხარი, რომ მომმართველებს გათვალისწინებული, აწონილ-დაწონილი აქვთ ყველაფერი და დაბეჯითებით სრული დანდობით მოგმართავენ, რათა თქვენი სატის ცოდნით, გამოცდილებითა და შრომით მიეშველოთ ახალ მოღვაწეებს.

— თუ კი მაგვარ საიმედო პირათ ვარ მიმჩნეული, მაღლობის მეტი მე რა მეთქვის და სულით და გულით ვემსახურები, რამდენათაც ჩემი ძალ-ღონე შემაძლებინებს.

მე არ დაუშავე არაფერი; უთხარი, რომ არის სხვა კანდიდატებიც და რომ შესაძლებელია ერთი ან ორი კენჭით გავიდეს მხოლოდ; მაგრამ ამას ნუ ითაკილებთქო.

ჩამოვბრუნდი ბათუმში და ასათიანის თანახმობა ჩამოვიტანე მისი კანდიდატურა წამოვეყნებინათ ქალაქის თაობაზედ.

ცხარე ბრძოლა შეიქმნა ამ არჩევნებზედ. კენჭის ყრამ ათარებელი ხალხი მიიზიდა ქალაქის თვითმართველობის დარბაზში.

ასათიანი გავიდა ერთი კენჭით. ორი სხვა კანდიდატი გაშაყებულ იქმნა.



ერეკნული

ასათიანის არჩევას ქართველობა დიდის ალტაცებით მხატვრულად და სომხები მეტად გაბრაზდნენ და ხმა მალა იმუქრებოდნენ შემდეგ არჩევნებში სამაგიეროს გადახდას.

გუბერნატორმა შალიკოვმა, რომელიც კარგათ იცნობდა ასათიანს და დიდად აფასებდა, დაამტკიცა არჩევანი დაუყონებლივ.

განახლებულ ქალაქის თვითმართველობაში გაჩაღდა მუშაობა სხვა ყაიდაზედ ვიდრე აქამდინ. საქალაქო საქმეების მკოდნე, მუყაითი, დაულალავი მუშაობაში ახალი ქალაქის თავი დაუხოველათ მუშაობდა; მასთან მუშაობდნენ ვოლსკი და მესხი,—პირველი როგორც გამგეობის წევრი, მეორე როგორც მდივანი. მეორე წევრად იყო არჩეული ი. ივანოვი, გარუსებული ლეკი.

აქ უნდა მოვიყვანო რამოდენიმე ცნობა ასათიანის შესახებ, რადგან იგი შესამჩნევი პიროვნება იყო იმ დროებაში. იგი იყო სოფელ ქუთაისიდან, ქუთაისის გვერდით მდებარე პატარა სოფლიდან. სწავლა მიიღო ქუთაისის ოთხკლასიან სასწავლებელში; გიმნაზია იმ დროს არ იყო ქუთაისში; სასწავლებლის დათავების შემდეგ იგი შევიდა სამსახურში, მაგრამ მის ჯამაგირს მისი მეურველი—უფროსი იჯიბებდა და გამწარებულმა ყმაწვილმა მიატოვა ქუთაისი და გასწია ერევნისკენ. აქ იგი შევიდა გუბერნიის სამმართველოში. სამმართველოში უცნაური ამბები ხდებოდა; მოხელეების უმზავესო საქციელმა მთავრობის ყურადღებაც კი მიიქცია და დაინიშნა გამოძიება იმის გამოსარკვევად, თუ ვინ რას სჩადიოდა სამმართველოში. გამოძიებამ აღმოაჩინა საშინელი უკანონობა, უსამართლობა მცხოვრებთა მიმართ, საოცარი მექრთამეობა და ამგვარები. გამოძიებამ აღნიშნა, რომ ერთად-ერთი მოხელე ასათიანი არის ყოველ ბრალდებულთან თავისუფალი, წმინდა და პატიოსანი მოსამსახურე. ამან ყურადღება შეაქცევინა მთავრობას ასათიანისათვის და იგი მალე გადმოყვანილ იქმნა ქუთაისში ოლქის სასამართლოს წევრად. შემდეგ არჩეულ იქმნა ქალაქის თავათ და ირჩეოდა მუდამ, სანამ მასზედ გულნაწყენმა კალისტრატე ჩიკვაიძემ, რომელმაც ერთ დროს ააფრიალა დროშა წვრილ აზნაურობის ინტერესების ვითომ დასაცავად, იერიში არ მიიტანა ქალაქის თვითმართველობაზედ, ისე როგორც ადგილობრივ სათავადაზნაურო ბანკზედ. ქუთაისის გუბერნატორმა შალიკოვმა მიიწვია მრჩეველად საგუბერნიო სამმართველოში და აქ იყო, სანამ ბათუმლებმა არ ამოიჩიეს ქალაქის თავათ.

დიდი ცოდნის პატრონი, დიდი გამოცდილების მექონე, მშვენიერი სიტყვის პატრონი, დინჯი, წარმოსადგევი გარეგნობით იგი ყოველთვის და ყოველგან სტოვებდა დიდ შთაბეჭდილებას.

გადამეტებულ მტრულად შეხედნენ მას ბათუმში პირველივე დღიდანვე. ბათუმში არსებული რუსული გაზეთი, საზოგადოებრივი გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ ყოველ დღე უშევრად ილანძლებოდა და ტალახს ისროდა. გათახსიზებულ რედაქტორი პალმი არას ერიდებოდა ასათიანის და ვოლსკის შეურაცყოფის სურვილით გატაცებული. ასათიანს მან დაარქვა ლუკერია (გადააკეთა ლუკა) და უწერდა საოხუნჯო ლექსებს, არაკებს და ამგვარებს. ასათიანი ხმას არ სცემდა, იგი მუშაობაში იყო ჩართული, ვოლსკი კი, რომელსაც პალმი ვერ





ქართველთა  
მწიგნობართა  
კავშირი

გაუტოლდებოდა ოხუნჯობაში, ხშირად ისეთ რამეს იოხუნჯობაშიც კი მხედ საზოგადოებაში, რომ განაგონათ პალმი გულზედ სკდებოდა. საოცარი ტიპის კაცი იყო ეს პალმი. ქართველები რომ შეეჭამა თითქო ეს იყო მისი წადილი. სანამ იგი ჩამოეთესლებოდა ბათუმში, იგი ცხოვრობდა თბილისში. თამაშობდა ოპერეტკაში კომიკურ როლებს და კორესპოდენციებს ათავსებდა სუვორინის „ნოვოე ვრემია“-ში ზაგერიანის ფსევდონიმით. ეს კორესპოდენციები პირდაპირი დაბეზლება იყო ადგილობრივ მცხოვრებლებისა დაუზრდებელი, უსინდისო და უნამუსო. შავრაზმელს ყველა სძულდა რუს გარეშე და როგორც ეტყობოდა მთავრობაც ხელს უწყობდა მის მოღვაწეობაში.

ამგვარ მტრულ თვალთ უყურებდა ქართველობას მედიდური [გამგე] როტ-შილდის სანავთო ქარხნისა ინგენერი ზრდილოვსკი, ტომით პოლონელი. ამაყი, მიუჯარებელი, იგი გაუგებარი მიზეზით ირიდებდა ქართველობას და ამცირებდა მას. მისი ქარხნის სამმართველოს კარები მაგრათ დაბეზული იყო ქართველი მოსამსახურისთვის. ქუთიანი, კარგი მოლაპარაკე, მას დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაში და ქალაქის გამგეობაში, სადაც ის ხმოსნათ იყო. მედიდურს ვერაფერ წინააღმდეგობას ვერ უბედავდა და ისიც მეტად დიქტატორობდა. რასაკვირველია მას საწყენათ ჰქონდა ქართველობის გამარჯვება არჩევნებში და თავიდანვე ყოველ შემთხვევას ხელს ვიდებდა, რომ დამცირებინა ქალაქის ახალ მეთაურთა მოქმედება. უსათუოდ საჭირო იყო ამ პირის აღაგნება, მისი მძლავრობის შერყევა. ვოლსკიმ იშოვა ამისათვის შემთხვევა. ერთ კრებაზედ ზრდილოვსკიმ თავისებური მკერმეტყველური სიტყვით გააქაჩა, ილარ მახსოვს რაღაც განკარგულება ქალაქის გამგეობის მიერ მიღებული, და თავისი სიტყვა დაათავა:

— მოიო სერდცე კროვიუ ობლივაცისია, კოვდა ესპომინაიუ ეტო რასპორიაგენიე!

ვოლსკიმ აცალა სიტყვების დათავება და შემდეგ შეუდგა პასუხის გაცემას და თავისი მოხდენილი პასუხი უცნაურად დაათავა.

— ია ნე ზნაიუ ობლივაცისია ლი ვაშე სერცე კროვიუ, ნო ჩტო ანო ობლივაცისია ეიდოვსკოიუ ნეფტიუ, ეტო ზოროზო ზნაიუ:

ეს უცნაურობა იყო; ეს დიდი გაბედულობა იყო. ზრდილოვსკის ვინ გაუბედავდა ამგვარ შეურაცხყოფ სიტყვას, ვინ შეკადრებდა ამისთანა სიტყვით მიმართვას, ეს ჩამოთრევა იყო ამ მძლავრ დიქტატორის იმ სიმაღლიდან, საიდანაც ის გულდიდათ დასწერებოდა ქვევით დაწმუნებული, რომ ყველანი მის წინაშე თრთიან და ძაგძაგობენ. ვოლსკიმ ჩამოათრია იგი ამ სიმაღლიდან და ყველას დაანახვა, რომ ამ ამაყი, მედიდური კაცის შეხებაც შეიძლება და რომ იგი არც ისე საშიშარია, როგორც წარმოდგენილი და მიმწინეული ყავდათ.

ამგვარ მძლავრთა ჩამოქვეითებაში დიდი მარჯვე და მოხერხებული იყო ვოლსკი. ზრდილოვსკისთან მოქცევამ ხომ მთელი ქალაქი ალაპარაკა, ყველაკვირობდა ვოლსკის გაბედულობას და თან იცინოდნენ მიხილლ სიტყვაზედ. არანაკლები მნიშვნელოვანი იყო მეორე შემთხვევა. მომხდარ არჩევნებით გულმოსულმა სომხის კომერციულ ბანკის გამგეობამ ქართველ ვაჭრებს დაუპირა ბანკიდან ფულის გატანის საშვალების მოსპობა. რასაკვირველია ეს საიდუმლო



განკარგულემა იყო. ვოლსკიმ ვრცელი, დალაგებული, მამზილებელი მიწა მისწერა ალ. მანთაშევს, კომერციულ ბანკის სრულ გამგეს, მიწერა ბანკის ბათუმის განყოფილების მოქმედება და ბრალს მის, მანთაშევს სდებდა, რომ ნებას იძლეოდა იგი ამგვარი მოქმედებისათვის, რაც უძველად გამოიწვევდა მეტის-მეტ გამწვავებას ქართველებსა და სომხებშიც. აშკარად მონაყოლმა, დაუფარავად გამოაშკარაებამ თავისი ვაელენა იქონია. მანთაშევმა წერილი მოიწერა, რომელშიც იგი ირწმუნებოდა, რომ მის არ გაუცია ასეთი განკარგულემა და რომ იგი მოდარაჯეა ორ მეზობელ ერთა შორის კეთილ განწყობილებისა. რამოდენიმე დღის შემდეგ თავათ ჩამოვიდა ბათუმში, ინახულა ვოლსკი და ხანგრძლივი ლაპარაკის შემდეგ განკარგულემაც მოახდინა, რომ ბანკის განყოფილებას გაეძლიერებინა ქართველ მსესხებელთათვის კრედიტი.

საკვირველი მკილაევი ახალი გამგეობის იყო ხმოსანი ვინმე გრიელსკი. ერთ დროს იგი ქუთაისის ოლქის საბაჟოს მდივანი იყო, მერმე კი ბათუმის ნოტარიუსი. მოუსვენარი, მოძრავი, ენამახვილი, ბოროტი, საოცარი კომბინატორი, ათასნაირ ახლადგონებულ საქმეებში ჩაბმული იგი მფეისტოფელის როლს თამაშობდა ქალაქის საბჭოში. ბევრი უთმინეს, ბევრი უცნაური მისი სიტყვა და მოქმედება წაიყრუეს, მაგრამ ვერაფრით ვერ მოსდრკიეს ეს ადამიანი, სანამ მოთმინებიდან გამოსულმა ხმოსანმა ნიკო დუმბაძემ ერთ კრებაზედ არ მონათლა თავის მარჯვენით.

ხმოსანი ევ. ბოგოსლოვსკი ზრდილოვსკის კვალზედ მიდიოდა და დაუცხრომლად ეკინკლავებოდა ჩვენებს. ვერავითარმა შეგკრებამ ეს კაცი ვერ დააწყნარა, სანამ ხმოსანმა მიხ. ნაკაშიძემ, გაბრაზებულმა მისი ჩაცვიბით, ხელში კავებული ჯოხი არ უთავაზა გამგეობის კიბეზედ.

ასეთი მოქმედებისათვის იძულებულნი იყვნენ მიემართნათ, რომ რამე რიგად დაეწყნარებინათ ეს უგვანონი. არ იყო საქებური ასეთი მოქმედება, მართალია, მაგრამ გზაც მეტი არ იყო.

ჩვენებურობის ძულვილი მაინც არ სცხრებოდა და არ ნელდებოდა; გასაოცარი სისტემატიურობით ამას აწარმოებდა შეერახული გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ი და მისი ურცხვი რედაქტორი პალმი.

## XII

1896 წელს ზამთარში გარდაიცვალა ყველასაგან დიდათ პატივცემული და შეყვარებული მოღვაწე გაბრიელ ეპისკოპოზი. ზამთარი იყო სასტიკი, გარდამეტებული თოვლიანი, ისე რომ ყოველივე მისულა მოსულა შეიკრა და მოისპო. თვეზედ მეტი ესვენა ქუთაისის სობოროში, რადგან გელათში მისი წასვენება ყოველად შეუძლებელი იყო და სოფლებიდანაც ხალხი ეთხოვდა რომ გასვენება გადაედოთ იმ დრომდი, სანამ გზები არ გაიხსნებოდა და ხალხს მიეცემოდა საშვალემა დასწრებოდა საყვარელ მოძღვრის გასვენებას. თვენახევრის შემდეგ შესაძლებელი გახდა მიცვალებულის გასვენება გელათის მონასტერში. გასვენებაზედ დასასწრებლად ყოველ მხრიდან აუარებელი ხალხი მოიმართებოდა ქუთაისისკენ რკინის გზითაც და სასოფლო გზებითაც. გელათის საღვურთან



სოფლებიდან ჩამოსული ზოგახალხი სოფელ-სოფელ ჯარებშივით იდგა შინდორ-ში. სადგურზედ საგანგებო მატარებლები ერთი მეორეზედ მოდიოდა ხალხით ავსილი. პირველმა მატარებელმა მოასვენა მიცვალებული. თბილისიდან წინა დღით ჩამოვიდნენ ილია ჭავჭავაძე, ვანო მაჩაბელი, აკაკი და მრავალი წარჩინებული მოღვაწეები. მწირველი იყო თბილისიდან ჩამოსული ეგზარხოსი ელადიმერი, ცნობილი ქართველთა მოძულე. მან ერთი მეტად არასასიამოვნო ინციდენტი გამოიწვია გასვენებაზედ. როცა სიტყვებს ამზობდნენ, ჯერი მიღმა ქუთაისის სომეხთა ეკლესიის დეკანოზ ტერ-დავითზე, მას უნდა ეთქვა სიტყვა. დეკანოზმა კიდევ დაიწყო და მოასწრო მხოლოდ წარმოთქმა ორიოდ სიტყვის, რომ საკურთხეველიდან გამოსულმა ეპისკოპოზმა დადიანმა შეაჩერა იგი.

— მოითმინეთ, მამაო, — უთხრა მან ტერ-დავითს — ეგზარხოსი ვთხოვათ სანამ ის არ გავა ეკლესიიდან კათედრაზედ არ ახვიდეთ. ის ახლავე გავა!

დეკანოზმა იმ წამს მიატოვა კათედრა და გაეშურა კარებისაკენ. ამ დროს ეგზარხოსი გამოვიდა საკურთხეველიდან და მეორე კარებისკენ წავიდა. ეკლესიაში შეიქმნა ერთი ყაყანი, ატყდა ყივიანი, ყვიროდენ ყოველმხრიდან: თქვას ტერ-დავითმა სიტყვა, თქვას სიტყვა! ნურავინ უწლით! ეგ არ შეიძლება!

გულმოსულმა ხალხმა მიაყვირა ეპისკოპოზს, რომ მას ნება არ აქვს ასე ირჯებოდეს. ეპისკოპოზი დაიბნა. გაეკიდნენ ტერ-დავითს, თხოვეს დაბრუნებულიყო და წარმოეთქვა თავისი სიტყვა, მაგრამ მან უარი განაცხადა და თქვა:

— მე ვერავინ დამიწლის წესიერი პატივი ვსცე დიდებულ მიცვალებულს და მომავალ კვირას მე ჩემს ეკლესიაში ჩემი მრევლით მუხლს მოვიდრტყ მის წინაშე!

მან კიდევაც საესებით და შევენებით აასრულა თავისი სიტყვა პირველ კვირასვე.

ამ ინციდენტმა დიდი აღელვება გამოიწვია საზოგადოებაში, მაგრამ რა უნდა ექმნათ ძლიერ ეგზარხოსისათვის. მისი საქციელი პირდაპირ შეურაცხყოფა იყო დიდებული მოღვაწისა, რომელიც ამგვარი რამე რომ შეხვედროდა სადმე სიკაცხლეში, მთელი თავისი არსებით წინაუდგებოდა და სასტიკათ შეაჩვენებდა. ეპისკოპოზი გაბრიელი მეტად დაშორებული იყო ისეთ თვისებებს, რომელიც გამოიჩინა სარწმუნოების უმალღესმა წარმომადგენელმა. იგი უყვარდა ხალხს მისი კლერიკალური მიმართულების გამოკი არა, არამედ იმიტომ რომ იგი იყო ნამდვილი გულწრფელი საზოგადოებრივი მოღვაწე, მებრძოლი ბერი, რომელსაც არც ერთ თავის ქადაგებაში ეშმაკი არ უხსენებია, რომელიც თავის მიმართებაში ხალხისადმი არკვევდა ცხოვრების პირობებს და ქადაგობდა მაღალ ზნეობის პრინციპზედ. გაბრიელი იყო რომ ქუთაისის მთავარ ანგელოზის ტაძარში ქადაგობდა მხურვალე სიტყვებით ბატონყმობის წინააღმდეგ. ამ ქადაგებამ გამოიწვია განრიხება ერთი მდიდარი აზნაურისა, გვარად კანდელაკის, რომელმაც წამოიძახა!

— ამ ლეკურით გავათავებ აქვე ამ ჩვენ დამლუპველს! და გავარდა ეკლესიიდან და ხმაღზედ ხელწავლებული უდარაჯებდა ეპისკოპოზის გამოსვლას. გაბრიელს უთხრეს ეკლესიაში მოეთმინა, არ გასულიყო — კანდელაკი მოკვლას

გვიბრებსო. ამის გავონებაზე იგი გავიდა ეკლესიიდან და გაბედულად, უშიშრად ჩაუარა კანდილაკს. მოსაკლავად გამზადებული კანდილაკი საბტად დარჩა, ხელი ხმალზედ შეჩრა.

ხალხს ღრმად უყვარდა გაბრიელი, ტკბილი მოუბარი, უბრალო, თავდაბალი, მისი კეთილისმყოფელი, მისი დამცველი და ქომაგი. ყველამ ზედმიწევნით იცოდა, რა სასტიკი პასუხი გასცა მან საოლქო განათლების მზრუნველს ცნობილ იანოვსკის, რა გაბედულად გადმოუწავლა მას მისი ანტიპედაგოგიური მიმართულება, რომელიც მას შემოქონდა ჩვენს სასწავლებელში ერის გადაგვარების წადილით. ყველამ კარგათ იცოდა რა წინააღმდეგობას უწევდა გაბრიელი უმაღლეს სასულიერო მთავრობას, რომელიც ისე რყვნიდა ქართულ ეკლესიას და მის მსახურებს. ამიტომ იყო, რომ მთელი საქართველო შეინძრა მისი სიკვდილის გაგონებაზედ და განსხვავებული გრძობით მიიბარა მიწას.

გათახსირებულმა, კუჭკიანმა გაზეთმა „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-მა ვერც ახლა შეძლო დაეწავა თავისი გათახსირებულობა და ყოვლად უმგვანო, ყოვლად შეუწყნარებელი წერილი მოათავსა თავის ფურცელზედ ამ განსვენების შესახებ. წერილი იყო კორესპოდენცია, როგორც შემდეგ გამოირკვა, დაწერილი ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებლის ვინმე იურკევსკის მიერ. სასაცილოდ იყო ავღებული ხალხის მგლოვიარობა, გასვენების მსვლელობა, მონაწილენი და დაბოლოს დამწერი ირწმუნებოდა, რომ შეთქმულობა იყო გამზადებული ამ დღისათვისო, მაგრამ ფხიზლათ ყოფილმა მთავრობამ დროზედ გაიგო ყველაფერიო და მიიღო საჭირო ზომები, რომ არაფერი გაებედნათო და ვერ გაბედესო. ერთი სიტყვით წერილი ყოვლად საზიზღარი, ურცხვი, ნაზინჯი.

ბატალიონის კანცელარიაში ვიყავი, ეს რომ წაევიკითხე. ძლივს დავათავე წაკითხვა, მივეარდი ვადამწერთა ოთახში ტელეფონს.

— ცენტრალური... ჩერნომორსკის ვესტნიკის რედაქცია... რედაქტორი პალმი... პალმი ხართ?!.. რა სინდისმა მოგცათ ნება ისეთი უმგვანო წერილი მოგეთავსებინათ გაზეთში, როგორიც არის დღეს გაბრიელ ეპისკოპოსის გასვენების შესახებ?!.. თქვენ არ იშლით კლოუნობას და გირჩევენიათ დაუბრუნდეთ ჯამბაზობას როგორც იყავით აქამდისინ! თქვენსთანა გათახსირებულ. ყოვლად გაფუჭებულ კაცს რა ხელი აქვს რედაქტორობასთან... თქვენ სინდის გარეცხილო!

ტელეფონი დაიკეტა. ჩემს აღელვებულ ლაპარაკზედ ჩემს გარშემო მოგროვდნენ მრავლად კანცელარიაში მყოფი აფიცრები და მეკითხებოდნენ, თუ რამე გამაჯავრა ასე მძლავრად. მე ვანიშნე გაზეთის წერილი და თითქმის ყველანი იმ აზრის იყვნენ, რომ პალმი ააა თუ გასაღანძღვია—პირდაპირ საცემი, შეუბრალებლად საცემი.

ცოტა ხნის შემდეგ ქუჩაში შემხვდა პოდპოლკოვნიკი დუმბაძე.

— რა ამბავი იყო კანცელარიაში... მე ახლა ციხის უფროსთან ვიყავი და პალმმა ტელეფონით შესჩივლა, რომ თქვენი კანცელარიიდან მაგინებენო! მე ვუთხარი ყველაფერი.

— მეც ასე ვიფიქრე, რომ შენ იქნებოდი! მართლა სწინსწარმნი წერილია! ციხის უფროსმა დამავალა გამეგო ამბავი და მეცნობებია მისთვის რაც იყო!

მეორე დღეს გაზეთში მოთავსებული იყო პატარა წერილი, თუ როგორ გაილანძლა გაზეთის რედაქტორი, ვადამახინჯებულათ, ურიგოთ და ურიგოთ იხსენიებდა გამლანძველს: ჩემი გვარი არ იყო ნახსენები,

— რას აპირობ ახლა?— შკითხა ღუმბაძემ, წერილი რომ წაიკითხა.

— იმას, რაც წერია!... პალმს მე არ შევეუშინდები.

— ამოაჩჩიე შენი სეკუნდანტები! მითხრა ღუმბაძემ.

— ჩჩეულოვი და ლისოვსკი! ვუთხარი.

მოკლე ხანში ეს ორი აფიცერი, ჭუნდირებში გამოწყობილნი, მივიდნენ პალმთან და გამოუცხადეს, რომ მე ვიწვევ მას ღუელში და პასუხს ითხოვენ მისგან.

პალმი იმართლებდა თავს, მაგრამ მიგზავნილებმა მოსთხოვეს კატეგორიული პასუხი და ვადა მისცეს ორმოცდარვა საათი.

სალამოს ცნობა მივიღე, რომ ციხის უფროსი მიზარებდა. ჩავიციე მუნდირი და წაველ. ციხის უფროსმა თავის კაბინეტში მიმიწვია. ღუმბაძე უკვე იქ იყო. ციხის უფროსმა დამინახა რა მუნდირით, ღიმილით შემომძახა:

— რათ გინდოდათ ევ საბარადო მუნდირი?! მე დაგიბარეთ ისე უბრალოთ მოსულიყავით!... გამაგებინეთ რა მოგივიდათ თქვენ და პალმს? ეს ორი დღეა მოსვენება არ მაქვს მისგან, თქვენი დიდი მომჩივანია ის!

— თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ ნება მომცეთ ხუთი-ათი წამი დამითმოდ რომ დაწვრილებით ვაჯაცნოთ საქმე და მაშინ შეგცდლებათ დასდოთ თქვენი მსჯავრი.

— დიდის სიამოვნებით! მომიგო მან.

მე ვადმოუშალე დაუფიარავად, თუ რა უზგავსო საქციელს ადგანან მრავალნი ქართველების მოძულენი, რა შეუწყნარებელია მათი მოქმედება ჩვენდამი, რომ ამგვარი მოქმედებით მხოლოდ ვვალდიანებენ და ერთმანერში მტრობა იზადება, არა სასურველი განწყობილება შეარდება: რომ გული გეტკივა, როგორ უპატივცემულოთ გვეპყრობიან, რომ არ ერიდებიან ხალხის თავმოყვარეობის შელაზვას და დამცირებას, რომ თამამათ ამაში ირჯებიან ისეთი პირებიც კი, როგორც არის ზნედაკლებული პალმი, რომელმაც არ დაინდო ხალხისაგან სათაყვანებლათ მიმჩნეული მოცვალებული, და ისე ბინძურათ შეებო მასაც და მის მათაყვანებელ ხალხს, რომ ასეთი პირები არა თუ ვასალანძღავია, არამედ გასაქრობი და მოსასპობი.

— მე წინააღმდეგი ვარ სისხლის დაღერის, მაგრამ პალმს კი სიამოვნებით დავავლრევიანებ სისხლს, თუ ბედი ამაში შემეწია! დავათავე ჩემი სათქმელი სიტყვა.

გენერალმა გაიცინა და სიცილით წაპოიძახა:

— ბელურა ჩიტი კი არ არის პალმი!.. (ღუმბაძეს ეთქვა გენერლისათვის, რომ მე კარგი მსროლელი ვიყავი და ვითომ გაფრენილ ბელურას არ ვაცილებდი ტყვიას).— ეშვაკებმა წაიღოს მისი თავი!... ის ისეთი შეშინებულია, რომ



საქართველო

ორჯელ იყო ჩემთან და სული შემიწუხა რა ვქნაო, მე იარაღს ვიხმობდი არ ვიცო და რამე რიგათ დამითარეთო. მეტად გამოთხლებულია ისე რომ შემეცოდა კიდევ. ვუბრალო ბოდიში მოიხადოს თქვენთან და ისიც სიხარულით დასთანხმდა. მეც ვა ხოვთ დაკნაყოფილდეთ მისგან ბოდიშის მოხდით აფიცრების თანდასწრებით და ამით ვაათაოთ საქმე, ხელ შეუდღეხედ იგი მოვა თქვენს საკრებულოში და ბოდიშს მოიხდის. იმედი მაქვს წინააღმდეგი არ იქნებით ამის

მეორე დღეს, საკრებულოს ხალაში, თავშეყრილ აფიცრობის წინაშე პალმა ჩემთან ბოდიში მოიხადა და აღთქვა, რომ გაზეთში დანიშნულ ადგილას მოათავსებდა საბოდიშო წერილს.

ეს წერილი უკვე ამოწყობილი იყო, რომ საქმეში ჩაერივნენ ახალი პირები. გაიგეს თუ არა რომ პალმა დღეღში იყო გამოწვეული, რომ მან ბოდიში მოიხადა და ბოდიში გაზეთში უნდა დაებეჭდა, მივარდნენ პალმთან, გაკიცხეს იგი და მოითხოვეს რომ გაზეთში თავისი ბოდიში არ მოეთავსებინა. პალმა ამათგან შემდგარებულმა ბოდიში აღარ დაბეჭდა. განსაკუთრებით ცხარობდა გენერალი კლიჭევსკი, ციხის არტილერიის უფროსი, გაჯავრებული ქართველებზედ მისთვის რომ იგი ხმოსნათ არ ამოირჩიეს ქალაქის თვითმმართველობაში. იგი ყვიროდა რომ კლდიაშვილი ქართველებმა განგებ მიუსიეს პალმს, რომ იგი ასრულებს მხოლოდ ქართველების დავალებას, კაცხავეა ციხის უფროსს, რომ მან ქართველების მხარი დაიჭირა პალმის წინააღმდეგ. ატყდა საშინელი აურხაური, მთელი ბათუმი მხოლოდ ამბეზდ ლაპარაკობდა და ერთმანეთს ედავებოდნენ პალმის მომხრეებმა მოინდომეს პალმისათვის ოჯახი და მისათვის საგანგებო ბანკეტი გაემართათ. მოწინააღმდეგეებმა გამოაცხადეს რომ ისენი მეტ გრანდიოზულ ბანკეტს გამომართავენ მე, არევის სახელვარი არ ეღებოდა. რუსობა მეტად მომდურავი გახდა ციხის უფროსის, რომ მან მე არ დამსაჯა, პალმა არ გამართლა. ამ მდურებას ისე შეაშინა ციხის უფროსი, რომ მან პირი იბრუნა და მე დამიწყო მტყუნება და ერთ დღეს ციხის შტაბის უფროსის პირით შემომითვალი ორი თვის შევებულება ამელო და ბათუმს ვაეშორებოდი, სანამ იქაურობა დამშვიდდებოდა და მიივიწყებდა ყოფილ ინციდენტს; მე უარი განაცხადე შევებულებაში წასვლაზედ, რადგან ეს მიღებულ იქნებოდა როგორც გაქცევა მტრის წინაშე. მე ვუთხარი შტაბს უფროსს, რომ მას გადაეცა გენერალისთვის ჩემი უარი მის წინადადებაზედ და ყური არ ეთხოვა მის მომდურავთათვის. რაც უნდა ის მიეოს, ვუთხარი, მე კი ჩემით ბათუმიდან ფეხს არ გადავდგამ და კიდევ ასე იქნება, — ბათუმიდან მე ფეხი არ მომიცვლია. გენერალმა კლიჭევსკიმ თბილისშიც კი მიიწერა, რომ ციხის უფროსი აძლიერებს რუსების მოწინააღმდეგეთა ელემენტს და იძულებული გახდა ციხის უფროსი წასულიყო თბილისში და თავი გამართლებინა ამგვარ დაბრალებაში. რამდენიმე ხნის შემდეგ კლიჭევსკიც უცნაური ავადმყოფობით ავად გახდა — თავის ქალის გავანიერებით — და სულიც დღოდა. ყაყანიც შესწყდა და მიწყნარდა.

(გაგრძელება იქნება).

## ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსანის“ პროზაზე<sup>1)</sup>

მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა.  
რ უ ს თ ა ვ ე ლ ი.

### წინასიტყვაობა.

„ვეფხისტყაოსანის“ შესახებ ბევრი გამოკვლევა დაწერილა, მაგრამ ქართული მწერლობის ამ უდიდესი ძეგლის გარშემო წარმოებულ კვლევა-ძიების სფერო იმდენად ვიწროდ არის შემოფარგლული ავტორის ვინაობისა და ყალბი ადგილების საკითხით, რომ თვითონ პოემის, როგორც მხატვრული ლირებულების, შესწავლა თითქმის არ წაწეულა წინ. რუსთაველის მკვლევარებმა არა თუ ვერ გადასწვებდნენ, პირიქით უფრო დააბნელეს მათ მიერვე წამოყენებული კითხვები. აი რასა სწერს „ვეფხისტყაოსანის“ ავტორის ვინაობის შესახებ პატივცემული პროფ. ე. ქველიძე თავის უკანასკნელ წიგნში<sup>2)</sup>: „არავითარი საბუთი არ არსებობს, რომ ეს მწერალი მივიჩნიოთ შოთა რუსთაველად, მით უმეტეს ჩახრუბამედ და თმოგველად; ასე რომ საკითხი პოემის ავტორის სახელის, გვარის და სადაურობის შესახებ ჯერ-ჯერობით ღიად უნდა დარჩეს“. პატივცემული მკვლევარი ი. აბულაძე ამავე საკითხის გამო სწერს შემდეგს: „მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს განსაკუთრებული გულმოდგინებითა და ენერგიით მიჰყევს ხელი ჩვენი პოეტის პიროვნების გამორკვევას, მაინც კიდევ, სამართლზე უნდა ითქვას, დღემდის სრულებით არა სჩანს, თუ ვინ იყო რუსთაველი, ანუ უკეთ, იყო თუ არა პოეტი შოთა რუსთაველი, რომელსაც ზეპირგარდმოცემა მიაწერს „ვეფხისტყაოსანის“ შექმნას“<sup>3)</sup>.

მკვლევართა შორის თითქმის გამარჯვებულია დღეს ის აზრი, რომ პოემა, მისი პროლოგი და ეპილოგი დაწერილია სხვადასხვა პოეტების მიერ. პროფ.

<sup>1)</sup> წაკითხულია მოხსენების სახით „რუსთაველის თეატრში“ მიმდინარე წლის 26 მაისს.

<sup>2)</sup> ქართული ლიტერატურის ისტორია—II ტომი 1924 წ.

<sup>3)</sup> ი. აბულაძე—„მე-XII საუკუნის ქართული საერო მწერლობა და „ვეფხისტყაოსანი“ 1922 წ.



ეკელიძე ამის შესახებ სწერს შემდეგს: „ამნაირად, პროლოგი და ეპილოგი არამც თუ არ ეკუთვნის პოემის ავტორს, სამი საუკუნით მაინცა დაშორებული მისგან“. ზოგიერთი მკვლევარის აზრით მთელ პოემაში იმდენი ყალბი ადგილია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ უნდა წარმოვიდგინოთ სხვადასხვა დროის მოწაირეთა და გადამწერთა მიერ შეთხზული ტაეპების <sup>1)</sup> რაღაც კონგლომერატად.

წინამდებარე გამოკვლევა შეეცდება ახალი მიდგომით გადასჭრას ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხები ამ დიდი პოემის გარშემო. თავდაპირველი მიზანი ამ გამოკვლევისა იყო იმის დამტკიცება, რომ პოემა, მისი პროლოგი და ეპილოგი დაწერილია ერთი ავტორის მიერ, რომლის ლიტერატურული სახელი არის რუსთაველი. ეს ხაზი ემყნევა ამ შრომის მეორე თავს. შემდეგ, მუშაობის პროცესის დროს, წამოიჭრა საკითხი საერთოდ ვერც წოდებული ყალბი ტაეპების შესახებ, და ეს პრობლემა მთელი იმის მასშტაბის სიფართოვით დასმულია მესამე თავში. მეოთხე თავი შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარების დებულებათა კრიტიკას, ხოლო მეხუთე, ესე იგი უკანასკნელი, წარმოადგენს რუსთაველთან ინტიმური მისვლისა და თვითონ შემოქმედების პროცესის დროს მის სულში ჩახედვის ცდას. რა თქმა უნდა, ამ თავში მოცემული იქნება მეტად სუბიექტიურ ნიადაგზე დამყარებული მოსაზრებანი, მაგრამ სამაგიეროდ, არცერთი ჩვენი მთავარი დებულება არ ეყრდნობა ამ მოსაზრებებს, რომელნიც არაფერს საეაღდებულოს არ შეიცავენ.

## I. შესავალი.

ალიტერაცია ეწოდება ერთი და იმავე ან მზგაესი თანამოვანი ბგერების განმეორებას ლექსში ანა თუ იმ მხატვრული მიზნის მისაღწევად.

ხმოვანი ბგერების გამეორებას (ასონანსი) მთავარი მნიშვნელობა სიტყვების მახვილიან მარცვლებში ეძლევა.

ლექსის სტრიქონში ხშირად ადგილი აქვს ალიტერაციისა და ასონანსის კომბინაციას.

ალიტერაცია და ასონანსი არ არის ზენს დროში მოგონილი ამბავი. არა თუ წარსული საუკუნეების პოეზიაში, თვით უძველეს ხალხურ ლექსებშიაც ხშირად შეხედებით ამ ტენიკურ საშუალებათა გამოყენებას.

იმ ხანებში, როდესაც ლექსის ფორმის კულტურა მალა იდგა ხოლმე, პოეტები არა მარტო პრაქტიკულად სარგებლობდნენ ალიტერაციით და ასონანსით, მათ თეორეტიულად ჰქონდათ გათვალისწინებული თუ რა მნიშვნელობა აქვს ბგერებს ლექსში. გასულ საუკუნეში ზოგიერთი ფრანგი სიმბოლისტები ისეთ უკიდურესობამდე მივიდნენ, რომ პარალელები გაჰყავდათ ბგერებსა და ფერთა შორის, რამაც არა ერთი და ორი გესლიანი დაციუნვის საბაბი მისცა ცნობილ მაქს ნორდაუსს.

<sup>1)</sup> სიტყვა ტაეპი ამ გამოკვლევაში იხმარება ყველაზე კლასიკის მნიშვნელობით.





საქართველოს  
მწიგნობართა კავშირი

მეთექვსმეტე საუკუნის ერთი ფრანგი პოეტი „პლეიადას“ ჯგუფიდან ამბობდა, რომ ბგერა რ ისე გაისმის ლექსში, როგორც საყვირის ხმა. <sup>1)</sup>

გადავავლოთ გაკვირით თვალი ქართულ პოეზიას ამ მხრით. დავიწყეთ თანამედროვე ლიტერატურიდან და წავიდეთ ჩქარის ნაბიჯით უკან. დღევანდელ ჩვენს პოეზიაში ბგერებს საკმაოდ დიდი ყურადღება აქვს მიქცეული, მაგრამ აქ არც დრო და არც ადგილი არა გვაქვს იმისათვის, რომ ამ მიზნით თანამედროვე პოეტების შემოქმედებას შევებოთ. მხოლოდ იმისთვის, რომ გავიგოთ მავალი-თების საშუალებით თუ რა მნიშვნელობა აქვს ლექსში ალიტერაციას, მოვიყვან აქ რამდენიმე ნიმუშს დღევანდელი ქართული პოეზიიდან. არსებობს ქართულად არტურ რემბოს ცნობილი ლექსის „მთვრალი ხომალდის“ თარგმანი (თარგმანი ეკუთვნის პ. იაშვილს. უნდა შევნიშნოთ აქვე, რომ საერთოდ ალიტერაციის ერთად ერთი ავტორი თარგმანში არის მთარგმნელი). ეს თარგმანი ურიტიმოა, მაგრამ რითმის მოვალეობას აქ ბრწყინვალეთ ასრულებს ალიტერაცია. ჯერ მარტივი ნიმუშები.

აი როგორ მეორდება ბგერა ზ სტრიქონებში:

1. ცოფიან წყალში აე ზრიალში მე—იმ ზამთარში.
2. ქარმა დალოცა ჩემი ზღვაზე გამოუხიზლება.

ბგერა ტ:

1. და ტიტველ ტანებს მიაკრავდენ ფერად სვეტებზე.
2. ნათოტზე შხატე ათი ლამე ტალღებზე ებტოდი.
3. გიყი ფიცარი შემორტყუმი ბეგემოტებით.
4. ბვერი ვიტირე ქეშმარიტად! სულს მწუხრი ჰპოტნის.

ბგერა ც:

1. საცა უეცრად ცის ფერობა შეიღებება.
2. ვიცო ცის ელვა და ქარცეცხლი, ვიცო ვრავანი. <sup>2)</sup>

ბგერები ხ, მ და ს:

ხალაშობები... მე მინახავხ ხანდისხან იხიც...

ბგერები წ და შ:

როგორც ტბილია მწიფე ვაშლის წვენი ბავშთათვის.

ამავე სტრიქონში ყურადღების ღირსია კიდევ ვ-ს გამეორება: „მწიფე ვაშლის წვენი ბავშთათვის“.

ქ და რ ერთ სტრიქონში, — პირველი პირველ ნაბეგარში, მეორე—მეორეში: ენაზე ქაობის ამაჭრება, უსახლერო ტბოა.ი.

<sup>1)</sup> ამ ბგერას, არა მარტო ფრანგულში, ყველა ენებზე დაწერილ ლექსებში თავისი მნიშვნელობით პირველი ადგილი უჭირავს სხვა თანამოდან ბგერებ შორის.

<sup>2)</sup> ამ სტრიქონში ვ მეორდება ხეთაჯერ, შემდეგ სტრიქონში კი ის აღარ იხმის სრულებით, სამაგიეროვ იქ არის მ-ს ალიტერაცია:

აფთვებულნი დილა თითქოს გუნდი მტრედების.

საინტერესოა, რომ პირველ სტრიქონსაც („საღა უეცრად...“) ისეთი სტრიქონი მოსდევს თან, სადაც ვ სრულებით აღარ არის და ალიტერაციას იგივე მ წარმოადგენს: ერა დღის შუაში გავიჭება და წელი რიტმი.

ბგერა ხ:

ენახე გახერლი მჳე მისტიურ ხაშინელებით.

ფ-ს ალიტერაცია და ა და ი-ს ასონანსი:

თავისუფალი, აყენილი იისფერ ნისლით. 1)

ეხლა ავიღოთ უფრო რთული მაგალითი ამავე ლექსიდან, როდესაც ალიტერაცია ერთი სტრიქონიდან მეორეში გადადის:

ვაკვირდებოდი, როცა ტალღა მოხეტქილ კლდეებს

შიაზღაველებდა ვით საძროხე ისტერიული.

ბგერი იფიქრებს ალბად, რომ არაფერი საერთო ამ ორ ლ-ს ერთმანეთთან არა აქვს და ეს ბგერა აქ სრულიად შემთხვევით გაისპის მეორე სტრიქონში. რომ ეს ასე არ არის, ამის დასამტკიცებლად მოვახდინოთ აქ მცირე ექსპერიმენტი. სიტყვა „ტალღა“-ს აქვს სინონიმი „ზვირთი“, რომელშიაც ბგერა ლ არ არის. ამოვიღოთ სტრიქონიდან „ტალღა“ და ჩავსვათ შიგ „ზვირთი“; არც მეტრი, არც აზრი სტრიქონის ამით არ შეიცვლება:

ვაკვირდებოდი როცა ზვირთი მოხეტქილ კლდეებს

შიაზღაველებდა ვით საძროხე ისტერიული.

რა მოხდა? მოხდა ის, რომ ამ ორ სტრიქონში გაწლილ სახეს გამოეცალა შთაფარი ზოძი—თანხზოვანი ბგერა ლ. 2) მაგრამ უფრო საინტერესო კიდევ აქ აი რა არის: თუ პირველ სტრიქონს დამოუკიდებლად ავიღებთ, მაშინ ძნელი სათქმელია „ტალღა“, სჯობს თუ „ზვირთი.“ რატომ? იმიტომ რომ ამ სტრიქონში, ცალკე თუ ავიღებთ მას, ალიტერაცია წინად სუსტი იყო ლ-ს სახით, ხოლო ეხლა კი, როდესაც შიგ სიტყვა გამოვსცვალეთ, შივიღეთ თ-ს ალიტერაცია, და შთელი ეს სტრიქონი ასე გაიმართა:

ვაკვირდებოდი როცა ზვირთი მოხეტქილ კლდეებს...

უნდა ითქვას, რომ ალიტერაციას არა მარტო სტრიქონის გამართვაში აქვს მნიშვნელობა, ის, ისე როგორც რითმა, უდიდეს როლსა თამაშობს თვით პოეტის შემოქმედების პროცესის დროს. ალიტერაციის საშუალებით ფართოვდება და მკაფიოდ ინაკეთება პოეტის წარმოდგენაში შესული ბუნდოვანი სახე. ალიტერაციას „მოპყავს“ საუკეთესო ეპიტეტები ლექსში. 3) მაგალითად, ზემოთ მოყვანილი ორი სტრიქონი შემდეგი სიტყვებით თავდება: „ვით საძროხე ისტერიული.“ ამ შემთხვევაში ეპიტეტი „ისტერიული“ მეტად შესანიშნავია. მაგრამ მასში რომ არ იყოს ბგერა ხ, მაშინ ია, ჯერ ერთი, ასე კარგი არ იქნებოდა ამ ადგილას და, მეორეც, პოეტს არ მოუფიქროდა ის თავში.

აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას შემდეგი: არამც და არამც პოეტი

1) გარდა აღნიშნულისა, ამ სტრიქონში ყურადღების მისაქცევა კიდევ ბგერები ხ, ნ და ლ.

2) მას ამაგრებს კიდევ ბგერა ჴ. გარდა ამისა ლ-სთან ერთად მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ა-ს.

3) უფრო იშვიათად ხდება წინააღმდეგე: ჯერ არსებობს ხოლმე ეპიტეტი და შემდეგ ალიტერაციით „გამო-ჩახება“ ისეთი არსებითი სახელი, რომლის ერთერთი ატრიბუტის შემცველად ის გადაიტყვევა.



ქართული  
გულამოსკენილი

შემოქმედების პროცესის დროს ალიტერაციის პრობს. არაფერი არ არის ლექსში ისე უშუალო და ბუნებრივი, როგორც ალიტერაცია. პოეტი ლექსის წერის დროს ფიქრობს რითმაზე, მეტრზე, სახეებზე, მაგრამ ალიტერაცია კი მისი ფიქრის პირდაპირ საგანს არ წარმოადგენს<sup>1)</sup>. ალიტერაცია შედეგია პოეტის შინაგანი მუსიკალური ბუნების. პოეტს აქვს სიტყვა, შემდეგ ის, ან ერთბაშად ან საკმაო ძიების შემდეგ, მიიღებს მის შესაფერ მეორე სიტყვას, რომელიც თურმე იმიტომ ღირს შესაფერი, რომ აზრის გარდა კიდევ თავისი რომელიმე მნიშვნელოვანი ბგერით ეთანხმება მას.

ვაკა-ფ შველას ხშირად აქვს თემცა სადა და მარტივი, მაგრამ მაინც საკმაოდ ხშიერი ალიტერაციები. აკაკი წერეთელისა და ილია ჭავჭავაძის ნაწერებში ალიტერაციით გამართული ლექსები და ცალკე სტრიქონები მხოლოდ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენენ. მათ დაუკარგეს ლექსის ცალკე აღებულ სტრიქონს დამოუკიდებელი ღირებულება, რომელსაც უმთავრესად ალიტერაცია ჰქმნის. ეს აიხსნება არა იმით, რომ მათ პოეტური ნიჭი აკლდათ—პირიქით ეს ნიჭი დიდი იყო მათში—არამედ იმდროინდელი შეხედულებით პოეზიაზე და მის მიხედვით. მაშინ რუსეთში გაბატონებული იყო, ასე ვთქვათ, „დედა აზრის“ პოეზია, და ამ პოეზიაში, ისე როგორც რუსეთში, საქართველოშიაც ჩააბრზო დროებით ლექსის სტრიქონის კულტურა, რომელიც რომანტიკოსების შემოქმედებას ახასიათებდა. აუარებელი ლექსები აქვს მაგალითად აკაკის ისეთი, სადაც ის იფიწყებს იმას, თუ რას უნდა წარმოადგენდეს ლექსი და სერიოზულად გვინტყობს, რომ პატიოსანი კაცი სჯობს გაიძვრა ადამიანს, ან ფლიდი და ფარისეველი კაცი უფრო ცუდია, ვიდრე გულწრფელი და პირში მთქმელი. „დედა აზრის“ პოეზიაში განსაკუთრებით კარიკატურული სახე შილო ილიასა და აკაკის მომდევნო თაობის პოეტებში (ვაკა-ფ შველას გამოკლებით). მათ უკანასკნელ გადატაკებამდე მიიყვანეს ქართული ლექსის მდიდარი რესურსები. პატარა პოეტებს რომ დიდი პოეტების მოსპობა შეეძლოთ, ისინი ერთიან დალუპავდნენ და გაანადგურებდნენ ქართული პოეზიის დიდ წარსულს.

აკაკისა და ილიას, როგორც ზევითა ვსთქვით, მაინც აქვთ ალიტერაციით გაშლილი სტრიქონები.

საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე, დაკარგულიყო.  
გულამოსკენილი ვსტიროდი...

1) არის ხოლმე მოდიჭებელი ალიტერაცია, რომლის გამოცნობა ძალიან ადვილია. მოვიყვან აქ ამის მაგალითს რუსული ლიტერატურიდან. ალიტერაციის შესანიშნავ ხელოვანს გ. ბროსოვს, ერთ ლექსში აქვს ასეთი აკოზბატული ალიტერაციებით გამართული სტრიქონები:

С Ганга, с Говинго, под гонг, под тивьяны...

С таских талостей Татлиным статья ли?

Вьюга до Юга доквнет ли инеи?

ამ სტრიქონებს არა აქვს არავითარი მხატვრული ღირებულება. ალიტერაცია თვითმისანი კი არ უნდა იყოს ლექსში, ის ხელს უნდა უწყობდეს მის გარეშე ნყოფ მხატვრული მიზნის მიღწევას.

ეკალში ვარდი შეგნიშნე...

ილია ჭავჭავაძის „განდევილი“ მშვენიერი ალიტერაციით იწყება:  
სადაც დიდებულს მთახა მყინვარსა,  
ორბნი არწიენი ვერ შეხებიაწ<sup>1)</sup>.

მავრამ „განდევილი“ საერთოდ ძალიან იშვიათია ასეთი სტრიქონები.  
ჩვენმა რომანტიკოსებმა იცოდენ სტრიქონის ფასი ლექსში. რითმაში მათ  
ერთი უდიდესი მარცხი შევმთხვავთ, რომელსაც აქ უადგილობის გამო სრულე-  
ბით ვერ შევებებით, და მთელი თავისი ყურადღება მათ სტრიქონის შენებაზე  
გადაიტანეს. გრ. ორბელიანს და ნ. ბარათაშვილს აქვთ ბევრი, ალიტერაციით  
მდიდარი, საუცხოვო კომპოზიციის სტრიქონები.

გ რ ი ბ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ მ ა პირველმა შემოიღო ქართულ ინდივიდუ-  
ალურ შემოქმედებაში ურთიმო ლექსი. აი მისი „ფსალმუნის“ პირველი სტრი-  
ქონი ბევრებით ვ. დ. შ და სა:

ვინა აღვიდებ შაღალსა მას მთახა წმიდასა.

აი ერთი მისი შესანიშნავი სტრიქონი:

წყალნი მთით დაქანებულნი აღმასებრ უფსკრულს სცვივიან.

ამის შემდეგ კიდევ უკეთესი,—პირველ ნახევარში რ, შუაში დ, ხოლო  
მთელ სტრიქონში და განსაკუთრებით ბოლოში — ზ:

თერგი რბის, თერგი ღრიალებს კლდენი ზანს ეუზნებთან.

ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს განსაკუთრებით „მერანი“ და „შემოღამება მთა-  
წმიდაზე“ აქვს მდიდარი ალიტერაციით დაწერილი.

აი სტრიქონში ჯერ ფ და მერმე ც:

ნუ შეეფარვი ჩემო მფრინავო ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა.

ც და მისი მზგავსი ბგერა წ:

სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა ოხერსა დამეცემიან ციური ცვარნი.

ც და ხ:

მთაო ცხოველო, ზან მცინარო, ზან ცრემლიანო.

აი ორი სტრიქონი ერთად, პირველში მ წარმოადგენს მთავარ ალიტერა-  
ციას, მეორეში ნ:

შემომერტყმოდა მაისის მწუხრი აღმსენები ნაპრალთ მდღეშარებითა.

ზანდისხან წელად მქოლნი ნიენი, ღელეთა შორის აღმოკვნესოდენ.

პირველ სტრიქონში არის შეიდი მ და ერთი ნ, ხოლო მეორეში რვა ნ  
და ორი მ.

არ შეიძლება აქვე ყურადღება არ მივაქციოთ იმას თუ როგორ ასწორებდა  
ბარათაშვილი თავის ლექსებს, ვინაიდან ეს საკითხი მეტად საინტერესოა და  
ალიტერაციის პრობლემასთან უშუალოდ დაკავშირებული. ბარათაშვილის აკადე-

<sup>1)</sup> ამ სტრიქონებში აღსანიშნავია კიდევ ბევრები მ და :

ორბნი არწიენი ვერ შეხებიაწ.

კიდევ: პირველი სტრიქონის ზ ემსაუბრება მეორე სტრიქონის ამგვარსავე ბგერებს:  
მყინვარსა—ოხბნი, არწიენი.



მიურ გამოცემაში<sup>1)</sup> მოყვანილია პოეტის ზოგიერთი სტრიქონების ვარიანტები და მათი თანდათან შესწორება. აი შეგალითად:

ჯერ ბარათაშვილს დაუწერია — „და მღუმარენი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ“. ამ სტრიქონში ყველაზე უფრო პნიშენლოვანი სიტყვა არის „შემოგარენი“, თვით სიტყვაში კი ცენტრალური ბგერა არის **გ**, რომელიც უთუოდ მოითხოვს გამოხმაურებას, ასეთ გამოხმაურებას ადგილი აქვს ერთ სიტყვაში („გულსა“), მაგრამ ეს არა კმარა, ყოველ შემთხვევაში ძალიან დაშვენდება თუ ეს ბგერა კიდევ გამეორდება. გარდა ამისა, არ ვარგა ასეთი მდიდარი რითმა შიგ სტრიქონში, მეზობელ სიტყვებში, — „და მღუმარენი შემოგარენი“, — რომელიც აქ სრულიად მოულოდნელად ჩაბრუნებისა და წავთელისებურ წყობას გვაგონებს. ბარათაშვილსაც ინსტიქტიურად უგრძნებია ყოველივე ეს და სტრიქონი ასე გადაუკეთებია:

და ზოგჯერ ჩემნი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ.

ამ სახით სტრიქონი გამართულია უკვე ყოველად უნაკლულად.

აი კიდევ ასეთი ნიმუში. თავდაპირველად ბარათაშვილს ჰქონია სტრიქონები:

ვითა უბიწო და მშვენიერი სული ლოცვითა მიქანცება.

და სახე მისი ამ ქვეყნიური, მით უფრო მშვენი გაციურდება.

მას ჰგავდა მთვარე შექმნიბინდული.

დისკოვავსილი, მინაზებული!

რა თქმა უნდა, ბარათაშვილს ეს სტრიქონები არ აკმაყოფილებს. პირველ ორ სტრიქონში ბგერები, განსაკუთრებით ხმოვანები, სრულიად არ არიან ერთმანეთთან შეთანხმებული. მაგალითად, სიტყვაში „გაციურდება“ უ და უფრო კი პირველი ა სრულ დეზორგანიზაციას ახდენენ მთელი სტრიქონის წყობაში. ბოლო უკანასკნელ სტრიქონში ყოველად აუტანელია სიტყვა „მინაზებული“ არა იმიტომ, რომ ეს სიტყვა თავისთავად არ ვარგოდეს, არამედ მისი ამ ადგილისათვის შეუფერებელი ბგერების გამო. ბარათაშვილსაც წაუშლია ეს სტრიქონები და მიუწერია გვერდზე:

გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო წრფელითა ლოცვით მიქანცებული?

მას ჰგავდა მთვარე სახე მიზილი, დისკო ვადახრით შექმნიბინდული!

არ ვარგა არც ამ სახით. ბარათაშვილი ჰგრძნობს ამის. რა არ ვარგა, მაგალითად, პირველ სტრიქონში? არ ვარგა უკველად სიტყვა „წრფელითა“ რომლის პირველი ბგერა წ ისე წივის სტრიქონში, რომ იმის იტანა შეუძლებელი იქნება, თუ ის არ ვაპეორდა იქვე სადმე ახლოს, მაგრამ ყველას აჯობებს ამ სიტყვის ამოვდება მთლად სტრიქონიდან და მის მაგიერ თავისი ბგერებით უფრო შესაფერი სიტყვის ჩასმა. მართლაც პოეტს წაუშლია ეს სიტყვა და დაუწერია ზემოდან „მხურვალეს“, შემდეგ წაუშლია ამ სიტყვაში ს, როგორც სრულიად ზედმეტი, და აი რა გამოსულა ბოლოს:

გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული?

<sup>1)</sup> ტფილისი, 1922 წ.

ერეკნულში

ამ ახალი სიტყვის ყველა ბგერები მეორედებიან სტრიქონის სხვა სიტყვებში. ერთმა სიტყვის გამოცვლამ რადიკალურად შესცვალა სტრიქონის ღირებულება, მიუხედავად იმისა, რომ გამოცვლილი სიტყვა აზრის მხრით სავსებით თავის ადგილზე იყო.

ეხლა მეორე სტრიქონი.

მას ჰგავდა მთვარე სახე მიხრილი დისკო გადახრით შექმნიბინდული.

ჯერ ერთი, აქ „მიხრილი“ თავისი სამი ნაზი ხმოვანი ბგერით სრულიად არ უდგება წინა სიტყვებს, ვინაიდან იქ ყველგან მახვილი დიამეტრალურად საწინააღმდეგო ბგერას ხედება (ა), მეორეც, „მიხრილი“ იმასავე ნიშნავს, რასაც „გადახრით“, და, მაშასადამე, აქ ადგილი აქვს სიტყვის გამეორების სრულიად დაუშვებელ ფორმას. ბარათაშვილი ასე ასწორებს ბოლოს ამ სტრიქონს:

მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო გადახრით, შექმნიბინდული:

ეს უკვე საბოლოო რედაქციას წარმოადგენს, თუმცა პატარა ნაკლი აქაც მოიძებნება კიდევ: შეუფერებელია სიტყვა „ნაზად“, და ამის შესახებ ბარათაშვილმა ალბად ბეერი იფიქრა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა, ვინაიდან სხვა ორმარცვლოვანი სიტყვა არაფერია ისეთი, რომ აქ გამოდგეს ამაზე უფრო, ხოლო რადიკალურად სტრიქონის გადაკეთება კი აღარ მოიხურვა.

კიდევ ერთი ნიმუში გასწორების. ბარათაშვილს ჰქონია პირველად:

ლურჯად მოღელავს და დუღუნებს მტკვარი ანკარა.

შემდეგ გადაუსწორებია:

ნელად მოღელავს მოღუღუნე მტკვარი ანკარა.<sup>1)</sup>

ბარათაშვილის ყველა ზემოთმოცხანილ გასწორებებს სარჩულად უდევს ბგერების მუსიკალური შეხამების საკიროება სტრიქონში. პოეტი სტრიქონის ნაკლს ჰგრძნობდა სმენით, ბგერებზე სრულებით ირა ფიქრობდა და არც იცოდა, რა თქმა უნდა, არავითარი თეორია მათ შესახებ.

ბესიკს აქვს ხშირად ძალიან მდიდარი ალიტერაციები მუხამბახებში. მაგრამ აქ დრო არ არის მათი გარჩევის; ამ პოეტს საქართველოს პოეტებ შორის ყველაზე უფრო უყვარდა ხელოვნური ფორმები. მას აქვს დაწერილი „ან-ბანთ ქება“, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მოფიქრებული ალიტერაციის ნიმუშად, ეს ლექსი იწყება ასე:

1. ათინად სიბრძნის შემკრები აზიად ემგზავრობ არესა,  
ამირბარს ვეყენ აეთინდილ ამოდ რა ლმობიარესა  
ალვისა მშვილდი შემშვენდა ისრად არყისა მხარესა  
არწიეს აფსკასა შევაგენ ჰაერს მოფრინვა—მხმარესა.

2. ბაბილოვანით მრეგელმან ზასრსა ვიბილე, მსუროდა;  
ბარამის ქება მომესმა, ბეგან ვემონე ყმუროდა.

ბიისა მშვილდო ფიციხელო ბორდის ისრისა მემურო და,  
ბრანგესა შეგტყორცე ბაყეს ეცი ვის ჩვევით სისხლი გწყუროდა.

და ასე ბოლომდე, ესე იგი „პაე-პოე“-მდე. ამგვარი ალიტერაციით გა-

<sup>1)</sup> აქ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მკვეთრი ბგერის ჯ-ს ამოგდენას სტრიქონიდან.



ეროვნული

მართულ ლექსებს, რა თქმა, უნდა, არავეითარი მხატვრული უნარით არა აქვს. აქ დიდის ვაი-ვაგლახით პოეტს ჯგუფებად დაულაგებია და ერთმანეთთან შეუკოწიწებია ერთი და იმავე ბგერებით დაწეხული სიტყვები. ეს უფრო მოკლილი ადამიანის გართობა არის, ვიდრე პოეზია. მაგრამ, როგორც ზევითა ვსთქვით, ბესიკს აქვს ლექსები ძალიან კარგად შერჩეული ბგერებით. მაგაჩენა და ლითად:

ცნობა მიმილო და გული, სევდით შემზლუდა ანამან,  
კვლავ მომკლა მისმან ციალმან და წელთა მიმოტანამან...  
კოკობსა ეარდსა ნარგიზმან აპკურა ცრემლი, ანამა,  
სჯობს რომ არ ჰყვანდეს მიჯნური, ან მოპკლას ამისთანა მან!..<sup>1)</sup>

დავით გურამიშვილის შაირში („გურამიანში“ მაგალითად), გვხვდება ალიტერაცია აქა-იქ, მაგრამ მეტად მარტივი სახით; თუ, მიუხედავად ამისა გურამიშვილის შაირი მაინც კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან იცის სტრიქონში ბგერებისათვის თავთავიანთი ადგილის მითანხმოვანებისა და ხმოვანების თანაბარი განაწილება.

არჩილ მეფის პოეტური შემოქმედება მეტისმეტად სუსტია ყოველი მხრით, არა თუ ალიტერაცია, მისთვის არ არსებობს ლექსში არაფერი გარდა მარცვლებისა და ყოვლად უფარვისი რითმების. არა თუ როგორც პოეტი, საფიქრებელია, რომ ის სუსტი იყო როგორც მკითხველი. ამის საბუთს იძლევა მისი „თეიმურაზ მეფისა და რუსთაველის გაბაასება“, სადაც ის თეიმურაზს თათქმის უპირატესობას ანიჭებს რუსთაველის წინაშე.<sup>2)</sup>

არც თეიმურაზის ალიტერაციებზე შეიძლება ლაპარაკი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ლექსი ტექნიკურად შეუდარებლად მაღლა სდგას არჩილ მეფის ლექსზე. თეიმურაზის შაირის შედარებითი კეთილზმოვანება უფრო იმით

1) თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ტაგების კომპოზიციას ეძინევა რუსთაველის შემდეგი ტაგების გაელენა:

ამარტის დერად შესცეალა ბროლი ცრემლისა ბანამან,  
დიღბანს იტირეს ყმამან და მან ქალმან შოსანა მან;  
შესნა, შეილო აბჯარი, ცხენიკა წეიყვანა მან,  
დადუმდეს, ცრემლი მოკვეთა შევამ გიშრისა დანამან.

2) ამ გაბაასებაში რუსთაველი ეუბნება თეიმურაზ მეფეს:

„შე რას ღიარ ვარ თქვენა დარებან? ახანაგო შემადარონ...“

თეიმურაზიც შეიფერებს რუსთაველის ასეთ სიტყვებს და თავის მხრით ეპასუხებს:

„ვით ჩამოგვე, ვითამდაბლო? ზემ კვამ ნყოფთ ვერ ვაამებ, და... (საშინელი სტრიქონი) თეიმურაზი ნამდვილი პოეტი იყო და ის რუსთაველს არასოდეს ასეთი ყოლოთ არ დაუწვებდა ლაპარაკს აბჯარი უბანსი დიალოგის დაწერა შეეძლო მხოლოდ არჩილ მეფეს, რომლის პოეტობა წარმოუდგენელია გარეშე მისი გვირგვინისნობისა.“

არჩილ მეფეზე უფრო თავიანთი აღმოჩნდა საფრანგეთის მეფე კარლოს IX, რომელმაც შემდეგი ლექსით მიმართა იმ დროინდელ სახელოვან ფრანგ პოეტს რომსარს:

Tous deux également nous portons des couronnes:

Mais, roi, je la reçus; poète, tu la donnes...

(ჩვენ ორივენი გვირგვინებს ვატარებთ:

მაგრამ მე, მეფემ, გვირგვინი მივიღე, შენ კი, პოეტი, იძლევი მას).



აიხსნება, რომ იმის სტრიქონში, ისე როგორც გურამიშვილის ლექსში, არა ზღვდება თანხმოვანი ბგერების ან მოკლე სიტყვების ერთად დაგროვება, როგორც ეს არჩილ მეფეს სწევია:

ამრიგად ჩვენ მიუხაზლოვდით ალიტერაციის უდიდეს ხელოვანს შაირში— რუსთაველს. არა თუ ქართულ ლიტერატურაში, მსოფლიო პოეზიაში ვერ წარმოგვიდგენია ჩვენ ბგერების მეორე ისეთი ჯადოსანი, როგორც რუსთაველია. როდესაც ზემოთ ვიხილავდით პოეტებს ალიტერაციის მხრით, ჩვენ გვიხდებოდა ყველგან ნიშნების ძებნა. რუსთაველის ამ თვალსაზრისით გაჩვენის დროს საკირო არ არის არაერთი ძებნა მაგალითების. ალიტერაციის ძარღვი შეუწყვეტილად მიუყვება ამ უზარმაზარ პოემას პირველი სტრიქონიდან უკანასკნელამდე. მთელ პოემაში არ არის ისეთი სტრიქონი, რომ მარტივი ალიტერაცია მაინც არ იყოს შიგ, არ არის შიგ ისეთი გვერდი, სადაც რამდენიმე სტრიქონი მაინც არ მოიპოვებდეს ურთულესი ალიტერაციით გამართული. „ვეფხისტყაოსნის“ ყოველ თავში ნახავთ ერთ რომელიმე ბგერაზე იგებულ ცალკე ტაქტებს, რომლის მაგალითი ორი-სამი თუ მოიძებნება მთელს დანარჩენ ქართულ ლიტერატურაში. გარდა ამისა, მთელ პოემაში არა ერთგან და ორგან შეხვედებით ორ მეზობელ ტაქტს, სადაც გამეფებულია ერთი მთავარი ბგერა— ამის მაგალითს არც ერთი სხვა ქართული ლექსი არ იძლევა.

ალიტერაცია და საერთოდ ბგერების მუსიკალური შეხამება— იმის მთავარი ნიშანდობლივი თვისება რუსთაველის ლექსის, რომლის საშუალებით საბოლოოდ უნდა ვადიკრას კარდინალური საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ ვარშემო.

## II. ალიტერაცია „ვეფხისტყაოსნის“ ოსანში

დავიწყოთ განხილვა პროლოგის პირველი სტრიქონიდან:

**რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა**

მთელ სტრიქონში ბატონობს ორი თანხმოვანი ბგერა „რ“ და „ლ“ სხვადასხვა ხმოვან ბგერებთან კომბინაციით. პირველ ნახევარში (რომელმან შექმნა სამყარო) პირველობა რ-ს ეკუთვნის, მეორეში— ლ-ს (ძალითა მით ძლიერითა); პირველ ნახევარში რ ორივეჯერ შეერთებულია ერთსა და იმავე ხმოვან ბგერასთან— რრ— რრ, მეორეში კი სხვასთან— რი; ლ-ც მეორე ნახევარში ორჯერვე ერთსა და იმავე თანხმოვან ბგერას იერთებს— ლი— ლი, ხოლო პირველში კი მას ე უერთდება წინიდან. მაგრამ პირველი სტრიქონის ალიტერაცია ამით არ იჭურება, ეს არის მხოლოდ მთავარი ბგერები სტრიქონში, ისე კი ყოველ ნახევარს თავისი, ასე ესთქვათ, ავტონომიური ბგერათა შეხამება აქვს: პირველში მ და, უფრო ნაკლებად, ნ (რომელმან შექმნა სამყარო), მეორეში კი თ და ძ (ძალითა მით ძლიერითა). ბგერა ძ იშვიათია ქართულ ენაში და რომ ის აქ შემთხვევით არ მეორდება ეს იქნებანაცა სჩანს, რომ შენდევ ოთხ სტრიქონში იგი ერთხელაც აღარ ისმის. ამ პირველ სტრიქონს აქვს ორი სამ-





საქართველოს  
წიგნების კავშირი

წუხარო დეფექტი—ერთი რითმის, მეორე ალიტერაციის მხრით, რაზედაც ლაპარაკი გვექნება ბოლოს.

მეორე სტრიქონში მთავარ ყურადღებას იქცევს ჯერ არ-არ და შემდეგ ისევე თ-ის და ა-სთან შეთანხმებით:

ზეგარდმო არსნი სულითა ჰყენა, ზეკით მონაბერითა.

ამავე სტრიქონში საკმაოდ მნიშვნელოვანია აგრეთვე ალიტერაცია ხ-ხ (არსნი ხულითა) შესამე სტრიქონში მთავარი თანხმოვანი ბგერა ვ:

ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა

ამ სტრიქონში ვ მეორდება შეიდეგერ, ხოლო ზემო ორ სტრიქონში ეს ბგერა გვხვდება მხოლოდ ერთხელ. არა ნაკლებ საინტერესოა ამავე სტრიქონში ორი იშვიათი ბგერის ჭ-სა და ც-ს დაწყვილება.

ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა.

არა თუ ცალკე სტრიქონები, აუარებელი ტაეპები ისეთი „ვეფხისტყაოსანში“, სადაც ეს ბგერები სრულებით არ შევხვდებით. მეოთხე სტრიქონში საყურადღებოა კიდევ იშვიათი თანხმოვანი ბგერის დაწყვილება ხ-ხ (ზემოთ მოყვანილ სამ სტრიქონში ეს ბგერა არსად არა გვხვდება) და ში:

მისგან არს ყოელი ხელმწიფე სახითა მის მიერთითა.

გარდა ამისა ამავე სტრიქონის ორივე ნახევარში დაწყვილებულია ბგერა ხ: მისგან არს ყოელი ხელმწიფე სახითა მის მიერთითა.

მეორე ტაეპში ყველაზე უფრო საინტერესო სტრიქონია პირველი:

ჰე ღმერთო ერთო შენ შექმენ სახე ყოელისა ტანისა!

მთელ მესამე ტაეპში ჰეგემონია უდავოდ შ-ს ეკუთვნის, განსაკუთრებით პირველ სამ სტრიქონში:

ვის შეენის ლომსა ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა

მეფისა მზის თამარისა ლაწე ბადაშ-თმა გიშერისა,—

მის არა ვიცი შევკადრო შესხმა ხობისა ხშირისა!

მისთა მჭერტელთა ყანდისა მირთმა ჰხამს მართ მშიერისა

მთელ ამ ტაეპში შ გვხვდება ათჯერ, მის ნომდენო ტაეპში კი არც ერთხელ!

მაგრამ მართო ამით არ თავდება ამ ტაეპის საკვირველება, აქ შ-ს თან სდევს ყველგან ხ და იშვიათის ერთგულობით უწყობს მას ხელს თავისებური მუსიკის შექმნაში:

პირველი სტრიქონი—„ჰშენის... ხმარება შუბისა“, მეორე—„ლაწე—ბადაშ-თმა გიშერისა“, მესამე—„შესხმა ხობისა ხშირისა“, მეოთხე—მირთმა ჰხამს მართ მშიერისა“. ეს ხ ისე მოექცა ბოლოს შ-ს, როგორც არა ერთი და ორი ვერავი ხ ან ი მოჰქცევია თავის მბრძანებელ შ ა ი ს: ის გადაუდგა მას, სძლია და შემდეგ (მეოთხე) ტაეპში თვითონ გამეფდა; ის წყვილ-წყვილად გაისწის მეოთხე ტაეპის პირველს, მესამესა და მეოთხე სტრიქონებში, ხოლო მეორეში კი დამოუკიდებელი ალიტერაციებია ჭ-ჭ, ნი-ნი-ნი (არის სხვა ალიტერაციებიც ამ ტაეპის სტრიქონებში, მაგრამ მათ არ გაუუსვამთ ხაზს):

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული

ერეკონული  
ხელმოწერა

ვთქვენით ქებანი ვინა მე, არ ავად გამორჩეული,  
მელნად ვიხმარე ვიშრის ტბა და კალმად მინა რბელი,  
ვინცა ისმინოს დაესვას ლაზვარი გულსა ხელი. <sup>1)</sup>

ამ ტაეპის ხ-ებს უტყვევლად აქვს კავშირი წინა ტაეპის ამგვარსავე ბგერებთან, რასაც ჩვენ შემდეგში გამოვარკვევთ.

გადავიდეთ მეხუთე ტაეპზე, რომელიც ალიტერაციის მხრით უფარეს ინტერესს წარმოადგენს. მთელ ტაეპში შეურყვევლად ბატონობს თანხმოვანი ბგერა ზ, მაგრამ ყოველ სტრიქონს აქვს კიდევ თავისი საკუთარი ალიტერაციები. ამ ტაეპს ერთი ამოწერით ვერ მოვრჩებით და პირველად ხაზს გავუსვამთ მხოლოდ ზ-ეს და მეორე სტრიქონში სამჯერ გამეორებულ ბგერას წს (ეს ბგერა წინა ტაეპში სრულებით არ არის):

მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,  
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ზაგე—კბილისა,  
ბროლ-ბადახშისა თლილისა მით მიჯრით მიწყობილისა.—  
გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყეისა ლბილისა.

ამ ერთ ტაეპში ზ გამეორებულია თორმეტჯერ. პირველ ტაეპში ზ ისმის მხოლოდ ერთხელ, მეორეში ორჯერ, მესამეშიც, თუ გამოვაკლებთ ამ ტაეპის პირველ სტრიქონში დაწვეილებულ ზ-ეს („ხმარება შუბისა“), სადაც ის ალიტერაციის წარმოადგენს, მხოლოდ ორჯერ, მეოთხეში სამჯერ, სულ წინა ოთხ ტაეპში ეს ბგერა, იმ პატარა ალიტერაციის მითელით, გვხვდება მხოლოდ ცხრაჯერ. ოთხ ტაეპში ცხრაჯერ, ერთში თორმეტჯერ. ეს ტაეპი რომ იმდენჯერ ამოვსწეროთ, რამდენიც შიგ ბგერათა შეხამების სხვადასხვა კომბინაცია არის, ერთი პატარა წიგნაკი გამოვა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ განსაკუთრებით საინტერესო ალიტერაციებს აღვნიშნავთ. აი ბგერა ქ:

მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა  
ქება...

ეს იშვიათი ბგერა პირველ ტაეპში გვხვდება ერთხელ, მეორეში ორჯერ, მესამეში ის სრულებით არ არის, მეოთხეში ისმის ალიტერაციის სახით („ვთქვენით ქებანი“) და აქ კი თითქმის მხოლოდ ერთ სტრიქონში ოთხჯერ. შემდეგ:

მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა  
ქება წარბთა და წამწამთა, ხმათა და ზაგე-კბილისა.  
ბროლ-ბადახშისა თლილისა მით მიჯრით მიწყობილისა...

თ ამ სამ სტრიქონში, გამეორებულა ცხრაჯერ, არც წინა ტაეპის უკანასკნელ ორ სტრიქონში და არც ამავე ტაეპის მეოთხე სტრიქონში ეს ბგერა არ ისმის სრულებით.

<sup>1)</sup> აი ამგვარივე კონსტრუქციის ტაეპი პოემის ტექსტიდან:

ქვე წვა ვით კლდისა ნაპირსა ველბი პირ გაბესებულა,  
არცა მზე გენდა, არც შთივარე ხე აღეა, ედენს ხეზღლი  
ასმათონ დამსვა შორს გვარად გულსა მე ლაზვარ სეზღლი,  
მერმე წამოუჯდა ჭარბ შერქმით გამწყრალი გარისსეზღლი  
აღნიშნულის გარდაც ბევრი სხვა საინტერესო ალიტერაციებია ამ ტაეპში.



შემდეგ **ს** და **მ**—**ა**—**სა** და **ი**—**სთან** კომბინაციით შესამე **სტრიქონების**  
**ბროლ-ბადახშიხა თლილისა მით მიჯრით მიწყობილისა.**

შემდეგ ამავე ტაგების მეორე ნახევარში განსაკუთრებით საინტერესოა ორი ბგერის **ლ-სა** და **ი-ს** კომბინაცია (**ლი**). ი ყველაზე უფრო ღბილია ხმოვან ბგერებში, რაც შეეხება თანხმოვან ბგერას **ლ-ს**, მისი ტონი საკვირველად იცვლება იმისდა მიხედვით თუ რა ხმოვანი ბგერა ერთვის მას: **ა**-სთან ერთად (**ლა**) ის მაგარია და მტკიცე, ხოლო **ი**-სთან შეერთების დროს (**ლი**) უნაზეს და უღბილეს ბგერად იქცევა; საშუალო მოდულიაციას იწვევს მისი შეერთება **ე**-სთან (**ლე**); აი, მაგალითად, სამი სიტყვა, სადაც ეს თანხმოვანი ბგერა სრულიად სხვადასხვა ეფექტს იძლევა: **ლ ა ხ ვ ა რ ი**, **ლ ე დ ა**, **ლ ი ა ხ ვ ი**. რუსთაველი ყველა ამ კომბინაციას განსაკუთრებული ოსტატობით ხმარობს იმისდა მიხედვით, თუ რა დროს რის თქმა უნდა, მაგრამ ყველაზე უფრო რუსთაველს უყვარს **ლი**; ამ სიტყვის პატარა ნაწილაკით აქვს მას გაშლილი თავისი უნაზესი სტრიქონები და ხშირად ისეთ განსაკვირვებელ ეფექტებს აღწევს, რომ აღარ იცის კაცმა რა არის ეს: უმაგალითო პოეტური ინტუიცია, ჯადო თუ უბრალო ცონგლიორობა? ყოველ შემთხვევაში უკანასკნელი არ არის; ეონგლიორობას სანახაობაში (ლექსიც ერთგვარ სანახაობას წარმოადგენს) ყოველთვის და ყველგან ერთი მიზანი აქვს: ხაზი გაუსვას თავის თავს, ეჭვნოს მაყურებლებს და გამოიწვიოს მათში განცვიფრება. რუსთაველში კი ბგერების ასეთი გასაოცარი დალაგება მხოლოდ საშუალებას წარმოადგენს და მკითხველი უმეტეს შემთხვევაში მას ვერ ამჩნევს. ეს საესეებით თვალსაჩინო ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსთაველის სტრიქონს კვლევა-ძიების თვალსაზრისით მიეფუძგებით.

აი შესამე და მეოთხეცსტრიქონი იმავე მე-5 ტაგის:

**ბროლ—ბადახშიხა თლილისა მით მიჯრით მიწყობილისა**  
**გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყეისა ღბილისა. 1)**

იმავე ორ სტრიქონში **ს**, რომელიც ზოგან **ა-ს** იერთებს:

**ბროლ-ბადახშიხა თლილისა მით მიჯრით მიწყობილისა**  
**გახტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყეისა ღბილისა**

აი ბგერა **თ**, რომელიც შესამე სტრიქონში მეორდება ზედიზედ სამჯერ, ხოლო მეოთხეში კი სრულებით არ ისმის:

**ბროლ-ბადახშიხა თლილისა მით მიჯრით მიწყობილისა.**

ამავე შესამე სტრიქონში **მი**:

**ბროლ-ბადახშიხა თლილისა მით მიჯრით მიწყობილისა.**

მეოთხე სტრიქონში **გ** და მისი მზგავსი ბგერა **ქ** წარმოადგენენ ერთ ალიტერაციას:

**გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყეისა ღბილისა.**

ამავე სტრიქონში მარტივი, მაგრამ უეჭველად მნიშვნელოვანი ალიტერაცია **რ**:

1) აი ამავე ორი სტრიქონი პოემის ტექსტიდან:  
 საწოლს შემოველ ზელ ქწილი, ღონე არ მქონდა ძილისა,  
 ბროლა და ღალა შევიტენ მე უღურჯესი ღილისა.

ერეკნული

გასტებს ქვასაცა მავარსა გრდემლი ტყვიისა ლბიტყველიწმინა  
მოვიყვან აქვე თვითონ პოემის ტექსტიდან ერთ ტაეპს, სადაც ნაწილაკი  
ლი და ლე გასაოცარი ოსტატობით არის გამოყენებული:

მოჭკრიფეს ჯორი აქლემი, რაცა ვით ჰპოვეს მალეები,  
სამი ათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალეები,  
თვალეი ყველაი დათლილი იავუნდი და ლალეები...

უკანასკნელ სტრიქონში სიტყვა ყველაი ისეთ შთაბეჭდილებას იძლევა,  
თითქოს პოეტი ამ თვალმარგალიტში ნელა ურეცდეს ხელს. გარდა ამისა, რა  
მიზეზით არის აქ ნათქვამი „სამი ათასსა“ და არა „ორი ათასსა“, „ხუთი  
ათასსა“, „ათი ათასსა“? ამის მიზეზია ბგერა მ:

სამი ათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალეები.

აი კიდევ ერთი უმშვენიერესი და ალიტერაციის მხრით ურთულესად გა-  
მართული ტაეპი შესავალიდან. ხაზი გავუსვათ ჯერ კ-ს, ლ-ს ხმოვანი ბგერე-  
ბითურთ (ი, ე, ა) და გ-ს:

ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები,  
ვით მარგალიტი ოზოლი, ხელის-ხელ საგოგმანები <sup>1)</sup>  
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი საქმე ვქმენ საუკოქმანები,  
ჩემმან ხელმქნელმან დამმართოს ლალმან და ლამაზმანები.

მესამე სტრიქონში ბგერა ქ მეორდება ოთხჯერ (მეორე ასეთი მაგალითი:  
„ნისი სახელი შეფრქვევით ქვემოზე ნითქვამს, მიქია“). დავუბრუნდეთ ისევ  
ზემოდ მოყვანილ ტაეპს. პირველ სტრიქონში არ:

ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები.

იმავე სტრიქონის პირველ ნახევარში ხ (ესე ამბავი სპარსული...) მეორე  
ნახევარში ეს ბგერა სრულებით აღარ ისმის.

მესამე სტრიქონში ბგერა ვ:

ვპოვე და ლექსად გარდავთქვი საქმე ვქმენ საუკოქმანები.

ამ სტრიქონში ეს ბგერა მეორდება ოთხჯერ, პირველში ერთხელ ისმის  
ბოლო მეორეში და მეოთხეში კი არც ერთხელ. სამაგიეროდ მეოთხე სტრი-  
ქონს სტვირთავს ბგერა მ, რომელიც მესამე სტრიქონის მეორე ნახევარადან იწ-  
ყება:

.. საქმე ვქმენ საუკოქმანები,  
ჩემმან ხელმქნელმან დამმართოს ლალმან და ლამაზმანები.

ამ ერთ ნახევარ სტრიქონში ეს ბგერა ისმის თორმეტჯერ, ბოლო ზემო  
ორ ნახევარში კი მხოლოდ ოთხჯერ <sup>2)</sup>

<sup>1)</sup> არ შეიძლება აქვე არ გავიხსენოთ ორი უმშვენიერესი სტრიქონი პოემის ტექსტიდან დაწერილი ამავე ალიტერაციით:

„დასწერა წივი მსმენელთა ველსა გასაგებრალი,  
ვარდი გაჰანს გამოჩენის მუნ ბოლო გ მომჭკარული“.

ამავე სტრიქონებში საუცხოოდ მეორდება ბგერები: ჯ, ს და ზ.

<sup>2)</sup> აი პოემის ტექსტიდან ამ ბგერაზე აგებული ერთი ტაეპი:

ზისით წაივდა ღარიბი შ ნა შთყვითა სამითა  
შინა შინურად შისილი, სხვანი შხვანურლად ხაშითა;  
სასწულ-საქმელი შთილეს, ქალაქს ნაყიდი დრამითა  
სწილდეს სკამილეს და ღზნობდეს სხდეს შხიარულნი ამითა

ვადატარებულა და მოფიქრებული ალიტერაციის შთაბეჭდილებას სტოვებს.



საქართველოს

მწერთა კავშირი

გავარჩიოთ ეხლა თვითონ პოემის დასაწყისი პირველ ტაქტის პირველ სტრიქონში აღენიშნოთ ერთად რ, ხ და ან:

იყო არაბეთს როხტევან მეფე ლეთისაგან სეიანი

მეორე სტრიქონში ლი და საერთოდ ყველა სიტყვების ბოლოში ი:

მაღალი, უბეი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი.

ამავე სტრიქონში აღსანიშნავია ასონანსი ა:

მაღალი, უბეი, მდაბალი ლაშქარ—მრავალი ყმიანი.

მესამე სტრიქონში—მ, მო, ლ, ღე:

მოსამართლე და მოწყალე, მორკმული, განგებიანი.

მეოთხე სტრიქონში ხაზი გავუსვით სამ სიტყვას, რომლის ბგერები რთული კომბინაციით ეხმაურებიან ერთმანეთს:

თვით მე ო მ ა რ ი უ ე ბ რ ო კვლავ მ ო უ ბ ა რ ი წყლიანი.

მე ო რ ე ტაეპის პირველ სტრიქონში აღენიშნოთ ჯერ ხ, არ და ვა:

ხვა ძე არ ხვა მეფეხა, მართ ოდენ მარტო ასული.

მაგრამ ამ სტრიქონში ყველაზე უფრო საინტერესოა შემდეგი: „მართ ოდენ მარტო“ იკითხება როგორც „მართოდენ მარტო“, თ და ტ მზგავსი თანხმოვანი ბგერებია და ამგვარად მეორე სიტყვის ბგერები მთლად მეორდება პირველ სიტყვაში: „მართოდენ მარტო“.

ამავე ტაქტის მეორე სტრიქონში მთავარი—მნათ დას:

სოფლისა მნათი მ:ათობი მზისაჲ დახთა დასული.

მესამე სტრიქონში რამდენიმე მარტივი ალიტერაცია:

მან მისთა მკერეტთა წაულის გული, გონება და სული.

მეოთხე სტრიქონში რ, -ად, რად:

ბრძენი ჰხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული

ამ სტრიქონში ხაზი არ გავუსვით ერთგან დ-ს (და), ვინაიდან აქ ეს ბგერა შემთხვევით არის მოხვედრილი და დანარჩენ სამ დ-სთან ალიტერაციით არ არის შეკრული. იგივე ითქმის ხ-ს შესახებ სიტყვა „ჰხამს“-ში, რომელიც არ შედის ალიტერაციაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ სტრიქონში არის ხ, თუმცა მარტივი და შორეული, მაგრამ მაინც უეჭველად მნიშვნელოვანი ალიტერაცია: „ჰხამს მისად... ასული“

მესამე ტაქტიკ მეტად მდიდარია ალიტერაციით, მაგრამ აქ აღენიშნოთ მხოლოდ ერთი იშვიათი ბგერის ზ-ს გამეორება მეორესა და მესამე სტრიქონებში ერთი მეორესაგან დამოუკიდებლად.

რა გაიწარდა, გაიყსო, მზე მისგან საწუნარია.

მეფემან იხმნა ვეწირნი, თვით ჰჯის ლალი და წუნარია <sup>1)</sup>

მეტის ამოწერა საჭირო არ არის, ავლენიშნოთ მხოლოდ ამავე თავში ზოგიერთი განსაკუთრებით საინტერესო ადგილი. აი იშვიათი ბგერა ჰ:

<sup>1)</sup> როდესაც იქმნებოდა ეს ტაქტი, მაშინ ყველა იმ სიტყვებს, სადაც აქ ეს ბგერა გვხვდება, ფოლოდ ჰქონდათ გრამატიკით კავშირი, მაგრამ ტაქტის საბოლოო კონსტრუქციის დროს ისინი დაწორდნენ ერთი მეორეს— ამ საკითხს ვოცლად შევხებით იქ, სადაც შემოქმედების პროცესზე გვექნება ლაპარაკი.

უბრძანა ჩემი საჭურჭლე, შენგან დანაბეჭდულევი...  
იმევე ტაეპის მეოთხე სტრიქონში უ (სიტყვა „შოართვეს“ ისმის როგორც „შოართვეს“):

შოართვეს; გასცა უზომო, უანგარიშო, უღვეი.

(არ შეიძლება არ გავიხსენოთ აქვე ამ ბგერით გამართული ერთი სტრიქონი: „უცნაურო და უთქმლო უფალო, უფლებათაო.“) აი კიდევ საინტერესო სტრიქონი პირველ თავში:

მიზოცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხლსა მიახშიდეს.

ამ სტრიქონში გარდა აღნიშნულისა, ყურადღებას იქცევს აგრეთვე, ხ, ღ და რ: მიზოცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხლსა მიახშიდეს.

აი ამავე თავის ერთ ტაეპში როგორ დაგროვილა ერთი იშვიათი ბგერა ც: ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ასევე ოცია, მაგრა აეთანდილს ოცითა უფროსი დაუბოცია, არ დასცდომია ერთიცა რაც ოდენ შეუტყუორცია, თქვენი მრავალი მიწითა დასვრილი დაგვიბოცია

ეს ბგერა ამ ერთ ტაეპში მეორდება რვაჯერ, შემდეგ რვა სტრიქონში მხოლოდ ორჯერ და ისიც ალიტერაციის სახით („სიცილით ლაღობს, მიეცა“...), სამაგიეროდ იქ სხვა ბგერების ალიტერაცია არის მოცემული (მაგალითად: „...უშხნესი სხვათა მხნეთასა.“)

აეილოთ ეხლა რამდენიმე მაგალითი პოემის ეპილოგიდან.

პირველი ტაეპის პირველ სტრიქონში აღნიშნოთ ხ, მ, თ და ვ:

გასრულდა მათი ამავეი ვითა სიზმარი ღამისა.

ამავე სტრიქონში უცქველად მნიშვნელობა აქვს ორჯერ გამეორებულ რ-ს მიუხედავად დიდი მანძილისა მათ შორის: გასრულდა --- სიზმარი.

მეორე სტრიქონში — გა, ხ, ს და თ:

გარდახდეს გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ეამისა.

ამავე სტრიქონში — ე, ღ, მ:

გარდახდეს, გავლეს, სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ეამისა

მესამე სტრიქონში — გ, ხ, რ, თ:

ვის გრძლად ჰგონია მისთვისცა არის ერთისა წამისა<sup>1)</sup>.

ამავე სტრიქონში — თ და განსაკუთრებით ორი მზგავსი ბგერა ც-წ:

ვის გრძლად ჰგონია. მისთვისცა არის ერთისა წამისა.

მეოთხე, ესე იგი პროლოგის პირველი ტაეპის უკანასკნელი სტრიქონი, ცნობილია რამდენიმე რედაქციით, ამის შესახებ აქვე უნდა ითქვას ორიოდ სიტყვა.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში ეს სტრიქონი გვხვდება შემდეგი ხუთი სხვა და სხვა სახით: 1. „ესწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დაბისა“, 2. „...მე რუსთავისა თემისა,“ 3. „...რუსთველისა თემისა,“ 4. „...მე რუსთველი სადამისა,“ 5. „...მე რუსთველისად ამისა.“ გარდა ამისა, პატივცემულმა აკადემიკოსმა ნ. შარვაში პირველი ვერსია ამგვარად შესცვალა: „...მე რუსთავისა და-

<sup>1)</sup> აი მზგავსი სტრიქონი პოემის ტექსტიდან: ვით გაეხარნეს ვერ იტყვის ენა ერთისა წამისა.



ქართული

მისა" იმ მოსაზრებით, რომ „დამა“ არის მესხეთში შენახული „ვსწყურ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“. აღიტერაციისა და რითმის თვალსაზრისით ამ რედაქციას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სხვების წინაშე. რაც შეეხება მის აზრს, ის არც ისე უაზროა, როგორც აკადემიკოსი ნ. მარი ფიქრობს და არც იმ აზრს ატარებს, რომელსაც მას იუსტინე აბულაძე აწერს<sup>2)</sup> ეს სიტყვები ნიშნავს, არც მეტი არც ნაკლები, შემდეგს: — „ვსწყურ ვინმე მესხი ამას რუსთაველის სახელით“, — ანუ ფსევდონიმით, თუ დღევანდელ თერმინს ვიხმარო.

მაშ ამოვსწეროთ ეს სტრიქონი და უწინარეს ყოვლისა აღენიშნოთ შივ სიტყვის ნაწილაკი მე:

ვსწყურ ვინმე მესხი, მელექსე მე რუსთველისად ამისა.

შემდეგ ამავე სტრიქონში ს და ლ:

ვსწყურ ვინმე მესხი, მელექსე მე რუსთველისად ამისა.

მეორე ტაქში აღენიშნოთ მხოლოდ თ და, როგორც იშვიადი ბგერა, გ. რომელიც უკანასკნელ სტრიქონში სამჯერ მეორდება:

ქართველთა ღვთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად,

ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად,

ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად,

ორგულთა მათთა დაშვევლად, ერთგულთა დამამაგრებლად.

ამ ტაქში თ მეორდება ხუთმეტჯერ, ბოლო სიტყვაობის პირველ ტაქში ხუთჯერ, უკანასკნელში ოთხჯერ; თანაც მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარკვება, რომ ეს ბგერა ამ ორ ტაქშიც ზოგან მარტივ აღიტერაციას წარმოადგენს („მათი -- ვითა“, „მისთვისცა --- ერთისა“, „დილარგეთ სარგის თმოველსა). გარდა აღნიშნულისა ამ ტაქში მრავლად მოიპოება კიდევ სხვა

<sup>1)</sup> „Рама четверостишия amisa безспорно устанавливает, что, раз оно не плод совсем позднего сознательства какого-либо бездарного виршешлота, а тем более, если автор его — сам Шота, последнее слово надо читать дамиса damisa, а не дабиса dabisa. Основа дама dama (им. даба daba) сама по себе является доказательством подлинности четверостишия, так как с одной стороны такой ед. вид, с ш. в. б. не только закономерен, он требуется историей этого термина, раскрытой в нашей работе о ново-эпическом языке, с другой стороны в сохранности архаического ш. в. вульгарного и следует видеть мещизм. Естественно, провинциальный вид дамиса был в общепринятом тексте заменен обычным дабиса, в отдельных же списках, непонятый некоторыми кудрявыми переписчиками, он дал повод к искаженному чтению русстаетиса дамиса то в бессмысленное русстаетисад ამისა (Аб. 01 на стр. 198) или русстаетиса სადამისა (К5, стр. 62), то в прозодически невозможное русстаетისა თემისა (Аб. 1756). Н. Я. Марр „Витязь в Барсовой Шахуре“. 1917 г.

<sup>2)</sup> ი. აბულაძის აზრით ეს სტრიქონი „შემდეგი დროის პოეტიკი — ბიბლიოგრაფის მიხედვითა და ნიშნავს: ვსწყურ ვინმე მესხი ამისი მელექსე რუსთველისად, ესე იგი რუსთველისთვის, ი. აბულაძე — „ვეფხისტყაოსანი“, გვ. V.



ალიტერაციები და ასონანსები, რომელნიც განსაკუთრებულ ინტერესს აჩვენებს წარმოადგენენ.

შესაძებ ტაევი მეტად მდიდარი ალიტერაციებით არის გამართული, ერთი ამოწერა არ იქმარებს და ამიტომ აღვნიშნოთ ჯერ ნ-ნი და ხ:

დავითის ქნანი ვითა ვთქვენ სიხალზე-სიხაფეთანი!  
ესე ამბავნი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი,  
პირველ ზნენი და საქმენი ქებანი მათ მეფეთანი  
ვპოვე და ლექსად გარდავთქვენ ამითა ვილაყფეთანი.

გარდა ამისა, ამავე ტაეპში აღსანიშნავია ისევე თ, შემდეგ ც და განსაკუთრებით კი რუსთაველისათვის მეტად დამახასიათებელი ქ-ს, ამ საკმაოდ იშვიათი ბგერის, ალიტერაცია 1):

დავითის ქნანი ვითა ვთქვენ სიხალზე-სიხაფეთანი!  
ესე ამბავნი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი,  
პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,  
ვპოვე და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი.

ბგერა ქ ამ ტაეპის სამ სტრიქონში წარმოადგენს ერთი-ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ალიტერაციას, ის მეორდება მეზობელ სიტყვებში (ზოლოდ ერთგან არის შუაში მოკლე სიტყვა „ვითა“), ხოლო მოშორებით კი სრულებით არ ისმის. განსაკუთრებით ყურადღების მისაქცევია სტრიქონი „ვპოვე და ლექსად გარდავთქვენ ამითა ვილაყფეთანი,“ რომელსაც შესვლაში აქვს თავისი ორეული: „ვპოვე და ლექსად გარდავთქვი საქმე გემენ საქოკმანები.“

მეოთხე ტაეპის პირველ სტრიქონში აღვნიშნოთ ხ და ფ(ბ)ელი:  
ესე ახეთი ხოფელი არვისგან მისანდობელი.

მაგრამ ალიტერაციის მხრით უდიდეს ინტერესს წარმოადგენს ამ ტაეპის მეორე სტრიქონი, რომლის შესაძარბელი მთელ „ვეფხისტყაოსანში“ რამდენიმე თუ მოიძებნება. 2)

1) შესავალში ქ-ს ალიტერაცია გვხვდება თორმეტჯერ, აი ისინი: „ვეფხინა,-ვეფეს“ „ვთქვენი ქებანი,“ „მობრანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტყბილისა,“ „აქამდის ხმამად ნათქვანი,“ „ვიქმ საქმესა,“ „ვპოვე და ლექსად გარდავთქვი საქმე გემენ საქოკმანები,“ „სადებელთა ღამის ლექსთა...“ „მართ აგრეთვე მელდესეთა ლექსთა გრძელთა თქმა და ზევა,“ „მოსიროე არა პქვიან, თუ სადმე სოქვას...“ „მის ვაქებ ინიცა მიქია,“ „მისი სახელი ივემორე შედრქვეთი მითქვას, მიქია,“ „ვთქვენ ზუღობანი ქვენანი“, ეს ბგერა იმდენად იშვიათია ქართულში, რომ ის რუსთაველის ტაეპებში მხოლოდ მხოლოდ ერთ რომელიმე სტრიქონში გვხვდება ერთად ორჯერ, სამჯერ და, ასე გასინჯეთ, ოთხჯერაც, ხოლო დანარჩენ სამ სტრიქონში კი სრულებით აღარ ისმის, რაც რუსთაველის ლექსში დამამტკიცებელია იმისი, თუ ეს ამას ესაჭიროება საერთოდ დამტკიცება, რომ ამ ბგერის გამოყოფა არამც და არამც შემთხვევითი არ არის.

2) მაგალითად:

- 1) „ქარვის ვალთა დახლართული ჩაეჭურ ჩაეკარბაე
- 2) ლერწმისა სარსა დასდრეცდა, გიშერსა დააკარუბდა.
- 3) გულნი მოშლით მოუკეცნეს, ხალი ზღმა ზვრაშენდა.
- 4) მუნ მეჯოგეთა ფანოზი შეცრა, ვერა ევსებსა.
- 5) მაგრა თუ გესმის გუშანნი რა ახლო ახლო ყვიან.

და ორი სამი კიდევ ასეთი.





ქართველთა  
მწიგნობართა  
კავშირი

ამ სტრიქონში ისეთი იშვიათი ზგერა, როგორც *საქართველოს* *ოთხჯერ*, მის უნდა მიემატოს აგრეთვე მისი მზგავსი ზგერა ც:

წამია კაცთა თვილისა და წამწამისა მსწრობელი.

არც ამ ტაეპის დანარჩენ სამ სტრიქონში, არც მის მიმყოლ ტაეპში ეს ზგერა არ ისმის სრულებით. მთელ ქართულ პოეზიაში, გარდა „ვეფხისტყაოსანისა“, ძნელად თუ იკნება ისეთი სტრიქონი, სადაც წ გამგორებული იყოს ოთხჯერ. \*

ეპილოვის მეზუთე, ესე იგი „ვეფხისტყაოსანის“ უკანასკნელი ტაეპიც მეტად მდიდარია ალიტერაციით და ასონანსებით. მაგრამ ჩვენ აღვნიშნოთ მხოლოდ ზოგიერთი. მეორე სტრიქონში რუსთაველის მიერ ამოჩემებული კ-ს დაწყებულა:

...ლეჭი მას უქეს რომელსა.

მესამე სტრიქონში გ და თ:

დიღარგეთ სარგის თმოგველსა“...

ამ სტრიქონში მეტად საინტერესოა გ-ს და თ-ს ჩამატება პირველ სიტყვაში (რუსთაველმა იცის საჭიროების მიხედვით სიტყვაში ზგერების ჩამატება ან გამოკლება). არსებობს სარგის თმოგველის „დიღარიანი“, ესე იგი დიღარის ქება და რად დასჭირდა რუსთაველს ამ სიტყვის ფონეტიკაში ცვლილების შეტანა? განა მას არ შეეძლო ეთქვა: „დიღარი სარგის თმოგველსა მას ენა დაუშრომელსა“? ეს ჩაიდინა რუსთაველმა ალიტერაციისათვის. ამ ტაეპით ის ათივებს თავს გრანდიოზულ შრომას, თავის უძვირფასეს ნაწარმოებს და ეს ალიტერაციის ჯადოსანი, რაღა თქმა უნდა, ყოველ ღონისძიებას იხმარდა, რომ უკანასკნელი ტაეპი უმდიდრესი ალიტერაციით ყოფილიყოს ახმორებული. მან ოდნავ შესცვალა სიტყვის დაბოლოება და გამოვიდა იშვიათი ალიტერაციით გამართული სტრიქონი:

დიღარგეთ სარგის თმოგველსა მას ენა დაუშრომელსა

ამის მოიგონებდა და გაჰმედავდა მხოლოდ რუსთაველი, სხვა ვერავენ.

აი ამ ტაეპისა და საერთოდ პოემის უკანასკნელი სტრიქონი, ჯერ აღვნიშნოთ რ, ლ და ელ:

ტარიელ მისსა რუსთველსა მისთვის ცრემლ შეუშრობელსა.

შემდეგ ს, ხა და შ:

ტარიელ მისსა რუსთველსა მისთვის ცრემლ შეუშრობელსა. 1)

ზგერების მიხედვით რუსთაველი ისე ალაგებს სიტყვებს სტრიქონში, რომ

\*) აი „ვეფხისტყაოსანში“ კიდევ ამ ზგერაზე აგებული სტრიქონები:

1. ერთსა წაეწუდი უტყუანსა წაეგრძელდი და წაეე გრძელად.
2. აეთანდილსაც ცრემლი წასდის წამწამთაგან ერთ სახე, ტა.
3. ნაკად აქვს ჭირი სამისოდ ამ წელიწადსა წლეურსა.
4. აწ ამბავი სხვა დაეიწუო, ყმასა წაეყვე წამაველსა.
5. აწყა დაეიწუებ ამბავსა მის გმისა წამავლობასა.

1) პოემის ტექსტიდან:

მე უფრო მდინდეს თვალთაგან კვლავ ცრემლნი შეუშრობელნი.

იშვითად თუ იქნება შესაძლებელი მათი ადგილების გამოცვლა. უარყოფილგენელია, რომ სხვა რომელიმე პოეტმა შესძლოს საგნებისა და მოვლენების ისეთი ჩამოთვლა ლექსში, როგორც ეს რუსთაველმა იცის. ავიღოთ ორი მაგალითი, ერთი პროლოგიდან, მეორე თვითონ პოეშიდან. აი როგორ ჩამოსთვლის რუსთაველი პროლოგში იდეალური მიჯნურის თვისებებს:

მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს მართ ვითა მზეობა,  
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა,  
ენა, ვინება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.  
ვისცა ეს სრულაც არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.

ავიღოთ ამ ტაგების მეორე სტრიქონი; ამ სტრიქონის შთავარი ძარღვი არის **სი**, მიჯნურის ყველა თვისებები, რომლებიც იწყებიან სიტყვის ამ ნაწილიაკით, ერთი მეორეს მისდევენ, სამაგიეროდ შემდეგ ჩამოთვლილია ისეთი თვისებები, რომელთა გამომხატველ სიტყვებში (შვიდი სიტყვა) სრულებით აღარ არის ბგერა **ს**. ამოვსწეროთ ჯერ მეორე სტრიქონი და ვაფუსვათ ხაზი ამ **სი**-ს: **სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა,** <sup>1)</sup>

თუ სიტყვებს ამ სტრიქონში აღნიშნული **სი**-ს მეტი არაფერი აკავშირებს ერთმანეთთან, მაშინ შესაძლებელი უნდა იქნეს სტრიქონში სიტყვების გადასმ-გადმოსმა ისე, რომ მისი შესიკალობა არ დაირღვეს. ეს მით უმეტეს შესაძლებელი უნდა იქნეს, რომ, თუ ჩამოთვლილ თვისებებს განვიხილავთ, დაერწმუნდებით, რომ ისინი თავიანთი მნიშვნელობის მიხედვით თითქმის სულ უკუღმა არიან დალაგებული. მართლაც: სიყვარულში სიბრძნეს ძალიან მცირე მნიშვნელობა აქვს, ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი და, მაშასადამე, ადგილიც მას უკანასკნელი უნდა ექიროს, სიმდიდრეს მეტი მნიშვნელობა აქვს სიბრძნეზე, მაგრამ მეორე ადგილი არც მას ეკუთვნის, სიუხვე უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ორივე ზემოდ აღნიშნული თვისება, სიყმე—აი სიტყვა, რომელსაც მიჯნური რაინდის თვისებათა ჩამოთვლის დროს უმეტესად პირველი ადგილი უნდა დაეთმოს. ამისდა მიხედვით მოვახდინოთ აღნიშნულ სტრიქონში პატარა ექსპერიმენტი—შევუცვალოთ ადგილები **სიბრძნეს** და **სიყმეს**, ეს სიტყვები ორივე ორ მარცვლოვანია და მათი ადგილების შეცვლა ლექსის რითმს არ დაარღვევს:

სიყმე, სიმდიდრე, სიუხვე, სიბრძნე და მოცალეობა.

მართალია ეს სტრიქონი ამ სახითაც ისეა გამართული, რომ მისი მზგავსი არც თეიმურაზს და არც, მით უმეტეს, არჩილ მეფეს არა აქვს, მაგრამ გამოცდილი სმენა შეამჩნევს, რომ ამ ექსპერიმენტმა სტრიქონის კონსტრუქციაში რაღაც დებოზგანიზაცია შეიტანა და დაარღვია რუსთაველს სიტყვის „სრულყოფა“. რა მოხდა მაინც? აი რა მოხდა: თურმე ჩვენს მიერ შენიშნული **სი**-ს გარდა სტრიქონს აქვს კიდევ სხვა ძაფები,—მარტივი, მეორე ხარისხოვანი ალიტერაციები, რომლებიც დაირღვა, როდესაც ჩვენ ორ სიტყვას ადგილები შევე-

<sup>1)</sup> აი ამგვარივე კონსტრუქციის სტრიქონი:

სად წაიყვან სადაურსა სად აღუფხერი სადით ძირსა.



ნაცვლეთ. პირველ ორ სიტყვას სტრიქონში ერთმანეთთან აკავშირებულა უკანასკნელ ორს („და“ მხედველობაში არ არის მისაღები) ბგერა მ:

**საბრძნე, სიმდიდრე, სიუბეე სიყმე და მოცალეობა.**

შემდეგ, მესამე სტრიქონში, პირველი ორი სიტყვა დაკავშირებულია ერთმანეთთან ნ-ს საშუალებით, ხოლო დანარჩენ ოთხ სიტყვას გვირისტივით მიუყვება ისევ მ და ნაწილობრივად ზ და ლ:

**ენა, გონება, <sup>1)</sup> დათმობა, მძლევა მებრძოლთა მძლეობა.**

არ შეგვიძლია კიდევ განვიყვარებთ არ აღვნიშნოთ, რომ ხ, რომელმაც თავისი მისია მეორე სტრიქონში შეასრულა, აქ სრულებით აღარ იხმის, მაშინ როდესაც, არა თუ ასეთი გრძელი სტრიქონი, სულ მოკლე ფრაზაც კი იშვიათად შეგვხვდებათ ქართულში, რომ შიგ ეს ბგერა არ ერიოს. ღმერთი რომ შეეცადოს, ისიც კი ვერ წესძლებს ამ ტაეპში სიტყვების გადალაგებას.

ავილოთ მეორე ნაგალითი. ავთანდილი შესტირის ცის შვიდ მნათობს, ყოველ მათგანს ცალკე ტაეპს უძღვნის, — ჯერ მზეს მიმართავს, შემდეგ ზუალს, მუშთარს, მარბხს, ასპიროზს, ოტარიდს, ბოლოს მთვარეს. დასასრულ ყველას ერთ ტაეპში მოაქცევს და ასეთნაირად ჩამოსთვლის მათ სახელებს:

ამა მოწმობენ ვარსკვლავნი, შეიძნივე მემოწმებიანი;  
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიანი,  
მთვარე, ასპიროზ, მარბხი მოვლენ და მოწმად მყევიანი;  
მას გაავაგონე რანიცა ცეცხლნი უშენოდ მდებიანი.

ამ ტაეპში არ შეიძლება არც ერთი მნათობის ღაძვრა ადგილიდან. მუშთარი და ზუალი ერთად არიან და შეუძლებელიც არის მათი ერთმანეთისაგან დაცილება, ვინაიდან მათ აქვთ საერთო ბგერა უ, <sup>2)</sup> მაგრამ თვით ეს ორი სახელი რომ გადაესე-გადმოვსკათ, ისინი ხომ მაინც ისევ ერთად დარჩებიან და სტრიქონის მუსიკალობაც არ უნდა დაირღვეს, თუ აქ მარტო უ-სა აქვს მნიშვნელობა. ვსცადოთ:

მზე, ოტარიდი, ზუალი და მუშთარ ჩემთვის ბნდებიანი.

სტრიქონი აღარ ვარგა. თურმე მუშთარი თავის მხრით არ შეიძლება რომ მოსცილდეს ოტარიდს, ვინაიდან მათ აკავშირებს ბგერა რ:

მზე, ოტარიდი მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიანი.

ავილოთ ეხლა მესამე სტრიქონი; აქ მთვარე და ასპიროზ<sup>3)</sup> შეყრულია ერთად ისევ რ-ს საშუალებით, მაგრამ იქვე არის მარბხი, რომელშიაც, არის ეს ბგერა და თუ მხოლოდ რ-ზეა აქ ყველაფერი დამოკიდებული, მაშინ ჩვენ<sup>4)</sup> შეგვიძლია მთვარის შემდეგ ჯერ მარბხი დავსვათ და მერე ასპიროზი. აი ასე:

მთვარე, მარბხი, ასპიროზ მოვლენ და მოწმად მყევიანი.

სტრიქონის მუსიკალობა დაირღვა. თურმე მარბხის ღაძვრაც არ შეიძლე-

<sup>1)</sup> ეს ორი სიტყვა სხვაგანაც ერთადა აქვს რუსთაველს ნაზმარი:

ენა გონება მანმარე გამოსარჩეველად ამისად.

<sup>2)</sup> ეს ორი სახელი რომ შემთხვევით არ არის აქ ერთად ნაზმარი, იქედაწაცა სანამ, რომ მეორე ადგილას რუსთაველი ისევ ერთად ახსენებს მათ:

“ამას ჰგვანდეს ოდეს ერთად მუშთარ ზუალ შეიფარნეს“.

საქართველო

ბა აღვილიდან, ვინაიდან იგი სტრიქონის ყველა დანარჩენ სიტყვებშია გადაბ-  
მულია მ-ს საშუალებით:

მოვარე, ასპიროზ, მარიბი მოვლენ და მოწმად მყვებთან.

ერთი სიტყვით, აქ ყოველი სიტყვის აღვილი გამორკვეულია ლეთაებრივი  
შეუმცდარობით. ღმერთმა ჰქნას, რომ ყველა ეს პლანეტები კოპერნიკის სისტე-  
მაში ისევე კარგად იყვნენ დალაგებულნი, როგორც ამ ტაეპში. რუსთაველის  
გენიალურ ინტუიციას ისღა დაჰკლებია, რომ ლევერიესათვის ნეტუნის აღმო-  
ჩენა დაესწრო. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ აქვე ამავე ტაეპის მეტად საინ-  
ტერესო ალიტერაციები **ნ** და განსაკუთრებით კი **ც**:

მას ვაგონე რანიცა ცეცხლი უშენოდ მდებთან. <sup>1)</sup>

ამ ერთ სტრიქონში **ც** მეორდება სამჯერ ზედიზედ, წინა სამ სტრიქონში  
კი არც ერთხელ. **ნ** მეორდება აქ ხუთჯერ, ხოლო შემდეგ ორ სტრიქონში კი ეს  
ბგერა სრულებით აღარ იხმის; სამაგიეროდ იქ სხვა ბგერების ალიტერაციებია,  
მაგალითად **გ**:

აწ გულსა ეტყვის: „ვითამცა გდის ცრემლი, არ გაგხმობია,  
რას გარგებს მოკვლა თავისა, ეშმა ძნად თურმე გძმობია.

ეს შედარებით იწვიითი ბგერა ამ ორ სტრიქონში მეორდება შვიდჯერ,  
შემდეგ შვიდ სტრიქონში კი მხოლოდ სამჯერ. ის სტრიქონებიც, რაღა თქმა  
უნდა, ალიტერაციებით და ასონანსებით არის გამართული, მხოლოდ სხვა ბგე-  
რების საშუალებით, აი მაგალ-თად ერთ მათგანში—**უ**, **ნ**, **ხ**, **ვ**:

ნუთუ მომხვედეს ნახვა მზისა, ნუ ვიძახი მიწვიც უსა.

ან კიდევ იქვე—**ხ**. და განსაკუთრებით **ბ**:

მისა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა ჰგვანდის ბუსა.

ამ სტრიქონის შემდეგ მოდის ცნობილი ტაეპი: „რა ესმოდას მღერა  
ყმისა“..., რომლის მთავარი ბგერა არის **ხ**. ამოვსწეროთ ამ ტაეპის მხოლოდ  
უკანასკნელი სტრიქონი და **ხ**—ს გარდა აღვნიშნოთ ჯერ **ხ**. ლ. და თა:

იმღერს ლექსთა საბრალოთა ღვარისაებრ ცრემლნი სდიან.

ეხლა იმავე სტრიქონში ხაზი გაუსვათ **რ**—ს და, რაც ყველაზე უფრო სა-  
ინტერესოა, **ლ**—ს:

იმღერს ლექსთა საბრალოთა ღვარისაებრ ცრემლნი სდიან.

ეს ულამაზესი ბგერა **ლ** იმდენად იწვიითია ქართულ ენაში, რომ ამ  
სტრიქონის ზემოთ ოცდაშვიდი სტრიქონის მანძილზე, ის არ იხმის სრუ-  
ლებათ თუ მხედველობაში არ მივიღებთ იქვე ორჯერ გამეორებულ ერთსა  
და იმავე სიტყვას „მიიმღერის... მღერა“ <sup>2)</sup> არ არას არაერთხელ ექვი იმაში,  
რომ რუსთაველის შიირთ თავისი არა ჩვეულებრივად მდიდარი ალიტერაციით  
განიჩრევა ყველა დანარჩენი პოეტების შიირისაგან, მაგრამ ამის საშოლოდ

<sup>1)</sup> ამავე სტრიქონში ასონანსი:

„მას ვაგონე რანიცა“...

<sup>2)</sup> „ყმა წავიდა ღალი, ნაზი ნაღებები მიღ ნაერთობი (ამავე სტრიქონში, გარდა აღ-  
ნიშნულისა, ყურადღებას იქცევს თავსართი ნა). კიდევ: <sup>1)</sup> ილოცავს იტყვის: მაღალო ღმერთო  
ხმელთა და ზღვათაო. <sup>2)</sup> მტერთა ძლევა, ზღვათა ღლედა დამით მანერ განზობიდე.



დამტკიცებისთვის ჩვენ საკმაოდ არ მიგვაჩნია რუსთაველის ტექსტის გამოწერა და შიგ ერთნაირი ასოებისათვის ხაზის გასმა. ყოველგვარი მტკიცება იმდენად უფრო ობიექტიურია და, მაშასადამე, დამაჯერებელი, რამდენადაც ის ციფრების საშუალებით ხდება. ყველაზე უფრო სანდო ქეშმარიტება არის ის ქეშმარიტება, რომელიც ემყარება ციფრებს.

როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? შეიძლება თუ არა ალიტერაციის საკითხში ციფრების გამოყენება? ვიმსჯელოთ ასე: თუ ერთი პოეტი ლექსის სტრიქონში ერთსა და იმავე ბგერებს იმეორებს უფრო ხშირად, სხვა პოეტებთან შედარებით, მაშინ, ცხადია, მის სტრიქონში სხვა და სხვა ბგერების რიცხვი ნაკლები უნდა იქნეს უფრო, ვიდრე სხვა პოეტების იმავე მეტრის სტრიქონებში.

შევიდაროთ რუსთაველი ამ მხრით სხვა ძველ ქართველ პოეტებს, რომლებსაც უწერიათ შაირით, ესე იგი რუსთაველის მეტრით. შედარება მხოლოდ თანხმოვანი ბგერების მოვახდინოთ, ვინაიდან ხმოვანი ბგერები, მათი სიმცირის გამო, თითქმის ყველანი გვხვდებიან შაირის ყოველ სტრიქონში, და ამიტომ მათი დათვლა სხვა და სხვა პოეტების ლექსში არავითარ განსხვავებას არ მოგვცემს. ავიღოთ რაც შეიძლება ერთმანეთისაგან დაშორებული მაგალითები, მაგრამ ისე რომ დაცული იყოს ერთგვარი წესრიგი, რომ არავითარ შემთხვევაში ნიმუშებს შერჩევის ხასიათი არ მიეცეს. ავიღოთ პირველი სტრიქონები „ფეხის ტყაოსანის“ ოთხი პირველი თავის (შესავალითურთ) და დავითვალოთ თუ რამდენი სხვა და სხვა თანხმოვანი ბგერა არის ყოველ ამ სტრიქონში.

აი ეს სტრიქონები:

1. რომელმან შეჰქმნა საძყარო ძალითა მით მლიერითა.  
რმლნშესქძთ=10
2. იყო აზაბეთს როსტყვან, მეფე ღვთისაგან სეიანი.  
ყრბთსტმფღგ=11
3. ნახეს უცხო მოყმე ვინმე სჯდა მტირალი წყლისა პირსა.  
ნხცმყვსჯდტწლპ=13
4. დასწერა თუ: ჩემო ყმანო, გამზრდელნო და ზოგნო ზრდილნო.  
დსწრთჩმზზლ=11

ოთხი სტრიქონის (ტაეპის) საერთო ჯამი—45

მიღებულ რიცხვს 45 ეწოდოთ ალიტერაციის კოეფიციენტი ტაეპისათვის. უნდა შევნიშნოთ აქვე, რომ, რაც უფრო მდბაალი იქნება ეს რიცხვი, მით უფრო მდიდარი უნდა იქნეს ალიტერაციით ტაეპი და, მაშასადამე, თუ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ რუსთაველის შაირი უფრო მდიდარია ალიტერაციით, ვიდრე სხვა პოეტების, მაშინ მიღებულ კოეფიციენტებში რუსთაველის ტაეპის კოეფიციენტი, როგორც რიცხვი, თავისი აბსოლუტური მნიშვნელობით საშუალოდ სხვებზე ნაკლები უნდა იქნეს.

ავიღოთ ეხლა წიგნი „ჩვენი ძველი მწერლობა“ (შედგენილი ს. გორგაძის მიერ), სადაც მოთაესებულია თეიმურაზის, არჩილ მეფის, გურამიშვილის და ბესიკის ლექსები შაირით. ამოვსწეროთ ყოველი მათგანის ოთხი სტრიქონი ზე-

შოალიწული წესით, ესე იგი ოთხი პირველი თავის პირველ სტრიქონებში, და დავითვალთ შიგ სხეა და სხეა თანხმოვანი ბგერები. 1)

თ ე ი მ უ რ ა ზ ი („ვარდ-ბულბულიანი“):

1. ჰე არისა შემოქმედო! შენგან არის ყოვლიფერი.  
რსშქდნგველუ=12
2. ზღვა დაწწარდა ლელვისაგან შეიცვალა ქარკეთილად.  
ზღედწწარღსგწეტ=17
3. ბულბულისა რალა ვითხრა მრავალგვარად ყუფა მღერა?  
ბლსრგთხმვდუფ=13
4. აწ ბულბულსა სიტყვა უთხრა მქისე რამე არ თუ ტკბილი. 2)  
წბსტყეთხრმკლ=13

საერთო ჯამი 55

ა რ ჩ ი ლ მ ე ფ ე („არჩილიანი“):

1. პირველ უნდა ლეთის შიშზედა კაცმა გული დაამყაროს  
პრვლნდღოსშსკმგყ=16
2. თვით შეექნათ მათ ცილობა, სხვათ მკლქსეთ არ ირვეენ.  
თვშქნკლბსხრ=12
3. ისინე ჩემი აზბავე ყმაწვილობიდან კაცებად 3)  
სმნზვეწლდგკც=13
4. ამ საქმების 4) წინას ხნითვე დედამ ყენს შემახვეწა.  
მსქზწნბთედყშ=12

საერთო ჯამი 53

და ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი („ავურანიანი“):

1. ღმერთო, რომელსა გაქონან 5) არსის საყდართა ჯდომანი.  
ღმრთლსგქწყდჯ=12
2. ქართლის კირსა ვერეინ მოსთელის, თუ არ ბრძენი ენამკვეერი.  
ქრთლსკენბძმ=11

1) ვისაც ლექსისათვის სმენა შეჩვეული აქვს, მისთვის არავითარი სტატისტიკა საჭირო არ არის, ის მიხედება, რომ ყველა ქვემოთ მოყვანილი პოეტების სტრიქონები ერთმანეთისაგან თითქმის სრულებით არ განირჩევიან, სამაგიეროდ რუსთაველის სტრიქონის მუსიკალური კომპოზიცია გამოყოფილია და სდვას ცალკე.

2) პირველ სტრიქონში „ყოვლიფერი“, მეორეში — „ქარკეთილად“, მესამეში — „ტკბილი“ თავიანთი ფონეტიკური შემადგენლობით სრულებით არ ეთანხმებიან იმავე სტრიქონების დანარჩენ სიტყვებს. თანხმოვანი ბგერები პირველ სიტყვაში — ველფ მეორეში — ქრკთ მესამეში — ტბლ ეკველად საჭიროებენ უაზლოვს გამოხმავრებას სხვა სიტყვებში. რუსთაველის სმენა ამას ვერ აიტანდა.

3) აქ სიტყვა „კაცებად“ თავისი მკვეთრი ბგერებით კვ სრულებით არ უდგება სტრიქონის დანარჩენ სიტყვებს და დიდი დეზორგანიზაცია შეაქვს შიგ.

4) ყოვლად აუტანელი ფორმა სიტყვის.

5) აუტანელია ეს სიტყვა.



3. იჯდა ყენად შახ-თამაზ ძე ძისა შა—აბაზისა: ჯდუნშხთმშძ=10.
4. შეკრბენ ქართლის ბატონ-ყმანი ერთად თავი მოიყარეს. შკრბნქთლსტყმდღ=14.

საერთო ჯამი 47.

ბ ე ს ი კ ი („ასპინძის ომზედ“<sup>2)</sup>):

1. ასპინძის მიწა გიწამებს, ურგებ არს ჩემგან თქმულები. სპნძმწგბრჩთქლ=13.
2. ვაი, მის დღისა მომხსენვან ვითა ვინ რით განვაჭიქო?! ემსდღხნთრგქ=11.
3. გამოვლეს წყალი ოსმალთა და აგრევ ლეკთა ყიეინით. გმვლსწყითდგრკენ=14.
4. პირველ მიმართე წინ-მბრძოლთა დელებთა შუბოსანათა. პელმრთწნბძდშს=13.

საერთო ჯამი 51

როგორც ვხედავთ რუსთაველის ტაეპის კოფეციენტი თავისი აბსოლუტური მნიშვნელობით გამოვიდა ყველაზე დაბალია—45, შემდეგ მოდის გურამიშვილი—47, ნერმე ბესიკი—51, არჩილ მეფე—53, თეიმურაზი—55, დალაგება საინტერესო გამოვიდა: გარდა თეიმურაზისა, რომელიც სრულიად უსამართლოდ მოექცა არჩილ მეფის შემდეგ, თითქოს ყველანი თავის ადგილზე არიან. მაგრამ ცხადია, რომ ვერავითარ შემთხვევაში ოთხი სტრიქონი ასეთ დიდმნიშვნელოვან საკითხს ვერ გადასწყვეტს. ასეთი მცირე ნასჭრებით მოხდენილ ცდაში რაიმე შემთხვევითი მოვლენას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს, მაგალითად თეიმურაზის სტრიქონებში შემთხვევით ერთი ჩვიდმეტნიანი სტრიქონი მოხვდა, რამაც მთელი ტაეპის კოფეციენტი მეტად მაღლა ასწია, ასეთი შემთხვევითი ტაეპი შესაძლებელია რუსთაველსაც ბევრი ექნეს. განვავარძოთ ცდა, ავილოთ „ვეფხისტყაოსანის“<sup>3)</sup> შესავალში ოცი პირველი ტაეპის პირველი სტრიქონები, გამოვიანგარიშოთ ზემოაღნიშნული წესით ყოველი სტრიქონის (სულ ოცი სტრიქონი) სხვადასხვა თანხმოვანი ბგერების რაოდენობა და შემდეგ ოთხ-ოთხი სტრიქონი შევჯამოთ ერთად, სულ გამოვა ხუთი კოფეციენტი ტაეპის, ასევე მოვიქცეთ თეიმურაზის, არჩილ მეფის, გურამიშვილის და ბესიკის ზემოაღნიშნული პოემების მიმართ. ვინაიდან ბესიკის პოემა „ასპინძის ომზედ“ სულ თერანეტ ტაეპს შეიცავს და მათი პირველი სტრიქონების გარდა საჭიროა ოქ-

<sup>1)</sup> ეს სტრიქონი ძალიან ჩამოგავს რუსთაველის ტიპიურ სტრიქონს, საერთოდ გურამიშვილს ემსგავსა რუსთაველის გაგლემა.

<sup>2)</sup> ვინაიდან ეს პოემა, რომელიც შესდგება ექვსი თავისაგან, წიგნში „ჩვენი ძველი მწერლობა“ მოყვანილია შემოკლებით (სამი თავი), ამიტომ ეს ოთხი სტრიქონი ამოღებულია თვითონ ბესიკის წიგნიდან.

<sup>3)</sup> უკანასკნელი გამოცემა მთავრიშვილის, სადაც ტაეპები და თავები დალაგებულია ჩვეულებრივად მიღებული წესით.



ერეკონული

ნება კიდევ ორი სტრიქონი, ამიტომ ამ ორ სტრიქონად აქტივობის სტრუქტურული ტაბლის მეორე და მესამე სტრიქონი. გარდა ამისა, „ვეფხისტყაოსნის“ შესავალთან შედარებისათვის ავიღოთ კიდევ პოემის დასაწყისიდან („იყო არაბეთს როსტევან“...) იმგვარივე წესით ოცი სტრიქონი. მე მოვიყვან აქ მხოლოდ ოთხ-ოთხი სტრიქონის ჯამს და ბოლოს თვითნებური პოეტის საშუალო კოეფიციენტს:


რუსთაველი		თეიმურაზი	გურამი-შვილი	ბესიკი	არჩილ მეფე
პროლოგი	პოემის დასაწყისი				
45	43	50	51	51	49
48	51	47	48	56	49
45	44	48	48	47	54
46	43	48	51	50	57
47	47	46	51	56	53
46,05	45,8	47,8	49,8	52	52,4

აქ მიღებულია ციფრებმა ყველა ეს პოეტები წინანდელ ადგილზე დასალოვა გარდა თეიმურაზისა, რომელიც ეხლა რუსთაველის შემდეგ მიდის, არჩილ მეფე კი სამართლიანად მოექცა ბოლოში. თუ რა ნაკლი აქვს ასეთ ანგარიშს საერთოდ და რამდენად შეიძლება დავერყუნოთ მას, ამის შესახებ ლაპარაკი იქნება ქვევით, ჯერ კი უსათუოდ ყურადღების მისაკცევეია ის გარემოება, რომ რუსთაველი ყველგან წინ მიდის. გარდა ამისა, შესავლისა და პოემის დასაწყისის საშუალო ციფრები რაღაც ორი მეათედით განსხვავდება ერთი მეორესაგან, მაშინ როდესაც სხვა პოეტებთან შედარებით განსხვავება ორზე ნაკლები აღარ არის. საინტერესოა აგრეთვე ის გარემოება, რომ რუსთაველის რვა ტაქში („ტაქს“ აქ ეხმარობთ პირობით, ვინაიდან სტრიქონები სხვა და სხვა ტაქტებს ეკუთვნიან) მხოლოდ ერთი ასცილდა 48-ს, ხოლო დანარჩენი პოეტების თექვსმეტ ტაქში მხოლოდ ორი დასცილდა ძირს იმავე რიცხვს. მიღებული ციფრების ურთიერთი დამოკიდებულება რომ უფრო თვალსაჩინო იქნეს, ჩვენ შეგვიძლია მათი საშუალებით შევადგინოთ დიაგრამები. დიაგრამაში № 1 შედარებულია ვეფხისტყაოსნის „პროლოგი“ სხვა პოეტების ლექსებთან.

დიაგრამაში № 2, სადაც შედარებულია „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისი, „იყო არაბეთს როსტევან“... აღნიშნულია მხოლოდ თეიმურაზის ხაზი, დანარჩენები იგულისხმებიან ძირს.

ეხლა ავიღოთ ის ოთხი სტრიქონი მთელი „ვეფხისტყაოსანიდან“, სადაც ნახსენებია რუსთაველი და მესხი, თანაც აღვნიშნოთ ზოგიერთი ალიტერაციები შიგ:






დიაგრამა № 1<sup>1)</sup>

1. დავსაგე რუსთველიდან გავლექზე მიხთვის გულ-ლახვიარ-სობლი-  
დესჯრთლმნგეკზ=13
2. მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი.  
მრსთვლბქდ=10
3. ვსწერ ვინმე მესხი მელექზე მე რუსთველისად ამისა  
ვსწერენმხლქოდ=12

<sup>1)</sup> გორიზონტალური ხაზები წარმოადგენენ საშუალო კოეფიციენტების ხაზებს.



დიაგრამა № 2.

1. ტარიელ მისხა რუსთველსა მისთვის ცრემლ შეუმკობელსა  
ტრლმსთვეშ=10

საერთო ჯამი . . . . . 45

ზემოთ ჩვენ გამოვიანგარიშეთ ოცი ტაეპის კოეფიციენტი ოთხი ცნობილი პოეტისათვის და არცერთი მათგან 45-დე არ დასულა.

გამოვიანგარიშეთ ეხლა იმ ტაეპების კოეფიციენტები, რომლებშიაც ეს ოთხი სტრიქონი შედის:

1. („მო დაესხდეთ ტარიელისთვის“...) . . . . . 50<sup>1)</sup>
2. „მე რუსთველი ხელობითა“... . . . . . 45
3. „გასრულდა მათი ამბავი“... . . . . . 47
4. „გამიჩრან დ რეჯანის (მე“... . . . . . 48


საშუალო . . . . . 46,25

ეს საშუალო რიცხვი რუსთაველისათვის ზემოთ გამოყვანილი რიცხვისაგან განსხვავდება რალაც ორი-სამი მეათედით მხოლოდ. შევიდაროთ დიაგრამაში

<sup>1)</sup> ეს ტაეპი ყველაზე ნაკლებ კეთილზმონაია ამ ოთხ ტაეპში და კოეფიციენტზე შედარებით უფრო აქვს.



№3 ეს ოთხი ტაევი თეიმურაზის (დანარჩენები იგულისხმებიან) ოთხ პირველ ტაევს.



დიაგრამა №3

აი კოეფიციენტები მთელი ბოლოსიტყვაობის, რომელიც სულ ხუთი ტაევისაგან შესდგება:


1. („გასრულდა მათი ამბავი“...)	47
2. („ქართველთა ღვთისა დავითის“)	43
3. („დავითის ქნანი ვითა ვოქენე“...)	46
4. („ესე ასეთი ამბავი“...)	46
5. („ამირან დარეჯანის ძე“...)	48
საშუალო	45

ბოლოსიტყვაეობა მეტად მდ დარია ალიტერაციებით, და ჩვენ ვხედავთ, რომ მისი ხუთი ტაევის კოეფიციენტებიდან არც ერთი ორმოცდაშვიდს არ ასცილებია, ბოლო ზემოდ გამოანგარიშებული სხვა პოეტების ოცი ტაევის კოეფიციენტებში მხოლოდ ერთი (თეიმურაზის—46) დასცილდა ამ რიცხვს. დიაგრამა №4 გვიჩვენებს ამ ხუთი ტაევის ხაზს თეიმურაზთან შედარებით.

ცხლა დავსვათ საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მისაღებია და სანდო ლექსის მუსიკალობის ასეთი გამოანგარიშება. ეს ანგარიში ტლანქია მეტად-

ერეკენული  
პრეზენტაცია

აქ არ შედის ხმოვანი ბგერები, აქ იკარგება თანხმოვანი ბგერების მარტივი ალიტერაციების უმეტესი ნაწილი, ვინაიდან ერთი პოეტი ერთი და იმავე ბგერის ორი ან სამი მოხერხებული გამეორებით ჰქმნის მუსიკას, ხოლო მეორე პოეტის სტრიქონში იგივე ბგერა იმდენჯერვე ან უფრო მეტჯერაც გამეორდება, მაგრამ ამ გამეორებას ექნება შემთხვევითი და უწყესრიგო ხასიათი. ამის მაგალითად ავიღოთ რუსთაველის სტრიქონი:



ლივარამა №4

სიბრძნე სიმდიდრე სიუხვე სიყმე და მოკალეობა.

შევიდაროთ მას არჩილ მეფის ასეთი სტრიქონი:

რას მიერჩი მას რიტორსა არ ანებებ მისხა მასა?

პირველში ბგერა ს მეორდება ოთხჯერ, მეორეში ექვსჯერ, მაგრამ რა დიდი განსხვავება არის ამ გამეორებათა შორის! რუსთაველის სტრიქონში ს წარმოადგენს იშვიათ ალიტერაციას, არჩილისაში კი იგივე ბგერა მთავარი ადამიანივით ეხუთკება ხან აქეთ, ხან იქით და ჰქმნის სრულ დესგარმონიას.

აი კიდევ მაგალითი: რუსთაველის სტრიქონში ხ-ს მარტივი ალიტერაცია: ვინცა ისწინოს დაესვას ლახვარი გულსა ზეული.

თეიმურაზის სტრიქონში იგივე ბგერა:

ივ ოსტატი ზელოვანი პირველ იყო, განა ახლა!

ამ მკვეთრი ბგერის გამეორება მკაფიოდ ისმის ორივე სტრიქონში, მაგრამ პირველის ეფექტი სხვა არის, მეორესი სულ სხვა. ხოლო ჩვენ მიერ მიღ-



ბული გამოანგარიშება კი ერთნაირად აღნიშნავს ორივეს. ყველა ამ მიზეზების გამო შეუძლებელია ზემოაღნიშნული წესით საერთოდ პოეტების დაფასება ალიტერაციის მხრით; მაგრამ ერთი რამ უდაოდ ცხადია: რუსთაველის ლექსი იმდენად მდიდარია ალიტერაციით, რომ ეს ტლანქი გამოანგარიშებაც კი აღნიშნავს განსხვავებას და გამოჰყოფს რუსთაველს დანარჩენი პოეტებისაგან. რუსთაველს ძალიან ხშირად აქვს ისეთი იშვიათი ბგერების მარტივი ალიტერაციები, რომლებიც მეორე პოეტის სტრიქონში შემთხვევით ძნელად თუ გამოვრდებიან, მაგალითად: „...ტარიელს ტურფადცა უნდა ხსენება“, „ძალითა მითძლიერიითა“, „იმღერს ლექსთა საბრალოთა ღვირისაებრ ცრემლნი სდიან“ და სხ. <sup>1)</sup> აი ასეთი იშვიათი ბგერების მარტივი ალიტერაციები და ხშირად შესახვედრი ბგერების ზოგჯერ განსაკუთრებული დაყინებით გამოვრება ჰქმნიან ამ განსხვავებას, რომელიც ნამდვილ განსხვავებას არაკეთიარ შემთხვევაში არ შეეფერება. ნამდვილი განსხვავების გამოანგარიშება რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ რუსთაველის ტაეპის კოფიციენტი უდიდესად დაწორდებოდა დანარჩენი პოეტების კოფიციენტებს. სხვების ადვილები კი შემთხვევითად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ანგარიშში, ვინაიდან მათ შორის არ არის ისეთი დიდი განსხვავება, რომ ასეთმა ტლანქმა გამოანგარიშებამ შესაძინებოდ ნათელ ჰყოს იგი. <sup>2)</sup>

ზემოთ მოყვანილ გამოანგარიშებას არცა ჰქონდა მიზნად საერთოდ პოეტების გრადაციის მოხდენა, იქ მხოლოდ რუსთაველია დაპირისპირებული სხვა პოეტებთან, უნდა ითქვას, საკმაოდ დიდი მასშტაბის ცდაში — თექვსმეტი ტაეპი ერთი მხრით, ოცი მეორე მხრით, — რაც უთუოდ ბევრ რამეს ამტკიცებს. მაგრამ საერთოდ კი ეს საზომი, ვიმეორებთ, მეტად საფრთხილოა და რუსთაველის შიგა და შიგ ალებული ცალკე ტაეპების სიყალბის ან სინამდვილის გადაწყვეტის დროს მას ვერ დავუყრდნობით, თუნდაც ამა თუ იმ შემთხვევაში მიღებული ციფრები ძალიანაც უწყობდნენ ხელს სასურველი აზრის დამტკიცებას.

მაგრამ რუსთაველს აქვს სტილის ერთი გასაოცარი თვისება, <sup>3)</sup> რომელიც დაკავშირებულია იმავე ალიტერაციის საკითხთან და რომელსაც უეჭველად ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა „ვეფხისტყაოსანის“ შესწავლის საქმეში. ეს არის სიტყვის გამოვრება. ბ გ ე რ ი ს გ ა მ ე ო რ ე ბ ი ს მ ი ზ ნ ი თ რუსთაველი იმეორებს სიტყვებს, მაგრამ როგორ იმეორებს! ისე კი არა, როგორც

<sup>1)</sup> კიდევ საჭიროდ მიგვანია აღვნიშნოთ, რომ იშვიათი ბგერების ასეთი დაწყვილება არამც და არამც შემთხვევითი არ არის. იმას, ვისაც ეს არა სჯერა, ჩვენ ვსთხოვდით გადაათვალიეროს „ვეფხისტყაოსანში“ ის სტრიქონები, სადაც დასახვლებულია ერთი მხრით ტარიელი, მეორე მხრით აფთანდილი, და მიჰქვიოს იქ ყურადღება სხვა სიტყვების ბგერებს. ის დარწმუნდება, რომ პირველი რაიკის სტრიქონებში, მეტად ბევრია ისეთი სიტყვები, სადაც არის ბგერა ტ (მთავარი ბგერა სიტყვაში „ტარიელი“) ხოლო მეორეში კი ძალიან ცოტა; ს. — მაგიეროდ იქ, სადაც აფთანდილია ნახსენები, ხშირად გაისმის ბგერები თ, ც, ლ, (ავთანდილი). ამის შესახებ კიდევ გვქმნება ლაპარაკი ჯვმოთ.

<sup>2)</sup> თუმცა საფიქრებელია, რომ დიდი მასშტაბით მოხდენილი ცდების დროსაც აღინიშნება განსხვავება, მაგალითად, თეიმურაზსა და არჩილ მეფის შორის პირველის სასარგებლოდ.

<sup>3)</sup> არა ნაკლებ გასაოცარია ის გარემოება, რომ რუსთაველის შედევარებს სრულებით არ მიუტყცივით ნისთვის ყურადღება. აქვს შენიშნული ეს გაყვრით მხოლოდ ი. აბულაძეს.

ეს თანამედროვე პოეზიაში ხდება ხოლმე, როდესაც პოეტი იმეორებს სიტყვას ან ფრაზას უცვლელად, ისე რომ შესაძლებელი ხდება სტრიქონიდან მისი ამოღება და ნაცვლად სხვა სიტყვების ჩართვა, რაც უშუალოდ უარყოფითია, ვინაიდან ლექსის იდეალური სტრიქონი ისე უნდა იყოს დაწერილი, რომ მასში, არა თუ სხვამ, თვით ავტორმაც კი ვეღარ უნდა შესძლოს რაიმე ცვლილების შეტანა. რუსთაველი კი იხმარს ხოლმე სიტყვას, შეუცვლის მას მერმე გრამატიულ ფორმას და გაიმეორებს იმავე სტრიქონში, რის შემდეგ გამეორებული სიტყვა ორგანიულად უკავშირდება ფრაზას და შეუძლებელი ხდება მისი ადგილიდან დაძვრა.

აი ამისი მაგალითი:

დღეს ერთი უნდეს, ხეაღე სხვა, სთმოზდეს გაურისა თმოზასა,  
სჯობს სახელისა მოხვექა ყოველსა მოსახვექელსა.  
საუბარბან უმეცარბან შმაგი უფრო გააშმაგოს.  
ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხნელსა ნელსად.  
ჰხამს მოყვარე მოყვარისათვის თავი ჰიროსა არ დამრიდად.  
გული მისცეს გულისათვის; სიყვარული გზად და ხიდად.  
აეად შუჭურის მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება.  
სჯობს უყოლობა კაცისა მომდურავისა ყოლისა.  
არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა.  
წესი არის მანათიან მოჭირვება ჰირთა თმენა.

ზოგჯერ რუსთაველი ერთსა და იმავე სიტყვას სამჯერ იმეორებს სტრიქონში სულ სხვა და სხვა ფორმით.

აი სტრიქონი, რომელშიაც ქარ-ცეცხლივით არის დატრიალებული ერთი სიტყვა:

ნახეს და ნახვა მოუნდათ უცხოთა სანახავისა.

უცნაურია ეს სტრიქონი აზრის მხრით: „ნახეს“ და იმავე წიგნში „ნახვა მოუნდათ“! ეს არ შეიძლება. იმათ კი არ მოუნდათ ნახვა, პოეტის მუსიკალურ სმენას დასჭირდა ამ სიტყვის გამეორება, და რუსთაველმაც გაიმეორა იგი სამჯერ, რის შემდეგ მთელი სტრიქონი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ფოლადის სპირალი იყოს შიგ ჩაგრებილი. მაგრამ დივიანებოთ თავი შემთხვევითი მაგალითების მოყვანას, მოძებნა ყველაფრის შეიძლება. მივმართოთ სტატისტიკას. რა უნდა ჰქონდეს საერთო პოეზიას სტატისტიკასთან? არსებითად არაფერი, მაგრამ დიდი პოეტის შემოქმედებას ყოველთვის ახასიათებს განსაკუთრებული შინაგანი ბუნება, და ამ ბუნების შესწავლის დროს სტატისტიკას შეუძლია ხშირად აღმოაჩინოს მასში გასაოცარი კანონზომიერება. მხოლოდ უნიკო პოეტისათვის არ არსებობს არაერთარი შინაგანი კანონები, გარდა თვით უნიკობისა, რომელიც ფატალური აუცილებლობით თან დასდევს ყოველ მის სტრიქონს. ცნობილი რუსი პოეტი და პოეტიკის შესანიშნავი მკოდნე ანდრეი ბელი ერთ თავის წერილში პუშკინის, ტიუტჩევის და ბარატინსკის შესახებ ამბობს: „საჭიროა სტატისტიკა; საჭიროა ბარატინსკის, პუშკინის, ტიუტჩევის სიტყვათა ლექსიკონის კოდნა“.)

1) Андрей Белый—Тосная слова.

მოვხდინოთ სიტყვის გამოვრების სტატისტიკა „ვეფხისტყაოსანში“ სხვა პოეტების ლექსებთან შედარებით. ავიღოთ იგივე „ჩვენი ძველი მწერლობა“. შიგ მოთავსებულია თეიმურაზის 196 (დაახლოებით 200) სტრიქონი ლექსი. წავიკითხოთ და აღენიშნოთ ყველა ის სტრიქონები, სადაც ადგილი აქვს სიტყვის გამოვრებას რაიმე სახით. ასეთი სტრიქონი შეგვხვდება სულ ცამეტი, აი ისინი:

1. მყინვარება ზამთრის ყინვა დაღნა გაღნა, ვითა ცეცხლად.
2. ცა ყინვა ზედ, ყინვა წყალზედ ადრიდანვე დაასახლა.
3. გამდიდრებული ბალი და მებაღე არ დაესილაო.
4. ბალი, ბაღია და წალკოტი შეამკო დააშენა მან.
5. გაზედავ უთხრა: დამარხეთ, რა ბაღში მოვა მებაღე.
6. შენთვის კედების და იწვების პირის-პირ გიზის მხერადო.
7. რა წახვალ, დაიკარგების; რა მიხვალ, მოვა ესეცო.
8. არ დაიშალა ბუღბუღსა სიტყვისა ეტყვის მწირესა.
9. ეს ვის ასმია სულდგმულსა, ხელს უთხრის: ნუ ხარ ხელიო.
10. ცეცხლსა მოვიდებ უშრეტსა, ნუ დაგეწვების მწვეელიო.
11. თეთრი ვარ ბროლის უთეთრე, ყირმიზი ლალის გვარადო.
12. შენით შეენის და იხარის წალკოტი ბაღია ბაღადო.
13. არარსის არსად მომყენო უსულოდ სულთა მშერაო.

აჩილ მეფეს 200 სტრიქონში (გადათვლილია თავიდან) აქვს ხუთმეტი გამოვრება სიტყვის, გურამიშვილს თექვსმეტი, ბესიკს ამ წიგნში მოთავსებული „ასპინძის ომის“ 52 სტრიქონში არცერთი. თვით ეს გამოვრებანი, მეტად ჩვეულებრივი ფორმისაა<sup>1)</sup> და უმეტესი მათგანი უბრალო ლაპარაკის დროსაც ხდება ხოლმე, რის გამო ისინი, შემთხვევითად უნდა ჩაითვალოს. სამაგიეროდ რუსთაველის სიტყვის გამოვრება, უმეტეს ნაწილად მეტად უჩანურია და, ყოველ შემთხვევაში სრულიად უჩვეულო.<sup>2)</sup> იმავე წიგნში „ჩვენი ძველი მწერლობა“

1) გარდა გურამიშვილის ზოგიერთი გამოვრებისა.

2) აი განსაკუთრებით უცნაური გამოვრების ნიმუშები (სტრიქონებს ვეჯდით მიწერილი აქვს სხვა და სხვა თანხმუანი ბეჭდების რიცხვი):

1. მზე აღარ მხეობს ივენიანა დარი არ დარობს დარულად (11)
2. ერთ არსების ერთისა, მის უფამოსა ქამისად (7)
3. მან გაა ხაფოს მან ხაფი, ვლავ უფრო გასახაფავი (9)
4. მოცვარე მტერი მოყერი სატრისა გან უფრო მტერია (8)
5. ვერ მიშინა ზღოს საახდოთ კრულმან პირთა კრულითა (9)
6. თვითო და თვითო თვითოსა ჭაღსა დასებოდა (8)

ასეთი სტრიქონები მრავალია „ვეფხისტყაოსანში“. აქვს უნდა შენიშნოთ, რომ რუსთაველი არა მარტო ალიტერაციისათვის, ნორად რითმის ვაზთ რწორებს სიტყვას. არის ნოდ-მე ისეთი შემთხვევა, როდესაც მას რითმისათვის მეტად მოელოდნენ ფორმაში ჩასმული სიტყვის ხმარება უნდობა, და მაშინ ის იმეორებს ამავე სიტყვას სტრიქონში წინასწარ, რომ ამათ მკითხველი შეამზადოს მოულოდნელი რითმის ასათვისებლად. აი ამის ნიმუშები:

1. მაღვა მწაფს, მაგრა გარდაზნდა ეამი პატოთა საშალიო.
2. გაიღობ ჰირნი ჩემნი, მკურანე რაცა მკურანებოს.
3. მისი ნახვა გელსა ჩემსა ვითა ბადე დაებადო.
4. შენ თუ მოგვლა სასხლნი შენი შენმა კედმან მიიქედნეს.
5. ვარდმან ფერი განანათლა, ბროლი ბროლდა, სათის სათდა.
6. სამთავ დანეთა აღაში არღენის ფერად აღამნეს.

(იხ. კიდევ თავები: 680, 694, 714, 855, 9, 4, 854, 949, 1090 და სხ.)

ბა მოყვანილია ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“ გადაცემულია (აქ შევა 68 სტრიქონი შესავლის, დანარჩენი პოემის ტექსტიდან) და აღნიშნით რამდენი სიტყვის გამოორება შეგვხვდება ამ მანძილზე; აი ეს გამოორებანი:

1. რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა.
2. ვით მარგალიტი ობოლი ხელის—ხელ საგოგმანები.
3. ვპოვე და ლექსად გარდავთვეი, საქმე ექმენ საკოკმანები.
4. მუშა მიწყევ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს.
5. კელავ მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს.
6. არცა ვისგან დაეწუნის, არცა სხვათა უწუნობდეს.
7. ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობთ მიჯნურობასა.
8. დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა.
9. ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
10. საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი
11. მართ აგრევე მოღუქსეთა ლექსთა გრძელთა თქმა და ხვეა.
12. სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული.
13. სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული.
14. მე ვარდავსულვარ, სიბერე მჭირს, ქირთა უფრო ძნელია.
15. ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირსპასალარისა.
16. ნახის ცეცხლნი გაუახლდის, წყლული გახდის უფრო წყლულად.
17. რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა.
18. არაბეთს ვასცა ბრძანება დიდმან არაბთა მულობელმან.
19. ვეზირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა დასისა.
20. დასვა და თავსა გვირგვინი დაადგა თავის ხელითა.
21. დაპლოცეს და მეფედ დასვეს, ეება უთხრეს სხვაგნით სხვათა
22. უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.
23. უხვად გასცემდი, ზღვითაცა შესდის და გაედინების.
24. სმა-ჰამა—დიდად შესარგი, დება რა სავარგულია.
25. თინათინ მხესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა.
26. მოიბზო მისი გამწრდელნი, ერთგული ნაერთგულევი.
27. მომართვით ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი.
28. მერმე ბრძანა: „ვიქმ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა“.
29. რომე ჰგავდა სიუხვითა ბუქსა, ზეცით ნაბუქალსა.
30. ნაძლევისა მათისათვის ისროდეს და ერთგან ჰსვრიდეს.
31. მინდორსა იქით წყალი სდის და წყლისა პირსა კლდენია.
32. ლაშქართა შექმნეს მოდენა, მოსდგეს უფროსი ბზეთასა.
33. ახლოს უდგს მონა თორმეტი, უმხნესი სხვათა მხნეთასა.
34. ჰნახეს და ნახეა მოუნდათ უცხოთა სანახავისა.
35. მუნვე სწვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ლარი საღ.

ეხლა გადავივლოთ ორასი სტრიქონი ბოლოდან (იმევე წიგნით) და აღნიშნით შიგ მოხვედრილი ყველა სიტყვის გამოორება.





ეროვნული  
წიგნიწიგნი

აი ისინი:

1. ფრიდონ გზა იცის, იარეს, დღისითა ღამით რებულთა.
2. ფრიდონ სთქვა: „ეახლავთ არეთა ჩენ ქაჯეთს მიახლებულთა“.
3. ფრიდონ სთქვა: ვიტყვი სიტყვასა, ვიქვ ჩემი არ დამცდარია.
4. ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან.
5. თქვენცა მუნ მოდით, სადაცა ვესმით ზრიალი ზარისა.
6. სთათბირობ ძნელთა თათბირთა, მტერთა ივაგლახ—ივიან.
7. მაგრა თუ გესმის გოშავნი რა ახლო ახლო ჰყვივიან
- 7ა. წაგახდეს ცუდად ყველაი, დაგრჩეს ცუდი—ლა ფერება.
8. საეპროდა შევეყავში, ვიქმ საქმესა მე მუხთალსა.
9. ტარიელ უთხრა: „მე თქვენი უცან გმირთა მეტი გმირობა“.
10. თქვენსა ძალ-გულსა თქვენ ივე ჰგავს თათბირობა, პირობა.
11. ოქვენ გქონდეთ ოში ფიცხელი უომრად მნახოს მე ვითა.
12. სამთავე სამგნით მიემართოთ, ფიცხელად დაესხლიტოთ ცხენები.
13. მან ერთმან შიგნით შიგანი მიესკეთ სისხლისა ღვარებსა.
14. ცხენებსა წესხდეს, აიღეს მათ მათი ჩაბალახები.
15. მათ სამთა შვიდნი მნათობნი ჰგარყენ ნათლისა სვეტითა.
16. დაჰლიენეს მტერნი ომითა ვითა მჭვრეტელნი ჰვრეტითა.
17. მზე მნათობთაცა დაჰფარავს, არცაღა ნათლად ზომია,
18. აჟ იყურები, მსმენელო, გესმნეს ფიცხელი ომია.
19. სამთავე სამად გაიყვეს, თვითომან თვითო კარები.
20. სამთავე სამად გაიყვეს თვითთმან თვითო კარები.
21. სამთავე სამგნით მიჰმართეს, თავსა მით ლყვეს რიალი.
22. სენეს ნაქმრად ტარიელისად, სთქვეს: „საქმე არს მისეული“.
23. მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეჭლო ყელი ყელსა.
24. მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეჭლო ყელი ყელსა.
25. სამასისა კაციისაგან ას-სამოცი შეჭყოლოდა
26. მას წინა ღამით ძალედვას მხატვარსა ხატვა ხატისა.
27. აჰ, მიჰხედეს შესაფერნი ყმა ქალსა და ქალი ყმასა.
28. აჰ, მიჰხედეს შესაფერნი ყმა ქალსა და ქალი ყმასა.
29. ყოლა ღზინთა ვერ იამებს კაცი ღზინთა გარდუხდელთა.
30. რაცა შენ ჰქმენ, არ უქმნია არ გამზრდელსა, არცა ზრდილსა
31. რაცა შენ ჰქმენ არ უქნია არ გამზრდელსა, არცა ზრდილსა.
32. ზედან დაგსავმ, წენი იყოს, გემსახურებდი ტკბილი ტკბილსა.
33. მონებისა უკეთესი რამც ვიწოვე, რამც ვიქონე.
34. ორგულთა მისთა დამწველად, ერთგულთა დამახმარებლად.

გამოვიდა ორივეგან 35 გამეორება. ეხლა ავიღოთ „ეფეხვის ტყაოსანის“.

უკანასკნელი გამოცემა გადავიკითხოთ ყველა ორმოცდაშვიდი თავის (მათ შორის შესავალიც) პირველი ტაეპი (47 ტაეპი = 188 სტრიქონი) და ამოვიწეროთ სტრიქონები, სადაც სიტყვის გამეორება შეგვხვდება:

1. რომელმან შეტქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა.

2. დასწერა თუ: „ჩემო უმანო, გამზდელნო და ზოგნის წყნარება“.
  3. ისმენდი, მიეც გონება ჩემთა ანბანთა სმენასა.
  4. მიბრძანა თუ: „ქალი ვნახოთ,“ ხელი ხელთა დამიჭირა.
  5. ვინცა ურჩ ექმნას, იქმნების თავისა არ მადლიერი.
  6. მოეწერა: „რამაზ მეფე წიგნსა გიწერ ტარიელსა.
  7. გამოკვირდა, რა ეწერა წიგნსა შენსგან მონაწერსა.
  8. წიგნი დაესწერე: „მეფეო, სვემცაა თქვენი სვიანად.
  9. მიუწერე: „მხო, შუქი შენი შენგან მონათენი.
  10. ღამით შეელო მოვიდოდი ზღვისა პირსა, აზნდეს ბაღნი.
  11. არ ვიამის კაცთა ნახეა, მიდაღვიდის გულსა დაღნი.
  12. ფრიდონ მითხრა: „გითხოვ რასმე, ვთამაშობდით, ცხენსა ესხედით.
  13. შენგან თავისა შენისა საჩემოდ გამომჩვენელი.
  14. ჰე, მეფეო, გავიპარე ძებნად ჩემგან საძებრისად.
  15. უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო.
  16. მთვარე მზესა მოეშოროს, მოშორება განანათლებს.
  17. რა იახლოს, შუქი დასწვავს, გაეცრების ვერ იახლებს.
  18. იშუპ უნდოდით გასაყრელად პირველერთგან არ შეგყრიდა.
  19. ვაჰ, სოფელო, რაშივან ხარ, რას გეაბრუნებ, რა ზნე გჭირსა.
  20. სად წაიყვან სადაურსა სად აღუფებრი სადით ძირსა,
  21. მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა.
  22. ეს სამეფო ვისი არის, ან მორჩილობს ვისსა ხმასა?
  23. გვარად უცხონი ყვავილნი, ფერთა ბევრის-ბევრითა.
  24. გილიზლებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის.
  25. „ჰე, მხო, ღმერთსა ვინადგან-მზედ სწადდი დასაბადებლად.
  26. შენცა გინდა, მეცა მინდა გაუწყვეტლად შენი ზღება.
  27. იგი უმა საწოლს მარტო წვა გულითა ჯავრიანითა
  28. არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარო, არცა ვინ წაეა გზობისა.
  29. შენი ვერავინ ვერა სენას, შენი სიმუხთლე სად არე;
  30. პირი მზისაებრ საჩინოსად უჩინო ჰყავ, სად არე?
  31. „პირ-მზე ვწერ, ამა ბაიუნო, დედისა მგობო დედაო“.
  32. მისმანვე ცრემლიან დაუვის ვის ედებოდა ვის ალი“!
  33. დასწერა: „ფრიდონ მაღალო, სვე-სრულო შეფეთ შეფეო,
  34. უმცროსმან ძმამან შორი-შორ სალაში დაეყუდო!
  35. ფრიდონ სთქვა: ვიტყვი სიტყვასა, იტყვი არ დამცდარია:
  36. პირის-პირი ამი არ ძალ-გვაქვს, არ ეამი საყვეხარია.
  37. თავსა მისსა უკეთესა უზადო ჰყოფს, არ აზადებს.
- გადავიკითხოთ ეხლა ამავე თავების უკანასკნელი ტაეპები (47 ტაეპი=188 სტრიქონი) და ანოვიწროთ სტრიქონები გამეორებული სიტყვით:
1. თუ მოყვარე მოყვარისათვის სტირს, ტირილსა ემართლებს
  2. ლაშქართა შექმნეს მოდენა, მოსდევს უფროსი ბზეთისა;
  3. ახლოს უდგს მონა თორმეტო, უმხნესი სხვათა მხნეთასა.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

4. მოსთქვამს: „პაი საყვარელო, ჩემო ჩემთვის დედაბუდე“.
  5. ცეცხლმან ცხელმან ვით ვერ დაგწვა, გულო ასჯერ და და გულო!
  6. ხატაეთს მყოფნი მოვიდეს,—მათგან მოსვლისა დრონია—
  7. „არცა რა ჩვენ ვართ ჯაბანნი, არც ციხე უმაგრონია.
  8. მიამბე მისი ამბავი, სხვად ნურად მეუბნები!“
  9. ინდოეთი ჩემი არის, არვის მიეცემ ჩემგან კიდე.
  10. ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა აღმოვებზირდე.
  11. ჩემნი გულისა მდებელნი, და ჩემნი შემაგონანი.
  12. მისნი ვერა ეცნენ ამბავი, ვერცა დრამისა წონანი:
  13. ლაშქარნი ფრიდონს მეფედ და მიხნობდეს მეფეთ მეფობით.
  14. აქათ ორ თვე არ მოვიდეს, ექიმსა ქმესა დაუგვანსა.
  15. ავად შეჭყერის მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება!
  16. ასრე უნდა სამსახური, გავიდოდეს ვისცავისი;
  17. მოეკედეს, თავსა ნუ მოიკლავ, სატანასგან ნუ ექმქმნილსა.
  18. შენ დაგამეტებს, ვერა ვინ მსახურებითა ვერიოთა.
  19. აწ ამბავი სხვა დავიწყო, უმასა წავეყვე წამავეალსა.
  20. ამა, ძმაო, მითხრობია ტირი ჩემი, რაცა მჭიროდა.
  21. ერთი აღმა, ერთი დაღმა, უგზეთ მივლენ შამბთა ევით.
  22. იგი ჰნახოს დაღრეჯილი, მზე დაიღრეჯს მისის ღრეჯით.
  23. ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან.
  24. აკოცეს და გაუახლდეს მათ ორთავე მათნი წევანი,
  25. გაიყარეს გაუყრელნი ძმაღ—ფიცნი და ვითა ძმანი.
  26. მიჰხედეს ტაროსსა ამოსა, ნიადაგ ამოდ ელიდიან.
  27. მას შარგალიტსა, მას უმასა კბილითა ფერსა სძენიდიან.
  28. ზოგნი ნდომით შეჰყვინვიდეს, ზოგნი იყენეს სულ-წასულად.
  29. ზოგჯერ უზმო ფატმან მისსა, ზოგჯერ იყვის ფატმანისსა.
  30. ერთგან სხდიან, უბნობდიან საუბარსა არა-ჰქისსა.
  31. მისისა მიჯნურობისა, მისთა პატივთა მცნეველი.
  32. ნით რაცა მინდა არა ნაქვს, რაცა მაქვს არ მომიდებდის;
  33. ბინდის გვარია სოფელი, ესე თუ ამად ბინდებდის.
  34. კვლავ იტყვის ფატმან ტირილით, კვლავ თვალითა კრემლი სდენოდეს
  35. დამცავ ვმარხენო ხელითა, ჩენითა დამმარხველითა.
  36. აქა, მხატვარო, დაჰხატე ძმათ უმტყიცესი ძმობილნი.
  37. ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის კრემლ-შეუპრობელსა.
- ორივეგან გამოდის 37 სტრიქონი სიტყვის გამეორებით (თვითონ სიტყვათა გამეორების რაოდენობა მეტია, ვინაიდან ზოგიერთ სტრიქონში ორი სხვა და სხვა სიტყვის გამეორებას აქვს ადგილი).
- ამ ციფრებს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ სტატისტიკის სასწაულები „ვეფხისტყაოსანში“: სრულიადაც არ იყო საჭირო მათი ამგვარი ზედმიწევნითი შეხვედრა იმ დასკვნის გამოსატანად, რომ ეს პოემა უძველესად ერთი ავტორის მიერ არის დაწერილი.

### III „ვეფხის ტყაოსანის“ მარინაბები.

ებლა, როდესაც შენიშნული გვაქვს რუსთაველის სტილის ასეთი დიდმნიშვნელოვანი თვისება, ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ „ვეფხის ტყაოსანის“ ეგრედ წოდებული ყალბი ტაეპების საკითხის განხილვაზე საერთო მასშტაბით.

რა საფუძველს ეყრდნობიან ჩვენი პოემის მკვლევარები, როდესაც ისინი ამ პოემაში სხვადასხვა გადამწერების მიერ შეთხზულ ტაეპებს ნახულობენ? ერთად ერთი გამოსავალი წერტილი მათთვის ამ შემთხვევაში არის არჩილ მეფის მიერ დაწერილი შემდეგი ორი სტრიქონი:

ნანუჩას რუსთაველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია.

საბრალოს ვერ გაუგია წმინდა რამ აუზღვრევია.

„ვეფხის ტყაოსანის“ მკვლევარებმა დაიხვიეს უნიკო პოეტის ეს ორი სტრიქონი ხელზე და მოისურვეს ამის საშუალებით პოემის ყველა სიმარგრების აღება. პირველი შეხედვით იმ გაუგებრობათა ასახსნელად, რომელსაც ადგილი აქვს „ვეფხის ტყაოსანის“ სხვა და სხვა ხელნაწერებში, სადაც მოცემულია ხშირად ერთი და იმავე ტაეპის შინაარსი რამდენიმე სახით, მკვლევარებისათვის არა თუ ერთი, ხუთი ნანუჩაც კი აღარ შეიქნა საკმარისი, და მათ ფართოდ გაუღეს პოემის კარები ყველა მისი გადამწერების ვარჯიშობას ვერსიფიკაციაში. საკვირველია, რუსთაველი შეუდარებელი ხელოვნებით ჩამოსხმულ ტაეპებში ოთხგან გვეუბნება—„მე რუსთაველი ვარ, მე ვარ მესხი“-ო მაგრამ ეს იმის მკვლევარებს არა სჯერა, ხოლო არჩილ მეფის ზემოთ მოყვანილ ერთ უღაბათო თქმაში არცერთმა მათგანმა უბრალო ეკვივ კი არ შეიტანა.

ებლა ვიკითხოთ, რას წარმოადგენდენ ეს გადამწერებები და რა პირობებში უბღებოდათ იმათ „ვეფხის ტყაოსანის“ გადაწერა? ისინი იყვნენ მწიფნობურები. უმეტეს შემთხვევაში მწერლობის დიდი მოყვარული ხალხი. „ვეფხის ტყაოსანის“, ისე როგორც სხვა წიგნების, გადაწერა უმთავრესად ისეთი მალალი პირების დაკვეთით ხდებოდა, როგორც იყვნენ მეფეები და ერისთავები. გაპზედავდენ ასეთ შემთხვევაში გადამწერებზე, ძალიანაც რომ სდომოდათ, მათ მიერ შეთხზული ტაეპების ჩარევას პოემის ტექსტში, იმ პოემის ტექსტში, რომელიც ბევრმა შეპირადაც კი იცოდა, რის გამო გადამწერის მიერ ჩადენილი სიყალბე დამკვეთელს არავითარ შემთხვევაში არ გამოეპარებოდა? რა თქმა უნდა, ვერა. განა დასაშვებია თუნდა ერთი წუთითაც, რომ „ვეფხის ტყაოსანში“ თავის ლექსებს შეიტანდა, მაგალითად, ის ადამიანი, რომელმაც შემდეგ სიტყვები დასწერა:

„...მას ვაჟსა ოდეს ღმთივ გვირგვინოსანი და ყოელთა ხელმწიფეთა შორის წარჩინებული და წარმატებული მეფეთ მეფე პატრონი შაჰნავაზ ამიერ სოფლით აღესრულა და დაჯდა მკვიდრსა და ღმთივ დამყარებულსა ტახტსა სახელმწიფოსა ძე მისი ღმთივ დაცული დაფარული, მეფობისა შარავანდელი, პრწყინვალე და უხესთაესი ხელმწიფედ და პატრონად მეფე გიორგი... სახელ შეგნიერმან პატრონმან პატრონთამან უფალმან ჩვენმან გიორგიმ—ბრძანება ყო ჩემდა მომართ დაწერად წიგნისა ამის ვეფხის ტყაოსანისა და წარავო მრავალი წარსაგებელი, ვითარცა საცნაურ ჰყოფენ თვალნი მზიარულთანი ხელოვნებასა ამის



წიგნისასა და ენება, რათამცა ფრიად კეთილ შვენიერ ყოფილიყო, რომელ არცა ფრიად კეთილ და მშვენიერ, თვინიერ ხოლო ნაწერისაგან კიდე. ესეცა უწყოდით, უფალნო ჩენნო, მრავალნი მეფენი გარდაცვალებულან და არავის შეღმკვია წიგნი ვეფხვის ტყაოსანი მზგავსად პატრონისა ჩვენისად. განაძლიეროს და მრავალი გამოერ ყოს ღმერთმან მეფობა, ხელმწიფობა ამისი, ოდესაც ნახვიდეთ, სცნობთ, ვითარცა არს და თქვენცა ბრძანებთ, ვითარმედ კეთილ არსო, ხოლო სრულ იქნა, წიგნი ესე ინდიკტონსა მფლობელისა ჩვენისასა მეოთხესა. დაუსრულებელ ყვან ღმერთმან ხელმწიფობა მეფის გიორგისა...

ქ. სახელითა ღმრთისათა აღეასრულე ქქს ტაძ მე ფრიად ცოდვილმან და და სახით ოდენ მდივანმან და საქმეთა უოველთა მწიგნობართა უნორჩავესმან ბეგთაბეგ...<sup>1)</sup>

არა ნაკლებ დაუფერებელია ის აზრი რომ „ვეფხვის ტყაოსანში“ თავიანთ ლექსებს ურთავდენ ისეთი მისი გადამწერები, რომლებიც ამ გადაწერას ახდენდენ პირადი ინიციატივით, რათა ეს ძვირფასი განძი მათი ოჯახის საკუთრება და საიამყე ვამბუზრიყოს. ცხადია, ეს უკანასკნელები პირდაპირ შეეცარებულები იყვნენ „ვეფხვის ტყაოსანში“, ისინი არ ზოგავდენ შრომას და გულშოდგინებას იმისათვის, რომ გარეგნულადაც კი რაც შეიძლება ლამაზი ყოფილიყოს იმათი ხელნაწერი. მათი ბოლო მინაწერებიდან აშკარად სჩანს, თუ რა დიდის პასუხისმგებლობით ეკიდებოდენ ისინი თავიანთ საქმეს. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერს № 99. (გადაწერილია 1646 წ.) ასეთი მინაწერი აქვს ბოლოში:

„(დიდება) სრულ მყოფელსა ღმერთსა ყოველთა შემწე მფარველსა (ვიწყე ესე) ვეფხვის ტყაოსანი თიბათვისა ცამეტსა სრულ (ყვაე ათ) თრამეტსა აგვისტოსა ქქსა საპას ოცდაათოთხმეტსა (თუ) რომ აკლდეს ნურავინ დამწყველით ტყვეობაში (ი ვსწერდი ეს წიგნი ოცდა ცხრა რვეული არის ფურცელი ორას (სამოცდა თო)რმეტი.“<sup>2)</sup>

იმავე საზოგადოების ხელნაწერს № 757 აქვს ვრცელი მინაწერი, საიდანაც სჩანს, რომ ის გადაწერილი ყოფილა 1671 წელს. მინაწერში მოყვანილია გადამწერის რვა ტაეპიანი ლექსი, რომელსაც შემდეგ შევეხებით, მრავალსიტყვიანი ქება-დიდება ღმრთის და ბოლოს ცნობა ქიმის შესახებ, რომ ამ „ვეფხვის ტყაოსნის“ გადაწერის დროს გადამწერს შეეძინა შვილი:

„მაშინ ღმერთმან წყალობა მიყო და დაიბადა ჩემი უმაწვილი დავით ენკენისთვეს კვ. ქქს ტანთ შაბათს კვირაძალს და მაშინვე აღფთქვი მისთვის ეს ვეფხვის ტყაოსანი აწე ამას გებვეწები და გეაჯები ყოველს ამ წიგნის წამკითხავსა, ვინ გინდა იყენეთ ადამის ნათესაევი ჩემს შვილს ნურვინ გამოართომთ ამ წიგნსა, ჩემი იედგაოი არს...“

პირდაპირ ერუანტელი გვილის ადამიანს ტანში, როდესაც ამ მინაწერებს კითხულობ. ამ მკაფიოდ ისმის საუკუნეებში ჩაღუპული ადამიანების შაჯის ცე-

<sup>1)</sup> საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერი № 54. „ვეფხვის ტყაოსანი“, ს. კაკაბაძის გამოცემა.

<sup>2)</sup> იხ. „ვეფხვის ტყაოსანი“, გამოცემა ს. კაკაბაძის.

მა, მათი წვრილმანი ბედნიერება, პატარა სიყვარული, ოჯახური მზრუნველობა, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც ადამიანის ცხოვრების შინაარსს შეადგენდა ძველად და შეადგენს ეხლა. ზემოთ მოყვანილი სიტყვების ავტორები სამასი წლის წინად ცხოვრობდნენ. ვინ იყვნენ ისინი? რა სახისანი იყვნენ? როგორ დადიოდნენ, როგორ იცინოდნენ? არ შეიძლება მათი პიროვნების შესახებ არ დაუიქრდეთ, არ შეიძლება ბოლოს რუსთაველის უკვდავი სიტყვები არ მოგაგონდეთ:

გასრულდა მათი ამბავი ვითა სიხმარი ღამისა!  
გარდახდეს, გავლეს სოფელი,—ნახეთ სიმუხთლე ჟამისა.  
ვის გრძლად ჰგონია მისთვისცა არის ერთისა წამისა...

დაუფასებელია ამ პატარა ადამიანების ამავი ქართული კულტურის წინაშე, მხოლოდ მათმა თავდადებულმა შრომამ და პოეზიისადმი ყოველად უანგარო სიყვარულმა გადაარჩინა დაღუპვას ჩვენი ძველი მწერლობის საუკეთესო ძეგლები საერთოდ და კერძოდ კი „ვეფხისტყაოსანი“—ეს ყველაზე უფრო მშვენიერი და ქედნაღალი საუნჯე ქართული ლიტერატურის.

„ვეფხისტყაოსანის“ მკვლევარები კი მადლობის შეწირვის ნაცვლად უდიდეს შეურაცხყოფას აყენებენ მათ ხსოვნას. „უმეცარი“, „რეგვენი“, „ყალბის მქნელი“—აი ის ეპიტეტები, რომლითაც ამკობენ ისინი ამ კეთილშობილი ადამიანების სახელს.

მკვლევარები გასაოცარ თვითნებობას იჩენენ იმის გამორკვევის დროს თუ რა არის პოემაში ნამდვილი და რა ყალბი. აი რასა სწერს პროფ. კ. კეკელიძე პოემის პროლოგისა და ეპილოგის შესახებ: „მკვლევართა შორისაც მათი ორიგინალობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, ვერ შეხედებით ორს ისეთ მკვლევარს, რომელნიც ერთნაირად ფიქრობდნენ იმის შესახებ, თუ რამდენი ან რომელი ტაეპი ეკუთვნის პოემის ავტორს აქ; ერთი ორიგინალურ ტაეპადა სთვლის ერთს, მეორე მეორეს, მესამე მესამეს და ასე. აიხსნება ყველა ეს იმით, რომ მკვლევარნი ზემოდასახელებულ საკითხებს უდგებიან წინასწარადღებული აზრით და საკუთარი თეორიით, ამიტომ, თუ რომელიმე ტაეპი უდგება მათს შეხედულებას და თეორიას, ის, მათი აზრით, ორიგინალურია, თუ არა და—ყალბი. ამ გზას გვერდი, ვერ აუხვია თვით აკად. ნ. მარბაქ...“ ჩვენ ჩვენის მხრით უნდა დავუშვათ, რომ ამას გვერდი ვერ აუხვია ვერც თვითონ პროფ. კეკელიძემ, თუ გვერდის ახვევად არ ჩავსთვლით იმ გარემოებას, რომ მან როგორც პროლოგი, ისე ეპილოგი მთლიანად ყალბად გამოაცხადა.

მაგრამ არა მარტო პროლოგი და ეპილოგი, არც ერთი ტაეპი თვითონ პოემის ტექსტიდან დაზღვეული არ არის იმისგან, რომ ხვალ ის რომელიმე მკვლევარის მიერ ყალბად არ იქნეს გამოცხადებული.

მართლაც პრ. კეკელიძის თქმის არ იყოს, ვერც აკად. ნ. მარი ასცდა ამ გზას. თავის ერთ გამოკვლევაში<sup>1)</sup> ნ. მარი ამტკიცებს, რომ რუსთაველი სიტყვა

<sup>1)</sup> „Груа. поэма „Витязь в Барсоей шкуре“ Шоты из Руставы и новая культурно-историческая проблема“. Петроград, 1917.



ყმას ხმარობს ყველგან მოყმის, რაინდის (Витязь), მნიშვნელობით, <sup>1)</sup> რომ ძველად არსებობდა „რაინდების ინსტიტუტი“ (Институт Витязей), რომელიც თავის გამოსახულებას ჰპოებს „ვეფხის ტყაოსანში“. ამ აზრის დამტკიცების საწინააღმდეგო ვის უნდა ექნეს რამე, მაგრამ უბედურება იმაში არის, რომ ეს მტკიცება ძალიან დიდ მსხვერპლს მოითხოვს რუსთაველის ტაგების სახით, რაზედაც ჩვენ არავითარ შემთხვევაში დათანხმება არ შეგვიძლია. რუსთაველის არც ერთი ტაგები არ შეგვიძლია გავიმეტოთ ამ ფრიად საინტერესო აზრის დამტკიცებლად. საერთოდ არ არსებობს ისეთი აზრი, რომლისთვისაც ღირდეს რუსთაველის დადება პროკრუსტის საწოლზე და მისი გრძელი სხეულის დასახიჩრება. ნ. მარს მოჰყავს ტაგები „ყმა მეფისა ბრძანებასა“... რომელიც მას ნამდვილად მიაჩნია, და შემდეგ ორი მომდევნო ტაგები: 1) „ყველა უბრძანა თავსა ჩემსა“... და 2) „უბრძანა რამცა ვიწყინე“... რომლებიც მას „უდიპველად ყალბად“ მიაჩნია <sup>2)</sup> ასეთივე დაბეჯითებით აცხადებს იგი ყალბად იმ ტაგებს, სადაც აღწერილია როსტევეანის და აეთანდილის შეგებობების პირობები იმ მოსახრებით, რომ აქ შემფასებლებად დანიშნულნი არიან მონები, ხოლო ნ. მარსის აზრით კი მოყმენი უნდა ყოფილიყვნენ მოწყველნი ერთგვარი ეიურის სახით. რა თქმა უნდა, ეს ტაგებშიც უდაოდ რუსთაველს ეკუთვნის, მაგრამ დავუშვათ, რომ ისინი ყალბია, პატივცემული მკვლევარის მტკიცების საქმე მაინც კუდად იქნება: როდესაც თავანდილი ტარიელს შეეყრება პირველად ასმათთან, ის ეუბნება მას:

თუცა არ მიცნობ, გინახავ, თავი ვით გიახრებია;  
გახსოვცა ოდეს დახოცენ მონები არ საპყრებია?

და კიდევ იქვე:

- 1) ყველაკასა მათრახითა თავი უბრძლოდ გარდაჰკვეთეთ;
- 2) ვითა ქაჯი დაგვემაღე, მონებიცა დავაფეთეთ;

მაშ ეს ადგილებიც ყალბი ყოფილა, ვინაიდან აქ ლაპარაკი სწორედ იმ თორმეტ მონას შეეხება, რომლებიც როსტევეანმა და აეთანდილმა ნადირობის დროს იახლეს თან როგორც ისრების მიმწოდებლებად, ესე ნანადირების დამთვლელებად.

სწორედ ამგვარადვე იქცევა ი. აბულაძეც. მოვიყვანოთ მისი წიგნიდან „შესწორებანი და შენიშვნანი ვეფხის ტყაოსანის მე-2-ე გამოცემის შესახებ“ ერთ ადგილს იმის ნიმუშად, თუ რამდენად უსამართლოდ ექცევა პოემის ტექსტს პატივცემული მკვლევარი მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ აუცილებლად დამტკიცოს თავისი წინასწარ აღებული აზრი: „ამ 82-ე ხანისათვის სრულიად ბუნებრივად წაუმატებია ყალბის მქნელს 83-ე ხანა, სადაც მეფე მეტის

<sup>1)</sup> ნამდვილად კი რუსთაველი ამ სიტყვას ორი მნიშვნელობით ხმარობს: ყმა „ვეფხის ტყაოსანში“ ხან მართლაც მოყმეს ნიშნავს, ხან კი ჩვეულებრივ ყმას—მონას.

<sup>2)</sup> ჩვენ კი უსაფლთ მათ უაპველად რუსთაველის მიერ დაწერილ ტაგებზე, თუნდაც იმითომ, რომ პირველის ალიტერაციის კოდეციენტი უფროს 43, ხოლო მეორეს ორი პირველი სტრიქონი შეიცავს რუსთაველისათვის ისეთ დამახასიათებელ გამოარებას, რომ არა რჩება არავითარი ეჭვი მათ სინამდვილეში:

უბრძანა რამცა ვიწყინე, თქმა შენგან საწყინარისა,  
მღიცა მხუე თინათინისა მის მხნისა მოწყნარისა.



ერეკნული  
შეხვედრები

შეტად ახირებულად იქცევა: იმის ნაცვლად, რომ შეწუხებულიყო ყმის ვერ პონით და სურვილის ვერ მიღწევით, იგი, პირ-იქით, „სიხარულით თამაშობას აღიადებს,“ მხიარულობასა და გართობას ეძლევა. რაც კი ქვეყანაზე მგოსანი და მუშაითი იყო, იხმობს, დარბაზი აივსება მოწვეულებით და მეფის სიუხვეს ენა ვერ გამოსთქვამს. მეფის სატყეელის ამგვარი ახირებულობა და უცნაურობა მით უფრო სავრძნობია, რომ იგი სრულიად ართმევს თინათინს მოტივს მოიწვიოს ავთანდილი და მას დაავალოს უცხო ყმის მონახვა..... მაშასადამე ყოველ ებვს გარეშეა, რომ ხანები 82 და 83 გეოთენის იმ რედაქციის პირველ შემკეთებელის ხელს, რომლისგან წარმოსდგა ვახტანგის გამოცემა, და თუ ეს ასეა, მაშინ 81-ე ხანაც მეტ ბარგად უნდა ჩაითვალოს, რადგან 80-ე ხანაში აზრი უკვე უმეტნაკლებოა და დათავებული.\*

ჩვენ არა გვეკრება, რომ იუსტინე აბულაძემ, რომელიც „ვეფხვის ტყაოსანის“ ერთი საუკეთესო მკოდნეთაგანია, უყურადღებოდ დასტოვა იქვე 84-ე ტაეპი, სადაც ავთანდილის შესახებ ნათქვამია:

იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი.

როგორ „იმღერდა და იხარებდა“ ავთანდილი თუ შეფევ მართლა არ მოილხინა, როგორც ამას 3-ე ტაეპები აკვიწერს? <sup>1)</sup> აშკარა არის, თუ იუსტინე აბულაძის შეხედულება გაეიზიარეთ, ყალბად უნდა გამოვაცხადოდ ეს ტაეპიც და მას კიდევ მიეაყოლოთ სხეები, რომლებიც მასთან ორგანიულად არიან დაკავშირებული. ასე თუ გავყევით „ვეფხის ტყაოსანიდან“ ჩვენ ბევრი აღარაფერი დაგვრჩება. ბოლოს მივიღებთ იმ ახირებულ დასკვნას, რომ ყველა ყალბის მქნელები დიდებული პოეტები ყოფილან და მხოლოდ რუსთაველი დაუსჯია ბუნებას სრული უნიჭობით.

არ არის საჭირო დიდი თავის გამოდგმა იმის დასამტკიცებლად, რომ ყველა ეს „უბეველად ყალბი“ ტაეპები დაწერილია უბეველად რუსთაველის მიერ. ამ უმად ჩვენ უფრო გვიანტერესებს ის ტაეპები, რომლებიც გაბნეულნი არიან „ვეფხვის ტყაოსანის“ სხვა და სხვა ხელნაწერებში და პოემის საერთოდ მიღებულ ტექსტში არ შედიან. გადავიდეთ ამ ტაეპების განხილვაზე.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

<sup>1)</sup> ჩემად მოღბნა შეეძლო ავთანდილს ცხოვრებაში, მაგრამ პოემაში ეს არ შეიძლება.



## მიხაილ ჯავახიშვილი-ადამიანი

### I. სამხატვრო ტილო.

#### 1.

ყოველი ადამიანის ტვინის უჯრედები გარეგნულად ერთნაირად არის მოწყობილი, მაგრამ მათ სიღრმეში მიმდინარე პსიქიური პროცესები სულ სხვადასხვანაირად მიმდინარეობენ: მთელ ქვეყანაზე არ მოიპოვება ორი ისეთი ადამიანი, რომელნიც ფსიქიურად ერთმანეთს გვანდნენ საესეებით.

თვალისა და ყურიც ერთნაირი გვაქვს, მაგრამ გარეშე ქვეყნის დანახვისა და ათვისების უნარი თითოეულ ჩვენგანს თავისებური აქვს: ერთის თვალი მრავალ რაიმეს ხედავს იქ, სადაც მეორეს ერთი ან ორი საგნის მეტი ვერ დაუნახავს. ზოგი ადამიანი თვალის მუშაობას გონებასაც ახმარებს და რაიმე საგნის ხილვის დროს მსწრაფლ იწყება მასში ერთგვარი გონებრივი მოძრაობა, რომლის მიზანია დანახულის სხვა საგნებთან ან მოვლენებთან შედარება თუ სხვა რაიმე პროცესი. ბევრის თვალი კი მხოლოდ ხედავს და მეტი არაფერი.

ასეა სმენის სფეროშიც: ზოგის ყური ისეთი თვისებისაა, რომ მომხიბლავ მელოდიასა და ხმებს იჭერს იქ, სადაც მეორეს გაურკვეველი ხმაურობა ეჭვენება. თანაც იგი ამუშავებს ათვისებულ ნედლ მასალას და გარეგნულად სრულიად უცვლელად მომხიბლავ ჰანგებს ქმნის, რითაც ერთიანად ატკბობს ჩვენს სულსა და გულს.

როგორც ყოველი ადამიანი, მწერალიც ხედავს, ისმენს და აზროვნობს. ისიც სხვებთან ერთად ათვალისებურად გარეშე ქვეყანას, ეცნობა ბუნებას, ადამიანთა შორის არსებულ ურთიერთობას და ერთგვარ წარმოდგენას ქმნის თავის არსებაში მათ შესახებ.

ვინაიდან გარეშე ქვეყანაში ნანახზე და მონახმენზე წარმოდგენა მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალურია, თითოეული პიროვნების „მე“-ში თავისებურ ელფერს ატარებს, მწერალსაც, რასაკვირველია, თავისი ინდივიდუალური წარმოდგენა ეჭნება.

და როცა იმან მწერლობას მოჰკიდა ხელი, ეს იმის ნიშანი იყო, რომ მას სწადდა თავის საკუთარ „მე“-ში ინდივიდუალურად ათვისებული ქვეყნის ჩვენთვის გაცნობა, მას სურდა მისი გონების მიერ გარდაქმნილ და

ერეკნული

ვაფერადებულ ქვეყანაში შეეყვანა მკითხველი. მან განიხილა უჩვეულებითაა ჰენ-  
თვის ამ ქვეყნის მიწა-წყალი, ცის კამარა, ათასნაირი სურათები, აქ მცხოვ-  
რები ადამიანი და მისი ფსიქოლოგია, მისი ნამოქმედარი, მისი ნააზრევი.

როდესაც თქვენ აღ. ყაზბეგის ნაწერებს კითხულობთ, ერთიანად გარინდ-  
დებით ხოლმე, თერებით ხელოვნურის სურათებით და შეუმჩნეველად მიფრი-  
ნავთ იმ ჯადოსნურ ქვეყნისაკენ, რომელაც შეუქმნია ყაზბეგს სინამდვილეს-  
თან შეუარღებით. დადინართ მწერლის ფანტაზიით შექმნილ-შეფერილ ხე-  
ხულებში, მთების ორწოხებში, დაეხეტებით ოცნების თვლით ციკაბო ბილი-  
კებზე, სკვრეტთ მომხიბლავ სურათებს, სტკებებით წყაროთა და ჩანჩქერთა ჩუბ-  
ჩუბით; ხელში თოფი გიპყრიათ და ხან რომ ვაჟისავით შეყვარებული ხართ,  
ხანაც ელგუჯასავით ნარნარის გრძნობით მთვრალბობთ, ან კიდევ მათისავით  
ოცნებობთ ცხეარში კომბალზე დაყრდნობილი...

ყაზბეგის ინდივიდუალური ქვეყანა ისე მიწილდეული და მომჯადოვებე-  
ლია, რომ თუ ერთხელ ფეხი შესდგით შიგ, მერე საშინლად გიკირთ იქიდან  
გამოსვლა და სულგანაბული ათვლიტრებთ იქაურობის ყველა კუნჭულებს, ეც-  
ნობით მის წიაღში მომქმედ ადამიანთა გრძნობასა და მოქმედებას.

ქვეყანა წიგნსა და კიდევ დიდხანს დადინართ მწერლის მიერ გარდა-  
შლილ საოცნებო მხარეში და ჯადოსნური სასმელით მთვრალს ჯერ კიდევ ვერ  
გამოგირქვევითა თვის ქვეყანაში ხართ—ყაზბეგის თუ ამ „ცოდვილ“ დედამიწაზე.  
ასეთია საზოგადოდ ნიქიერი მწერლის ზედმოქმედება ადამიანზე.

ხოლო თუ ისე მოხდა, რომამწერლის ინდივიდუალურ წარმოდგენაში შექ-  
მნილი ქვეყანა არაფრით არ განირჩევა იმ ქვეყნისაგან, რომელსაც ადამიანთა  
უმეტესობა წარმოიდგენს ხოლმე, მაშინ ასეთი მწერლის კითხვა არა ღირს,  
მან თვითონ უნდა გაავდოს ხელიდან კალამი. ვისაც გარეშე ქვეყნის თავისე-  
ბურათ გამოხატვა არ შეუძლია და მით ახალი, გულის გამგმირავი სიტყვის  
თქმა ვერ მოუხერხებია, იგი თავის დროზე უნდა ჩამოშორდეს სამწერლო  
ასპარეზს.

როდესაც მე მწერლის შემოქმედებას ვეცნობი, ყოველთვის ასეთ საკითხს  
ესვამ ხოლმე: რას წარმოადგენს ამ მწერლის ინდივიდუალური ქვეყანა: ვიწ-  
როა იგი, თუ ფართო? უბრალო დაფენილ ქალებისაგან შედგება იგი, თუ  
თვლის წარმტაცი მწვერვალებიც ამკობენ მას? იჩენენ თუ არა აქაური ადა-  
მიანები გონებრივ სიღრმავეს და სხვადასხვაობას, როგორია მათი გრძნობები, ნე-  
ბისყოფა? სადა და შაბლონური ტიპები არიან, თუ ღრმად მოაზროვნე და სხვა.

ეს აზრი ქვეყანათ გარჩეულ მაგალითებზე უკეთ იქნება დასაბუთებუ-  
ლი, ებლა კი საკითხი ასე უნდა დადგეს: რა სიფართოე აქვს ჯავახიშვილის  
სამხატვრო ტილოს? ცხოვრების რამოდენა ნაწილს წვდება და იტყვის მისი თვა-  
ლი და დაკვირვებითი უნარი? ჰატარა ნაჭუჭში თავსდება მისი ფანტაზია, თუ  
დიდ არეში დანაეარლობს?

დავიწყით მისი ნაწერების პირველი ტომიდან, რომელშიც მოთავსებულია  
რვა მოთხრობა, ამ მოთხრობებიდან „ჩანჩურა“, „უბატრონო“, „თავდავიწყება“



ერეკნული

განმარტული

„მეჩქმე გაბო“ და ბოლოს „კურკას ქორწილი“ ერთი იდენს გარშემო არის აგებული, ხუთივე ამ მოთხრობაში არსებითად ერთი დედა-აბრია გატარებული: შეიბრალებთ ბუნებისაგან და სოციალურ უკუღმართობისგან დასჯილნი, პატივისცემით მოეპყართ „მცირედ ძმას“, ისიც შენსავით ადამიანია, მასაც აქვს საკუთარი ქვეყანა, შეუძლია იგრძნოს, იფიქროს; ნუ სთელავ მისს პიროვნებას, ნუ ამცირებ მას, როგორც ადამიანს, იმასაც აქვს ამ ქვეყნად ცხოვრების უფლება.

ჩანჩურაც ადამიანია და არ შეიძლება მისი ძალღთან გათანასწორობა, ნუცაც და გეაცა ჩვენისთანა პიროვნებებია და რა უფლება აქვს რომელიმე ოფიცერს ან სტუდენტს მიიჩნიოს პირველი უპატრონოდ და მეორე თავისი თავდავიწყების მსხვერპლად?

ამ იდენის მხატვრულად გადასაშლელად ავტორს ორი წრე აქვს მიჩნეული ერთის მხრივ „დამცირებულნი და დამდაბლებულნი“, როგორც ბუნებისგან ისე ადამიანთაგან დაჩაგრული და დასჯილი ჩანჩურა, კურკა და მეჩქმე გაბო; მეორეს მხრივ — გაბატონებულ ფენებიდან — თავდაზნაურობიდან გამოსული „ინტელიგენტების“ — სტუდენტისა და ოფიცერის თვითნებური მოპყრობა სხვისი პიროვნების — მოსამსახურე გოგოების მიმართ („თავდავიწყებიდან“ — ეკა, „უპატრონოდან“ — ნუცა) თავიანთი ქვენა გრძნობების დასაკმაყოფილებლად. სტუდენტი და ოფიცერი, ასე ვსთქვათ, მოთხრობის სუბიექტებია, ხოლო მათი ზედმოქმედების ობიექტები გლეხობიდან — დაჩაგრულ წოდებიდან — გამოსული ეკა და ნუცა.

როდესაც ამ მოთხრობებს ჰკითხულობთ, მართალია, კარგად გრძნობთ, რომ ჩვენი ავტორისათვის ჯერ კიდევ შორს არის ცროვრების ყოველ მხრივ დასათვალისწინებელ სიძალღმდის მიწვევა, მაგრამ მაინც აშკარაა, რომ მისი თვალის გუგას საკმაო არე ამოუჭრია გარეშე სიხამღვილიდან და თანაც ემჩნევა თანდათანის გაფართოებისა და ზრდის ტენდენცია. ახლად გამოსულ მწერლისათვის ეს დიდი მიღწევაა.

ზოგიერთი მწერალი ქათმის ჰორიზონტს ვერ შორდება, აი იმ ქათმის, რომელსაც მიწაზე ნისკარტი დაასობინეს და მერე მის გასწვრივ ცარცით თეთრი ხაზი გააღღეს. მისჩერებია ეს პატივცემული ფრინველი ამ ხაზს და მის გარდა ვერას ხედავს, მთელი ქვეყანა მისთვის ამ თეთრ ზოლშია ჩაქვდილი.

საქართველოში ბევრი მწერალია ხოლმე ამ არა სახარბიელო მდგომარეობაში, ბევრის ჰორიზონტი უნუგეშოდ არის დახშული, მათი ღებნაზია ფრთებ დაჭრილ ფრინველივით ვერ ამოვრებია ერთხელ ამოჩემებულ წერტილს. ამ მწერლებისთვის უცნობი და მიუღწეველია ღმზა ხელოვანის ჩანგზე გადაჭრილ სიმთა შეხმატკბილებული მომბიზლავი ჰანგები, ისინი მარტო ერთი სიმის თამაშს მისჩვევიან და მთელი ათეული წლები გულ მოდგინეთ დამღერებან ერთ და იმავე ხმაზე.

ასეთი ბედის არ არის ჯავახიშვილი: მისი თვალი არ არის ერთ წერტილზე მიჯაჭული, მას საკმაოდ ფართო ასპარეზი აურჩევია სათვალთვალოდ.

ჯერჯერობით დაეხსომათ ეს დასკვნა, ნუ აერევთ მას მხატვრულ მიღწევასა და შინაგან ინტუიციის ნიჭში და წაგიდეთ ქვევით.

არც „მეჩქმე გაბო“, არც „ჩანჩურა“ და არც „კურკა“ სრულებით არ



ამოწურავენ იმ წრის ყოფა-ცხოვრებას, სადაც ისინი შობილან და აღზრდილან— ამ მხრივ დასრულებული და ფართო სურათები მოგვეთხოვა ავტორისაგან, — მაგრამ ავტორი, რომლის არსებაში საკმაო სიძლიერით სცემს ხელოვნის გრძნობა, სწორეთ ისე მოიქცა, როგორც მისთვის იყო საჭირო: ცხოვრების „ბსკერის“ სრული სურათის მოცემა მას არ ქონებია სახეში, მან აიღო აქედან მხოლოდ რამდენიმე საკმაოდ ტიპური კუნჭული და წარმტაცის ხელოვნებით დავეინახა პატარ-პატარა ტილოს ნაქრებზე. ხოლო როცა ამ ნაქრებს შევეერთებთ, უსათუოდ მივიღებთ საკმაოდ ფართო ფონს და ზედ ამოქარგულ დამახასიათებელ სურათებს.

მეორე საკითხია — ანაზე ქვევით გვექნება ბაასი — თუ რამდენად ტიპურია საზოგადოდ ავტორის თვალსაზრისი, რადენის სისწორით აღუღო მან ალღო თანამედროვე ცხოვრებას და სწორედ დაიჭირა ცხოვრების მამოძრავებელ ძალთა მაჯის ცემა.

ცხოვრების კუნჭულებში დროებითი შეჭრის ხასიათი აქვს ავოეთვე „უპატრონოსა და“ \*თავდავიწყებას“, მაგრამ აქ უფრო მეტი ტიპიურობაა დაცული, ავტორი ცხოვრების მოვლენათა განზოგადების ნიჭის გამოჩენაში საგულისხმო ნაბიჯს დგამს წინ.

ამ მოთხრობებში აღებულია ადამიანთა სოციალური მდგომარეობის ორი უკიდურესი მწვერვალი: თავადაზნაურული ინტელიგენცია და გლეხობა, ერთის მხრივ დგანან ჰაეჟავაძის დათიკოს და ნინოშვილის იასონ უქმადის ღირსეული მემკვიდრენი, — სტუდენტი და ოფიცერი, — მეორეს მხრივ უუფლებო წოდების უუფლებო შეილები — გჟა და ნუცა, თამროსა და ქრისტიანეს ღვიძლი დები.

ჩანჩურას და კურკას წრიდან სულ სხვა ქვეყანაში გადასული ავტორი პერსონაჟების არჩევის მხრივ აქ უსათუოდ მიზანს აღწევს — საკმაოდ ტიპურ წარმომადგენლებს ირჩევს, მათი ერთმანეთთან შეხვედრაც დამახასიათებელია, თუმცა ავტორი ტემის არჩევის მხრივ ორგინალობას ვერ დაიჩემებს: ჩვენს ლიტერატურაში ესენი საკმაოდ ნაცნობი ტიპებია, ჩანჩურათა წრეზე გადაფარებულ ფარდის აწევაში კი ჯგავახიშვილი ჩვენში უსათუოდ ორიგინალურია.

ყოველ შემთხვევაში ჩემ მიერ აღებულ თვალსაზრისისთვის ეს ორი მოთხრობა დიდი პლიუსია: ავტორის ჰორიზონოტი შესამჩნევად ფართოვდება, როგორც სამოქმედო ასპარეზის გაფართოვებით ქალაქიდან სოფლისაკენ, — ისე ადამიანთა სხვადასხვა ფენების წარმომადგენელთა დახატვით.

„ტყის კაცობა“ ჩვენი ავტორი უსათუოდ მოიკოკლებს: თემა არაა ტიპური, ვადაქარბებულია ფსიქოლოგიაში და სანტიმენტალიზში. აქ დასურათებული გლეხი, რომლის გარეგნულ ცხოვრებას კარგად იცნობს ავტორი, სულერიად სრულებით არ ვაგვს გლეხს და ის ავტორის ინტელიგენტური მოფიქრების მიერ შეთხზული არსებაა. ჩვენის თვალსაზრისით კი მოთხრობა ცოტა პლიუსია ტყის სურათების — თუნდაც არც მაინც და მაინც ძლიერის — მოცემის მხრივ.

„ემშაკის ქვა“ და „ხალხის სამართალიც“ ერთგვარ პლიუსს გვაძლევენ ავტორის დაკვირვებითი ნიჭის სიფართოვის მხრივ: მასების პსიქოლოგია და და ცალკე ინდივიდების მათში მოქმედება, თუმც არსებითად სუსტ შთაბეჭდი-



საქართველოს  
წიგნების კავშირი

ლებას ტოვებს, მაგრამ ავტორის ფანტაზიის გაქანებას მაინც უწყვეტად მოწმობს.

დასკვნა: პერსონაჟთა სამოქმედო ფონის სიმდიდრე; ქალაქი, სოფელი, მტყერიათა, ჩაბნელებული ქუჩაბანდები და სოფლური ბუნების და ტყის სურათები. სხვადასხვა მდგომარეობის ადამიანთა ცოდნა და მათი ცხოვრების ავტორისათვის საჭირო ფარგლებში გადმოშლა.

ექვს გარეშეა, რომ პირველ ტომში ჯავახიშვილი თავისი ფანტაზიის აშკარა მრავალფეროვნებას გვიჩვენებს და მისი სამაატეო ტილოც ფართოა, მისი საბელოვნო პოზიციები საუკრადლებო და თვალსაჩინო ადგილებზეა მოთავსებული.

გადავიდეთ „კვაკი კვაქანტირაძეზე“.

### 3.

ამ რომანში აღებულია უფართოესი ფონი, მოცემულია უდიდესი სურათი: საქართველო, რუსეთი, ევროპა... სამტრედია და ქუთაისი დანიელა ურიათი, თბილისი და კავკავი, რასპუტინი და მსოფლიო ომი, ვირუბოვის ქალი და სუხომლინოვი, მეფე და დედოფალი, პარიზი და სტამბოლი, ვიფელის კოშკი და როდენის ქანდაკებანი... ოდესა, ჟურაინა, პეტერბურგი, თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები, „დემოკრატიული“ საქართველო, სამოქალაქო ომები... ჩვენებური აფერისტები, მინისტრები და ნამინისტრალები, ჯაშუშები და პროვაკატორები, აშკარა და ფარული როსკიბები... და რა გნებავთ კიდევ: რა არ შეიტანა ავტორმა თავის შვიდ კარიან რომანში, ვის არ შეეხო, ვინ არ ჩააგდო ისტორიაში?!

ერთის სიტყვით თქვენს წინაშე უნდა გადაშლილიყო უდიდესი ეპოპეა: ომის წინა დროის სამტრედია-ქუთაისის იდილია, მსოფლიო ომის საშინელებანი თავისი გაელეტილის მილიონებით, დიდი რევოლუციები, სამოქალაქო ომები, საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის შეუჭრებელი ცვალებადობა, ათიათასი აზრისა და მისწრაფების გაშლა...

მაგრამ საშინელი ნაწყენი და გაკვირვებული რჩებით, რომ... ხუთას გვერდიან რომანიდან ყოველივე ზევით ჩამოთვლილის შესახებ, თქვენ ასჯერ იმაზე ნაკლები გაიგეთ, რაც უკვე იცოდით და გახსოვდათ მაშინდელი დროის გაზეთებიდან, ან პირადად გინახავთ.

მოელოდით უდიდეს რაღაცას, შემადრწუნებელ სურათებს, ადამიანთა სხვადასხვა ტიპებს, აღფრთოვანებულ იდეებს, მსოფლიოს შემარყვევლ აზრებს; მოელოდით იმის გაგებას, რაც თქვენ არ იცოდით, გინდოდათ ამ მომამზებრებელ ფაქტთა იქეთა მხარიდან რაღაც ახალი საიდუმლო გაგეგოთ, ახალი, მხოლოდ ჯავახიშვილის ინდივიდუალურ ათვისებაში გარდატეხილი სინამდვილე; ვინ იცის კიდევ რის გაგება გინდოდათ ამ ვებერთელა, საქართველოსთვის უჭვეულო „რომანიდან“, მაგრამ... სამწუხაროთ ბოლოს და ბოლოს ნახეთ ის, რაც ათიათასჯერ უნახავს თქვენს თვალებს, რამაც თავი მოგაძულათ და დაქარგა

თქვენთვის ყოველგვარი ინტერესი—არც გონების აღვიძებს და არც გრძნობას აღელვებს...

ჯავახიშვილის თვალში ამ შემთხვევაში დაქარგვა ის ჯადოსნური ხილვის ძალია, რომელზედაც ამ წერილის დასაწყისში ვილაპარაკეთ: მან გარეშე ქვეყანა ისე დაინახა, როგორც სხვები ხედვენ, მისმა თვალმა დაქარგვა ინდივიდუალური სირთულე და ჩვეულებრივად იქცა.

მაინც რაღა შეგრჩათ ხელში? ჩვენი სინამდვილიდან თუმცა ზეზეურად მაგრამ უსათუოდ ნიჭიერად ამოვლევადი კვაპანტირაძის ტიპი, რომელიც ვერცხლის წყალივით დასრიალობს ჩვენს ყოვაცხოვრებაში, ყველაფერს „წვდება“ და „ყველაფერს აკეთებს“. ვიმეორებ, ამ ვებებერთელა ნაწარმოების ერთად ერთი ცოცხალი და შთაბეჭდილების მომზდენი ტიპი კვაპანტირაძეა, რომელიც ბოლოს და ბოლოს მაინც ზეზეური და ცალმხრივად ასახულია.

კურკის ავტორის მხრივ თხუთმეტი წლის სიჩუმის შემდეგ ასეთი ზეზეურობა უსათუოდ საწყენია, ადამიანის ბუნების შეცდომის მხრივ აქ წინსვლის მაგიერ უკან სვლაა.

„კვაპანტირაძის“ შესახებ ჩვენ კიდევ გვექნება ლაპარაკი, ახლა ვუბასუხოთ იმ საკითხს, თუ რამდენ პლიუსს აძლევს ეს რომანი ჩვენს თვალსაზრისს. ეჭვი არ არის, რომ ჯავახიშვილის ფანტაზია აქ ფართოდ შლის ფრთას და რომ ნაწარმოებს ჩვენი მოლოდინი გაემართლებია მხატვრობის მხრივ, მაშინ პირველი ტომი მოსახსენებელიც კი არ იქნებოდა—ეს ნაწარმოები ყველაფერს დაფარავდა, ჩვენი ავტორის სამხატვრო ტილო დაუსრულებლივ ფართო და თვალგადაუწვდენელი იქნებოდა.

ყოველ შემთხვევაში ფანტაზიის გაქანების მხრივ აქ საკმაოდ დიდ მიღწევასთან გვაქვს საქმე.

4.

„ჯაყოს ხიზნები“. ეს რომანი უკვე აშკარა დამამტკიცებელია იმის, რომ ჯავახიშვილის შემოქმედებითი ფანტაზია საკმაოდ მძლავრად იქნეეს ფრთებს და მისი სამხატვრო ტილოც დიდათ ფართოა. ის უკვე არ იხედება ცალის თვალით, არ კმაყოფილდება პატარ-პატარა კუნჭულების ვაშუქებით და ხელის გულის სიფართოვ ტილოთი.

არა, მას თამამად გაუხეულია ორივე თვალეტი, დიდზე გადაულახავს თავისი ძველი ჰორიზონტი და კარგად მაღალ მიღწეობზე ასული შორს გადააქურებს ჩვენს სინამდვილეს.

მართალია, ახალ ადგილიდან ბევრ შემთხვევაში ჯერ კიდევ ვერ ხედავს იგი ჩვენს ცხოვრებას მთელი თავის სინამდვილით და ზეზეურობით კმაყოფილდება. ვერ მიწვდენია ახალ ამოძრავებულ ძალღონის სულსა და გულს და ძველი ტიპების ასახვით ცდილობს ახალი ვითარების გაგებას,—ამაზე დაწერილებით თავის ადგილას,—მაგრამ უკვე აშკარაა, რომ ჯავახიშვილი მომწიფებული მწერალია და გამოცდილის კლამით ის უკვე შეუდგა ჩვენი ცხოვრების ფართოდ ასახვას.

რომანის ფონი ფართოა; ჯერ ასახულია ქალაქის ერთი პროფილი: ჩვენი



ერეკლე

საზოგადოების ყოფილი ზედაფენების რევოლუციუციისა და სამოქალაქო ომის ქრო-  
ციკლში ქონებრივით გაღარიბება და დაცემა. ეს ის დროა, როცა „ყოველ წუთს—  
ბეჭედსა და საყურეს, სამაჯურსა და კობტა სარკეს, ვერცხლის სათოთუნეს, ქალის  
ნაქსოვ ხელის-ქისას, ფარჩის კორსეტსა და ქარვის კრიალოსანს, სპილოს ძვლის  
სათამაშოს და ბრინჯაოს ქანდაქს, ფაიფურის ვახას, მოქარგულ ოქრო ნემსურს,  
ფერფმარულის ჭურჭელსა და ატლასის სათამაშო ქალაღს, საქორწილო თეთრ  
კაბას და აბრეშუმის წინდებს“ ნახავთ ბაზარზე გამოტანილს. „კაბები და  
საცვალი, ჭურჭელი და სურათები, წიგნები და ალბომები, სამკაული და სათამაშო,  
ნაქარგი და ნაქსოვი, ნაჩუქარი და სახსოვარი; ცოლქმრობის, დანიშვნის, ჯვრის  
წერის, და-ძმობის, მამა-შვილობის და მეგობრობის ათასნაირი წვრილმანი ნივთი“  
ყველაფერი, ყველაფერი იყიდება ლუკმა პურის შესაძენად და დღევანდელ  
დღის გასათრევად.

ამ სურათში ჩაქსოვილია იმ ინტელიგენტების ბედი, რომელნიც ახლის მი-  
ღებაზე უარს ამბობენ, ზიზლით უცქერიან მის თვალების წინ აქაფებით მიმდი-  
ნარე სინამდვილეს და ერთ კუთხეში მიმწყვედულნი, კბილების კრაქუნით მოე-  
ლიან ადიდებული მდინარის დავარდნას და ძველ კალაპოტში ჩადგომას. ეს გახ-  
ლავსთ ძველი ნაბატონარი და განსწავლული ინტელიგენტი თეიმურაზ ხევის-  
თავე, რომელმაც რაკი ყოველივე ნივთი გაპყიდა, ეხლა საყვარელი წიგნების  
ჩუმჩუმად ბაზარზე გამოტანით იპურებს თავის თავს და ცოლს.

ამ სურათს უპირდაპირდება სოფელი—რომელიც რაღაც მანქანებით  
ახალი, რევოლუციის მიერ წარმოშობილი ძალების მაგიერ ჯაყომ ჩაიგდო  
ხელში და ისე სწველის მას, როგორც ერთვულ ფურს. ოსი ჯაყო თეიმურაზის  
მოურავი იყო, ის ჯერ ძველი რეჟიმის დროს აცლიდა ბატონს ხელიდან ყოვე-  
ლივეს და მერე—რევოლუციის პროცესში—როცა წყალი იმღვრა, თავი მშრო-  
მელად გამოაცხადა და მთელი მამულიც გლეხების მაგიერ მან ჩაიგდო ხელში.  
აქ მან აამუშავა თავისიანები და პირდაპირ სიმდიდრეში იღრჩებდა, აუარებელი  
აქვს სასმელი, საჭმელი, ერბო, ინდოური, პური, ხორცი...

გარდა სამოქმედო სცენისა, ავტორმა თავის მიერ უკვე შექმნილ ტიპთან  
და თუ ცალკე ინდივიდების სერიას ახლები შესძინა და რაც თავი და თავია  
რომანში ისეთი საკითხები აღძრა, რომ საზოგადოების გულს მოხვდა და გაც-  
ხარებულ აზრთა გაცვლა გამოცვლას იწვევს, რომლის პერსონაჟთა გასამართ-  
ლებაც კი გაიმართა ამ რამდენიმე ხნის უკან.

ჯერ ჯავახიშვილის არც ერთ ნაწარმოებს ასეთი ყურადღება არ მიუქცე-  
ვია; მე არ ვლაპარაკობ იმაზე თუ რა ხასიათის არის ყურადღება, მაგრამ ფაქტი  
ფაქტად რჩება: რომანმა საზოგადოება ააღაპარა.

აშკარაა, რომ ჯავახიშვილის სალიტერატურო მოღვაწეობაში უკვე საქმე  
გვაქვს ფანტაზიის საკრძნობ გატანებასთან და ჩვენს წინაშე დგას ფართო  
შემოქმედების ავტორი.

დიდი რამ არის მწერლისათვის იმ წერტილამდის მიღწევა, როცა იგი  
საზოგადოებრივ შემკრებულობითი ტიპების შექმნამდე მიაღწევს; კვაკი კვატან-





ერეკნული

ტირადე და რაედენიმე საგრძნობ შესწორებათა შეტანით თქვენურს შექმნილი უსათუოდ ტიპებია.

როცა მწერალი ტიპების შექმნამდე აღწევს, ეს იმის მომასწავებელია, რომ მას ბევრი რამ ამოუკრეფია სინამდვილიდან, შესძლება შემთხვევითი ხაზების მთავარისაგან გამოჩევა და მით განზოგადებული სახის მოცემა.

მაშასადამე ჩვენი ავტორი ამ მხრივაც საიმედოა.

## II თანამედროვეობა.

### 1.

როდესაც ვინმე მწერლობას იწყებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ადამიანთა შრთიერთობისა და ბუნების შესახებ რაღაცის თქმა უნდა, სურს ჩაერის ცხოვრების ორონტრიალში და თავისი სიტყვა სიტყვის ამა თუ იმ მოვლენის შესახებ.

ამ დროს იგი გარეშე ცხოვრებას ან ღებულობს ისე, როგორც იგი არსებობს, ან სრულიად უარყოფს მას, ან კიდევ შეიძლება ზოგიერთ მისს მხარეებს ღებულობდეს და ზოგიერთების,—რომელიც მისი აზრით ცუდი და უარსაყოფია—გასაუმჯობესებლად იბრძოდეს და სხვებსაც მოუწოდებდეს ამ ბრძოლისაკენ. ის დამკლავებული ერევა ცხოვრების ზღვაში, ღრმად სწამს ბარათაშვილის სიტყვები: „მაგრამ რადგანაც კაცი გვეყიან, შეილნი სოფლისა, უნდა კიდევაც მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა“-ო და გატაცებით მუშაობს ცხოვრების შესასწორებლად და უკეთ მოსაწყობად.

ვეტყვიან ხელოვანი მწერალი სინამდვილის სურათთა ამსახავია და სხვა რა მოთხოვნა მასაო?

თუ ვარგად არ ჩაუყვირდებით, ამ ღებულებიდან რაედენიმე სახიფათო დასკვნის გამოყვანა შეიძლება. ერთი რომ მწერალი არ არის მარტო „სინამდვილის სურათთა ამსახავი“, იგი არ არის უსულ-გულო და ფოტოგრაფიული ობიექტიური აპარატი, რომელიც უოველ წვრილმანს თუ მსხვილმანს ერთნაირს ერთგულებით გაღიტანს ხოლმე თავის ნეგატებზე. მწერალი სინამდვილის გადმოშლის დროს ერთგვარი შემოქმედია, მოაზროვნე და ასახავს მხოლოდ იმას, რაც მას საჭიროდ მიიჩნია მოვლენის დამახასიათებელ ელემენტად.

ცხადია, მწერალი ამ დროს აზროვნებს და ამნაირად იგი მხატვარიც არის და მოაზროვნეც. აზროვნებას კი იგი შეუჩერებლივ მიყავს იმ მომენტისაკენ, როდესაც მან გადაჭრით უნდა სიტყვას—მოსწონს ეს ცხოვრება და მისი წესები თუ არა. ეს უნდა მოიზომედლოს მან შესაფერი სურათების გადმოშლით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ხელოვანი არ იქნება.

მგონი სენტბიოკმა სიტყვა: კრიტიკოსი ის კაცია, რომლის საათი ყველა საათებთან შედარებით ხუთის წუთით წინ უნდა იდგესო.

მით უმეტეს ეს ითქმის მწერლის შესახებ. იგი, როგორც მოაზროვნე, საზოგადოების მოწინავე ავანგარდში უნდა იდგეს, ყველაზე ადრე უნდა გამოიცილობდეს ფაქტების ჩვეულებრივთათვის მიუწოდებელ მნიშვნელობას და მიმართებას და ამნაირად ცხოვრების გეზის მაჩვენებელი უნდა იყოს. ის დამ-





ქართველი  
წიგლისწამბე

კლავებულნი უნდა იდგეს ცხოვრების გემზე და მამაცად უნდა იქნეოდეს გონების ორთაყვირს,

ყველა დიდი მწერლები: ბაირონი, გიორგი, რუსთაველი, გორკი, აკაკი, ყაზბეგი, ნინოშვილი თავის დროის მოწინავე მოაზროვნენი იყვნენ, ვაჟა-ფშაველას იდგენენ ცხოვრების ასპარეზზე და გააფთრებით იბრძოდნენ მარჯვნივ და მარცხნივ...

მათ მიერ ასთებული საზოგადოებრივი ღონისძიებები, მთელ თაობას უნათებდა გზას და თანამედროვე საზოგადოებას იმე შეჰქურბდა მათ, როგორც ზეცაში მოკიფე ვარსკვლავებს, აღმაფრთოვანებულ და იმედის მომგვრელ მნათობებს, განახლებისა, ხსნის და განსპეტაკების სიმბოლოებს.

მაგრამ ყველა მწერალი არ არის ასეთი, ყველას არ შეუძლია მოწინავეობა გასწიოს და იმ დროს, როცა სხვები პირველ ხმას გალობენ, ის შეიძლება მეორეს, ან მესამეს დაჰღებოდეს. მას არ შეუძლია „ნადირთა დიდთა ხოცვა“ და მომცროთი კმაყოფილება: ირმებისა და შველების მაგიერ კურდღელზე ნადირობს, ხანდისხან არც მწყერის დაქერას თაქილობს ხოლმე.

ამ წერილის მეორე ნაწილში ჩვენ გვინდა ამ თვალსაზრისით მივუღებთ ჯაფახიშვილს: გვინდა ვაევიგოთ—გამოხატავს თუ არა ჩვენი მწერალი თავისი დროის იდეებს?

როგორია ეს იდეები—ცხოვრების ძირითადი ტემპის გამოხატველი, თუ სხვათა შორის, წვრილმანი, ყოველდღიურობით შემოხაზული? სად დგას ჩვენი მწერალი და სად ებრძვის იგი ცხოვრების ტალღებს—ფარვატერში თუ პატარა პატარა შენაკადებში წუმპლობს?

## 2.

კიდევ ავიღოთ ხელში მისი მოთხრობების პირველი ტომი, რომელიც „ტყის კაცის“ გამოკლებით 1903—08 წ.წ. დაწერილი.

ეს დრო პირველი რევოლუციის შეტევისა და უკან დახვევის ხანაა.

რევოლუცია არსებულ ღირებულებათა ძირითად შეფასების დროა. ახვრთებული ხალხი აფასებს თავის პოლიტიკურ წესწყობილებას, უკვირდება და სცელის ყოფა-ცხოვრებას, ძირითადად სინჯავს არსებულ ეკონომიურ ურთიერთობას და ამნაირად ერთის მხრივ რომ მოქმედებს და ძველ ქერქს იშორებს, მეორეს მხრივ აწარმოებს უდიდეს გონებრივ მუშაობას, განიცდის აზრის განუზომელ ცვლებადობას.

ვინ არის ისეთი, რომ ამდროს ნერვებ დაკომული არ აზროვნებდეს? განა ამ ხანაში მოიპოვება თუნდაც ერთი ცალი კეცი და კაგი, რომ ნაპერწყმებს არ ისროდეს და ყველა აბედს ცეცხლს არ უკიდებდეს?

ძალუმიდ უზერავს განაფხულის განმაცხოველებელი ქარიშხალი, ყველა ვულკანები ამოხეთქას ლამობენ, ყველა მთები ცეცხლით ქშინენ... და ამიტომაც ძლივს იტყვენ თავიანთ არსებაში ახალ აზრთა აფორიაქებას, უნახავ და განუცდელ გრძობათა ატივტივებას.

ასეთი იყო, რასაკვირველია, ჩვენი პირველი რევოლუციის პერიოდიც,

როდესაც მის ჯავახიშვილი იღებს კალამს ხელში და გამოდის სამწერლო ასპარეზზე.

ვინ შეადგენდა ამ რევოლიუციის მამოძრავებელ ძალას, საზოგადოების რომელმა ნაწილმა იშიშვლა ხმალი ძველი ურთიერთობის ძირიანად მოსასპობად?

ამ მხრივ ყველა ჯენი რევოლიუციები საშინლად გვიან ერთმანეთს. პროლეტარიატი და გლეხობა—აი მათი მამოძრავებელი ძალა, მუშათა კლასის იდეალების განხორციელება და აგრარული საკითხის ძირითადი გადაჭრა. ეს არის ამ მოძრაობათა უახლოესი მიზანი, ხოლო მეორე საფეხური—ეს სოციალიზმის კარების შეღებაა, ახალი ქვეყნის ხილვაა. თუმცა დეტალები შეიძლება სხვადასხვობდნენ, ტემპიც შეიძლება ნაირნაირი იყოს, მაგრამ მოძრაობის მთავარი ტენდენცია რომ ასეთია, ამის უარისყოფა არავის არ შეუძლია.

ცხოვრების ასპარეზზე ერთის მხრივ დგანან მუშა და გლეხი,—მეორეს მხრივ მემამულეები, კაპიტალისტები და სხვა გაბატონებული წრეები. ეს ძალებია მთავარი მებრძოლი, მათი ყუიენა ფარავს ბრძოლის ველს. მათი აზრი და გრძობა, მათი იდეალი და მისწრაფება—აი რა დაეუფლა ცხოვრების მოედანს...

ერთნი მოდიან და თან მოაქვთ ახალი პოლიტიკა, ახალი ეკონომიური დამოკიდებულება, ახალი აზრი და გრძობა...

მეორენი მიდიან და თან მოაქვთ ყოველივე ძველი, ძველი ფსიქიკა, ძველი საფუძვლები...

სად არის ამ დრამის მიხეილ ჯავახიშვილი? ვისი ხატება გადააქვს სამხატვრო ტილოზე? ვის აზრსა და მისწრაფებასაა რომ თვალწინ გვიშლის იგი—წარმავალთა, თუ მომავალთა?

არც ერთის და არც მეორის; ამაზე მჭრემეტყველურად ლაღადებს მისი მოთხრობის პირველი ტომი. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მან ვერ მიაგნო პირველი რევოლიუციის დედა ძარღვს და ამნაირად ვერ დაიჭირა თანამედროვე ცხოვრების ხიშტი, თუმცა არც ერთის ხაზით ის ძველთა რიცხვში არ ურევიდა და მთელი მისი სიმპატია ახალისკენაა.

შაშინდელი მისი მოთხრობის დედა აზრი უსათუოდ რევოლიუციით არის გამოწვეული. აფხსნათ რაშია საქმე და რამდენად უახლოვდება ჩვენი ავტორი ამ განმარტებელ კოკონს.

3.

როგორც უკვე გვქონდა ნათქვამი, პირველი ტომის მოთხრობები: „ჩანჩურა“, „უპატრონო“, „კურკას ჭორწილი“, „მუჩეგე გაბო“ და „თავდავიწყება“ ერთ იდეას აშუქებენ ხოლმე.

— შეიბრაღეთ მცირედი მოძმე, ისიც თქვენისთანა ადამიანია. ნუ გაქვღაღეთ მისს პიროვნებას და სხვა,—აი რას გვეუბნება ავტორი ამ მოთხრობებით.

ეს აზრები ფართოდ იყო გავრცელებული პირველი რევოლიუციის ხანაში საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც ლიბერალურ-მუმანიურად იყო განწყობილი და რომელსაც საქმაო სიძლიერით სძულდა თვითმპყრობელობა, როგორც



ქართველი  
წიგნისწამყვანთა  
კავშირი

პოლიტიკური წესწყობილება და უფლებრივი ურთიერთობის დამყარებისკენ მიისწრაფოდნენ.

საზოგადოების ეს ნაწილი უსათუოდ დიდას სიმპატიით უყქროდა რევოლუციონერ ბრძოლას, ალტაცებაში მოდიოდა მუშებისა და გლეხების თავგანწირულ შეტევის რომ ხედავდა და გულწრფელად უკრავდა ტაშს ყოველივე პროგრესიულს. მართალია, რევოლუციის აქტიური მონაწილე იგი არ ყოფილა, მაგრამ მისი გულწრფელი დახმარებ კი იყო და დღეღამეზე მოელოდა ძველი რეჟიმის დამხობას.

საზოგადოების ამ ნაწილს და მისს მოწინავე წევრებს კარგად იცნობს ჯავახიშვილი: თეიმურაზ ხევთსთავი „ჯაყოს ხიზნების“ გმირი სწორედ ამ წრიდან ყავს მას განოყვანილი.

ამ ლიბერალურ-ჰუმანიურად განწყობილთა პირთა ფრაზეოლოგიის მხრივ ხშირად რევოლუციონერ პრესასაც კი არ ჩამოუყარდებოდა. მათი მხატვრული ლიტერატურაც მუდამ ვაცლენთილი იყო კეთილის სურვილებითა და სათნოების ქადაგებით.

მაგრამ ერთია თანავარძლობა და ნაპირიდან სერიის ყურება და სულ სხვაა მჭუხარე მდინარის კალაპოტში დგომა და გააფთრებულ ტალღებთან დევგმირული ბრძოლა; ერთია ნაპირზე დგომა და იქიდან სათანავარძლობო ცვირსახოცის ჭნევა, მეორეც შუა ფარვატერში კიდილი.

იქ, ნაპირზე რომანტიკაა, სანტიმენტალობა, გამოუტყვეველ სიკეთის სურვილი, აქ კი უღმობელი სინამდვილეა მთელი თავისი სიწიშელით, უარყოფილია ყოველგვარი გულწილობა და ფრჩხილითა და კბილით იცავ საკუთარ თავს: ხან აგორებულ ქვებს აშორებ ფეხებს, ხან დანასავით მჭრელ ტალღას ფარივით აგებებ გულ-მკერდს, ხანაც მოტივტივე ნამორს გზას უტევენ და ამავე დროს ძლივს იმაჯრებ შიშველ ფეხებს მუხანათურად ფეხის გულზე ქვევიდან გამოსხტომილ სილაზე... ერთის სიტყვით აქ, შუაგულში, შოლოდ ბრძოლაა და ბრძოლა, მედგარი და შეუბრალებელი, მძაფრი და დაუნდობელი.

აი ეს ნაპირზე მდგომნი იყვნენ, რომ რევოლუციის ტალღათა აგორებით რომანტიულად მთვრალნი მთელ ქვეყანას უმტკიცებდნენ:

— ჩანჩორაც აღამიანია და შეიბრალებო, კურკასაც „ღვთის სული უდგას“, მეჩქემე ვაბოცა, მისი მეგობარი ჭიყველაც კაცებია... ნუ სჩაგრავთ მათ: ნუ აყრით უფლებებს, იცანით მათში თქვენისთანა აღამიანის პიროვნებაო და სხვ.

რუსეთის დიდმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ აქო ამ ხანაში უხვად აღმოაჩინა „რევოლუციონერები“ და ახალი აზრების ხალხი ბოსიაცებ შორის. ისიც ყველას ეხსოვება, თუ როგორ მოტყვილდა დიდი მწერალი: რევოლუციის მამოძრავებელ ძალად გამოვიდნენ სამრეწველო, ორგანიზაციულად შეკავშირებული პროლეტარიატი და ამ კლასის შემადგენელი თითოეული პირები და არაგორკის ლუმენპროლეტარ-ბოსიაცები, რომელნიც ალბად ებრაელთა პოჯრომებს ახდენდნენ კიშინიოვნი და გომელნი იმ დროს, როცა რევოლუციონერი ხალხი თავისუფლებისათვის იბრძოდა.

ერევნული  
ბიბლიოთეკა

აი ასეთ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროში შექნა ჯავახიშვილმა თავისი მოთხრობა და მით ერთგვარი ხარკი გადაუხადა თანამედროვე ცხოვრებას.

ეს საკითხი არ ყოფილა პირველ რევოლუციის დროს აქტუალური მნიშვნელობის: ყოველი ადამიანი ხომ დაბადებით თანასწორია და მაშასადამე უფლებრივადაც ერთი-მეორეზე მაღლა არ უნდა იდგენ, ეს საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ აღიარა 1780 წ. „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციით“. და რუსეთის რევოლუციაში, რომელიც 115 წლის შემდეგ მოხდა, ამ აზრის ხელახლა მტკიცებაში რევოლუციონერები თავიანთ ამოცანას ვერ ხედავენ.

ყოველ შემთხვევაში თავის დროზე ძველი კვანძების მოგონებაც კარგია, მით უმეტეს მაშინ, როცა მას იგონებენ ისეთის მომხიბლავის ფორმით, როგორც ეს მოიმოქმედა ჯავახიშვილის მაღლიანმა ნიქმა: დასახელებული მოთხრობები ხელოვნების მხრივ ზევნი ლიტერატურის დამამშვენებლად უნდა ჩაითვალოს.

„ბაბის სამართალში“ ჯავახიშვილი ცდილა მიეცა რევოლუციის დროიდან ერთი ნაკეთი, მაგრამ ეს ესკიზი ისე სუსტია, რომ ჯავახიშვილის კალამს სრულებით არ შეშვენის. ამავე დროს აქ ნათლად სჩანს, რომ ავტორს ვერ დაუკერია ამ პატარა ამბის დედაზრი. ვერ გადაუშლია ახალი აზრის სიძლიერე და „ახლო-მაბლო სოფლებში მოქადაგე“ „ჩიორა“—ეს თითქოს ახალი იდეის მატარებელი პიროვნება რაღაც უმწეო და სრულიად უქალღ პიროვნებათ დახატა. ავტორმა ვერ შესძლო რევოლუციონერის აზრების და შეხედულებათა გადმოშლა, თუნდაც პატარა მსწრაბით.

## 4.

აბა რას გვეტყვიან თანამედროობის მხრივ ხელ ახალი რევოლუციების ხანაში შექმნილი რომანები „კვაკი კვაქანტირაძე“ და „ჯაკოს ხიზნები“?

კვაქანტირაძე თავიდან ბოლომდის თითქოს თანამედროობის ფონზე იშლება: ომის წინა ხანა, ომი, ზავი, სამოქალაქო ომი, რევოლუციები, ბანდიტიზმთან ბრძოლა, „ვარდისფერ საქართველოს დამუქება და გაწითლება“, ერცენის მოედნის სპექტაკლიცა, ბონები, ჩეკა, მტრები და რა ვიცი კიდევ. ავტორი დახელოვნებულ მეოქმესავით ჩამოსთვლის ხოლ მე ყოველივეს, წაღმა-უკულმა დაჯიროთობს რუსეთში და ევროპაში, ვის მიერ დიგებული ბადე გინდათ რომ არ გაგლიჯოს მისმა კვაკიმ...

მაგრამ ყოველივე ეს ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს მწერალი სადღაც მიეჩქარებოდეს და მარტო ერთხელ მოგაკვრევიანებს ამ დეკორაციებისათვის თვალს, ცდილობს არ ჩაუფვირდეს მათ სიღრმეს, სიღამაზეს და მნიშვნელობას არსად, არც ერთ შემთხვევაში მოვლენის და სურათის დედა აზრი არ არის გამოკვეთილი, მთავარი მაჯისცემა ყოველთვის ჩვენი ავტორის გარეშეა, როგორც თითონ ის, ისე მისი ვებერთელა რომანის გმირი კვაკიც—ცხოვრების ზედაპირზე დასრიალებენ, ყველაფერს ელვის სისწრაფით ევლებიან და მხოლოდ მირბიან, სადღაც მირბიან...



საქართველოს

მწიგნობართა

და იცით როგორია ეს სირბილი? სულ მჩატე სატყეების გამო, აფიორის გარშემო... ხუთას გვერდიან რომანში თქვენ ერთ ისეთ ადგილსაც ვერ იპოვით, რომ გულისხმავს ჩაგვადოს და თანამედროვე ვითარებაზე დაგაფიქროს.

მართალია, ხანდისხან კვაჭი ერთგვარი სატირაღ კი არის ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, შეიძლება კარიკატურადაც მივიღოთ. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს კარიკატურა ყოველად შეუსაბამო და გულგრილია. თუ არა ჩმახვა და შეუსაბამობა, მაშ რა უნდა დაერქვას ვითომდა კვაჭის მიერ თებერვალ-ოქტომბრის რევოლუციის მოხდენას?! სატირა აგრე არ იწერება. რომანში მხოლოდ აფერისტობის პათოსია, სხვა ყველაფერი უბრალო დეკორაციაა.

ან გვების კვაჭი იცის თანამედროობის დამახასიათებელი ტიპი? არაფერი ამის მაგვარი, აფერისტები ყოველთვის ყოფილან, კვაჭი არ არას ჩვენი დროის სპეციფიური აფერისტი, ახალ, რევოლუციონურ სინამდვილეში წარმოშობილი აშორდია, რომლის საკმენი საგმირონი თვალწინ ედგა ალბად ჯაეხიშვილს, ძველი დროის შვილია და კვაჭის იქ ამოქმედებაც სრულიად ბუნებრივი იქნებოდა. ხოლო თუ ავტორმა იგი თანამედროობაში გადმოიყვანა, ამით მას რომანისადმი ინტერესის გაცხოველება უნდოდა და მეტი არაფერი. ასეთ ხერხთა რიცხვშია, მაგ. ჩასათვლელი რასპუტინი და მისი გაშიშვლება, როდესაც ეს ავხორცი საზიზღრად გაჭივივის:

— არც ახლა დაიჯერებთ?! ეხლაც ვერ იცანით გრიშკა?!. აი, ნახეთ და დარწმუნდით! ნახეთ და დაიჯერეთ! აი, აი... ნახეთ, ყველამ გაშინჯეთ!... აი ჩემი პასპორტი და სხვა,

მე მგონია ასეთ პორნოგრაფიაზე შეჩერება ჯაეხიშვილს არ შეეძვრის.

ამ რომანმა ჩვენ იმ დასკვნამდის მიგვიყვანა, რომ პირველი რევოლუციის პროცესში ჯაეხიშვილი „ნაპირიდან ცხვირსახოცს მოჭიანთა“ რიცხვს მაინც ეკუთვნოდა, ეხლა კი, 15 წლის შემდეგ, ეს კვაჭისათვის გადაუტია... ის კი ხან მგვარად ხმარობს ამ ცხვირსახოცს, ხანაც დროშად და თამამად დაჯირითობს თანამედროვე ცხოვრების ნაპირებზე თავის ქვენი გრძობების დასაკმაყოფილებლად.

გადავიდეთ „ჯაყოს ხიზნებზე“. ჩვენ უკვე გვქონდა ნათქვამი, რომ ამ ნაწარმოებმა საზოგადოების ყურადღება მიიქცია. რა არის ამის მიზეზი?

რომანის ერთი უმთავრესი მომქმედი პირი, თეიმურაზ ხევისთავი, ერთი იმითთავანია, რომელთა წინააღმდეგ მიიმართა ჩვენი რევოლუცია. თეიმურაზი ჟარყოფილია, როგორც პოლიტიკურ—საზოგადოებრივი მოღვაწე, ისე ერთი სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი: ერთ დროს გამოჩენილი საზოგადოებრივი მოღვაწე, დღეს საღდაც კუთხეშია მიგდებული და მისი დედულ-მამულიცა და ქონებაც ან ერთიანად განიადდა, ან და მისმა მოურავმა—ჯაყომ, ჩაიგდო ხელში. ამიტომ თეიმურაზი შემწურალია თანამედროვე სინამდვილეზე, არ ღებულობს მას, არ უნდა არსებულ წესწყობილებას ლოიალობა გამოუცხადოს, ჭედს არ იხრის გამარჯვებულთა წინაშე და უკეთესი მერმისის მოლოდინში გაიძახის:

„პოლიტიკურად თავი უნდა მოვიკლა“



„მე ჩემი ხალხის ბანაკში ვარ და ყოველთვის ამ ბანაკში დავიჩინებ“.

თეიმურაზი, როგორც ერთგვარ თვისებათა კომპლექსი, ჯაჯასიშვილს დიდი შეცდომებით და წინააღმდეგობებით უახსნელი—ამაზე თავის ადგილას ვიტყვი—, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ამ ტიპის ერთი პროფილი სწორეთ ასეთია, თითონ რომანიც ამ საკითხის წამოსაყენებლად არის დაწერილი. სწორეთ ამიტომ დაინტერესდა საზოგადოებაც.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლო ჯაჯასიშვილმა თანამედროობის რითმის დაკერა, საკმაოდ ხანგრძლივი ლიტერატურული მოღვაწეობის განმავლობაში მხოლოდ ამ რომანის მეოხებით ჩადგა იგი სინამდვილის მთავარ კალაპოტში. მაგრამ... ერთი შენიშვნის თანდართვით: მწერალმა ეს შესძლო არა ახალი ტიპის, თანამედროვე ცხოვრების შკოლის სულისა და გულის გადმოშლით. არამედ ძველი ტიპის ადამიანის საშუალებით,—თეიმურაზი ძველი, რევოლუციის წინა დროის ურთიერთობის ნაყოფია და ჯაჯასიშვილმა მხოლოდ ამ გზით შესძლო დღევანდლობას მიწვდენოდა. ახალი გზები მისთვის ჯერჯერობით დახშულია. ამ ახრის სისწორეს ქვევით უფრო აშკარად დავინახავთ.

ეგ ჯაყო რაღა ცხოველია—ძველია თუ ახალი?

მიუხედავად იმისა, რომ იგი ერთ დროს ხმის ჩახლქამდის გააკვირდა:

— გაგიმარჯოს ეორდანიას თავრობა, საწყალი ხალხი მიწა მოგეცი,—

— ლმერთმა გაეურთობოს ბალშევიკების შთავრობა, რომელმაც საწყალი ჯაყოს სახლიც მოგცა, ბალიც, ვენახიც და კარგი კანონიცა! ძირს ეორდანიას, აღარ გინდა ჯაყოს ბურჯუების შთავრობა, აღარა—დიახ, მიუხედავად ყოველივე ამისა, იგი მაინც ახალ ურთიერთობაში ყაჩაღურად შემოჭრილი თავხედია და არაფრით არ განიჩრცევა ხალხის იმ ამწიოკებელ და დაპარბეველ მოურავებიდან, რომელთაც ჯერ კიდევ გ. ერისთავი ხატავდა თავის კომედიებში.

ჯაყო დაუნდობელი მედროვეა, როცა ხალხმა მის გაიძეფრობას საზღვარი დაუდო და უკანონოდ მითვისებული კარმიდამო ჩამოართვა, იგი კბილებს ღრქენით გაიძახის: „ყოველთვის ხომ არ იქნება ეს შთავრობა“.

სულ ტყვილა უკრავს ტაშს იგი ხალხს და აქებს:

— ჩვენი ხალხი ძალიან რევალიცი ხალხია, შენი წირიმე. ყველანი მხათ ხართ თოფი ვესროლოთ მტრებსა და ყაჩაღებსა. ნაშინდარში ყველანი გმირი ხართ და ძმა-ბიწურად ცხოვრობთ.

ჯაყოს არც სოფლის ინტერესებისა სცხელა, როდესაც მთავრობას მოახსენებს ხოლმე: ჩვენი ხალხი მაგოდენა ნალოვს ვერ გადაიხდისო; არა, ვერაფერი ასეთით ჯაყოს ახალ ტიპად ვერ გაასაღებთ. სრულიად შემთხვევითია მისი სოფლად გაბატონება და ახალ პანგზე ანღურება. რევოლუციის პირველ დღეებში ბევრი ძველი ელემენტი ცდილობდა „თავის ახლად შობას“. ჯაყოს მშვენიერად ახასიათებს თეიმურაზ ხევისთავი:

— ჯაყო, დაანებე თავი რევოლუციას! თქვენ ერთმანეთს არც კი იცნობთ. რევოლუცია შენთვის მღვრიე წყალია, ხელსაყრელი ნიღაბია, მეწველი ფურია. შენ კი, რევოლუციის მუნი ხარ, მისი წურბელა ხარ, მისი ტკიპი, მისი ბაღლინჯო და ტილი.



ერეკნული  
მეცნიერება

მიუხედავად ამისა, ჯავახიშვილს მაინც უყვარს ჯაყო, პირდაპირ მის პოეტად არის გადატყვეული და ვინ იცის რა ელფურით ან მოსავეს მისს ძალღონეს, ვითომდა სიახლეს და თანამედროვე ცხოვრების შესაფერ, მაგრამ კონთებიან და ნერვებიან არსებას. იმ როგორ პანეგირიკებს უძღვნის იგი ჯაყოს:

„მარგოს თვალში ჯაყო წისაბაძ არსებად, ძალღონის მავალითად, ახალცხოვრების გმირად და დაუფლებელ ბატონად გადაიქცა, რომელსაც უნდა დაეთმოს გზა და მოედანი, მიეცეს ფართო ასპარეზი მოქმედებისა და სრული ეფულება ნავარდობისა, ვინაიდან მხოლოდ ჯაყო იყო ახლად შობილი ახალი ჯგუროს ადამიანი, მხოლოდ მის ჰქონდა დროის შესაფერი ტუნთები, ბასრი კლანკები და ფოლადის კბილები, რომელიც უძღურ გიყველებს დაიპყრობენ, დაფანტულ ქონებას ხელახლა დააგროვებენ, ზარბაცებს აამუშავებენ, მოღწებულ ძარღვებს გააცოცხლებენ, ახალ წესრიგს შექმნიან და ახალ თანასწორობას, სამუდამო მშვიდობას და კეთილ ცხოვრებას დაამყარებენ და ყველას გაუჩინენ გემრიელ ლუქმას, ყველას და სხვ.“...

ერთი სიტყვით ჯაყო პირდაპირ ახალი მესიაა, ასე გვარწმუნებს ჯავახიშვილი... მაგრამ ავტორისა და მკითხველის ახრი ხშირად დაშორებია ერთმანეთს და ჩვენც ღრმა რწმენით ვლაპარაკობთ, რომ ჯაყო ძველი ფირმის ძველი საქონელია და ათასჯერაც რომ ზარკა გამოეცვალოს, მისი ახლად გასაღება მაინც არ მოხერხდება.

გაახალკაცებულ მღვდლის—ივანეს—ფიგურა ერთობ მკრთალი და სქემატური, სიცოცხლეს მოკლებულია და როგორც უწინ, ეხლაც ხუცესის გულწრფელობით ქადაგებს ისეთ აზრებს. რაც მგონი თვითონაც არ უნდა სწამდეს. ნახუცარა, როგორც მესამე ნაწილის დასაწყისიდან ჩანს, ჯაყოს ჩუნი მეგობარი უნდა იყოს, მისი სიახლის დასაფასებლად ესეც კმარა.

გარდა თეიმურაზ ბეგისთავეის ერთი პროფილისა, რომანში ახალი და დროული ის არის, რომ ავტორის ჩვენებით ძველი ცხოვრება კედება და ახალი იმარჯვებს: ზარბანდება თეიმურაზი და მისი იდეოლოგია, იმარჯვებენ გლეხები, იხსნება კოოპერატივი, აკოლა და სხვა.

უნდა ითქვას, რომ ეს განახლების გზები—ჩვენს ავტორს ჯერ ერთობ პრიმიტიულად და ლუმბოკის მზგავსად აქვს. ნაჩვენები—კოოპერატივისა და სკოლის დაარსებაში რა არის ახალი—და მერე—სრულებით არ ჩანს ცხოვრების განმაახლებლათა სახე და აზრი.

როგორც მკითხველი მიხედებოდა, ასეთები უნდა იყვნენ თანდელი, ილა, თომა, თედო და ნინია, რომელთაც მხოლოდ აზრდილებივით გამოაჩენს ჯავახიშვილი რომანის ფონზე და მერე უცებ მიშალავს. იმ ამათ ჩამოართევს ჯაყოს ყოველივე ნაუსამართლი, ერთიანათ ახალი ქალები და ახალცხოვრებასაც ესტინი ქმნიან.

მაგრამ ჩვენი ავტორი, რომელიც ასე დაუსრულებლივ გვიქვს ჯაყოს და ასეთსავე ერთგულებით უმოწყალოთ აძაგებს მის მიერ ამოჩემებულ—თეიმურაზს, აი ეს ავტორი ფეხაკრებით გაუბრის ამ ახალ ძაღვს, ერთი ხაზის მოსმითაც კი ვერ ბედავს მათი სახის ჩვენებას და მხოლოდ ყრუთ გვეუბნება, რომ მათ



ჯაყო სძულთ—ერთმა თავში კომბალიც კი დაჰკრაო—კოოპერატივის გახსნაზე ოცნებობენო და... მეტი არადფერი.

პირდაპირ გწყინთ, რომ ავტორი არ სარგებლობს იმ მწვენიერი შემთხვევით, რომ ჯაყოსათვის ახალი ძალები ფართოდ დაეპირდაპირებია და ამნაირად მართლაც ახალი რამე ეთქვა ჩვენთვის. ვინ არიან ეს თანდილები, რა უნდათ მათ, რას ფიქრობენ, როგორ მოქმედებენ, როგორია მათი გრძნობა და იდეალი?

**Хоть инаше да гирише**—ოღონდ ახალი და თუნდაც ცუდადო—იციან მალ-როსებში; მეც ამას ვესურვებდი ჯავახიშვილს.

როგორც ეტყობა ახალი ტიპების სული და გული, ჩვენ ცხოვრების განმანახლებელთა ფიქრი და იდეალი ჯავახიშვილისათვის „დაბეჭდულია ბეჭედითა შეიდითა“.

დასკვნა: ჯერ-ჯერობით ჯავახიშვილმა ვერსად ვერ გვიჩვენა თანამედროვე ცხოვრების მამოძრავებელი ძალების სული და გული, აზრი და მისწრაფება. მისი შემოქმედება ვერ მოგწყვდა ცხოვრების ფარვატერში, მისი სამხატვრო ტილო ფშანებშია გაშლილია; მხოლოდ ერთი ტიპის—თეიმურაზის—დახატვით ავიდა იგი თანამედროობამდე, მაგრამ ესეც მოხდა ძველის გზით, ძველი ტიპის ახალ პირობებში ჩვენებით.

### III. ხელოვნური ახახვა.

#### 1.

მწერალი მხოლოდ ხელოვნური ნიჭის მიხედვით ფასდება. თუ მასში შემომქმედი ხელოვანის ნიჭი არ არის, ათასი თანადროული და ტიპიური მოვლენა რომ აკვაწეროს, ყურადღების ღირსი მაინც არ იქნება. ამ შემთხვევაში შეიძლება ის დაფასდეს როგორც პუბლიცისტი, სოციოლოგი, სტატისტიკოსი, საზოგადოდ მეცნიერების ერთი რომელიმე დარგის წარმომადგენელი, ხოლო ხელოვნებასთან კი მის კავშირი არ ექნება.

შინაარსის მიხედვით ნაწარმოებს ხელოვნურად ვერ ჩავთვლით, ვინაიდან რა არის **გამოხახული** ერთი საკითხია და **როგორ არის შესრულებული**—სულ მეორე. რა არის—აქ ხელოვნება და მეცნიერება ერთდებიან, **როგორ არის**—აქ შორდებიან; ეს დაშორება არის ძირითადი და თუ იგი მართლაც ასეთი არ იქნა კონკრეტულ ნაწარმოებში, ისე იგი ხელოვნური არ იქნება.

სასარგებლო და სწორი აზრი რაც უნდა ცუდის ფორმით გამოსთქვას ადამიანმა, ბოლოს და ბოლოს მაინც გამოიხიწება იქედან რაც დადებითია, ვინაიდან აქ თავი და თავია თუ რა ითქვა, რა სასარგებლო აზრი იძალდება ამ პროზაულ ფორმაში. ხელოვნებამ კი ეს აზრი სურათებში გაშლილი უნდა გვაჩვენოს, თავისებურად უნდა განოსახოს და თუ ეს ასე არის, მაშინ ნაწარმოებს დაერქმის ხელოვნური.

მაგრამ სურათებიც არის და სურათებიც; არის კარვად დახატული სურათი არის საჯტხოვო და გენიალურიც, არის კიდევ შედარებით მდარე და ნაკლების მიმხიდელობით შესრულებული.





და სწორეთ ესაა მიზეზი, რომ თითოეული მწერალი სხვა და სხვანაირად ფასდება. როგორ ხატავს იგი სიტყვათა საშუალებით სურათებს— აი რა საკითხით უღვებთან მას.

რუსეთში იყო ერთი მწერალი—პ. ბობოროკინი, რომელმაც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში აუარებელი ადამიანები ასწერა: ჭალი, კაცი, დიდი, პატარა, ინტელიგენტი, მუშა, მემამულე, გლეხი, ბურჟუა... ეს მწერალი ერთობ განვითარებული და შეგნებული პირი იყო, ბევრჯერ ჰქონდა შემოვლილი ევროპა, შესანიშნავად იცოდა ანტიური და ახალი მწერლობა, მრავალ მწერალს ევროპაში და რუსეთში პირადად იცნობდა (აგრეთვე ჩენს აკაკისაც), ანატოლ ფრანსი, იბსენი, მოპსანინი, ჰამსონი და ნიკსე სულ ენაზე ეკერა, შესანიშნავად იცოდა სხვადასხვა ლიტერატურული მიმართულებანი და აზრთა ცვალებადობა... ერთის სიტყვით უაღრესად ინტელიგენტი კაცი იყო, ფანტაზიაც კი ჰქონდა და თანამედროობის აღლოც...

მაგრამ... სახელოვანი მწერლის სახელი მაინც ვერ დაიმსახურა, უთვალავ მის ნაწერიდან თითქმის არც ერთი არ გამოდგა „გულის გამგმირაფი“ და იმ დროს, როდესაც მისი თანამედროვე რუსი მწერლები: ტოლსტოი, ჩეხოვი, გორკი და სხვები თითქმის იმავე ტიპებისა და იდეების ასახვით, როგორთაც ბობოროკინი ასწერდა, მთელი რუსეთის საზოგადოებას აბოზოკრებდნენ, — ბობოროკინს მხოლოდ მოდღვენებული ჭალიშვილები კითხულობდნენ და „ნივის“ ხელის მომწერლები გემრიელი სადილის შემდეგ უგემურად ახვედნენ საფოსტო ბანდეროლს.

და ეს იმიტომ, რომ ბობოროკინს ყოველგვარ სიკეთესთან ერთად ნაკლებად ებადა ის, რაც საჭიროა დიდი მწერლის სახელის მოსაპოვებლად: ხელოვანის ნიჭი, დამატყვევებელ სურათთა შექმნის უნარი.

ებლა ამ თვალსაზრისით გვინდა მივუდგეთ მ. ჯავახიშვილ-ადამაშვილს.

## 2.

პირველ ტომში ხელოვნების მხრივ ყველა მოთხოვნებზე ვალა დგას „კურკას ქორწილი“ და „ჩანჩურა“. ორივე ამ მოთხოვნაში ავტორი შეუდარებელი ხელოვანია, ყოველი მისი სურათი და სიტყვა ერთიანად გიპყრობს და გიმონებთ. ის ოსტატურად მიუძღვება მკითხველს წინ, ერთის წუთითაც კი არ აგრძნობინებს მოღალატას და სულ განაბული მიაქროლებს დედააზრისკენ.

ხელოვნური ნაწარმოების მიზანი— მკითხველში ისეთივე გრძნობის გამოწვევა, როგორსაც ავტორი გრძნობდა ნაწარმოების შექმნის დროს— აქ სავსებით მიღწეულია, განსაკუთრებით თქვენ ამას გრძნობთ „კურკას“ კითხვის დროს.

გარეგნულად კურკა მახინჯია: ვებერთელა თავი, მოლრეცილი ფეხი-დაბალი; გონებრივ დაც ბეჩაფია, ამიტომ ყველა მას სასაცილოდ იგდებს და თავში სცემს. ისიც ქედმოხრილია და საკუთარი პიროვნების რწმენა ერთობ შერყეული აქვს. მაგრამ სული მწარეა და კურკაც ცხოვრებას ეპოტინება: მან ჯღანებას დაკერება იცოდა, იმდენი მოახერხა, რომ სომეხ დაროს დუქნის გვერდით სახარაზო ფიცრული მოიწყო და საკუთარ ფეხზე დაიდგა. დაროს



დაუნდობლად სტარცევას მას, მაგრამ კურკა მაინც ბედნიერია, ვინაიდან საკუთარი თავშესაფარის გაჩენით ის ამაღლდა როგორც სხვების, ისე საკუთარ თავში.

გადის ხანი და წელში გამაგრებული კურკაც დარჩოს რჩევით ცოლის შერთვას გადაწყვეტს; დარჩომ კიდევ აუჩინა საცოლო—მაშო. ეს ქალი გვარიანი მახინჯია, მაგრამ კურკას მაინც დანახვისთანავე შეუყვარდება და მაზე ლოცვას იწყებს. ხუმრობა საქმეა? ისიც ვაკი შეიქნა, ცოლს ირთავს, ქუდს იხურავს. სიყვარულის გრძნობამ ერთიანად გარდაქმნა იგი. სატრფოს მოლოდინში გარინდებული დგას ეს მახინჯი და წრფელის გრძნობით დამღერის: „ქვეყანაზე შემოყვარდა მაშო მე... მაშომ მომკლა, მაშომ დამაღონა მე“...

ავტორის სიტყვით იმ დროს „კურკაზე ბედნიერი მთელ ქვეყანაზე არავინ იყო: სიხარულით დაითვრა, ბედნიერებით აცმუტუნდა, დევთარი აერია და ყველაფერი დააეიწყდა“... „იმ დღეს მზე უფრო ანათებდა (ჩანჩურასთვის), ვიდრე ოდესმე, ჰაერიც გასუფთავდა და გათბა. მტკვარიც უფრო მეტად აღუდუნდა და აბუტბუტდა. ირგვლივ ყველაფერი გამხიარულდა და ყველა კურკას გულკეთილი, გულწრფელი და გულადი მგვობარი გახდა, არე-მარეც გათაქიზდა, და გაიწმინდა“.

და განკაცებული კურკაც ბედნიერათ იმღერის, მასში გაიღვიძა ადამიანის პიროვნებამ. მაგრამ კურკას ბედნიერება უკრთომ მოკლე შეიქნა: ქორწილში იგი დაითრობა, თავს გაიმახსარავენს და სადღაც დააძინებენ. გათენების ხანს გაღვიძებულ კურკას „ყველაფერი შოაგონდა და გაუკვირდა, რომ მაშო მის გვერდით არ იწვა. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. ბნელოდა. უცებ მეორე ოთახიდან რაღაც ხმაურობა და ჩურჩული მოისმა. კურკა გველ ნაკებნივით წამოხტა, ნიდაყვით ბალიშზე დაეყრდნო და სული განაბა. მეორე ოთახიდან ხელმეორედ მოისმა ჩურჩული... კურკა სულგანაბული უფდებდა ყურს\*... ბოლოს გამოირკვევა, რომ პატარძალს—მაშოს პირველი ღამე დარჩოსთან გაუთევია, ის მისი საყვარელი ყოფილა.

კითხულობ ამ ადგილს და უდიდესი შებრალების გრძნობა იღვიძებს თქვენს არსებაში, თქვენ ერთიანად კურკას მხარეზე დგებართ, მზადა ხართ კბილებით დავლიჯოთ დარჩო და მაშო, რომელთაც აგრე უსინდისოდ დასცინეს საბრალო ადამიანს, რომლისათვის ერთი ბედნიერი წამიც კი არ გაიმეტეს.

ჯავახიშვილი შეუდარებელის ხელოვნებით ასწერს ყოველივე ამას, განსაკუთრებით შესანიშნავია ის სურათი, როდესაც კურკა მტკვრის პირას ბედნიერებით ამღერდება, ამის ბადალი სურათი და პსიქოლოგიური სისწორე მე ქართულ ლიტერატურაში არ მინახავს.

ვფიქრობ ერთი ხაზი უნდა აკლდეს მოთხრობის დასასრულს: მაშოს ლალატის შემდეგ პირქვე დაქანებული და ისევ ძველ მდგომარეობაში ჩავარდნილი კურკა უნდა სწუხდეს იმ ბედნიერი წუთების დაღუპვის გამო, როცა ის სიყვარულმა გაადაამიანა და მისი ადამიანური პიროვნებაც აამალა.

არა ნაკლებს სიძლიერითა და ფერადებით არის დაწერილი „ჩანჩურა“ც, რომლის ნაკლად მხოლოდ ის ჩაითვლება, რომ ჩანჩურა თითქმის არა გავს ადა-



ერეკნული  
მხარეთმცოდნეობის

მიანს, მისი შინაგანი ცხოვრება სრულებით არა სჩანს, ის ამსოლიტუტური კრეტინია და ავტორის ნიჭს უნდა მიეწეროს ის, რომ ამ რაღაც ადამიანის მეგვარ არსებას ვიბრალდებთ და შეურაცხყოფილად მიგვაჩნია ადამიანის პიროვნება, როცა მას უსულგულო ბრბო ძალღზე დაბლაკ კი აყენებს.

„მეჩქმე ვაბო“ შედარებით ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს. შეიძლება ეს იმისი ბრალიც იყოს, რომ გორკის „ვასილი წითელის“ გვერდით ჯავახიშვილის მოთხრობა დიდათ არა სჩანს და არაფერ ახალ ემოციებს არ იწვევს. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ არ შეიძლება პირველი რევოლუციის წინა წლებში ჩვენი ავტორის შემოქმედებაზე გორკის არ ქონდეს გავლენა.

ძლიერის საღებავებით არის დახატული და შესაფერ კოლიზიასაც ქმნიან „თავდავიწყება“ და უპატრონი.“ პირველ მოთხრობაში იტყვენ წინაშე დგას განებავრებული, ნერვებ აფორიაქებული, ყინის ამყოლი და უნებმისყოფი თავადი თუ ახნაური სტუდენტი, რომელსაც ერთიანად დაავიწყებს თავს გურული მოსამსახურე ქალი—ეკა. „მაღალი, ტანადი, ახლად შეშფიფებული და ვეფხვივით მოქნილი ქალი... თავზე კუპრივით შავი, ხუჭუჭი და აბურძგნული თმა... ჰაეროვან, შავი ქსელისგან მოქარგულ ჩარჩოდან პატარა, შავგვრემანი და საუცხოვოდ შეწყობილი პირისახე გამოიყურებოდა“... ერთის სიტყვით სოფელში ჩამოსულ „ბარჩუკს“ დედამ უმანკო და ლამაზი არსება დაახვედრა. ისიც მანამდის არ მოეშვება, სანამ ნამუსს არ ახდის. ამას თვალს შეაწრომს დედა, რომელიც იმ წამსვე გოგოს მისი ბარგი-ბარხანით ქალაქში აბრუნებს და ამნაირად თავიდან იშორებს მას.

ეს ხდება სულ რამდენიმე წამის შემდეგ, რაც სტუდენტი ეკა გააუპატიურა. ეს პატივცემული გვამი ასე ავგიწერს ამ ამბავს: „ეზოში ეკა გამოჩნდა და ლასლასით ურემთან მივიდა. თავზე შალი ჰქონდა წაფარებული და პირისახე-ლა უჩანდა. ურემთან გაჩერდა, კალს ხელი მოაელო, მობრუნდა და დამინახა. (ფანჯრიდან უსქერდა) მე ტყვიანაკრავივით უკან გადავხტი და დავიშალე. მერე ცალის თვალით ისევე გავიხედე. ეკა ურემზე იჯდა, ჩემს ფანჯარას მოსჩერებოდა და რაღაცას ელოდებოდა. საწყლად, შესაბრაღისად და გულსაკლავით გამოიყურებოდა. მოჯამავირემ სახრე გაძკრა კამეჩებს. ურემი დაიძრა. ეკა ცოტა ხანს კიდევ იყურებოდა ჩემსკენ, მერე ურემზე მიწვა და პირსახე-ბოხნაში ჩამალა. მგონი სტიროდა.“

გადის ათი წელი, ჩვენი სტუდენტი უკვე ექიმი, ცოლშვილი ჰყავს. ერთხელ საავადმყოფოში მასთან შედის ერთი ქალი, რომელსაც თან ახლავს ცხრა წლის ვაჟი, ექიმი ეკას იცნობს, ეს ვაჟი მათი შვილია „იმ წამის“ ნაყოფი. ხედავს ყოველივე ამას ჩვენი ევებატონი და რა ქნას არ იცის. მასში მრავალი კეთილი გრძნობები, მაგრამ .. ეს სიკეთე მას თავის მოსაწონებლად და გასამართლებლად უნდა და არა სხვა რამისათვის. ამ სურათში ცხადათ იშლება მისი ნებმისყოფის სისუსტე და ვითომდა წმინდა გრძნობის თავდავიწყების—ქვენა მისწრაფებანი.

მოთხრობის გადმოცემა სტუდენტის მხრივ თვით გამართლების ელფერს ატარებს, ესეც „ბარჩუკის“ ეგონიშია, რაც ასეთის სიცხოველით გამოარკვია

ეკამ უკანასკნელ სცენაში, როცა ეს უზადო და გულწრფელი ადამიანი თავის ვაჟით წამსვე ზიზღით ნოზორდა ჩვენს ექიმს.

ამბობენ ამ ნოთხრობაში წმინდა სიყვარულია ასახულიო; თუ ეს მართალია, მაშინ წმინდასა და უწმინდურს შორის საზღვარი გადაწლილა.

„უპატრონოშიც“ საკმაო სიძლიერით არის დაბატული გაქსუებული ბატონის მხრივ უპატრონო გლეხის გოგოს „გაბედნიერება“, გულის მომკვლელია საწყალი ქალის ტრაგედია.

„ტყის კაცს“ აქებენ, მე კი მგონია, რომ საამისო აქ არაფერია. თემაც შეუფერებლადაა აღებული—გლები ასეთი სანტიმეტალისტი არაა, ცოლს იგი მოუხა ხელად სივლის და როცა ერთი უკედება, მეორეთი შესცვლის—და გარეშე ელემენტის—ხარის შემოჭრაც სულ უადგილოა.

„ბაღის სამართალი“ და „ემმაკის ქვა“ ხელშეწების მხრივ სუსტად უნდა ჩავთვალოთ.

3.

ჯავახიშვილმა თუთხმეტე წლის სიჩუნე „კვაჭი კვაქანტირაძე“-თი დაარღვია, ამ ნაწარმოებს ის რომანს უძახის, ჩემის აზრით კი ქრონიკა უნდა დარქმეოდა. მოთხრობამ თავიდანვე ყურადღება მიიქცია. პირადად მე „დაზღვევის“ დაბეჭდამდე სხვა ნაწილები არ წამეკითხა. „დაზღვევა“ ძალიან მონეწონა შინაარსითაც და ფორმითაც, პირდაპირ მოჭიბლული ვიყავი, ვფიქრობდი წერილი დამეწერა იმის შესახებ, რომ ჩვენს ლიტერატურას შეემატა კიდევ ერთი საზოგადოებრივი ტიპი კვაქანტირაძის სახით. მეორეთ წავიკითხე: „რასპუტინის კულზე“ და მოახრობის ქვევით მივაწერე: სასტრიქონო ჰონორარისთვის დაწერილს გავს, საშინლად ზეზეურია, ქართულ ენაზედაც შეიქნა მსუბუქი შინაარსის ნაწარმოები, ასეთ მოთხრობებს „Газета капишка“-ში ბეჭდავენ.

როდესაც მთელი რომანი დავასრულე და მთლიანად გადავხედე მას, ჩემი დასკვნა ზოგადად მართალი გამოდგა: თითონ კვაჭი და მის გარშემო გაშლილი ზოგიერთი ფრაგმენტი თუ სურათი, უსათუოდ ბელონური და ნიქიურია, მაგრამ მხატვრულ ზომიერებას აკდენილი აეტორი მანამ ატარებს ამ ადამიანს კარი-კარ, სანამ საკმაოდ არ მოგაძულებს. რომანი არ არის მთლიანი და სხვადასხვა ნაწილებით განუყრელად შედგლებული ნაწარმოები, არ სჩანს მოკმდეზის თანდათანო გართულება და ატარებს გაქიანურებული ქრონიკის სახეს, ხშირად სრულიად ფანტასტიურია და დაუგერებელი. მოთხრობის შეწყვეტა სადაც გინდათ იქ შეიძლება, ტიპი თქვენთვის მაინც გამოცნობილი იქნება. ნაწარმოების ერთ უდიდეს ნაკლად ისიც ჩაითვლება, რომ მკითხველს საფიქრებელი და დასაკვირვებელი არაფერი რჩება: ყოველივე ნათქვამია, ყველა საქითხები ახსნილი და ამოწურულია. აეტორმა უკვე იზრუნა მკითხველისათვის, გონებრივი საზრდო დაღეჭა, მოიფიქრა რაც საჭირო იყო, მკითხველს კი ის და დარჩენია, რომ ყოველივე პასიურად მიიღოს და აქტივობა არაფერში გამოიჩინოს.

ნამდვილად კი მხატვრული ნაწარმოები წაქითხვის შემდეგ უნდა იწყვედეს მკითხველში გონებრივ მუშაობას და მკითხველის კრიტიკულ უნარის გა-



მხებილებას. ამას რუსულად художественное размышление-ს უწოდებენ და გარეშე ამისა მხატვრული ნაწარმოები იგი არ არის, რაც უნდა იყოს.

დასასრულ ჯაყახიშვილმა კვაკანტირამდე ერთობ ზეზეურად ასახა, ვერ გადმოშალა, ან არ მოისურვა გადმოეშალა მისი შინაგანი „მე“ და ტრაგიულობაში არ გადაიყვანა მისი ფუქსაეატობა. მართალია, იგი არ არის ღრმა ვანცდის უნარის მატარებელი, დრამის გმირად შეიძლება ნაკლებად გამოდგეს, მაგრამ ეს მგონი უფრო ავტორის ბრალია, თორემ რალაც კლდიაშვილის სოლომონ შორბელამდე მივიდა ერთგვარ დრამატულ კოლიზიამდე, იქ კვაკისაც შეეძლო უფრო ღრმად ჩამოეკრა ჩვენი გულის სიმებისათვის ხელი. ცრემლში ნარევი სიცილი წარუბოცელია. კურკას ავტორს უსათუოდ შეეძლო ამის მიღწევა.

სამაგიეროდ „ჯაყოს ხიზნები“ „კვაკანტირამდესთან“ შედარებით შეუდარებლივ მაღლა დგას, მაღლა დგას როგორც ტენიკის სისრულით, ისე ტიპების ასახვის მხრივ. მისი უდიდესი ღირსება კი იმაში მდგომარეობს, რომ იგი იწვევს უდიდეს მხატვრულ აზროვნებას და წაკითხვის შემდეგ მრავალ საკითხებს იწვევს ხოლმე მკითხველის არსებაში. ხურავ რომანს, განხე სდებ, მაგრამ მაინც მისს შესახებ ფიქრობ, იქ აღძრული კითხვები გაღელვებს, ათასნაირ აზრებს გიშლის და კამათის გუნებაზე დგები.

მწერალი ბევრ შემთხვევაში იმდენად ცხოვრების საკითხების გადაშკრული არ არის, რამდენად იმ საკითხების წამომყენებელი. სურათების სწავლებითის გვაჩვენებს ხოლმე, თვალწინ გვიყენებს ცხოვრების მოვლენებს, ხაზს უსვამს მათ ტენდენციას და მერე ოსტატურად თითონ განხე დგება, დასკვნის გამოყვანა კი თითონ მკითხველის საქმეა. მან უნდა იფიქროს, იმსჯელოს, ასწონდასწონოს და ამნაირად მწერლის გვერდით ისიც შემოქმედებას უნდა ეწეოდეს.

მართალია, ჯაყახიშვილი საკითხს კიდევ აყენებს და თითქმის კიდევ სწევებს, მაგრამ მისი რომანი მაინც დიდათ აღვიძებს აზრს და მკითხველსაც მოსვენებას უქარგავს.

ჯაყო ერთობ ცოცხლად და მკვეთრად არის ასახული, მისი ხატება არასოდეს არ დაგავიწყდებათ, რა საღებავებით არ შეამკო იგი ავტორმა, რა ეპიტეტები არ მოუძებნა მას? ხშირად ეს ეპიტეტები თითქოს ჯაყოს ველურობას უნდა გამოხატავდეს, მაგრამ ჯაყახიშვილს ისე უყვარს ეს ტიპი, რომ ყოველივე ამას თითქოს ტურკზე ღიმილით შენიშნავს, უბრალო გამარჯვების მიზეზით. ჯაყოს ეგოისტური არსება, მოჭნილი კეჭა და შეგუების უნარი შესანიშნავად აქვს ავტორს ნაჩვენები. ჯაყო განზოცოვებული ეგოისტია როგორც შინ, ისე გარეთ: ცოლი, შვილები, ნათესავები, სოფლები ყველა მისდა სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ მუშაობენ. პატარა დააკლდა, თორემ გამოქნილი ჯაყო კინალამ საზოგადო მოღვაწეთ და ხალხის მოჭირნახულეთ იქნა აღიარებული. მან საკვირველის უნარით შეითვისა და არივდარია ერთმანეთში პირადი კეთილდღეობა და ვითომდა სოფლის საჭიროებებზე ზრუნვა. ცნებათა არევის—რევოლიუციის აზვითების დროს ჯაყოს მიერ ნილაბების ცვლა პირდაპირ შესანიშნავად არის ასახული და თითონ ჯაყოს მსიქოლოგიაც ამ ხანაში ზოგიერთ ელმენტებისათვის დამახასიათებელია.



ერეკნული

მარგო თავიდან ბოლომდე პასიური ტიპია, და ტყვეობა-ქვესქვესტურება თეიმურაზს ნაცარქექია ხარო. ამავე დროს მარგო ერთიანად დატვირთულია ქალურობით და დედობრივობით, თუმც ამ გრძნობების გამოჩენაშიც იგი პასიურია და ქართველურად ხარმაცი. მაგრამ საკმარისია სხვისი მხრივ გამოწვევა, აქტიობის გზაზე დაყენება, ამ შემთხვევაში ჯაყოს ძალადობა ბუჭნარში დაყენებულ ურემზე, რომ იგი, მარგო, ერთიანად დაემონოს სექსუალობის ტალღებს და თავისი ხუთმეტეი წლის უერთგულესი მეგობარი—ქმარი თეიმურაზი—ჯაყოს ანაცუილოს. მაგრამ ხდება ჩუმად და სწორეთ ისე, როგორც შეშვენის პასიურ არსებებს. მარგოში ისე ძლიერი შეიქნა სექსუალური შესაძლებლობა, რომ მან უარყო მთელი თავისი ინტელიგენტური წარსული, ინტელიგენტური ცხოვრება და მურტალ ჯაყოს მიესაკუთრა.

ვფიქრობ, რომ აქ საკმარ სისწორით უნდა იყოს დაჭერილი ქართველ ქალის ერთი ფრიალ დამახასიათებელი თვისება: უპიროვნობა, ის ჯერ კიდევ ვერ იბრძვის თავისი უფლებების დასაცავად, ის მამაკაცის მონა—მორჩილია, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ნორა და მისებური ბრძოლის თუნდაც ოჯახში, ქართველმა ქალმა ჯერ არ იცის რა და ეს იმდროს, როცა ქართველი მამაკაცების რევოლუციონერობით მთელი ქვეყანა გაკვირვებულია!

რასაკვირველია, ყველა ჩვენი ქალები მარგოები არ არიან, ჩვენს სინამდვილეშიც ბლომად მოიპოვება საკუთარი პიროვნების მქონე და დამკვიდრე ქალი, მაგრამ ამ ტიპის განვითარება უფრო მომავალის საქმეა, ვინემ აწმყოსი.

4.

ყველაზე საინტერესო პერსონაჟი რომანში, რასაკვირველია, თეიმურაზ ხევისთავია, მის გამოა რომ რომანმა საზოგადოების ყურადღება მიიქცია და დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამიტომ ჩვენც დეტალურად დაგვირგებდა მისი გაცნობა

„თეიმურაზი—უკეთესობით რომანში, —ოდესღაც განთქმულ ხევისთავთა ჩამომავალი იყო. ეს გვარი წარსულში საქართველოს წარჩინებულებს პირველობას ედავებოდა, ერთდროს ქართლის ბედსაც განავებდა და ზოგჯერ მეფეებს ძალაუფლებასაც ეცილებოდა.“

ვინ არის იგი დღეს? „ნამოღვაწარი, ნამამულევი, ნათავადარი, ნავექილა, რი,“ რომელიც, როგორც ხევისთავი უკვე ვნახეთ, არაფერ შემთხვევაში არ აპირებს ლოიალობა გამოუცხადოს დღევანდელ ცხოვრებას და ერთიანად უარყოფს მას. მართალია დღევანდელ ურთიერთობას ის არაფრით არ ებრძვის, მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობას იგი არ ეწყება, მაგრამ მდგომარეობას შიინც არ ურიგდება; ვარდება უკიდურეს სიღარიბეში, ბოლოს თავისი მოურავის ბიზნათაც კი ვადიქტევა, მაგრამ თავის გადაწყვეტილებას მაგრად იცავს; აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ამავე დროს თეიმურაზი სახელმწიფო სამსახურს საკმაო ერთგულებით დაეძებს, მსახურობდა კიდევ, მაგრამ „ათჯერ დაითხოვეს.“

როგორი იყო მისი მოღვაწეობა წარსულში? ისეთივე უნიადაგო და ჩხირკედელური, როგორიც ახლა არის? სრულებითაც არა, დავუგდოთ ყური ჯავახი-



ქართველთა  
მწიგნობართა კავშირი

შვილს: „თეიმურაზი რწმენით უწყიდრესი რადიკალი და ხალხოსანი იყო, თუმც მუდმივსა და აქტიურ პოლიტიკურ მუშაობას არ მისდევდა, მაგრამ მაინც ერთ ჯგუფში თანაგრძნობის ცხვირი ჰქონდა ჩაყოფილი და ზოგჯერ სახიფათო საქმეშიაც ოდნავ თითისაც ურევდა, თეიმურაზს კალამი მსუბუქი და ხალისიანი ჰქონდა, ხოლო საგნის ცოდნა ღრმა და ფესვიანი, ამიტომ როცა საჭიროება მოითხოვდა, — შესაფერ მოხსენების ან მემორანდუმის შედგენას მას მიიანდობდნენ ხოლმე. „მას ენციკლოპედიური“ ცოდნა ჰქონდა, იყო „ზრდილი, პატიოსანი, დინჯი, ტკეიანი და ენა მკვერი.“ ცნობილი ჟურნალისტი იყო, მისი წერილები ბლომად იბეჭდებოდა გაზეთებში, რამდენიმე სერიოზული შრომაც ჰქონდა უკვე დაბეჭდილი, თვითმყოფელობის წინააღმდეგ ერთგვარ ბრძოლას ეწეოდა, „საიდუმლო კრებებზე დადიოდა და ერთ წრესაც ხელმძღვანელობდა.

როგორ შეხვდა იგი ნიკოლოზის ტახტის დამხობას? „სიხარულით ცას დაეწია: სიცოცხლის ნატვრა შეუსრულდა და სამოთხის კარები გაეღო დღე-ღამე ქუდ მოგლეჯილი დარბოდა, წითელ ბაიჩალს იქნევდა და ჩახლვინილი ხმით გაჰქიოდა:

— თავისუფლებას გ...გგვაუმარჯოს: ვაშა! რევოლიუციას გაუმარჯოს: ძ.ძძძის მეფე და ძალადობა!“

მაგრამ რევოლიუციის თანდათან გაღრმავება თეიმურაზმა ვერ მიიღო, მას აღმოაჩნდა იმ თანამგზავრის თვისებები, რომელიც პლენანოვის სიტყვებით რომ ესტეკათ, რევოლიუციონერებს მოსკოვიდან მხოლოდ ტვერის სადგურამდე მიჰყვია, ხოლო პეტერბურგამდის წასვლა კი არ მოისურვა.

თეიმურაზი თანდათან დარწმუნდა, რომ იმდენი ხნის ნანატრი და ნალო-დინევი წითელი მხეცი მისი ვასართობი კნუტი კი არ იყო, არამედ ნამდვილი ვეფხვის ბოკვერი აღმოჩნდა. ის ბოკვერი თეიმურაზის თვალწინ გაიზარდა, გაიჭიმა, აიშოტა, აიბურჟანა და აიშალა; ვაშლის ოდენა თვალებს საზარლად აბრიალებდა და ელვას ისროდა, თითის სიკრძე კბილებს მრისხანედ აწკაპუნებდა, ორ გოჯიან ფოლადის ბრწყინებით ქვას ნაპერწკალს აყრევივნებდა, შტაკაველის სიგრძე თათებით მიწას ბრღენიდა, საეჭვოთ იზმორებოდა, ყალყზე სდგებოდა და დაქინებით ხორცეულს მიირთმევდა. თეიმურაზი ჯერ გაჩუმდა, გატვრინდა, გაინაბა და „გაუმარჯოსო“ არ იძახდა, მერე კი, როცა ბოკვერის კლანჭი მასაც მოხვდა, მან საქვეყნო ყვირილი შორთო:

— დააბით!.. დღდაიჭიროთ! გლიაში ჩასვით! დაკილუბეთ! და სხვ.

ამ სულიერ განწყობილებას სავსებით ეთანხმება ის პროფილი, რომელიც ჩვენ უკვე ვაჩვენეთ და რომ ჩვენი ავტორი ამით დაკმაყოფილებულიყო, მე გადაჭრით ვლამპარაკობ, რომ იგი ნამდვილ ტიპს მოგვეცემდა; ეს ტიპი მშვენიერად დაახასიათებდა ჩვენი ინტელიგენციის ერთ ნაწილს და მას წაჩსულშიც უსათუოდ ეყოლებოდა წინაპრები. ესენი იქნებოდნენ გ. ერისთავისა და აკაკის რუსეთში-ბი — უნიადაგო, მოლაყებ ინტელიგენტები, — ილია ჭავჭავაძის არილი (ოთარაბი ქვრივიდან), რომელიც მცონარე თათქარბიძის ღირსეული შვილია, თუმც გულ-თილი, პატიოსანი და სხვ. სანამ რომანის პირველ ნაწილს ვკითხულობდი, მე სრული დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორეთი ასეთი ტიპის შექმნა უნდა



ერეკნული  
მეცნიერება

ჩვენს ავტორს; ჯავახიშვილი რომ ამ სფეროში დარჩენილიყო, მაშინ მშვენიერად შეეგუებოდა თეიმურაზს დღევანდელი მოწილილობა, მისტოციზმი და გრძნობელობა, რომელმაც სულ დაუკარგა თავმოყვარეობა და პიროვნება. (მისი გრძნობები მარგოსადმი უკანასკნელად).

მაგრამ ჯავახიშვილმა გამოტრეკვეელი მიზეზის გამო სოფლებით არ დაიცვა ობიექტობის ტონი, ერთიანად დადგა ჯაყოს თვალსაზრისზე და ამ ძართლაც მხეცი ადამიანის ხარჯზე ერთიანად შეიძულა თეიმურაზ ხევისთავი. ჩვენს მწერალს რამდენად უყვარს ჯაყო და ტაშს უკრავს მას, იმდენად ეზიზღება თეიმურაზი და უნოწყალოდ ამცირებს მას. მან დაივიწყა ისტორიული პერსპექტივა, ყოველივე წყალში გადაუყარა თეიმურაზს და მთელი მისი წარსული მოღვაწეობა ერთ წყვილ ქალამანზე დაბლა დააყენა (იხ. რომანის 113 გ.).

აი ამიტომ ვსთქვი, რომ ავტორი ჯაყოს თვალსაზრისის ისარზე დადგათქო. ვინ არ იცის, რომ ჯაყოსთანა ტიპებს მართო თავიანთი თავი სწამთ, ინტელიგენცია და საზოგადოდ კულტურის ხალხი ჩირადაც არ მიიჩნია და კრილოვის იმ ცხოველს მოვაგონებენ, რომელიც მუხას ძირს უთხრიდა.

5.

ეკითხოთ ჯავახიშვილს: რუდინია თეიმურაზი? მართო ლაპარაკობს და საქმეს ვერ აკეთებს? არა, ეს აგრე არ არის; ის ფართო გაქანების მოღვაწეობა ეურნალისტია, სასარგებლო წიგნებს სწერს, არალეგალურ მუშაობას ეწევა, წრეც ყავს. მაშ რისთვის შეიძულა იგი ჯავახიშვილმა ასე მწარეთ, რისთვის აითვალისწუნა და უწოდებს მას ნაკარქექის, უმოქმედოს, უსაქმურს და ჩხირკედელს? უმეველია, აქ იგი უდიდეს წინააღმდეგობაში ვარდება და ქეშმარიტ ხელოვანის როლსაც ღალატობს. ჯაყოს, რასაკვირველია, ჯავახიშვილი ასე არ მოეცეოდა. სწორეთ ასეთ შემთხვევებში იტყვიან: ზოვისა ზამბა ჩხრიალებს, ზოვის კაკალიც არაო.

თეიმურაზი უაღრესად გულკეთილი იყო, ყოველგვარ უსამართლობას დევნიდა, მცირედი ძმა ებრალებოდა, ალბად „ჩანჩურასთანა“ და „კურკასთანა“ მოთხრობებიც ექნება დაწერილი, მთელი თავისი სიცოცხლე ახლობელისა და შორეულის კეთილდღეობაზე ფიქრს და შრომას გადაიყოლა. ეგოიზმის ნატამალიც არ არის მასში და უცებ ასეთ ადამიანს ჯაყოზე სველიან, ეწეებიან ეგოისტზე, რომლისათვის არაფერი წინინდა არ არის ქვეყანაზე...

ჯავახიშვილი ამით არ კმაყოფილდება და მას შემდეგ, რაც თეიმურაზი თანამედროვე მდგომარეობის მოწინააღმდეგეთ დაგვიხატა, გვეუბნება, რომ მას დღეს არაფერი იდეალი არა აქვს, არაფერი არ სწამსო.

„ყოველ ქვეყანას აქვს თავისი პრუსია და ჰყავს პრუსიელები, — ამბობს თეიმურაზი, — რომელიც ხალხის ცხოვრებაში დღუდაბის მაგეირობას ასრულებენ. გერმანია პრუსიელებმა შექმნეს, რუსეთი მოსკოველებმა მოაგროვეს, დიდი ბრიტანეთი უელსის საჰერცოგომ ააწენა... ასეთივე როლი დააკისრა ბედმა ქართლსაც, რომლის ისტორია საქართველოს ისტორიის ნახევარს მაინც უდრის. ქართლი იყო საქართველოს პრუსია, ხოლო ქართველნი ქართველთა ტომის





ქართველთა  
მწიგნობართა  
კავშირი

პრ...რუსიელები იყენენ“. მიგრამ თეიმურაზის აზრით „საქართველოს პრუსია უკვე არა ყავს“ და იგი დაღუპვის გზაზეა დაქანებული, მას მომავალი არა აქვს, მასზე რაიმე იმედების დამყარება შეუძლოა. მაშასადამე—დავასკენი მე—თუ ეს ასეა „სახელითა საქართველოსათა“ ზედმეტია ძაბილი—პოლიტიკურად არ მოვეცდებით. მაშინ ეგ სიტყვები, თეიმურაზის პირით რო გვესმის, სრულიად გაუგებარია. ჯერ ისე გამოდის, რომ ქართველი ხალხი ცოცხალია და თეიმურაზიც ვითომ მასთან არის, აქ კი იმავე თეიმურაზის პირით გვესმის—ჩემს ერს შემაკავშირებელი ცენტრი არა აქვს და დაღუპულიაო. ვერ გაიგებთ რაშია აქ საქმე და რატომ იზნევა ასე ავტორი.

მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზი ერთობ გამძლეებული ჰყავს ჯავახი-შვილს, წაართვა მას საკუთარი პიროვნება, თავმოყვარეობა, კეთუ-გონება და ერთიანად გამოაყვეცია, მიუხედავად ყოველივე ამისა რომანში გამარჯვება მაინც თეიმურაზს რჩება და არა ჯაყოს. თეიმურაზს ღრმად სწამდა, რომ „ამ ქვეყნად მაინც არსებობს სამართალი, ის ურმით დასდევს ბოროტებას, ბოლოს უუქველად მიეწევა და ღირსეულს მიუძღენის“; დიახ, მას მთელის თავის არსებით სწამდა, რომ საბოლოო გამარჯვება ჯაყოსი არ იქნებოდა და ეს ასეც მოხდა: ჯაყო ღიღბანს არ აპარპაშეს ახალმა, მართლა რევოლიუციონერმა ძალებმა და მალე ამოსდევს ლაგამი: ჩამოართვის ყოველივე, რაცკი დაეტაცებია და ხევისთავების სახლკარში მართლაც ახალი ცხოვრების შედრევეანმა დაიწყო ცემა: სკოლა და კოოპერატივი ამუშავდნენ. თეიმურაზიც, როგორც მკოდნე და კულტუროსანი პირი საჭირო შეიქნა ამ ახალი ცხოვრებისათვის და ისიც ამ ფერხულში ჩაება: კოოპერატივს უძღვება, მოწაფეებს ცოდნას აწვდის და სხვ. ჯაყო და მარგო კი გარიყულნი რჩებიან. თეიმურაზი გლეხებმა, როგორც მათთვის საჭირო პირი, ისევე მის მამაპაპეულ სახლის ნაწილში მოათავსეს.

ვინ გაიმარჯვა: სამართლიანობამ თუ უსამართლობამ, უბეშმა ძალამ, თუ სიმართლემ, თეიმურაზმა, თუ ჯაყომ?

კიდევ ერთი საკითხი: გამოდის რომ ბოლოს და ბოლოს თეიმურაზი გატყდა, მან უარყო უწინდელი შეურიგებელი პოზიცია და ქედი მოიხარა ახლის წინაშე (თუნც კაცმა რო სიტყვას რაა ახალი სკოლაში და კოოპერატივში). რისთვის არ არის ეს რომანში ნაჩვენები? სწორეთ ახლის მიუღებლობისათვის აწამებდა მას ჩვენი ავტორი, ლამის ეშაფოტზე აიყვანა ძველის მომხრეობისათვის და როცა მისმა გმირმა მას დაუჯერა და ახალ გზაზე შედგა, მაშინ ავტორი ხმასაც არ იღებს და მარგოს ამბებზე გვიპირებს მიძინებას. რისთვის არ დაჰკრა ბუკი და ნალარა: შეხედე, თეიმურაზმა ძველი უარყო და განახლების გზაზე შედგაო? ერთი ამა ჯაყოს ჩაედინა ამის მზგავსი, რა ამბებს დაათევედა ავტორი! ჯავახი-შვილს ნახუყარის განახლებაც კი სწამს, ხოლო თეიმურაზებისათვის ამას ერთობ ძუნწათ იმეტებს.

ეს ადგილი უსათუოდ რომანის უსუსტესი ნაწილია. საერთოდ უნდა ვსთქვათ, რომ რომანის პირველი ნაწილი შესანიშნავად არის შესრულებული, მერე კი საქმეს აფუტებს გადაჰპარბებული პსიქოლოგიზმი, გაკვიანურება და

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

შელოდრამატული ადგილები. თეიმურაზის ტიპიც შემდეგ ხდება სადაოთ და საკამათოდ.

ლაპარაკობენ, რომ ეს რომანი ბოლოს და ბოლოს არ არის რეალური. ამის თქმა აბსურდია: შეიძლება აგერ-ვეგრ მართლაც იყოს შეუსაბამობა, მაგ. თეიმურაზი ეკლესიაში ჯაყოს ჯვარისწერის დროს, მაგრამ საერთოდ რომანი წმინდა რეალისტურია. რეალიზმი და ნატურალისტური ფოტოგრაფია ერთი და იგივე არ არის. ამას უნდა გარჩევა.

## სტილი.

### IV.

ჯავახიშვილი აქ სრული მეფეა, მეფე სიტყვის, გამოთქმის, სურათის, ქანდაკების...

ამ მწერალზე უფრო მოქნილ, სიცოცხლბთ მეფეთქავ, მოსწრებულს და მხატვრულს სიტყვას ძნელად თუ მონახავთ დღევანდელ ჩვენს ლიტერატურაში. მისი გამოთქმა მოკლეა და სხარტული, სურათი მოძრავი და სიცოცხლით სავსე; წარუშლელის საღებავებით გამოკვეთილი. დამახასიათებელი ხაზები, სიტყვის ეკონომია, შინაარსთან შეთანხმებული მოძრაობა და თრთოლვა.

ყოველივე ამას დაუმატეა ქართული ენის შესანიშნავად ცოდნა: სიტყვათა სიმრავლე, წინადადების კონსტრუქცია, წმინდა და დახვეწილი ქართული იერი და თქვენ ჯავახიშვილი გაგრძნობინებთ უალრეს ესტეტიურ სიტკბობებს. სწორეთ ეს მომზიბლავი სტილია, რომ მის მოთხრობებს უდიდეს ნიშნიდევლობით ძალას აძლევს და გატაცებით ჰკითხულობთ მას.

ჯავახიშვილის სტილი უალრესად ინდივიდუალურია და სრულიად შეეფერება მის მიერ აღებულ შინაარსს.

თითქმის ათი წელიწადი იქნება, რაც ჩვენი ლიტერატურა სტილის დახვეწაზე მუშაობს, მუშაობს ენერგიულად, შეუჭერბლივ და საგრძნობის შედეგებითაც. ამ ნაყოფიერ მუშაობის დროს, ბევრი მწერალი უკიდურესობაშიც გადავიდა და სტილისტიური ძიება მიზნად დაისახა, გარეშე ამისა მათთვის არაუფერი არ არსებობს. აზრი, იდეა, შინაარსი მათთვის უმნიშვნელოა, ამაზე ზრუნვა ხელოვნების დამცირებაა და მთელი ყურადღება ნაწარმოების გარეშე მხარეზეა მიქცეული. ამ ჯურის მწერლები ყოველთვის მზად არიან ერთი პოეტური გამოთქმისათვის მთელი ტომის აბდაუბდა გაპატიონ. თუ მათ დაუჯერებთ, მოხდენილი ასონანსი ყველაფერია, „სილაგვარდე“ და „სილაში ვარდის“ ერთ მანეთზე მიწყობისათვის, მახსოვს, ზოგი მათგანი აქმულელებული უვლიდა ლიტერატურულ ბუქნას.

ორი რამ აქ სრული ჰუმბარიტებაა: ერთი ისა, რომ „კვალისა“ და საზოგადოდ ჩვენი პირველი რევოლიუციის მომყოლე ლიტერატურის სტილს უსათუოდ დახვეწა და დაწმენდა ესაჭიროებოდა. მაშინ მთავარი ყურადღება შინაარს ეძლეოდა, საზოგადოებრივი ხასიათის მოტივებს, სტილი კი უყურადღებოდ იყო დატოვიებული. მეორე: სტილის სიაკვარგეს უდიდესი და პირდაპირ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხატვრული ნაწარმოების დაფასების საქმეში. ნაწარმოები თუ გარეგნულად არ ვარგა, იმას ხელშიც კი არ აიღებ,



მიმზიდველობასა და მომზიბლაობას მის მხოლოდ სტილი აძლევს: ლამაზი ენა, მოკლე და ხედგამოპრილი გამოთქმა, თავისებური კოლოროტი. ფრანგები სიხლოვესაც კი არ წაიკარებენ ისეთ ნაწარმოებს, რომელიც სტილის მხრივ მოისუსტებს. პირველი, რითაც მწერალი დაინტერესებს ფრანგს—ეს სტილია და სხვა არაფერი.

ეს ორი დებულება უსათუოდ ნისაღებია და აუცილებელიც, მაგრამ იმ ქეწნარიტებასაც ვერსად გავიქცევით, რომელიც აღიარებს, რომ სტილი და საზოგადოდ სიტყვა მასალაა, რომელითაც უნდა შესრულდეს იდეა, აზრი, შინაარსი. მხოლოდ ამ შემთხვევაში ეძლევა სტილს მნიშვნელობა და რაიმე ღირებულება. აქ ურთ-ერთ განყოფიერება ხდება: აზრი უფრო მისაღებია მომზიბლავის ფორმით და ფორმაც ფასდება აზრის კარგად განსახიერებით.

და სწორედ აქ მოისუსტებს ჩვენი ლიტერატურა, რომელიც დაუსრულებელიც მუშაობს სტილისტიურ ლაბორატორიებში და აზრის მხრივ ერთობ მოიკოჭლებს. ბევრ ჩვენს მწერალს ავიწყდება, რომ სტილი შინაარსის თანამგზავრია, თუ შინაარსის მხრივ არ არის ნაწარმოები ახალი და თანადროული, ისე არც მისი სტილი იქნება ახალი.

ამაში უსათუოდ დამნაშავენი არიან, როგორც ჩვენი ნათელი კრიტიკოსები, ისე ახლებიც, რომელნიც ხელაწეულნი დგანან საფიცრად წამდგარნი. პირდაპირ საკვირველია: ჰვითხულობ მათ ნაწერებს და გარეშე სტილისა არაფერზე ხმას არ იღებენ: დიდებული მიღწევა, გამართული ლექსი, გაფრენილი რითმ-მარტო ასეთი სიტყვებითაა მთელი გვერდები აქრელებული. ეს კრიტიკა კი არაა, სიტყვების ჯირითთა და სხვა არაფერი.

სტილის ფაოთი ძიება ლიტერატურის დაცემის უტყუარი ნიშანია, როცა აზრი შემოვლევით, მაშინ სიტყვების კოწიწსა და გამშვენეირებას მიჰყოფენ ხელს. ხომ გახსოვთ მეფისტოფელმა რა უთხრა მოწაფეს: აზრის სიღარიბეს ლამაზი სიტყვებით შეავსებენ ხოლმეო.

ქართული ლიტერატურაც ამ კრიზისს განიცდის: არც საშინელობას და არც რევოლიუციებს მასზე საგრძნობი გავლენა არ მოუხდენია, მაგრამ ეგ საკითხი სხვა დროისათვის, ახლა კი დაეუბრუნდეთ ჯავახიშვილს, რომელმაც სტილის მხრივ ბევრ დახელოვნებულ სტილიზატორს გადააღაჯა; შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამ შემთხვევაში იგი პირდაპირ რევოლიუციონერია. მას ვერ უნახავთ ხელოვნურად ასუბუდებულ ნევირალა სიტყვებით გატენილ ფრაზებს და ლექსიკონებიდან ამოკრეფილ სიტყვებს, მისი სიტყვა არ არის ინტელიგენტურ სალონების და ლაბორატორიების წვეწ გამომშრალ ბგერათა გროვა. არა, იგი ბუნებრივია, უშუალო და პირდაპირ ახლად მოხნული მიწის სუნნი ასდის, იგი დაკურსულაა ლორწოიანის ნოყიერებით და მომზიბლავის არომატით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჯავახიშვილის სტილი ყოველთვის ერთნაირი არ არის. ჩვენ სახეში გვაქვს მისი საუკეთესო მოთბრობები, როცა მისი სტილის შესახებ ვლაპარაკობთ.

ვუსთუოვით ნიჭიერ მწერალს, რომ იგი მოვლინებოდეს ჩვენს ლიტერატურის ყოველის მხრივ და შესძლებოდეს ჩიხიდან მისი გამოყვანა.

ნიკო მარრი.

## ქართული ერის კულტურული ფუძლი ან თ-მეცნი- ერებში მიხედვით

### II

რა წყაროა იგი უცნაური წყარო, საიდანაც ასეთ მცირე ერს ამდენი სულერი შეუპოვრობა და დაუღვეველი შემოქმედებითი სიმზნევე მიუღია? საიდან მოჩქეტეს ეს მისი თავისებურობა? განა ბერძნებისაგან ან სპარსებისაგან ან ასურებისაგან ან არაბებისაგან? მათზე უფრო გვიან კავკასიაში შემოსულ ერებზე ხომ საკითხის დასმაც არ გვეკრია. ცხადია, რომ არა. ქართველი ერის კულტურული თვით მოღვაწეობაც და მისი თავისებურობაც შინაგან ძალითა ნამოქმედარია. მაგრამ რა არის ამ ძალის წყარო? ეგ ძალი ვახლავს ქართველის ერის არა თუ ისტორიულ კულტურის ხანგრძლივობა<sup>1)</sup>, თუმცა ამასაც რასაკვირველია არა მცირე მნიშვნელობა აქვს, ეგ ძალი ვახლავს ქართველ ერის ანგარიშმიუწოდებელი, წელთა რიცხვ გამოუთქმელი, ძველის უძველესი ეთნიური, ნათესაური წარმოშობა და იმ წარმოშობის ეპოქიდან, რომელიც მას საერთო აქვს მთელ კაცობრიობის აღორძინებასთან, შეუწყვეტლათ ნათესაური მომდინარეობა, პირვანდელ კაცის ქალწული აღლოს ამღები შემოქმედებითი ნიჭის დაკვით. ამას მოწმობს ქართული ენა. ენა ადამიანის საზოგადოებრივ მოქმედების და მისგან ჩასახულ შინაგანი ცხოვრების გამოცხადება არის. ენა ცარიელი ბგერა არ ვახლავს, არც სიტყვა მხოლოდ მისი მნიშვნელობა. ენა სიტყვა და საქმეა, თავდაპირველად განუყოფელი სიტყვა და საგანია ერთად შედნობილი. ასე რომ სიტყვა თავდაპირველში საგნის გამოხატველია, მისი ცოცხალი სურათია. ქართველი ერის ენა მუსაიფში ან ლექსიკონში არ განიხილება. სიონი თფილისში, ბაგრატიის ტაძარი ქუთაისში, 864 წლის მრავალთაფი სინას მთაზე, პალესტინის საბაწმინდელ ქართველ მამების მიგზავნილი, ყანების მორწყვის სისტემა იმერხევის, ტაო-კლარჯეთის მთებზე, ხეხილების თუ პურის სხვა და სხვა სახის, ისობით ყურძნის ნერგის აღმოჩენა და განვითარება, ვთქვათ მიქელ მ. დრეკილის საგალობელთ კრებულში,

<sup>1)</sup> ამ კულტურულ ხანგრძლივობას მოწმობს თანამედროვე ქართული ერის თვისებები. მის, დაწასიათების მიხედვით, შესაბამე ჩემ წიგნაკში *К изучению совр меньшего грузинского языка (петроградский институт живых восточных языков I)*, Петроград 1922, გვ. 12-15, 18.



შავთელის ხობტა-შესხმა, ქართული სიმღერა, ქართველის მიწვევა-მოხვევა — ყველა ქართული ენა გახლავს.

ჩვეულებრივით მისახედენ ენაში, ქართულ ენაშიაც კულტურის ყველა ეგ ნიეთიერი ძველი ცხადდება თელსაჩინოთ. მაგრამ ქართულ ენაში ცხადდება დიამ უძველესი ხანების, ისტორიაზე წინ დასწრებული ხანების, კაცობრიობის კულტურული წინსვლის ყოველი ნაბიჯი. ქართული ენა გაელენთილია უძველეს ეპოქების ჩარჩენილობით, რელიქტური კავშირებით, ელემენტებით, ვარდმონა-ცხოვრით (survivance). ქართულ და მის მონათესავე ენებში სხვა და სხვა ისტორიაზე წინ დასწრებულ ეპოქების წინაღენი ირკვევიან და მათის გათხრით შუქი ეფინება საზოგადოთ ადამიანის ენის ზრდას მის გაჩენის დღიდან და მა-შასადამე შუქი ეფინება მთელი კაცობრიობის ისტორიაზე წინდასწრებული კულტურის ზრდასაც. ამ სიტყვიერ ვისათხართ მიგნევა და მაზედ მეცნიერული კვლევის წარმოება სულ ახალი საქმეა, ის გახლავთ იაფეტიური ენათ-მეცნიერე-ბის ბოლონდელი მიწვენილობა.

იაფეტმეცნიერებაზე ზოგად ცნობებს იძლევიან წერილები — ერთი ჩემი ლემაცოგში დაბეჭდილი რუსულათ შრომა „იაფეტური კავკასია და შესამე ნა-თესაური კავშირი (ელევენჯა) მეამქუკუქუ ქუქუქუა შექნაში“<sup>1</sup>, მეორე — პროფ. ბრაუნის გერმანულათ დაბეჭდილი შრომა „ევროპის პირვანდელი მცხოვ-რებნი და გერმანელებს წარმოშობა“ და კიდევ ქართულათ დაბეჭდილი პეტრო-გრადში, წინეთ აქ და ბერლინში წაკითხული ქართველების წრეში ჩემი მო-ხსენება — „რით ცხოვრობს იაფეტური ენათ-მეცნიერება“.<sup>2</sup>)

იაფეტურათ იწოდება ეს ჩენი დარგი ენათ-მეცნიერების სრულებით შემ-თხვევით. საქმე სახელზე არ არის, საზრავზეა. აღრე სამი ენათ გჯუფე იყო შეუკავშირებელ ოჯახებათ გამოყოფილი. სემიტური, ქამიტური და ინდო-ევრო-პული სხვა გჯუფენიც არიან, მაგრამ ევროპული ენათ-მეცნიერება, ახლანდელ პირობაზე განათლებულ და ევროპაზე უფრო დაახლოვებულ ერების საენო მა-სალაზე დამეარებული თავის კვლევა-ძიებაში მათ არ უწედა იმდენათ ანგარიშს. სემიტური და ქამიტური დაბადების ტერმინოლოგიის მიბაძვით იყენენ დასახელე-ბული და თვით ენების ბუნებასთან ამ დასახელებას არავითარი კავშირი არ ჰქონდა. იაფეტურსაც ხმარობდენ ოდესმე, მაგრამ სწორეთ ინდოევროპულ ენების დასასა-ხელებლათ და ასეთი მისი ხმარება მიტოვებულ იქნა. როდესაც სემიტურ გჯუფ-თან ქართულს და მის მონათესავე ენებს ნათესაობითი, აგრეთ წოდებული გე-ნეტიური ან წარმოშობითი კავშირი აღმოჩნდა, პირველ ხანში ეს ნათესაობა განსაკუთრებითათ და გამონაკლისათ მიჩნეული, გვიძულებდა იაფეტურათ და-

<sup>1</sup>) შექმნილი გამოვიდა მისი გერმანული თარგმანი ახალი წინასიტყვაობით: Der Iaphetische Kaukasus und das dritte ethnische Element in der Bildung des prozesses per mittelasiatischen Kultur. Aus dem russischen übersetzt von F. Brauns, Berlin, Stuttgart, Leipzig 1923.

<sup>2</sup>) სახელდახელო წასაკითხი წერილები იმ საგნისავე შესახებ უკანასკნელ ჩამოთვლილია 1924 წელს გამოცემული Нонна Бартош მოსკოვი ეტრნალში მოთავსებულ ბოლონდელ ინ-სტიტუტის წიგნებულ სტატიაში, რომელიც ცალკე წიგნაკად დაბეჭდილია აღმო-საგლევის მეცნიერების ასოციაციის (მოსკოვი, ნიკოლოზის ქუჩა 104.

გვერქვია მეცნიერულად ახალ გამორკვეული ენების ოჯახისთვის, მით უმეტეს რომ სემიტურ და ქამიტურ ენების დაახლოვებული საერთაერთო განწყობილება უკვე მიღებული იყო. ამ გვარათ მათინ ინდოევროპულ ენების ოჯახი სრულებით განსაკუთრებულად განზე რჩებოდა, როგორც უცხო რამ და ძირითადად დამოუკიდებელი ქმნილება. იაფეტურ ენათ-მეცნიერების ერთ მიწვენილობაია აიგან ჯერე ის იყო, რომ ინდოევროპულ ენების ოჯახიე დანათესავებული აღმოჩნდა ქართულ და მასთან მჭიდროთ მონათესავე ენების ერთ დროს მრავალრიცხოვან ოჯახთან, იაფეტურ ოჯახთან. ეს მიწვენილობა იაფეტურ ენათ-მეცნიერების ერთ თეორიულად ახალ გამორკვეულ დებულებაზე გახლდათ დამყარებული, სახელდობრ იმ დებულებაზე, რომ ენის ოჯახები წარმოშობილან სხვა და სხვა ჯგუფების შერევით, საზოგადოთ ენის აღორძინება და განვითარება დამოკიდებული ყოფილა სხვა და სხვა ენებ შერევისგან და არა პირვანდელი ერთეულ წყაროდან მომდინარე, ვითომდა თავის შენებულების ხელუხლებლათ დაცვით და ევოლიუციონური გამაუმჯობესებელი სვლით. ენების ზრდას არა ერთხელ ჩარეცია გადატრიალება, ენის მთელი შენებულობის, თან მასზე მოსაუბრე ნათესავთ საზოგადოებრივი წეს-წყობილების ძირეული შეცვლით, და ეს წარმოებულა ენების შერევით. გოდლის შენების შესახებ საღეთო წერილის ზღაპრული მოთხრობა ერთგვარათ მართლდებოდა ამ მხრითაც როგორც უძველეს დროთაგან მოწვენილი გარდმოკემა. ახლა ინდოევროპულათ წოდებული ენების ოჯახი ჰიბრიდ ან ორბუნებოვან შერეული, გინდა შეჯვარადინებულ ტიპი უნდა წარმოდგენილიყო: შეჯვარადინებული მიგეაჩნდა პირველათ მასში წმინდა ინდოევროპული ოჯახი, რომელსაც შურეცნელად ჩვენამდი არ მოუწევია, და იაფეტური ოჯახის სხვადასხვა ენები, სხვათა შორის ქართულიც ან უფრო სიბეჯითით და სიმართლით რომ ვთქვათ, რთული ქართულ ენის, მეტისმეტათ რთული ქართული ენის შემადგენელი, აგრეთვე მრავალი პირვანდელი ნათესავური ენა. უწინ ამ კვალზე ჰიბრიდ ქმნილებათ მიჩნეული გეჭონდა მარტო სომხური მაგრამ შემდეგში ორბუნებოვანათ ცნობილობდით ყველა ინდოევროპულ ოჯახის წარმომადგენელ ენას, გინდა ბერძნული აველო, გინდა ფრანგული.

უკანასკნელში ხომ ისიც აღმოჩნდა, რომ ინდოევროპული ენები ცალკე მოდგმის წარმომადგენელი არ ყოფილან. ისინი პირდაპირ იაფეტურ ენებისგან წარმოშობილან, მათი მოდგმა სხვა სისხლის და ბუნების ნამოქმედარს კი არა, ახალ ეკონომიურ ფუძეებზე გაჩენილ ოჯახობის და მისდაბარი საზოგადოების ქმნილებას წარმოგვიდგენს.

წმინდა იაფეტურ ენებს, მათ შორის მამასადაამე, ქართულსაც სხვა ჯგუფებთანაც ჰქონიათ ნათესაობა, ტოპიური ნათესაობა, თვით ამერიკის ძველ მკვიდრთა ენებთანაც. წამოყენებულია საკითხი, სასისხლ-ხორცო კავშირი აგრეთ წოდებული გენეტიური ნათესაობაც ხომ არ აქვს იაფეტურ ენებსა ამერიკის მკვიდრთა ენებთან იმ დროიდან დაცული, როცა ვითომდა ზღაპრული ატლანტიდა სუფევდა, ან ჯერ ამერიკა და ევროპა ერთმანეთზე დაშორებული არ იყვნენ. თითქო ამერიკის მკვიდრთა ენების ბუნება, დასავლეთ ევროპის რომ დღეს იაფეტური ენები იჩინება, მათთან უფრო არის დაახლოვებული ვიდრე კავკასიის



საქართველოს

მწიგნობართა კავშირი

და საზოგადოთ აღმოსავლეთის იაფეტურ ენებთან, და თუ დასტურაც ეს ტიპური ენის ერთიგვიეობა ამერიკელ შვეიდრებთან სასისხლხორცო გენეტურ ნათესაობათაც დამტკიცდა, მაინც და მაინც ძალა არ გვაღვია, აღმოსავლეთურ აზიისგან ამერიკაში გადასახლკას დაევალოთ იაფეტულების ამერიკაში აღმოჩენა. დღეს არჩევით ევროპასთან განწყობილების და თვითონ ქართული ენის სიძველის შესახებ საბაასო საქმაროზე მეტი გვრჩება. მეცნიერულ კვლევისათვის იაფეტურ ენების წარჩინებულბაც ის არის, რომ მის განვითარებაში აგრეთვე საჭირო შერევა და შეჯვარადინება მომხდარა ნხოლოთ ისევ მონათესავე იაფეტურ ენათ შორის, და ნაშასადამე იაფეტური ენები, ქართულიც მათ შორის გამოუკლებლათ, შეუწყვეტელი და უცხო თესლ შეზღუდვული მომდინარეობით მიბმულია კაცობრიობის ეს ას ალორძინების ხანაზე, მიუხედავათ იმისა, რომ ამ აურებელ დროთა სელაში ცვალებად ენის მასალას საში ძირეულათ სხვადასხვა ტიპური შენებულბების ეტაპი ან მანძილი გამოუვლია, სინთეტური ანუ უფორმო, როცა ენას ჯერ არაერთარი ფორმა არ აქვს ცალკე სიტყვებისა, აგლუტინატური—როცა სიტყვების ფორმებს აწარმოებენ და ბოლოსართებათ ან წინასართებათ, ესე იგი სუვიკებათ და პრეფიქსებათ მსახურობენ თავისი საკუთარი მნიშვნელობის მექონი სიტყვები, და ფლექტიური, როცა ფორმების მწარმოებელი არიან თავისდათავათ უმნიშვნელო მარცვალნი და ბგერანი, თითქო აუხსნელი რამ სიმბოლონი. იაფეტურ ენებს ის წარჩინებულბა აქვსთ, თუმც ზოგნი მათგანი განვითარებულ ფლექტიურ მდგომარეობაზე მიწევნილან, რომ იგინი საშვალბას გვაძლევენ, გადასულ ტიპების სახე და ვითარება გავითვალისწინოთ, მაგალითებრ, აბხაზური სასესა სინთეტური ტიპის აღსადგენელ ელემენტებით, ქართულშიც მოიპოვება ზოგი ჩარჩენილობა იმავე სინთეტური ტიპის, მაგალითათ მისი გარკვეული დალაგებით ზმნის ბრუნვაში ნაცვალ სახელების ხმარება. ზოგადი სახელიც გვაჩვენებს კანკლედობაში თავის ჩარჩენილობათა შორის, რომ ქართული ენა ერთდროს უფორმო ყოფილა, აფხაზურის მხგავსათ უკანკლედობაო. მაგალითად პეტრე მფორმის მაგიერ წინადადებაში ძველ სამწერლო ენაში პეტრე უფორმოთ იხმარებოდა, სახელდობრ პეტრე იხილა და მისი ადგილიდან არკვევდენ, რომ პეტრე მხილველია და არა ხილული ან ნახული. და თვით ბრუნვა პეტრემ, მიწამ, ან სახლმა, კაცმა ცხადათ გვიჩვენებს, რომ პირველში დაბოლოვება არ ჰქონია ქართულს, სიტყვები ფორმის შეუმოსლათ მიწყობილახ ერთმანეთზე, რადგან, ვთქვათ, კაცმა ფოონის ისტორიას თუ ჩავსდით, შევიტყობთ, რომ ძველ სამწერლო ენაში იგივე ფორმა იყო კაც-მან, და გვახლა ფოონათ მიჩნეული ერთი სიტყვა რთული სიტყვა ყოფილა, ორი სიტყვისგან შემდგარი: ერთი გახლავს სახელი კაც, რომელიც ვერც იცვლებოდა, და მეორე ნაცვალ სახელი მ-, მესამე პირის ნაცვალ-სახელად მიჩნეული და ის ხომ თითქოს იცვლებოდა, და აგრეთ წოდებული მიცემითი ბრუნვის დაბოლოვება—ან სახის ფორმას აძლევდა მას, ასე რომ სახელის ფორმა ამ ნაცვალ სახელის ფორმისგან იტყობინებოდა, თვითონ სახელის ფლექსია ან მიხვრა-მოხვრა ჯერ არ იყო. და თუ ექვი დაგრჩათ ფორმის უქონლობაზე ამ შემთხვევაში, რადგან ნაცვალ სახელს



ქართული

ზომ მინეკ ჰქონია ფორმა, ეთქვათ ეს - ან სუფიქსით დაბოლოვებულია მან, მაშინ გავიზიარებთ იმასაც, თუ რა აღმოაჩინა ამ წერილობანის შესახებაც იაფეტურ ენის პალეონტოლოგიამ, სახელდობრ მესამე პირით მიჩნეული ნაცვალ სახელი იმავე დროს პირველი პირის ნაცვალსახელადაც ყოფილა და მეორე პირისაც, საზოგადოთ იგი არა თუ ნაცვალი სახელი, პირდაპირ სახელი იყო და არც იცვლებოდა, ისიც უფორმო იყო.

უფრო ხშირი მოვლენებით სურათდება ქართულშივე მის-მიერ აგრეთვე უკვე გარებული ავლუტინატივეური შენებულობა, მაგალითათ, სიტყვა მ-შ-გ-ე-ნ-ი-ე-რ-ი, ზედშესრული, წარმოადგენს, წინსართი მანის და სახელოობითის დამახასიათებელის ი-ნის გამოკლებით, ფუძეს შევნი+ერ, მაგრამ ესეც არ გახლავს წმინდა ფუძე, ესეც წარმოებული ფორმა გახლავს, ვითომ „იერ“ დაბოლოვებით შექმნილი, მაგრამ მისი ისტორია გვიჩვენებს, რომ აქ იერ დაბოლოვებით შექმნილა ის, რაც ადრე ავლუტინატივეურ ხანაში თავისუფალი სიტყვა იყო, სახელდობრ ვერ (მას რომ ი-ნი წინამიუძღვის ფუძის დამახასიათებელი ხმოვანია და არა ჩენი მსახურ სიტყვის წინსართი). იმიტომაც ნათესაობითი, თუ შევამჩნევით, არა მარტო „შვენიერის“ აგრეთვე „შვენიერის“ ფორმაც გახლავს, და სიტყვა „ვერ“ ნიშნავდა „შვილს“; იგივე ვერი, მეორე რე-სთან შეხვედრით ველი-ათ იქცევა, იმიტომ ქართველი, რომელიც ნიშნავს ქართ ნათესავის შვილს აგრეთვე მანდილოხან სიტყვაში ჩვენგან დაბოლოვებით მიღებული სან-ი (ო- აგრეთვე ფუძის დამახასიათებელი ხმოვანია და არა ამ ჩენი მსახური სიტყვის წინსართი) სიტყვა გახლავს, ხან ან იგივე ხკან, მთელ ლიგურების ნასახლებ ევროპაში დარჩენილი -ხკა ან -ხა დაბოლოვების ადრინდელი სახე და იგიც ნიშნავდა ხოლმე „შვილს“.

განვებ ვერდები „შვილ“ სიტყვის არა მარტო სხვა და სხვაობაზე, რაც ქართულში სხვა და სხვა იაფეტურ ნათესავების შეზავებას მოასწავებს, არამედ მიზედაც, რომ „შვილის“ მინიწნი სიტყვები ბევრი სხვა რამ ფორმების მწარმოებელი არიან, მაგალითათ მრავლობითის ნიშანი ხ ან ქ ცნობილი როგორც იაფეტურ ნათესავების სახელებისგან—კოდ—ხ, ჯავა—ხ, ტაო—ხ. ეგრეთვე ზმნაში ეთქვათ, სეანურში—ასყე-ხ გააკეთეს, ზოგად სახელებში—ქ სახით ბასკურში, აბახურში და ჰაიკურში ან ძველ სამწერლო სომხურში (აქ ზმნაშიც) მიღებულია როგორც დაბოლოვება; მისი ისტორია კი გვიჩვენებს, ის ნაშთია სიტყვის ზინ, რომელიც ნიშნავდა აგრეთვე „შვილს“, ესე იგი „სიმრავლეს გამრავლებას“; ზინ-ი „შვილის“ მნიშვნელობით იმორწმება ვანის ლუსმურ წარწერებში, იქ ის ჩვეულებრივი სიტყვა არის, და ამის შესახებ არა ერთხელ დაბეჭდილა გამოკვლევა უფრო სრული მასლით. <sup>1)</sup>

ადრე მრავლობითის ნიშანს „ხ“ ბგერის და სიტყვას „ხინ-ი“ (შვილი) ერთმანეთისგან ვყოფდი (ნ. მარრი, Надпись Сардура II сына Аргистия в Даш-керт, გვ. 12) იგივე დაბოლოვება „ქ“ ევროპული ბგერის სახით შეუთვისებია იაფეტულებისგან ზოგ ამ მოკლე ხანამდი უცხო თესლათ მიჩნეულ ნათესავს, სხვათა შორის ჰუნგარებს ან ვენგრებს.

<sup>1)</sup> „ქართულის“ ახსნა უფრო ღრმათ გვებრძება, მაშინ წმინდა ფუძე „ქარ—“ აღმოჩნდა





ეროვნული  
ენათმეცნიერება

აგრეთვე ვერათ წოდებულ ახალ ქართულის მრავლობითის დაბოლოვება «-ებ», მგერული «-ეფ», ლახური «-ეფ», ელაშური «-აჟ» ან «-ჟა» და სხვა უკეთ ვთქვათ მისი თანხმოვანი ბგერანი «პ-ბ» «ფ» და მათი პირვანდელი სახე «მ» «ე» ნაშთია სიტყვის «პარ» «ბარ» «ფარ» ან «პან» «ბან» «ფან» იუ პირვანდელ სახეებს ჩავხდით «ვარ» «მარ» ან «ვან» «მან» რომელიც აგრეთვე ნიშნავდა შვილს.

აგრეთვე სომხურში მრავლობითის ნიშანი «ც», იგივე ბასკურში და განსაკუთრებით აფხაზურში, ქართულში «თ»-ანად ქცეული, ძველი სახით «ძ», მაგალითად, სომხურ «ტან-ძ» (სხალის) დაბოლოვება ნაშთია სიტყვის «ძენ» რომელიც აგრეთვე შვილს ნიშნავდა, ქართული «ძე», ზნა—«შე-ძენა», «შეძინა» და სხვა. ქართულში ზოგი ბილის სახელი, მაგალითათ «ყურ-ძენ» ამავე სიტყვას წარმოგვიდგენს თავის დაბოლოვებით. ამ სიტყვას ბევრი ვარიანტი აქვს როგორც შემოკლებულათ მარტოკა თანხმოვანი ბგერები «უ» «ღ» «ტ», აგრეთვე მრთელი სახით «ტენ» «ტან» და სხვა შესაფერი ნათესავის და მის კილოკავის მიხედვით.

სხვა ენათ უგუფებს რომ მივმართოთ, არც ერთს მათგანს საშვალეა არ აქვს მათი გველილი აგლუტინატივური წყობის მანძილზე მიგვაწვეინოს თავისი საკუთარი დღემდი არსებული მასალით.

პირიქით, მათში ყველაფერი გასიმბოლოებულია, ყველა ენის მოვლენა განყენებულს, ცხოვრებიდან დაშორებულ მდგომარეობას წარმოადგენს და თან თავისი მასალებით ფლექტივერ შენებულებაზე დასწრებულ სახეს ვერ სწვდება, და მკვლევარ მეცნიერებს ან აგრეთ სწამთ თითქო მათ შესწავლულ ინდო-ევროპული ენებს კაცობრიობის გაქენის დღიდან ავეთი ბუნება დაჰყოლია ან უფრო გულწრფელნი აღიარებენ, რომ გზა შეკრული გვაქვს და უმასალობაზე არა გვეთქმის რაო. გასავალი გზა არ გვაქვსო, ფრანგულათ *impasse*-ში ან რუსულათ *тупик*-ში (ჩიხი) ჩაჭრილ ვართო, იაფეტურ ენები, წინააღმდეგ ამისი, თავისდათავათ არა თუ ენის სამი ტიპური შენებულობით ავეთ შემოწმებულ გამათა განმავლობის თვალ უწდომელათ განრთხმულ სივრცეს გვაშორილებიებენ, მეტსაც გვაძლევენ.

თითო ხანის ენის შენებულობა, აღმოჩნდა, წარმოადგენს, შესაფერ დროის საზოგადოებრივ წესწყობილების გამოხატულებას, სხვათა შორის როცა მამასახლისური წესწყობალება დგება, მამან ენაც ისე იშენება, რომ სოციალური ტერმინები მამა, შვილი, ძმა და სხვა სიტყვების და წინააღმდეგის მსახურ ნაწილაკებად ხდებიან, სიტყვის წინსართად (პრეფიქსად), დაბოლოებად (სუფიქსად) და წინადადების კავშირად. ჩვენ უკვე შევხეთ შვილის მანიშნი სიტყვების როლს ფორმების წარმოებაში. ერთს მაგალითს, წარმოვიდგენთ მისას, თუ როგორ გაუხდია ენას მსახურ ნაწილად სიტყვა ძმა. ადრე 'ძმა' და 'და' არ განირჩეოდა, ორივესთვის ერთი სიტყვა იყო და, როგორც გერმანული *Geschwister*, ნიშნავდა იგი 'ძმასაც და 'და'საც, და ასეც უნდა ყოფილიყო, არა მიტომ, რომ პირვანდელი მისი მნიშვნელობა იყო სისხლი, არამედ რადგან პირველში კაცობრიობა ხელმოკლეთ იყო სიტყვებზე, წვრილმანებზე ზოგად სახელიდან გადა-

ერყენული

დიოდა, მთლიანი საგნისგან მის ნაწილზე დასახელებაში<sup>1)</sup> მდგომარეობაში<sup>2)</sup> სიტყვიერ-  
ლეს საზოგადოებრივ განწყობილების წევრებს ხატავდა მბგერი სიტყვით. და  
ჩვენი ქართული სიტყვის პირვანდელი სახე გახლდათ წამ—ძამ, აქიდან გამოიშ-  
ვავებულა ერთი სიტყვის ორი ვარიანტი ძმა (ძამია) და და,<sup>3)</sup> მაგრამ იგივე  
სიტყვა და ძმობის მნიშნავე გარკვეულ ხანაში მსახურ ნაწილაკით გახადეს, სა-  
ხელდობრ კავშირათ, მაგალითათ „მონადირე და ძალი“ ნიშნავდა—„მონადი-  
რე ძმა ძალი“, ქართული კავშირი და 'ძმის' და 'ძის' მანიშნი სიტყვისაგან  
არის წარმომდგარი, იგივე ძმა ანუ და სიტყვა გახლავს.

ტიპური შენებულების ეს სამი ხანა, კაცობრიობის ცხოვრების სამ შე-  
საფერ ხანის საზოგადოებრივ წესწყობილებასთან ხელშეკრული, რამოდენიმე  
ბევრ ესე იგი რამოდენიმე ათი ათას წლობით განრთხმულს ისტორიულს თუ  
პირველ ისტორიულს დროს უდრის. ჯერ ამ ხანაებს ეკუთვნის დიასახლისუ-  
რი წესწყობილება, მატრიარქატი, უძველესთა ხანის საზოგადოებრივი იდეა-  
ლით, და მისი კვალი, არა ერთი, დღეის დღემდე ჩარჩენილა ქართულ ენაში.  
სხვა რომ არ იყოს, იმ ძველთა უძველეს ხანათ ნაანდერძებია ქართულ ენის  
მარტო ის თვისება, რომ ორი სიტყვის შეკავშირებაში, თუ იგინი მამობრივი  
და დედობრივი სქესის გამოთქმელი არიან, მანდილოსანს უპირატესობა ეთ-  
მობა, მაგალითად დედ-მამა, ცოლ-შვილი, და-ძმა, ქალ-ვაჟი და არა შებრუ-  
ნებული ქართული ენის გრძნობისთვის დიახ საწინააღმდეგო რიგი, ეს მანდი-  
ლოსნის საზოგადოებრივი გავლენიანობა და მზვედ აღმოცენილი პატივისცემა  
ქართველებში ჩარჩენილია ნეოლიტის ხანიდან, თუ უფრო ადრინდელი არ  
არის. პირვანდელი ოჯახი, პირვანდელი გვარი იაფუჯელების დედასახლისური  
ვახლდათ და არა მამასახლისური<sup>4)</sup>. ჩვენი ისტორიული საბუთები რომ ისტო-  
რიის დასაწყისში მამასახლისური წესწყობილებას გვისურათებს, ეს უკვე შერ-  
მინდელი მდგომარეობა გახლავს, ინდო-ევროპიელების გაჩენის შემდეგ მათ გა-  
ვლენას ქვეშ შემოტანილი თუ დამოუკიდებლათ იაფეტელთა მამობრივი ნათე-  
საგების—აგეთნიკ ყოფილან—მძღავრობით შემდეგში აღორძინებული.

მაგრამ ამ ისტორიულ და პროტოისტორიულ, პირველ ისტორიულ, ხანა-  
ებზე არ ჩერდება იაფეტურ ენების გათხრა-კვლევა.

თავის ჩარჩენილობებით იაფეტური ენები საშვალეებს გვაძლევენ ისტო-  
რიულ და პროტოისტორიულ, თითქმის ნეოლიტურ ხანებზე წინ დასწრებული  
ეპოეების ენის მდგომარეობა თუ ენის ზრდა დაეხასიათოთ. ამას ვახერხებთ

1) იხ. ქვემოთ, გვ. 299, წგნ.

2) და, მისი უფრო ძველი სახე—ძა (იხ. ბი-ძა 'მამის ძმა'; ახლა ისიც გამოირკვა, რომ  
და, 'და-ქალის' გამოთქმელო, სხვა ნათესაურ ძირიდან, სახელდობრ: და ლ (ძალ)-იდანს. წარ-  
მოებლია, მაგრამ ერთ დროს ესეც განუჩეველათ 'ძმა-კაც'საც იტყოდა.

3) ზოგი გვარი, დღესაც კარვად ცნობილი, იმ დიასახლისური ხანის შექმნილი, შენაბუ-  
ლია საკართველოში, მაგალითად სვანეთის მკვიდრი გარ და ფხაძე, სვანურათ გა ლ ფ ხ ა ნ  
რომლის წმინდა ფუძეს წავადგენს გარ და-ფხა ან გა ლ-ფხა, და ეს ფუძე თავისდა  
თავით ნიშნავს „მკვლთა შეღიშვითი“ ან „მკლის ქალიშვილი“ (იხ. იემი ცდა: Наривител-  
ное значение термина «дѣра» в сивтанскихъ женскихъ имъ нах; Прилож. к протоколу засед.-  
ств. истор. наук в филол. Рос. Академии Наук 24 марта 1920 г. გვ. 121—127)



ჩვენ სიტყვების უკვე სახის კი არა, მნიშვნელობის და წინადადებებში თავ-მოყ-  
ყობის იტორიის გამოკვეთით. პირვანდელ ხანებში ვხედავთ ჩვეულებრივი  
ჩვენი წარმოდგენების გასატერებლათ საწინააღმდეგო სინამდვილეს, სხვა ფსი-  
ქოლოგიის, მაგალითათ, ზმნას როგორც სიტყვის უმთავრეს ნაწილს ვლბებულობთ,  
მაგრამ ზმნა, ეს უკიდურესათ განყენებული სიტყვა, არც კი სუფევდა თავისდა-  
თავათ, სიტყვები ნიშნადენ ნივთიერს ან ნივთიერათ, ადრე კი მუდამ ცხოველ  
არსებათ წარმოდგენილ სავნებს. მაგალითად, მზე მხოლოდ მნათობი არ იყო,  
ის იყო ცხენი ან სხვა რამ ცქვიტ-შავალი მიმფრინავი არსება. ჩვენ ისტორი-  
ულ ხანებისთვის ავხსენით, თუ როგორ აწარმოებდენ მრავლობათ რიცხეს მხო-  
ლოობითიდან, მაგრამ პირვანდელ ხანებში მხოლოობითი არ სუფევდა, ინდივიდუ-  
ალური საზოგადოებრივი წარმოდგენა შემდეგ დროთა მიწევნილობა გახლავს.  
აგრეთვე ნაცვალ სახელი „მე“ უკანასკნელი მიწვენილობა არის, და რო-  
ცა სამი პირის გარჩევა შემოვიდა, მაშინაც თავდაპირველში მხოლოდ მრავ-  
ლობითათ წარმოდგენდენ პირს, რადგან პიროვნების სუფევებზე ბრბოს ან ჯოგს  
გარეშე (როდესაც კი ნათესავობა გამომუშავდა, გარკვეულ თესლს და ნათესავს  
გარეშე) ადამიანს ჯერ არ ჰქონდა შეგნება: „ჩვენ“ რომ იტყოდენ, ეს ნიშნავდა  
მთქმელის ერთიანობას მის ნათესავ კოვებულთან განუყრელათ, მის ერთეულ-  
ობისაგან გამოუყოფლათ.

იავეტურ ენათ-მეცნიერებამ ძალიან შეამცირა პირვანდელ სიტყვათ რიცხვი.  
იტყვიან, იმასვე ვხედავთ აგრეთ წოდებულ ველურ ერების ენათ ვითარებისა-  
განო. საქმეც ის არის, რომ იავეტური ენები მეტს ვაძლევდენ ენის ზრდის  
გამოსაშუქებლად, რადგან ერთი მხრით იგინი გასაოცარ სიმდიდრეს გვიშლიან  
წინ ენის გამომეტყველებისას, ყოველ გვარი კულტურული მიწვენილობის გა-  
მომთქმელს და თან მხატვრობით დამასურათებელს ენას და იმავე დროს თვალ-  
უწვდომელ შორსახედველს ან გასახედავს, პერსპექტივს, რომლის დასაწყისს  
ათიოდე სიტყვა გახლდათ, ათზეც ნაკლები, თვით ერთიც, ოდეს მზგერი ენა  
ჯერ შექმნილი არ გახლდათ და ერთად ერთს კაცობრიულ ნათესავის გამომუ-  
შავებულ მზგერ კომპლექსს სხვა ფუნქცია ჰქონდა ასასრულებელი, სხვა სამსა-  
ხური გასაწყვი და არა სიტყვის მაგიერობა, რადგან, როგორც იავეტურ ენების  
პალეონტოლოგია გვიჩვენებს, ადამიანს საუბრობა დაუწყია ადამიანური ხმის  
ამოღების ადრე — უნმო უზგერო ენითა ერთმანეთს უზიარებდენ სიტყვას, საქმეს —  
მოქმედებით, შემდეგ მოქმედების გამომხატველ საშობოლურ სიტყვებით, მაგრამ  
ეს სიმბოლო-სიტყვები არა ხმით და ენით გამოითვმოდენ, არამედ რხევით,  
თითქოს ვაყოლილი ან ტეხილი ხაზების ვასმით ჰაერში, განსაკუთრებით ხელის  
ნძრევით და სახის მოძრაობით. ქართულში დღევანდლამდე ჩავვრჩენია სიტყვა —  
**პირუტყვი, პირმეტყველი**, თითქო ადამიანს შეეძლოს არა პირით სიტყვის  
თქმა.

მაგრამ, პირი დღესაც ნიშნავს არა თუ განსაკუთრებით „ზაგეთს პირს“  
ის ნიშნავს აგრეთვე, ცხვირპირს, სახეს, და სახის მეტყველებას ხომ დიდო ნა-  
წილი უდევს კაცის საუბრის წარმოებაში. შემდეგ, და ეს უმთავრესი საქმეა:  
ქართული თქმის სიტყვა სიტყვის, სამზგერიანი ძირი „ტყვ“ და სხვა მისი მო-

საქართველო  
საზოგადოებრივი

ნათესავე ვარიანტები სრულებით არ ნიშნავდა თავიდანვე უხიზობას უხიზობას ვინდა სახის შეტყველებით უხიზობას, არც როგორც ამას წინეთ ვფიქრობდით, ორ პირობა შეტყვევა—ზიარებას, „ერთმანერთთან“ „შეერთებას“, ერთის მიერ მეორის ცნობას ან მის უწყებას, შეტყობინებას. მიუხედავად იმისა, რომ **ტავ** ძირითადი **შეტყობის**, **უწყების** და კიდევ სხვა უფრო პირვანდელი და ნაკლებ განყენებული ზმნის, კაცის და ქალის შეუღლის, გამოთქმულ ძირითად გამოვლდა 1).

ამ ხანაში ჯერ კიდევ „სიტყვა“ „მოკმელება“ იყო: თქმა და „ქმა“ არ განიზიარებდა, ერთი მეორესთან განუყრელ წარმომდინარეობას შეიცავდა, და თუ მას, „თქმა-უხიზობას“ **ტავ** → **თქვ** ძირითადი, უკეთ ვსთქვათ **ტავ** → **თქუ** ფუძეთ ნიშნადღენ, ეს მისგან წარმოებდა, რომ მთქმელი-მოამბე სკეითი ან „სკუ“—თა ნათესავე გახლდა, როგორც „ცხენი“ „ხეიხეინებს“ ესე იგი „ცხენობს“ (ხვი-ხვინი იგივეა, რაც **ჰუნე** „ცხენი“), ვგრე „სკუ“თა ნათესავე ან ერა „სკუ“ობდა ან სკეითობდა. 2)

პირვანდელ ენას არც ესაქიროებოდა სიტყვების სიმრავლე იმიტომაც, რომ ერთი სიტყვით პირვანდელი ადამიანი ჩვენი ლოგიკური აზროვნებით ერთმანერთისგან დამოუკიდებელ საგნის გამოხატვას ახერხებდა. კაცობრიობის შემდეგ მოვლენილ განვითარების ხანებში სიტყვის შექმნის ამ პირვანდელ სისტემას მოჰყვა ის, რომ როგორც იფეტური პალეონტოლოგია გვიჩვენებს, **ერა** სიტყვა ათას, ათი ათას სხვა და სხვა საგნის აღმნიშნავე გამოდის.

ერთი ასეთი უბრალო სიტყვა, როგორც გახლავს „ხელი“, იფეტური ენებში ასიოდ და მეტსაც სხვადასხვა მთავარ მნიშვნელობის ტარებას ძლებულობს. სიტყვის ამ ერთ დედა აზრისგან წარმომდგარან მნიშვნელობანი—1) «შეხება» 2) რიცხვი 'ორი', 3) 'ძალი' ან 'ძალია' 4) ხელმწიფება, უფლება 5) 'ვალდებულება' 'ჯეროვნება' 6) 'მოწყალება', 7) 'გაცემა' 'მიღება' 'გაყიდვა' და 'ყიდვა', 8) 'ცემა', 'დარტყმა' 9) 'ჩვენება', 10) 'შეგავსება', 11) 'ხელობა, ხელოვნება', 12) 'ახალი, სიახლე', 13) 'სიახლოვე, ხლება', 14) ქურქელის ასაღები ნაწილი ან საგნის დამაბასიათებელი დანაკლისი, 15) დაქერა.

— ამ მე-15-ე მნიშვნელობაზე ვსწყვეტ, რადგან ამოწურვით გადათვლა საღამომი ვერ დამთავრდება.

მდაბიო ან ცოცხალ შეტყველებაში ზოგს გადათვლილ მნიშვნელობისგან დღესაც ღებულობს სიტყვა 'ხელი', მაგალითად უფლებისას, რა ხელი **გაქვხო**,

1) საბა (სულხან ობოლიანი) რომ ბრძაებს თავის ლექსიკონის შესახებ (გვ. XXVI), „ამ წიგნთა შინა არიან სახელნი კეთილნი და ბოროტნი, საქუბელნი, და სამაგებელნი, უბადობნი, და ცუდნიო. არა თუ კაცისათვის აღმოწყობათ, რათა საჭიროდღათ იყუროთ, არამედ ენათა სასრულსათვის აღსწერეთ და სხვა, მინადგავრათ ჩემს ძეგლ-კვლევაშიც არც ერთი სიტყვის გვერდს არ ატვალ, არ ვტოვებ აუხსნელათ ზოგადი აზრითა მიიუქრობათ, შიო უმეტეს ავტო ფარსევდურ საზოგადოებრივ მოთხოვნალებას ვერ ვაშხვეროლებ ავტო სიტყვებს, როგორც საფულისებო ხანა, რა ადენ ისინი თავის წარმოებით საფულტო ტერმინებს ეფუძვნიან. ვე ჩვენი დასაოიგებელი ხანა **იკნ-ა-<sup>2</sup>აკნ-<sup>3</sup>სი** წარმოებს იმტარის შეგავსი ილავრ ქალღმერთის, ქალიშვილის, სახელიდან, როგორც ქართული „ზო-ს“ შიძინეთ კაცი გინა დიაცი, ვან. „ბო-ს“ ქალიშვილი წარმოებულა იბერულ საბათესაფო ტარტმურ არსების(ბორ-<sup>4</sup>ფორ), იმტარის შეგავსათ სიყვარულის ქალიღმერთის სახელისგან, და ბერძნებშიც წარჩენილი მათ სიყვარულის ღვთაების „ა-ფრო—დიტა“-ს ფუძეს (ფრო-<sup>5</sup>ფ) წარმოადგენს.

2) იხ. ნ. მარტი, *Об афетической теории* (Новый Восток, 1924, № 5) ცალკე წიგნაკო მისივე *Из повестки «европейских афетид»* (Афетический сборник III, გვ. 50).



რომ ვიტყვი, მაგრამ პირვანდელ ნათესავთ ასეთი ერთი სიტყვიც არაა მნიშვნელობა, რასაკვირველია, ძალიან უბრალოდ და მბგერი ენით საუბრის გამართვას. თანდათან, როცა ენების შეზღვევის, მათი შერევის-შეჯვარდინების კანონით ერთ ნათესავის მეტყველებაში ერთი და იმავეს სიტყვის ბევრი გადასხვაფერებული სხვა და სხვა სახე იკრებდა თავს, თითო სახეს განსაზღვრული მნიშვნელობა ევალებოდა და საქმე ადვილდებოდა. მაგალითად, „ხელი“, „ძალი“ და „ჯერი“ ერთს, ერთი და იმავე სიტყვის სამი ვარიანტია, სამივე უწინ „ხელს“ ნიშნავდა, და მათგან ძირეული, მკვიდრი ქართული სიტყვა „ხელის“ აღსანიშნავათ ძალი იყო. ახლა ხომ მოგეხსენებათ, „ხელს“ ქართულათ მხოლოდ ხელი ნიშნავს, ძალი „ძლიერებას“ იტყვის და ჯერ ქართულ ძველ მწერლობაში „ვალდებულება“ („ჯერ იჩინა“, ახალში კიდევ ხან „სამ—ჯერ—სამ გზის. ან: სამ ხელ“, „ჯერ“ „ახლა“, „ჯერე“ და სხვა.

სიტყვების საჭიროებას პირვანდელ ხანებში მითაც ამცირებდნენ, რომ ზოგს ჩვენთვის მარტივ საგანს ორი მზა სიტყვის შეერთებით ნიშნავდნენ, მაგალითად ქართული სიტყვა ცრემლი, მეგრ. ჩილა მური რთული სიტყვა ყოფილა. როგორც აღმოჩნდა ცრემლი ნიშნავს „თვალის წყალს“. ეს ორი სიტყვა იყო „თვალი“ და „წყალი“<sup>1)</sup>

სიტყვა დამოუკიდებლათ არ არსებობდა, და რაც საქმის შეგნებას კიდევ უფრო აძვირებდა, მრავალს მნიშვნოვანს შემდეგში სიტყვას თავის და თავათ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა პირველში და მიტომაც მას, ერთს სიტყვას, ევალებოდა, აღენიშნა მრავალი საგანი, მაგრამ ყოფილ პირვანდელ მნიშვნელობის რიცხვი უსამზღვრო არ ყოფილა, იგი სამზღვარ გარეშემოწერილი იყო აღამიანების ბუნებრივ შემდგარი კრებულის საერთო რწმენით და აზროვნებით, რა კრებულის?

აქ ეთნოური ტერმინების გარჩევა და სიფრთხილით ხმარება ვუჭირია. „ერი“, „nation“, „нация“, იმ დროს არ არსებობდა, როგორც არ არსებობდა ჯერ „ოჯახი“. სუფევდა „tribus“, „tribu“, „Стан“, „племя“, ქართულათ „ნათესავი“. „ნათესავი“ კი, როგორც ერთ პირობაზე მისი ფარდი ლათინური „tribus“ უკვე რთულ შედეგნილობას წარმოადგენს. პირვანდელი სიმარტივით წარმოსადგენი აღამიანთა ბუნებრივი კრებულის აღსანიშნავათ ქართულათ ჩვენ გვაქვს სიტყვა თესლი (სპარსული ტომი), რომლის ფარდს, იმ აზრითვე ხმარებულს, ჩვენ აგრევე თელსაიხით ვერც ერთს ევროპიულს ენაში ვერ ვპოულობთ, სხვა და სხვა „თელის“გან იკრიბებოდა და სდგებოდა „ნათესავი“. ზოგი ენის მოელენა გვაბედვინებს კიდევ ერთი დებულების წამოყენებას: „თესლი“ ყოფილა ზოგი მამობრივი, ზოგი დედობრივი, გამოადის ეგრე, თითქო პირვანდელი „ნათესაური, კრებული, თესლათ რომ ვუწოდებთ, ზოგნი მარტო ქალებისგან შემდგარან, ზოგნი ვაჟკაცებისგან. ნათესაური კრებული შემდეგ საუბურზე იფუძნებოდა, არათუ სისხლის ბუნებრივ კავშირზე ან მის წაბამვით, ერთობაზე, მშობილობაზე როგორც აღრე გვევონა, ეკონომიური ინტერესების და ცეცისათვის ამხანაგობაზე,

1) იხ. ნ. მარტი, Заместки по историческим книжописан. I шверское представление „село“ (Известия Рос. Акад. наук ист. и этногр. отд., Ленинград 1924) გვ. 298—299

ამ საერთო მოსამართავ და მოწყობილ ოჯახობაზე აღორძინებულ ცნობილობაზე. ისიც უნდა მოახსენიოთ რომ იაფეტურ ენათ პალეონტოლოგიამ აღმოგვიჩინა 'ქმარი' სიტყვის წარმოშობა 'ძმა' სიტყვისაგან. ოჯახის აღორძინების აღრე 'ძმა' ქმრის ვალდებულებას ასრულებდა. თვით ლათინური სიტყვა tribus პირვანდელი იაფეტური სახით 'ei-rem-us' 'ძმობილობას' ან 'მომშობას' ნიშნავდა, და იგი როგორც ქალაქ რომის აღმშენებელთ ზღაპრული სახელები Romulus და Rem-us ეტრუსკულიდან შეთვისებული სიტყვები გახლავან. Rom-ul და rem-ნიშნავდა, ერთიც და მეორეც 'ძმას', არც ერთს მათგანს შემთხვევით მზავსების გარდა არავითარი კავშირი არ აქვს როგორც სიტყვას სახელთან რომის ქალაქის, რომელიც, აგრეთვე ტროიაც, ეტრუსკების დანაფუძნები ყოფილან და მათ სახელზე არიან დარქმეულნი: პირვანდელი სახე გახლავს ეტროს-[რ] აქიდან ტროა, მეორის—როს-მან, აქიდან 'რომა'.

მაშასადამე თხელი და შემდეგ თხლითაგან შემდგარი ნათესავი იყო, რომ ერთი სიტყვის მრავალ მნიშვნელობას საზღვრიდა თავისი ტოტემური წარმოდგენით, და ისე სწარმოებდა მამინ, როცა მისი ნახელოვნები თუ მისი შეგნებით ცნობილი დამკვილ-მრჩენელი და თავყანისცემით ხელსახლეები, შოიო თუ ახლო საგანი თხელს, შემდეგ ნათესავს მიჩნეული ჰქონდა თავის არსების ცხოველ და მაცოცხლებელ ხაკეთათ ან ნაწილათ 'ტოტემათ', მერბისში—ღმერთათ. თითო თხელს და მის მიყოლით თითო ნათესავს არა ერთეული ტოტემი, არამედ საკუთარი ტოტემების მრთელი წრე ჰქონდა ან უკეთ ვსთქვათ ჰყავდა, სადაც თავმოყრილი იყვნენ ოთხუხი, ფრინველი, მცენარე და ქვა-მადნეული, შნათობი, თითო მათგანი სულიერათ ან ცხოველათ წარმოდგენილი. ისტორიული ხანაებში ენის განვითარებაზე, სიტყვების მორფოლოგიის შექმნაზე უმოქმედნია, როგორც მოგახსენიოთ, საზოგადოებრივ წესწყობილებას. ისტორიულ დროზე წინ დასწრებულ ხანაებში ენის ზრდაზე, სიტყვების აწყობაზე და თითო მათგანის მნიშვნელობის განსაზღვრაზე უმოქმედნია ასოებისაგან შემდგარ სხეულს ადამიანისას. სიტყვების ერთმანეთთან აწყობაში განმობატულა სხეულის ასოების შეკავშირება, მაგალითათ 'წინა' ნიშნავს 'თვალს' (სვანები იმავე აზრით ხმარობენ 'შუბლს'—'სგობინ'), 'ამი-ერა' ნიშნავს 'სულს', 'განა'—'გვერდს', კავშირი 'თუა',—თავს და სხვა. იმავე დროს კაცის სხეული ქვეყნიერების გამოხატულებათ მიჩნეულა, და სხეულის ასოების სახელები, ტოტემურ წრეში შეტანილი, შექმნილან ქვეყნიერების, კოსმოსის სხვა და სხვა არსების აღნიშნავ სიტყვებათ, კაცის სხეული იმ ხანაში მცირე კოსმოსათ ან მიკროკოსმათ გამოდარა<sup>1</sup>).

ამ გვარათ თუ ერთ ხანაში თითო პირვანდელათ მიჩნეულ მნიშვნელობისგან. მაგალითათ 'ხელი'-ს მანიშნ სიტყვიდან, ასობით სხვა და სხვა მნიშვნელობიანი სიტყვა იწარმოებოდა, და მეო-ე ხანაში თავდაპირველში სიტყვას თავისდა თავათ არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა—გამოთქმული სიტყვა თითო თხელში ერთი იყო და ყველაფერს მით ნიშნავდენ, იყო ხანა, ნათესავების და მათი მითოლოგიური წარმოდგენების გამომუშავების შემდეგ, როცა ტოტემუ-

<sup>1</sup> რასაკვირველია, ჯერ მთლიანობის სახელი მიღებულა და შემდეგ მისი ნაწილების სახელები გამოყოფილან, სხეულის მწვერების სახელთა გაწყაროება, მათი პირველ გაქნის დრო და განვითარება, დარწმუნებული ვართ, განსაკუთრებით სწავლას შეადგენს თავის დროს და მის შესამუშავებლათ დიდი ახალაღ არსებობს იდეტულ უნებში. აქ, იქნება, ანთროპოლოგები, როგორც ზოგ დარკში არქეოლოგები, უმალ შეიგნებენ იაფეტურ სახლ მასალის მნიშვნელობას და იდეტურ ენათ-მცენიერების უკვე მიწვერილ დებულებებს, ვიდრე წინაპარლონგისტები.



რი არსებების წრეებით ერთ სიტყვას უზნდება რამოდენიმე ჩვენი ისტორიული ხანაების წარმოდგენისთვის შეუსაბამო, ერთმანეთთან ლოგიკით შეუკავშირებელი მნიშვნელობა. ნათესავეები სდგებოდნენ სამ თუ მეტ, პირველში ხუთზე არა მეტ თესლის შერევით, მათ დამძობილებაზე, და ამ პირვანდელ ნათესავეებს მათი მითოლოგიური წარმოდგენის ძალით თითო სიტყვისთვის სამზე არა ნაკლები მთავარი მნიშვნელობა აქვს, ერთი მეორესთან მითოლოგიურათ შეკავშირებული, ჯერ კიდევ კოსმიურ ხანაში. მაგალითათ:

«წყალი || ქალი || ხელი» ერთი და იგივე სიტყვის სამმნიშვნელოვანი ხმარება გამოდგა; ნამდვილი ძირეული ქართველი ნათესავის ბუნებრივი მგვიდრი სახე ამ ერთი სიტყვის გახლავს «წყალი» (ძირით—ძალი) ასე რომ ქართველი პირვანდელი ნათესავი ამ ერთი სიტყვით «წყალი» აღნიშნავდა «წყალს, ქალს და ხელს». სიტყვა წყალს სხვა ნამდვილი აგრეთვე ქართული სახე აქვს, ქვედა საფეხურის—«ხალ» («ხალ»), მეორე ზედა საფეხურის «ძალ», ორივე ურთველარათ გარკვეული ისტორიულ ხანაებზე წინ დასწრებული ეპოქებიდან, თითო მათგანი «სალი»ც და «ძალი»ც მოხსენებული სამი მნიშვნელობის ნექონი სიტყვა ყოფილა. მაგალითათ «ძალ» ნიშნავდა არა თუ მარტო «წყალს», რაც გამოთქმის ბგერის მიხედვით კიდევ ძნელი წარმოსადგენი არ არის, არამედ «ძალ»საც და «ხელ»საც, და ამისი კვალი ცხადათ ჩავგრჩენია თვით ქართულშიც, რადგან «ძალი» ნიშნავს «ძლიერებას», რაც ყოველთვის «ხელის» მანიშნი სიტყვიდან წარმოსდგება ხოლმე, და «ძალი» «ქალის» მნიშვნელობით გახლავს ქართულ სიტყვაში «ს-ძალ» ან «რ-ძალ», რომელიც რთულია, და როგორც თავისი ალაგს ავხსნი ორი სიტყვიდან წარმომდგარია და ნიშნავს «ახლის ქალს».

ამ გვარად იაფეტურ ენებს რომ ისტორიაზე წინ დასწრებული სამი მნიშვნელობის ძირეული უკვლილობით დახასიათებული ხანა გამოუვლია—კოსმური, ანთროპომორფული და ტოტემური, ქართული ენა თავის მასალით მათთანაც განუკრელ ზიარათ გავლილ ცხოვრებას ამოწმებს, არა თუ მარტო მორფოლოგიის ძირეულათ შეცვლით დახასიათებულ სამ ისტორიულ ხანაებისთვის, არამედ უზომოთ განგრძობილ ხანაებისთვისაც. ქართული შესაფერი შემამოწმებელი საბუთებით გაელენთილია იგივე ჩვენამდი მოწყენილი ქართული ენა. ეს სრულებით არ ნიშნავს ქართულ ენის მოუხერხებლობას, პირვანდელობას (primitivisme). ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ადრინდელ და ჩვენ დროისაც უაღრეს კულტურულ მოთხოვნებთანათვის, სამეცნიერო ტ სასიბრძნისმეტყველო დარგშიაც, ტექნიკურათ სავსებით აღქრვილ ქართულ ენაში, როგორც ხელშეუხებელ ქალწულ ქურკლებში, ჩვენამდი მოუწყვია სხვა და სხვა პირვანდელ იაფეტურისავე თესლის შემოტანილ საენო მასალებს და ძველთა უძველეს ხანაების ენის გარდმონაცხოვრებ თვისებებს.

ამ თვალ უწვდნელ სიძველის შემამოწმებელ საბუთებს არ გვაძლევენ დიხაც ენის მარტო განუცნებელი თვისებები, მათი დროთა მიმდინარეობაში ცვალებადი ბუნების დამახასიათებელი მოვლენანი, მარტო ენის პალეონტოლოგია. იმ რიცხვზე და ზომიზე გადასრულ სიძველეს ასაბუთებს ის დიადი ვასაოცარი მოვლენა, რომ ურიცხვ იაფეტულ ნათესავეების ბროვასაგან პირენეთა ნახევარ



კონძილიდან შუა აზიაში მდებარე პამირამდე, კავკასიის ნიადაგს თუ გამოვტოვებთ, მხოლოდ ორი ხალხი, ორი მუჭა ხალხი დარჩენილა ამ ჩვენ დრომდე, ერთი პამირის კალთებზე ვერშიკ ან ბურჩინასკ ნათესავი, მეორე ისპანიის და საფრანგეთის სასაზღვროზე ოდესმე დიად ეტრუსკების და ბასკების შეხვედრულ ნატეხი, ახლა წოდებული ეუსკ არათ ან ბასკებათ.

კავკასიაში გარდა ახლანდელ ცნობილ ერების და ნათესაებისა ერთი რიგი ტომები აგრეთვე თითქოს უკვლავად გადასულა, როგორც ერუშ, ან გაქართვლებულან, როგორც რაქველები—ერუშა და რაქვა-ველი ორი სახე არის «ეტრუსკა» სანათესავო სახელის. ვიპოვებ «თითქოს» გადასულა, რადგან მათი შეტანილობით ქართულში იგინი ერუშნიც და რაქველნიც ისე გაუნადგურებლათ განაგრძობენ არსებობას, როგორც სვანთან შეხვედრული აგრეთვე ეტრუსკთა ნატამალი, მატარებელი იმავე სახელის მესამეს სახის «ლაშ», მრავლობითი რიცხვის «-ბ» დაბოლოვებით ლაშბ, ახლა ცხენის წყალის ან Hippos-ის სახელწოდება, რადგან «ცხენი» ვახლდათ ეტრუსკების ტოტემი, და «ლაშა» ნიშნავდა «ცხენსაც». მაგრამ არა თუ კავკასიის ნიადაგზე, მის საზღვართა გარეთაც უკვლავთ არც ერთი იაფეტელი ნათესავი არ ამოწყვეტილა. პირენეითაგან პამირამდე ბასკებს და ვერშიკებს გარდა სხვა აურაცხელი იაფეტელი ნათესავები სრულგებით არ განადგურებულან: იგინი შექმნილან ენათ ახლსახეების წარმოშობი პროცესის თვით. ამ თბის ელემენტებით, მათი სქელი წინაღვილობით ვულსავსეთ გაძღარია ევროპის ახლანდელი გაბატონებული ერების ნათესავობა. აგრეთ წოდებული ინდო-ევროპული ოჯახ-მოდგნა, მის ევრეთ წოდებულ წმინდა ინდო-ევროპულ ნაწილში ისე იაფეტურ ენებისგან წარმომდგარი, როგორც ამ უკანასკნელ დღეებში ცხადათ ირკვევა. წარმოსადგენია რა ენათა სივრძეა სიჭირო, ეს შედარებით ახალი დროის პროცესი ისე წმინდათ და ძირეულათ ჩადენილიყო, რომ მეცნიერები იქნება ვერას დროს ვერ მიახწევდენ ამოკანად შექმნილ სინამდვილეს, რომ ქართული ენა თავის წმინდა იაფეტური და იაფეტურ ნაწილი გულიშამოით არ არსებულყო, მეორე მხრით ეგ თავისებურობის წყარო—წმინდა იაფეტურობა—რომ არ შერჩენილიყო ქართველებს, და მაშასადამე დამოუკიდებელი შეთხზვა-შექმნის, შემოკმედების ჰუნარი დაქარგოდა, არ ვიცი ქართველობის არსებობას რაჟე საფუძველი ექნებოდა თუ არა. მაგრამ დასასვამი არ არის განა საკითხი, ქართველობა უ-იმ-წყაროდ დღევანდლამდე გამქრალი არ იქნებოდა დედამიწის ზურგზე? რასაკვირველია, ისტორიული ხანების თითო ნაბიჯის გადადგმისთანავე—თვით ხანების რიცხვი ხომ, ნაბიჯებს რომ დიფეთხოვით, დიამსაკვირველ სათვალავია. უამრავია, ავით რაოდენობით მცირე ერისთვის, როგორიც ვახლავს ქართველი ერი—მაშ ამ ხანების თითო ნაბიჯის გადადგმისთანავე არა თუ ფართოდებოდა და რთულდებოდა ეროვნული კულტურა, სიღრმესაც მატულობდა და ძლიერებდა. ეწაფებოდა კაცობრიობის კულტურ-შემქნელ პირვანდელ ძალას ატლანტის შხვაესათ, იმავრებდა რა მის ჯერ კიდევ ქალწულ და ამოუწურულ ნიადაგზე თავის ფეხს, და იმ ძალასთან და იმ ნიადაგთან ქართველობას ორგვარი კავშირი, მრავალ ათი ათასობით შეუწყვეტელი კავშირი შეხებობა-კონტაქტი ჰქონდა, დღესაც აქვს ერთი მხრით მისი ისტორიული კულტურის, მწერლობი-





ერეკნული  
მეცნიერება

საქ ხანგრძლივობის ძალით და კიდევ უფრო, მეორე მხრით, პირვანდელი ჯერ კიდევ სანათესავო, ეთნიური და მახედაც დასწრობილ კულტურის მადლით, მისი ურიცხვი ჩარჩომილებით ქართველი კაცის ხულიერ ანაგებში, მის ცოცხალ ენაში და მის გადმოცემულ-ნაანდერძვე საზოგადოებრივ ლტოლვაში. ეგ ხომ ადამიანს ველურათ უნდა ხდიდეს, პირვანდელ ველურათ! საქმეც ის არის, რომ ცოცხალს და შემოქმედებით კულტურას, რომელსაც მომავალი კიდევ ელის, სწორეთ ეს ეგრეთ წოდებული „პირვანდული ველურობა“, სულ ერთად დაცული პრიმიტივიზმი, აწარმოებს და იცავს ცხოვრებაშიც ისე, როგორც ხელოვნებაში და მწერლობაში, მეტის თქმას ვიკადრებ — მეცნიერებაშიც, მის სრულიათ განყენებულ ძიებაში. თუ რა უკიდურეს პირვანდელ დროის ჩარჩენილობა ან გადმოცხოვრება (survivance, переживание) შესწევდა ქართველებს მათ ისტორიულ განათლების ხანებშიდაც, ათას მავალითიდან ერთის დასაბუთება მსურდა ქართულ მწერლობის ნაშთიდან, ექვთიმე თაყაიშვილის ნაპოვარ „ქარის გარიგებიდან“, ქართულთ „ხელმწიფის“ ქარის გარიგებიდან, (სახელია წიგნის) მაგრამ დროის უქონლობით მხოლოდ გაკერით მოვიხსენიებ. ეს ძველი საგარაუდოთ რომ ესთქვათ მეცამეტე თუ მეთოთხმეტე საუკუნის უნდა იყოს და როგორც ქმნილება ხომ რალაც ხალხიდან დაშორებული ქარისკაცებიდან შეთხზულით უნდა შეგვერაცა, იქნებაც კიდევ თარგმანი ან ბერძენი თუ სპარსთ-სახალეთა ზნე-რიგების წაბაძვა. ჩვენ ასეთი სხვა ქვეყნიდან ზოგ ნაწილების შემოღებას წინ არ აღვუდგებით, მაგრამ ძველი სავესებით არა თუ მარტოკა თავისებურია, მეტიც ითქმება ქართული, თვით ტოტემურ ხანიდან მომდინარე ზნე-ჩვეულება არის შიგ წარმოდგენილი, აგრე მავალითათ წლისთავზე ყველაზე უმაღლ მონადირეების მიღება — მონადირე „წარმათ“ ღმერთის თაყვანის ცემა არის, და კუონდიდელის წარჩინებულება არა თუ ჭყან-რკონის, ესე იგი მუხის, თაყვანისცემაზე, არამედ ხის და ცოდნის პალეოლიტ იაფეტურ ხანის წარმოდგენის დაგვართ ერთ და იგივეობაზე არის აღმოცენილი.

იქ იხსენიება ისიც, რომ ლაშქრობის დროს მეფის საცვალ-საგებელს მეტის-მეტი სიფაქიზით კუთვნილ ხურჯინში ჩაწყობილს საგანგებო ჯორს აჰკიდებდენ ხოლმე, რომელიც მისდა მიჩენილი მთელი გვარის დიდი წყება-მსახურთა თანაყოლით წინ მიუძღოდა ლაშქრით მიმავალ ჯარს. სიდან მოდის ეგ ჩვეულება, ესეთი დაწინაურება და ყურადღება ჯორისადმი? ჯორი, მოგვხსენებათ, პატრისაცემ მხედრათ ირიცხებოდა საქართველოში ბერების და სამღვდელთ პირების სამგზავროთაც. ამ სასულიერო დასთან ჯორის დაკავშირებაში ძველის ძველი რწმენის ჩარჩენილობა გახლავს. თვით მეფეც პირვანდელი იაფეტური საზოგადოებრივი წარმოდგენით ღვთის ნაცვალა და მისივე ქურუმში, მღვდელი. არა თუ სიტყვა მღვდელი, სიტყვა მეფეც, ძველათ მეუფე ან უფალი, როგორც სომხურში არქაჲ, წარმოშობილი არიან სიტყვებისაგან, რომლებს თავში სანათესავო ღმერთის ან კერპის მნიშვნელობა ჰქონდა, შემდეგ მოგვის წინასწარმეტყველის და ქურუმის ან მღვდლის. ჯორი მეფის საცვალ-საგების მატარებელი, მთელი ჯარის წინამძღვარი ერის უკიდურეს განსაცდელის ეამს — ლაშქრობათ მინავლობას, — სწორეთ სარწმუნოებრივ შეკავშირებული უნდა ყოფილიყოს მეფეს-

თან, 1) აგრეთვე სასულიერო დასის არსებასთან, ერთხელ მარტოა მათთან ერთად წარმოდგენით, ღმერთთან და დასტურაც აგრე აღმოჩნდა. პალეონტოლოგიურმა კი გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ აქ სახედარ საგანზე, ახლა რომ ჯორად იწოდება საქმე არ არის. პირველში ყველა სახედარი და მტვირთველი ცხენის დარგში ოთხფეხი, ცხენი იყო, ვირი თუ ჯორი, ჯორათ იწოდებოდა, და თვით ამ სახელში ჩაკრული იყო მისი ლეთაებრივი მნიშვნელობა, რადგან ჯორი ეტრუსკთა ნათესავის სახელი იყო, მისი ტოტემი და ღმერთი, და არა მარტო სახედარი. ყოველი საგანი, იმავე სახელის მატარებელი „ეიტოტემობდა“, კუთვნილი ნათესავის ღმერთათ ხდებოდა. ნიეთიერი წარმოდგენა ამ სახელის მატარებლის შევთხვევითია. მუდმივილა შეუწყნარებელი არის თვითონ სახელის ლეთაებრივობა. როდესაც ქართველებმა ქრისტიანობა მიიღეს, ქრისტიანების უდიადეს სიმბოლოს მისაღებათ მქადაგებლებმა იმავე ეტრუსკული ტოტემი-ღმერთის ან ნათესაური ღმერთის სახელი დაარქვეს ჯორისგან გასარჩევათ შეცვლილი ჯვარად. ჯორი ან ჯვარი ორივე ნაანდერძევი ძველი ნათესაური ტოტემურ სარწმუნოებისგან. ქართული კეპთსახურების ჯვარი ისე არ ნიშნავდა ქრისტიანულ ჯვარს, როგორც ხატი, ქრისტიანულ ხატს არ ნიშნავდა, არამედ იყო ქრისტიანობაზე დასწრობილ წარმოდგენით სულ სხვა, აგრეთვე ტოტემში, იათეტურ ხალდთა ან ხატთა ნათესავის საკუთარი ტოტემური ღმერთი, რამე ლეთაებრივი ძალის მექონი, განსაკუთრებით არც გამორკვეული, სხვა და სხვა საგანი, რომელსაც პირვანდელი ნათესავი თავის სიცოცხლის მოზიარეთ რაცხდა, თავის წმინდა ნაწილათ ხდიდა და, როგორც თავის თავს, აღმერთებდა.

ამ გვარად „ქარის გარეგებაშიც“ ქართველ ერის შენახული მისი კერძით და მთელი მისი—იათეტური—მოდგმის დამახასიათებელი წმინდა ნათესაური კულტურული ჩარჩენილობა აღმოჩნდა კაცობრიობის ცისკრის ხანის ძველთა ძველი რწმენა-განათლებლის ჩარჩენილობა.

სამართლთ და აღმოსავლეთით ქართულ კულტურის კავშირებს, მოვიხსენეთ კიდევაც, პატრონი ბევირი ყავს, ჩრდილოეთით და ქრისტიანობამდე დასავლეთითაც არაეინ. აქ საეკეოა, რომ პოლიტიკურ განწყობილებას დაედვას უმთავრესი წილი ან სრულადაც ბრალი. მეცნიერები ვართ დამნაშავე, თუ ჩვენ კვლევა-ძიებაში ვიმსახურებთ პოლიტიკის მატრიალბელთათვის იქნება კიდევაც სასალტუო-საქებურ მისამართ ანდახას: „ასე ჩემო, მინასეო, ხან ისე და ხან ასეო“. თვით მეცნიერებაში დღევანდლამდე კიდევ შესამჩნევია მწერლობითი კულტურის წინაშე მონებრივი გრძნობა, ყურმოკრილ ყმასავით დაგება და თავყანის-ცემა, რისგამოც საქართველოს, საზოგადოთ კავკასიის ჩრდილოეთთან ძველის ძველი ნათესავ—კულტურული ნასკვები სრულებით უვიცობის ბურუსით მოცული მძანდება. მტკნარი მეცნიერული დაუდევრობა არის იმის მიზეზი, რომ სრულებით ჩავვიჩუშებია, რაც საქართველოს ისტორიულ ხანათა მიმდინარეობაში კულტურულათ უმოქმედნია ჩრდილოეთში, მიუცია თუ შეუძენია. განსვენებული კათალიკოს კირიონის თხზულებით ამ საკითხის ფონში ჩვენ ხომ ვერ გავალთ. ძლივსლა იოანე გოთელ ეპისკოპოსის ამბავს მოვიხსენებთ ხოლმე. მოქვის მონა-

1) ამ წარმოდგენათ წრეში შემოდიან ვირის ან ცხენის ყურებიანი ზღაპრული შეფხებიც.



არქონული

სტორის ამშენებელ ხუროთმოძღვრებს კიევში წმინდა სოფლის სტატიის კვებაში თითქოს წილი უდევსთა, ბრძანების ერთი ჩინებულათ ცნობილი ხელოვნების ისტორიკოსი. ერთი შნოიანი ცდა არ გვიკისრებია, ქართულ, ან სომხურად იყოს, ხელოვნებას მთის იქითელ გკლესიების შენებაში თუ რა ღვაწლი მიუძღვის, გამოშუქებულყო. რაც შეეხება, ისტორიის წინდასწრებულ ხანაებისთვის ინტერესით სავსე ეთნოლოგიურ საკითხებს, ძლივსა მაზე ნეტი გავგონოს ვისმე. რომ ერთ რუსს მკვლევარს ქართული და უკრაინული მუშების ნათესაობა განსაკუთრებით აღუნიშნავს. ვის მოვედიოდა ადრე აზრში, რომ რუსთა მატიაწეში შეტანილი, კიევის ან არაბულათ კუაბის აღშენების თარიღს ქვეშ, სამი ძმის სსმმ, Шек და Хоряв'ის ლეგენდას ფარდი ლეგენდა აქვს სომხურათ, რუსული ზღაბრული მოთბრობის ვარიანტი კუარ, მადი და ხორენ სამ გმირის შესახებ ზენობ გლაკის მე-IV-ე, მე-VII-იდევ იყოს, საუკუნეში ნაამბობი ვანის ტბის მიდამოთ აღშენებულ ქალაქ კუარ-ზე, უფრო ძველათ ყოფილ ვეშაბ ქალაქის ადგილას. ვინ დაიჯერებდა ადრე, რომ მწერლობა აქ არაფერ შეაშაა, არც სომხური მემატიაწე, არც რუსი, ლეგენდა ზღაბრული თბრობა ვახლავს. სკვითები კი თავში იაფეტელეტი იყვნენ, და მათგან სომხეთშიც ჩარჩენილა გარდმოცემა და რუსეთშიც რადგან თვით თბრობა სრულებით არ აღორძინებულა ისტორიულ ქალაქის გამოისობით, ისტორიულ, ვთქვათ, კიევზე, შემთხვევით არის ნააწილი, კ-ევ (ს.მ.მ) ან, არაბების გარდმოცემით, კუა-ბ (მ.მ.მ) მრავლობითი რიცხვია, როგორც სომხების დაცული კუ-არ, კუ ფუძისგან და ამავე ფუძისგან სხვა მრავლობითი ნიშნით, მაგალითათ, თა აგრეთვე იწარმოება — კუ-თა ან კუ-თა, რომელიც ნიშნავდა 'შვილი', 'ადამიანი', 'მოსახლეობა', 'შენი', 'სოფელი', 'დაბა' ან 'ქალაქი'. ასეთი 'დაბა' ან 'ქალაქი' ბევრი იყო იმ ქვეყანაში, სადაც სკვითებს უცხოვრია ან რომელიმე მათ შტოს, არა მარტო სომხეთში მის კუარ-ის მიდამო, არა მარტო რუსეთის სხვა კუთხეში კი ევ-ის ან მრავალ კუა-ბ-ის ილაგას, არც მარტო დასავლეთ საქართველოში, სადაც ერთი ჯერ კიდევ შედვის დროის «კუთა» (Куты ან Кутыа), ვახლდათ, ერთიკ ჩენი მისგანვე წარმომდგარი «კუთათ», შემდეგ «კუთათისი» და «კუთათისი», აფხაზურში ზოგადი სახელი «ა-კ-თა» 'სოფელი', 'შენი'.<sup>1)</sup> კავკასიაშიც და რუსეთშიც ყოფილან ერთი და იგივე სკვითები ან, როგორც თვითონ ეძახოდენ თავის თავს, სკოლიტები ვინდა მათი შტო კოლხები, რადგან, როგორც უკვე ახსნილია ადრე დაბეჭდილ გამოკვლევებში სკვითების სახელის შესახებ ჭ, «კოლა» და «სკოლა» შემოკლებით «კო» («ყო») და სკო\* ორი კილოკაური სახეა ერთი და იმავე სახელის, და «კოლი» და «სკოლოტა» ერთ და იმავე ნათესაგს წარმოადგენენ, მეგრულბთან უფრო დაახლოვებულს, სხვათა შორის მათი სიტყვის სკუა სკუალ-ერთობითაც. ქართულს თუ მიემართავთ, მის წინაღუკს ვიპოვით უძველეს დროიდან შეძერწილს ყველა ჩრდილო იაფეტურ ენებში, არა მარტო აფხაზურში. ქართველი ერის ნათესავერ თბის შენადულარ თესლებში ერთი უსა-

<sup>1)</sup> ნ. ბარბი, Книжные легенды об основании Куара в Армении и Киева на Руси (Изв. рсс. акад. истории матер. культуры, ტ. III, გვ. 257—287).

<sup>2)</sup> მახვილ ტერმინ «скиф» (Ифет. сборник, ტ I გვ. 66—136).

ერეკნული

თუთი ჩრდილოეთელი ყოფილა და, რადგან აღმოჩნდა, რომ მისი ცხოველების ძირეული თესლის, ღმერთის «წარმათ» ერქვა, და «წარმათ» ან «სარმატ» კი ტოტემური ღმერთია იმავე სახელის მატარებელი თესლის, პირვანდელი თესლის, ცხადზე უცხადესია, რომ სამხრეთ რუსეთში ადრე მეზობლათ მყოფი დასავლეთის სკვითები და აღმოსავლეთის სარმატები გვიმტკიცებენ იქ ერთ დროს დასავლეთის მეგრელების და აღმოსავლეთის ქართველების ბინადრობას. ვიმეორებ, სიტყვა ქართველ ერის მხოლოდ ერთ და ერთ შემადგენელ თესლზეა, სიგულისხმოა, უკვე ნათესავე და არა ერზე. აქ ზოგადი ხაზებით მხოლოდ აზრს ვაშუქებთ და განსაკუთრებით არ ვისაბუთებთ, არც ისტორიულ წყაროების მოწმობათ მივმართავთ, სხვათა შორის სტრაბონის გარდმოცემას სარმატების და ივერიელების ნათესაობის შესახებ. ცალკე ცდა გვაქვს ამ საკითხზედაც დაბეჭდილი, ამ წამს კი ერთს მიწვენილ დებულებას გაგიზიარებთ, სახელდობრ იმას, რომ «წარმათ» ღმერთის თაყვანის მცემელი თესლი ან უკვე ნათესავი ერთ ხანას გაბატონებული ყოფილა მთელ ადერბეიჯანში, ძველათ აძარბადაგანში და მთელ ვანის პირა სომხეთში, უკანასკნელში, სკოლოტის და კოლხის ერთგვარათ პირობაზე, იმავე «წარმათ» თესლის სპირანტ შტოს წარმომადგენელი, მიტომ აქ ეპოქალობთ «წარმათ» ღმერთის თაყვანისმცემელს მონათესავე ერებს და «წარმათის» თაყვანის ცემას, თურქების და ინდოევროპელ სომხების გამოჩენამდე ყოფილს და დღესაც მათ შორის გაერცვლებულს. ეს გაბლავს ახლა ღმერთი «ჩელებ», ოსმალებში ძველათ შეტანილი და სომხების წმინდა «კა'აპეტ» გაქრისტიანებული პირველად კი, ინდოევროპელებთან შერევამდე, (ან უკეთ ვსთქვათ, ინდოევროპულ ტიპის გამომუშავებამდე) სომხეთშივე ყარაპეტ. სპირანტ შტოსაგანვე მითვისებულს, სხვა და სხვა ნათესავეებში სხვადასხვა სახით, იმავე სიტყვას წარმოადგენს სვანური ღერმეთ ან ღერბეთ (აქედან ქართული ღმერთი), ქანური ღორმით, ძველი სამწერლო ქართული კერპ.<sup>1)</sup> ადრე ჩვენ ვიცოდით, რომ «-ათ||-ოთ||-ეთ» მარცვლები მდებრობითი სქესის დაბოლოება იყო, ასე რომ ფუძედ ამ სიტყვების მიჩნეული გვქონდა «კარაპ-», «ღორმ-», «ღერმ-»-ან «ღერბ-», როგორც მოწმობდა სახე «კერპ-», და აგრედა იყო მართლაც მრთელი ერთი ხანა იაფეტურ ენების ცხოვრებაში. კვლევის თან და თან ჩაღრმავებაში ვერც იმ აზრს ავცდით, რომ ამ სიტყვების დასასრულის ბგერა «-პა ანუ «-გა» «-მა აგრეთვე მრავლობითის დაბოლოება არის, მისი სრული სახე გვეჩვენებოდა განყოფილთ მამრობითად «-მან», მდებრობითად «-მათ», მ თუ ტ ბგერის შესაფერი ცვლილებით — მან | — მატ —> — მან | — მად და სხვა, ახლა კი დაგვიბეჯითადა, რომ წარმათ იქნება თუ ღერმეთ სრული სახე ან სხვა მის დაგვარათ კანონიერათ შეცვლილი ტოლი, ორ ნათესავეურ სახელის შედუღილებას წარმოადგენს, სალთა ან იტალთა ნათესავის და იბერთა ან იმერთა (მარ V — მატ და სხვა). მაშასადამე შემოხსენებული სიტყვების პირველი ნაწილი ყოფილა მთელი, თუქა მარტივი ფუძე — კარ, ღორ, ღერ, კერ, აგრეთვე წარ, —> სარ. რომელ ხანაში და რომელ ტოტემურ წრეში ბატონობდა ეს მარ-

<sup>1)</sup> აქედანვე კერძოებ ჩერმისების და ჩევაშების, რომელთ ენების იაფეტური შთამომავლობა, ცხრა თვე იქნება, რაც აღმოჩნდა. ნ. მ.



ტივი ფუძე სათანადო სახით და რომელ ხანაშიც და წარმოსცემდა ილიათ მეორე ფუძესთან, შეზღვევი გარკვეულ დაბოლოვებათ ქცეულ ნათესაურ სახელთან, და რას ნიშნავდა ხშირათ ჩვენი შეგნებითაც სხვა და სხვა ტოტემური ცხოველების დარგისგან, ამას ახლა ჩვენ არ გამოუდგებით.

ეტოვებთ განზე აგრეთვე პროფ. ბრაუნის მიერ აღძრულს საკითხს გერმანელების იაფეტურ წარმოშობაზე. მის შესახებ ახლა მართლაც მეტულობს დასაბეჭდოვებული მასალა. და მხოლოდ გაკვრით ვეხებით დიად საკითხს ბასკებისას, რომელნიც ჩვენი მესხების განაყოფა ნათესაური გამოდგა, მიუხედავთ უხსოვარ ხანიდან გაყრისა ბევრი საერთო ენის და ნათესაური კულტურის საერთო მოვლენებით. ბასკური ამ საკითხის გარდა საჭიროა იმ იაფეტური წინააღმდეგობის გამოსარკვევათ რომელნიც ფრანგულში, ისპანურში, პორტუგალურში და იტალურში არიან და ახასიათებენ ამ რომანულ ენების გაჩენაში მონაწილე იაფეტურ ნათესაეების შემოტანილობას, ბასკურის ან მესხურის გარდა, ისპანურის ან სვანურის, იბერულის, ლიურულის, ეტრუსკულის, იტალურის ან სალურის, იგივე ალბანურის, კელტურის ან გალურის და კიდევ სხვებისას. ბერძნების იაფეტური თბე. აგრეთვე მრავალნათესავეურია, არა მარტო პელასგური. მათი მიწა-წყლის სახელები, გმირების და ღმერთებისაც თვით ებოისი მითეისებულია ან გვარტომობით ნაანდერძევი იაფეტურებიდან. ტოტემურ ხანიდან ნაანდერძევი არიან თვით ილიადას და ოდისეას ზღაპრები, იმ დროის როცა სიტყვის შემოქმედება და ზღაპრის ერთს წარმოებას წარმოადგენდა: ამ ტოტემურ ხანას ეკუთვნის თვით ევროპის საშვალ საუკუნოის ებოისი, კელტური ებოისი, აგრეთვე იაფეტურებისგან ნაანდერძევი, როგორც კელტური ენების, ირლანდურის, ბრეტონურის და გალური იაფეტურის თბე კელტურ ებოისის ერთს საკითხზე შევჩერდები, ტრისტან და ისოლდეს რომანზე, მის წარმოშობაზე და მის წარმოშობის ახსნაში ქართულის მნიშვნელობაზე და მის მნიშვნელობაზე ქართული კულტურის ერთ უდიადეს ქმნილებათაგანისთვის, ვეფხის ტყაოსნისთვის.

### III

პლინიოსი<sup>1)</sup> ერთ ადგილას მოიხსენებს რა მოგობას, მზიბლავთა ხელობას, ბრიტანიას უბირატესობას უთნობს: „განა საჭიროა მოგაგონოთო, სწერს იგი, თუ როგორ გადაუთელაჟს ამ ხელობას ოტანერ და ბუნების დასაღვეში მიტანილაო“. ბრიტანია დღესაც მას, ამ მზაკვრობის ხელობას, განსაცვიფრებლათ ადიდებს იმდენ სადღესასწაულო ზეიმებით (ceremoniis), თითქოს იგი ყოფილიყოს სპარსებისთვის ამ საქმის გარდამცემიო“ ან, როგორც ფრანგთა ცნობილი არქეოლოგი სთარგმნის, „ბრეტნიას შეეძლო ამ საგანში სპარსეთის მასწავლებელის სახელი მოეხვეჭა“-ო.<sup>2)</sup> პლინიოსს მხოლოდ რიტორიული შედარებისდა-

<sup>1)</sup> პლინიუსი Historia naturalis, XXX. 4. 1.

<sup>2)</sup> ლათინურათ ad naturae iuane perveeta, რასაც ზეგი თარგმნის. 'ცისკიდეთადმი' გარკველებულაო (ob. Reinach, Le culte de Balae et le Druidisme (Revue Archéologique II, pp. 87—111 1913 p. 10

<sup>3)</sup> S. Reinach, B. c.

ეროვნული

გვარათ დაუახლოვებია ბრიტანია გინდა ბრეტანია და სპარსეთი. თქმა უნდა, არ იცოდა, რომ დასტურაც ბრეტანები ყოფილ არიან სპარსეთის მოძღვრები მოგობაში და მზაკრობაში, მაგრამ ამისთვის მის ცნობილ ბრეტანებს დასაქმეთ ევროპის კუნძულიდან გამგზავრება არსკიროდა ერანში. ისტორიულ დროზე დასწრებულ ხანაებში, ინდოევროპელების მოსვლამდი, მერმისის სპარსეთის სახლებრებში ბძანდებოდენ ეტრუსკები, და ერთი ვარიანტთავანი ეტრუსკის სახელის არის ბრეტან (მ-რემ-ტან) ან შემოკლებით ბრეტ, მისი სიბილიანტ ფარდის პირვანდელი სახე იყო მ-რებ-ტან, მ წინსართი, ტან ან ტენ, შემოკლებულათ — ტ მრავლობითის დაბოლოვება და რებს, სპირანტული მიქცევით რე—ან რე (← რემ), ფუძე გარკვეულ (სენანურის ან სომხურის) ტიპზე გახმრვანებული. თვითონ მოგვი ან მავ-ი, პირვანდელი სახით marx-ur აგრეთვე იაფეტელებისგან შეუთვისებია სპარსელებს: ნათესაურად ეგ სიტყვა ბასკთა ან იბერთა ბუნებრივ საკუთრებას წარმოადგენს.

დასაქლეთას და აღმოსავლეთს ერთგვართ ვაერცვლებულ იაფეტელებს, ცხადია, ერთი და იგივე ეპოსი ჰქონდა, და ერთი და იმავე ზღაპრულ თხრობებს აერცვლებდნენ. თვით უძველესი ევროპის ეპოსი, ილიადა და ოდისეაც, ახლა ცხადზე უცხადესია, და ეს ხომ იაფეტური ენათ-მეცნიერებისგან დამოუკიდებლათ — რომ ბერძნების გაჩენამდე სუფუედა ეგეურ კულტურის მიდამოზე, ამას აბეჯითებენ არქეოლოგიურ გათხრით აღმოჩენილი ნივთეული ძეგლები. იაფეტური ენათ-მეცნიერება მხოლოთ საშვალემას გვაძლევს, რომ მასში მოქცეულნი ტერმინები როგორც ადრე იქ ბრძანებული იაფეტურ ენებიდან ნაანდერძვეი სიტყვები აეხსნათ და ზოგ არსების ნამდვილი სახე გამოვავსკარავთ, როგორც მაგალითათ გმირი «რეს-ა-ის. როგორც, ახალგაზდა ქართულის მკოდნე მეცნიერი რუსი ბ. გენკო ამტკიცებს ვრცელ გამოკვლევაში, ეს გმირი 'ცხენი' გაბლავსთ, ეტრუსკების ან პელასგების ტოტემი და ახლა სულ სხვა ხასიათი ეძღვევა ესევილოდ მილერის კვლევა-ძიებას კავკასიის ზებირთქმულეებში, ბერძნულნი მითების აღმოჩენას მათში მის-დაკვირვების მეოხებით.

მაშ რატომ უნდა გვიკვირდეს, რომ „ქალ-ეაიანი,“ გამსაკუთრებით გარდმოცემა — ადამიანის ცოცხლად ჩაკირვაზე ციხის კედლის გისამავრებლად, დასაქლეთსაც არსებობს, დრუიდების სამფლობელოში, და ჩვენშიც, საქართველოში, აქაც, საგულახსმოა, იმავე ნათესავის მოძღვრებით ვაერცვლებული, რადგან დრუიდნი იაფეტური ენათ-მეცნიერების გამორკვევით აგრეთვე იაფეტელებს — იტალებს თუ არა, ეტრუსკებს ნიწნავს; პირველად მათი ტოტემი-ღმერთი და შემდეგ ტოტემი-მსახური იყენენ და მოხსენებული გარდმოცემა კი მათ სწავლის გადმონაჩქეფს წარმოადგენდა, მაშასადამე ეტრუსკების გარდმოცემას, და ეტრუსკები ხომ ზიგ საქართველოშიც ესაბლნენ, როგორც მოვახსენთ.

როგორ არ მოეჩხენათ დიდის აღტაცებით სამოთხრობო ზღაპრების გამოჩენილ მკვლევრის ალექსანდრე ვესელოვსკის გამსჭვირვალე აზრი; გრაკლის თასზე თქმულების ელემენტებს რომ იმავე საიაფეტო აღმოსავლეთში ჰპოულობდა, სხვათა შორის ჩვენგან გამოცემულ ლუდეს ღვთისმშობლის ეკლესიის აშე-



ნების ძველ ქართულ ამბავში, არტურის რგვალ ტრაპეზის მოთხოვნებს და ქართველთ ხალხურ სიტყვიერებას ანათესავებდა.

ცხადია, ჩვენ აღარ გვიკვირს, როცა სპარსულათ ან ერანულათ წოდებული აღმოსავლეთის ეპოსის გარკვეულათ დამახასიათებელ ჰანგებს დასავლეთის მეცნიერები განცვიფრებით აღნიშნავენ კელტებში, ზურაბ და როსტომის საშეაშეგულ ამბავი, სახელდობრ, თავის სისხლ-ხორცის ვერ მცნობი მამის და შვილის შეხვედრა და სასიკვდილო ბრძოლაში ერთმანეთთან შეტაკება აღმოჩენილია უკვე კელტურ და ტევტონურ ფოლკლორში.

პირიქით, აქაც ჩვენ ვხედავთ ერთ და იმავე წყაროს, სიდანაც ძველათ ბჰრძნების ეპოსი გადმოღუღებულა, საშვალო საუკუნეებში კელტური ეპოსი დასავლეთში და სპარსული აღმოსავლეთში, ყველა იაფეტელ ნათესავთაგან შეთვისებული. პოეტ ფირდოუსის განთქმული თხზულება „შაჰ-ნამე“ ანუ „შეფეთა წიგნი“, მეთერთმეტე საუკუნეში გაღეჟილი სპარსულათ, სპარსულათვე ადრე ამბად ჩაუწერიათ „ხუდაბ-ნამე“ ან „უფლის წიგნი“-ს (ჩვენი აზრით „საღმართო წიგნისაც“) სახელით, ადრე კი ფაჰლავურ (ფეჰლევანურ) ენაზე იყო შეკრებილი, ეშვს გარეშეა, ხალხში გავრცელებული, ვინ იცის რამდენი ათასი და ათი ათასი წლობით გადმონაცემი დასტურ საგმირო ან გმირების, პირველში საღმართო ან ღმერთების შესახები ამბები. ხალხი ან ერის ძირეული ნაწილი ერანში ანუ სპარსეთშიც ხომ იაფეტურ გ-დმოკემებით გავლენითი გახლდათ, ზოგან ხომ ძველის ძველ ჩარჩენილ ამა თუ იმა იაფეტურ ენას ეტანებოდენ, ჯერ არ დაჰკარგოდათ. არა თუ ნარტო კასპიის ზღვაზე მივარდნილ გურგანეთის ქვეყანაში, სპარსეთის აღმოსავლეთის ნაწილშიც იაფეტურ წანალეკილობას ჩვენ ვეღარ უარყოფთ იაფეტური ნათესავი, მეტი თუ არა, შვა აზიაში გავრცელებული ყოფილა. ფირდოუსის „შაჰნამეს“ ქართული თარგმანი, არა ერთ ჯერ, ისეთს ნიშნებს იძლევა, რომ ძიება დაგვიჩრდა, ქართველ მთარგმნელებს იქნება სპარსულ დედნისაგან დამოუკიდებელი წყარო, ზეპირ თქმულება ჰქონდეს, ყოველ შემთხვევაში სომხეთში უცქველათ არსებობდა როსტომის ამბავი დიდათ უფრო ძველ გმირზე ტორქზე ან ტროქზე. ეს სახელი კი, ძალიან გავრცელებული მცირე აზიიდან იტალიამდე, აგრეთვე ეტრუსკების ან იტალების ტოტემი გახლდათ.

მაგრამ ამ წამს ჩვენ შევეხებით მხოლოდ „ვისრამიანს“.

#### IV.

საკვირველი საქმეა, დიახ ღირს საყურადღებო, რომ ქართულ მწერლობაში სიყვარულის ეპოსი, სისრულით გამოთქმული და დამთავრებული ორი ძველით, „ვეფხისტყაოსნით“ და „ვისრამიანით“, ერთი მეორესთან გეზობის დამკვერ მოვლენას კი არ წარმოადგენს, ერთი მეორის აუცილებელ შემავსებელ ნაწილათ გამოდის: ერთიც და მეორეც, რაოდენ ინტერესი პიროვნული კაცობრიული სულისკვეთებაზეა მიმართული, წარმოადგენს სიყვარულის დიდებას. „ვეფხისტყაოსანი“ ცოლქმრობამდი, ცოლქმრობით მხოლოდ დასასრულ დაგვირგვინებულის, ტანჯვით გადატანილი სიყვარულის შესხმას, „ვისრამიანი“ უკ-



ვე დავგორგვინებულთ წრეში შევარდნილის, მრუშობაში ვაქტაბუბტტმსსტკარულის ქება-დიდებას.

ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ შვავესათ „ვის-რამინი“ ადრე ფაჰლაეურათ ყოფილა ჩაწერილი და მეთერომეტრე საუკუნეში ფახრუდინ გურგანელს გაულექსავეს. ამ სპარსული დედნიხგან ნათარგმია საშვალ საუკუნეთა მშვენიერი ენით ქართული „ვის-რამინი“. მაგრამ ნაჰდეილ დედანს, ხალხურ ზეპირთქმულებას ჩვენამდი არ მოუწევია. რა ხასიათის იყო ის ხალხური ვერსია, ალბათ შთელი ეპოსის ნაწილი, ჩვენ შეგვიძლია მხოლოთ შედარებით აღმოვაჩინოთ, პირდაპირი საბუთი არა გვაქვს. არც შეგვიძლია უარვყოთ მისი დიხს ადრინდელი ხალხში არსებობა, არ შეგვიძლია ვამტყციკოთ, თითქო იქ, სადაც სპარსული ეპოსის— „შაჰნამეს“— უმთავრეს თქმულებას, როსტომიანს, შახედ ადრე ამზად არსებობა ჰქონია, „ვისა და რამინის ამბავი“ არ ყოფილიყოს. ნართლაც მის მონათესავე ჰანგებს დიდ ხანით ადრე ვპოულობთ სომეხთა ერში, რომელსაც ქართველებთან საერთო იაფეტური ეპოსი და ზეპირ-თქმულება ჰქონია ძველ ღმერთებზე და გმირებზე. საგულისხმოა, რომ ვისა და რამინის სიყვარულის ამბავი პირვანდელ სახით არსებულ ყოფილიყოს ზეპირთქმული ქართველებშიც. ეს ამბავი უფრო შორს დანავარდნილა.

„ვისას და რამინის“ ამბავს კელტური ეპოსი იცნობდა. აქ ის, აგრეთვე გვიან, მე-XII-ე საუკუნეში, შემუშავებული ფრანგ პოეტისაგან, სხვა და სხვა რედაქციებით არის წარმოდგენილი, სახელწოდებული „ტრისტან და ისოლდე“ (ფრანგულად Iseut ან Iseuet\*). საშვალ საუკუნის მწერლობის შესამჩნევ მკვლევარს, აქაურ მეცნიერს განსვენებულ Gaston Paris-ის თითქმის შესხმა აქვს შეთხზული „ტრისტან და ისოლდე“-ში მოთხრობილი სიყვარულის. აგეთი სიყვარული მისი სიტყვით ქვეყანაზე არავის არ ჩაუსახავს, არავის უგრძენია, არც მოლანდებია, არც ერთს ერს, არც ერთ პოემაში, სიყვარული უკანონო, სიყვარული ბატონი, პატონსენაზე, სისხლზე სიკედილზე უფრო ძლიერი სიყვარული, რომელიც ისე შეჰკრავს ხოლმე ორ არსებას, რომ უძლურ არიან თვითონაც, სხვებიც, ვასტეხონ მისი ჯაჭვი და მისგან ვათავისუფლდენ. უეცრად მოვარდნილო, ცოდვისკენ წარმტაცებელი, უბედურებასთან მიმყვანი, რომელიც ორივე შეყვარებულს სიკვდილის წინაშე უწინამძღკრებს და იწვევს ტანჯვით და სევდათ, მაგრამ აგრეთვე შეებათ და განცხრომათ, იმოდენათ შეუდარებელთ და თითქმის ზედკაცობრიეთ, რომ ერთხელ გამოაშკარებული მათი ამბავი მეხსიერების ზეცაზე საუკუნოთ ნათობს სევდა-ნაკრავი მომხიბლავი სიბრწყინვალით და სიყვარულის აგეთი ჩასახვა და მიღება, აგეთი კონცეპტია იშვა და ვანხორციელდა კელტებს შორის Tristan და Iseut-ის პოემაშიო და იგი შეადგენს კელტების მოდგმის, მათი რასის ერთს და ერთს დიდებასო\*.)

აქ ჯერ იმის საკითხს არ ვძრავ, თუ ვინ იყვნენ თვითონ კელტები და ფრანგებს ან ევროპას რა გამოკალკევებითი ხელი აქვსთ მათ მისაკუთრებაზე? არც იმას, თუ სპარსელების და ჩვენს „ვისა უ რამინ-ს“ ან „ვის-რამინის“ რა ვუყოთ? ჩვენს რუსთაველში გამოცხადებულს სიყვარულს რა ელთხრათ? ერთ წამს დავი-

\*G. Paris, Poèmes et légendes, pp. 139—140.



პარკენული

ვიწყით მათი აზრება, ვანა მაინც არ გვეთქმება სიბრძნე-სიკრებნი უწყინარების საკითხავი: „თქვენი სიტყვა მჯერა, მაგრამ კუდი თუ ბოლო მაკვირვებსო“. ეს ბოლო, იგავში ჩაყლაპული ქათმის კუდი, თვით G. Paris-ს იმავე წერილში შემდეგი ნაბრძანებია:

„არც შეეხება ჩვენი ეპოპეის ჩასახვის სამშობლოს, მის განსაკუთრებით სააკენე ადგილს (au bureau particulier), მისი გამორკვევა ძნელია. სახელი ტრისტან, მე უკვე მითქვამსო, ჰგავს პიკტებისგან წარმომდგარო. რაღაც მომხიბლავი (séduisant) და თითქმის გულის ამალეღვებელი მოვლენა იქნებოდა დაგვეჯერებია, ვითომდა კაცობრიობის ერთ უმშენიერეს პოეტურ ქმნილებათაგანის მეოხებით, ჩვენს სულში ვადმოეცხოვროს იმ გამჭრალ ერის სულს, რომელს არა უანდერძებია რა ჩვეთვის გარდა თავის სახელის და თავისვე ზოგიერთ მთავრის სახელებისა საკუთარი ენისსულ ოაზი თუ ხუთი სიტყვეთურთ“. საქმეც ის არის, რომ ამ საკვლევ საკითხში სახელების წარმოშობა სჭრის საქმეს და გადასრულს პიკტებს, არც ისე უკულოთ გამჭრალ ერს, საბედნიეროთ დიდი ნათესავობა ჰყოლია და ზოგი ნათესავი დღესაც ცოცხალია, სიკვდილს არ აპირებს, და Gaston Paris-ის მიერ მომხიბლავ მოვლენათ წოდებული „ტრისტან და ისოლდეს“ პიკტებისგან წარმოშობა სიმართლეზე უფრო ასლოა, ვიდრე მთელ ტომებში მეცნიერულათ გატანილი სხვა ბევრი დინჯი აზრი. აგეთი სიმართლე კიდევ უფრო დაემზავება ზლაპარს, მაგრამ ქვეყნის ნამდვილი ამბავი მუდამ იგი არ არის, რასაც რუსთაველი თავის გმირების ნამოქმედარზე იტყვის: „სიზმარი ღამისა“?.

ექვის მოტანაც სრულებით უსავეუძლო იქნებოდა იმაზე, რომ ჩვენდამი მოწვენილნი ქმნილებანი „ტრისტან და ისოლდე“, აგრეთვე სპარსული Wīšā' და Rāmīn ქართული „ვის-რამინი“, რა ქვეყანაშიც დაწერილან, რა საზოგადოებისთვისაც თარგმნილან, იმ ქვეყნის საზოგადოებრივ წესწყობილებაზე თუ არა გაბატონებულ შეგნებაზე შეთანხმებულე გახლავან და თითო მათგანის შემოქმედი სული, თარგმანიც იყოს, შესაფერო ქვეყნიერების ღვიძლი შეილია; მასში უსათუოდ ვიპოვით ამა თუ იმ ადგილობრივ ხაზს და ამ უკანასკნელ შეთხვის მოკაზმვის ეპოქის თანამედროვე აზროვნებას, მის საზოგადოების დასურათოვნებას, მაგრამ როდესაც სიტყვა მოთხრობის ზლაპარის წარმოშობაზეა წამოვარდნილი და მახედ ცხარე პაექარი სტყდება, როცა თვითონ ამბავს ხელისხელსავოგამანებს მითითო ხანაებში მივეყვართ, შეუძლებელია მისი გაჩენის დღე ისტორიული ხანაში ჩამოვითრიოთ. ბ-ნი Bédier ცდილობს, ჩვენი შესანიწვევი მოთხრობის წარმომშობელ ნიადაგათ მივიჩნიოთ აგრე გვიან წარმომდგარი საზოგადოებრივი განვითარების საფეხური, როგორც გახლავს რაინდული ეპოქა მისი წყობილობით. ცხ. დია, ბ-წ Bédier-ს არ აწუხებს, რომ არსებობს ორი ვერსია მოთხრობის, ერთი სპარსული და მეორე კელტური, მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ დავეკითხოთ მკვლევარს, რომელ ნიადაგს ეუფენის უპირველესობა—აღმოსავლეთისას, სადაც ურანული ვერსია აღმოცენილია, თუ დასავლეთისას, სადაც აღკვავებულა კელტური, ინდოევროპულ-კელტური ვერსია? იქნება არც სპარსეთის და არც ბრიტან-საფრანგეთის ნიადაგს.



როდესაც პირვანდელი წარმოშობის საკითხი ჩვენ წინ იყენება და ვეძებთ თვალის მოვლენაზე მოთხრობა ლაღათ წელს იმართავს ზოღმე, გამოქმნილი მთელი თვისი პირველ ყოფილი კულტურის თვისებებით როგორც „acre perennius“ ნიეთისაგან გამოქანდაკებული საუცხოვეო კმნილება, მაშინ ქართული „ვის-რამი-ან-ზეც, სპარსულისგან თარგმნილზე, იქნება სულ სხვა სჯა დავეირჩეს გამოსატანათ. მაგალითათ, შესაძლებელია, რომ პირვანდელი წარმოშობის ნათესაურ ველიწამოით მოთხრობა ქართველ ერის ბუნებაზე უფრო დაახლოვებული იყოს, ვიდრე სპარსულზე. ამ ძირველ წანაღვეით ქვედა სართულში იგი უფრო ქართული იყოს, ვიდრე სპარსული. იგივე არა ნაკლებ სიმავრით გვეთქმის „ტრისტან და ისოლდეზე“.

მითოლოგიურ ხანიდან საფრანგეთ-ინგლისის ფეოდალურ ხანამდი ერთი მხრით და სპარსეთ-საქართველო საშვეალ საუკუნის წესწყობილებამდი მეორე მხრით ხელმქმნილი ან განმაგვიებელი სიყვარულის ზღაპარს, ექვს ვარეშზე, ცვლილება უნახავს. სხვათა შორის ის ვაყრია იმ ხანასაც (უფრო ადრინდელს რომ არ შეეეხოთ), როცა მატრიარქატი სუფევედა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალი ბატონობდა. დიახ სხვა ხასიათი და სხვა განწყობილება ექნებოდა მაშინ მოსიყვარულე ვმირებს, ორ მიჯნურ კაცს და ერთს ქალს. რასაკვირველია მაშინდელ პირობებში წმინდა გვირგვინის შემბლაღავ სიყვარულზე, მის უკანონობაზე აღარ ითქმება რა. მაგრამ როცა ტრისტან და ისოლდეს პოემაში დასტურავთ თვალსაჩინო, უტყუარი ჩარჩენილობები პირველ ყოფილ ცხოვრებისა მის არსებითად დამახასიათებელ ნაწილებს შეადგენენ, როცა მათში არა მარტო შემთხვევით შემოვარდნილ ეპიზოდებს ვპოულობთ ან ერთს და ორს ვადმონაჩქეფ წვრილმანს, არამედ თვით ვადმოცხოვრებული მითითური გმირების ბუნებრივ დახასიათებას, ვინა ნება გვეძლევა მაშინაც შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ, რომ „ეს ტრისტან ლორის მწყემსი, ვასაოკარი მშვილდოსანი, ვადოსან ძაღლის და ვადოსან მშვილდის პატრონი, ეს ტრისტანი, ყოველი ფრინველის ხმის თავისუფლათ მიმბაძავი, იმ ზომაზე თითქმის ზედბუნებრივად ნიჭიერი წმინდათ დაქრილ ნაფოტების მტყორცნილი ტრისტანი, მგლის სხაპე-ბიანი ტრისტანი, ჩვენ უნდა გვეჩვენოს ერთ-ვეარ ბარბაროსულ დეკამერონის ვმირათი“. აგრე ბძანებს თხზულების საუკეთესო გამოკვლევის ავტორი ბ-ნი Bédier. ვთქვათ, ასეც იყოს: ინგლის-საფრანგეთს ვადდეკამერონების მითოლოგიურ ბარბაროსულ ხანაგებიდან მომავალი მოთხრობა, მისი წარმოშობ ს ნამდვილ საკითხის დასმას მიინც ზომ ვერ წაუვალთ! მრავალ მკვლევართაგან გერმანელ მეცნიერს W. Goltner-ს და ვანსაკუთრებით საფრანგეთის მეცნიერს Bédier-ს უდიადესი დამსახურება აქვსთ „ტრისტან და ისოლდეს“ ფილოლოგიურ შესწავლაში Goltner ამტკიცებდა, მისდა მისაწვდენი სამწერლო ძველი Tristan და Isolde საფრანგეთში წარმომდგარაო, ესე იგი დაწერილაო. საჭირო არ არის მისი ძირის ძებნა ირლანდიაშიო და მიინც და მიინც კვლტებზე მისაკუთრებაო, მოსიყვარულე წველი ადამიანი ვეღლა ქვეყნებშია ვათანტულიო და ვველა საუკუნეში, და მათი შემავრთებელი არის მხოლოთ ის, რომ შეყვარებულ ადამიანებს ყველგან მზგავსი გრძნობები აღელვებენო. ეს ოთხმოციან წლებში, ად-



რაც იწერებოდა. პირიქით, Gaston Paris, როგორც მოგახსენებთ, კელტური წარმოშობის მომხრე იყო. კელტურის მკოდნემ და ევროპის პირვანდელ მკვიდრებზე საკითხის განთქმულ მკვლევარმა d'Arbols de Jubainville მან Gaston Paris-ის აზრი სრულებით უკუაგდო.

„ტრისტან და ისოლდე“ს კელტურიდან წარმოშობის დებულებისგან ერთი სიტყვაც არა მჯერაო. აბა მიხვეწეთ მე-XII-ე საუკუნემდე აგეთი გახელეზული, ქუთადაკარგვით სიყვარულის დასურაიება კელტების ლიტერატურაშიო, უძველესი კელტური ლიტერატურა, ირლანდური, სასძლოს გეიხატავს სასიძობის ერთგულსო და ცოლს ქმრისაო... ხოლო სიყვარულის ყოვლადძლიერი, უკანონო ტიპი, როგორც Tristan et Iseult-ში იპოვებაო, ეგ ხომ (თავიდან ბოლომდე) მე-XII-ე საუკუნის ფრანგული ქმნილება გახლავსო... ამ საუკუნემდე ქალებს საფრანგეთის ფეოდალურ საზოგადოებაში არც ჰქონდა რამე მნიშვნელობაო.“ ეს გახლავს 1894-ში გამოთქმული აზრი. ათი წელიწადი არ გასულა, რომ საფრანგეთის აკადემიის სხდომაზე 26 იანვარს 1912-ს, მეცნიერმა I. Loth-მა წარმოთქვა: „ტრისტანის რომანს, მას, რომელიც ჩვენ ვიცით მე-XII-ე საუკუნის ფრანგულ პოეტების მეშვეობითო, უტყუვრათ აჩნია ინგლისურ, ფრანგულ და კელტურ ენაზე მოსაუბრე ადამიანთ თანამშრომლობაო. რომანის იდეალური სააკენე უნდა ყოფილიყოს ქვეყანა, სადაც ეს სამი ენა სასაუბრო იყო ერთს და იმავე დროსო. ეს ქვეყანა სუფევსო.“ Loth-მა დაასახელა ინგლისში მდებარე Cornevall-ი, და იტაური ადგილების სახელების არსებობაც შეამოწმა თვით რომანში.

ჩვენ გვაინტერესებს პრივანდელი სახელები, არა მერმინდელნი, და ევროპაში შენ-დაბების და ქვეყნების მკვიდრი ძველი სახელები იგივეა, რაც წინააზიაში, ყველა იაფეტური მოდგმის, ერთი და იგივე სახელები იმეორებიან სხვა და სხვა ქვეყანაში. მოთხრობა კი ისეთი ღრმა დროის წარმონაშობია, რომ Loth-ის მარტივი მეთოდით ჩვენ მის ზღაპარს სამშობლოს დიალაც ვერ აღმოუჩნებთ და საჭიროც არ არის ზღაპრის გაჩენის ადგილის აგრე დაბეჯითებით ცოდნა. კმარა, თუ მისი შემქნელი ნათესავი ან ნათესავები მივაგენით. იაფეტურებს მუდამ ჯგუფ-ჯგუფათ, ნათესავს ნათესავთან, უცხოვრია განუყრელათ.

ბ-ნ Bédier იც ბძანებს, „ტრისტან და ისოლდის პოემის შეთხზვა უსათუოდ ღრმა ეპოქას ეკუთვნისო, იგი საგრძნობიეროთ ფრიად დასწრობილია 1154 წელსეო, როცა ტრისტანის ამბის ტრუბადურთავან ცოდნა ისაბუთებო. არქაიკული ხაზები და ლეგენდის საშვავულო თავგადასაყლებში არა ერთხელ აღნიშნული ზნეთა გაუთელელობა (rudesse) ნებას ვეძლევენ მის დიდათ უფრო ღრმა ეპოქაზე მიკუთვნებასაო“<sup>1)</sup> მაგრამ ამ ღრმა ეპოქათ იგი თვლის ინგლისის ნორმანდებისაგან დაპყრობის პირველ დროებს<sup>2)</sup>.

წერილ მოთხრობის სხვა და სხვა რედაქციათა შორის 1160 წლამდე ყოფილი სამი ვერსია გვკლებია ბ-ნ Bédier-ს გამოკვლევით. ზეპირ თხრობილ ამბის

<sup>1)</sup>—Le roman de Tristan par Thomas poëme du XII siècle publiée par Ioseph Bédier, პარიზი 1905, II, გვ. 313—314.

<sup>2)</sup> op. c. I, გვ. 314.

ეროვნული  
მეცნიერებათა

შესახებ, საზოგადოთ უძველეს ხალხურ ვერსიაზე და თვით მის კულტურ წარმოშობაზე ბ-ნ Bédier<sup>1)</sup> ს საკუთარი გადაჭრილი აზრი არ აქვს. აი მისი სიტყვები<sup>2)</sup>: „ჩვენ და ამ წერილ მოთხრობის არქტივებზე უწინ რომ ლეგენდა სოფილა, მის ვითარებაზე ჩვენგან გამოთქმულ გაურკვეველ შეხედულებათ დაბეჯითება და გასწორება სხვებისთვის მიგვიწვდის და განსაკუთრებით კელტისტებისთვის“, კელტისტები კი ვერ შეთანხმებულან, ერთი ჩინებული კელტოლოგი, უკვე მოგახსენეთ, სრულებით უარყოფს მოთხრობის კულტურობას.

მაგრამ რას წარმოადგენს ბ-ნ Bédier-ის მიერ მიღებული და თვით მ სგანვე გაურკვეველათ მიჩნეული შეხედულობანი? მასაც მისივე სიტყვებით წარმოვიდგინოთ. ის ბრძანებს<sup>3)</sup>:

„ამ ზომაზე გავრცელებულ სამკვლევრო ნაცადისაგან თუ რავე მნიშვნელობის მექონი დასკვნა გამოიტანება, ეს ის არის, რომ ტრისტანის ლეგენდა არსებითათ დიადი პოეტის ქმნილება გახლავს; რომ აგრეთ წოდებულ ხალხურ ლეგენდების ისტორიაში სულ ნაკლებ და ნაკლებათ უნდა ვირწმუნოთო ახალ და ახალ მოდგმათ აღლოის ნაწინამძღვრევი, ინსტიტუციური თანამშრომლობაო, რიგრიგათ ვაპწკარული უსახელო მოამბეთ თითქმის შეგნების—მოკლებული შემოტანილობაო; უფრო და უფრო უნდა გვწამდეს რამოდენიმე შემქნელ მწერლების ინდივიდუალური და წინა-განზრახული შემოქმედებაო, და უკანასკნელი შეხედულობა, პირველზე დიად ნაკლებ პოეტური ან ნაკლებ რომანტული, ეგონებ, უფრო ჭეშმარიტი იყოსო“.

ბ-ნი Bédier თავის ძიებას ფარგალში, იქნებაც, უსაზღვროთ მართალია, მაგრამ სულ სხვა საქმეა, თუ ლეგენდის ან ზღაპრის ხანგრძლივობა ისტორიულ ეპოქებს ცილდება და თითქმის ნეოლიტის ეპოქას, მეტს თუ არა, სწვდება. მაშინ ინდივიდუალური შემოქმედებისათვის რა ადგილია დასათმენი, რომ ადამიანს მახედაც გვიან კიდევ დიდხანს თავის ნათესავესგან განცალკევებული პიროვნული არსების ჯერ შეგნებაც არ ჰქონია.

დასტურიაც, ევროპის მოქალაქური ცხოვრების შექმნილი რომანტული შეხედულობა გახლავს, როცა ასე დიადს მრთელ კაცობრიობის კუთვნილ ეპოსს როგორც ძველი შეახვედრთური ბერძნებისგან დაცული და საშვალსაუუნო ერანელთა და კელტთა ხელში ჩაეარდნილი შაჰნამე და მისი გამოყოფილი ნაწილი Tristan და Isolde ვიდაცა ერთ რა გინდა რა დიდ პოეტის ან პოეტების შემთხვევითი კრებულის შენებულებათ გამოყავთ. ჩვენ, მეცნიერები, ანგარიშს არ ვუწვეთ სულ სხვა გზას, რომლითაც მიმდინარეობდა შემდეგ, ისტორიულ საუკუნეებშიც იაფეტულებს შორის ეპოსის შექმნა თუ არა, მისი დაცვა და განვითარება, როგორც ნათესავერ კულტურის აყვავების ხანას. შაირობა გახლდათ გარკვეული ნათესავეის ან გარკვეული თესლის განსაკუთრებითი ხელობა. მოგახსენებათ სხვა და სხვა ქართულ ნათესავეების, კახ, იმერ, მესხ, ქართლელის თვისების ლექსით დახასიათება ძველ მწერლობაშიც, რაქველების მესტიერობა ზოგს თქვენგანს უნდა მოგავიწოდეს. ძველათ სომხეთში, სადაც იაფეტუ-

<sup>1)</sup> ი. ი. c. I, გვ. 31 .

<sup>2)</sup> II, p. 318



ერეკნული

რი გარდმოცემანი, ტრადიციები, მძლავრი იყვენ, მე-IV—მე-V სუტყუნეში, რომანობა, სომხურათ «ვიპა-სანაობა, ისე იგი ეპოსის-მოქმელობა შეადგენდა გოლთან-ეთის მკვიდრების ხელობას. ამ მკვიდრების ნაამბობათ მოჰყავს მოსე ხორენელს საუბედუროთ მკირე ნაწყვეტები იმ ეპოსიდან, რომლის გმირებზე, ზოგზე მაინც, იმავე ხორენელის სიტყვით, ქართველებს განსაკუთრებითი თქმულება ჰქონდათ. მოხსენებული გოლთან-ეთის მკვიდრნი წარმოადგენდენ ნათესავს, რომელსაც ერქვა **გოლთან** ანუ, როგორც ბერძნები გადმოგვეცემენ **კოლ-ტენ**, ესე იგი მრავლობითი რიცხვი **კოლ** სანათესავო სახელისგან. ეს იგივე სანათესავო სახელია რომელიც მეორე მრავლობითი ნიშნით—**ხ** ბერით **კოლ-ხი**<sup>1)</sup>, დიახ ენობილი სახელია, საქართველოს ნაწილშია ისტორიულ ხანებიდან მოქცეული. უკვე ახსნილია, რომ სიტყვის **კოლხი** სხვა და სხვა სახე აქვს, მათ შორის იპოვება «გლახ» («-გლახ»), და «გლახ» («-გლახ»), გამორკვეულია ისიც, თუ ერთს მათგანს «გლახს», პირვანდელ «გლახს»-იდან წარმოდგარს, რატომ 'გლახის' ან 'გლახაის' მნიშვნელობა აქვს. აქ დაესძენ მხოლოთ, რომ პირვანდელ მისი სახის ფუტე «გალ-» ქართველებს მიუღიათ 'მღერის'—ტერმინათ, და მისგან წარმოებს ხანა «გალ-ობა», განსაკუთრებით 'საეკლესიო ვალობა', რადგან ქრისტიანობის დამკვიდრების დასაწყისს და კიდევ დიდხანს სომხეთშიც და საქართველოშიც კერპთმსახურული ეროვნულ კულტურის სიტყვებს ხმარობდენ «კოლ-ხ»-ის, ქართველების გახმოვანებით და დაბოლოვებით «კალ-ების» (kal-eb), შემდეგ «გალ-ების». ევ ხელობა, როგორც სომხეთის ჩრდილო დასავლეთით დასახლებულ «კოლ-თან» ნათესავის სასახელოვნო «ვიპასანობა», განთქმული ყოფილა კავკასიის საზღვარ გარეთაც, აზიაში შვამდინარის არამელთა მხარეებიდან პალესტინეს მცხოვრებ ებრაელებამდი. მხოლოთ ამ ჩრდილო სემიტების ენებში მოქცეული სიტყვა არამული kal-(gal), ებრაული kal 'ხმა' ახლა პოელობს თავის ახსნას. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, ეს განყენებული მნიშვნელობა 'ხმა' შემდეგი ხანის გამომუშავებულია. თავდაპირველათ ეს სიტყვა აქაც 'სიმღერათქმას', ჯერ კერპთმსახურობაში განთქმულ ნათესავის ხელობას, 'ვიპასანობას' ნიშნავდა, და სიმღერის მნიშვნელობით კიდევაც დაკულა იგი სირიულ ეკლესიაში, სადაც ვალობა გაქრისტიანებულ საკერპთმსახურო სხვა და სხვა სიმღერის კილოებს შეიცავდა. ამ სიტყვით სირიელებიც აღნიშნავდენ საეკლესიო ვალობის სხვა და სხვა სახეს (hymnus cantus defunctorum და სხვა), კერძოთ cantus sive tenus ad quem decantatus ხდებოდა სხვა და სხვა ლოცვა. იმავე სიტყვით იხასიათებოდა საზოგადოთ musica ecclesiastica და თვით ურპაული ან ედესური საგალობაო კილო, რომ თვითონ kol—პირველში 'ხმას' მართლაც არ

<sup>1)</sup> სრული გახმოვანებით კოლახ. მსურველი ჩვენ ნაწერებში იპოვის არა ერთხელ ამ სახის დასაბუთებას, სხვათა შორის მდინარე ჭოროხის სახელის გამომუშავებელ ცდებში. ჩვენ აქ საზოგადოთ არ ვეძებთ მსალის სახეებით წარმოდგენას, არც სხვათა შორის იმის მოხსენებას, რომ ს კ ა ლ ო ტ ს სპირანტებული ფარდი აქვს გარდა კ ა ლ ო ხ ა კ ო ლ ხ-ის, კბილისბერისეულ მრავლობითი ნიშნით ნაწარმოები, მაგრამ ა ბ მხოვანის კ ო ლ-ნამდი შეცვლიამდი, მასასადამე უძველეს ხანისთვის მისაკუთვნილი კალატ, სიდანაც მოდის ეარვა ენობილი galat-, და წარმოიდგინეთ, წვიოლ საბუთებით მსგეღნი მას მხოლოთ მესამე სადევუნეს მიათვისებენ ხოლმე.

ერეკნული

სიხედაობა

ნიშნავდა, რომ მას უფრო კონკრეტული მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე სხვა მოს-  
ჩანს, რომ სირიულათ 'ბგერა', 'ხმა', 'სიტყვა' (sonus, vox, verbum, ფარს. ფშ-  
ჯუჯ) გახლავს ხარისხი, რაც ნამდვილათ ნიშნავს 'სიმღერის ასულს'. ამ ნაწი-  
ლებზე გამოუშტებულ წერილმანს განსაკუთრებითი მნიშვნელობა ეძლევა, რად-  
გან ერთი, საზოგადოთ ცნობილია, თუ რა დიდი წილი უძვეეს კერპთმსახურ მგალობ-  
ლებს გაქრისტიანებულ სირიულთა შორის გალობის აღყვავებაში და, მეორე, რაც  
ბევრმა არ იცის, ადგილობრივ კერპთმსახურების უძლიერეს ბუდეში, ხარანის  
ქალაქში რომ თაყვანისცემა სუფევდა, იმის ტერმინების კიდევ ერთი უმთავრე-  
სი სახელდობრ სასხვერპლო საგნის სახელი ქართულში და სომხურში გარდმო-  
ნაცხოყრები იათეტური სარწმუნებრივი სიტყვით აიხსნა: ადრე არ იცოდენ ის  
სიტყვა «ზუბარბი» ზეურაკია-რას ნიშნავდა. ეგ ორი სიტყვა ობლათ არ დარ-  
ჩენილან სირიულში. იათეტელ ნათესავურ (ethnique) კულტურიდან შეთვი-  
სებული, განსაკუთრებით სირიულში და ებრაულშიც იათეტური შეტანი-  
ლობა მადნეულების და საზოგადოთ ზელოვნების სახელებში შესამჩნევია რიც-  
ხითაც. ცხადია, ეს უაქტები ჩვენ მიგვიძღვიან საქართველოდან, საზოგადოთ  
კავკასიიდან და ისტორიული ხანაებიდან დიახ შორს.

„ტრისტან და ისოლდე“ს პირვანდელ, ისტორიულ ხანაებზე წინ დასწრობილ  
საუკუნეებიდან მომდინარეობა ყოველ ექვს გარეშეა. კმარა ამ მზრით დახასია-  
თება G. Paris-ის მიერ: ერთი უკიდურეს ბარბაროსობას გვიხატავს, მეორე ზღაპ-  
რის მითიურ ხასიათს.

Gaston Paris-მა სხვოსანი პერსპექტივის დასასრულს სადღაც შორს, შორს  
მდებარე მოთხრობის ნისლით ბურული დაბადების დღე კინალამ მთლიანათ აღნიშ-  
ნა, მაგრამ მისგან დამოუკიდებელ მეცნიერულ სწავლის უძღურებამ და მეცნიერ-  
რულ უკადრისობამ, პრეტენზიამ მართებული მიორტყმა ნიშანში გაუყუდა და  
თანამედროვე სამეცნიერო ტექნიკურ თვისებებს მოკლებული ბეჯითათ მინიშ-  
ნული ისარი ბუნებით მძღავრ მშვიდლოსანს უმართებულოდ დაუყარდა მის თეხ-  
თანვე.

მაგრამ რა ღონისძიებით შეიძლება აქ 'ქმნა მართლისა სამართლისა'. ყვე-  
ლა იმ აზრის არის, რომ სახელების ახსნის მეტი საშვალემა არ გახლავსო, და  
იმავე დროს არა გამოდის რა აქამდე ნაცადი განმარტებებისგან.

ვადადის რა იმის სჯახზე, თუ როგორ უნდა ჩასახულოყო ტრისტანის ლეგენ-  
და კელტების ქვეყანაში და რა სახით უნდა ვადაეცათ მათ ის რომანელ ერებისთვის,  
ბ—ნ Bédier სწერს: \*) „ასეთი ძიების საწარმოებლათ მთავარ წყაროს კრიტიკი-  
სათვის წარმოადგენს საკუთარ სახელების, პიროვნებითა და მიწა-წყალთა სახე-  
ლების განმარტება. აი თუთხმეტი წელიწადია ეს საონომასტიკო და სატოპონო-  
მასტიკო კვლევა-ძიება ჯიკ-ჯიკაყვებით წინ უდევნითათ ძალიან გაცხარებულათ, და  
მათ, ამ განმარტებებს, მრავალ რიცხოვან ჰიპოტეზების წიაღში მიფუყვანიყართ“

ცხადია, რომ მთელი დასავლეთ ევროპის დაბელოვნებულ ღონგვისტებმა  
ვერასფერი ვერ გააწყვეს, რადგან თავის მშვენიერ მეცნიერულ მომზადებულ-

\*) Thomas, II, 39. 103—104.





ბის და მდიდარ ცოდნათ ამოთ ხარკვიდენ მით სრულებით უცნობ, მათთვის თავის ბუნებით უცხო ტიპის საენო მასალაზე.

ამ გზობას შიგეხები მხოლოთ ისოლდე და ტრისტანის სახელებს; როგორც იაფეტელი ორი მხრით, დედით ქართველი და მამით პიეტ-სკოტლანდელი, მე მანდილოსანს პირველი ადგილს ვუთმობ. ღირსშესანიშნავია: სპარსულათაჲ ქალს აქვს პირველი ადგილი დაჲკერილი ამბის სათაურში— „Visali u Ramin“ „ვის-რამინი“;

G. Paris-ი ბძანებს<sup>1)</sup> „ამ ზღვასავით მღელავ, ღრმა და (ვეალებად დრამაში, ზღვა დაუწყნარებლათ ითვალისწინება ან მოქმედობს; იგი თითქმის ენებით აღსავე მსახიობის როლს ასრულებს. სხვათა შორის ისოლდე, მის ჩასანთქმელად (ცხადია თავისთავთან გასაერთიანებლად) მომზადებულ ზღვას, ემუდარება, ნ ვისაყუდელში უკვე მიწვენილი, უკანასკნელჯერ ერთი მანახე ის, ვინც ჩემი ნანიშნი არისო“. მაგრამ ჰყრებს რა ზღვის ან ზღვაზე ნამოქმედარს რომანის მოთხრობისდაგვარ, G. Paris-ი მით სარგებლობს, რათა შეამოწმოს რომანის შემქნელ ერის და მის სხვადასხვა ნათესავთა მკვიდრობა ზღვის პირათ, და აზრათაჲ არ მოდის, რა დამაბალოვებელი კავშირი აქვს ზღვას ისოლდესთან, არ მოუდის მას აზრათ ზღვის ნამდვილი კავშირი ისოლდესთან მაშინაც, როცა მისი, G. Paris-ის, შეხედულებით რაღაც უცხაური საქმე ხდება ისოლდეს ბინაზე. ეს უცხაური საქმეა, რომ რომანის შემდეგი დახასიათება გამოუწვევა პარიზელ მეცნიერის მხრით: 2) „თუ გავითვალისწინებთ... ადამიანურ გულიშემოს, სადაც ჩვენი გმირები მსვლელობენ, ჩვენ მე-XII-ე საუკუნის რომანულ, ქრისტიანულ და რაინდულ ცივილიზაციის გავფარებით და კიდევ შორს წარვითაკებთ. გვალთ რა ფრანგულ პოეტებისაგან მოთხრობაში შეტანილ ყოველ გვარ ცვლილებებს და შემალბილებელ ხაზებს (attenuations), ჩვენ ვპოულობთ ერთს უცხო რამ ბარბაროსულ ქვეყანას. სიყვარულის ამ გასაკვირველ ამბების ჩამსახველი ადამიანები თითქმის ველურ ცხოვრებას ატარებდენ, ძლივლა იქა-აქ სხივემულ ტყეებში ჩამჯდარნი. სამეფო პალატებიც არა სასახლენი, არამედ ერთგვარი ქოხები, ფაცხები ყოფილან. ერთიც დამფიქრდეს კაცი სხვა მრავალ მოვლენათა შორის ამ ამბავზე: ტრისტან, რომელსაც აკრძალული აქვს Isent-ის ხილვა მის შესატყობინებლათ, რათა ღამე წყაროს დამჩრდილულ ხის ქვეშ ელოდეს, ღელეში გაიტყორცნის გასაოკრათ დაჲკრილ ხის ნაკვეთებს, და ის ღელე თვით ისოლდეს ოთახში ჩაირბენს და გადასჲრის მას ხელმე“.

ამ ამბავში თვით ვითამდა უმნიშვნელო წრილმანზე, ნაფორების ჩაყრაზე, ამ ჯერათ არ შეეჩერდებით, თუმცა ცხადია, რომ მას განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს და დიხაც სიმართლით ხის ნაფლეთებს შეტყობინება ევალება, რადგან იაფეტურენათ მეცნიერების გამორკვეულ პირვანდელ მითოლოგიით ზე' გახლავს 'ცოდნის სიმბოლო', თვითონ 'ცოდნა', თვით სიტყვა 'კითხვა' ზეს მანიშნი სიტყვისგან ნაწარმოები ყოფილა. 'ნიშანი', მამასადამე, 'ასო' და 'ზე', ამ

<sup>1)</sup> P. et I., გვ. 123-124.

<sup>2)</sup> P. et I., გვ. 125.

ორი საგნის იაფეტურათ გამოთქმული სიტყვა ერთი და იგივე კრიტიკულად აღწერილი ეპოქის გამოწინააღმდეგარ ნივთიერ ძეგლებშიც საჯადოსნო ხის ნაკვეთები, რა-ღაც ნიშნებით, კაცობრიობის პირველ ცდათ აქვს მიჩნეული ზოგ მეცნიერს წე-რის ხელოვნებაში და ბრიტანიის აგრეთწოდებულ ოლამის წარწერების ასოებს უნათესაებენ. იაფეტოვანთ მითოლოგია იმ დროს ნივთიერ სიძველეთ გამოკვლე-ვისაც თითქო ხელს აძლევს.

მაგრამ უმთავრესი ჩვენი სათქმელი სხვა გახლავს.

«ისოლდე»<sup>1)</sup> ნიშნავს იაფეტური ენათ-მეცნიერებით «წყალს» მდინარეს, ზღვას და იმავე დროს «ქალსა», «კოლს». ამ სიტყვის ფუძე «სოლ-» გახ-ლავს. თავში «-ი» წინსართია (პრეფიქსი) და დასასრულს «-დე» — და-ბოლოვება, მრავლობითი რიცხვის ნიშანი. «ი» წინსართი ერთი მის მრავ-ალ სახეთაგანი, მისივე სხვა სახე გახლავს «ვი-» დაცული სპარსულ გარ-დმოცემით იმავე სახელში — «ვი-სა», სადაც არა თუ მრავლობით დაბოლო-ვებას, თვის ძირეულ თანხმოვანს «ლას» განადგურებულათ ეამოწმებთ გარკვეული კანონის ძალით, მის პირობაზე მაგალითად, როგორც ქართულში ზოგჯერ «ქა» იხმარება მიმართვაში «ქალა»-ის მაგიერ. სრული ფუძე თითონ სიტყვის გახლდათ «სალ», როგორც «ქალ», არა მარტო თეორიულათ, დასათვა-ლიერებლათაც დარჩენილი იმოწმება ლერსმურ ძეგლების შუამრულ ენის ძველ წინააღმდეგში, სადაც იგი ნიშნავს მხოლოდ «ქალს» და «კოლს», «ისოლდე»ს ფუძე «სოლ» ხმოვანის პირობაზე შეცვლილია შეჯვარდინების კანონით, შესაფერ თესლთან შერევის, გაორბუნებოვნების, ჰიბრიდიზაციის გამოისობით, სწორეთ ისე, როგორც ქართულში მისი ბგერათ ზედა საფეხურის აწეული სახე «კოლ» «ხალ»-ის დაპირდაპირებით. «სალ» სახესაც, მოგებსენებათ, ქართულში შერჩე-ნია, ხმოვანის შეუცვლელათ, ზედა საფეხურის აწეული სახე «ძალ» რთულ სიტ-ყვაში «ს-ძალ», ესე იგი «რძალ-ი რომელც მთელი სახლის პირვანდელში გა-ნუყოფლათ საერთოთ ქალს ნიშნავს: «ს-» «საზლ»-ის პირველი ასოა დარჩენილი: მისი ნათესაობითი სახე «სი-» თქვენ ყველამ უნდა იცოდეთ, იმ ხანაშივე წარმო-მდგარ რთულ სიტყვებში ჩაჩენილა — «სი-ძე» «სი-მამრი», «სი-დედრი». «სალ» ფუძეს «სოლ» სახის გარდა სხვა კიდევ, უკვე თანხმოვანის პირობაზე შეცვლი-ლი სახე აქვს, აგრეთვე შეჯვარდინების კანონით, სახელდობრ «ლას»-ის მაგი-ერ «რე», ესე იგი «სარ», როგორც ქალის მაგიერ «ქარაბიჭა» ჰერმადროდი-ტის მნიშვნელ სიტყვაში. იაფეტურ ენათ-მეცნიერების უკვე გამოკვლეულ და დაბეჯითებულ დებულების მიხედვით «სალ» სიტყვაში ხან ხმოვანის «ანის» «ონად», ხან თანხმოვანისა «ლას»-ის «რე»-დ შეცვლა მარტო ბგერათ უკმაკურ ტრიალს კი არ მოასწავებს. ულმობელი კანონებრივი ცვლილება, შეჯვარე-დინების შედეგი, გვიჩვენებს იმ იაფეტურ ნათესავს ან იაფეტურ თესლს, რომლის გავლენა აქ მომზდარა და რომლისაც «ონი»ც და «რა»ეც ამ შემ-თხვევაში პირვანდელი ბუნებრივი კუთვნილება ან თვისება ყოფილა. რომ მეც-

<sup>1)</sup> ჩვენ აქ არ შევწეროებით იმ წერილმანზე, რომ Isolde Iseut, Iseult და სხვა წარმო-ადგენენ იმავე სახელის ვარიანტებს, რომელთ აღორძინების ნაშვლ ისტორიის განისაშვებ-ლათ საჭიროა იაფეტურ შედარებითი ბგერათმეტყველების დაკითხვა.



ნიერული ტერმინებით, სიბილანტის შტოის შემინვარე ჯგუფი და სხვა ამ გვა-  
რით, არ დაგატრთხოთ, პირდაპირ კონკრეტულად დაგისახელებთ იმ იაფეტურ  
ნათესავს, რომელსაც ამ შემთხვევაში «ანის» მაგიერ «ონი» და «ლას»ის მა-  
მაგიერ «რე» ბუნებრივად ეკუთვნის. ეს ვახლავს მეგრული და ქანური ჩვენში.  
გაქართულელებამდე გურულიც, აქაურობაზე (საფრანგეთ-იტალიაში) კი უკვე  
ჭგონიად ძირით ამოვარდნილი და უკვლად გამქრალი ლიგურული ენა ან იგი-  
ვე გურული, რადგან დასაწყისი «ლი-» «ლი-გურულ»ში ჩვეულებრივი წინსარ-  
თია. მაგრამ მეგრულ-ქანურ ენათ ენათესავებოდენ, მათ ერთ განუყრულ სახეს  
წარმოადგენდა სკვითური, ესე იგი სკოლოტურ-კოლხური, და აქ დაბეჯითება,  
გა-პრეცეზება—უკიდურესად აღმატებულ მნიშვნელობას წარმოადგენს ჩვენ სა-  
კითხში, რადგანაც კოლხები ან კოლები იგივე გალები ან კელტები იყვნენ, და  
ზოგი ხომ კელტებს ასაკუთრებენ ისოლდის არა თუ სახელს, თვით ამბავს. უო-  
ველ შემთხვევაში «სალ» ფუძე, წმინდა ქართული ტიპი, მისი ორი შეჯგარა-  
დინებული ამხანაგებით «სარ» და «ხოლ» ნიშნავდენ იაფეტურათ არა მარტო  
ქალს, არამედ წყალსაც, მდინარესაც, ზღვასაც. «ისარ», ხან «იხარ» გამოთქ-  
მული რამდენი წყაროს და მდინარის სახელია ლიგურების, ხან თვით კელ-  
ტებისაც ნათლობ ევროპის ქვეყნებში, აქ ამის მითითება ჩვენ არ გეჭირია. გან-  
საკუთრებით საყურადღებოა ჩვენი ეპოსის შესახები საკითხისთვის, რომ რო-  
გორც უკვე გამოკვლეულია და დაბეჭდილიც არის ახლა, თვით წმინდა ქართული  
ტიპის ფუძე «სალი» და მისი ამაღლებული სახე «ტალ», პირველში «წალ»,  
ზღვის და იმავე დროსვე ამ სიტყვის ტოტემურათ შემქნელ ნათესავის სახელ-  
ში აღმოჩნდა შეახმელეთის უჩველეს ხანაში და შეახმელეთისვე უგანათლებუ-  
ლეს კუთხებში, და რაც კიდევ მნიშვნელოვანად ხდის ამ აღმოჩენას, ქართული  
ფუძის დამკველ იმ შეახმელეთურ სიტყვებს—მათ ახლავე მოგახსენებთ, თუ თვი-  
თონ ვერ მიმხვდარხართ—ნაშ იმ შეახმელეთურ სიტყვებს სწორეთ ის სამო-  
სელი მშობია, ის პრეფიქსები მიუღია, რაც განსაკუთრებით საჭიროა «ტრი-  
სტან და ისოლდე» რომანის სამშობლოს მისაკვლევლათ. ეს ვახლავს ერთი—  
პრეფიქსი «ტე»; ეს პრეფიქსი ჯერ ხმოვანის ადგილს სკელის როგორც «ეტ-  
რუს-კ» სიტყვაში ეხედავთ, რომელიც წინეთ is-rum-k უთილა, და მერძისში  
სრულებით ჰპარგავს ადგილ—გადაცვლილ ხმოვანს, და მეორე პრეფიქსი «ი» ესე  
იგი სიტყვა ეხება იაფეტურ ტერმინებს, ჩარჩენილებს ერთი მხრით საბერძნეთ-  
ში და ბერძულ ენაში, ორივე შემთხვევაში წმინდა ქართული ტიპის «ხალ»  
«წალ» «ტალ» ფუძის მექონ სიტყვებს—ბერძნულში ეს ვახლავს (ε-σασα-α  
ε-σασα-α ქვეყანა, სალთა ნათესავის ქვეყანა, პრეფიქსით «თე—» და ბერძ-  
ნულსავე θal-as-a—ზღვა, განსაკუთრებით θal-us, მრავლობითი დაბოლოებით  
—as იგივე ფუძე θal ან «ხალ» ვახლავსთ და ლათინურში l-tal-us l-ta-lia, წინ-  
სართით o—იგივე ფუძე «ტალ», იმავე ნათესავის სახელი, «სალ-» ფუძიდან  
ამოყვანილი.

მაგრამ ჩვენი ეპოსის შესახები საკითხისთვის აგრეთვე მნიშვნელობა აქვს  
მას, რომ სწორეთ იმავე სიტყვის მეორე ორბუნებოვან სახეს, «ი-სარ-» სიტ-  
ყვის კვალს ეპოულობთ კავკასიაში, აქ უკვე როგორც ბრიტანია-საფრანგეთში,

საზოგადოთ დასაელეთ ევროპაში შრავლობითი რიცხვის დაბალირების, სარა შემოკლებულით «დე» ან «ტე», რომელიც იმოწმება «ისოლ-დე» «ისოლ-ტე» ან «I-seul-t» ვარიანტებში, არამედ სისასებით როგორც «კოლ-ტენ» ან «გოლ-თან» სინათესავო სახელში, მაგრამ «ი-ხოლ-დე»-ს დაგვარათ თავდაპირველში უსათუოდ «ი-პრეფიქსით», ასე რომ თუ ბერძნული გადმოცემის დაგვარათ «კოლ-ტენ» სინათესავო სახელის შრავლობითის ნიშნათ «-ტენ» ავირჩევთ, უნდა მივიღოთ სიტყვა «ი-ხარ-ტენ», რაც დაუტყვიათ სომხებს ქალის სახელათ მათი ენის თვისებით, რომ ბოლოდან წამოთვლილ მესამე მარჯვლის ხმოვანს უკუავდებს, მაგალითათ «იხაპა-კის» მაგიერ «ხაპაკ» მანასადამე «იხარტენ»-ის მაგიერ «ხარტენ»-ა და მათი დაენინებით და უფრო მოსათერებელი დაბოლოვებით «იკ. — სარტენიკ». აქ შესანიშნავი ის გახლავს, რომ «სარტენიკ» არა თუ უბრალო ქალის სახელია, ის სახელია გაინდოვროპებულ სომხებზე გადასულ იაფეტურ ეპოსით წამოღებული, იმ ეპოსით, რომლის მცველნი სომხეთშიც იყვნენ გაღების ან კელტების მონათესავე «გოლ-თან» ან «კოლ-ტენ» ტომის Sijasan მგოსანნი, «ვიპასანები», მგალოზელნი. ის სახელია იმ გმირ-ქალის, რომელიც პირდაპირ ისოლდეს წარმოადგენს, რომელიც „არგა-მ“ზე ან „არგა-ვან“ზე ესე იგი „მარგ-ვან“-ზე, ტრისტან და ისოლდეში Mark-ზე, გათხოვილი ან შეყვარებულიც, იმვე დროს მეორე მოტრფიალის საძიებელი და მტანჯველი იყო. მაგრამ როდესაც ძნელდება ისოლდეს ნათესაური ვინაობის გარჩევა, მისი მოტრტემე ნათესავის სახელი, ხორენელის დატული გადმოცემით სრულებით ირკვევა, ვისი ტოტემური ქმნილება გახლდათ სარტენიკიც და ისოლდეც, სახელდობრ აღბანთა მეფის ქალიშვილის, მანასადამე, „ჰალ“-ს, რაც იგივე „სალ“ ნათესავის, ესე იგი არა თუ მარტოა „ჰალ-მან“ ების, თვით „წარ-მათ“ ლმერთის პირველ „ი-შტარ“ ქალღმერთის მსახურებელ ქართველებისაც.

ჩვენ ვწყვეტთ ისოლდე-სარტენიკთან ჩვენი მხარეების დამაკავშირებელ ბერ სხვა ენურ მასალის მოთვლას და ეპური ტიპების გარჩევას და ერთ წუთას მხოლოთ მოუბრუნდებით Tristan-ის დასაელეთურ ვერსიას. არსებობს დიდი ბრიტანიის აღწერილობა, რომელიც შოტლანდიას ოთხ ნაწილათ ჰყოფს, აღბანით ჩრდილო დასაელეთისკენ, Galwea-თ სანშრეთ დასაელეთით, Loonia-თ სანშრეთ აღმოსაელეთისკენ, Moravia ჩრდილო აღმოსაელეთით. მარტო კარგა ცნობილი Albania-ს ადგილი რომ საძიებრათ გახდეს, კმარა ისტორიულ მეთოდის მიმდევრათ მეცნიერებს კვალი დაებნას, და რამდენი სწავლული ჩაერიოს პაექარში, იმდენი თავისებური აზრი გამოითქვას. Ferdinand Lot-მა შემოხსენებულ სახელებში იცნა ტრისტანის თქმულებაში სხვა და სხვა პოეტებისგან ნახსენები Almel (Albania), Galloway (Galweya), Lothian (Loonia), Moray ან Murrat (Moravia), და ამ მიკვლევაში მას დიდი სიმართლე აქვს. საეჭვო აქ, როგორც ახლა აშკარათ ჩნდება იაფეტური ანალიზისგან, არა არის რა წინააღმდეგ ბ-ნ Bédier-ს აზრისა, <sup>1</sup>) არც როცა მათში ბ-ნ Lot ცნობილობს ბრიტანიის სხვა და სხვა ადგილების სახელებს—Loonnois თვით Gavoie-საც და სხვას, მაგრამ იგივე სახელები, რომელთ ახლა პირვანდელი სახეებიც და წარმოშობაც ვი-

<sup>1</sup> Thomas, II, გვ. 109—110.



კით, უმეტესი სიმსავესით მისათითებელია მრავალ სხვა ქვეყნისა და ტერიტორიის და კავკასიისაც გარეშეთ, როცა ისტორიის წინდასწარებულს ხანაზე გადვიართ და შესაფერი იაფეტურ მეცნიერების მასალით და იარაღით ვიკვლევთ, რაც აუცილებელია, რადგან მზე და წყლის ღმერთ მიჩნეული გმირები, ცხადია, ისტორიულ ხანებში არ შექმნილან.

ისოლდეს ფარდი, ვისას სახელის მატარებელი ქალგმირი სპარსულ ვერსიაში კიდევაც დასახელებულია წყლით—ქართულ თარგმანში წყაროთ.

ამ გვარად გამოდის, რომ აქ ჩვენ კავშირთა ბუნების ელემენტების და სტიქიების, კაცობრიობის პირვანდელ ღმერთების, სხვა და სხვა სანათესაო ღმერთების, წრეში ვტრიალებთ, და ერთგვარათ ამას ცნობილობდა მხოლოდ შინაარსის მხრით Gaston Paris-ი, როცა ის ამბობდა, რომ ტრისტანი მზე უნდა იყოს.

ახლა მიხედვით იმასაც, თუ რა ბუნებრივად იხსნება Tristan და Isolde-ს ის G. Paris-ის გამოკვებელი ამბავი, რომ მის, ესე იგი მდინარის და ზღვის, საზოგადოთ წყლის-ღმერთას ისოლდეს ბინაში შეიბრებს დეღე და მას გადასკრის. მეცნიერი Bédier ძალიან შეაწუხა ამ ამბავმა და ჯერ G. Paris-სავით შენიშნა: „il faut de toute nécessité se figurer, non pas un château féodal, mais une hutte au sol de terre battue,“<sup>1</sup> რადგან მას დღესაც სჯერა, რომ Tristan et Iseult-ის რომანის ზღაპარიც ვითომ საფრანგეთში და ინგლისის საშვალ საუკუნის ფეოდალურ ციხე-დარბაზებში აღორძინებულიყოს, გულუბრკვილოდ გვიტყვდება, თუ როგორ უშედვევით და უსარგებლოთ უძებნია შესაფერი თთახი „Nous avons vainement cherché dans les dictionnaires et les revues d'archéologie la mention d'une disposition, même exceptionnelle, qui aurait dérivé un ruisseau dans les salles basses d'un château,“<sup>2</sup> და თან ამ ხტროთ-მოძღვრო საკითხის შესახებ ვრცელი შენიშვნა მოუთავსებია მას შესაფერ შენიშვნაში<sup>3</sup>.

ტრისტანის სახელის ახსნას ბევრი რამ გვიადვილებს. მას ისეთი ძირამდი საქმის ჩამყოლი მეძიებელი დაურჩა როგორც თავისი სიმხვეილით სავამონაკლისო გერმანელი მეცნიერი Zimmer'-ი, რომელმაც გამოაშკარავა, „ტრისტანის სახელი პიკტურიდან უნდა წარმოშობილიყო“,<sup>4</sup> d'Arbois de Jubainville მან დაადასტურა თავის თანხმობით ევ უტყუარი ფაქტი. მაგრამ ჯერ კიდევ ყველანი ისე ფიქრობენ, თითქო იცოდენ, პიკტური-ლა რას ნიშნავს და ვინ იყვნენ პიკტები. უმრავლესობა დაჯერებულია, რომ ლათინურიდან წარმოებს მათი სახელი—pingo, pictura, ფრ. peinture „სურათი“, და ამ ნაირ სიტყვებიდან, რადგან პიკტები სხეულს იტატუებდენ, იხატავენო, თითქო მარტო პიკტები ყოფილიყვნენ ტატუების მიმდევარნი და თითქო სადმე დედამიწაზე გაგონილიყოს აგეთი პირვანდელურთ სახელწოდება. პიკტები, როგორც ენის

<sup>1</sup> Th., II, გვ. 157.

<sup>2</sup> Th. II, გვ. 157.

<sup>3</sup> Th. II, გვ. 157 ობ.

<sup>4</sup> Revue Celtique, XII, p. 397.

მცირე რამ ნაშთი გვიჩვენებს, გარკვეულ იაფეტურ ნათესავს, ტომს, წარმოადგენდნენ. ისინი საფრანგეთშიც ყოფილან, მათგან *Polities* ქალაქის და სხვა ადგილებისაც სახელები იწარმოება. ადგილების იაფეტურ სახელებს ევროპაში გარკვეული გრამატიკა აქვს უღმობელი კანონებით, იგივე რაც კავკასიაში, ეს გრამატიკა დამოუკიდებელი შემდეგ აქ ევროპაში, წარმომდგარ ძველ და ახალ ერებისაგან და მათ ენებისაგან. სიტყვა, „პიკტ“ მრავლობით რიცხვს წარმოადგენს იმ მრავლობითის ნიშნით, რომელიც ჩვენ უკვე ვიცით, სახელდობრ ბგერა—ტ. მრთელი სახით—**ტან ან—ტენ**, მაშასადამე, *Zimmer*'-ის მიკვლევული სამშობლო გვირის სახელისა „ტრისტანისა“ თითქოს ენათმეცნიერულათაც მართლდება: **ტრისტან** სახელს იმავე გვარის მრავლობითი ფორმა აქვს, როგორც მის აღმოჩენილ პატრონ ნათესავს, „პიკტ“ სახელ წოდებულს. ზევითონ ფუძე ამ სანათესაგო ან ეთნიური სახელის „პიკ“ („პიჰკა“) — სპირანტ გამოთქმაზე ჩამოყალიბებულია, მისი სიბილანტი სახე გახლავს „პისკ“, პირვანდელი ხმოვანით „ინის“ მაგიერ „უნით“ იგივე წარმოდგენილი გახლავს სახით „პუსკა“ ამ ფუძის ეს სახეები დღევანდლამდე ჩაორჩენილია ისპანიაში ბასკეთის ნაწილში, რადგან „პისკა“ და „პუსკა“, „ბასკა“-ის ვარიანტები არიან, როგორც საქართველოში იმავე სახელის ვარიანტები **მოსხხ** და **მესხხ**— და სომხეთში **მასიქ** („მასიქა“) და **მეშკა**. ევროპიული ფარდები **„პისკა“** და **„პუსკა“** ჩვენამდე მოწეწილი არიან ისპანიის ბასკეთის ორ კუთხის სახელათ, **„პუსკა“** **„გი-პუსკო-ა“** (*Gipuzcoa, Guipuzcoa*), **„გი-“** პრეფიქსია, და **„გისკა-ააა“**, რომელიც თქვენ იცით როგორც სრუტის სახელი.

მაშასადამე, ბასკთა ერი ერთი იმ იაფეტურ ნათესავთაგანი გახლავს, რომელთა ძმობილური ერთობა იმ შიდამოს ახასიათებს, სადაც ტრისტანის თქმულების დასავლეთურ ევროპის ძირი მოუდგამს.

„Tristan“-ს სხვა და სხვა სახე აქვს, ყველას ახასიათებს იგივე პრეფიქსი **„ტ-“** და იგივე სუფიქსი მრავლობითის ნიშანი **„ტან“**, ან შემოკლებულათ **„ტ“**. რაც შეეხება საშვალ ნაწილს **„რის-“**, ის **„რეს-“** ფუძის ფარდია, და ერთიც და მეორეც ვარიანტია **„როშა“-ან-„რუსხ-“** სანათესავის სახელის, ესე იგი **„ეტრუსკისა“**. *Tristan*'ის სახელიც შესაფერათ ცელილობს, მის სახეთაგან ცნობილია *D-rus-tan, D-rus-tan, D-rys-tan, D-ris-tan* შემოკლებულ სახით *D-rus-t, D-rus-t*. ეს სახელი ევროპის ბრიტანიის არემარზე ხშირათ გვხვდება როგორც მიწაწყლის, შენადგილების და ზღვის ნაწილების წოდება. პირველად *Golther*-მან დაასაბუთა, რომ ისლანდიის *leord*'ს მე-IX საუკუნეში ერქვა სახელათ *Trostans fjord*'ო. *Tristan* კუნძულიც გახლავს *petite-Bretagne*'ში *Douarnenez*'ის სრუტეში (*baie*). ჰგონიათ, რომ ეს *Tristan*'ის რომანს გაუფრცხვლებია მისი სახელიო. ეგ წარმოდგება იმისაგან, რომ დასავლეთის მეცნიერებმა ჯერ არ იციან, რომ *Tristan* ტოტემური გვირია, იგი ეტრუსკების ერთდროის ტოტემი-ღმერთია, მაშასადამე ამ ნათესავის სახელიც არის, და ეტრუსკები, ჯერ წმინდა იაფეტელები, მკვიდრნი ყოფილან ბრიტანიის კუნძულებზე. „Tristan“ სახელის ვარიანტია *Bryan*: მათი განსხვავება პრეფიქსშიც იჩენს თავს (ერთის პრეფიქსი **„ტ-“** ბგერა გახლავს, მეორეს **„ბ-“** ბგერა) და ფუძეშიც (ერთის ფუძე—სიბილანტური **„რეს“**, მეორეს—სპირანტური **„რეშ“**—**„რე“**, რომლის შესა-



ხებ ზემორეთაც მოგახსენეთ). ამ თავ-მოსაბეზრებელ ბევრათ წერილმანებს ის მნიშვნელობა აქვს ჩვენი მთავარი საკითხისათვის, რომ Tristan სახელის სხვა და სხვა სახეები და მათი მოყოლოგია საშეაღების გვაძლევს მივაცვლით, თუ ვტრუსკების რომელ წრეში განვითარებული დასავლეთური ვერსია ჩვენი იაფეტური ზღაპრის, ტრისტანის რომანი? ცხადია იმ წრეში, სადაც ბატონობდა პრეჟიკსი «ტ-» და მრავლობითის დაბოლოება «ტ-» ან «ტანი» და ფუძე „ონით“ ან „უნით“ გახმავანებული, და ყველა ეგ ტენიური წერილმანი უღმობელი სიმკაცრით ვადამწვეტელია, სად არის ზღაპრის სამშობლო აღმოსაჩენი.

უმთავრესი ჩვენი მიწვენილობა კი ის არის, რომ Tristan—ვტრუსკების ტოტემია, და მაშასადამე როგორც შეახმეღეთურ კულტურის საბერძნეთის ნაწილში «რესი», Tristan წარმოადგენს «მზეს» და «ცხენს», გმირია საზოგადოთ ღვთათ მიჩნეული, სტოქიების ერთმანერთზე მოწყდომის და ერთმანერთან დაკავშირების, ბრძოლის და ზავის, მტრობის და სიყვარულის.

თუმცა Gaston Paris-მა უკვე იგრძნა, რომ Tristan მზე უნდა იყოსო, მაგრამ Bedier მის შემდეგ სწერდა კიდევ<sup>1)</sup>—ჩვენ სრულებით არ ვიცითო, პირვანდელი ტრისტანი მიჯნურის ტიპს წარმოადგენდა თუ უბრალო საეპოსო გმირი იყოო.

ჩვენ არ გვესმის, რა უშლის მიჯნურს საეპოსო გმირი იყოს. საუფუძველი არა გვაქვს აგრეთვე, რომ სადაც ჩვენი მზე-ღმერთი ან ცხენ-ღმერთი გმირობდა, იქ უარყოფით სიყვარულთან ყოველ გეარ სავმირთთა საქმეების და გასართობ თვე გარდასავალთა ამბების თანაყოლა, და ამიტომაც როცა G. Paris-ი ბრძანებს, ეპოპეის თემა სიყვარულის ვარდა არა ყოფილა რაო, ეს, ცხადია, ითქმება გამოყოფილ სიყვარულის ამბავზე, ევროპაში «ტრისტან და ისოლდეს რომანზე» და აღმოსავლეთში «ვისა და რამინის» მოთხრობაზე; ორივე სამიჯნურო ამბავი გამოყოფილია საშეაღ-საუტუნოს ფეოდალურ რაინდობის გასართობათ, ორივე უკვე ფეოდალ წოდების გეპოთა და სულიერ მოთხოვნილებათ ყალიბზეა ამოსხმული. კმარა სიამხურში დაცულ ნაწვეტებს ჩაუკვირდეთ, რომ ბრძოლა და საგმირო საქმენი წინ წამოდგენ. ჩვენ ვეუკობთ, რომ Tristan და Isolde-ს რომანის უძველესი სახე, რომელიც G. Paris-ის აზრით, მე-X საუკუნეში დუბლინის ქალაქს ვიკინგების მეფობის დროს არსებულა, მოკლებულ ყოფილიყოს ძველი მთლიანი ეპოსიდან მომდინარე გასართობ ან გამამხნევებელ საგმირო ამბებს, სიყვარულისგან დამოუკიდებლათ. სწორეთ ასეთ იაფეტელების ძველი მართლიანი ეპოსიდან დაცულია, ორგანიულათ ნაანდერძევათ და არა, როგორც ფიქრობენ ზოგნი,<sup>2)</sup> შემდეგ შეტანილ ეპიზოდებათ მიგვანია Tristan და Isolde-ს რომანის შემდეგი საბი მავალითი:

1) გველის მოკვლა ტრისტანის მიერ დიახ პირდაპირ მომდინარეობს ისოლდე და ტრისტანის უსათყოფ ადრინდელი სახიდან, როგორც ამას გვიმტკიცებს კავკასიური მისი ვერსია, სოიებთა. შორის სართენიკ და არტამესის ამბა-

<sup>1)</sup> *ib.*, II, 83-108.

<sup>2)</sup> *P. et lég.*, 83-140-141.

<sup>3)</sup> *G. Paris, P. et lég.*, 83, 137-138.



ერეკნული

ვი, მათი ბრძოლითურთ ვეშაპებთან, აქ ტრისტანის რომანის შემსრულებელმა გამოკონილი ან შეტანილი, როგორც G. Paris-ი აზროვნებდა, არა არის რა.

2) ის მითური წერილმანი, რომ Tristan-ის სამიჯნუროს კანონიერ კმარს, სახელათ მარკს, ცხენის ყურები აქვს და იმაღავს, ბრეტონ-კელტური მერმინდელი გავლენა კი არ გამოსკვირავს ამ დიახ ბრწყინვალეთ დამახასიათებელ წერილმანში. დამოკიდებული ვითომ შემთხვევით და კერძოთ „მარკ“ სიტყვის მნიშვნელობაზე („მარკ“ „ცხენსა“ ნიშნავს კელტურათ): თვითონ სიტყვა „მარკ“ და მისი „ცხენის“ მნიშვნელობაც დამყარებულია მაზედ, რომ იგივე „მარკ“ მნათობს ნიშნავს, ლამის მნათობს, მაშასადამე შავ ცხენსა, ცხენს გამაცივებელი სიკვდილისა, და ჩვენ აქა ვართ საზოგადოთ ცხოველ მნათობთა პირვანდულ წარმოდგენათ წრეში, რომელსაც იგივე შვებმეღეთის იაფეტური წყარო ისაზრდოვებს, რაც მიდასის ამგვარვე ამბავს. სხვაგან ხომ ცხენის ან ვირის ყურების შავიერ ეპოსშივე ვეშაპის ან გველის თავებს ეპოულობთ დისამილაგათ აღმოცენილს.

თქვენ გიკვირსთ, რომ აქ ერანის ეპოსზე სიტყვის ჩამოვდებას ვბედავ. მაშ ერთ წუთას კიდევ შევჩერდები იმავე სახელზე.

„მარკ“ ან „მარკ“, რომლიდანაც ნაწარმოებია „სიბრძნე ბალავარისა“ მოთბრობაში საოცარი გადარჩენილი ნამდვილი ადრინდელი ქართული ტერმინი მე-მარკ-ეა წინასწარმეტყველი, სომხურშიც მარკ-გარ-ეის სახით ვაბატონებული ნიშნავს 'მნათობს', 'ლამის მნათობს', ქართული ფარკსკულ-აე-ი-ა (ძველ სამწერლო ენით ფეკსკულ-აე-ი-ა ან ფეკსკულ-ამ-ი-ა) მისი ღარდია, იგივე პირველი თავის ნაწილით ბასკებ-მესხების ან იბერთა ტოტემი, 'სიათ ლესაც ნიშნავს დ კერძოთ 'მთვარესაც, ბოლო შეკვეცილი სახით აარგია. მარკ-ი 'მთვარე', ლამის მნათობი, 'ვისრამიან-ში ვისის კმარის სახელათაც მიინიშნება, როგორც ისოლდეს კმარის სახელი მარკ-ი „ტრისტან-ისოლდე“ში.

მარგისთან-ი და მერკ-მარკ-ავ-ი მთელი „ვისრამიანის“ სამიჯნურო დრამის ვადაშლის ასპარეზია, როგორც მორკ-ავ-ი, იგივე მარკ-ავ-ი დასავლეთში ბრიტანთა არემარეზე.

წარმოიდგინეთ Ferdinand Lot-ის და ბევრ სხვათაც, აკადემიკოსთა და არა აკადემიკოს მეცნიერთა მდგომარეობა! მაგრამ ვანა იგინი არიან დასავლეთის მეცნიერების აგრეთ დაქვეითებაში დანაშავე? იგინი არა, ჩვენ ვართ, რომ ჩვენს ხელში ჩაეარდნილი სამეცნიერო მასალის და თვით გამომუშავებული იარაღისაც გამსოფლიოება არ შეგეძლება.

3) და მე ჩემ მერანს დაუბრუნდებო. „მირბის, მიმართუნს, ჩემი მერანი... კიდევ სად?—საბუნძნეთში, ლმართლეთ ვსთქვათ, ვგულ მხარეში—თეზის საასპარეზო მიდამოზე“ აქ, ამ საძიებელ საკითხებაში კეთილსახს-ვარ ჩემ მოძღვრას პროფ. ა. ნ. ვესელოვსკის საყვირელ განსვენებულ ამხანავს გამოვეკამათებო.

მეცნიერებს ვხა დაებნათ ხოლმე ათასნაირი შორკვეყნებთან მაკავშირებელი ამბები რომ დაინახეს ტრისტან და ისოლდის თქმულებაში. Gaston Paris-მა გამოაცალა Tristan და Isolde-ის თქმულებას ყველა ის ამბავი, რაც



ეროვნული  
გიგანტური

ერთმანეთის მოსიყვარულეთ განწყობილებას და მათზე აშენებულ მოთხოვნის-პირდაპირ არსებითათ ნაწილს არ შეიადგენს, თითქო ამ თქმულების ხალხური წარმოშობის დამახასიათებლათ მით ეყარგოდეს მნიშვნელობა. მაგრამ თეხის შესახები თქმულებას მომაგონებელი ზოგი რამ ელემენტი „ტრისტან და ისოლდისგან“ უკანასკნელის არსებითა ნაწილს წარმოადგენს, და შემდეგ უნიადაგოდ ასკენაზე მიჰყავს მას Gaston Paris-ი, ეტანება რა ბეჯითი კვილის დამქარგველი ამა თუ იმ მოსაზრებას: „როგორ უნდა განვსაჯოთ «ტრისტან და ისოლდის» თქმულების თვალსაჩინო განწყობილება თეხის თქმულებასთან-ო, ერთ დროს ამ ორი ეპოპის საერთო ნაწილებში შეგვეძლო დაგვენახა ბერძნების და კელტების გაყოფაზე უწინდელი ინდოევროპული მითის არსებობის დამამტკიცებელი საბუთი დღეის-დღეობით ავეთა ჰიპოთეზის გამოთქმას ველარაინ გაპედ-დაესო, უფრო მეკლევარს შეეძლო იმ აზრისკენ მიდრეკილიყო, რომ მომთხოვბელ ბრეტონებს ეს ამბავი ესესხოსთ, წერილი წყაროებისაგან ამოეღოსთ, მაგრამ უკვე მოთქვამს-ო, თუ რა და რა საფუძვლად იმ მოსაზრება ეწინააღმდეგება ასეთ მარტივ ახსნას, როცა საქმე ამ ჩვენ ან სხვა, ძველ ხანებში გავრცელებულ ამბებზეა საკითხიო. იქნება ის არისო დასაჯერებელი, რომ მითოლოგიური მოთხოვნები კელტებისთვის ბერძნებს ძველათ გადაეცესთ ზეპირათ Bretagne-ში, სადაც ლეგიონებს უამრავი კაცი შემოჰყავდეთ რომის საბრძანებლო ყოველ კუთხიდან და ასეთ ამბებს მწყურვალეთ ეტანებოდნენ ბრეტონები და მესხიერებაში იკავებდნენ, მშვენიერ მოთხოვნების- მომხიბლაობას ბრეტონები სულით და გულით ემორჩილებოდნენო“<sup>1)</sup>.

ამ გვარად არც ერთი გზა დაბეჯითებით ვერ წამოიყენება, მხოლოდ მკითხვით რჩება შთაბეჭდილება, რომ მათ შორის, ბერძნების და კელტების მოთხოვნებს შორის, რაღაც უარუყოფელი ნათესაობა და დამოკიდებულობა სუფევს. Gaston Paris-ისთვისაც მისი ახსნა შეუძლებელია კაცობრიობის სხვა და სხვა ნაწილის ზოგად სიმზგავსეზე, როგორც ფიქრობდა გერმანელი მეკლევარი Gieseler-ი, მაგრამ ამ ნათესაობის და დამოკიდებულობის წარმომშობელ წყაროს ვერ ხედავს და კარგადაც წერება, რადგანაც მის და საზოგადოთ დასავლეთ ევროპის მეცნიერთა უფლებასში ნივთიერი ცოდნა და მეთოდური საშვალემა, სამკლევარო იარაღი რომ ეწყოს ან აწყვიცა, იმის ძალით არც შეეძლო ვისმე იმ დროს არც დღეს შეიძლება მეტი რამ დაინახოს. აქ კმარა ითქვას, რომ თვით თეხის თქმულება ბერძნების შექმნილობას არ წარმოადგენს, იგი როგორც მთელი ეპოსი ბერძენთაღმე ნაანდერძევია შეახმელეთის ადრინდელ მკვიდრთაგან.

არა მარტო თეხის თქმულების ეპიზოდური ამბავი, მთელი „ტრისტან და ისოლდის“ ეპოპეა მის ასალორძინებლათ თუ არა, მის ბუნებრივ არსებობისთვის ადგილობრივ შესაფერ გულიშამოს, ზელ შემწყობ პირობებს ჰპოულობს საბერძნეთში როგორც ტაოპოგრაფიულს, ვერე ეთნოგრაფიულს; სხვათა შორის აქ ბინადრობდა ყველა ის ნათესავი, რომელია ტოტემურ შექმნილობას წარმოადგენს ტრისტან და ისოლდის ამბავი, მაგრამ მისი უკვე მთლიანობის ჩამსახველი და გამომხატველი ვარაანტი იაფეტეიანების ამ საზოგადოთ წარწეში, უფრო ძველი სა-

<sup>1)</sup> G. Paris, Poèmes et légendes du moyen âge, გვ. 138—139

ხეების მექონ ვეგურ და წინდასწრებულ საკულტურო ფარგალში, იქნება ვერც მოიპოვება. „ტრისტან და ისოლდის“ უმთავრესი მამაკაცი გმირი Tristan, ტოტემური წარმომადგენელი ეტრუსკების, ჩვენ უკვე მოვიხსენეთ, ამ მხარის ეპოსში ცხადათ გამოდის, მაგრამ ის — აქ სიტყვა ვმირს „რესა“ზეა — ჯერ კიდევ ეს ცხოველის სახის თუ მისი აშკარა ხასიათის დამცველია, „რესა“ზე კიდევ ადვილ დასანახი ცხენია. აქ. შემდეგში გაბატონებული ბერძნების არემარეში „ტრისტან და ისოლდეს“ მთლიანი ამბის მომღერალნი თითქოს არცკი ყოფილან. მაგრამ ტრისტანის სეზნიის, რესის, აგრეთვე ეტრუსკების ტოტემის, ცხოველ ტოტემის, ცხენის, უკეთ ვთქვათ ცხენ-ღმერთის ეპოსი დიახ გახლდა. ილიადაში გამობრწყინვებამდი მისი ეპოსი ცალკე დამოუკიდებლათ ბრძანებლობდა, ცხადია. ამ რესის ვარიანტს წარმოადგენს „რაში“, და კარგათ ვემახსოვნებათ ქართულ ზღაპრებში მისი ხშირი მოვლენა, რასაკვირველია აქ ის უკვე გმირისგან, ერთხელ ღმრთისაგან, გამოყოფილ არსებას წარმოადგენს, მაგრამ რომ ოდესმე ვრცელი დამოუკიდებელი თქმულება სუფევდა ამ ღმერთის რესის შესახებ და თვით ეპოსი და გმირ-ღმერთი ხალხის წარმოდგენაში გაერთიანებული იყო, როგორც გმირი ტრისტან იმავე დროს პოეტათ იყო განთქმული, ამის უტყუარ მოწმობასაც ვეძღვეს ცოცხალ იაფეტური ენების ნიადაგის მათ შორის ქართულისაც გათხრა.

ცხენ-ღმერთი, ეტრუსკების ტოტემი, როგორც უკვე მოვახსენეთ, იმავე დროს მზე-ღმერთიც ვახლდათ, დილის ალიონის მზე-ღმერთი, ის მზე-ღმერთი, რომელიც, ბერძნების ანტროპომორფიულ წარმოდგენით, ადამიანის სახით წარმოიდგინებოდა, მაგრამ აუცილებლათ ცხენების მიმაქენებელი. ადრე კი ეს ღმერთი-მზე, იმავე დროს პირდაპირ და შეუცვლელათ ცხენ-ღმერთიც იყო, თეთრი ან ალიონისებრი ნათელი ცხენი, და ცხადია, აქ ქართული ენა დაგვებმარება: ეს მზე-ცხენი ჰიშკარში გამოირბენდა დილით, და მიტომაც დილას ერთი მხრით ჰქვია კარ-ი სახელდობრ ცხენ-კარ-ი, მეორე მხრით ცხენის იგივე ტოტემური სახელი, ქართულ ძველ მწერლობით ენაში ერთად ერთი სიტყვა ალიონის გამოსათქმელათ, ესე იგი რიე-რაეუ; მეორე ნაწილში ან რთული სიტყვის თითქო ჩვენი რაშ-ი ან რაფ-ი გვედება წინ, საქმით დიახ აგრეც არის მაგრამ არა სახით — პირვანდელი სახე ამ ერთი სიტყვის გამეორებით შემდგარი ტერმინის ვახლავს რაფ-რაფ (რვი რავე) ანუ რაფ-რაფ, და რაშ-ი-ს \*) მზავსად რაფ-ი-ც რაშ-ი-ც ცხენის სახელიც იყო და ეტრუსკების სახელის ფუძეც. დილის მნიშვნელობით სვანურშია „რიეის“ სპირანტული ვარიანტი, ამ სიტყვის მონათესავე ბევრია.

კაცობრიობის პირვანდელი წარმოდგენა-აზროვნების დასახასიათებლათ დიახ ღირს საყურადღებო სხვა და სხვა მნიშვნელობით, მაგრამ ამ ვზობას ჩვენ, ეპოსის კვალში ჩავდექით რა, ამ ცხენ-ღმერთის ვაცალკევებულ მნიშვნე-

\*) რა შ (→ რა შ) მერმინდელი სახეა, ვაგრძელებული, ხმოვანთა, აქ ანის დაკარგვის შემდეგ, და ადრინდელი მისი სახე კი რაშ იმავე პირვანდელ რა შ=რო შ, თან მივციყვანს.



ლოვანი არსებობა გეაინტერესებს, და სწორეთ მისი თავყვანისცემა მთელ ევროპაში იყო გავრცელებული და ამ თავყვანისცემას განსაკუთრებით მოწმობს ორგვარი ძეგლი, ერთი ქანდაკი და მეორე წარწერა; გამოქანდაკებული ცხოველისაგან უკვე გამოყოფილი ღმერთია, ქალის სახით, მაგრამ მხედარი ქალის, ცხენზე შემჯდარის ან ცხენებით გარემოცულ ტახტზე მსხდომარის, წარწერაში კი ჩნდება სახელი არა „რესის“, არამედ „Eponia“, რომელიც აგრეთვე ღმერთი არის და ცხენსაც ნიშნავს. აქაური მეცნიერები მას ინდოევროპულ კელტურ სიტყვათ რაცხავენ კელტების ღვთაებათ. კელტების ღმერთი დიამ გახლდათ, მაგრამ მათი იაფეტელ წინაპრებიდან ნაანდერძევი, როგორც სახელი Eponia, უკანასკნელი ტოტემური სიტყვა არის, მისი ფუძე ეჟი, რადგან „ე“ თავში წინსართია, პრეფიქსი და „ა“ დასასრულს მდებრობითი დაბოლოვება, იგივე ფუძე ასეთ სახელების, როგორც ნუნ-ი ან ქან-ი და სხვა, ესანებ—სანანების ან ჰონ-იონების, და თან მისი ვარიანტია ქართული ძველ სამწერლო ენის სიტყვა „ჰუნე“ (← hon-e) ‘ცხენი’.

ამ ორ სიტყვით „რესით“, და „ეპონით“, და მათი ვარიანტებით, მათი სათავყვანისცემლო ნიეთიერათ გამოხატულ ქანდაკებით და წარწერებით მჭიდრო გაერთიანებულა მთელი იაფეტური მსოფლიოა ჩრდილო ნაჭერი კავკასიითურთ, რესს, ღმერთ—ცხენს, ეტრუსკთა ტოტენს განაარ აქვს მასაც სახე, მხის სახე, შაირობაზე მიმართული?

რა-შინ ან რახ-შენ იგივე ეტრუსკელი გმირია, აგრეთვე სიყვარულის მზე-გმირიც და მზე-მოშაირც.

ტრისტან-შე, დილის მზე, რიფ-რაფ; ტრისტან-ცხენი, რესი, რაქი, ტრისტან—მოშაირე, აქაც ტრისტან, ეტრუსკ ნათესავის ან რაც იგივეა, რეს ნათესავის ტოტემი, თეიათონ ტრისტან-რესი ვახლავს თავის თავგარდასავალთა ლექსათ მოაშე და აქიდან „ე ოეს-ი“<sup>1</sup> და „ლესკ“ სიტყვების მნიშვნელობა იაფეტელების ებოსში პრეზიანი ბასკურათ ereziak, მრავლობითი რიცხვი „ე-რეს“-ის ნიშნავს ‘chasons historiques’, უკვე დამტკიცებულია, რომ „პელასგ“ და „ეტრუსკ“ ერთი და იმავე ნათესავის სახელია; პირველის ფუძე „ლას“ ან „ლესგ“ ვახლავს, ახლა კავკასიაში „ლას-ი“ ძველად „ლეს-ი“, ძველათ „ლასკ-ი“ და „ლესკ“-ი სილანაც ქართული „ლესკ-ურ-ი“ ან „ლესკ-ურ-ი“. იარალი და ლესკური ცეცხლი, ცეცხლი, სინდრა, მესიკა, პოეზა, საზოგადოთ მოღბუნა-თამაში განუყოფელს ერთეულს შეადგენდა ისტორიის წინადასწრობილ ხანებში და ჩვენ, მეცნიერები ვცდებოდით რომ აქიდამავე არ ვაწარმოებდით ქართულ ლექსას. ბერძნულ სიტყვის ლექს რომ გაცნობიან ქართველები, კიდევაც შემოულიათ მისი ბუნებრივი მნიშვნელობით, მასთან შეუფარდებიან და გაუერთიანებიათ ორივე. ბერძნული სიტყვა არაფერს ვეაზია ჩვენი ლექსის წარმოშობაში, არც ნიშნავს ბერძნული „ლექსის“ შაიზს ან ლექსს. ქართული „ლექსი“-ი ნამდვილი იაფეტური ნათესაური ტერმინია, როგორც გალობის ფუძე, და მკვიდრი სიტყვა ვახლავს, პირველათ

<sup>1</sup>) ასეები „რ“ ბგერით ვერ იწყებენ სიტყვას, თავში ხმოვანი უნდა მოღმატონ სან-ხეზსაგით.

აღბათ «ღესკ-ია», რა გვარ საბით შემოწმებულთ არის ეს სიტყვა ზოგ კილო-  
კავურ ზეპირ ექმულ შაირებში.

ჩვენ ველარ შეწერდებით იმაზე, რომ დასავლეთ ევროპაში ოეს-ტრისტან-  
ებთან, ეტრუსკებთან არსებობდენ იაფეტურ ეპოსის დამცველ ტომათ გალ-  
სკალდები. „ბალ“ და „სკალ“ ეგრე ეფარდებიან ერთმანერთს, როგორც  
„კო“ და „სკო“, როგორც „კოლ“ და „სკოლ“, რაც შეეება „სკალდ“-ის და-  
ბოლოვებას „დ“-ონს, იგივე შავლოპიიის მანიშაა, რაც „ისოლდ“-ის საბე-  
ლის დასასრულს სასმენი „დ“-ონი. ამ გვართ, როგორც აღმოსავლეთში, ისე  
დასავლეთში გაღებს ნათესავურ ხელობათ ჰქონიათ შექმნილი იაფეტურ ეპოსის  
დაცვა, ეტრუსკები-რესები და კოლხები-გალები, პირველნი შემქნელნი და  
მულქსენი საკუთრად ტრისტან-ისოლდის სამიჯნურო ზღაპრის, მეორენი—  
მხოლოთ მგალობელნი ამ რომანის, მაგრამ ივინიც მონაწილენი მთელი იაფე-  
ტური ეპოსის როგორც ქართველი, მაგრამ ქართველნი წარმათის თაყანის-  
მცემელნი, გამომქმენიცი და შემქნელნიც ისოლდეს წარბოდგენილი ნათესავის  
ნამოქმედარის; რა ნათესავის? ჰალ-სალ-თა ან სარ-ფა და ჰალ-ქალთა ან წარ-  
ქართა ნათესავის ესე იგი „აღბან-სარმატების“ „ხალდე-ქართველებს“ ნათესა-  
ვის და მათი ტოტემის „წარმათ“-ის მშვენიერ ქალ-ღმერთის, ძლიერ ხელ-ღმერ-  
თის, უხვადა მწგალობელ წყალ-ღმერთის.

ისოლდე-ტრისტანის და ვის-რამინის ამბის გამოკვლევას ვწყვეტთ დაუმ-  
თავრებლათ, მაგრამ ჩვენი აზრი დამთავრებულა. ფრანგული-ირლანდულ-  
ინგლისური „ისოლდე და ტრისტანი“, სპარსული „ვის და რამინი“ ორივე  
იაფეტური ეპოსის, იაფეტურ პოეზიის წარმონაშობი ზღაპარია, ჯერ კიდევ  
ისტორიულ დროზე წინ დასწრებულ ხანებიდან მომდინარე თქმულება გახლავს.  
ის გახლავსთ კავშირთა, ესე იგი ბუნებისა ელემენტების და სტიქიების შესახებ  
კაცობრიობის პირვანდელი ღმერთების ამბავი. იგი მეომინდელი ნატეხია მრთელი-  
ანი იაფეტური ეპოსის, რომელსაც უკვე თავისი დახელოვნებულნი მთქმელნი  
და შექმნელნი ყავდათ. მთელი იაფეტური ნათესავები, ამ ნათესავთა შორის ქარ-  
თველები, დღემდის ვადარჩენილნი, არა თუ მართო თავის საკუთარი თელის  
სალურ-წარმართულის, თავის მოძმე თესლების კოლხ-გალების და ეტრუსკ-ელს-  
კების საერთო ეპოსის, კულტურის ერთათ ერთი ძველი მწიგნობრობითაც და-  
მცველი, წმინდა შეურყვნელი იაფეტელი ნათესავი ბძანდება, რომელს დღემდის  
მოუტანია ფასდაუდებელი მოწმობა კაცობრიობის პირვანდელ რწმენა-განათლე-  
ბის და ენის შესახებ თავის ცოცხალი ენითაც და ზეპირმეტყველებითაც. განა ამის  
შემდეგ შესაძლებელია, რომ ვეფხისტყაოსანის ახსნაში ძირველათ არ გამოიცი-  
ვალოს მეცნიერული ძიების გზა, მეთადი და სრულებით ახალი აზრი არა  
თუ წარმოითქვას, არამედ დაისაბუთოსკა? ცხადი არ არის, რომ მისი მნიშ-  
ვნელობა იზრდება, რადგან ქართველ ერის კულტურული შუბლი იზრდება და  
ფართოვდება შორეულ და მახლობელ ერებთან, შორეულ და მახლობელ ეპო-  
ქებთან შემაერთებულ სულ ახალ და ახალ რწმენა განათლების კავშირთან აღ-  
მოჩენით.



ქართული  
წიგნიერების  
კავშირები

ქართველი ერის კულტურული შებენი ფართოებები და კიდევაც სხვა-  
იმოსება. მსოფლიო მნიშვნელობის ძალი რომ შეუკრებია ძველათ, მის ამოჩენ-  
ხვას მეცნიერება ძლებულობს ჯერ ასოთაგან მარცვალთ და მარცვალთ სიტ-  
ყვით აწყობით კითხვას. მაგრამ ქართველი ერის აბლანდელი ცოცხალი წარ-  
მომადგენლობა შინაგან თავის თვისებებით, რეალური შეგნების ლტოლვით  
ამ თავის მსოფლიო ხასიათის მექონ კულტურის შესაფერ ფარგალზე იზრდება  
თუ არა?

ეს თქვენთვის მომინდვია სავასუბოთ.

მე, ჩემდა თავათ, მეცნიერების პირობაზე სათქმელს მოგახსენებთ. დიახ,  
რაც მოგახსენეთ, ზღაპარია. მაგრამ ცხოვრებაც ხომ ზღაპარია ხან საძაგელი  
ხან მშვენიერი, და ერთი უმშვენიერეს ზღაპართაგანი ხელოვნების ძმა მეცნიერ-  
ება გახლავთ. როგორც ცხოვრების, ვგრე მეცნიერული ზღაპრის რწმენით  
ვიკადრებ თქმას, რომ დღეს იქნება თუ ხვალ ქართული ენის შეუსწავლელათ  
და მის აღმოჩენილ საშუალებათ გაუცნობლათ ვერც ერთი კაცობრიობის კულ-  
ტურულ სიძველეთ საკითხი ვერ გადიჭრება, ვერც ერთი უნივერსიტეტი ჯუთვ-  
ნულ დარგში უქართულ-სავნოთ წარმოსადგენი ვერ იქნება.

## ჭიათურის შავი ქვის კონცესია

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების იმ ღონისძიებითა რიგში, რომელიც შიმარტულია სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტურ წარმოების განვითარებისაკენ, ჭიათურის შავი ქვის კონცესიას შეუძლია განსაკუთრებული როლი ითამაშოს.

საბჭოთა კავშირი, და კერძოთ საქართველო, თავისი ეკონომიური წყობილებით რადიკალურათ განსხვავდება კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან. წინააღმდეგ ინდივიდუალურ კერძო-კაპიტალისტურ მეურნეობისა, რომელიც გაბატონებულია ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში და რომელიც დამყარებულია მუშის ზედმეტ შრომის შითვისებაზე კერძო კაპიტალისტების მიერ, საბჭოთა კავშირში და საქართველოში ერთი მეორის გვერდით არსებობს ორი ფორმა, ორი წესი წარმოებისა: სოციალისტური და კერძო ინდივიდუალური. პირველი გაბატონებულია უმთავრესად ქალაქში, მრეწველობაში, მეორე-კი სოფელში, გლეხობის მეურნეობაში. პროლეტარიატის დიქტატურის არსებობის პირობებში, ე. ი., როცა სახელმწიფოს შთელი ძალა-უფლება მუშათა კლასის ხელშია, სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი წარმოადგენს ბაზას საზოგადოებრივ მეურნეობის განსავითარებლათ, სოციალიზმის განსახორციელებლათ. მაშინ, სოფლათ არსებულ კერძო ინდივიდუალურ წარმოებას-ან ნაშთს ძველი დრომოკმული მეურნეობისა—კიდევ შეუძლია, თუ ის ამ ფორმაში დავტოვეთ, გახდეს კერძო კაპიტალის დასაყრდნობ ბაზათ, ერთხელ დამარცხებულ, მაგრამ საესებით არ განადგურებულ კაპიტალიზმის კვლავ აღსადგენ ფაქტორათ. საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო ამოცანას შეადგენს ხელი შეუწყოს ქალაქათ სოციალისტური ელემენტების კიდევ უფრო გაძლიერებას და გაფართოებას, სოფლათ გლეხის მეურნეობის სოციალისტური გზით განვითარებას. ეს არის საბჭოთა ხელისუფლების სამოქმედო პროგრამა, მისი ეკონომიური პოლიტიკის არსი, თავი და ბოლო.

შეუძლია, თუ არა ჩვენ საბჭოთა კავშირს კაპიტალისტურ ქვეყნების დაუხმარებლათ ამ ამოცანის გადაჭრა, დღევანდელი მეურნეობის გარდამავალი ფორმის ნაცვლათ ნამდვილი სოციალისტური წარმოების შექმნა? ჩვენი კავშირის მომქმედ კლასებს შეადგენს პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა. მათ შესაძლებს არამც თუ თავისი ბურჟუაზიის ბატონობის დამბობა, მსოფლიო იმპერიალის-





ტების იერიშების მოგერიება და პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. იმათ მოახერხეს აგრეთვე, შედარებით მოკლე დროში, უცხო კაპიტალის დაუხმარებლათ, იმპერიალისტურ და სანოქალაქო ომის დროს დანგრეული მეურნეობის აღდგენა და გამაგრება. დღეს მრეწველობაში 70 პროცენტი ომის წინა დროის დონისა და სოფლის მეურნეობაში 85 პროც. უკვე მიღწეულია. ორიოდ წელიწადში ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობა ომის წინა დროის მდგომარეობას გადააჭარბებს.

პროლეტარიატს შეუძლია უცხო კაპიტალის დაუხმარებლათ, თავისი საკუთარი ძალ-ღონით, მშრომელ გლეხობასთან ერთად, შენდევშიც განავითაროს და განამტკიცოს სოციალისტური მეურნეობა, დაამუშავოს და განაყოფიეროს უამრავი მკვდარი დებული ბუნების სიმდიდრეები, მოქმედებაში მოიყვანოს მთელი ქვეყნის საწარმოო ძალები, მაგრამ ამას უნდა დიდი კაპიტალი და შედარებით მტკი დრო. და ეს მით უფრო, რომ კაპიტალისტებისაგან მემკვიდრეობით მიღებული ტენიკური ბაზა (ფაბრიკები, ქარხნები, ტრანსპორტი და სხვა) ერთ-ორ წელიწადში სავესებით უკვე გამოყენებული და ამუშავებული იქნება ჩვენ მიერ. რამდენათაც წინ მივდივართ და ვიზრდებით ჩვენ, იმდენათვე იზრდება და ფართოვდება მასშტაბი საპიროვნებათა და მოთხოვნილებათა, რომელთა სავესებით დაკმაყოფილება, კაპიტალის ნაკლებობის გამო, უფრო და უფრო ძნელი ხდება ჩვენთვის. სახელმწიფო ბიუჯეტს არ შეუძლია ყველა ამ მოთხოვნილებათა დროულად დაფარვა.

სოციალისტური წარმოება რომ უფრო დაჭარბებული ტემპით განავითაროთ, მეურნეობაში ახალი საწარმოო ძალები ივამოქმედოთ, დაშხადებული პროდუქტთა რაოდენობა გავადიდოთ და მით გაუარსოვებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეეძლოთ, საჭიროა, სხვა ზომებთან ერთად, უცხო კაპიტალის და განვითარებული ქვეყნების ტენიკურ ძალების გამოყენება

ერთი საშუალებათაგანი ამ მიზნის მისაღწევათ არის კონცესია. „რა არის კონცესია საბჭოთა სისტემაში ეკონომიურ თვალთა-ხედვის ისრით“, სვამს კითხვას ანხ. ლენინი და უპასუხებს: „ეს არის ხელშეკრულება, ბლოკი, კავშირი საბჭოთა, ე. ი. პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლების სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმთან, წინააღმდეგ წვილ - მესაკუთრეობრივ (პატრიარქალურ და წვილ-ბურჟუაზიულ) სტიქიისა. კონცესიონერი ეს კაპიტალისტი. ის აწარმოებს საქმეს კაპიტალისტურად, მოგებისათვის, ის გვერება ხელშეკრულებით პროლეტარულ ხელისუფლებას ინიტომ, რომ მიიღოს ზედმეტი მოგება, ჩვეულებრივზე ზედმეტი, ან და იმიტომ, რომ მიიღოს ისეთი ნედლი მასალა, რომლის ზოგნა მას არ შეუძლია, ან მეტად ძნელია. საბჭოთა რესპუბლიკის სარგებლობა გამოიხატება საწარმოო ძალების განვითარებაში, დამზადებულ პროდუქტთა რაოდენობის გადიდებაში დაუყონებლივ, ან უმოკლეს დროში. ჩვენ გვაქვს, ეთქვით, ასეული ასეთი და ასეთი სარეწავოები, მალაროები, ტყიანი ადგილები. ჩვენ არ შეგვიძლია ყველაფრის დამუშავება — არ გვეყოფნის მანქანები, სურსათი, ტრანსპორტი. ამავე მიზეზით ჩვენ ცუდად ვამუშავებთ დანარჩენ დარგებს. მსხვილ წარმოებათა ცუდად და არა საკმარის დამუშავებას შედეგით

ერყენული

წიგნი

მოსდევს გაძლიერება წვრილ—მესაკუთროებრივ სტიქიისა შინ უოველგვარ გამოხატულებაში: დასუტება გარშემო მყოფ (შემდეგ კი ყველასი) გლეხების მეურნობისა, ძირის გამოთხრა მისი საწარმოვო ძალების, საბჭოთა ხელისუფლებისადმი ნდობის დაცემა, მტაცებლობა და მასიური წვრილი (ყველაზე უფრო სახიფათო) სპეკულიაცია და სხვა.

კონცესიის სახით სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის „დანერგვით“ საბჭოთა ხელისუფლება აძლიერებს მსხვილ წარმოებას წინააღმდეგ წვრილისა, მოწინავეს წინააღმდეგ ჩამორჩენილისა, მანქანურს წინააღმდეგ ხელით მუშაობისა, ადიდებს მსხვილ ინდუსტრიის მიერ დამზადებულ პროდუქტთა რაოდენობას თავის ხელში (ანარქიზმი მთავრობის სასარგებლოთ), აძლიერებს სახელმწიფოებრივად მოწესრიგებულ ეკონომიურ ურთიერთობას წინააღმდეგ წვრილ-ბურჟუაზიულ—ანარქისტულისა. ზომიერათ და ფროზილათ წარმოებული საკონცესიო პოლიტიკა, უღპველათ, დაგვეზარება ჩვენ სასწრაფოთ გავუმჯობესოთ (რამოდენიმეთ) წარმოების მდგომარეობა, მდგომარეობა მუშების და გლეხების, — რასაკვირველია, რამოდენიმე მსხვერპლის გაღებით, კაპიტალისტების ათეულები და ასეულები მილიონი ფუთი უძვირფასესი პროდუქტების მიცემით. იმ ზომისა და პირობების განსაზღვრა, — რომლებშიდაც კონცესია ჩვენთვის ხელსაყრელია და არა სახიფათო, — დამოკიდებულია ძალთა განწყობილებისაგან, წყდება ბრძოლათ, ვინაიღვან კონცესიაც ბრძოლის სახეა, გაგრძელება კლასიურ ბრძოლის სხვა ფორმაში, და არავითარ შემთხვევაში არა შეცვლა კლასიურ ბრძოლისა კლასიური ზაით. ბრძოლის წესებს გვიჩვენებს პრაქტიკა.“

ამგვართ, თუმცა ჩვენ კონცესიის გაცემით ერთგვარ ხარკს ვაძლეეთ მსოფლიო კაპიტალიზმს დიდი მოგების, ჩვეულებრივზე ზედმეტი მოგების სახით, მაგრამ მიუხედავათ ამისა დღევანდელ პირობებში კონცესიის გაცემა ჩვენთვის სასარგებლოა, ვინაიღვან კონცესიის საშუალებით ჩვენ შემოგვაქვს ჩვენ ქვეყანაში გაუმჯობესებული ტექნიკა და შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმები, მოჭმედებაში მოგვყავს ახალი საწარმოვო ძალები, ვადიდებთ ქვეყნის შემოსავალს და ვაძლიერებთ სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის წინააღმდეგ წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიისა.

ყველა აქ ჩამოთვლილი პირობები მიღწეულია ქიათურის კონცესიაში დამატებით კიდევ იმისა, რომ ჩვენ ქვას, რომელიც სულ ერთავათ საექსპორტო საქონელია და რომლის გასალება დამოკიდებულია მსოფლიო ბაზრის ცვლადობისაგან, ჩვენ მოვეუბოვეთ მტკიცე, მუდმივი და ფართე ბაზარი ამერიკისა და ევროპის. ვიდრე ქიათურის კონცესიის პირობებისა და მის ეკონომიურ მნიშვნელობის განხილვას შევუდგებოდეთ ზედმეტი არ იქნება ვიკოდეთ, თუ ვინ არის ჰარიმანი, ვისაც ჩვენ კონცესია მივეცით, რა გარემოებამ მოიყვანა ის ჩვენ ქვეყანაში და როგორი იყო მდგომარეობა ქიათურის შავი ქვის წარმოებისა, როცა ჰარიმანთან დავიწყეთ ჩვენ მოლაპარაკება. ჰარიმანი არის ამერიკის მსხვილი საფინანსო კაპიტალის წარმომადგენელი, თვითონ არხიმოლონერი, ამერიკაში „რკინის გზის მეფეთ“ წოდებული, ათასნაირი საქმიანი-ფინანსიური და კომერციული—ძაფებით გადაბმული ამერიკის საფინანსო და სამრეწველო



სხვა „შეფეხებთან“, უმთავრესათ რკინისა და ფოლადის წარმოებების ტრესტებთან. თუ ჩვენში, და არა მარტო ჩვენში, მთელ ევროპაში, კაპიტალის ნაკლებობა და სიძვირეა, ამერიკაში, განსაკუთრებით ომის შემდეგ, კაპიტალი ბევრათ ბევრია და ამიტომ იაფი. ყველა ქვეყნების ოქროს მარაგზე, 50 პროცენტზე მეტი მარტო ამერიკაშია დაგროვილი. თუ ჩვენში კრედიტი—ფულის სესხი—ღირს 12—30%<sup>6</sup>, კერძო ბაზარზე აღის 60—80%<sup>6</sup>-მდე, ამერიკაში კრედიტის ღირებულება არ ასცილდება 4—6%<sup>6</sup>, ასეთ პირობებში, ცხადია, ამერიკის კაპიტალი ეძებს ისეთ ქვეყნებს, სადაც ის მეტ მოსაგებს ნახავს, უფრო ხელსაყრელ პირობებში დაბანდდება. ასეთ ქვეყნებს ეკუთვნის სხვათა შორის ჩვენი კავშირიც. მაგრამ არა მარტო ამ გარემოებამ მოიყვანა ჰარიმანის ჩვენში. ამერიკის პირველი ადგილი უჭირავს აგრეთვე მაღალ განვითარებულ ქვეყნებში, როგორც სამრეწველო ქვეყანას. განსაკუთრებით განვითარებულია ამერიკაში რკინისა და ფოლადის მრეწველობა. 61%<sup>6</sup> მსოფლიო ფოლადის წარმოებისა ამერიკის ხელშია. ჩვენს ხანაში რკინისა და ფოლადის მრეწველობა საუფუძველია ყოველნაირი მრეწველობის და უამისოთ მრეწველობის სხვა და სხვა დარგების განვითარება შეზღუდულია. ამერიკა პირველობას ამ დარგში არავის დაანებებს. ამისათვის კი აუცილებელია, რომ ფოლადის წარმოება უზრუნველყოფილი იყოს საქაო დიდი ვადით საქირო ნედლი მასალით. ფოლადის გამოშუშავება კი უშავიკვით შეუძლებელია. სწორეთ ამ გარემოებამ მოიყვანა უმთავრესათ ამერიკის კაპიტალი ჩვენში ჰარიმანის სახით.

საქართველო ცნობილია მთელ მსოფლიოში, როგორც ერთი უმდიდრეს ქვეყანათაგანი შავი ქვით.

ჭიათურის შავი ქვა წეიკავს გაცილებით მეტ ლითონს, ვიდრე სხვა ქვეყნების ქვა, დასაუშავებლათ ადვილია, თანაც პორტთან ახლო და ამიტომ საექსპორტოთ მოხერხებული. ორმოცი წელი იქნება დაახლოვებით, რაც ჭიათურის შავი ქვის საქმე მრავალ რიცხოვან კერძო ფირმებს უჭირავს ხელში, უცხოელ და ადგილობრივს, და მიუხედავათ ზემო აღნიშნულ ღირებებებისა, მისი მალაროებიდან ამოღება, ვარცხა, გადაწიდვა და მსოფლიო ბაზარზე გასაღება ამ დრომდე ხდება ნახევრათ პრიმიტიულით, მტაცებულრათ, უსისტემოთ და უგეგმოთ. არსებული გასარეცხი ქარხნები იმდენათ მოძველებული სისტემის არიან, რომ ვარცხის დროს 40 პროცენტამდე ქვა იკარგება და წყალს მიიქვს, ქვის გადატანა მალაროებიდან ქარხნებამდე და ქარხნებიდან რკინის გზის ბაქნებამდე წარმოებს მამაპაპიური ურნების საშუალებით, რის გამო 2-3%<sup>6</sup> ქვისა იკარგება, იბნევა გზაში; ცუდი ამინდის დროს კი სულ შეუძლებელი ხდება ქვის გადაწიდვა. ჭიათურის რკინის გზის შტო ვიწრო ლიანდაგიანია, რაც იწვევს ქვის შორაპანში გადატვირთვის, თანაც ეს შტო ბევრ ადგილას დაზიანებულია ვაგონები შემტვრეული და დაზარალებული, რის გამო აქაც იკარგება 2-3%<sup>6</sup> ქვა. გადატვირთვა ქვის ვაგონებიდან გემებზე ფოთში წარმოებს ხელით, რის გამოც გემის დატვირთვის უნდება ზედმეტი დროსა და ენერჯიის დახარჯვა.

ერთი სიტყვით, დამუშავება და გაწიდვა მსოფლიო წინაშეწელობის საქონელის-ჭიათურის ქვის, რომელსაც სამართლიანათ დიდი ხანია უნდა ეკიროს



ერყენული  
ხელმოწერა

თითქმის მონოპოლიური მდგომარეობა მსოფლიო ბაზარზე, ხდება ჩამორჩენილ დრომოკმულ ტექნიკურ პირობებში. ამის უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ კიათურაში მომუშავე კერძო ფირმები, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი, გარდა ერთი გელზენკირხენის საზოგადოებისა, რომელიც შეგნებულ საბოტაჟს ეწევა, ღარიბი არიან კაპიტალით და ამიტომ ძალა არ შესწევთ დააყენონ შავი ქვის წარმოება ფართე კაპიტალისტურ ნიადაგზე. ამავე მიზეზის გამო ქვის მსოფლიო ბაზარზე გასაღებაც ვერ არის საკმარის კაოვით დაყენებული. დღევანდელი ვაჭრობა არ არის უბრალო აღებ-მიცემობა, მოსული მუყიდველის დაკმაყოფილება. დღევანდელი ვაჭრობა—ეს იგივე ხელჩართული ბრძოლაა, ფასების ბრძოლა. ვაჭარჯეებულის ის რჩება, ვინც თავის საჭონელს უფრო იათ ფასებში მიაწვდის, ვინც ამავე დროს მეტ შეღავათს მისცენს მყიდველს კრედიტის გახსნით და სხვა დანარჩენი ხელსაყრელი პირობების შექმნით.

ყველა ამებებისათვის, ე. ი. იმისთვის რომ გავაძლიეროთ მსხვილი წარმოება წინააღმდეგ წერილისა, მოწინავე წინააღმდეგ ჩამორჩენილისა; მანქანური წინააღმდეგ ხელით მუშაობისა, გავადიდოთ შემოსავალი სახელმწიფოსი, გავზარდოთ ექსპორტი შავი ქვისა, საჭიროა დიდი კაპიტალი, გაუმჯობესებული ტექნიკა და შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმები.

გამოანგარიშებულია, რომ კიათურის შავი ქვის წარმოების და გასაღების ამერიკულ ნიადაგზე დასაყენებლათ, ე. ი. მსხვილი წარმოებისა და ფართე კომერციული გამსაღებელი აპარატის მოსაწყობათ საჭიროა არა ნაკლები 20 მილიონი მანეთისა. შეეძლო თუ არა ჩვენ მთავრობას დღევანდელ პირობებში, როცა მის ბიუჯეტს ატარებელი გადაუღებელი მოთხოვნები აქვს დასაკმაყოფილებელი, ჩავდო ნარტო ერთ დარგში—კიათურის შავი ქვის წარმოებაში ამოდენა თანხა? სამწუხაროთ არა, რადგან ჩვენ ჯერ კიდევ ღარიბი ქვეყანა ვართ. მაგრამ რომც მოეზრებებია მთავრობას ამ თანხის შოვნა და კიათურის წარმოებაში ჩადება, ეს უფრო ნაკლები მიზანშეწონილი იქნებოდა, ვიდრე კონცესიით გაკემა იმ პირობებში, რა პირობებშიაც ჩვენ ის ვადაყეით ჰარიმანს. რატომ? იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ამოდენა კაპიტალის ამორტიზაცია, ე. ი. დაფარვა, შესჯამდა-6-7 წლის შიერ ჩვენ შემოსავალს შავი ქვის წარმოებისაგან და მასადაამე ამ ხნის განმავლობაში მთავრობას არავითარი ხიერი არ იქნებოდა კიათურის შავი ქვისაგან. მეორე, რაც უმთავრესია, იმიტომ, რომ წარმოების ჩვენ ხელში დატოვებით ჩვენ გადაუკრელი გვრჩებოდა ერთი მეტათ მნიშვნელოვანი ამოცანა, რომლის სწორათ გადაჭრისაგან დამოკიდებულია მთელი ბედობალი ისეთი საექსპორტო საჭონლისა, როგორიც არის ჩვენი ქვა. მე სახეში მაქვს ჩვენი ქვის მსოფლიო ბაზარზე გასაღების საკითხი. ყველა ჩვენგანმა იცის, რომ კიათურის შავი ქვა ჩვენ კავშირში თითქმის არ იხმარება, ის თითქმის საესებით საექსპორტო საჭონელია, საზღვარ გარეთ იგზავნება გასაყიდათ. ამიტომ თუ მას ჩვენ ბაზარი არ მოვეუბოვეთ, ისე მას არავითარი ღირებულება არ აქვს, მკვდარი კაპიტალია.

კიათურის მარგანეკმა შესდლო წლებთა განმავლობაში დაეკირა მსოფლიო ბაზარზე საპატიო ადგილი. ამის წინა წლებში კიათურის ქვის ექსპორტი



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ფარავდა 35 პროცენტამდე მსოფლიო მოთხოვნილებას; ომის წინამორბედ წელში—1913,—როცა ყველა კაპიტალისტური ქვეყნები აპირებდნენ დღეს-ხვალ ომის დაწყებას, ეს პროცენტი ავიდა 50-დე, როცა საზღვარ-გარეთ გატანილ იქნა 65.000.000 ფუთი ქვა. ეს არის უმაღლესი ციფრი კიათურის შავი ქვის ექსპორტის ისტორიაში, მიღწეული ასეთ არა ჩვეულებრივ მომენტში, როგორც არის ომის წინადადებები. რაც შეეხება საშუალო რაოდენობას კიათურის ქვის ექსპორტისა ომის წინა—10 წლის განმავლობაში—1904 ვიდრე 1914 წლამდე, ის უდრის მხოლოდ—33.000.000 ფუთს წელიწადში. ასეთი იყო სურათი ომის დაწყებამდე. ომის დაწყების შემდეგ 1914 წლიდან ვიდრე 1924 წლამდე ჩვენი ქვა მოწედა მსოფლიო ბაზარს. ამ ხნის განმავლობაში კიათურის ქვის ადგილი მსოფლიო ბაზარზე დაიჭირა სხვა მეტოქე ქვეყნების ქვამ, განსაკუთრებით ინდოეთმა, ბრაზილიამ, აფრიკამ და სხვამ. ამას გვიმტკიცებს შემდეგი ციფრები. შავი ქვის მსოფლიო დამუშავება 1914 ვიდრე 1922 წ. ე. ი. იმ 8 წლის განმავლობაში, როცა კიათურის შავი ქვა ომის გამო მოწვეტილი იყო მსოფლიო ბაზარს, უდრის 12.000.000 ტონს; ამ რაოდენობიდან ჩვენ მეტოქე ქვეყნებზე მოდის 10.000.000 ტონი, ე. ი. 83%<sup>ა</sup>, საქართველოზე კი რუსეთთან ერთად მხოლოდ 2.000.000 ტონი, ე. ი. სულ—17%<sup>ა</sup>. კერძოდ ამ ხნის განმავლობაში ბრაზილიამ ოთხჯერ გააძიდა ქვის დამუშავება და გაზიდა (122.000 ტონიდან 1913 წელში 512.000 ტონამდე 1917 წ.); ინდოეთმა დაამზადა და გაიტანა ზემო აღნიშნულ წლებში 5.300.000 ტონი, რაც წლიური საშუალო რიცხვით შეადგენს 588.000 ტონს, მაშინ, რაც საშუალო რაოდენობა ომის წინა 10 წლის განმავლობაში შეადგენდა 568.000 ტონს წელიწადში; აფრიკამ (ოქროს ნაპირი), სადაც ქვა პირველად 1914 წელში აღმოაჩინეს, ქვის დამუშავება და ექსპორტი ასწია 4.000 ტონიდან 1916 წელში 200.000 ტონამდე 1924 წელში; თვითონ ანეროკამ, რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს მარგანეცის მოხმარებაში, თავის დაბალ ხარისხიანი მარგანეცის დამუშავება ერთი ოცდახუთათ გააძიდა ამ ხნის განმავლობაში, ასწია რა 55.000 ტონიდან 1913 წელში 1.200.000 ტონამდე 1918 წელში და ამით 62 პროცენტამდე თავისი მოთხოვნილებისა დაიკმაყოფილა.

მიუხედავად ამისა მარგანეცის ბაზარი, კიათურის შავი ქვის ბრუნვიდან გამოთიშვის გამო, მაინც არ არის გამძლარი და ის განიცდის ქვის ნაკლებობას, დეფიციტს.

ეს იმას გვეუბნება რომ კიათურის მარგანეცი მეტად სერიოზული ფაქტორია მსოფლიო ეკონომიკაში, რომ დღევანდელ პირობებში უანისოთ მსოფლიო ფოლადის წარმოების ნორმალური განვითარება ძალიან ვასაპირია, მაგრამ ამავე დროს დიდი შეცდომა იქნებოდა ისიც, რომ გვეფიქრა, როგორც ამას ჩადიან ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები, თითქოს კიათურის ქვა მონოპოლიური საქონელი იყოს, რომ თუ არა კიათურის ქვა, ფოლადის წარმოება საფრთხეში ჩავარდებოდა და გამოსავალი არ ექნებოდა. როგორც ზევით დავინახეთ, მიუხედავად კიათურის ქვის გაზიდავის სრულიად შეწყვეტისა, ომის დროს, მსოფლიო ფოლადის წარმოებამ ნიახერხა მთელი 8 წლის განმავლობაში კიათურის

ერყენული  
ზნელონიქია

ქვის გარეშე დაეფარა თავისი მოთხოვნილება და მოთხოვნილება კიდევ უფრო დიდი, ომით გამოწვეული, ვიდრე ეს ონამდე იყო. ეს კი შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ შავი ქვის მადანი ყველაზე უფრო გავრცელებული მადანია ქვეყანაზე და ქიათურის გარდა ის ბლომათ მოიპოვება აგრეთვე სხვა ქვეყნებშიც: ინდოეთში, ბრაზილიაში, აფრიკაში, სამხრეთ რუსეთში, ამერიკაში, კუბის კუნძულზე, იავაზე, ისპანიაში, საბეონეთში და სხვა ბევრგან. ეს გარემოება, რომელიც ომის წლებში საესებით ცხადყო, ერთ წამსაც არ უნდა გვავიწყდებოდეს ჩვენ, როცა ქიათურის შავი ქვის მომავალზე და პერსპექტივებზე ვფიქრობთ.

მეორე გარემოება რომელზედაც გვითითებს ჩვენ შემოაწყვანილი ციფრები და ცნობები, ეს არის ომით გამოწვეული მარგანეცის წარმოებაში ახალი გაძლიერებული კაპიტალის შეჭრა ქიათურის მეტაქე ქვეყნებში. ჩვენ დავინახეთ ზევით, თუ რამდენად ვაიზარდა ქვის დამუშავება ბრაზილიაში, ინდოეთში, აფრიკაში, ამერიკაში, რომლებმაც შესძლეს ქიათურის ადგილის უმეტეს ნაწილის დაკავება მსოფლიო ბაზარზე. მართალია, 1923 წლიდან ქიათურა კვლავ გამოდის ბრძოლის ველზე—მსოფლიო ბაზარზე—თავისი დაკარგული პოზიციების უკან დასაბრუნებლათ და ახალის დასაჭერათ; ეს მან მოახერხა კიდევაც იმდენათ, რომ 1924 წელში თავის ექსპორტი აიყვანა 30.000.000 ფუთამდე, ე. ი. მიღწია თითქმის ომის წინა დონეს, მაგრამ ეს მოხდა არა იმდენად ბრაზილია-ინდოეთ-აფრიკის ხარჯზე, რამდენათაც სხვა პატარა ქვეყნებისა და უმთავრესათ კი იმ ზემოაღნიშნულ დეფიციტის ხარჯზე, რომელსაც განიცდის მარგანეცის ბაზარი. იმიტომ ძალიან საეჭვოა, რომ შემდეგი გაფართოვება პოზიციებისა და ახალის დაქერა უბრძოლველათ დაანებონ ქიათურას იმ ძლიერ და გავლენიან კაპიტალისტურ ჯგუფებმა, რომლებიც დაინტერესებული არიან ინდოეთში, ბრაზილიაში, აფრიკაში. პირიქით უნდა ვიფიქროთ, რომ ბრძოლას ვერ აესციდებით, ამ ბრძოლაში კი ვადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება კაპიტალის სიძლიერეს, გაუმჯობესებულ ტექნიკას და გავლენას ბაზარზე. და ბოლოს, კიდევ ერთი გარემოება უნდა გვკონდეს ჩვენ მხედველობაში, როცა ერთი მეოროეს ვუპირდაპირებთ ქიათურის კონცესიის სასარგებლო და საწინააღმდეგო არგუმენტებს. ეს არის ის დამოკიდებულება, ის პოზიცია, რომელსაც აშეკარათ, თუ ღაბულათ, ადგია ყველა კაპიტალისტური ქვეყნები საბჭოთა კავშირთან საქმიანი ურთი-ერთობის დაქერის დროს და რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ-უნდობლობა, იჭვი. კაპიტალისტი, თუ ამოსარჩევი აქვს, არჩევს კაპიტალისტთან დაიპიროს კომერციული საქმე, მისგან იყიდოს საქონელი, ცოტა თუნდაც უფრო ძვირათ, ვიდრე ჩვენგან, რომელიმე საბჭოთა ორგანოსაგან. ჩვენთან მოდის ბოლოს, მას შემდეგ, როცა სხვაგან ვერ იშოვა ის, რაც მას ესაჭიროება ან და იშოვა, მაგრამ ძალიან ძვირია. პარიზისაგან უფრო მეტს იყიდიან მარგანეცის მომხმარებელი კაპიტალისტები ქიათურის ქვას, ვიდრე არკოსისაგან იმავე ქვას. ყოველივე კაპიტალისტი ცდილობს თვისი მოთხოვნილება ჯერ სადმე სხვაგან დაკმაყოფილოს, თუ ეს შესაძლებელია. თუმცა არავითარი რეალური საფუძვე-



ერეკნული  
მეცნიერება

ლი ამ ფსიქოლოგიურ მომენტს—უნდობლობას—არ აქვს, მაგრამ ეს ფაქტია. ამას მოწმობს ჩვენი საზღვარ გარეთის სავაჭრო წარმომადგენლების პრაქტიკაც.

ყველა ეს გარემოების გათვალისწინება უშუალოთ სეამს ჩვენს წინაშე ქიათურის მარგანეცის გასაღების, მისთვის ფართე, მუდმივი ბაზრის მოპოვების საკითხს. გასაღების პრობლემა—აი ის ამოცანა, რომლის მოხერხებული გადაჭრისაგან დამოკიდებულია ეკონომიური განვითარება და წარმატება ყოველივე ქვეყნისა, სადაც საქონლის წარმოებაა გაბატონებული. ამ კონცესიით ეს უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი პრობლემა—პრობლემა ქიათურის შავი ქვის ფართე და დიდი რაოდენობით გასაღებისა გადაჭრილია. ვისაც ამ კონცესიის მნიშვნელობის დაფასება უნდა, იმან უნდაფრესათ სწორეთ ამ თვალთახედვის ისრით უნდა გასინჯოს საკონცესიო ხელშეკრულება.

თუ ამ თვალთა ხედვის ისრით გავსინჯავთ ჩვენ ამ ხელშეკრულებას, ჩვენ წარმოგვიდგება თვალწინ ერთი დიდი კომერციული შეთანხმება ამერიკულ ფირმას, ჰარიზამსა და მთავრობის შორის ქიათურის შავი ქვის გაყიდვის შესახებ. ამ შეთანხმებაში აღნიშნულია: 1) რაოდენობა გაყიდული ქვისა, 2) ფასი, 3) ვადა, რომელშიაც გაუანდ უნდა იქნას გაყიდული ქვა და 4) ჯარიმა, რომელსაც იხდის კონცესიონერი შეთანხმების დარღვევისათვის. მაგრამ ეს საკონცესიო შეთანხმება იმით განსხვავდება საქონლის უბრალო გაყიდვის შეთანხმებისაგან, რომ ამ უკანასკნელის საგანს შეადგენს უკვე დამზადებული და დამუშავებულ საქონელის გაყიდვა, ქიათურის შავი ქვის საკონცესიო შეთანხმებაში კი გაყიდული საქონელი არ არის მზათ, ის ჯერ კიდევ ქიათურის რაიონის დედამიწაშია ჩამარბული მადანის სახით, ეს მადანი ამოღებულ უნდა იქნას მალარობიდან დედამიწის ხუდაპირზე. ვაცხრილული, გარეცხილი, ვაგონებში ჩატვირთული, ფოთში ჩატანილი, გემში ჩატვირთული და გატანილი საზღვარ-გარეთ. ყველა აქ ჩამოთვლილი სამუშაოები უნდა მოიმკმედოს კონცესიონერმა თავის ხარჯზე და თავის საშუალებით, მთავრობა მას მხოლოთ უფლებას აძლევს მუშაობისა და მოკმედებისას. ყველაფერი ეს რომ შეასრულოს კონცესიონერმა, ე. ი. ამოიღოს ქვა მალარობიდან, გარეცხოს ის, გადაწილოს და გაიტანოს, საჭიროა მუშა ხელის დაქირავება, გასარეცხი ქარხნების, რკინის გზის და გადასატვირთი მოწყობილების აწენება და გაკეთება. ამიტომ საკონცესიო ხელშეკრულებაში გარდა ზემოაღნიშნულ პირობებისა ნაჩვენებია აგრეთვე: 5) თუ რა და რამდენი ღირებულების უნდა იაშენოს კონცესიონერმა და 6) რა წესით უნდა ხდებოდეს მუშა ხელის დაქირავება.

11 თვე ვასტანა მოლაპარაკებამ კონცესიონერსა და მთავრობის წარმომადგენლებს შორის. ეს მოლაპარაკება ბრძოლას უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ მოლაპარაკებას. ბრძოლა უიარალო იყო, რასაკვირველია, მაგრამ ბრძოლის ყველა წესები და ხერხი იყო ნახმარი ორივე მხარის მიერ: დახვერა, მოწინააღმდეგის ძალების აწონ-დაწონა, შეტევა, იერიში, უკან დახვევა, გვერდიდან მოვლა, დემონსტრაცია, ვალმის გადაღება გამოღმის შესანარჩუნებლათ და სხვა. უმთავრესი ბრძოლა წარმოებდა ზემო აღნიშნულ პირობის გარშემო, რადგან ამ პირობებს გადაამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა ჩვენთვის. ამ პირობე-





ბის გაცნობით ჩვენ ვაფრთხილებით მთელ კონცესიას, მის ეკონომიურ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისათვის.

განვიხილოთ ეს პირობები.

1) პირველი პირობის თანახმად კონცესიონერი ვალდებულია კონცესიის ვადაში, ე. ი. 20 წლის განმავლობაში, ამოიღოს, გარიცხოს და გაიტანოს არა ნაკლები 16.000.000 მშრალი ტონა (ტონა 62 ფ.) ქვის, ე. ი. 1.27.000.000 ფუთი სველი ქვისა, ანუ საშუალოდ წელიწადში არა ნაკლები 800.000 მშრალი ტონისა, რაც უდრის 56.000.000 ფუთ სველ ქვის წელიწადში.

2) მეორე პირობის თანახმად კონცესიონერი იხდის მთავრობის სასარგებლოდ ყოველ ვადატანილ მშრალ ტონაში (62 ფ.) პირველ სამ წელიწადს 3 დოლარს, შემდეგ წლებში 4 დოლარს. ეს გადასახადი გამოანგარიშებულია იმ ფასების მიხედვით, რომელიც ეხლა არსებობს მსოფლიო ბაზარზე და რომელიც საკმაოდ მაღალია ომის წინა წლებთან შედარებით. ამ ვალდებულების მნიშვნელობა ჩვენთვის იმაში გამოიხატება, რომ აქ კონცესიის მთელი ვადით, ე. ი. 20 წლით, განსაზღვრულია მტკიცე სატონო გადასახადი (3 და 4 დოლარი), რომლის შემცირება კონცესიონერს არ შეუძლია მაშინაც კი, როცა ბაზარზე ფასი დაეცემა. ასეთი დაცემა კი შესაძლებელია მოხდეს. ამგვარად ფასების ცვალებადობის „რისკი“ კონცესიონერს აწევს კისერზე. გარდა ამისა მთავრობას წილი უდევს აგრეთვე ნოვებამში: თუ საშუალო ფასი ერთი ტონისა ყოველი წელიწადის განმავლობაში გაყიდულ რაოდენობიდან გადააჭარბებს 21 დოლარს, — 50 პროც. სალდო კრედიტისა მთავრობას ეძლევა.

ეს ორი პირობა ყველაზე უმთავრესი და უმნიშვნელოვანესია ჩვენითვის რადგან ისინი ერთი მხრით სწორედ სწვევტენ ჩვენ მიერ ამ კონცესიაში დასახულ ამოცანას — ქიათურის შავი ქვის დიდი მასშტაბით გასაღების საკითხს, — მეორე მხრით მათით განისაზღვრება ის მინიმუმი შემოსავლისა, რომლის მოცემა მთავრობისა და ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის უზრუნველყოფილია ამ კონცესიით.

როგორც ხევათ უკვე იყო აღნიშნული, პირველი მუხლის თანახმად კონცესიონერი ვალდებულია ამოიღოს და გაიტანოს ყოველწლიურად საშუალოდ არა ნაკლები 800.000 მშრალი ტონისა, ე. ი. 56.000.000 ფუთი სველი ქვისა. სილიუსტრაციით იმისა, თუ რამდენად დიდია ეს კონცესიონერზე დაკისრებული მინიმუმი ექსპორტისა, აღვნიშნავთ აქ, რომ ექსპორტი ქიათურის ქვისა 16 წლის განმავლობაში, დაწყებული 1905 წლიდან ვიდრე 1925 წლამდე (გამოკლებით ომის ხუთი წლებისა, როცა ქიათურის ქვის გატანა თითქმის შეჩერებული იყო) უდრის 463.000.000 ფუთს, რაც შეადგენს საშუალოდ წელიწადში დაახლოებით 29.000.000 ფუთს. ეს ციფრი ორჯერ ნაკლებია შემონაჩვენებ საექსპორტო მინიმუმზე. ამგვარად კონცესიის ვაცემით ჩვენი სახალხო მეურნეობის შემოსავალი ქიათურის შავი ქვის წარმოებიდან სულ ცოტა ორჯერ უფრო მეტი მინც იქნება, ვიდრე ეს ამ დრომდე იყო. ერთი ორად გაიზრდება მთავრობის შემოსავალი, ერთი ორად გაიზრდება ტრანსპორტი ქვისა



ეროვნული

საპროცესო

რკინისგზით ქიათურიდან ფოთამდე, ერთი ორათ აიწვევს წარმოებაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი. ციფრებში რომ გამოვხატოთ ეს შემოსავალი მივიღებთ, შემდეგ:

თვითღირებულება ერთი ტონა ქვისა ფოთში ჩატანილი და გემზე დატვირთული (აქ შედის მუშების ხელფასი, ანარიცხი მთავრობის სასარგებლოთ, ფრაბტი ფოთამდე და სხვა) შეადგენს დაახლოვებით 10 დოლარს, ეს მოგვცემს 800.000 ტონზე—8,000.000 დოლარს, ანუ დაახლოვებით 16.000.000 მანეთს წელიწადში.

აქედან მთავრობის ანარიცხი შეადგენს დაახლოვებით 6 მილიონ 300.000 მანეთს, მუშის და მოსამსახურის ხელფასი დაახლოვებით 8 მილიონ მანეთს და რკინის გზის ფრაბტისთვის დაახლოვებით 1.700.000 მანეთს.

აი ის მინიმუმი სახალხო მეურნეობის შემოსავლისა, რომელიც უზრუნველყოფილია საკონცესიო ხელშეკრულებით, მაგრამ არ არის საჭირო, მე ვფაქრობ, იმის მტკიცება, რომ, როცა კონცესიონერი გარანტიას იძლევა 800.000 ტონის მინიმუმისა, მისი გვემა და მოსალოდნელი მაქსიმუმი ექსპორტისა ვაცილებით უფრო დიდი იქნება იმ ციფრზე და ეს არა იმიტომ მხოლოდ, რომ კონცესიონერი ვალდებულია მიიღოს ყოველივე ზომები, რათა ქიათურის ქვა გაასალოს, რაც შეიძლება მეტი.

აქ სხვა უფრო ძლიერი ფაქტორები მუშაობენ, ვიდრე ეს ვალდებულება.

ომის წინ ფოლადის წარმოებაში ამერიკას მესამე ადგილი ეკირა. ომის შემდეგ, როგორც ფინანსური, ისე სამრეწველო ცენტრი, კონტინენტიდან ამერიკაში გადავიდა. კერძოთ ფოლადის წარმოებაშიაც ამერიკამ პირველი ადგილი დაიჭირა: დღეს 61 პროც. მთელი მსოფლიო ფოლადის წარმოებისა ამერიკის ხელშია. ამის მიხედვით შავი ქვის მოხმარებაშიაც, რომელიც მსოფლიო მასშტაბით დღეს დაახლოვებით 2.000.000 ტონს უდრის წელიწადში, ამერიკამ პირველი ადგილი დაიჭირა: მისი ფოლადისა და ქიმიური წარმოება ხმარობს მეტ მარგანესს, ვიდრე ინგლისი და გერმანია ერთად აღებული. თუ მივიღებთ მხედველობაში ერთის მხრივ იმას, რომ მსოფლიო ფოლადის წარმოება, რომელიც ჯერ კიდევ უკან სდგას ომის წინა წლებთან შედარებით, თანდათან იზრდება და ვითარდება ყველა სამრეწველო ქვეყნებში და უფრო მეტათ კი ამერიკაში; მეორე მხრივ, რომ შავი ქვის წარმოების მთელი საქმის მსხვილ კაპიტალისტურ ნიადაგზე დაყენებით შესაძინევით შენეირდება თვით-ღირებულება ქვისა, რაც შესაძლებლათ გახდის ქიათურაში ქვის გათხევას სხვა ქვეყნებთან შედარებით, ჩვენ შეგვიძლია დავესკვნათ, რომ მოხმარება და გაზიდავა ჩვენი ქვისა საზღვარ გარეთ ბევრათ გადააცილებს კონცესიონერის მიერ უზრუნველყოფილ საექსპორტო მინიმუმს—800.000 ტონს. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ საკონცესიო წარმოების გაზლისა და ბაზრის თანდათანობით დაპყრობის პროცესში მაქსიმუმი ექსპორტისა სულ ადვილათ შეიძლება ავიდეს საშუალოთ 1.200.000 ტონამდე წელიწადში. ეს კი ნიშნავს ორიშოცდა ათი პროცენტით ვადიდებას უზრუნველყოფილ მინიმუმის შემოსავლისა, ე. ი. ფაქტური შემოსავალი მთელი სახალხო მეურნეობისა ამ კონცესიიდან უნდა ვიანგარიშოთ საშუალოთ არა ნაკლები 24-25.000.000 მანეთისა წელიწადში.

აქედან მთავრობის ანარიცხი იქნება 9.500.000 მანეთი, მუშის ხელფასი დაახლოვებით 12.000.000 მან. და რკინის გზის—დაახლოვებით 2.500.000 მან.



ამ კონცესიის გაცემით პარიზის ფირმაზე ჩვენ სამუდამო უზრუნველყოფით ქიათურის ქვა ამერიკის ფართე ბაზრით და მით შეუძლებელი გავხადეთ ამ ბაზარზე აფრიკის, თუ ინდოეთის, თუ სხვა მეტოქე ქვის გაბატონება. იქვე გარეშეა, რომ ევროპის ბაზარზედაც, სადაც ჩვენ ქვას დიდი ხანია მოპოვებული აქვს მტკიცე მდგომარეობა და სახელი, ის შემდეგნაირად შეინარჩუნებს ამ მდგომარეობას.

ამ გვარათ ეს უუშთავრესი, უუმნიშვნელოვანესი საკითხი ქიათურის შავი ქვის საქმეში—საკითხი ქვის დიდი რაოდენობით გასაღებისა, მისი მუდმივი ფართე ბაზრით უზრუნველყოფისა. ამ კონცესიით გადაჭრილია, დღევანდელ პირობებში საწყეთაყთო გადაჭრილია.

ამ პირობის შესრულება—წელიწადში საშუალოთ 56 მილიონი ფუთი ქვის ამოღება და გასაღება—შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქიათურის ქვა მოახერხებს თავისი სიახლით განდევნოს მსოფლიო ბაზრიდან თავის მეტოქე ქვები და მათი ადგილი თვითონ დაიკიროს. თვითღირებულების შემცირება, ქვის გაიაფება ეხლანდელ ფასებთან შედარებით, შესაძლებელია მხოლოდ ქიათურის შავი ქვის მთელი წარმოების ტექნიკურათ და ორგანიზაციულათ მსხვილ კაპიტალისტურ ნიადაგზე დაყენებით. ამიტომ კონცესიონერი პირობას იძლევა:

1) პირველ 3 ნახევარ წლის განმავლობაში იაშენოს ქიათურაში ქვის გასარეცხათ ისეთი ქარხნები, რომლებზედაც ქვის დაკარგვა გარეცხის დროს მინიმუმამდე იქნება დაყვანილი; მოაწყოს ქიათურაში მექანიკური ტრანსპორტი ქვის გადასაზიდვად მაღაროებიდან ქარხნებამდე და ქარხნებიდან რკინისგზის ბაქნებამდე; გაიყვანოს პირველ ხუთი წლის განმავლობაში საჩხერე-ზესტაფონს შუა ფართელიანდავიანი რკინისგზა ნაცვლად ახლანდელი ვიწროლიანდავიანისა; მისცეს მას სათანადო რაოდენობა ძლიერი ორთქლმაცლებისა და 2000 ფუთის ტვირთშიდეველი ვაგონებისა და მთელი ეს რკინისგზა თავისი მოწყობილობებით აშენების შემდეგ უსასყიდლოთ გადასცეს მთავრობას საექსპლოატაციოთ; შეაგეთოს და ვაამაგროს მაგისტრალური ხაზი ზესტაფონიდან ფოთამდე ისე, რომ მას შეეძლოს ყოველწლიურად გადაიტანოს 120.000.000 ფუთი ქვა; ააგოს ფოთში ქვის გემზე მექანიკურად დასატვირთი ელევატორი. ყველა ამ მუხლში ჩამოთვლილ აღმშენებლობაზე კონცესიონერმა უნდა დახარჯოს იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლები 4.000.000 დოლარისა, ე. ი. 8 მილიონ მანეთისა.

2) კონცესიის ვადის ვათავების, ე. ი. 20 წლის შემდეგ, ყველა კონცესიონერზე ვადაცემული ქონება და მის მიერ აგებული მოწყობილობები და გაუმჯობესებები უსასყიდლოდ ვადადის მთავრობის საკუთრებაში და უფლებაში, კონცესიის ვადა ვანსაზღვრულია 20 წლით.

მეტად მნიშვნელოვანია ვალდებულება, რომელიც ებება მუშების დაქირავების პირობებს.

ამ ვალდებულებების თანახმით კონცესიონერი მოვალეა სავსებით დაემორჩილოს საბჭოთა შრომის კანონებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შრომის ექსპლოა-



ტაციაში კონცესიონერის მიდას მტკიცე სახლვარი აქვს დადებული. ხელფასისა და შრომის სხვა პირობების განმომუშავება სავსებით დამოკიდებულია ურთიერთ შეთანხმებაზე მუშებსა და კონცესიონერს შორის.

საკონცესიო წარმოებისათვის საჭირო მუშები კონცესიონერი ვალდებულია აიყვანოს საბჭოთა საქართველოს მოქალაქეების რიცხვიდან; მას უფლება აქვს მხოლოდ კვალიფიციური მუშების რაოდენობის 15 პროც. სახლვარგარეთიდან მოიწვიოს. უმაღლესი ადმინისტრაციის მოწვევის საქმეში კონცესიონერი იმითაა შესლუდული, რომ ის ვალდებულია ყოველ დარგში იყოლიოს სპეციალისტები საბჭოთა მოქალაქეებიდანაც.

კონცესიონერი ვალდებულია აწუშაოს საკონცესიო წარმოებაში, შესავერი ხელფასის მიცენით, სტუდენტი-პრაქტიკანტები და უმაღლეს ტენიკურ სკოლის კურს დამთავრებულნი-მთელი მუშა-მოსამსახურეთ რაოდენობის 2 პროც.

დაბოლოს უკანასკნელი ვალდებულება, რომელიც ებება იმ პასუხის-შვებლობას, რომელიც აწვეს კონცესიონერს საკონცესიო ხელშეკრულების დარღვევისათვის. ყველა შემოადნიშნული პირობები და ვალდებულებები ცალიერო სიტყვები იქნებოდა, რომ ხელშეკრულება უსრულველყოფილი არ იყოს სათანადო მატერიალური პასუხის მეგებლობით. თუ კონცესიონერმა დაარღვია ხელშეკრულება ან მოინდომა ვადის ვათავებამდე თავის დანებება კონცესიისთვის, ის ვალდებულია ყველა ქარხნზე, ტრანსპორტი, რკინის გზა და გემებში ჩასატვირთი მექანიკური მოწყობილება, ე. ი. ყველავერი ის, რაც კონტრაქტის თანახმათ უნდა ააშენოს და ააგოს მან და რომელთა ღირებულება უნდა უდრიდეს არა ნაკლებ 8 მილიონ მანეთს, შესასყიდლოთ დაუტოვოს მთავრობას.

ამ გვართ ჭიათურის კონცესიით ამერიკელებზე ვაცემით ჩვენ შევეძლიათ:

1) ისეთი საჭიონის გაყიდვა, რომელიც ჩვენ შინამრუწველობას არ ესაქიროება და რომელიც, თუ მას სახლვარ გართ მომხმარებელი და მუიდველი არ ვუშოვეთ, ჩვენთვის მეკადარ კაპიტალს წარმოადგენს, 2) ჩვენი ქვის ისეთ ქვეყნის ბაზართან ვადაბმა: და დაკავშირება, რომელიც მისი ყველაზე დიდი მომხმარებელია, 3) მისი ისეთ ფირმებზე მიყიდვა, რომელიც კაპიტალით და ვავლენით ერთი უძლიერესთაგანია მთელ ამერიკაში და ევროპაში და ამიტომ მას საშუალება აქვს ქიათურის შავი ქვის წარმოება და ვასალება ისე მოაწვიოს, რომ მომავალ აუცილებელ ბრძოლაში მეტოქეებთან გამარჯვებული გამოვიდეს და ჩვენ ქვას ვაბატონებული ნდგომარეობა შეუქმნას მსოველიო ბაზარზე, 4) ჩვენი ქვის გაყიდვა ისეთი დიდი რაოდენობით, როგორიც ჩვენ არცა როდის არ მოგვიღწევი წარსულში და მომავალშიაც, საეჭუთა, რომ მიგველწია, 5) ასეთი დიდი რაოდენობის და ხელსაყრელ ფასებში ვაყიდვით ჩვენ შევეძლით ერთი-ორით და სამათ ვგვეწია ქვეყნისა და მთავრობის შემოსავალი, ერთი-ორათ და სამათ ვავგვიდებთა წარმოებაში ჩაბმული მუშათა რიცხვი, ცხოვრებაში გამოგვეწვივა ახალი საწარმოო ძალები და 6) ბოლოს ამ კონცესიით ჩვენ ვადავწყვიტეთ კიდევ ერთი ფრიად შინაშენელოვანი საკითხი, რომლის მოგვარება არ მოხერხდა აქამდე. ეს არის პეროქსიდის ექსპორტის საკითხი. ჩვენი შავი ქვა თავისი თვისებით ისეთია, რომ ის მარგანესაც შეიცავს და პეროქსიდსაც

( $\text{CO}_2$ ); ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ პეროქსიდზე საკმაოდ დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიო ბაზარზე და მისი ფასები ორჯერ-სამჯერ უფრო დიდია მარგანეცის ფასებზე, მუიდეულები სარგებლობენ ჩვენი ქუის ასეთი თვისებებით ყიდულობენ გარეცხილ ქვას და მას პეროქსიდით იყენებენ. ამის გამო პეროქსიდის გაყიდვა მინიმალური იყო მედამ.

ამ საკონცესიო ხელშეკრულებით კონცესიონერი ვალდებულია გაიტანოს ყოველწლიურათ არა ნაკლები 4 პროც. მიწელი გასაცანი ქუის რაოდენობისა და თვითველ ტონაში გადაიხადოს პირველ სამ წელიწადს 8 დოლარი და შემდეგ წლებში 9 დოლარი.

ასეთია ეკონომიური მნიშვნელობა ამ კონცესიისა.

ფრიად მნიშვნელოვანია ეს კონცესია პოლიტიკურათაც.

ჯერ კიდევ იუზი შეერთებულ შტატების საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელი იყო და მას შეურიგებელი პოზიცია ეჭირა ჩვენს წინააღმდეგ, როცა პარიზში, ანგრიკის მსხვილი კაპიტალის ერთი წარმომადგენელთაგანი, ამერიკაში რკინის გზის „მეფეთ“ წოდებული, ჩვენს რესპუბლიკაში მოვიდა და საბართველოს საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკება გამართა კონცესიის შესახებ, რომელიც საკონცესიო ხელშეკრულების დადებით გათავდა. ეს იმის მაჩვენებელი და დამამტკიცებელია, რომ მიუხედავად ათასნაირი ცილისწამებისა და კორუბისა, რომელსაც აგრეკლებენ საზღვარ-გარეთ ჩვენი მოწინააღმდეგეები საბჭოთა ხელისუფლების სისტემებზე და მის ჩქარა დაცემაზე, ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური სიმტკიცე იმდენათ ურყევი ფაქტია, რომ ეს იძულებული არიან იქნონ. თუმცა დაგვიანებით, ყველაზე უფრო „გაჯიუტებულ“ კაპიტალის წარმომადგენლებმაც კი. არა სიმპატია და ანტიპატია, არამედ ეკონომიური აუცილებლობა არის ის ფაქტორი, რომელიც აახლოებს ერთი მეორესთან სხვა და სხვა ბაღს, თუნდაც დიამეტრალურათ მოწინააღმდეგე სოციალურ წესწყობილებებში მცხოვრებთ. ერთი მხრივ—საბჭოთა კავშირი თავისი უამრავი ბუნებრივი სიმდიდრით, რომლის გასანაყოფიერებლათ საჭიროა კაპიტალი, მეორე მხრივ—კაპიტალით ყველაზე ძლიერი ქვეყანა—ამერიკა, რომელიც ეძებს, თუ სად დააბანდოს თავისი ზედმეტი კაპიტალი, აი ის ფაქტორები, რომლებიც შესაძლებლათ ხდიან სამეურნეო თანამშრომლობას საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ამერიკას შორის.

## ზიგლიოგრაფია

კონსტანტინე გამსახურდია. „დიონისოს ღიმილი.“ რომანი კოლექცია რენესანსი.

არ შეიძლება ითქვას, რომ მხატვრული პროზით ჩვენი ქვეყანა მდიდარი იყოს. საქართველო უმთავრესათ „პოეზიის ქვეყანაა“ და რა გასაკვირველია თუ ზოგი მომწერლო ინტელიგენტი თუ მონიტელიგენტო მწერალი თავის ლიტერატურულ მოღვაწეობას ამოსავალ წერტილად და არსებით ამოცანათ სთვლიდა და სთვლის სრულიად უაზრო და გაუგებარის ერთის მხრივ და მეტის მეტათ მართვ და ბალღური ლექსების თხზვას მეორეს მხრივ. უკანასკნელ ხანებში მხატვრულ ლიტერატურას თითქოს პროზის გამოცოცხლება დაეტყო. მის ჯიჯახიშვილი-ადამაშვილის გამოჩენით სამწერლო ასპარეზზე მდგომარეობა საგრძობლათ შეიცვალა: ამ ნიჭიერი მწერლის შრომებმა მხატვრულად გაამდიდრა ჩვენი მეტისმეტათ ლატაკი უახლოესი ქართულ პროზა და მით ბუნებრივად გაუნოყიერა ნიადაგი სერიოზულ ლიტერატურულ საქმიანობას. რასაკვირველია, თუ რამდენათ იდევლოვიურათ მისაღებია მ ჯიჯახიშვილის შემოქმედება ეს სხვა საკითხია, მაგრამ უდაოა ის, რომ მისი შემოქმედება მხატვრული შემოქმედებაა და ამ მომენტს ის არასდროს არ ტალატობს. მთავარი, რაიც ჰქმნის ნაწარმრების მხატვრულ ნაწარმოებათ არის იდგის მთლიანობა, რომელიც ივის მხატვრულ გამარტივებას ჰპოულობს სიუჟეტში. სიუჟეტი თავის მხრივ წარმოადგენს ნაწარმოების კვანძის თანდათანობილი გამლას, ამ თანდათანობაში მოცემულ უნდა იქმნეს რამე ემოციები წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწარმოების ესთეტიური ღირებულება არარაობამდის დაექანება. ნაწარმოები, რომელიც არაფერს ეუბნება ჩემს სულს, ჩემს ფსიხიკას, რომელიც არ ატყვევებს

ჩემს განწყობილებას ენებური ინტერესით, ის მხატვრული ნაწარმოები არ არის. განსაკუთრებით სიძლიერიითა და სიკბადით სიუჟეტის მხატვრული მთლიანობა მოცემულია რომანში. რომანი ისტორიულიათ ინტინური ნატურალიზმით იკვებებოდა.

დღესაც და მომავალშიც რომანი ვერ ასკდება ამ ხაზებს, ასე რომ ეს მომენტტი, შერდება ითქვას რომანის სპეციფიური ბუნების გამომხატველი აის და დარება. თავისთავად ცხადია ახალი ყოფა-ცხოვრების ზრდასა და განეთარებასთან ერთათ ინტინური ცხოვრებაც განრავალ-ფეროვანდება და გამდიდრდება: მას შრავალი მომენტები დაუკავშირდება, იგი ახალი იდენით გაიქვინთება: და მია ახალი განათება და შეიძლება ითქვას, ახალი დასაბუთებაც მიეცემა მას. მაგრამ მთავარი, რასაც გვერდა ვერ აუხვევს და რაიც მუდმივ დარება მხატვრული შემოქმედების ამ დარეში—არის, ვიმეორებთ—ინტინურ განცდათა მთლიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექმნებოდა ან თავისებურ ფილოსოფიურ ტოპიტატთან მხატვრულ ფორმებში (როგორც ნიცშეს „ზარატუსტრა“) ან და უკბილო პუბლიცისტიკასთან. რომლის ესთეტიური ღირებულება იმ თავითვე განიყებული იქნებოდა. იი სწორედ ამ მთავარ მოთხოვნიებას რომანისას არ აკმაყოფილებს კ. გამსახურდიას ეხლათ გამოსული „დიონისოს ღიმილი“. ის ზოგადი შთაბეჭდილება, რომელსაც ღებულობთ იმ რომანის წაკითხვიდენ განსახლვრება იმ გარემოებით, რომ ის უბრველეს ყოვლისა მხატვრული შემოქმედება არ არის.

ის ძირითადი კვანძი, რომლის გამლასა და განვითარებას უნდა შეიცავ



ერყენული  
\* ზნელოვნება

დეს სიუჟეტის მთლიანობა, დიონისოს ღიმილი\* არ არის მოკცემული: ყოველი თავი იქ სრულად დამოუკიდებელ ამბავს წარმოადგენს, რის გამოც იქნება ნოველების შთაბეჭდილება და არა მთლიანი რომანის. საზოგადოთ რომანის კვანძი ორ ხაზებში იშლება: ინტიმური განცდების ყოფა-ცხოვრებასთან და საზოგადოებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით; ამ შემთხვევაში ამ უკანასკნელის პრობლემებითაა განაითებული ინტიმური ცხოვრება. ასეთია ახალი რომანი, რომელიც იქნება პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. მეორე შესაძლებლობა რომანის კვანძის გაშლისა არის ინტიმურ მომენტების თვით მყოფ (самоделением) ლიტერატურულადად მიჩნევა და მისი გაშლა რომანში საზოგადოებრივ ურთიერთობათაგან სრულად დამოუკიდებლად. ასეთია სალონური რომანები, რომელთაც საესეი ბურჟუაზიული ლიტერატურა ურთივე და მეორეც წარმოადგენს მთლიანობას და ერთიც და მეორეც აკლია ჯ. ვანსაბურდიას შრომას. ეს არსებითი მოსაზრება ერთხელ კიდევ ნათელსკოფს ჩვენს შეხედულებას, რომ „დიონისოს ღიმილი“ არ არის რომანი, მთავარი გმირი, რომლის მოღვაწეობას არავითარი მთლიანი აზრი და მთელი იდეა არ გააჩნია—კონსტანტინე სავარსამიძე, წარმოადგენს ქართველ გადაგვარებულ და გადაშენებულ ინტელაგენტის ტიპს, რომელიც „თავის სამშობლოში უცხოელი ჰგონიათ და უცხოეთში—კი ემიგრანტი“. სავარსამიძე „განათლებული“ კაცია: „ნახევარი ხმელეთიანი მოშვილია, შეიდა ენა შემისწავლია, შეიდი ხალხის ყოფა-ცხოვრება შემიცნია. ტაია შელია, მე მარტო ვარ ამ უღრან ტყეში. შეიდი პროფესია გამოკიცვალე და ვერ ვიპოვე ჩემი ადგილი ამ ცხოვრებაში. ტაია შელია! ჩემი ცხოვრების შუაგულ სღვაზე შემომალამდა, ისევე შენ ვიგონებ და გმძახი-ვულოთმისახო ჩემო გამზოდელო! ეგებ შენ მასწავლო გზა. როგორ გავიდე ამ უღრან ტყიდან. ვანა არ გესმის? „გზა“—„გზა“ იძახის ადამიანი საუწყუნების ირიბ მი-

ჯნებზე, იძახიან მგზავრები, მვეტლები და ვატანებები და შოფერები. „გზა“— იძახიან შურლები, მეცნიერები, ბერები და მოძღვართ-მოძღვრები. მე ყველა ვნახე, მე ყველა ვნახე, მე ყველას ვკითხე და ვერაფერ მასწავლა გზა“. ეს არის განცდა ინტელიგენტის, რომელიც აბსოლუტურ პესიმიზმს შეუპყრია, რომელსაც არ სჯერა მეცნიერების, ინტელექტის სულიერადა, და ვერაფერია სიმშვიდე ვერსად და ვერაფერსთან. და ეს ყოველივე ხდება იმის გამო, რომ საეარსამიძემ „ყოველმხრივი განათლება მიიღო“. (გეროზიდან აბასთუმანში დაბრუნების შემდეგ სავარსამიძის საუბარი ტაია შელიასთან). აქტორი ჯ. ვანსაბურდიამ აქ სკიდურესი ექსპრესიონისტია: ექსპრესიონიზმი ჭალაქუო კულტურასა და ცივილიზაციაში ჰხედავს თანამედროვე ბოროტების წყაროს, რის გამოც ამ ბოროტების წყაროს დასაძლევათ, მას სოფლის იდილიის ვანცდა აქვს მიჩნეული: სავარსამიძე თითქოს მეორეთ დაიბადა, როდესაც ის კვლავ უბრუნდება ტაია შელიას ჯოგს, აბსთუმანის მთებს, საქართველოს გაშლილ ჰაერს... ყოველ ფეხის ნაბიჯზე „ლოცულობს“ ის საქართველოზე, საქართველოსათვის. იტალიაში ყოუნისას სავარსამიძე „შეურაცხყოფას აყენებს იტალიის სახელმწიფო რელიგიებს და სიმბოლოებს, ჰკმობს ჯეარს და სხ. და სხვ. სალონებში, კულუარებში, კერძო საუბარში, (როსკიმ ქალებთან ხეყენის დროს და სხ. სავარსამიძე ამტკიცებს თავის ულტრა-მატრიოტობას და ამყარებს იმით, რომ ის ქართველთა წამომავლობას ეკუთვნის: მაგრამ მამვე დროს არავითარი აზრი არავითარი დანიშნულება სავარსამიძის მოგზაურობას ევროპაში არ აქვს: კაცი, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჰყვირის საქართველოზე, მთელს თავის სიკოცხლეს ატარებს გარყვნილ სალონებში, ეწევა საზარელ მედიტურობას, ამქალაქებს დაბალი, მეტის მეტათ დაბალი ხარისხის დონ-კიხოტობას; ხოლო საქართველოში დაბრუნებისას სავარსამიძე არ ღალატობს მამულიშვილურ ტრადიციებს და თავის ყოველ-





## მარქსიზმი საქართველოში

დღიურ ცხოვრებას ნაღირობითა, ჯი-  
რითით, არაყისსმით, ს<sup>ა</sup>-ოლით და სხვა  
„რანდული“ საქმიანობით ავსებს. ყო-  
ველივე ეს ჰქმნის სავსამიძეში შესაბა-  
რებლად ყალბ და აბსოლიტურადად  
სწავ პატრიოტს. გერმანეთში ყოფნი-  
სას სავარსამიძე მონაწილეობას ლებუ-  
ლობს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც: „მე-  
ნიერებისა და ცივილიზაციის“ სახე-  
ლით ის, გერმანულ ხულიგან სტუდენ-  
ტებთან ერთად იტყვიით უმასპინძლდე-  
ბა გერმანულ ბუღევისხის წინააღმდეგ  
ამხედრებულ მუშებს. ერთი სატყვეთ  
სავარსამიძე, როგორც ქართული ფაშის-  
ტი არ დალატობს თავისს მრწამს, და  
თვის ფაშისტურ ბუნებას კოველ მოსა-  
ხვევში ამკლავებს.

საინტერესოა აგრეთვე სავარსამიძის  
ინტელიგენციის ცხოვრება. აქ ის გვევლინე-  
ბა როგორც ყალბი ტიპი. მისი სიყალ-  
ბე მდგომარეობს იმაში, რომ ის მთე-  
ლი „თავისი გულწრფელობით“ არწმუ-  
ნებს თავის თავს, (და აგოუთვე სხვებსაც) თუ  
რამდენ ძლიერია მასში სიყვარუ-  
ლის გრძობა (ხანუმი ჯენერით ვატა-  
ცება) და პარალელურადად მასთან სტო-  
რეობს ასეთივე რწმენით რამოდენიმე  
ქალთან: ყოველ ფეხის ნაბიჯზე ის არ-  
წმუნებს ქალებს თავის სიყვარულში და  
ამას სწადის სავარსამიძე თითქო არა  
მოტყუების მიხსნით, არამედ რწმენით,  
რომ მასში მართლაც ანთია გულწრფე-  
ლი ცეცხლი. სავარსამიძის მიხსნით  
ინტელიგენციის ცხოვრება სავსეა კერძოებით. ამ  
საოკარ კერძოებში თავის ჟღერსო-  
ბას ძილუნია ხანუმი ჯენერის ვაჟი ფა-  
რეისით „ვატაცებაში“. სავარსამიძე  
დღიდან გადადის შვილის... სიყვარუ-  
ლზე (!?-ავტ) „...რისთვის არ ვსაოგე-  
ბლე შემთხვევით, რატომ გავაგდე აქე-  
ლანე?.. მჯდარიყო ჩემს გვერდით და კი-  
დეც ცოტა ხანს შემხიროდა მის მარჯვნი-  
ვით სახისათვის... მის ნაბრუნდისფერ  
თვალებსათვის. ვაყვედრო ჩემს თავს.  
ამ პატარა ფათეოკმა გადაამწყვეტინა  
დროებით შიშში გაეზოხულიყავი; გა-  
ვერთობი ჯიროთით, არაყის სმით და  
სწოლით, ისევე მოვიკრეფე ღონეს. ვფი-

ქრობ, ვიგონებ ჩემი დღი წინაპრების  
სულგრძელობას, თავ შეკავებს.

ენებასაც ისეთივე შეკავება უნდა,  
როგორც ამას... ისინი მიტოვებენ კარგათ  
ომობდენ, რომ ენების დაკლება ემარ-  
ჯებოდით... ასე ჰგოდებს კონსტან-  
ტინე სავარსამიძე. რა არის ეს? ინტე-  
ლიგენციის დონეობა თუ პირწაყარ-  
დნობა პრინციპული? სავარსამიძის  
ასეთი პრინციპული განწყობილე-  
ბის\* კ. ვამახურობა ამშვეწმენს\* პირ-  
ნოვრადიული ადგილებით... „გედის  
ფრთხაყით სვეტაკი იყო მისი ინვლი-  
სური არმიებით შემკული თეთრეული“,  
უფრო თეთრი მისი სახე თეძოები და  
სისასურვიით რბილი მუცელი. ვყოფნი  
სწორედ იმ ადგილას, სადაც სპილენძის  
ფერი შოლი თავდება და შიშველი ხორ-  
ცი იწყება“. არავითარი მხატვრული მო-  
სახრებით არ შეიძლება გამართლებულ  
იქნას ასეთი პრინციპული სტილი...  
შეიძლება გადაამსწავლო შემთხვევებს  
თუ შეუძლია ასეთი სტილით იკვებ-  
ბოდეს....

დამახასიათებელია კონსტანტინე სა-  
ვარსამიძის ჯოჯოხეთით ჩასვლა. აქ  
ავტორი სიმბოლურადად მოგვითხრობს სა-  
ვარსამიძის ბრიოლას რუსეთის (სლან-  
სკი) წინააღმდეგ. „სხვდავ: თავზე ჩრდი-  
ლოეთის ბუფის გვირგვინი. მუხლზე  
ორთავიანი აოწივი ვედი. ერთს თავზე  
ბავარტი-ნის გვირგვინი. გვირგვინში  
თამარის აღმასი... სავარსამიძე ბოძო-  
ლას უცხადებს მას, როგორც აღმასის  
ქურდს: „შუადღე, ზემო სისხლით გა-  
ლუწილი, დედა ჩემის აღმასის ქურო-  
ლი“... „სლანსკი! მე და შენ ერთს სახლ-  
ში ვერ დავმტყვით.“ სავარსამიძე  
იმარჯვებს, რადგანაც მას „მაგიური  
ძალა გააჩნია. ეს მაგიურობა ტაია შე-  
ლიას ლოცვითა. საქმარისი იყო სავარ-  
სამიძის შელოცვა ისე, როგორც ტაია  
შელია ულოცავდა გველს, რომ ძისა  
მტრები მიწაზე დაბოცებულადივნენ.  
საერთოთა ავტორის მისტიკური მსოფლ-  
მხედველობა ბოლომდე გამყავს. სავარ-  
სამიძის სწამს მშობლების წყველის მა-  
გიური ძალა: მან განიცადა თავისი მა-

\* ლამარკია მისი ბლუტ წამანარბე.

მის წყევლა... ყოველი ქალი, რომელსაც შეეგვიყრები, ისე უნაყოფო ქენის წმინდა გიორგიმ და მაცხოვარმა, როგორც ეფერის ქაობში მღვარი თხემლა, ზამთარ-ზაფხულ შტობმ შემზარო, ყუვილის რომ ვერ იხზამს." ამ წყევლით ხსნის სავარსაძიმე, რომ მას ჯენეტიდან შეილი არ ყუოლა.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი მისტიციზმის ერთგული რჩება ბოლომდის და მას არსად არ ჰღილატობს თავის შრომაში.

ასეა, ასე ვსთქვათ, „იდულოვია“ „დიონისოს ღიმილი“-ის. რაც შეეხება მხატვრულ მხარეს-ამ მკვლევანდება ლიტერატურული ენის ცოდნა. უნდა ითქვას: „დიონისოს ღიმილი“ ღამაში ენითაა დაქერილი. ავტორს ძლიერ ადვილათ და თანაც ძლიერ კარგად ემარჯუება ლიტერატურული ენა. ამის და მიუხედავად იქ თქვენ ვერ იპოვით ისეთ ძლიერ ადვილებს, რომელსაც შეეძლოს ადამიანის გულისა და სულის დაქრობა. ეს კი შედეგია იმ გარემოების, რომ „დიონისოს ღიმილი“ არ არის მოცემული, როგორც ხელოვანების, სიუჟეტის მხატვრული მათლიანობა; მართო სტილი თავისთავათ ცხადია არაფერს იხამს. სტილი მხატვრული შენობქმედების გამოყვინების შეათოდა: ეს არის საშუალება იმის გამოთქმის, რაც უნდა სთქვა. და თუ ეს-„რაც“- არ არის, სტილიც მკარგავს თვის მხატვრულ ღირებულებას. ვანსაკუთრებით ეს ითქმის რომანზე: არსად, ხელოვნ-

ბის არც ერთს დარგში ფორმასა და შინაარსის ორგანულ მთლიანობის სტირობებას ისე ვერ გრინობთ, როგორც რომანში. თუ ეს მთლიანობა არ არის რომანის ბედი, როგორც მხატვრული შემოქმედების იმ თავითვე ვაწირულია.

ცარიელმა სტილმა მოქალა „დიონისოს ღიმილი“, როგორც რომანი. ვაუგებარია: რატომ ჰქვია ამ შრომას „დიონისოს ღიმილი“, დიონისო ისტორიულათ ენებისა და ღვინის“ ღმერთს ნიშნავდა. არსებითათ კი დიონისოს განიცდის ყველა ის, ენიც მკარგავს თვის მეს და სხვათ იქცევა (ასეა ნაგ. მსახიობი სცენაზე). საკუთარი, და რეალური მეს ჰქვია სხვა „მე“-თ-თი შინაარსი დიონისოს განცდის. ასეთ რაიმეს აღნიშნულ შრომაში ადვილი არ აქვს, ის წარმოადგენს ცრუ პატოიოტის და ამავე დროს მკვებარა ინტელიგენტის მოღლილ განცდ ბის ვადამაშლას; ეს ვადამაშლა სესებით ბუნებრივი და დოტოგრაფიულთა: სავარსაძიმე რეალური ტიპია ვადავარებული ინტელიგენტის. მას არავითარი დიონისური ვანცდა არ აქვს. კ. ვანსახურდა ამ რეალური ტიპის ფოტოგრაფიული ამახვევლია, მოკლებულია კვანძს, სიუჟეტს რის ვამოც ის შემოქმედება არ არის. ამ რიგად აოც ავტორს, არც მის გმირს დიონისური ვანცდა არ ვაანნათ ამიტომაც ვეფიკობთ: „დიონისოს ღიმილი“ ავტორის სკეულაიცია ავანსათ ვაწეული მრავალ-მეტყველი სათაურით. შ. დ.

**დ. უხანძი: მასპერეკლეული ფსიქოლოგიის საფუძვლები.**

ტო. ი: პრინციპული საფუძვლები და ზვერძნებათა ფსიქოლოგია. თბილისი 1925

ენიც ქართული მეცნიერების აღორძინებისა და ვანეფიარებისათვის კი ზრუნავს. ის არ შეიძლება სიხარულით არ მოეგებოს პროფ. უხანძის დასახელებულ ნაშრომს. რევილიუციამ ჩვენ არამც თუ პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლება მოგვანიჭა, მან ჩვენ ის ახალი ვაბც ვაგვიკათა, რომლის ვაელით ჩვენ

ნი ხალხი საერთაშორისო მეცნიერთა ოჯახშიც სრულ უფლებიანი მონაწილე ვანდება. დღეს ჩვენი მარტო მხატვრული ნაწარმოებები კი აღარ იწერება, არამედ საუბრეველ მტკიცე და ხერხემალ ვამარგებული ნეცნიერულ-სპეკიალური შრომები, რომლის თავისად ვამოცხადებას არც ერთი ახალ-



ერეკნული  
ზნაობა

გაზრდა კულტურისანი ერი არ ითავალებდა. ვადაქარბებული არ იქნება თუ ვერცეით, რომ რეგოლიუტია მდე ჩვენ არაეითარი მეცნიერება არ გაგვანდა. ორი-სამი უცხო ენაზე განსწავლული ქართველი, ცხადია, ქართველ მეცნიერებას არ უდრიდა. მეცნიერება თავისი შინაარსით ინტერნაციონალური მოვლენია, მაგრამ როდესაც მას ესა თუ ის ხალხი თავის საკუთარ ენაზე ამუშავებს, ის თავის განვლილების ფორმებში იქცევა ნაციონალურ საქმედ. და სწორედ ასეთი საერთაშორისო შინაარსის მქონე და ნაციონალურ ფორმებში ჩამოყალიბებული მეცნიერება ჩვენ მივიღეთ როგორც დიდი რევოლუციის ერთ-ერთი მონაპოვართაგანი. ასეთ მეცნიერებას წინაპარი უკლია ჩვენ ისტორიულ წარსულში, აკად. ნიკო მარის მოწმობით ახლად აღმოცენებულ ნეოპლატონიური ფილოსოფიის განვითარებაში ქართველებს დიდი ღვაწლი დაუდევიათ. იმ დროს ფილოსოფია შეუქმნიათ ქართულ ენაზედაც, რასაც დღემდე დაკული ფილოსოფიურ ნაშრომთა ქართულ თარგმანები მართლაც მოწმობენ ი. პეტრიძის „ბუნებისათვის კაცისა“—ერთი ასეთი ისტორიულ განმეულს წარმოადგენს და ამის აქ დასახელება ნიუ ლურო მიზანშეწონილია, რადგან მისი მეცნიერული საგანი სწორედ რომ ფსიქოლოგიის ახლო მონათესავე საგანი არის. ასე რომ პროფ. უზნაძეს ჩვენი ხალხის შორეულ წარსულში სახელოვანი წინაპრებიც ჰყავდა. მაგრამ გუშინდელი დღე მას არ შეეძლო ესარგებლა და ის გამოდის აქ, როგორც ძველი საქმის ახლად დამწეები. სასიხარულოა იმის აღნიშვნა, რომ ეს საქმე მშვენიერად დაწყებულია და მისი ნიადაგი ჯანსაღი და ნოყიერი არის. უზნაძის წიგნი ხანგრძლივი და ბევრთი მეცნიერული შრომის ნაყოფია. ახალგაზრდობა, რომელიც მას შეისწავლის, ნახავს იქ სინდისიერი ნაშრომის საუკეთესო ნიმუშს და ცხადია, ჯერ. ივანადაც გამოიყენებს მას, ბევრი სხვა ქვეყნის უნივერსიტეტი უსათუოდ საბაყო საგნად

ჩასთვლიდა ასეთი სახელმძღვანელოს ჟონებას, მაგალითისათვის შორს წასვლა საჭირო არ არის, რუსეთის უნივერსიტეტებში თითქმის ასი წელია, რაც ეს საგანი სწავლება, მაგრამ რუსულ ენაზე ჯერ არ დაწერილა არც ერთი ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო, რომელსაც უზნაძის წიგნთან გასწორება შესძლებოდა. ჩემი კონდინა გერმანულ ენაზე ასეთი ტიპის სახელმძღვანელო სამი არსებობს: მესსერისა, ვაიზერისა და ფრაიბურგისა. უზნაძის წიგნი არც ერთი მათგანს არ ჩამორჩება თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცოტა სუსტს ტერმინოლოგიას რაც მთლად უზნაძის ბრალიც არ არის. განსაკუთრებული დამსახურება ავტორისა იმაში მდგომარეობს, რომ ის უკანასკნელ სიტყვამდე იცნობს იმას, თუ რა კეთდება მის მეცნიერებაში, პრობლემათა ძიების დონე და საჭირო ლიტერატურის განხილვა მიკანალია სულ უკანასკნელ დრომდე და მკითხველს ამ წიგნის შესწავლის შემდეგ მარტო პროფ. უზნაძის მოსაზრებანი კი არ შერჩება ამა თუ იმ პრობლემის შესახებ, არამედ მას ეკონდინება თუ რა სიმაღლეზე სდგას დღეს მეცნიერული კვლევები და დასახელებული პრობლემისა. ავტორის ხშირად უხელმძღვანელებია ისეთი მასალითაც, რაიც სხვა სახელმძღვანელოში ჯერ არ შესულა, მაგ. აიდეტური ფსიქოლოგიის შესახებ,—რაიც მისი წიგნის ღირებულებას, რასაკვირველია, ზრდის.

ექსპერიმენტალი ფსიქოლოგიის საფუძვლებს დალაგება პროფ. უზნაძეს მოუძიებელი უნდა ჰქონდეს ორ ტომად. წინა მდებარე პირველ ტომში მოცემულია პრინციპალი საფუძვლების გარკვევა და გადმოცემულია შეერთებათა ფსიქოლოგიის საფუძვლები. ეს ტომი შეიცავს სამ წიგნს. პირველი წიგნი ეხება ფსიქოლოგიის თეორიულ პრობლემებს, მეორე—ილევია ნერვიული სისტემის ანატომიის და ფიზიოლოგიის მოკლე დალაგებას და აგრეთვე ფსიქიკისა და ფიზიკურის ურთიერთ დამოკიდების საკითხის გარჩევას,



მეცნიერებათა

ხოლო მესამე წიგნი შეეხება თვით ვიწრო ფსიქოლოგიურ საქმეს, მასში დალაგებულია შეგრობებითა ფსიქოლოგია.

სტუდენტს, რომელსაც ამ წიგნის სერიოზული შესწავლა სურს. ჩვენ ვურჩევთ, სიერით გადაკითხვის შემდეგ წიგნის შესწავლა დაიწყო, მხოლოდ წიგნიდან, ამას მოაყოლოს მესამე და შემდეგ კი დაუბრუნდეს პირველს.

პირველი წიგნის დასაწყისშივე ჩვენ ენახულობთ ფსიქოლოგიის საგნის განხილვას. თუ თქვენ, რაიმე მეცნიერება გსურთ ახსენით, ცხადია უპირველეს ყოვლისა იმ განსაკუთრებულ საგანს გამოიხატეთ, რაიც ამ მეცნიერების შინაარსი უნდა გახდეს. ჩვენი ავტორიც ცდილობს ნათელ ჰქონს იმ განსაკუთრებულ ფერამენტთა თაყვისებურება, რომლებიც ფსიქოლოგიის მეცნიერების საგანს უნდა შეადგენდნენ. ავტორი, ძველი დოქტრინების ჯეროვანი კრიტიკის, და ახალი თეორიების საქმით განხილვის შემდეგ, მიდის დასკვნამდე, რომ ის ახალა, რასაც ფსიქოლოგია შეისწავლის, ფსიქიკური ფენომენთა სამყაროს შეადგენს, რის კონკრეტუი წარმოდგენა ფსიქიკური აქტისა და შინაარსით არის შესაძლებელი. Goelenius-იდან დაწყებული რუსს მეცნიერ პავლოვამდე ავტორი ასახელებს ყველა მკვლევართ, რომელთაც მოასახმენი რაიმე კი ურეკამათ ამ დარგში, ხოლო რალაც მოსახრებით გამოტოვებულია პაულ ნატორპი (Allgem. Psychol.) რომლის ე. წ. ოკიანსტრუქციის მეოთხდს სწორეთა რომ აქ დახმული პრობლემების გადაშლშეგებისათვის ერთი ან დიდი მნიშვნელობა აქვს.

არ შეიძლება აქვე ხაზი არ გავუსვათ ერთ გარემოებას, რომელსაც ავტორი საყვებით უყურადღებოთ სტოვემს. თუ თქვენ გსურთ გამოკვეთოდ ფსიქოლოგიის, როგორც კოდ. მეცნიერების საგანი, ამისთვის ჩემი აზრით საყოფი არ არის სხვა და სხვა ამ პრობლემის გარშემო არსებული მოსახრებების განხილვა და შემდეგ საკუთარი თეორიის დალაგება. გარეშე ამისა საქირო იყო

ფსიქოლოგიის საგნის, მისი მკვნიერების, სხვა დაგვარ და მონათესავე მეცნიერებათა საგანთან შედარება, ასეთებია უპირველეს ყოვლისა ლოლიკა, გნ. სეოლოგია, ფენომენოლოგია ერთი მხრით, ანატომია, ფიზიოლოგია, ანტროპოლოგია და მთელი რიგი სხვა მეცნიერებათა მეორე მხრით. ხოლო ასეთი მუშაობის შემდეგ შეიძლება იმ განსაკუთრებული საგნის გამოიხატვა, რაიც ფსიქოლოგიის დ მენებს შეადგენენ. მაგ. ე. წ. აზროვნების კანონები ერთი მხრით, ხომ ფსიქოლოგიის კანონები უნდა იყოს, მეორე მხრით კი ლოლიკა აცხადებს მათ თავის კანონებად და ეს დაეა გადაუწყვეტელი დარჩება, თუ რომ ამ ორ მეცნიერებათა საწყდომობის პრეტენზია დაქმალუი-ლებული არ არის. პრაქ. უხანაჲ თა-ვისი წიგნის სხვა და სხვა ადგილებზე ჯეროვან უყრადღებას აქცევს ფსიქოლო-გიისა მონათესავე საბუნებისმეტყველო მეცნიერების საკითხს ხოლო ფსიქოლო-გიისა და მოსახრვრე ფილოსოფიურ მეცნიერებათა დამოკიდების საკითხი საყვებით უყურადღებოთ არის დატო-ვებული, რაიც უსათუოდ ნაკლად უნ-და ჩაითვალოს. მე მაგ. სულ სხვა სა-შუალებით გამოგვეთდი ფსიქოლოგი-ის საგანს. უადვილოდ არ მიმაჩნია აქ მოვიყვანო პატარა ამონაწერი, ერთი ჩემი (ჯერ გამოუქვეყნებელი) შრომიდ-ახ, რომელიც იმ საგანს ეხება: „... ფსიქოლოგიის საგანი შეიძლება იყოს აზროვნება, ნებელობა, გონობა. და სხ. მაგრამ როგორც აქ ჰის ფსიქოლოგი-ური Befund-ი. ფსიქოლოგიის საქმე მხოლოდ ფსიქიურ აქტთან აქვს. თუ თქვენ მაგ. აზროვნებას მოამარებთ აქტის სახეს, მისი Befund-ი იქნება სხვა, ან ფენომენოლოგიური აღწერი-თი იხსნაში, ან ონტოლოგიურ რეალ-მტკიცებელ არეში, ან გნოსე. ლოგე-ური აპრიორულ გაფენებაში და სხ. აქ ჩვენ გვქვდება ან ფენომენის მიუდგო-მელი ანალიზი, ან მტკიცება აზრისა, ან გაფლენა ვალდებულობით. აქ ა. ი. იან საგნები, მაგრამ არც ერთ საგანს არ აქვს აქტის პლიუსი. ფსიქოლოგიის



## საქართველო შეხვედრისათვის

სავანი არის ეს თუ ის სავანი „აქტი-  
ანალიზის სინძიმე ხდევს აქტის ფსიქი-  
ურ ანალიზში“. და სხ. ამ ამონაწერით  
შე იმის ჩვენება მინდა, რომ თუ ასე  
შიფრდევით ფსიქოლოგიის საგნის გან-  
ხილვას, მაშინ მოსაზღვრე მეცნიერება-  
თა პრეტენზია იმ თავითვე აღკვეთილი  
იქნება და იმ დაბნეულობას ადგილი  
არ ექნება, რასაც დღემ ზოგიერთ თე-  
ორიულ მეცნიერებათა რიგებში ადგი-  
ლი აქვს.

აქვე სჭირია ერთი შენიშვნა ექსპე-  
რიმენტალი ფსიქოლოგიის თეორიული  
საფუძვლების შესახებ. დღიდან თავისი  
წარმოშობისა ეს მეცნიერება იმ პრე-  
ტენზიით გამოდის, რომ შესაძლებელია  
ფსიქიურის სრული კანონების ფორმებ-  
ში მოკვება და მისი მათემატიკური სა-  
ხეებად გადმოცემა. პროფ. უხაძე, რო-  
გორც ფსიქოლოგი ცხადია ამ აზრებს  
იზიარებს, ის ერთი ადგილს აშობს, რომ  
ფსიქოფიზიკა დამყარებულია მათემატი-  
კის ჯგოფთან შიამარებაზეო. პროფ. უხ-  
აძეს, რასაკვირველია, მოეხსენება, რომ  
სულ ახლო წარსულში ჰესერლმა იკით-  
ხა: „მერე ნუ თუ ცნობაერება მათემა-  
ტიკურა შრავალსახიანობა არის?“. რა-  
ღან პასუხი უარყოფითი იყო, ამიტომ  
შეიქნა შესაძლებელი ფენომენოლოგია,  
წინამძღვე შენიშვნევაში შეიძლება ფე-  
ნომენოლოგიის აღავს, ჩვენ „ესპიომა-  
ტიკა მიგველა. თუ ამ შემთხვევაში საი-  
უნდა წარმართულიყო თეორიული კლე-  
ვა-ძიება, ამის სარეკენზიო წერილის  
ფარგლებში ვაშუქება, რასაკვირველია,  
შეუძლებელია. ორივე სიტყვით ვი-  
ტყვი ჩვენ მოსაზრებას:

მეცნიერებანი, რომლებიც „ბიოლ“ ნ. ი.  
სიკოცხლეს შეისწავლიან, არ წარმოად-  
გენენ ისეთ შრავალსახიანობას, რომლის  
კანონის ცნებით ამოწურვა შეიძლებო-  
დეს. სიკოცხლე კანონქსოვილია, მაგრამ  
ის ამაზე შტრია და მისი ონტოლოგიურ  
რი რაობა კანონის ჩარჩოებში არ ეტე-  
ვა. ჩვენ გვეგონა, რომ ცოცხალ ბუნე-  
ბას ვააჩნია თავისი სპეციფიური კანო-  
ნიერება, რომელიც ჩვეულებრივი ე. ი.  
მათემატიკური კანონიერების მალალ  
ფორმას წარმოადგენენ, მაგრამ ამ უკა-

ნასწელი სამუდგებით იმის ამოწურვა  
ფუტი ოცნება არის. სიკოცხლე არ ჩაე-  
ტევა მათემატიკურ ფორმულაში და ეს  
იმიტომ კი არა, როგორც „მოყვება“,  
პკონიათ, ეს რაიმე უკეთესი იყოს, არა-  
ნელ იმიტომ, რომ ის ამისათვის უკნა  
და შეიძლება ამის ჯერ უცნობი ფორმა.  
ჩვენ აზროვნებას არ ვააჩნია არავითარი  
ბოლომდე მიყვანილი კანონიერება, გარე-  
შე თავისი მათემატიკური კანონისა და  
ცხადია მას ამ კანონის მიღმა ძველი  
სიკოცხლის პრაბლემა ჯერ თეორიულ-  
ლად დაუმუშავებელი აქვს. ამიტომია  
რომ თეორიული ფილოსოფემა დაადგე-  
და თუ არა ფსიქოლოგიის მისა და ბი-  
ოლოგიის მის ვხას, ის ხელად ანტრო-  
პომორფიზმად იკვეცა და ნამდვილ თე-  
ორიულ წინადავს სკოებს, ის შენეცე-  
ბის საკითხის მაგიერად ოწმენის და მენ-  
დამის საკითხად გარდაიქცევა. ეს არის  
ფილოსოფიის ე. წ. „სიტორიული სკან-  
დალი“. ამიტომ ჩვენ ამართს სრული  
შეცდომაა ფსიქოლოგიაში მათემატიკის  
გამოყენების ცდა. ასევე ფუტი ცდა  
არის თეორიული მეცნიერების ფსიქო-  
ლოგიის საფუძვლებზე დაყრდნობა, რა-  
საც ბევრი ევროპელი ნაზონი სწა-  
ლიან. ფსიქოლოგიის საკუთარი მადლი-  
ერი არე აქვს; ეს ჩვენი ფსიქიურა აქ-  
ტების ფეომენოლოგიური შესწავლა  
არის და ის, მისთვის უცხო, თვისი ბუნ-  
ნებით ექსპატი მთაბუყლობის არეში არ  
უნდა შეიქოს. ექსპერიმენტალი ფსი-  
ქოლოგიის წინადავზე მიხეული კა-  
ნონი პირობითი და განსაზღვრულია;  
მათ შორის ყველაზე უფრო ექსპატი-  
ბერ-ფენენრის კანონის, მხოლოდ განსა-  
ზღვრულ ფარგლებში იტოვებს კანონი-  
ერების ძალას. ენოსეოლოგიურად შეი-  
ძლება ჩვენ იმ დასკნამდე მივიდეთ,  
რომ ცნობიერების თეორიული საფუ-  
ძვლების მათემატიკურ შრავალ სახიანო-  
ბის სახეებად გადმოვილა აუცილებელია,  
მაგრამ ფსიქოლოგიურად ასეთი ცდა  
უწინადაყო საკმა. მთლად ყალიბი არ უნდა  
ყოფილიყოს კაპტის მოფიქრება, როდ-  
საც ის ცნობილი არგუმენტების გამო  
ფსიქოლოგიის მეცნიერების უფლებანზე  
უარს ეუბნებოდა.



პ რ ა ქ ი კ ა ნ ე ლ ი

გადავიდეთ პროფ. უზნაძის წიგნის მეორე პრინციპიალური თავის განხილვაზე. ეს თავი იმ განსაკუთრებული ამოცანების განხილვას შეიცავს, რასაც ფსიქოლოგია უნდა ეხებოდეს. ეს არის საკითხი იმის შესახებ თუ როგორი მეცნიერება არის ფსიქოლოგია, არის მისი მიზანი ფსიქიური ფენომენის უზრალო აღწერა, თუ აგრეთვე მისი ახსნაც. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ორი მოწინააღმდეგე აზრი არსებობს ამ საკითხის გარშემო. პროფ. უზნაძის აზრით ერთი ნეთოდია არ მოასწავებს მეორის უსათუოდ გაშორიცივას, მეცნიერული ფსიქოლოგია თავისი მუშაობის ყოველ დღიურ პრაქტიკაში იძულებული არის მიმართოს ორივე მეთოდს. ავტორს მისაღებად არ მიიჩნია დღესათვის მოძღვრება იმის შესახებ, რომ ეს ორი მიდგომა ორი სხვა და სხვა ფსიქოლოგიური საგნის გამოხატველი არის. ამ მიმართულებით უარყოფილია ჰესერლის აზრიც, რომელსაც სხვა ნაწილებში აღვს პრ. უზნაძეც, — და თავით ავტორის აზრი ფსიქოლოგიის პრინციპების დასასაბუთებლად ორი ნეთოდური ნაკადის აუქილებლობის შესახებ ასეა დასაბუთებული: „ჩვენ უკიდრბოთ, რომ ფსიქოლოგიის არა მარტო აღწერითი ამოცანა არის ნაბდეილი ფსიქოლოგიისაკენ მაპრობილა, არამედ მისი ახსნითი ამოცანაც. მაშასადამე, განსაზღვრული, თავისებური კანონ-ზომიერება, რომელიც ფსიქოლოგიამ უნდა აღმოაჩინოს, მის მიერ ხელოვნურად როდია სინამდვილეში შეტანილი, არამედ მასში უნდა იქმნას შოლოდ დადასტურებული. ეს არის ამოცანა ფსიქოლოგიისა, და ფსიქოლოგიურ აზროვნებაში გარდატეხილი სახე სინამდვილისა ისევე ნამდვილსახეს უნდა წარმ იადგინდეს მისას, როგორც ნამდვილია ბუნების მეტყველურ აზროვნებაში გადაცემული სახე ვაპირული სინამდვილისა“ (იხ. გვ 46—7). ამიტომ ავტორის აზრით აღწერითი ფსიქოლოგიას შეუძლია შეისწავლოს განცდაში გადმოწოვილი და მომდინარე ფსიქიური ფენომენი — ეს

არის სპეციფიური სინამდვილის განდგომა საკითხისა, მაგრამ დესკრიპციის ე. ი. აღწერას არ გააჩნია პრინციპი თვით ამ მიმდინარეობის ასახსნელად, ამიტომ მეცნიერული ფსიქოლოგიის სამუშაო მეთოდში გადადის ნეთოდ არეში, ფსიქოლოგია იძულებული ხდება გადალახოს ცნობიერებაში მოცემულობის საზღვარი და პრინციპი მის გარე ეძიოს. ამ ცნობიერების გარეს ავტორი გამოხატავს „ქვე-ცნობიერების“ ცნებით, იმაში უნდა მოინახოს მისი აზრით ახსნითი დასაბამი თვით ცნობიერებისათვის. აქედამ ავტორის აზრით ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება ორ ნაკადს შეიცავს, ერთი არის სპეციფიური ფსიქოლოგიური, ანუ ფენომენთა-აღწერითი, ნეთოდ კი უფრო ახსნით, ანუ ფუნქციონალი ხასიათის ცნებები — ბუნების მეტყველების ცნებებთან ახლოს მდგომი.

როგორც ავღნიშნეთ ზოგიერთ ხვეულებში პროფ. უზნაძე უახლოვდება ჰესერლის ნააზრებს, მიუხედავით ამისა განმარტება, რომელსაც პროფ. უზნაძე ჰესერლის წმიდა ფენომენოლოგიის შესახებ იძლევა წინააღმდეგობის და გაუგებრობის შინა მკობეა. უზნაძე სწავს, „ჰესერლი ემპირიულ ფსიქოლოგიას ჩვეულებრივ ბუნების-მეტყველურ მეცნიერებად სთვლის და ნამდვილი ფსიქიურის არსის წედომას მისგან არ მოვლის ამისათვის ჰესერლის რწმენით, სრულიად განსხვავებული მეცნიერება არის საჭირო, რომელიც აზრის უჩვეულო მიმართულებით ხასიათდება, შექმენების ამ ახალ დარგს ჰესერლი წმიდა ფენომენოლოგიას უწოდებს“ (გვ. 41.) და თუ ახლა ამ ამონაწერს შევებრუნებთ და ვიკითვავთ ოა არის ჰესერლის ფენომენოლოგია, ჩვენ ნივილებთ: მცდარ პასუხს. ფენომენოლოგია, რასაკვირველია, ის მეცნიერება არ არის, რომლის მიზანი ფსიქიური არსის წედომა იყოს, არამედ ეს ამავეი ფენომენოლოგიურ საქმიანობაში ერთ პატარა ნაკლუს წედგენს. ეს პროფ. უზნაძეც კარგად იცის და ქვემოთ შენიშვნაში ლინკეს



დამოწმებით ეს ახრი შესწორებულია, მაგრამ ნაშინ დებულება ვაუგებარი რჩება; რას ნიშნავს რომ ფუნქციონოლოგიაც და ფსიქოლოგიაც ორივე ცნობიერების მეცნიერებას წარმოადგენენ?

ჩვენი წიგნის შემდეგი თავები ფსიქოლოგიის შესასწავლ წყაროებისა, არსებული მეთოდების დაღაგებისა და თავთ ფსიქოლოგიის კროძო დაზგების კლასიფიკაციას ეხება. საქმის ჩვეულებრივი სრული და საფუძვლიანი ცოდნით, საქირო ლიტერატურის აღნუსხვით და საძიებელი პრობლემის მეცნიერული დამუშავების უკანასკნელ ხანამდე მოყვანით ამუშავებს ავტორი თავის საკანს. განსაკუთრებული ყურადღება ექსპერიმენტალი მეთოდისაკენ არის მიაბითული. და ეს მართებულად არის, რადგან სწორედ ამ მეთოდის ფსიქოლოგიაში შემოტანის შემდეგ, ფსიქოლოგია განზორდა ძველი მეტაფიზიკის სარბივლს და იქცა თანამედროვე მეცნიერებად.

პირველი წიგნის უკანასკნელ ნეხუთე თავში ხელმეორედ უბრუნდება ავტორი თავისი საგნის თეორიული საფუძვლების ძიებას. აქ აღებულია ცნობიერება, როგორც ასეთი, ძიება ეხება ცნობიერების რაობას და თავთ ცნობიერების შესაძლებლობას. ამ ჯერ კიდევ ბნელთ მოკულ პრობლემათა წყებაში პროფ. უხზაძე გამოღია თავისი საკუთარი თეორიით. ის ე. წ. „ქვეფსიქიური“ არეს არსებობით სცდილობს ახსნას ცნობიერების შესაძლებლობისა და შინა სტრუქტურის პრობლემას. განსაკუთრებული ბერძით გამოყენებულია სიტუაციის ცნება. ახწყეს თუ არა ჩვენი ავტორის ახალი თეორია დასახულ მიზანს ამის სრული განხილვა აქ, რასაკვირველია, არ შეგვიძლია, ყოველ შემთხვევაში ამთავითვე შესაძლებელია ავლნიზოდ, რომ უხზაძის „ქვეფსიქიურს“ ის უპირატესობა აქვს ყველა სხვა თეორიებზე, რომ მას ცნობიერების საფუძველი თვით ცნობიერების არედან გარედ გააქვს და ამით უნაყოფო შითტრიალიდან თავისუფალი არის. თუ რამდენად გამოიყენებს ავ-

ტორი ამ წამოყენებულ ახალ დებულების საქმეს, ეს ჩვენი ახრით უნდა აღმოჩდეს ახროვნების ფსიქოლოგიის განხილვის დროს და ჩვენ ჩვენი მსჯელობა მანამდე შეგვიძლია გადაედოთ.

წიგნი მეორე. წიგნი შესდგება ორი ნაწილისგან. პირველ ნაწილში მოცემულია ნერვიული სისტემის და მისი ფუნქციების შესწავლა. ვაღმოცემა მსუბუქია და საესე. საქმეში ჩახედულიც კი ნაბაეს აქ ახალ ფაქტებს. ზოლო ამ წიგნის მეორე ნახეარში განხილულია ერთი ძველის ძველი ბნელთით მოკულა პრობლემას. ეს არის საკითხი ფსიქიურისა და ფიზიკურის დამოკიდებულების შესახებ. ანტიურ კლასიციზმს ეს საკითხი არ აწუხებდა და იქ ფსიქიური მეტ ნაწილად (მის წინა ხანებში მაინც) ფიზიოლოგიურის სამოსელში გამოდის. ხოლო სულიერი კულტურის ასპარეზე რელიგიის გაბატონების შემდეგ სულის ცნება წამოსკუბდა პირველ რიგში და ახროვნების ისტორიაში დაიწყო ის დაუმთავრებელი და თან უჩაყოფო დავა, რასაც სულისა და სხეულის, სულისა და ბუნების, ფსიქიურისა და ფიზიურის დამოკიდებულობის საკითხს უძახიან. პედაგოგიურად გაპართიებულია უხზაძის ხერზი, როდესაც ის ამ პრობლემების გადაჭრას ნერვიული სისტემის ანატომის და ფიზიოლოგიის გვეღით ათავსებს. შინაარსის მხრივ კი საკითხი გადაუჭრელად არის დატოვებული, თუქცა მოცემულია ყველა არსებული თეორიების ჯეროვანი კრიტიკა. ჩემი ახრით ყველაზე უფრო ულოლიკო თეორია პარალელისტურია. ის უკანონია ინიტომ, რომ გარყენულად ცდილობს ცალმხრივობა გადაღაბოს და პრობლემის ორივე ნაწილს ანგარიში გაუწიოს. მაგრამ მას აქვს შეუსრულებელი პრეტენზიები. მას თავისი ვარეგნული აცებულობით სურს იყოს მონიხტური და სანანდვილში კი მონიხში მეტადიზიკურ იგივეობის ჰამათეხას ემყარება. ბუნების-მეტყველურად ის აბსურდია. იგივეობის თეორიული იძლევა ნაწილის და მთელის იგივეობას. მათი პარალელობა აღებულია განსახლებული





ერეკნული

შედეგობის თვალსაზრისით ე. ი. აქ ცნებათა აღრევასთან გვაქვს საქმე რეალური და არსებითი მზავისების მაგირად აქ უბრალო მოჩვენებით შეგუება არის გეომეტრიულ ხაზებთან. პარალელური ხაზები ერთი მეორესთან შეუხვედრელობის თვხას გულისხმობენ ე. ი. ორს დამოუკიდებელ და განსაზღვრულ კანონიერებაში მყოფ რაიმეს. თუ ასეთია მული და სხეული, მაშინ სად უნდა მოხდეს მათი მონისტური შედუღება? ვაუგებარია ტერმინიც და საქმეც, მონიშიც და მთლიანობაც. პარალელისტური თეორია ერთ-ერთი სახეა დუალისტური თეორიისა. ამ ოცი წლის წინად ბიოლოგებისა და მათ მონათესავე ფსიქოლოგების რიგებში შეხუშა-ვებული აზრი, იმის შესახებ რომ „პარალელიზმი“ საუკეთესო „სამუშაო ჰიმოთეზა“ იმ მეცნიერებთა საკუთარი საქმის პრინციპიალი მარცხით უნდა აეხსნათ. პარალელიზმს არავითარი გამართლება არ აქვს — არც თეორიულ-ფილოსოფიური და არც ემპირიულ-ბუნებისმეტყველური.

ამით ჩვენ მივიღით პირველი ტომის ნე-III-მე და უკანასკნელ წიგნთან. აქ ჩვენ ფსიქოლოგიის საქმიანობის ცენტრში ვიმყოფებით. ავტორი მზავლად დასაბუთებული არგუმენტაციით გვაცნობს შეგარძნებათა ფსიქოლოგიის რაობას. საესებით განხილულია შეგარძნების ყველა ფორმები და გამოკვლევა წარმოდგენების პოზიტივიზმზე არის მიკვანილი. ავტორი არც იმ პროფ. იფნის მიერ ახლად აღმოჩენილ ფენომენს სტოვეებს უჭურადლებით, რომელიც ჩვენი აზრით რაღაც საშუალო ელემენტს უნდა წარმოადგენდეს წარმოდგენასა და აღიქმას შორის. მოყვანილი წყაროები ყოველგან საკმა რისი და მიზანშეწონილია, ხოლო ტომის ფსიქოლოგიის დროს საჭირო იყო ეტუპების ნამოქმედარისთვის მეტი ხაზის ვასმა.

მეთოდი, რომლითაც ვამრკველვის ეს ნაწილია შესრულბებულია საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს ასეთი ძიებისათვის. ყოველი პოზიტივის გარჩევის დროს ვერ გარკვეულია მისი ფენომენალოგიუ-

რი ფუძე, ე. ი. ვერ განსაზღვრავთ და განსაზღვრავთ მოვლენის ფენომენალი აღწერა, ხოლო ამის შესრულების შემდეგ ნაცალია თით პოზიტივის ახსნა, ასე რომ ორივე მეთოდი ახსნითი და აღწერითი, ოსტატურად გამოყენებული აქვს.

ასეთია მოკლედ ამ საუცხოვო ნაშრომის არქიტექტონიკა და შინაარსი. უნაკლო არაფერია და ასეთის პრეტენზია, რასაკვირველია, არც პროფ. უზნაძეს აქვს, მაგრამ ამის და მიუხედავად ეს წიგნი ჩვენ მეცნიერულ სინამდვილეში უდიდესი მიღწევა არის. ასეთი შრომებით ჩვენში იწყება ის ამბავი, რომლითაც კანტმა ქრ. ვოლფის საქმიანობა დაახასიათა: „მან (ვოლფმა) ჩვენში საფუძელიანობის სული შემოიტანა“.

პროფ. უზნაძის წიგნში სადაოა უპირველეს ყოვლისა ტერმინოლოგია. თვით ცენტრალური ცნების Wahrnehmung-ის აღქმად თარგმნა. ეს ტერმინი როგორც სჩანს პროფ. უზნაძეს აულია, „სამღვთო წერილიდან“, ტერმინის გაძლიერებისათვის საჭირო იყო ძველი ბერძნულ ტექსტის მონახვა და იქ შედარება, თუ იმას რაიე ქართულში აღიქმით არის გამოთქმული „სამღვთო წერილის“ ძველ დედანში Wahrnehmung-ის გამოთქმული ტერმინი უფროს ე. ი. აისთეხის, მაშინ აღიქმა სწორია, წინამდებდ შემთხვევაში საეჭვო.

პროფ. უზნაძეს Wesen-ს არსად სთარგმნის. საჭიროა სამი სიტყვისათვის თანაბრების გამოწახვა: Sein, Wesen, Dasein-ქართულად უნდა იყოს: არსი, არსება არსებობა. ასე რომ Wesen იქნება, არსება, და სხვა.

დასასრულ ვისურვით ამ შრომის მეორე ტომის დაფინებლივი გამოცემა.

პროფ. უზნაძის წიგნი შეიცავს 368 + XVI გვერდს. ის გამოცემულია სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ. ტენიკურად გამოცემა ვერ არის კარგად შესრულებული, ქალაქი მდარეა, სურათები ფერადი იყო საჭირო და რაიე ყველაზე უფრო სავალალოა: წიგნში უამრავი კორექტურული შეცდომა მოიპოვება.

მოსე გოგბერიძე

# შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა

339

## საქართველო

1. ვასო გორგაძე — სოულის ავღარი . . . . .	5
2. ალექსანდრე ქუთათელი — აღოსავლეთი და დასავლეთი . . . . .	6
3. კარლო კალაძე — აშბაფი რომელიც გამოჩნა ქრონიკას . . . . .	11
4. კონ. ლორთქიფანიძე — შტკვაი . . . . .	15
5. მიხეილ ჯავახიშვილი — ლამბალო და ყანა . . . . .	17
6. ხერგო კლდიაშვილი — თუთიყუში . . . . .	50
7. პოლიკარპ კაკაბაძე — ლისაბონის ტუსაღები . . . . .	57

## დასავლეთი

8. ანატოლ ფრანსი — ღმერთებს სწყურიათ (დასასრული) თარგ. ფრანგულით გ. ქ. . . . .	113
--	-----

## ქართია, მხატვრობა და მემუარები

9. დავ. კლდიაშვილი — ჩემი ცხოვრების გსაზღ . . . . .	193
10. კონსტანტინე ჭიჭინაძე — ალიტერაცია ქართ. "ვაირში და "ვეფ- ხის ტყაოსნის" პრობლემა . . . . .	220
11. ვარლამ ზუროძე — მიხეილ ჯავახიშვილი — ადამაშვილი . . . . .	262

## მეცნიერება და კუბლიციზმია

12. ნიკო მარტი — ქართველ ერის კულტურული შუბლი ენათმეც- ნიერების მიხედვით . . . . .	289
13. <del>მეცნიერება</del> მეცნიერება — ქიათურის შავი ქვის კონცესია . . . . .	329

## ბიბლიოგრაფია

14. შ. დ. — კონსტანტინე გამსახურდია. დიონისოს ღიმილი . . . . .	342
15. მოსე გოგიბერიძე — დ. უზნაძე. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები . . . . .	345